არქიმანდრიტი იუსტინე პოპოვიჩი

(სერბეთი)

მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი

არქიმანდრიტ სერაფიმე ალექსიევი

არქიმანდრიტ სერგი იაზაჯიევი

(ბულგარეთი)

რაზომ არ შეიძლება ქრისტიანი იყოს ეკუმენისტი

1995

გამომცემლები: გელა არეშვილი
ზურაბ არეშვილი

თარგმანი: ვასილ გურკაძისა და
რუსუდან გუაჩიძისა

© გ. არეშვილი, ზ. არეშვილი

არქიმანდრიტი იუსტინე პოპოვიჩი

მართმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 7
ნაწილი I. მართლმადიდებელი სწავლება ეკლესიის შესახებ
ეკლესიის ნიშან-თვისებანი:
1. ერთიანობა და ერთადერთობა ეკლესიისა 63
2. ეკლესიის სიწმიდე 65
3. ეკლესიის საყოველთაობა 67
4. სამოციქულოობა ეკლესიისა 68
სულთმოფენობა 73
მადლი 76
წმიდა საიდუმლონი 79
წმიდა სათნოებანი 85
საეკლესიო იერარქია 91
საეკლესიო ღვთისმსახურება და დღესასწაულები 93
ღმერთი როგორც მსაჯული 99
ნაწილი II. ე კ უ მ ე ნ ი ზ მ ი 105
ჰუმანისტური და ღმერთკაცობრივი პროგრესი 106
ჰუმანისტური და ღმერთკაცობრივი კულტურა 112
ჰუმანისტური და ღმერთკაცობრივი საზოგადოებანი 128
ჰუმანისტური და ღმერთკაცობრივი განათლება 146
კაცი თუ ღმერთკაცი 159
ჰუმანისტური ეკუმენიზმი 173
გამოსავალი გამოუვალი მდგომარეობიდან 193

შესავალი

ეკუმენიზმი მრავალი სხვადასხვა პრობლემის შემცველი მოძრაობაა. ყველა ეს პრობლემა ერთი წყაროდან მომდინარეობს — საერთო მისწრაფებიდან ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიისაკენ, — და ამ მისწრაფებასვე შეერთვის. ხოლო ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიას აქვს და უნდა ჰქონდეს სწორი პასუხი ყველა იმ კითხვასა თუ ქვე-შეკითხვაზე, რომელსაც ეკუმენიზმი წამოაყენებს. რამეთუ თუკი ეკლესია არ გადასწყვეტს ყველა მარადიულ საკითხს ადამიანური სულისა, მაშინ ის არც ყოფილა საჭირო. ადამიანური სული კი მუდამ აღსავსეა მწვავე მარადიული საკითხებით, — ყოველი ადამიანი თითქოს განუწყვეტლივ იწვის ამ საკითხებით, — ამასთან, ეს გაცნობიერებულადაც ხდება და გაუთვითცნობიერებლადაც, ნებსითაც და უნებლიეთაც; იწვის მისი გული, გონება, სინდისი, სული, — იწვის მთელი მისი გული, გონება, სინდისი, სული, — იწვის მთელი მისი არსება, და „არა არს მშვიდობა ძვალთა შინა მისთა“.

ვარსკვლავთაგან სწორედ მხოლოდ ჩვენი პლანეტაა ცენტრი ყველა მარადიული მტანჯველი პრობლემისა — სიცოცხლისა და სიკვდილისა, სიკეთისა და ბოროტებისა, სათნოებისა და ცოდვისა, ამაქვეყნისა და ადამიანისა, უკვდავებისა და მარადიულობისა, სამოთხისა და ჯოჯოხეთისა, ღმერთისა და ეშმაკისა. ქვეყნიურ არსებათაგან ადამიანი ყველაზე რთული და იდუმალებით მოცული ქმნილებაა ღმერთისა. უფრო მეტიც, იგი სხვა ქმნილებებზე უაღრესადაა დაქვემდებარებული ტანჯვას. და ღმერთიც სწორედ ამისთვის გარდამოხდა ქვეყანად, სწორედ ამისთვის შეიქნა ი გ ი სრულყოფილ ადამიანად, რომ ვითარცა ღმერთკაცმა გაგვცეს პასუხი ყველა ჩვენს მტანჯველ შეკითხვაზე. და სწორედ ამისთვისვე დარჩა ი გ ი მთლიანად ჩვენთან, ამქვეყნად — თავის ეკლესიაში, რომლის თავიც და წინამძღვარიც — თვითონაა, ღმერთკაცი იესო ქრისტე, ეკლესია კი — სხეულია მისი. ეს — ქრისტეს ეკლესიაა, მართლმადიდებელი ეკლესია, რომელშიც სრულად მუნმყოფობს ღმერთკაცი ყველა თავისი აღთქმა-დაპირებითა და სრულყოფილებით.

და თუ რას წარმოადგენს ეკუმენიზმი თავისი არსით — თავის ყველა გამოვლინებასა და მისწრაფებაში, ამას ჩვენ ყველაზე ნათლად მხოლოდ იმ შემთხვევაში დავინახავთ, თუკი ერთიანი ჭეშმარიტი ქრისტიანული ეკლესიის პოზიციებიდან განვიხილავთ ამ მოძრაობას. ამიტომაც ჯერ-არს თუნდაც ზოგადად გადმოვცეთ მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების საფუძვლები ქრისტეს ეკლესიაზე — ჭეშმარიტად სამოციქულო და წმიდა მამებისეულ ეკლესიაზე, წმიდა საღმრთო გადმოცემის ეკლესიაზე.

ნაწილი I

მართლმადიდებელი სწავლება ეკლესიის შესახებ

ქრისტიანული სარწმუნოების საიდუმლოება მთლიანად და სრულყოფილად ეკლესიაშია დაცულ-დამარხული; სრული საიდუმლო ეკლესია — ღმერთკაც იესო ქრისტეშია, ხოლო სრული საიდუმლო ღმერთკაცისა იმაშია განცხადებული, რომ ღმერთი ხორციელ-იქმნა, განკაცდა (იოანე, 1, 14), მთლიანად დასტია თავის ადამიანურ სხეულში სრული თავისი ღმრთაება, თავისი ყველა ღვთაებრივი სრულყოფილება და საღმრთო საიდუმლო. მთელი სახარებაც ღმერთკაცისა — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი შეიძლება სულ რამდენიმე სიტყვით გამოიხატოს: „დიდ არს ღმრთის მსახურებისა საიდუმლოი: ღმერთი გამოჩნდა ხორცითა“ (I ტიმ. 3, 16). უკნინესმა ადამიანურმა სხეულმა მთლიანად დაიტია ღმერთი ყველა მისი ღირსებით, მიუწვდომელი უსაზღვროებით, ამასთან, ღმერთი — ღმერთად დარჩა, სხეული კი — სხეულად, მარადის ერთ პიროვნებაში ღმერთკაცის იესო ქრისტესი; სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი — სრულყოფილი ღმერთკაცია. აქ ერთი საიდუმლო როდია, — აქ ყველა საიდუმლოა ცათა და ქვეყანისა, შერწყმულნი ერთ დიდ საიდუმლოში ღმერთკაცისა, რომელიც არის საიდუმლო ეკლესიისა ვითარცა მისი ღმერთკაცობრივი სხეულისა. ყოველივე სიტყუა — ღმერთის სხეულს მიემართება, ამ სხეულამდე დაიყვანება, ანუ ყოველივე — ღმერთის ხორციელ-ქმნაში, მის განკაცებაში მდგომარეობს. სწორედ ამ ჭეშმარიტებაშია ეკლესიის ღმერთკაცობრივი სხეულის მთელი ცხოვრებაც და მოქმედებაც, და სწორედ ამ ჭეშმარიტების წყალობით ვიცით ჩვენ „ვითარძი—იგი ჯერ-არს სახლსა შინა ღმრთისასა ჰლვაი, რომელ არს ეკლესია ღმრთისა ცხოველისაი, სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაი“ (I ტიმოთ. 3, 15).

„ღმერთი — „სიტყუაი იგი ხორციელ იქმნა“ (იოანე 1, 14), — ამაში მდგომარეობს კიდეც მთელი საღმრთო განგებულება ჩვენი ხსნისაო, — ამბობს წმიდა იოანე ოქროპირი, ქრისტეს სახარების მქადაგებელი. — ჭეშმარიტად, რომ დიდი საიდუმლოა ეს... აბა, ჩავუკვირდეთ: პავლე მოციქული ჩვენი ხსნის განგებულებას ყველგან საიდუმლოს უწოდებს, და ეს — მართალიცაა, რადგან ის არავისათვის არ იყო ცნობილი ადამიანთაგან, და თვით ანგელოზთათვისაც არ ყოფილა ეს საიდუმლო განცხადებული. და ეს დიდი საიდუმლო აწ განცხადდება ეკლესიის მეშვეობით. ჭეშმარიტად უდიდესია ეს საიდუმლო, რამეთუ ღმერთი ადამიანად შეიქნა, განკაცდა, ადამიანი კი — ღმერთად იქცა, განღმრთოვდა. ამიტომ ჩვენც ამ საიდუმლოს ღირსად უნდა ვცხოვრობდეთ“[1].

უაღმატებულესი რამ, რისი მოცემაც კი შეეძლო ღმერთს ადამიანისათვის, მ ა ნ მოანიჭა ადამიანს — თვით გახდა ადამიანი და სამარადჟამოდ ღმერთკაცად დარჩა ხილულ სამყაროშიც და უხილავშიც. უკნინესმა ადამიანურმა არსებამ მთლიანად დაიტია ღმერთი — ყოვლადდაუტევნელი და ყოველივეთი უსაზღვრო არსება. ეს იმას მოწმობს, რომ ღმერთკაცი ყველაზე იდუმალი არსებაა ადამიანის გარემომცველ მთელს სამყაროში. წმიდა იოანე დამასკელი მართალია, როცა ამბობს: ღმერთკაცი „ერთადერთი სიახლეა ამა მზისქვეშეთში“-ო[2]. და შეგვიძლია დავსძინოთ — მარადის ახალიც, იმგვარი, არასდროს რომ არ ძველდება არც დროში და არც მარადიულობაში. მაგრამ ღმერთკაცში და ღმერთკაცთან ერთად ადამიანიც ახალ არსებად გადაიქცა ამა მზისქვეშეთში, ღვთაებრივად მნიშვნელოვან არსებად, ღვთაებრივად მარადიულ, ღვთაებრივად ღრმა არსებად. ღმერთის საიდუმლო ამით განუყრელად შეუერთდა ადამიანის საიდუმლოს და შეიქნა ერთიან და, ამავე დროს ორად საიდუმლოდა, უდიდეს საიდუმლოდ ცათა და ქვეყნისა. ასე იწყო არსებობა ეკლესიამ — ღმერთკაცის ეკლესიამ. მეორე ჰიპოსტასმა ყოვლადწმიდა სამებისა — სიტყუა-ღმერთის ჰიპოსტასმა, რომელიც ხორციელ-იქმნა, განკაცდა და ღმერთკაცი გახდა, არსებობა დაიწყო ცათა შინა და ქვეყანასა ზედა როგორც ღმერთკაცმა — ეკლესიამ. სიტყვა — ღმერთის განკაცებით

---

[1] წმიდა იოანე ოქროპირი. XI ჰომილია I ეპისტოლეზე ტიმოთეს მიმართ; ბერძნული პატროლოგია, ტ. 62, გვ. 553—556.

[2] წმიდა იოანე დამასკელი. მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა, წიგ. III, თ. I, ბერძნ. პატრ. ტ. 94, გვ. 984; B. ქართული თარგმ. კრებ. „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“, წგ. IV, გვ. 174, გამ. „ხელოვნება“, თბ., 1992 წ.

ადამიანი, როგორც განსაკუთრებული არსება, შექმნილი ღვთის ხატად და მსგავსად, განდიდებულ იქნა საღმრთო დიდებით, რამეთუ მის მთავრად, წინამძღვრად ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასი შეიქნა — მარადიულ თავად ეკლესიის ღმერთკაცობრივი სხეულისა. მამა-ღმერთმა სულიწმიდის მიერ ღმერთკაცი — უფალი ჩვენი იესო ქრისტე დაადგინა „მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიასა, რომელიგი არს გუამი (სხეული) მისი აღვსებაი იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო" (ეფეს. 1, 22—23)*.

და ჰყავს რა ღმერთკაცი თავის მეთაურად, ეკლესია იქცა ყველაზე სრულყოფილ, ყველაზე ღირსეულ არსებად ცათა და ქვეყანისა. ყველა თვისება ღმერთკაცისა ეკლესიის თვისებად იქცა: მისი ყველა საღმრთო ძალა, ყოვლის აღმადგინებელი და ყოვლის ფერმცვალებელი, ყოვლის განმაღრთოვებელი ძალა, ანუ ყველა ძალა ღმერთკაც იესო ქრისტესი და, მაშასადამე, წმიდა სამებისაც, სამარადჟამოდ შეიქნა ეკლესიის ძალებად. ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი, საკვირველი და გულისშემძვრელი ის არის, რომ თვით ჰიპოსტასი სიტყვა — ღმრთისა, თავისი მიუწვდომელი სიყვარულით ადამიანისადმი, გახდა საუკუნო ჰიპოსტასად ეკლესიისა. და ამის შედეგად არ არსებობს საღმრთო სიმდიდრეში, — საღმრთო დიდებასა და სიკეთეში არაფერი ისეთი, რაც ჩვენი მონაპოვარიც არ შექმნილიყოს სამარადჟამოდ — ყოველი ქრისტიანი ადამიანისა, ეკლესიის წევრისა.

მიუწვდომლობა თავისი ყოვლადძლიერობისა და კაცთმოყვარეობისა ღმერთმა განსაკუთრებულად წარმოაჩინა იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით, ზეცად ამაღლებით ყოველთა ქერუბიმთა, სერაბიმთა და ზეციურ სხვა ძალთა ზედა, და დაფუძნებით ეკლესიისა როგორც მისი სხეულისა, რომლის თავიც თვით არის — მკვდრეთით აღმდგარი და ზეცად ამაღლებული, მარადის ცხოველი ღმერთკაცი იესო ქრისტე. ეს უსაზღვროდ დიდი სასწაული ღმერთმა აღასრულა „ქრისტეს თანა, რამეთუ აღადგინა იგი მკვდრეთით და დასვა მარჯვენით მისა ზეცათა შინა, უზეშთაეს ყოველთა მთავრობათა და ხელმწიფებათა და ძალთა და უფლებათა და ყოვლისავე სახელისა, რომელ სახელ-დებულ არს არა ხოლო თუ ამას, არამედ მერმესაცა მას საუკუნესა, და ყოველივე დაამორჩილა ქვეშე ფერხთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიასა, რომელ — იგი არს გვამი მი-

* რუსულ ტექსტში წერია — «Бог Отец Духом Святым поставил Господа Иисуса Христа...»

სი, აღვსებაი იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფეს. 1, 20—23).

მკვდრეთით აღმდგარ და ზეცად ამაღლებულ ღმერთკაცში, ამგვარად, განხორციელდა წინადსაუკუნო განგებულება სამობით წმიდა ღმრთაებისა, „სათნოებისაებრ მისისა, რომელი — იგი წინაითვე განაჩინა მას შინა განგებულად აღვსებისა მის ჟამთაისა, თავ-ყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რაი—იგი არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა“ (ეფეს. 1, 9—10), — განხორციელდა ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში... ეკლესიით — თავისი ღმერთკაცობრივი სხეულით უფალმა ერთ, მარადის ცოცხალ ორგანიზმად გააერთიანა ყოველნი — ანგელოზებრი არსებანი, ადამიანები და თავისი ყველა სხვა ქმნილებაც. ასე შეიქნა ეკლესია „აღვსება იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფეს. 1, 23), ანუ სრულყოფილებად ღმერთკაც იესო ქრისტესი, ვ ი ნ ც ვითარცა ღმერთმა ყოველივე ყოვლითურთ აღავსო და მარადის აღავსებს, ხოლო ვითარცა ადამიანი და მღვდელმთავარი სამარადისო შესაძლებლობას გვანიჭებს ჩვენ, ადამიანებს, ამ სრულყოფილებით ვცხოვრობდეთ ეკლესიაში წმიდა საღმრთო საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით. ეს არის ჭეშმარიტი, საკვსება ყოველივე ღვთაებრივისა, მარადიულისა. ღვთისმსგავსისა, ღმრთივშექმნილისა, რამეთუ სწორედ ეკლესიაა სამკვიდრებელი და სისრულე საღმრთო ჭეშმარიტებისა, სამართლიანობისა, სიყვარულისა, ცხოვრებისა, მარადიულობისა; სწორედ ეკლესიაა სისრულე ყოველგვარი საღმრთო სრულყოფილებისა და ყოველგვარი ადამიანური სრულყოფილებისაც, რადგან ღმერთკაცი იესო ქრისტე არის ორადი ერთიანობის — ღვთაებრივისა და ადამიანურის სრულყოფილება. ეს — ღვთაებრივი ერთიანობაა, ეკლესიაა, რომელმაც უკვდავება და მარადიულობა შეიძინა იმით, რომ მისი თავი — წინამძღვარი არის მარადიული ღმერთკაცი — მეორე ჰიპოსტასი ყოვლადწმიდა სამებისა. ეკლესია ვითარცა სრულყოფილება ღმერთკაცობრივი სხეულისა, არსებობს და მოქმედებს ცხოველმყოფელი უკვდავი ძალებით განხორციელებული სიტყვა ღმერთისა. ამას ეკლესიის ყველა წევრი გრძნობს, ყველაზე მეტად კი — წმიდანები და ანგელოზები. იგია სამკვიდრებელი იესო ქრისტეს ღმერთკაცობრივი სრულყოფილებისა და „სასოებაი ჩინებისა (მოწოდებისა) მისისაი“ და „სიმდიდრე დიდებისა მკვიდრობისა მისისაი წმიდათა შორის“ (ეფეს. 1, 18). ეკლესია ოდენ მიზანი და აზრი კი არაა ყოველი ქმნილებისა — არსებათა და საგანთა, დაწყებული ანგელოზით და დამთავრებული ატომით, არამედ მათი ერთი-

ანი უზენაესი მიზანიცა და უზენაესი აზრიცაა. მასში ღმერთმა ნამდვილად „მაკურთხნა ჩვენ ყოვლითა კურთხევითა სულიერითა ცათა შინა ქრისტეს მიერ“ (ეფეს. 1, 3); მასში მოგვცა მ ა ნ ყველა საშუალება იმისთვის, რომ წმიდად, უბიწოდ ვიცხოვროთ ღმერთის წინაშე (ეფეს. 1, 4); მასში ღმერთი თავის ძეებად შეგვქნის ჩვენ თავისი მხოლოდშობილი ძის მიერ (ეფ. 1, 5—8); მასშივე განგვიცხადებს საუკუნო საიდუმლოსაც თავისი ნებისა (ეფეს. 1, 9); მასში შეაერთებს დროს მარადიულობასთან (იქვე, მუხლი 10); მასში აღასრულებს ი გ ი განღმრთოებას და განსულიერებას ყოველი ქმნილებისა (იქვე, მუხლ. 13—18). სწორედ ამიტომ ეკლესია უდიდესი და უწმიდესი, უალმატებულესი საიდუმლოა ღმერთისა. სხვა საღმრთო საიდუმლოებებთან შედარებით იგი ყოვლისმომცველი საიდუმლოა, ყველაზე დიდი საიდუმლო. მასში ყოველი საღმრთო საიდუმლო — კეთილის ხარება და ნეტარებაა, ყოველი მათგანი — სამოთხეა, რამეთუ თითოეული ჭეშმარიტად შეიცავს სრულყოფილებას უტკბილესი ქრისტეს, და სწორედ მისით და მის მიერ შეიქნება სამოთხე სამოთხედ, ნეტარება — ნეტარებად; და რამეთუ სწორედ მისით არის ღმერთიც — ღმერთი, ადამიანი კი — ადამიანი*; სწორედ მისით და მის მიერ შეიქნება ჭეშმარიტება — ჭეშმარიტებად და სამართლიანობა სამართლიანობად; სიყვარული — სიყვარულად და სიკეთე — სიკეთედ; სწორედ მისით და მის მიერ გადაიქცა ცხოვრება — ჭეშმარიტ ცხოვრებად და მარადიულობა — საღმრთო საუკუნოებად.

უმთავრესი ხარება, მომცველი უმაღლესი სიხარულისა ყველა არსებისათვის ცათა და ქვეყნისა, არის ის, რომ ყოველგან ღმერთკაცია ყველაფერი — ცათა შინაც და ქვეყანასა ზედაც, და რომ ეკლესიაც — მ ა ს შ ი ა და მ ი ს მიერაა. კვალად, მთავარი ხარება ესაა: ეკლესიის თავი, მისი წინამძღოლი არის ღმერთკაცი იესო ქრისტე. და მართლაც „იგი თავადი არს ყოველთა წინა, და ყოველივე მის მიერ დამტკიცნა“ (კოლას. 1, 17). ი გ ი ა ღმერთი, შემოქმედი, განმგებელი ყოველივესი, მაცხოვარი, მხსნელი, ცხოვრება — ცხოვრებათა, არსება — არსებათა და ყოვლად არსმყოფი ყოველთა არსებულთა ზედა: „ყოველივე მის მიერ და მისსა მიმართ დაებადა“ (კოლას. 1, 16). ი გ ი ა ძიზანი ყველასი და ყოველივესი, რაც კი არსებობს. მთელი **მისი**

---

* ... „რამეთუ სწორედ. მისით არის ღმერთი-ღმერთი, ადამიანი კი — ადამიანი...“ — გამოთქმის განმარტებისთვის დაურთეთ: — „რამეთუ ქმნილებათათვის სწორედ, მხოლოდ ქრისტეში განცხადდა სრული ღმერთი და სრული კაცი“. (შენიშ. შემდგენელთაგან).

ქმნილება შექმნილია როგორც ეკლესია და შეადგენს კიდეც ეკლესიას, და „იგი არს თავი გუამისა მის ეკლესიისაი“ (კოლას. 1, 18). ეს არის ღვთაებრივი ერთიანობა და მიზანშეწონილება ქმნილებისა — ლოგოსის მთავრობით. ცოდვამ ერთი ნაწილი მოსწყვიტა ამ ერთიანობას ქმნილებისა და უღმერთო უმიზნობაში ჩასძირა — სიკვდილში, ჯოჯოხეთში, სატანჯველში. ამიტომაც ამ ქმნილებისათვის, მის სახსნელად სიტყვა — ღმერთი გარდამოხდება ჩვენს ქვეყნიერ სამყაროში, ხორციელ-იქმნება, განკაცდება, და როგორც ღმერთკაცი აღასრულებს კაცობრიობის ხსნას ცოდვისაგან. მის ღმერთკაცობრივ განგებულებას ჩვენი ხსნისა თავისი მიზანი აქვს — ყოველივე განწმიდოს ცოდვისაგან, განაღმრთოვოს, განანათლოს, კვლავ დაუბრუნოს ღმერთკაცობრივ სხეულს ეკლესიისა და ასე აღადგინოს საყოველთაო ღვთაებრივი ერთიანობა და მიზანშეწონილება მთელი ქმნილებისა.

თავისი განკაცებითა და ეკლესიის დაფუძნებით საკუთარ თავზე, საკუთარი თავითა და საკუთარ თავში უფალმა იესო ქრისტემ განუზომლად განადიდა ადამიანი, — ისე, როგორც არასდროს. თავისი ღმერთკაცობრივი ღვაწლით მან არათუ იხსნა ადამიანი ცოდვისაგან, ეშმაკისა და სიკვდილისაგან, არამედ ყველა სხვაზე მაღლადაც დააყენა იგი (ანუ ანგელოზებზე მაღლა). ღმერთი არ შექნილა არც ღმერთ-ანგელოზად, არც ღმერთ-ქერუბიმად, არც ღმერთ-სერაბიმად, — იგი სწორედ ღმერთ-ადამიანად, ღმერთკაცად შეიქნა! და ამით მან ანგელოზებზე, მთავარანგელოზებსა და ყველა ზეციურ არსებაზე მაღლად დაადგინა ადამიანი. ამასთან, უფალმა სწორედ ადამიანს დაუმორჩილა ყოველივე ეკლესიის მეშვეობით (ეფეს. 1, 22). ეკლესიის მიერ და ეკლესიაში როგორც ღმერთკაცობრივ სხეულში ადამიანი ანგელოსთა და ქერუბიმთა უაღმატებულეს სიმაღლეებამდე აღვალს, და ამიტომაც მისი ზეაღსვლის გზა უფრო შორსმიმავალია, ვიდრე ქერუბიმთა, სერაბიმთა და ყველა სხვა ანგელოზთა. ამაში საიდუმლოთა საიდუმლოა დამარხული. დაე, დაიდუმოს ყოველმა ენამ, რადგან აქ ღმერთის გამოუთქმელი და მიუწვდომელი სიყვარული იწყება — უსაზღვრო კაცთმოყვარება ჭეშმარიტად ერთადერთი კაცთმოყვარისა — ჩვენი უფლის იესო ქრისტესი! აქ იწყება „ხილვანი და გამოცდილებანი უფლისანი“ (II კორინთ. 12, 1), რომელთა გამოხატვა არანაირ ენას არ ძალუძს — არც ადამიანურს და არ ანგელოსებრს! აქ ყოველივე აღმატებულია გონებაზე, სიტყვებზე, ბუნებაზე — აღმატებულია მთელს ქმნილებაზე. საიდუმლოს რაც შეეხება, — ეკლესიაში დამარ-

ხულია უდიდესი საიდუმლო ადამიანისა უდიდეს საიდუმლოში ღმერთკაცისა, რომელიც არის კიდეც ეკლესია — სხეულიც ეკლესიისა და თავიც მისი. და ყოველივე ამასთან ერთად, ეკლესიას შერთული ადამიანი, მისი სრულუფლებიანი წევრი, რომელიც ქრისტეს ეკლესიაში ღმერთკაც იესო ქრისტეს ნაწილია, წარმოადგენს აგრეთვე ნაწილს ყოვლადწმიდა სამებისა, რადგან განუყოფელი ნაწილია ქრისტეს ღმერთკაცობრივი სხეულისა — ეკლესიისა (ეფეს. 3, 6) — ღმერთის ამ ყველაზე ღირებული და წმიდა საიდუმლოსი, უაღმატებულესი, უდიდესი, საიდუმლოთა ზედა საიდუმლოსი! ეკლესია — ეს არის ღმერთკაცი იესო ქრისტე მარადის — ყოველთა საუკუნეთა შინა და სრული მარადიულობის მიმართ, ანუ საუკუნეებითა და მარადიულობითურთ. მაგრამ ადამიანთან ერთად და ადამიანის შემდეგ ეკლესიაში ღმერთის სხვა ქმნილებებიცაა — ყოველივე, რაც კი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა შეუქმნია სიტყვა — ღმერთს, — ისინიც ეკლესიაში არიან, ეკლესიას განეკუთვნებიან როგორც შემადგენელნი, ნაწილნი მისი სხეულისა, რომლის თავიც იესო ქრისტეა. მაგრამ თავი ხომ — სხეულისთვის არის თავი, და სხეულიც ხომ თავისთვის არის სხეული, ისინი განუყოფელნი არიან ერთმანეთისაგან, და ეკლესია არის სისრულე ერთისა და მეორისაც: „აღვსებაი იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფეს. 1, 23). როცა ადამიანი წმიდა ნათლისღების გზით ეკლესიის წევრი ხდება, იგი შეიქნება შემადგენელ ნაწილად ამ ყოვლისაღმავსებელი სისრულისა და თვითონაც ღვთაებრივ სრულყოფილებას იძენს (ეფ. 3, 19); და აი, ამგვარად აღწევს ყოველი მორწმუნე ქრისტიანი სრულყოფილებას თავისი ადამიანური არსებისა, პიროვნებისა. თავისი რწმენის ზომისაებრ და ეკლესიაში თავისი მადლმოსილი ცხოვრების კვალობაზე თითოეული ქრისტიანი აღწევს ამ სრულყოფილებას წმიდა საიდუმლოთა და სათნოებათა გზით. და ეს ქმედება ძალმოსილია ყველა დროის ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის. ეკლესიაში ყველა და ყველაფერი ქრისტეს ყოვლისაღმავსებელი სრულყოფილებითაა აღსავსე: ყოველივე — ჩვენშია, ადამიანებში; ყოველივე — ანგელოზებშია, ყოველივე — ვარსკვლავებშია, ყოველივე — ფრინველებშია, მცენარეებშია, მინერალებშია, — ყოველივე ჰგიებს მთელს ღმრთივდაბადებულ ქმნილებაში. რამეთუ საც ღმერთკაცობრივი ღმრთაებაა, იქვეა მისი ადამიანობაც, და იქვე არიან ყველა დროის და ყველა არსების ერთგულნი — ყველა ანგელოზი და ყველა ადამიანი. სწორედ ამგვარად აღგვავსებს ჩვენ, ეკლესიის წევრებს, „ყოველივე სავსებაი ღმრთეებისაი“ (კოლას. 2, 9):

ღმერთკაცობრივი სრულყოფილება — ეკლესიაა; ღმერთკაცი მისი თავია, ეკლესია — ღმერთკაცის სხეულია, და ჩვენც, ადამიანები, მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე მთლიანად მასზე — ღმერთკაცზე ვართ დამოკიდებულნი, მსგავსად იმისა, როგორც სხეულია დამოკიდებული თავზე. მ ი ს გ ა ნ, ეკლესიის უკვდავი თავისაგან, ეკლესიის მთელს სხეულზე გადმოიღვრება მადლმოსილი ცხოველმყოფელი ძალები, რომლებიც უკვდავებითა და მარადიულობით განგვაცხოველებენ ჩვენ. ეკლესიის ყველა ღმერთკაცობრივი გრძნობა მ ი ს გ ა ნ მომდინარეობს, მასშია და მისმიერია. ყველა წმიდა საიდუმლო და სათნოება ეკლესიისა, რომლებითაც ჩვენ განვიწმიდებით, ავღორძინდებით, გარდავიქნებით, განვნათლდებით და ღმერთკაცის ნაწილად შევიქნებით — ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, სრულყოფილი ღმერთისა, — ყველაფერი ეს მომდინარეობს მამისაგან — მის მიერ — და სულიწმიდაში, და ეს აღესრულება სიტყვა — ღმერთისა და ჩვენი ადამიანური ბუნების ჰიპოსტასური ერთიანობის წყალობით საკვირველ პიროვნებაში ღმერთკაც იესო ქრისტეში.

რისთვის ეცხადება ეკლესიაში ყველას და ყოველივეს ღმერთკაცი — უფალი იესო ქრისტე, მეორე პირი ყოვლადწმიდა სამებისა? რისთვის არის იგი თავი ეკლესიის სხეულისა, ეკლესია კი — მისი სხეული? — იმისთვის, რომ ჩვენ, ყოველნი წევრნი ქრისტეს ეკლესიისა „ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყვარულსა ზედა და აღვაორძინებდეთ მისა მიმართ, რომელ არს თავ მისა (ეკლესიისა) ქრისტე..., ვიდრემდე მივიწენეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 15; 13). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკლესია არის ღმერთკაცის სახელოსნო, რომელშიც ყოველი მორწმუნე ადამიანი წმიდა საიდუმლოთა და სათნოებათა· დახმარებით გარდაიქმნება ღმერთკაცად მადლის მიერ, ღმერთად მადლის მიერ. აქ ყოველივე აღესრულება ღმერთკაცის მიერ, ღმერთკაცში და ღმერთკაცისაებრ,— ყველა და ყველაფერი აქ ღმერთკაცობრივ კატეგორიაშია. თავისი ღმერთკაცობრივი პიროვნებით უფალი ჩვენი იესო ქრისტე ყოველივეს ყველგან მოიცავს, განმსჭვალავს და აღავსებს, — ყველგან, სადაც კი ადამიანები ცხოვრობენ; იგი ქვეყნის ყველაზე ბნელ ადგილებშიც კი აღწევს, შთახდება თვით ჯოჯოხეთშიც კი — სიკვდილის ამ სამეუფოში; აღვალს უმაღლეს ყოველთა ცათა, რათა თავით თვისით აღავსოს ყველა და ყველაფერი (იხ. ეფეს. 4, 8—10; რომ. 10, 6—7).

ეკლესიაში ყველას და ყველაფერს უფალი იესო ქრისტე წინა-

მძღვრობს და წარმართავს, და ასე იზრდება ეს ღმერთკაცობრივი სხეული. დიახ, ღმერთკაცი იზრდება! ეს სასწაული განუწყვეტლივ აღესრულება ჩვენთვის, ადამიანთათვის და ჩვენი ხსნისათვის, ჩვენი ცხოვნებისათვის. იზრდება სხეული ქრისტესი — ეკლესია, იზრდება ყოველ ახალ ადამიანთან ერთად, ვინც კი ეკლესიის წევრი ხდება — შემადგენელი ნაწილი ქრისტეს ღმერთკაცობრივი სხეულისა. და ეს ზრდა ყოველი ადამიანის პიროვნებისა ეკლესიაში მომდინარეობს ეკლესიის თავისაგან — იესო ქრისტესაგან, და ასევე მის წმიდანთაგანაც — ქრისტეს ღმერთშემოსილ თანამოსაგრეთაგან.

კაცთმოყვარე უფალმა მოციქულნიც, წინასწარმეტყველნიც, მახარებელნიც, მწყემსნიცა და მოძღვარნიც ერთი რამისთვის მოგვცა — „დასამტკიცებლად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებლად გუამისა (ანუ სხეულისა — ეკლესიისა) ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 11—12). და უფალ იესო ქრისტესაგან ვითარცა ეკლესიის თავისაგან „ყოველი გუამი შენაწევრებულ და შემტკიცებულ არს ყოვლითა შეახლებითა უხვეტისაითა შეწევნისაებრ საზომისა თვითოეულისა ასოისა“ (ეფეს. 4, 16), — და ამგვარად იზრდება ქრისტეს ეკლესია ყოველი მორწმუნის შეწევნის კვალობაზე.

რაში მდგომარეობს ჩვენი ქრისტიანული მოწოდების სასოება?— ჩვენს შეერთებაში უფალ იესო ქრისტესთან, მ ი ს მიერ კი — ყველა იმასთანაც, ვინც მასშია და მის მიერაა უფლის ღმერთკაცობრივ სხეულში — ეკლესიაში. ხოლო მ ი ს ი სხეული — „ერთ-ხორც“-ია (ეფ. 4,4) — სხეული ხორციელ-ქმნილი, განკაცებული სიტყვა — ღმერთისა, და სულიც ამ სხეულში — „ერთ სულ“-ია (იქვე), ანუ — სულიწმიდაა. ეს — ღმერთკაცობრივი ერთიანობაა; იგი ყოველგვარ სხვა ერთიანობაზე უფრო სრულყოფილი და აღსავსეა. ამქვეყნიურ სამყაროში არ არსებობს იმაზე უფრო ნამდვილი, უფრო ქმედითი, უფრო ყოვლისმომცველი და უკვდავი ერთიანობა, ვიდრე ეს ერთიანობაა ღმერთისა — ადამიანთან და მთელს ქმნილებასთან, ადამიანისა კი — ღმერთთან, მთელს ქმნილებასთან და სხვა ადამიანებთან. ხოლო საშუალებანი ამ ერთიანობის მოსაპოვებლად ყველასთვის მისაწვდომია, — ესაა წმიდა საღმრთო საიდუმლონი და სათნოებანი. უპირველესი საიდუმლოა ნათლისღება, ხოლო უპირველესი სათნოება — რწმენა. „ერთია სარწმუნოება“ (ეფეს. 4, 5), და არ არსებობს სხვა, თვინიერ მისა, „და ერთია უფალი“ (I კორ. 8, 16; 12, 5; იუდ. 3), და არ არის სხვა, თვინიერ მისა (ეფ. 4, 5): და „ერთია ნათლის-ღება“

(იქვე), და არ არსებობს სხვა, თვინიერ მისა. მხოლოდ ორგანულ ერთიანობაში ეკლესიის სხეულთან, მხოლოდ როგორც შემადგენელი ნაწილი ამ საკვირველი ორგანიზმისა — ადამიანი მიდის სრულ შეგრძნებამდე, შეგნებამდე და რწმენამდე იმისა, რომ, მართლაც, სინამდვილეში, არის მხოლოდ ერთი უფალი — ყოვლადწმიდა სამება, და მხოლოდ ერთი სარწმუნოება — რწმენა ყოვლადწმიდა სამებისა (ეფ. 3, 6; 4, 5; იუდ. 3); რომ არსებობს მხოლოდ ერთი ნათლისღება — ნათლობა სახელითა ყოვლადწმიდა სამებისა (მათე 28, 19) და მხოლოდ ერთი „ღმერთი და მამაი ყოველთა ზედა..., ყოველთა მიერ და ჩვენ ყოველთა შორის" (ეფ. 4, 6; შდრ. I კორ. 8, 6; 12, 6; რომ. 11, 36). როგორც წმ. იოანე დამასკელი წერს, „ერთია ყოველთა ზედა მ ა მ ა, რომლისაგან ყოველივეა მისი ს ი ტ ყ ვ ი ს მიერ და რომელიც ყოველივეშია სულიწმიდით"[1]. შეგრძნობა ამისა და ცხოვრება ამით ნიშნავს ყოველთვის ისე ვიქცეოდეთ, როგორც ეს ჩვენს ქრისტიანულ მოწოდებას — „ჩინებას" შეეფერება (ეფ. 4, 1; შდრ. რომ. 12, 2; კოლას. 3,8—17; I თეს. 2, 7). ერთის სიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ ნამდვილი ქრისტიანები ვიყოთ.

იესო ქრისტეს მიერ ყველა ადამიანს აქვს „მიახლებაი იგი ურთიერთარს ერთითა სულითა მამისა მიმართ", რადგან ყოველნი მხოლოდ ქრისტეს მიერ — ამ ერთადერთი გზით მიდიან მამასთან (ეფეს. 2, 18; იოანე 14, 6). თავისი საღმრთო განგებულებით ჩვენი ცხოვნებისა და მოღვაწეობით ჩვენი ხსნისა ღმერთკაცმა ყველას, მთელს კაცობრიობას გაუხსნა გზა ღმერთთან მისაახლებლად ყოვლადწმიდა სამებაში (შდრ. რომ. 5, 1—2; ეფეს. 3, 12; I პეტ. 3, 18). ღმერთკაცობრივი ხსნის განგებულებაში ყოველივე **მამისაგან** მომდინარეობს და აღესრულება **მის** მიერ **სულიწმიდაში**. ეს — უზენაესი კანონია ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში, ეკლესიის თითოეული წევრის ცხოვრებაში. რამეთუ სხვა განა რა არის ჩვენი ხსნა, თუ არ ღმერთკაცში ცხოვრება? ხოლო ღმერთკაცში ცხოვრება სხვა რა არის, თუ არ ცხოვრება ყოვლადწმიდა სამებაში? — რამეთუ ღმერთკაცი არის მეორე პირი ყოვლადწმიდა სამებისა, მარადის თანა-არსი, ერთ-არსი დაუსაბამო მამისა და ცხოველმყოფელი სულიწმიდისა (შდრ. იოანე 14, 6—9; 6, 23—

---

[1] წმიდა იოანე დამასკელი. განმარტებანი ეფესელთა მიმართ ეპისტოლეზე, თ. 4, ბერძნ. პატროლოგია, გვ. 840 D.

26; 15, 24—26; 16, 7. 13—15; 17, 10—26). ამრიგად, ჩვენი ხსნა არის ცხოვრება წმიდა სამებაში.

პირველად მხოლოდ უფალ იესო ქრისტეში გამოვლინდა ადამიანი სრულად — ერთიანი მთელი თავისი არსებით, — სამობით ერთიანი. და ამ ღვთისმსგავს სამობით ერთიანობაში შეიძინა მან თავისი არსების ერთიანობაც, უკვდავი მსგავსებაც ღმერთისა და საუკუნო ცხოვრებაც — და ამიტომ მარადიული ცხოვრებაც სწორედ სამობით ერთი ღმერთის შეცნობაში მდგომარეობს (შდრ. იოანე 17, 3). მივემსგავსოთ სამობით ერთიან უფალს, შევიძინოთ „ყოველივე სავსებით ღმრთეებისაი“ (კოლას. 2, 9—10; ეფეს. 3, 19), გავხდეთ სრულყოფილნი როგორც ღმერთი (მათე 5, 48), — აი, ესაა ჩვენი მოწოდება ამქვეყნად და სწორედ ამაშია სასოებაც ჩვენი დანიშნულებისა — „ჩინებისა მის წმიდისა“ (II ტიმ. 1, 9), „ჩინებისა მის ზეცათაისა“ (ებრ. 3, 1), „ჩინებისა ღმრთისა“ (ფილიპ. 3, 14; ეფეს. 1, 18; რომ. 11, 29). მხოლოდ ქრისტეს ეკლესიაში შევიგრძნობთ ჩვენ ცხოვლად და უკვდავად, რომ „ვიჩინენინთ ერთითა მით სასოებითა ჩინებისა ჩვენისაითა“ (ეფეს. 4, 4). ეს — ერთი მოწოდებაა ყველა ადამიანისათვის, და ერთივე სასოებაა ყველასთვის. ეს მოწოდება ცოცხლობს და უშუალოდ მოქმედებს ეკლესიის მიერ და ეკლესიაში „ყოველთა წმიდათა თანა“ წმიდა საღმრთო საიდუმლოთა და სათნოებათა აღსრულების გზით (ეფ. 3, 18—19). და მაშინ ჩვენ შევიგრძნობთ საკუთარ თავს „ერთ-ხორც“ და „ერთ სულ“, ერთ ეკლესიად „ყოველთა წმიდათა თანა“: ეგრეთცა ჩვენ ყოველნი ერთ გუამ ვარ ქრისტეს მიერ, ხოლო თითოეული ურთიერთარს ასოებ ვართ“ (რომ 12, 5); „რამეთუ ერთითა სულითა ჩვენ ყოველთა ერთისა მიმართ გუამისა (სხეულისა) ნათელ-ვიღეთ..., და ყოველთავე ერთისა მიმართ სულისა გვისვამს... და გუამი იგი არ არს ერთ ასო, არამედ მრავალ... მრავალ არს ასოები და ერთ—გუამი...“ (I კორინთ. 12, 13—14. 20). და თქვენცა (ანუ ჩვენ — ყოველნი ქრისტიანები) ხართ ხორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი“ (I კორ. 12, 27). სახარებისეული რწმენითა და სიყვარულით წარმართებულ სასოებას სრულ განხორციელებამდე და შეგნებამდე მივყავართ ჩვენი მოწოდებისა, ჩვენი მიზნებისა, ჩვენი დანიშნულებისა, — მივყავართ ღვთაებრივ სრულყოფილებამდე. ეს ყოველივე კი მხოლოდ ქრისტეს ღმერთკაცობრივ სხეულში შეიძლება აღსრულდეს — ანუ ეკლესიაში, მ ი ს ღმერთკაცობრივ ძალთა მეშვეობით, რომლებითაც სულდგმულობს და მოქმედებს კიდეც ყოველივეში ამ ერთიანი წმიდა სხეულის ყველა ნაწილი, ეკლესიის ყველა წევრი; ამ

სხეულში ერთი სულია დამკვიდრებული — სულიწმიდა, სული ჭეშმარიტებისა (იოანე 15, 26) — შემაკავშირებელი ქრისტიანთა ყველა სულისა ერთ სულად — ეკლესიის ზოგად, საერთო-საყოველთაო სულად, და შემაერთებელი ყველა გულისაც — ერთ საზოგადო გულად, კვალად — ყველა სამშვინველისაც — ერთ, საზოგადო სამშვინველად; იგია ერთობლივ ყველა ქრისტიანის შემაერთებელი ერთიან სარწმუნოებაში — საზოგადო, საყოველთაო — საერთო სარწმუნოებაში ქრისტეს ეკლესიისა. აი, სწორედ ესაა ის შეერთება და ერთიანობა სულისა, რომელშიც ყოველივე აღსრულდება მამისაგან ძის მიერ სულიწმიდაში, რამეთუ „იგივე თავადი ღმერთი არს, რომელი შეიქმს ყოველსა ყოველთა შორის“ (I კორინთ. 12, 6; შდრ. რომ. 11, 36).

„ეგრეთცა ჩვენ ყოველნი ერთ გუამ ვართ ქრისტეს მიერ“ (რომ. 12, 5), — დიახ, მხოლოდ ქრისტეს მიერ. წმიდა საიდუმლოთა მეშვეობით და კეთილმსახური ცხოვრებით საღმრთო სათნოებებში ჩვენ ვხვდებით ნაწილებად ქრისტეს ერთიანი სხეულისა, და ჩვენს შორის არ არის არავითარი ზღვარი, არავითარი შუალედი, — ყველანი სისხლხორცეულად შეერთებულვართ ერთმანეთთან და ერთი ცხოვრებით შეკავშირებულვართ მსგავსად ადამიანის სხეულისა. და შენი აზრიც, სანამ ქრისტეს მიერ იმყოფები ეკლესიაში და მ ი ს ერთიან სხეულს შეადგენ სხვა მორწმუნეებთან ერთად, არის ერთი სხეული ეკლესიის ყველა წმიდა წევრთა აზრებთან ერთად, — ანუ შეადგენს ასევე ერთ ხორცს, ერთ სხეულს. ეს შენს გრძნობებსაც შეეხება, სანამ ისინი ქრისტეს მიერნი არიან, შენს ნებასაც და მთლიანად შენს ცხოვრებასაც, სანამ ისინიც შენში ქრისტესმიერია. ჩვენს ადამიანურ სხეულში ასონი, ნაწილნი „მრავალ არიან“, სხეული კი — ერთია, „და ეგრეთვე ქრისტე, რამეთუ ერთითა სულითა ჩვენ ყოველთა ერთისა მიმართ გუამისა ნათელ ვიღეთ“ (I კორ. 12, 12—13), და ერთს სულს — სულიწმიდას — მივყავართ ერთი ჭეშმარიტებისაკენ. თავის ღმერთკაცობრივ სხეულში, რომლის მიერ და რომელშიც არსებობს ეკლესია, უფალმა იესო ქრისტემ ჯვარით გააერთიანა ყველა ადამიანი — ქრისტიანნი (ეფ. 2, 16). ამ მარადიულ ღმერთკაცობრივ სხეულში „განყოფანი მადლთანი არიან, და იგივე სული არს“ (I კორ. 12, 4), — დიახ, მადლნი სხვადასხვანაირია, სულიწმიდა კი მარად ერთი და იგივეა, მომქმედი ყველა წმიდა საბოძვარის საღმრთო მადლისა და ნიჭის მეშვეობით და დამკვიდრებული ეკლესიის ყველა წევრში, რომელთაც ერთ სულად და ერთ სხეულად შეაკავშირებს, — ერთი სულით და

ერთ სხეულში მონათლულთ (I კორინთ. 12, 13), ანუ ქრისტეს ეკლესიაში მონათლულთ.

„რა არის ეს ერთი სხეული — „ერთი გუამი“? — იკითხავს ღმრთივგანბრძნობილი იოანე ოქროპირი და თვითვე პასუხობს: „ეს ერთგული მორწმუნენი არიან მსოფლიოს ყველა კუთხეში, ამჟამად მცხოვრებნიც, უკვე შესვენებულნიც და ისინიც, ვისაც ჩვენს შემდგომ მოუწევს ცხოვრება; კვალად, ეს—ის ადამიანებიც არიან, რომელნიც ჯერ კიდევ ქრისტეს ამქვეყნად მოსვლამდე სათნო — ეყვნენ ღმერთს, — ყველა ისინი ერთ სხეულს შეადგენენ ქრისტეს ეკლესიისას. რატომ? — იმიტომ, რომ მათაც შეიცნეს ქრისტე. საიდან ჩანს ეს? — იქიდან, რომ საღმრთო წერილში ნათქვამია: „აბრაჰამს, მამასა თქვენსა, უხაროდა, რაითა იხილოს დღე ესე ჩემი; იხილა და განიხარა“ (იოანე 8, 56), და კიდევ: „უკუეთუ გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემი, რამეთუ მან ჩ ე მ თ ვ ი ს დაწერა“ (იოანე 5, 46). მართლაც, ისინი არც არაფერს დაწერდნენ, ჭეშმარიტებით რომ არ სცოდნოდათ — ვ ი ს ზ ე სწერენ და რას სწერენ, გარნა რაკიღა უწყოდნენ ი გ ი (ანუ ქრისტე), თაყვანსაც სცემდნენ მას ვითარცა ერთს ჭეშმარიტ ღმერთს. სწორედ ამ მიზეზით ისინი შეადგენენ კიდეც ერთიან სხეულს — ქრისტეს ეკლესიას. სხეული არ ცალკევდება სულისაგან — სხვაგვარად ვერც იარსებებდა სხეული. გარდა ამისა ერთმანეთთან შეერთებულ, მჭიდროდ დაკავშირებულ საგნებზეც ხომ, ჩვეულებრივ, ასე ვიტყვით ხოლმე: ერთი სხეულივითაა. ასევე ჩვენც, შეერთებულნი, და მჭიდროდ დაკავშირებულნი ერთმანეთთან, ერთ სხეულს შეეადგენთ (ეკლესიისა) ერთი თავის (ქრისტეს) წინამძღვრობით“[1].

ეკლესიაში ყველაფერი ღმერთკაცობრივია: ღმერთი ყოველთვის პირველ ადგილზეა, ადამიანი კი — მეორეზე, ღვთაებრივი ძალის შეწევნის გარეშე ქრისტიანს არ ძალუძს ღვთის სათნოდ იცხოვროს ამქვეყნად და მით უმეტეს არც ის შეუძლია, რომ სრულყოფილებას მიაღწიოს ღმერთკაცობრივ სახარებისეულ ცხოვრებაში. ყოველივე იმაში, რომ ღმერთკაცობრივია, ადამიანს ღვთის შეწევნა ესაჭიროება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც შევიმოსავთ „ძალს მაღლით“ (ლუკა 24, 49; საქმე მოციქ. 1, 8), — ანუ როცა აღვივსებით საღმრთო ძალით და მადლით სულიწმიდისა, ჩვენ, ქრისტიანებს, შეგვიძლია სახარებისეულად ვიცხოვროთ ამქვეყნად. ამიტომაც ცხად-ჰყო მაცხოვარმა

---

[1] წმიდა იოანე ოქროპირი. X საუბარი ეფესელთა მიმართ ეპისტოლეზე, I; ბერძნ. პატრ. ტ. 62, გვ. 75—76; XI საუბ. I, გვ. 79—80.

საიდუმლო სერობისას დიდი ღვთაებრივი ჭეშმარიტება სულიწმიდის შესახებ, რომელიც აღასრულებს და სრულ-ჰყოფს ადამიანთა ხსნას თავისი საღმრთო ქმედების ძალით ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში (შდრ. იოანე 14, 16—17; 26, 16, 7—13). უფალი იესო ქრისტე სულიწმიდის მიერ შესახლდება ხოლმე ღირსეულ ადამიანში, განაახლებს და განანათლებს მას, თავისი არსების ნაწილად შექნის (ეფეს. 3, 16—17). სულიწმიდის მადლის გარეშე ადამიანის სული იშლება და ურიცხვ სიმრავლედ გადაიქცევა არარსებული მოჩვენებითი ელემენტებისა, ადამიანის სიცოცხლე კი სიკვდილთა ურიცხვ სიმრავლეს შეადგენს. სულიწმიდა ქრისტეს გულისთვის და ქრისტეს მიერ მოვიდა ქვეყნად და იქცა სულად ეკლესიის ღმერთკაცობრივი სხეულისა; და ყოველთვისაც იგი მხოლოდ ქრისტეს მიერ და ქრისტეს გულისთვის მოემადლება ადამიანებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სულიწმიდა მხოლოდ ქრისტეს გულისთვის და ქრისტეს მიერ ცხოვრობს ადამიანებში. სადაც არ არის ღმერთკაცი იესო ქრისტე, იქ არც სულიწმიდაა, და იქ არც ღმერთი არ არის, რამეთუ არ არის სხვა ღმერთი, თვინიერ ყოვლადწმიდა სამებისა. როგორადაც ქრისტეა ეკლესიაში სულიწმიდის მიერ, ასევე ეკლესიაც სულიწმიდის მიერ ჰგიებს ქრისტეში. ქრისტე თავია ეკლესიისა, სულიწმიდა კი — სული ეკლესიისა.

თავისი საღმრთო ძალითა და მადლით სულიწმიდა ერთ სხეულად — ეკლესიად — აერთიანებს ყველა მის წევრს — ერთგულ მორწმუნეთ: „რამეთუ ერთითა სულითა ჩვენ ყოველთა ერთისა მიმართ გუამისა ნათელ-ვიღეთ..., და ყოველთავე ერთისა მიმართ სულისა გვისვამს“ (I კორინთ. 12, 13). სულიწმიდაა აღმაშენებელი და შემქმნელი ეკლესიისა. ღმრთივსულიერი გამონათქვამით წმიდა ბასილი დიდისა „სულიწმიდა აღაშენებს ეკლესიას“[1]. სულიწმიდით ჩავეშენებით, ჩავეზრდებით ჩვენ ეკლესიას, მთლიანად ვუერთდებით მას და შევიქნებით ნაწილნი მისი სხეულისა. სულიწმიდით თანა-ხორციელ—ვექმნებით ჩვენ ქრისტეს ღმერთკაცობრივ სხეულს — ეკლესიას, ვხვდებით თანამოზიარენი — „თანამყოფნი აღთქუმისა მის ღმრთისა ქრისტეს მიერ სახარებითა მით“ (ეფეს. 3, 6). სულიწმიდით არამხოლოდ იწყო არსებობა, არამედ ყოველთვისაც, აღეშენება და განივრცობა კიდეც ეკლესიის ღმერთკაცობრივი საზოგადო სხეული, ყოველთვის რომ ერთიანი და განუყოფელია. ეჭვი არ არის: მხოლოდ

---

[1] წმიდა ბასილი დიდი. განმარტებანი ესაიას წინასწარმეტყველებისა, თ. III, ბერძნ. პატრ. ტ. 30, გვ. 289 D.

სულიწმიდის მიერ, მისი ღვთაებრივი მადლის ძლით შევიქნებით ჩვენ ქრისტესნი წმიდა საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით. რამეთუ სადაც სულიწმიდაა, იქვეა ქრისტეც, და სადაც ქრისტეა, იქვეა სულიწმიდაც. ერთის სიტყვით, აქ არის სრული ყოვლადწმიდა სამება, ხოლო ყოველივე მისგანაა, მასშია და მის მიერაა. ამის დამადასტურებელია წმიდა საიდუმლო ნათლისღებისა: მასში ადამიანი წმიდა სამებას უერთდება, რათა ამქვეყნიური ცხოვრების განმავლობაში სახარებისეულ სათნოებათა მოღვაწეობით ნაწილი შეიქნას ღმრთაებისა — ყოვლადწმიდა სამებისა, ანუ რათა მამისაგან ცხოვრობდეს **ძის** მიერ **სულიწმიდაში**. როცა წმიდა ნათელს იღებს ეკლესიაში, ადამიანი უფალ იესო ქრისტეს შეიმოსავს ამ საღმრთო საიდუმლოში, მის მიერ კი — სრულს ყოვლადწმიდა სამებასაც.

და შეიქნება რა ნათლის-ღების საიდუმლოთი წევრად ქრისტეს ეკლესიისა, ამ მარადიული ღმერთკაცობრივი სხეულისა, ყოველი ქრისტიანი იწყებს აღვსებას ღმერთკაცობრივი წმიდა ძალებით, რომელნიც თანდათანობით განანათლებენ მას, გარდაქმნიან, შეაერთებენ ღმერთკაცთან მთელი მისი ქვეყნიური ცხოვრებისა და მარადიულობის განმავლობაში. ამ საღმრთო ძალთა ზემოქმედებით მის არსებაში განუწყვეტლივ წარმოიქმნება სულ ახალ-ახალი თვისებანი, — ქრისტესმიერი თვისებანი. ყოველივე ქრისტესი კი — მარადის ახალია, რადგან ყოველთვის უკვდავი და მარადიულია. ჩვენი საუკუნო სიხარულიც იმაში მდგომარეობს, რომ საკვირველი უფალი ჩვენი იესო ქრისტე მხოლოდ მხსნელი და მაცხოვარი კი არ არის ჩვენი, მხოლოდ ყოველისმპყრობელი და ყოვლისგანმგებელი კი არ არის, არამედ საუკუნო შემოქმედიცაა, და ამიტომ — საუკუნო სასწაულთმოქმედიც. ამის გამოც იტყვის იგი: აჰა, ესერა, ყოველსაე ახალ-ვჰყოფ" (გამოც. 21, 5). და მისი უპირველესი ახალი ქმნილება ეკლესიაში არის ჩვენი ნათლის-ღება, ჩვენი ხელახალი, მეორედ შობა, ჩვენი ახალი არსებობა" (შდრ. მათე 19, 28: იოანე 3, 3—6).

ყოველი ქრისტიანიც ხომ სწორედ იმის ძლით არის ქრისტიანი, რომ წმიდა ნათლის-ღების საიდუმლოთი იგი ცოცხალ, ორგანულ ნაწილად ქცეულა ეკლესიის ღმერთკაცობრივი სხეულისა, წევრად ეკლესიისა, ვისაც ყოველის მხრიდან ღმერთი მოიცავს და განმსჭვალავს — გარედანაც და შიგნიდანაც, და ვინც თანა — ხორციელ — ექმნება მას, მის ღვთაებრივ სრულყოფილებას. ნათლისღების საიდუმლოთი ჩვენ, ყოველნი ქრისტიანნი, იმად ვარ მოწოდებულნი,

რომ მარადის ვიცხოვროთ ხორციელ-ქმნილ, განკაცებულ ღმერთში, ღმერთით და ღმერთის მიერ — ჩვენი უფლით იესო ქრისტეთი, — ანუ იმად ვართ, მოწოდებულნი, რომ ეკლესიაში, ეკლესიით და ეკლესიის მიერ ვიცხოვროთ, რადგან სწორედ იგია მ ი ს ი სხეული, ხორცი და „აღვსებაი იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფეს. 1, 23). ქრისტიანი იმად არის მოწოდებული, რომ ადამიანის შესახებ ღვთის საუკუნო განგებულება განახორციელოს საკუთარ თავში (ეფეს. 1, 3—10). და ქრისტიანებიც ამას ქრისტეში ცხოვრებით ახორციელებენ, ანუ ეკლესიაში და ეკლესიით ცხოვრებით, რომელიც მ ი ს ი მარადიული ღმერთკაცობრივი სხეულია.

ეკლესიის ამ ღმერთკაცობრივ სხეულში სულსწმიდას, საღმრთო საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით, ღვთაებრივი მადლის ზემოქმედებით ერთობაში ჰყავს დაცულ-შენარჩუნებული ყველა მონათლული მორწმუნე, რომელნიც ეკლესიის სხეულს შეადგენენ. ყოველი ადამიანის უ'რთიერთობა და ერთიანობა ეკლესიაში მის სხვა წევრებთან სული წმიდის საშუალებით ხდება, რომელიც ყოველთვის „ერთ სულ“ არის (ეფეს. 4, 4). ყველა ძღვენი ეკლესიაში, ყველა მსახურება და ყველა მსახურიც ეკლესიისა — მოციქულებიც, წინასწარმეტყველებიც, მოძღვრებიც, ეპისკოპოსებიც, მღვდლებიც და ერისკაცნიც, — ყველანი ერთობლივ შეადგენენ ერთ სხეულს — ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულს. ყველანი ერთად — თითოეულისათვის არიან ყოვლად აუცილებელნი, თითოეული კი — ყველასთვისაა საჭირო. და ერთობლივ ყოველთ სულიწმიდა შეაკავშირებს საზოგადო-საყოველთაო სხეულად ღმერთკაცობრივი ეკლესიისა, — ეს აღმაშენებელი და მომწყობი ეკლესიისა. უზენაესი კანონიც ეკლესიის ღმერთკაცობრივი ერთობლიობისა ეს არის — თითოეული ყველას ემსახურება, ყველა კი — თითოეულს; ყოველი ნაწილი ღმერთკაცობრივი სხეულისა ცხოვრობს და ცხოვნდება ეკლესიის მთელი სხეულის შეწევნით, ეკლესიის ყველა წევრის მეშვეობით — ამქვეყნად მცხოვრებთაც და ზეციერთაც; და მთელი ცხოვრებაც ქრისტიანებისა სხვა არაფერია, თუ არ ცხოვრება „ყოველთა წმიდათა თანა“ სულიწმიდაში, სულიწმიდის მიერ და სულიწმიდით: ანუ განუწყვეტელი მსახურება ღვთისა და მოყვასის წინაშე, მუდმივი ღვთის მსახურება მთელის გულით, მთელის სულით, მთელის გონებითა და მთელის არსებით. სულიწმიდა იმგვარად მკვიდრობს ქრისტიანებში, რომ განუწყვეტლივ მონაწილეობს მთელს მათს ცხოვრებაში: ისინი მისით და მის მიერ და მასში შეიგრძნობენ საკუთარ თავსაც, შემოქმედ ღმერთსაც და მთელს

ქმნილ სამყაროსაც; ისინი მხოლოდ მ ი ს ი თ ფიქრობენ ღმერთზეც, სამყაროზეც და საკუთარ თავზეც; რასაც კი იქმან, ყოველივეს სულიწმიდით და სულიწმიდის მიერ იქმან: მ ი ს ი თ აღავლენენ ლოცვა-ვედრებას, მისით უყვართ, მისით სწამთ, მისით სასოებენ, მოქმედებენ, მისით ცხოვნდებიან, მისით განათლდებიან და მისითვე უერთდებიან ღმერთკაცს იესო ქრისტეს, და ამით ყოვლადწმიდა სამებას, და ამგვარად შეიქნებიან უკვდავი (შდრ. რომ. 8, 26—27). და მართლაც, მთელი ქმედება კაცთა მოდგმის ხსნისა სულიწმიდით და სულიწმიდის მიერ აღესრულება ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში. სწორედ სულიწმიდაა ის, ვინც იესოში — უფალს განგვიცხადებს; სწორედ იგია, ვინც რწმენის მეშვეობით შემოასახლებს და დაამკვიდრებს ჩვენს გულებში უფალ იესო ქრისტეს; სწორედ იგია, ვინც წმიდა საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით შეგვაერთებს ქრისტესთან; იგია, ვინც იმზომამდე მიაახლებს და შეაერთებს ჩვენს სულებს ქრისტესთან, რომ ყოველნი „ერთ სულ“ ვიქმნებით უფლისა (I კორ. 6, 17); იგია, ვინც თავისი ყოვლადბრძნული საღმრთო განგებულებით, ჩვენ — ყველას განგვიყოფს და მოგვანიჭებს საღმრთო საბოძვართ; იგია, ვინც განგვამტკიცებს და სრულგვყოფს ჩვენ თავის მადლთა შორის (I კორ. 12, 1—27); იგია, ვინც წმიდა საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით ქრისტესთან და წმიდა სამებასთან შეგვაერთებს ჩვენ, ისე, რომ ჩვენ მის განუყოფელ ნაწილად შევიქნებით. კვალად სულიწმიდაა ის, ვინც ყოველივეს განახორციელებს ადამიანურ სამყაროში, რაც კი ქრისტესია — ანუ მთელს საღმრთო მოღვაწეობას ჩვენი ხსნისა, რამეთუ სწორედ იგია განმაცხოველებელი სული ეკლესიის ღმერთკაცობრივი სხეულისა. აი, სწორედ ამაშია მიზეზი იმისა, რომ ეკლესიის ცხოვრებაც, როგორც არსებობა ქრისტეს ღმერთკაცობრივი სხეულისა, დაიწყო სულიწმიდის გარდამოსვლით და საუკუნოდ გრძელდება მისი მუნმყოფობით ეკლესიაში, რადგან ეკლესია მხოლოდ სულიწმიდით და სულიწმიდის მიერ არის ეკლესია — სხეული ქრისტესი. აქედანაა, აქედანვეა ღმერთკაცობრივი ხარებაც წმიდა და ღმერთშემოსილი მამის ირინეოს ლიონელისა, რომელიც ასე იტყვის: „სადაც ეკლესიაა, იქვეა ღმერთის სულიც, ხოლო სადაც ღმერთის სულია, იქვეა — ეკლესიაცა და ყოველგვარი საღმრთო მადლიც“[1].

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ

---

[1] წმიდა ირინეოს ლიონელი. მწვალებლობათა წინააღმდეგ, III, 24, ბერძნ. პატრ., ტ. 7, გვ. 966.

ყველაფერი, რაც კი ჩვენ — ქრისტიანებს — სულიწმიდისაგან გვაქვს მიღებული, და თვით სულიწმიდაც, ჩვენს მიერ შეძენილი — ყველაფერი ეს იესო ქრისტეს გულისთვის აღესრულება, ჩვენი საკვირველი, კაცთმოყვარე და უტკბილესი უფლისა და მაცხოვრის გულისათვის, რამეთუ „ქრისტე იესუისათვის სულიწმიდა გარდამოხდა ქვეყანად“ (დაუჯდომელი უტკბილესი უფლის იესო ქრისტესი; შდრ. იოანე 16, 7—17; 15, 26; 14, 26), და მისი გულისთვის განაგრძობს კიდეც ეკლესიაში მისმიერ ღმერთკაცობრივ საქმეს ხსნისა, რამეთუ უფალი ჩვენი იესო ქრისტე — ჭეშმარიტად ერთადერთი კაცთმოყვარე — რომ არ მოსულიყო ქვეყნად და არ აღესრულებინა უდიდესი კაცთმოყვარე ღვაწლი ჩვენი ხსნისა, მაშინ არც სულიწმიდა არ გარდამოხდებოდა ზეცით ამ ჩვენს ქვენა სამყაროში.

უფალ იესო ქრისტეს მოსვლით ამქვეყნად და მის მიერ ღმერთკაცობრივი მოღვაწეობით ჩვენი ხსნისა ყოველივე ღვთაებრივი — ადამიანურად იქცა, ამქვეყნიურად, ჩვენეულად, და სწორედ ესაა ჩვენი „სხეული“, ჩვენი ყველაზე უშუალო სინამდვილე. „სიტყუაი იგი ხორციელ იქმნა“ (იოანე 1, 14), ანუ განკაცდა, ადამიანი შეიქნა, და ამით ადამიანმა ყველაზე დიდი და ღირებული ძღვენი მიიღო, რისი მიღებაც კი მისთვის შესაძლებელი იყო ღვთისაგან სიყვარულისა. რა არის ეს ძღვენი ქრისტესი, რომელიც მან „მისცა... ნიჭად კაცთა“? (ეფეს. 4, 8) — ეს ყოველივე ის არის, რაც უფალმა იესო ქრისტემ როგორც ღმერთკაცმა კაცობრიობას მოუტანა და მისთვის აღასრულა. ხოლო მოიტანა მან „სავსებაი ღმრთეებისაი“: რათა ადამიანს წილი ჰქონოდა მასში როგორც მისეულ ძღვენში; რათა ეცხოვრათ მასში, მის მიერ; და აღვსებულიყვნენ „ყოვლითა სავსებითა ღმრთისაითა“ (ეფეს. 3, 19; 4, 8—10; 1, 23; კოლას. 2, 10). კვალად, სულიწმიდა იმისთვის მოანიჭა უფალმა ადამიანებს, რომ მისი მადლმოსილი ძალების შეწევნით დაემკვიდრებინათ მათ საკუთარ თავში მთელი სრულყოფილება ღმერთისა*. ეს კი უმთავრესი საბოძვარია ღმერთკაც იესო ქრისტესი ამა ქვეყანისადმი — უდიდესი ძღვენი — ეკლესია. სწორედ მასშია ყველა ნიჭი და ძალი ღმერთისა — ყოვლადწმიდა სამებისა. და მთელი ეს საბოძვარი ჩვენ მოგვეცა, ქრისტიან

---

* გაიხსენოთ მაცხოვრის სიტყვები: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“ (მათ. 5, 48). აქ ისევე როგორც ტექსტში მოყვანილ ციტატაში იგულისხმება მუდგმივი სულიერი სწრაფვა ღვთისაკენ, რომელიც ცხონების მოსურნე ადამიანმა ამქვეყნად უნდა დაიწყოს, ხოლო ცხონების შემთხვევაში იგი გაგრძელდება დაუსრულებლად. (შენიშ. შემდგენელთაგან).

ადამიანებს: „თითოეულსა კაცად-კაცადსა ჩვენსა მოცემულ არს მადლი საზომისაებრ ნიჭისა ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 7), და სწორედ ჩვენზეა დამოკიდებული — ჩვენს სიმტკიცეზე რწმენაში, ჩვენს სიყვარულზე, სიმდაბლეზე და ყველა სხვა, ღვთის სათნომყოფელ ღვაწლზე, თუ რამდენად გამოვიყენებთ და მივიღებთ ამ ძღვენს, ანუ ის, თუ რა ზომით ვიცხოვრებთ მასში. თავისი უსაზღვრო სიყვარულით ადამიანისადმი უფალმა იესო ქრისტემ ყველას ერთად და თითოეულსაც ცალ-ცალკე მთლიანად მოანიჭა საკუთარი თავი, სრულად მოსცა ყველა თავისი საღმრთო საბოძვარი, ყველა თავისი სრულყოფილება — ანუ მთელი თავისი ეკლესია, თავისი ღმერთკაცობრივი სხეული. და რა ზომითაც შედის ადამიანი ეკლესიაში, რა ზომითაც შეიქნება იგი ეკლესიის წევრად, რა ზომითაც უერთდება ქრისტეს და შეიქნება კიდეც ნაწილად მისი სხეულისა, — აი, სწორედ ამ ზომითვე ექნება მას წილი ყველა ქრისტესეულ ნიჭსა და საბოძვარში. უმთავრესი საბოძვარი კი ქრისტესი, ჩვენდა მოცემული, არის საუკუნო, ნეტარი ცხოვრება. ამიტომაც გვახარებს წმიდა მოციქული: „...ნიჭი ღმრთისაი — ცხორებაი საუკუნოი ქრისტე იესუის მიერ უფლისა ჩვენისა“ (რომ. 6, 23).

ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში სრული მადლია დამკვიდრებული ღმერთისა — ყოვლადწმიდა სამებისა, — ის მადლი, რომელიც გვიხსნის ჩვენ ცოდვისაგან, სიკვდილისა და ეშმაკისაგან; ის ძალა, რომელიც აღგვაღორძინებს, ხელახლა გვშობს, გარდაგვქმნის, ქრისტესთან და მ ი ს მიერ სამპიროვან ღმრთაებასთან მიგვაახლებს და შეგვაერთებს. მაგრამ თითოეულ ჩვენთაგანს ეს საღმრთო მადლი მოენიჭება „საზომისაებრ ნიჭისა ქრისტესისა“. ხოლო უფალი იესო ქრისტე ჩვენმიერ ღვაწლთა და შრომათა საზომისაებრ მოგვიწყავს თავის ღვთაებრივ მადლს (I კორინთ 3, 8): შრომათა საზომისაებრ სარწმუნოებაში, სიყვარულში, მოწყალებაში, ლოცვაში, მარხვაში, მღვიძარებაში, სიმშვიდეში, სინანულში, სიმდაბლეში, მოთმინებაში და ყველა სხვა სახარებისმიერ წმიდა საიდუმლოსა თუ სათნოებაში. ამასთანავე, წინასწარ ჭვრეტს რა თავისი საღმრთო ყოვლისმცნობელობით იმას, თუ ჩვენგან ვინ როგორ გამოიყენებს მ ი ს მ ი ე რ მადლს და ნიჭს, უფალი იესო ქრისტე თავის ყველა საბოძვარს გვინაწილებს „კაცად კაცადსა მსგავსად ძალისა თვისისა“ — ერთს ხუთ ტალანტს (ქანქარს) აძლევს, სხვას — ორს, მესამეს — ერთს... (შდრ. მათე 25, 15). მაგრამ სწორედ ჩვენს პირად შრომაზე და ქრისტესმიერ საბოძვართა ჩვენეულ გამრავლებაზეა დამოკიდებული ჩვენი ადგი-

ლიც ეკლესიაში — ქრისტეს ცხოველმყოფელ ღმერთკაცობრივ სხეულში, რომელიც ამა ქვეყნიდან ცამდეა განვრცილი, და უმაღლესადაც ყოველთა ცათა ზედა. რაც უფრო სრულყოფილად ცხოვრობს ადამიანი ქრისტეს მადლის სისავსით, მით უფრო მეტი აქვს მას მოცემული ქრისტესმიერნი ნიჭნი, და მით უფრო უხვად გადმოიღვრება მასზე, ვითარცა ქრისტეს მოზიარეზე, ქრისტეს ეკლესიის ძალნი — ქრისტეს სხეულის ძალნი, რომელნიც განგვწმედენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა, გვათავისუფლებენ ცოდვისაგან, სიკვდილისა და ეშმაკისაგან, განგვაღმრთოვებენ, მიგვაახლებენ და შეგვაერთებენ ღმერთკაცს — ჩვენს უფალს იესო ქრისტეს, ამასთან, ყოველი ჩვენგანი ყველანი და ყველასთვის ცხოვრობს, ყველა კი — თითოეულში და თითოეულისათვის, და ამიტომაც არის, რომ ჩვენ, ჭეშმარიტ მორწმუნეებს ქრისტესი, დიდად გვიხარის ხოლმე ჩვენს ძმათა წარმატებულობის გამო, მოყვასის ნიჭთა და მადლმოსილობის გამო, როცა ეს ყოველივე ჩვენს საკუთარ წარმატებულობას აღემატება.

სწორედ იმისთვის, რომ ეკლესიის მეშვეობით განეხორციელებინა სამპიროვანი ღმერთის საუკუნო განგებულება კაცთა მოდგმის ხსნის შესახებ იესო ქრისტემ ეკლესიას მოსცა მოციქულები, წინასწარმეტყველები, მახარებელნი, მწყემსნი (მღვდელმთავარნი) და მოძღვარნი (ეფეს. 4, 11). მ ა ნ ეკლესიას უბოძა ისინი, თვით ამ ადამიანებს კი ყველა აუცილებელი ღმერთკაცობრივნი მადლნი მოანიჭა, რომელთა შეწევნითაც ისინი იღვწიან კიდეც თავ-თავიანთ საქმეში და რომელთა ძლითაც არიან კიდეც ის, რაც არიან. ნიჭნი ღმერთისა განსხვავებულია, მაგრამ ერთია უფალი იესო ქრისტე — მათი მომნიჭებელი, და ერთია სულიწმიდა, რომელიც მათ შეაერთებს. მოციქულიც სწორედ იმის ძლით არის ღმერთის მოციქული, რომ ცხოვრობს, აზროვნებს და მოქმედებს ღმერთკაცობრივი მადლით მოციქულობისა, იმ მადლით, რომელიც უფალ იესო ქრისტესაგან მიუღია; წინასწარმეტყველიც სწორედ იმის ძლითაა ღმერთის წინასწარმეტყველი, რომ ცხოვრობს, აზროვნებს და მოქმედებს ღმერთკაცობრივი მადლით წინასწარმეტყველობისა, იმ მადლით, რომელიც ასევე უფალ იესო ქრისტესაგან აქვს მიღებული; იგივე ითქმის მახარებლებზე, მწყემსებზე და მოძღვრებზე ეკლესიისა, რომელნიც ცხოვრობენ, აზროვნებენ და მოქმედებენ ღმერთკაცობრივი კეთილუწყების მადლით, მწყემსობისა (მღვდელმთავრობისა) და მოძღვრობისა, რაც მათაც უფალ იესო ქრისტესაგან მიუღიათ (შდრ. I კორინთ. 12, 28. 4. 5. 6. 11; ეფეს. 2, 20). რამეთუ სწორედ იესო ქრისტეა მოციქულობაც—მო-

ციქულისა, წინასწარმეტყველობაც — წინასწარმეტყველისა, მღვდელ-მთავრობაც — მწყემსისა, სარწმუნოებაც მორწმუნეთა და სიყვარულიც მოყვარულთა. ვინ არის მოციქული? — რა თქმა უნდა, მსახური ეკლესიისა. და რა არის მისი მოწოდება — მოციქულობა? — რა თქმა უნდა, მსახურება ეკლესიისადმი. ასეა ეს დადგენილი საღმრთო განგებულებით, ანუ „მოღვაწებითა ღმრთისაითა“ ადამიანის ხსნისათვის (კოლას. 1, 25). ასეთია ღმერთკაცობრივი განგებულება კაცობრიობის ხსნისათვის, რადგან ხსნა ადამიანისა — ეკლესიის მსახურებაა. უფალ-იესო ქრისტეს სიყვარულით მორჩილება ყოველიეში — აი, უზენაესი კანონი, ღმერთკაცობრივი ცხოვრებისა ეკლესიაში.

რისთვის მოგვცა უფალმა ეკლესიის წმიდა მსახურები? — რა თქმა უნდა ღვთისმსახურების აღსასრულებლად — „აღსაშენებლად გუამისა (სხეულისა) ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 12). რაში მდგომარეობს ეს საქმე ღვთისმსახურებისა? — ქრისტეს სხეულის, ანუ თვით ეკლესიის აღშენებაში. ამ წმიდა საქმის წინამძღვრებად და აღმსრულებლებად უფალმა ყოვლად გამორჩეული წმიდა ადამიანები დაადგინა. ქრისტიან მორწმუნეთ კი რა ეკისრებათ? — ყველა ქრისტიანი იმისთვის არის მოწოდებული, რომ განწმიდოს საკუთარი არსება საღმრთო მადლთა შეწევნით, რომელნიც მას წმიდა საიდუმლოთა და საღმრთო სათნოებათა მოღვაწებით მოენიჭებათ.

როგორ ხორციელდება ეს „აღშენება ქრისტეს გუამისა“ — ანუ ქრისტეს ღმერთკაცობრივი სხეულისა, მისი ეკლესიისა? — რა თქმა უნდა, ეკლესიის წევრთა რაოდენობის გაზრდითაც: თითოეული ქრისტიანი წმიდა ნათლის-ღების საიდუმლოთი თითქოსდა ჩაეშენება ქრისტეს ეკლესიას, თანა-მოზიარე, „თანა-მყოფი“ შეიქნება მისი (ეფეს. 3, 6), ჩაეზრდება მის სხეულს და მისი ნაწილი შეიქნება. აი, ამგვარად ხდება ზრდა — განვრცობა, აღშენება ეკლესიისა. ღმრთივსულიერი მოციქული ამბობს, რომ ქრისტიანები „ლოდნი ცხოველნი“ არიან, რომელთაგანაც ხდება აღშენება სულიერი სახლისა — ეკლესიისა (I პეტრე 2, 5). მაგრამ არსებობს კიდევ სხვა გზაც ქრისტეს ეკლესიის აღსაშენებლად და გასაზრდელად: იგი მდგომარეობს სულიერ ზრდაში, სრულყოფასა და აღორძინებაში ეკლესიის წევრებისა, იმ მორწმუნეებისა, რომლებიც ჭეშმარიტად თანა-მოზიარენი და „თანა-მყოფნი“ შექმნილან ეკლესიის ღმერთკაცობრივი სხეულისა. ეკლესიის ზრდა-აღშენებისათვის მისი ყოველი წევრი იღვწის, როცა ქედს-იდებს რომელიმე სახარებისეულ ღვაწლს. რამეთუ ყოველი ასეთი ღვაწლი ჩაეშენება ეკლესიის შენობას, ჩაეზრდება მის სხეულს, და ასე განი-

ვრცობა ეკლესიის სხეული. კვალად, იზრდება იგი ჩვენი ლოცვა-ვედრებით, რწმენით, სიყვარულით, ჩვენი სიმდაბლით, სიმშვიდით, მოწყალებით, — ანუ იზრდება ყოველივე იმით, რაც სახარებისეულია ჩვენს ცხოვრებასა და საქმანობაში, რაც ქრისტეს მსგავსია, რაც ქრისტესკენ მიგვიზიდავს და რაც მ ა ს სათნო-ეყოფა ჩვენში. ჩვენ სულიერად ვიზრდებით ეკლესიის მიერ, და ამით თვით იგიც იზრდება. ამიტომაც „ყოველივე ესე აღსაშენებლად იქმნებოდენ" (I კორინთ. 14, 26), — აღსაშენებლად ქრისტეს ეკლესიისა, რამეთუ ჩვენ, ყოველნი ქრისტიანნი, მოწოდებულნი ვართ იმისთვის, რომ ვიყოთ „თანა-აღშენებულ... სამკვიდრებელად ღმრთისა სულისა" (ეფეს. 2, 22). ვინ არის ქრისტიანი? — ის, ვინც იწოდება, და არის კიდეც, ღმერთის მიერ აღშენებულად (I კორინთ. 3, 9). ყველა თავისი შადლმოსილი ნიჭით, ყოველი თავისი სათნოებით, ყველა თავისი ღვაწლით ქრისტიანი ადამიანი თვით „ეკლესიას აღაშენებს" (შდრ. I კორინთ. 14, 4. 5. 12. 26). ჩვენ ყოველნი ზეცისაკენ ვიზრდებით ეკლესიის მიერ, — თითოეული — ყველათი, და ყველა ერთობლივ — თითოეულით. ამიტომაც ყველას ერთობლივ და თითოეულს — ცალკე განეკუთვნება კიდეც ეს მცნება და ხარება: „სიორძილსა (ზრდასა) მას გვამისასა ჰყოფდით აღსაშენებლად თავისა თქვენისა სიყვარულით" (ეფეს. 4, 16). აღმაშენებელი ძალა კი — წმიდა საიდუმლონი და სათნოებანია, და უპირველესი მათ შორის არის სიყვარული: „სიყვარული აღაშენებს", ააღორძინებს, გაზრდის, განავრცობს და სიბრძნით დამოძღვრავს (I კორ. 8, 1).

რა მიზანი აქვს ქრისტეს სხეულის — ეკლესიის აღშენებას და ჩვენს სულიერ ზრდას მასში? — ის, რომ ყველამ მოვიპოვოთ: I. ღმერთის ძის რწმენისა და შემეცნების ერთიანობა; II. მ ი ს მ ი ე რ ი სრულყოფილი ადამიანობა III. საზომისაებრ ქრისტეს ასაკის ანუ სხეულის სისრულისა. განვიხილოთ თითოეული საფეხური ამ მიზნისა:

I. ქრისტეს რწმენისა და შეცნობის ერთიანობამდე მისვლა შესაძლებელია მხოლოდ ერთობით „ყოველთა წმიდათა თანა" (ეფეს. 3, 18), ანუ მხოლოდ ერთობლივი და თანაზიარი ცხოვრებით ყველა წმიდანთან ეკლესიისა, უმაღლესი წინამძღვრობით წმიდა მოციქულებისა, წინასწარმეტყველებისა, მახარებლებისა, მწყემსებისა, მამებისა და მოძღვრებისა. მათ კი წმიდად წინამძღვრობს სულიწმიდა — დაწყებული მეერგასის დღიდან — სულთმოფენობიდან — მარადის, ყოველ დროსა და საუკუნეში, თვით განკითხვის საშინელ დღემდე.

სწორედ სულიწმიდაა ეს „ერთი სული“ ეკლესიის სხეულისა (ეფეს. 4, 4). და სწორედ მასში და მის მიერ არსებობს ერთიანობაც ღმერთის ძის რწმენისა და შეცნობისა — ჩვენი უფლის იესო ქრისტესი. მთელი ჭეშმარიტებაც სამოციქულო მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ქრისტეს შემეცნებისა — ჭეშმარიტების ამ სულში მდგომარეობს, რომელიც მიგვაახლებს ამ ჭეშმარიტებას, ერთსა და ერთადერთს (შდრ. იოანე 16, 13; 15, 26; 14, 26). ჩვენს განცდას ქრისტესი იგი შეაერთებს საზოგადო გულთან ეკლესიისა, ხოლო ჩვენს შემეცნებას ქრისტესი — საზოგადო შემეცნებასთან მთელი ეკლესიისა. ეკლესიის სხეული ერთიანია და მას „ერთი გული და ერთი გონება“ აქვს (საქმე მოციქ. 4, 32). ამ ერთიან საზოგადო გულში ეკლესიისა და ამ ერთიან საზოგადო გონებაში ეკლესიისა ჩვენ შევდივართ სულიწმიდის მადლმოსილი ქმედებით, დავიმდაბლებთ რა საკუთარ გონებას ეკლესიის ზოგადი გონების წინაშე, და საკუთარ სულს — ეკლესიის სულის — სულიწმიდის წინაშე. და აი, ამგვარად ვზრდით საკუთარ თავში წარუვალ გრძნობას და შეგნებას იმისა, რომ ჩვენ ქრისტესადმი ერთი და იგივე რწმენა გვაქვს წმიდა მოციქულებთან, წინასწარმეტყველებთან, მამებთან და ყველა სხვა მართალ მორწმუნეებთან, — ერთი რწმენა და ერთი ცოდნა უფალ იესო ქრისტესი.

უფლის რწმენა და მცნობელობა არსებითი, განუყოფელი მთლიანობაა. ეს ორი რამ ერთიანია ეკლესიაში და სულიწმიდის მიერ მოემადლება მის წევრებს სიმდაბლით მოქმედებულ ღვაწლთათვის, პირველ ყოვლისა კი სწორედ ამ დიდი სათნოებისათვის — სიმდაბლისათვის. რწმენის ერთიანობა იმას ნიშნავს, რომ ერთიანი ვიყოთ სარწმუნოების დოგმატებში; იგივე ითქმის მცნობელობის ერთიანობასთან დაკავშირებითაც.

წმიდა იოანე ოქროპირი ასე იტყვის: „რწმენის ერთობა ის არის, როცა ჩვენ ყველას ერთი სარწმუნოება გვაქვს. რადგან სწორედ იმაშია ჩვენი რწმენის ერთიანობა, რომ ჩვენ ყოველნი — ერთ ვართ და ერთნაირად გვესმის ჩვენი ერთიანობა. და თუ ეს არ არის მიღწეული, შენ უნდა დაშვრებოდე ამის მისაღწევად, თუკი მომადლებული გაქვს სხვათა დამოძღვრის ნიჭი. და როცა ჩვენ ყველას ერთნაირად გვწამს, — სწორედ ეს არის რწმენის ერთიანობა“[1]. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი კი ასე წერს: „რწმენის ერთიანობა შემდეგს აღ-

---

[1] წმიდა იოანე ოქროპირი. XI ჰომილია ეპისტოლეზე ეფესელთა მიმართ, 3, ბერძნ. პატრ., ტ. 62, გვ. 83.

ნიშნავს: ჩვენ ყველას ერთი რწმენა გვაქვს, ისე, რომ არ განვსხვავდებით საღმრთო დოგმატების აღიარებაში და არც ცხოვრებაში გვაქვს ერთმანეთთან უთანხმოებანი თუ განხეთქილებანი. ღმერთის ძისადმი ჩვენი რწმენისა და შემეცნების ერთიანობა ჭეშმარიტია მაშინ, როცა ჩვენ მართლმადიდებლურად ვაღიარებთ საღმრთო დოგმატებს და სიყვარულით ვცხოვრობთ, რამეთუ ქრისტე — სიყვარულია"[2].

II. მიწევნა „მამაკაცად სრულად", მაგრამ რას წარმოადგენს ეს „მამაკაცად სრულად"? — სანამ ღმერთკაცი იესო ქრისტე არ იყო მოსული ამქვეყნად, ადამიანებმა არ იცოდნენ არც ის, თუ რას ნიშნავს სრულყოფილ ადამიანად ყოფნა, და არც ის, თუ ვინ იყო ასეთი სრულყოფილი ადამიანი. ადამიანის სულს არანაირად არ შესწევდა ძალა წარმოედგინა სრულყოფილი ადამიანის სახე — არც როგორც იდეა თუ ჩანაფიქრი, არც როგორც იდეალი, და მით უმეტეს, არც როგორც სინამდვილე. ამგვარ მცდელობებს მხოლოდ უგზო-უკვლოდ ხეტიალი მოსდევდა იდეალური ადამიანის ძიებაში ისეთი გამორჩეული მოაზროვნეებისაც კი კაცთა მოდგმისა, როგორნიც იყვნენ, მაგალითად, პლატონი, სოკრატე, ბუდა, კონფუცი, ლაო ძი და მრავალი სხვაც ქრისტიანობამდელ თუ არაქრისტიან მეძიებელთა შორის სრულყოფილი ადამიანისა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვეყანას ღმერთკაცი იესო ქრისტე მოევლინა, ადამიანებმა შეიტყვეს, თუ რა არის და **ვინ** არის სრულყოფილი ადამიანი, რამეთუ ცხადად ხედავდნენ **მას** სინამდვილეში, თავიანთ შორის, და ადამიანური ცნობიერებისათვის უკვე საეჭვო აღარ იყო და არც არის: იესო ქრისტეა სრულყოფილი ადამიანი! ჭეშმარიტებას რაც შეეხება, იგი მთლიანად ქრისტეშია, — იმდენად სრულად, რომ ქრისტეს გარეშე არც არსებობს ჭეშმარიტება — ი გ ი თვით არის ჭეშმარიტება. სამართლიანობის გამოც იგივე ითქმის — იგიც მთლიანად ქრისტეშია — იმდენად სრულად, რომ მ ი ს გარეშე არც არსებობს სამართლიანობა, რამეთუ ქრისტე თვით არის სამართლიანობა. და სხვა ყოველივეც: ყველაზე ამაღლებული, ყველაზე კარგი, ღვთაებრივი, სრულყოფილი, — ყველა ესეც სწორედ **მასში** განხორციელებულა სრულად. არ არსებობს ისეთი სიკეთე, მ ა ს შ ი რომ ვერ ჰპოვოს ადამიანმა, თუკი ნამდვილად ინდომებს ამას. ზუსტად ასევე, არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომლის პოვნაც შეეძლებოდა მ ა ს შ ი ქრისტესმბრძოლს. იესო ქრისტე

---

[2] ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი. შესავალი განმარტებებისა ეფესელთა მიმართ ეპისტოლეზე. ბერძნ. პატროლოგია, ტ. 124, გვ. 1088 A.

მთლიანად უცოდველია და აღსავსეა სრულყოფილებებით. ამიტომაც არის იგი სრულყოფილი ადამიანი. ხოლო თუკი ვინმე სხვაგვარად ფიქრობს, მაშინ სხვა ადამიანი მიჩვენოს, თუნდაც მიახლოებით მიმსგავსებული იესო ქრისტეს! მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთ ადამიანს ვერავინ გვიჩვენებს, რადგან კაცობრიობის ისტორიაში ასეთი ვინმე ცნობილი არ არის.

საკითხავი ის არის, თუ როგორ შეიძლება მიწევნა „მამაკაცად სრულად“, ანუ სრულყოფილი ადამიანობის მიღწევა ეს, თითქოსდა, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ცოდვას დაქვემდებარებული ადამიანისათვის. მაგრამ ერთადერთობა იესო ქრისტესი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მ ა ნ ყველას მოანიჭა შესაძლებლობა არათუ მიეახლნენ სრულყოფილ ადამიანობას, არამედ თანამოზიარენი შეიქნენ სრულყოფილი კაცობისა, მ ი ს ი ნაწილნი გახდნენ, თანამფლობელნი მისი სხეულისა, „ასონი... გუამისა მისისანი, ხორცთა მისთაგანნი და ძვალთა მისთაგანნი“ (ეფეს. 5, 30). როგორ აღესრულება ეს? — მხოლოდ ერთობლივ ყოველთა წმიდათა თანა — წმიდა სახარებისეული სათნოებების მოღვაწეობით და ეკლესიაში საზოგადო, ჯეროვანი ცხოვრებით. და ეკლესიაც არასდროს სხვა არაფერი ყოფილა, თუ არ სწორედ ეს სრულყოფილი ადამიანი მის მსვლელობაში ყველა საუკუნის განმავლობაში, მის მოღვაწეობაში კაცთა მოდგმის ხსნისა საბოლაო საღმრთო გეგმის განსახორციელებლად, ამიტომ სწორედ ამ სახით, ჩვენს შორის ყველაზე მცირესაც საძაგელსაც და ყველაზე უბადრუკსაც კი შესაძლებლობა ეძლევა სრულყოფილი ადამიანობას მიაღწიოს ყოველთა წმიდათა თანა — სახარებისეულ სათნოებათა მეშვეობით, რამეთუ ნათქვამია: სანამ ყველა არ მივიწევით მამაკაცად სრულადო. მაშასადამე, ეს შესაძლებლობა ამპარტავნებით აღვსილ მარტოსულ ადამიანს კი არ ეძლევა, არამედ — სიმდაბლით შემოსილ წევრს ეკლესიისა, თანამოზიარეს ქრისტეს სხეულისა, და ეძლევა ესევითარს მხოლოდ ყველა წმიდანთან ერთობაში. ქრისტეს — ამ სრულყოფილი ადამიანის — ღმერთკაცობრივ სხეულში ცხოვრებით ყოველთა წმიდათა თანა ყოველი ქრისტიანი თვითონაც სრულყოფილი ადამიანი ხდება. ამრიგად, სწორედ ეკლესიაშია ყველა მორწმუნისათვის მისაწვდომი და განხორციელებადი ღვთაებრივი იდეალი: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“-ო, — ანუ როგორც ღმერთია სრულყოფილიო (მათე 5, 48). წმიდა პავლე მოციქული საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ ეკლესიის მიზანია წარუდგინოს ღმერთს „ყოველი კაცი სრული ქრისტე იესუის

მიერ“ (კოლას. 1, 28). თავისი უსაზღვრო და მიუწვდომელი კაცთმოყვარეობით, ღმერთკაცმა იესო ქრისტემ საკუთარი თავი — „მამაკაცი სრული“ — ეკლესიად გარდაცუალა რათა ყოველნი წევრნი მისნი ასევე სრულყოფილ ადამიანებად აქციოს *. სწორედ ეს არის მიზეზი ღმერთკაცობრივი განგებულებისა ჩვენი ხსნისათვის; რათა „...აწვე იყოს ღმრთისა იგი კაცი სრულ, ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმტკიცებულ“ (II ტიმ. 3, 17).

III. რომ სრულყოფილ ადამიანობას მივაღწიოთ — „მივიწინეთ მამაკაცად სრულად“ საზომისაებრ ქრისტეს სრული ასაკისა, ანუ სხეულისა. რას ნიშნავს ეს? რა წარმოქმნის ამ საღმრთო სიმაღლეს — ქრისტეს სრულყოფილებას? რითია იგი აღსავსე, სრულყოფილი? — რა თქმა უნდა, ღვთაებრივი სრულყოფილებებით, „რამეთუ მ ა ს შინა დამკვიდრებულ არს ყოველივე სავსებაი ღმერთეებისაი ხორციელად“ (კოლას. 2, 9), ის სავსება, ის სრულყოფილება, რომელიც ქრისტეს ხორციელქმნისა და განკაცების შემდეგ, ადამიანური სხეულის საზღვრებშია დამკვიდრებული. ამით მაცხოვარი გვიჩვენებს, რომ ადამიანურ სხეულს ძალი შესწევს თავის თავში დაიტიოს ღმრთაების სრულყოფილება, რაშიც მდგომარეობს კიდეც მიზანი ჩვენი არსებობისა. ამიტომაც სრულყოფილი ადამიანობის მიღწევა ქრისტეს სრულ ასაკისაებრ იმას ნიშნავს, რომ სულიერად ავღორძინდეთ და შევეზარდოთ მ ი ს ღვთაებრივ სრულყოფილებებს მადლის მიერ, მთელი ჩვენი არსება მივაახლოთ მათ და ამ სრულყოფილებებში ვცხოვრობდეთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ ქრისტეს და მასში დამკვიდრებულ სისრულეს ღმრთაებისა განვიცდიდეთ როგორც ჩვენს საკუთარ სიცოცხლეს, როგორც საკუთარ სულს, ანუ როგორც ჩვენს უზენაეს ღირებულებას — საკუთარ მარადიულობას, უმაღლეს მიზანსა და აზრს, დანიშნულებას ჩვენი არსებისა; განვიცდიდეთ ქრისტეს როგორც ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და როგორც ერთადერთ ჭეშმარიტად სრულყოფილ ადამიანს, რომლის პიროვნულ არსებაში ყოველივე ადამიანური აყვანილია ადამიანური სრულყოფილების უმაღლეს მწვერვალამდე; განვიცდიდეთ მას როგორც სრულყოფილ ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, სიმართლეს, სამართ-

* აქ იგულისხმება არა თვით იესო ქრისტეს „გარდასცუალება“ (გარდასახვა), მისი პიროვნების ცვლილება, არამედ იესო ქრისტე თვისი მაცხოვნებელი ქმედებებით ეკლესიას, როგორც მსოფლიო მართლმადიდებელთა ერთობას აღჭურავს ყველა იმ ღმრთაებრივი საშუალებით, რაც საკმარისია ეკლესიის თითოეული წევრის ფერისცვალებისათვის. (შენიშვნ. შემდგენელთაგან).

ლიანობას, სიყვარულს, სიბრძნეს, — როგორც სრულყოფილ ღვთაებრივ ცხოვრებას, ანუ მარადიულ, საუკუნო და ნეტარ ცხოვრებას. ერთის სიტყვით, მიწევნა „მამაკაცად სრულად“ ქრისტეს სრულ ასაკისაებრ ნიშნავს განცდას ქრისტესი ვითარცა ერთადერთი ღმერთკაცისას, უზენაესი აზრისა და მიზნისა მთელის ქმნილებისათვის, ხილულისა თუ უხილავისათვის (შდრ. კოლას. 1, 16—17; ებრ. 2, 10).

როგორ შეიძლება ამის მიღწევა? — კვლავაც და მხოლოდ ერთობლივად ყოველთა წმიდათა თანა, რამეთუ ნათქვამია — სანამ მამაკაცად სრულად არ **მივიწევითო** ზომისაებრ ქრისტეს სრული ასაკისა, ანუ სხეულისა, — არამხოლოდ მე და შენ არამხოლოდ ჩვენ, დღეს მცხოვრები ქრისტიანები, არამედ ერთობლივ ყველანი და მხოლოდ წინამძღვრობით წმიდა მოციქულებისა, წინასწარმეტყველებისა, მახარებლებისა, მწყემსებისა (მღვდელმთავრებისა), მამებისა და მოძღვრებისა. მხოლოდ ღმერთის წმიდანებმა უწყიან ჭეშმარიტი გზა, მხოლოდ მათ აქვთ ყველა წმიდა საშუალება, და ყველას იმასაც აძლევენ — უწილადებენ ხოლმე მათ, ვისაც კი ნამდვილად სწყურია ღმერთი, რათა ისინიც მათსავით მიიწიონ მამაკაცად სრულად ქრისტეს სრული სხეულის ზომისაებრ. ხოლო ასაკი — სიმაღლე და სიღრმე ქრისტესი სხვა არაფერია, თუ არ მისი ღმერთკაცობრივი სხეული — ეკლესია. ამიტომ გაზრდაც ქრისტეს სრული სხეულის ზომისაებრ [იგივე — სრული ასაკისაებრ] სხვა არაფერია, თუ არ ის, რომ ეკლესიის ნამდვილ წევრებად შევიქნათ, რამეთუ სწორედ ეკლესიაა ქრისტეს სრულყოფილება — „აღვსებაი იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფეს. 1, 23). თუკი შენ ეკლესიის წევრი ხარ, ეს ნიშნავს იმას, რომ განუწყვეტლივ ერთობასა და თანაზიარობაში ხარ ყოველთა წმიდათა თანა, მათი მეშვეობით კი — საკვირველ და სასწაულმოქმედ უფალ იესო ქრისტესთან, ვ ი ს თ ა ნ ერთადაც შენ მთლიანად უსასრულო ხარ, მთლიანად — ნათელი, მთლიანად — მარადიული, მთლიანად სიყვარულით აღსავსე, მთლიანად ჭეშმარიტება, მთლიანად — სიმართლე, მთლიანად — ლოცვა-ვედრება. ყოველივე შენი — შემადგენელი ნაწილი ხდება ერთი გულისა, ერთი გონებისა, და ერთი სულისა, — ეკლესიისა, ერთობლივ ყველა წმიდანისა, და ამიტომ შენ უკვე საერთო-საზოგადო გონება, გული და სული შეგიძენია მათთან, საერთო-საზოგადო ჭეშმარიტება, საერთო-საზოგადო ცხოვრება. ყოველივე ეკლესიაში საერთო-საზოგადოა სულიწმიდის მიერ, და შენც მთლიანად საზოგადო ხარ, საერთო, კუთვნილება ეკლესიის ყველა წევრისა; საკუთარ თავს კი აღარ ეკუთვნი, არამედ

ყველასი ხარ, ყველაში ჰგიებ და ყველას მიერ არსებობ, და სხვა ყოველნიც შენნი არიან, შენში ჰგიებენ, შენს მიერ და შენით არსებობენ. და შენ უკვე აღარაფერი გაქვს საკუთრივ შენი, რადგან სინამდვილეში ყველაფერი, რაც შეგიძენია, მხოლოდ ყოველთა წმიდანთაგან, მათ მიერ და მათი მეშვეობით გაქვს მოპოვებული; ეკლესიაში შენ საკუთარ თავს კი არ ეკუთვნი არამედ — ქრისტეს, და მხოლოდ მის მიერ და მისი მეშვეობით ეკუთვნი საკუთარ თავს — ერთობლივ ყოველთა წმიდათა თანა და ისინიც გამოუთქმელი სიხარულით აღვსებულნი შეგქნიან შენ ქრისტეს კუთვნილებად და ქრისტეს სრულყოფილებებით აღგავსებენ, რამეთუ „ყოველივე მ ი ს მიერ და მისსა მიმართ დაებადა“ (კოლას 1, 16), ანუ ქრისტესაგან, ქრისტესთვის და ქრისტეშია ყოველივე. — ასე, რომ, მხოლოდ ეკლესიის მიერ და მხოლოდ ეკლესიაში აღწევენ ადამიანები თავიანთი არსების მიზანს, აზრსა და დანიშნულებას ცათა შინა და ქვეყანასა ზედა.

ამრიგად, როცა ქრისტეს სრულყოფილი სხეულისაებრ იზრდება და მიიწევა „მამაკაცად სრულად“, ყოველი ქრისტიანი თანდათანობით გამოდის თავისი სულიერი ყრმობისა და სულიერი უძლურებისაგან, ძალებს იკრებს, სულით, გონებითა და გულით აღორძინდება, მწიფდება. რაკი ქრისტეთი და ქრისტეს მიერ ცხოვრობს, იგი მთლიანად, სრულის არსებით შეეზიდება ქრისტეს, მის ჭეშმარიტებას, შეესისხლხორცება მას, და იგიც მარადიულ ჭეშმარიტებად გადაიქცევა მისი გონებისათვის, გულისა და სულისათვის. და ამგვარი ადამიანის შესახებ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მან იცის ჭეშმარიტება, შეუძენია იგი. ეს ცხოველმყოფელი ჭეშმარიტება თვით მასშია დამკვიდრებული და ყოველთვის უცთომელ საზომად ემსახურება მას სიკეთისა და ბოროტების გარჩევაში, ჭეშმარიტებისა და სიცრუის გამოცნობაში ამქვეყნად. ამიტომაც ასეთ ადამიანს ღვთაებრივი ჭეშმარიტებით შემოსილს, ვერანაირი ადამიანური მეცნიერება ვერ გაიტაცებს და ვერ აცთუნებს. იგი უმალვე შეიგრძნობს ხოლმე, თუ რა სულისკვეთებით არის გამსჭვალული ნებისმიერი ადამიანური მეცნიერება, რომელსაც მას ჭეშმარიტების სახით შესთავაზებენ. მან ხომ ადამიანიც კარგად იცის, — უწყის რა ძევს ულმერთო ადამიანში და როგორი მეცნიერების შექმნა და შემოთავაზება შეუძლია მას. რამეთუ განა სიცრუისაგან არ არის შეთითხნილი ნებისმიერი ადამიანური მეცნიერება, რომელთაც სულაც არ მივყავართ საღმრთო ჭეშმარიტებისაკენ და რომელიც სულაც არ არის დაფუძნებული ამ საღმრთო ჭეშმარიტებაზე?! მარქვით, განა რომელი ადამიანური მეცნიერება

განსაზღვრავს ჩვენი ცხოვრების ჭეშმარიტ აზრს და რომელი განაცხადებს საიდუმლოს სიკვდილისა? — არც ერთი და არანაირი ადამიანური მეცნიერება! რატომღაც ყოველი ასეთი მეცნიერება ყოველთვის სიცრუე და მოტყუებაა ხოლმე იმაშიც, რასაც ამტკიცებს, და იმითაც, რასაც სიკვდილისა და სიცოცხლის პრობლემის გადაწყვეტად გვთავაზობს. და, ამგვარადვე, არ არსებობს ისეთი ადამიანური მეცნიერება, რომელიც ცხადად აგვიხსნიდა პრობლემებს ადამიანისა და მსოფლიოსი, სულისა და სინდისისა, საიდუმლოს სიკეთისა და ბოროტებისა, ღმერთისა და ეშმაკისა. და თუკი ისინი ვერაფერს ღირებულს ვერ გვეუბნევიან ყოველივე ამის შესახებ, მაშინ განა თავგზას არ გვიბნევენ წვრილმანი, უაზრო მსჯელობით, და განა დამღუპველი აზრებით ლაბირინთში არ შევყავართ?.. ადამიანურ სამყაროში მხოლოდ ღმერთკაცმა იესო ქრისტემ გადაწყვიტა ყველა უმთავრესი საკითხი სიკვდილ-სიცოცხლისა, რაზეც მთლიანად არის დამოკიდებული ადამიანური არსების ბედი ცათა შინა თუ ქვეყანასა ზედა — იმქვეყნიურ მარადიულ ცხოვრებაში და ამქვეყნიურ-დროებითში. ვისაც ქრისტე შეუძენია თავის არსებაში მას სხვა ყოველივეც მოუპოვებია, აუცილებელ თავისი ადამიანური არსებობისათვის ამ წარმავალ ცხოვრებაშიც და მომავალ დაუსრულებელ ცხოვრებაშიც. ქრისტეთი და ქრისტეს მიერ მცხოვრებ ადამიანს ვერანაირი ადამიანური მეცნიერების ქარი ვერ შეარყევს, და მით უმეტეს — ვერც გაიტაცებს, ანუ ვერ მოსწყვეტს ქრისტეს. ქრისტეს რწმენის გარეშე და მისმიერ ჭეშმარიტებაში დამკვიდრების გარეშე ყოველი ადამიანი იმ ლერწამს ჰგავს, რომელიც სინამდვილეში არის „ღელვა-აღტეხილ და მიმოტაცებულ ყოველსა ქარსა მას მოძღურებისასა სივერაგითა კაცთაითა და ზაკულებითა მანქანებისა მის მიმართ საცთურებისა“ (ეფეს. 4, 14), ანუ მიმოტაცებული ცრუ ადამიანური სწავლებებისა და მეცნიერებებისაგან.

სწორედ ამიტომ ურჩევს ქრისტიანებს ღმრთივგანბრძნობილი მოციქული: „მოძღვრებასა მრავალ-სახესა და უცხოსა ნუ შეიწყნარებთ, რამეთუ კეთილად საღმრთო მადლითა განმტკიცებულ ხართ გულითა...“ (ებრ. 13, 9). უფრო ხშირად — უნებლიეთ, და არა წინასწარი განზრახვით, ადამიანები თავს მოატყუებინებენ ხოლმე სხვადასხვა მეცნიერებებსა და მოძღვრებებს. ამით ისინი ცოდვას ატყუებინებენ თავს, რომელიც ჩვეულებათა მეშვეობით მათი აზროვნების ძალად ქცეულა და იმზომამდე შეუღწევია ადამიანურ ბუნებაში, რომ ადამიანებს აღარც კი ძალუძთ შეიგრძნონ და დაინახონ თავიანთი სავალა-

ლო მდგომარეობა, — ის, თუ როგორ წარმართავს მათ ცოდვა მათს მსჯელობებსა თუ მეცნიერებებში, და როგორ წინამძღვრობს მათ ცოდვის მეშვეობით მამა სიცრუისა და ცოდვისა — ეშმაკი, რამეთუ მას ურიცხვი ხელოვნური ხერხით შეაქვს საცთურნი ყველა ადამიანურ მეცნიერებაში, სიცრუით აღავსებს მათ, და ისინიც მხოლოდ განაგრძობენ ადამიანს ღმერთისაგან. უფრო მეტიც, ცოდვის ლოგიკის მეშვეობით ეშმაკს მთელი თავის მზაკვარებაც შეაქვს ამ ადამიანურ მეცნიერებებში, რითაც მოხერხებულად აცთუნებს ადამიანებს, რომელნიც თავს იტყუებენ და უარყოფენ ღმერთს, აღარ სურთ **იგი**, ვერ ხედავენ **მას** და ზურგსაც აქცევენ, ისე, რომ თავსაც შემოიზღუდავენ **მისგან**. ცოდვა, უპირველესად, ფსიქიკური, გონიერი, ინტელექტუალური ძალაა, უფაქიზესი სითხის მსგავსად რომ იღვრება ადამიანის შემეცნებაში, სინდისში, და მისი არსების შემადგენელ ნაწილადაც შეიქნება, თუკი ის საბოლოოდ შეაქცევს ზურგს ღმერთს. ამიტომაც თავიანთი შემეცნებისა თუ სინდისის ყველა საცთურნი და სიცრუენი ასეთ ადამიანებს მხოლოდ თავის საკუთრებად, მთლიანად თავის აღმონაცენად მიაჩნიათ — ადამიანურ, ბუნებრივ მოვლენად, და რაკი ასეთ — თავმოტყუებისა და სიტლანქის — მდგომარეობაში არიან, არ ძალუძთ შეგრძნობა, დანახვა იმისა, რომ ეს ყოველივე ეშმაკის — ბოროტი სულის მზაკვრული მანქანებია, რომლითაც იგი ადამიანის მთელს არსებას — მის გონებას, შემეცნებასა და სინდისს სიკვდილის წყვდიადში შთააგდებს, საიდანაც არავის შეუძლია დანახვა ღმერთისა და ღვთაებრივისა; ამიტომაც ასეთი ადამიანები უარყოფენ ხოლმე თავიანთ შემოქმედ ღმერთს, ჰგმობენ, ზურგს აქცევენ. და სწორეთ ამგვარ ნაყოფთა მიხედვით ადამიანური მეცნიერებებისა ჩვენ ნათლად ძალგვიძს დანახვა იმისა, რომ ისინი, ჭეშმარიტად, „მოძღურებასა ეშმაკთასა“ წარმოადგენენ, და არა ნაწილს ჭეშმარიტებისა (I ტიმ. 4, 1).

დემონური მზაკვარების ამ გონებისმიერი სითხით არიან, ნებსით თუ უნებლიეთ, განმსჭვალულნი ყველანაირი ფილოსოფოსები „მოძღურებისა მისებრ კაცთაისა, წესთა მათებრ ამის სოფლისაითა“ (კოლას. 2, 8). და ამიტომაც მათ არ უწყიან საღმრთო ჭეშმარიტება სამყაროსა და ადამიანზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ღმერთსა და ეშმაკზე, და დახვეწილი დემონური სიცრუეებით აცთუნებენ ადამიანებს. ხოლო ქრისტესმიერ ფილოსოფიაში — ამ ერთადერთ ჭეშმარიტ მეცნიერებაში — შთადებულია მთელი ჭეშმარიტება ცათა და ქვეყანისა უნაკლულოდ (შდრ. კოლას. 2, 9). ადამიანური ფილოსოფიები კი

„მოძღურებისა მისებრ კაცთაისა“ „ტკბილად მეტყველებითა მით და კურთხევითა აცთუნნიან გულნი უმანკოთანი“ (რომ. 16, 18). ეჭვი არ არის, რომ ყველა ეს ფილოსოფია, საბოლოო ჯამში, შეიძლება განვყოთ ცრუ-ფილოსოფიებად „მოძღურებისა მისებრ კაცთაისა“ და ჭეშმარიტ ფილოსოფიად — სიბრძნის-მეტყველებად ღმერთკაცის იესო ქრისტესი. პირველთა შემთხვევაში მთავარი შემეცნებითი და შემოქმედებითი ფაქტორი — ეშმაკია, მეორეში კი — თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე — ღმერთკაცი და ჭეშმარიტი სიბრძნე.

უმთავრესი პრინციპი ქრისტესმიერი ფილოსოფიისა ეს არის: ყოველივეს საზომი, ყველა არსებისა და საგნის ერთადერთი ჭეშმარიტი საწყაო არის თვით ღმერთკაცი იესო ქრისტე. ხოლო „ჰუმანისტური“ ფილოსოფიების ძირითადი პრინციპი „მოძღურებსა მისებრ კაცთაისა“ არის ის, რომ ერთადერთ საზომად და საწყაოდ ყოველივეში, ყველა არსებისა და საგნისათვის, აღიარებულია თვით ადამიანი! ღმერთკაცი იესო ქრისტეს სიბრძნისმეტყველებაში მთლიანად არის დამკვიდრებული სრული ღვთაებრივი საუკუნო ჭეშმარიტება, რამეთუ სწორედ ქრისტეშია „მთელი სავსება ღმრთაებისა ხორციელად დამკვიდრებული, და ეს საღმრთო სრულყოფილება მ ი ს მიერ ამქვეყნადაც მუნმყოფია; ამ სრულყოფილების მეშვეობით ქვეყნად თვით მარადიული ჭეშმარიტებაა დამკვიდრებული, ხორციელად გიებული ღმერთკაც იესო ქრისტეში, რომელიც ერთდროულად სრულყოფილი ღმერთიც არის და სრულყოფილი ადამიანიც, ყოველივეთი რეალური ღმერთიცა და ყოველივეთი რეალური ადამიანიც*. ხოლო ფილოსოფიებში „მოძღურებისა მისებრ კაცთაისა“, ამა თუ იმ სახით, დამკვიდრებულია სიცრუე, ყოველი ნერვითა და ძაფით დაკავშირებული მამასთან სიცრუისა — ეშმაკთან, და ასეთ „სიბრძნეს“, ასეთ „მეცნიერებას“ ყოველთვის სწორედ ეშმაკთან მიჰყავს ადამიანი. ამიტომაც ჯერ-არს მარადის, დღითაც და ღამითაც მტკიცედ დავიცავდეთ თავს უმთავრეს ორგანოში ადამიანური არსებისა — ჩვენს სინდისში, რათა სიცრუემ არ შემოაღწიოს ჩვენს არსებაში, ჩემში, და არ შთააგდოს ჩემი გონება, ჩემი აზრი სიცრუის სამეუფოში — ჯოჯოხეთში. ამის გამოა, რომ საღმრთო წერილში ჩვენთვის ეს მცნებაა მოცემული — „გონებითა სრულ იყვენით!“-ო (I კორინთ. 14, 20); ამით აღორძინდით, გაიზარდეთ და სრულყოფილი ადამიანები გახდით საზომისაებრ ქრისტეს სრულყოფილი სხეულისა, რამეთუ მხოლოდ ამ შემთხვევაში

* რათქმა უნდა ავტორი გულისხმობს — „თვინიერ ცოდვისა“.

შეუერთდება თქვენი გონება მადლითა და სიწმიდით ქრისტეს გონებას — საზოგადო — საერთო, წმიდა და ღმერთკაცობრივ გონებას ეკლესიისა, და მაშინ თქვენც, ქრისტეთი შემოსილ წმიდა პავლე მოციქულთან ერთად, შეგეძლებათ თქვათ — „...ჩვენ გონებაი ქრისტესი გვაქვს“-ო (I კორინთ. 2, 16). და მაშინ ვერანაირი ქარი ადამიანური მეცნიერებებისა, ვერანაირი მოტყუებითა და მანქანებით ეშმაკისა ვერ შესძლებს ჩვენს შერყევას და ცთუნებას, რადგან მთელი ჩვენი არსებით დამკვიდრებულნი ვიქნებით მარადიულ საღმრთო ჭეშმარიტებაში, რომელიც არის თვით უფალი ჩვენი და ღმერთი იესო ქრისტე (იოანე 16, 6; 8, 32. 36; 1, 17).

ჭეშმარიტება რომ რაღაც სხვა რაიმე ან ვინმე ყოფილიყო და არა თვით ღმერთკაცი იესო ქრისტე, მაშინ იგი შეფარდებითი, პირობითი რამ იქნებოდა, მსგავსი გარკვეული ცნებისა, იდეისა თუ თეორიისა, მსგავსი გარკვეული სქემისა, მეცნიერებისა, ფილოსოფიისა, კულტურისა, ადამიანისა, კაცობრიობისა, მსოფლიოსი, სამყაროსი, სამყაროთა, და კიდევ რაღაცისა თუ ვიღაცისა, ანდა ყველაფერ ამისა ერთად აღებულისა. მაგრამ ჩვენ ზუსტად ვიცით რომ ჭეშმარიტება — პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა.ა, და ეს პიროვნება არის ღმერთკაცის — იესო ქრისტესი, იმიტომ, რომ ი გ ი — ეს ჭეშმარიტება სრულყოფილიცაა, წარუვალიც და მარადიულიც. რამეთუ სწორედ უფალ იესო ქრისტეშია ჭეშმარიტება და ცხოვრება თანა-არსი — მარადიული ჭეშმარიტება და მარადიული ცხოვრება (შდრ. იოანე 14, 6; 1, 4, 17). და ვისაც ნამდვილად სწამს უფალი იესო ქრისტე, ის განუწყვეტლივ საზრდოობს და აღორძინდება მ ი ს ი ჭეშმარიტებით — ღვთაებრივ დაუსრულებლობაში ამ ჭეშმარიტებისა, — იზრდება მთელი თავისი არსებით, მთელის გონებით, გულითა და სულით. ამასთანავე, ქრისტიანი განუწყვეტლივ ცხოვრობს კიდეც ქრისტეს ჭეშმარიტებით, რადგან სწორედ ეს ჭეშმარიტება შეადგენს მის ცხოვრებას ქრისტეში და ქრისტეს მიერ. და თუკი ჩვენ ჭეშმარიტი ცხოვრებით ვიცხოვრებთ ქრისტეში, მაშინ „ჭეშმარიტ ვიყვნეთ“ (ეფეს. 4, 15), რადგან ქრისტესმიერი ცხოვრება — ჭეშმარიტებაა, მუდმივი ყოფნაა სრულის არსებით ამ ჭეშმარიტებაში — ქრისტეს მარადიულ ჭეშმარიტებაში. ამგვარი მუდმივი ყოფნა ქრისტიანისა ქრისტეს ჭეშმარიტებაში აღმოცენდება მისი სიყვარულისაგან უფალ იყო ქრისტესადმი; იგი ამ სიყვარულში იზრდება, აღორძინდება, ვითარდება და განუწყვეტლივ, სამარადჟამოდ არსებობს, რამეთუ „სიყვარული არასადა დავარდების“ (კორინთ. 13, 8), ანუ სიყვარული არასდროს არ წყდება, არ მთავრდება:

ეს სიყვარული უფალ იესო ქრისტესადმი აიძულებს ადამიანს მ ი ს-
მ ი ე რ ჭეშმარიტებაში ცხოვრობდეს, და გამუდმებით დაიცავს მას ამ
ჭეშმარიტებაში. სწორედ იგი განაპირობებს ქრისტიანის მუდმივ
ზრდას ქრისტეში, ოდეს იგი ზეაღვალს და ყველა მის ღმერთკაცო-
ბრივ სიმაღლეთ, სიღრმეთ, სიგრძეს და „სივრცეთ" აღწევს (შდრ.
ეფეს. 3, 17—19). მაგრამ ადამიანი არასდროს არ იზრდება მარტოდ,
განცალკევებულად, არამედ — ყოველთვის — მხოლოდ ყოველთა
წმიდათა თანა, ანუ მხოლოდ ეკლესიაში და ეკლესიით იზრდება, რად-
გან სხვაგვარად მას არ ძალუძს ზრდა-აღორძინება „მისა მიმართ...,
რომელ არს თავ მისა (ეკლესიისა) — ქრისტე" (ეფეს. 4, 15). და რო-
ცა ჩვენ ქრისტეს ჭეშმარიტებაში ვჰგიებთ, მაშინ ყოველთა თანა
წმიდათა ვართ, ერთობაში მათთან, და როცა გვიყვარს, ასევე მათთან
ერთად გვიყვარს, რადგან ქრისტეს ეკლესიაში ყოველივე საერთო-
საზოგადოა, ყველაფერი „ყოველთა წმიდათა თანა" აღესრულება და
ყველაფერი და ყველა ერთ სულიერ სხეულს შეადგენს, რომელშიც
ყველანი თანაზიარად ცხოვრობენ ერთი ცხოვრებით, ერთი სულით,
ერთი ჭეშმარიტებით. და მხოლოდ ამით, რომ „ჭეშმარიტ ვიყვნეთ
სიყვარულსა ზედა" (ეფეს. 4, 15), ყოველთა წმიდათა თანა, ჩვენ
შეგვეძლება „აღვაორძინებდეთ მ ი ს ა მიმართ ყოველსა, რომელ
არს თავ მისა ქრისტე" (იქვე). ამ განუზომელ ძალებს, აუცილებელთ
ყოველი ქრისტიანის ზრდა-აღორძინებისათვის ეკლესიის ღმერთკა-
ცობრივ სხეულში, ეკლესია უშუალოდ თავისი **თავისაგან**, თავისი
წინამძღვრისაგან უფალ იესო ქრისტესაგან იღებს, რამეთუ მხოლოდ
მას, ღმერთსა და უფალს აქვს ეს განუზომელი ძალები და მხოლოდ
იგი განაგებს მათ თავისი საღმრთო სიბრძნითა და განგებულებით.

ეკლესიაში, ანუ ღმერთკაც იესო ქრისტეში სრულყოფილად გან-
ხორციელდა ჭეშმარიტება, რომელიც ადამიანის ბუნებას შეუერთდა
და განკაცდა, ანუ სრულყოფილი ადამიანი გახდა, — აი, ეს არის
სწორედ ქრისტე. ხოლო თუკი სრულყოფილი ჭეშმარიტება შეიძლე-
ბოდა ხორციელ-ქმნილიყო ადამიანში, და აკი ხორციელ იქმნა კი-
დეც! — ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი შექმნილია ჭეშმარიტების სხე-
ულად ყოფნისათვის, იმისთვის, რომ განხორციელება იყოს ჭეშმარი-
ტებისა!* აი, ეს არის უმთავრესი აღთქმა ღმერთკაცისა — იყოს თა-
ვისი ქმნილებისათვის — ადამიანისათვის ჭეშმარიტების განხორციე-

---

* ანუ გახდეს ტაძარი ჭეშმარიტებისა, იგივე ტაძარი ღვთისა. (შენიშვნ. შემდ-
გენელთაგან).

ლება, ღმერთის ხორციელ-ქმნა. სწორედ ამისთვის შეიქნა ღმერთი ადამიანად და სამარადჟამოდ დარჩა ადამიანად და ღმერთად — ღმერთკაცად ერთსა და იმავ დროს.

ამიტომაც ცხოვრება ქრისტეში და ქრისტეს მიერ, ანუ მის ღმერთ-კაცობრივ სხეულში — ეკლესიაში, არის კიდევ ცხოვრება სრულყოფილ ჭეშმარიტებაში.

უფალი იესო ქრისტე სრულად — მთელი თავისი ღმრთაებითა და ადამიანობით არის დამკვიდრებული ეკლესიაში: მთელის არსებით ლოგოსისა და ღმერთკაცობისა, მთელი თავისი ჭეშმარიტებით, სიმართლით, სიყვარულით, მთელი თავისი მარადიულობით, — ერთის სიტყვით მთელის სრულყოფილებით თავისი ღმრთაებისა და თავისი ადამიანობისა. და მხოლოდ მისგან — ღმერკაცისაგან ვიცით ყველამ — ადამიანებმაც ამქვეყნად და ანგელოზებმაც ცათა შინა, რომ იესო ქრისტე — ჭეშმარიტებაა. ჭეშმარიტებას გვიღაღადებს სახარება: „ჭეშმარიტებაი ქრისტე იესუის მიერ იქმნა“ (იოანე 1, 17).

ჭეშმარიტება არის ღმერთკაცი — უფალი იესო ქრისტე, მეორე ჰიპოსტასი ყოვლადწმიდა სამებისა; ჭეშმარიტება არის პიროვნება ღმერთკაცისა. და ამ ჩვენს ქვეყნიურ სამყაროში ჭეშმარიტება სხვა არაფერია, თუ არ ყოვლადსრულყოფილი და ერთიანი პიროვნება იესო ქრისტესი. ჭეშმარიტება არც ცნებაა, არც აზრი, არც რაღაც ლოგიკური სქემა, არც რაღაც ლოგიკური ძალა არც ადამიანი, არც ანგელოზი, არც ადამიანობა და არც რაიმე ადამიანური, არც რაიმე ქმნილი და არც სხვა რამ მთელს ხილულსა თუ უხილავ სამყაროში, და არც ეს სამყარო თუ სამყარონი მთლიანად, — არა, ჭეშმარიტება არ არის ყოველივე ეს. იგი პიროვნებაა ღმერთკაცის იესო ქრისტესი, და ი გ ი შეუდარებლად და განუზომლად აღემატება ყოველივე ამას; იგი არის მარადიული და ყოვლადსრულყოფილი ჭეშმარიტება ამ ჩვენს ქვეყნიურ სამყაროში, და ამის მეშვეობით სხვა — ხილულ თუ უხილავ სამყაროებშიც; იგი მეორე პირია ყოვლადწმიდა სამებისა — ისტორიული პიროვნება ღმერთკაცისა — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამიტომაც თვითვე ასე ახარებს საკუთარი თავის გამო კაცთა მოდგმას: „მე ვარ ჭეშმარიტებაი!“ (იოანე 14, 6; ეფეს. 4, 24. 21). და რადგანაც ი გ ი ა ჭეშმარიტება, ამიტომ მისი სხეულიც — ეკლესიაც — ჭეშმარიტებაა, რომლის თავი და წინამძღვარი თვით არის. აქედან არის საკვირველი და სასიხარულო ქადაგებაც მოციქულისა: „... ჯერ-არს სახლსა შინა ღმრთისასა სლვაი, რომელ არს ეკლესიაი ღმრთისა ცხოველისაი, სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაი“ (I ტიმ.

3, 15). ამიტომაც არანაირ მტერსა და მოწინააღმდეგეს არ ძალუძს მოსპოს, მოაოხროს, მოაუძლუროს თუ მოაკვდინოს არც ეკლესია — სხეული ქრისტესი, და არც მისი ჭეშმარიტება, — არანაირ მტერს, საიდანაც არ უნდა გამოჩნდეს იგი, ამა ქვეყნიდან თუ ჯოჯოხეთიდან. ღმერთკაცის მიერ ეკლესია ყოვლადსრულყოფილია, ყოვლადსახიერია, ყოვლადძლიერია, ყოვლადღვთაებრივია, ყოვლისმძლეველია, უკვდავია. და რაკი ასეთია, ყოველ ადამიანსაც თავის მიერ მიმადლებული ძალით ი გ ი ათავისუფლებს ცოდვისაგან, სიკვდილისაგან და ეშმაკისაგან — ამ სამერთიანი სიცრუისაგან, და სწორედ ეკლესიის მიერ მიენიჭება თითოეულ ადამიანს — ცალკე, და ყველას — ერთად შარადიული ცხოვრება და უკვდავება. და ყველაფერ ამას ეკლესია იმით განახორციელებს, რომ განანათლებს ადამიანებს, ქრისტეს ნაწილებად შექმნის მათ საღმრთო საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით. აქედანვეა მხსნელი ხარებაც მაცხოვრის ღვთაებრივი ბაგეებისაგან: „და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ“ (8, 32), — ცოდვისაგან, სიკვდილისა და ეშმაკისაგან; ანუ ჭეშმარიტებამ განგამართლოს თქვენ და მოგანიჭოთ ყოველი ზეციური ნეტარებაო. მართლიად უთქვამს ნეტარ თეოფილაქტეს: „ჭეშმარიტება არის ეკლესიის შინაარსი, და ყოველივეც, რაც მასში აღესრულება, ჭეშმარიტი და მხსნელია“[1].

ამრიგად, ხორციელქმნილი და განკაცებული ღმერთი — ღმერთკაცი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის ჭეშმარიტება ყველა ახალღთქმისეული ჭეშმარიტებისა; მასთან ერთად დგას, ანდა ეცემა მთელი ეკლესიაც, მთელი ღმერთკაცობრივი მოღვაწება კაცთა მოდგმის ხსნისა. ეს არის სულისკვეთება ახალი აღთქმის ყველა საეკლესიო ქმედებისა, ღვაწლის, სათნოებისა, მოვლენისა; ეს არის ყველა ხარებაზე აღმატებული ხარება, იგია საზომიც ყველა საწყაოსი, და თუ უფრო ზუსტად ვიტყვით — ეს არის ყველაზე დიდი, ყოვლისმომცველი ხარება. მისი მეშვეობით, ვითარცა ყველაზე საიმედო საწყაოთი, ყველა და ყოველივე განიზომება ეკლესიაში, ქრისტიანობაში ღმერთია არსი ამ ჭეშმარიტებისა: ვინც არ აღიარებს ხორციელ-ქმნილ, განკაცებულ ღმერთს — ღმერთკაც იესო ქრისტეს, იგი არ არის ეკლესიის წევრი, და არც ქრისტიანია, უფრო მეტიც — ამგვარი ადამიანი ქრისტესმბრძოლი და მოწინააღმდეგეა, — ანტიქრისტეა!

---

[1] ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი. შესავალი განმარტებებისა პირველ ეპისტოლეზე ტიმოთესადმი, თ. 3, მუხლი 15; ბერძნ. პატრ., ტ. 125, გვ. 43 C

სწორედ ამ უცთომელ საზომზე გვახარებს უფლის წმიდა მოციქული და ღვთისმხილველი იოანე ღვთისმეტყველი: „საყვარელნო! ნუ ყოველი სული გრწამნ, არამედ გამოიცადენით სულნი, უკუეთუ ღმრთისაგან იყვნენ, რამეთუ მრავალნი ცრუ-წინასწარმეტყველნი განსრულ არიან სოფლად. ამით უწყოდეთ სული ღმრთისაი (და სული შეცთომილებისაი): ყოველმან სულმან, რომელმან აღიაროს იესუ ქრისტე ხორციელად მოსრული, იგი ღმრთისაგან არს; და ყოველმან სულმან, რომელმან არა აღიაროს იესუ ქრისტე ხორციელად მოსრული, იგი არა ღმრთისაგან არს, და ესე არს ანტიქრისტესთვის, რომელ გასმიეს, ვითარმედ მოსლვად არს და აწცა სოფელსა შინა არს“ (I იოანე 4, 1—3; შდრ. იქვე, 2, 22; I კორინთ. 12, 3).

ამრიგად, ჩვენს დედამიწაზე მოსახლე ყველა სული (ადამიანი) ორად განიყოფა — ღმერთისმიერ და ეშმაკისმიერ სულებზე, იმათზე, ვინც ღმერთისაგანაა, და იმათზე, ვინც ეშმაკისაგანაა. ღმრთისაგანნი ისინი არიან, რომლებიც ირწმუნებენ და აღიარებენ, რომ იესო ქრისტე არის ხორციელ-ქმნილი, განკაცებული ღმერთი — სიტყვა — ღმერთი, ჩვენი უფალი და მაცხოვარი; ხოლო ეშმაკისაგანნი ისინი არიან, რომლებიც არ ირწმუნებენ და არ აღიარებენ ამას. აი, ამაში მდგომარეობს ეშმაკის მთელი სიბრძნე და ფილოსოფია: არ აღიაროს ღმერთი ამქვეყნად, არ აღიაროს მ ი ს ი მუნმყოფობა მსოფლიოში და მისი გავლენა კაცობრიობაზე; არ აღიაროს ღმერთის ხორციელ-ქმნა და განკაცება ამქვეყნად; არ აღიაროს ეს და ამის სანაცვლოდ სულ იმას ამტკიცებდეს, სულ იმას ქადაგებდეს, რომ, თითქოსდა, არ არის ღმერთი სამყაროში — არსად, არც ადამიანში და არც ღმერთკაცში; ამტკიცებდეს, უაზრობააო რწმენა იმისა, რომ ღმერთი ადამიანად განხორციელდა და რომ მ ა ს ძალუძს იცხოვროს ვითარცა ადამიანმა; რომ ადამიანი მთლიანად უღმერთოდაა, ღმერთის გარეშეა, იმგვარი არსებაა, რომელშიც არ არის არც ღმერთი და არც არაფერი ღმერთისაგან, არაფერი ღვთაებრივი და რომელშიც არ არის არაფერი უკვდავი და მარადიული; რომ ადამიანი მთლიანად წარმავალი და მოკვდავი არსებაა, სხეულითაც და სულითაც, და რომ ყველა ნიშანთვისებით იგი ცხოველთა სამყაროს განეკუთვნება და თითქმის არც განსხვავდება პირუტყვებისაგან, და ამიტომაცო, ცხოვრობს კიდეც ბუნების კანონების მიხედვით, ისევე, როგორც სხვა ცხოველები, რომლებიც მისთვის ერთადერთნი კანონიერი წინაპარნი და ბუნებისმიერნი თანამოძმენი არიანო...

აი, ესეც — ფილოსოფია ანტიქრისტესი, რომელიც ყველანაირად

ცდილობს ქრისტე შეცვალოს, მისი ადგილი დაიკავოს სამყაროშიც და ადამიანის ცხოვრებაშიც. ყველა დროსა და საუკუნეში ჩნდებოდა ხოლმე ურიცხვი სიმრავლე ანტიქრისტეს წინამორბედებისა, მაღიარებლებისა და თაყვანისმცემლებისა, — ღვთის მოწინააღმდეგეებისა ბოროტი სულის მსახურთა.

„ყოველმან სულმანო“, — ამბობს მახარებელი, და ეს სული შეიძლება იყოს პიროვნებაც, მოძღვრებაც, იდეაც, აზრიც, ადამიანიც, ანგელოზიცა და ეშმაკიც. და ყველა ესენი, — ანუ ყოველგვარი მოძღვრება, პიროვნება თუ აზრი, — თუკი ის არ აღიარებს, რომ იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი და მხსნელი, ხორციელ-ქმნილი და განკაცებული მეორე ჰიპოსტასი ყოვლადწმიდა სამებისა, ღმერთკაცი, — თუკი არ აღიარებს ამას ყოველივეს, მაშინ ის ანქიტრისტესაგან ყოფილა აღმოცენებული და ანტიქრისტესია. და ამგვარი პიროვნებანი, მოძღვრებანი და ა. შ. მრავლად არსებულან ამქვეყნად თვით იესო ქრისტე მოვლინებიდანვე. ამიტომაც ამბობს წმიდა მოციქული და დაფარულთმხილველი იოანე ღვთისმეტყველი ანტიქრისტეზე — „და აწცა სოფელსა შინა არს“-ო. ამა თუ იმ სახით, ყველა შემთხვევაში სწორედ ანტიქრისტეა შემქმნელი ყოველგვარი ანტიქრისტიანული სწავლებისა, ანუ ქრისტეს მოწინააღმდეგე ბოროტი სული — ეშმაკი. საერთოდ, ყველა სწავლა-მოძღვრება შეიძლება ორგვარად დაიყოს: ქრისტესმიერ სწავლებად და ანტიქრისტესმიერ სწავლებად. საბოლოოდ, ყოველმა ადამიანმა ამქვეყნად ერთადერთი უმთავრესი პრობლემა უნდა გადაწყვიტოს: ქრისტეს გაჰყვეს თუ მისი მოწინააღმდეგე იყოს. და ყოველი ადამიანიც, სულ ერთია სურს ეს თუ არა, გაცნობიერებული აქვს ეს, თუ ქვეცნობიერად მოქმედებს,, მხოლოდ ამას იქმს — ამ უმთავრეს პრობლემას გადასწყვეტს თავისი ცხოვრებისა; ასე, რომ ყოველი ჩვენგანი ან ქრისტესმოყვარეა, ანდა ქრისტესმბრძოლი, ან ქრისტეს თაყვანისმცემელია, ანდა ეშმაკის თაყვანისმცემელი, — სხვა რამ არ შეიძლება იყოს.

საღმრთო წერილი შემდეგნაირად განგვისაზღვრავს ჩვენ, ადამიანებს, უმთავრეს ამოცანას და მიზანს ჩვენი ცხოვრებისა: „ესე ზრახვაი იზრახებოდეს თქვენ შორის, რომელიცა — იგი ქრისტე იესუის მიერ“ (ფილიპ. 2, 5), „ზეცისასა ეძიებდით, ზეცისასა ზრახევდით“ მკვდრეთით აღმდგარ და ზეცად ამაღლებულ ღმერთკაც იესო ქრისტეშიო (კოლას. 3, 1—4). რა არის ეს — „ზეცისა“? — ესაა ყოველივე ის, რასაც ღმერთი ვითარცა საუკუნო ჭეშმარიტება წარმოადგენს და რასაც იგი თავის თავში შეიცავს ვითარცა სიტყვა-ღმერთი: ყველა

მისი ღვთაებრივი ნიშან-თვისება, ფასეულობა და სრულყოფილება; კვალად, ესაა ყოველივე ის, რასაც ი გ ი როგორც ხორციელ-ქმნილი და განკაცებული ღმერთი — ღმერთკაცი იესო ქრისტე შეიცავს და ფლობს: ყველა მისი ადამიანური თვისება, აზრი, გრძნობა, ღვაწლი და საქმე — მთელი მისი ცხოვრება, შობიდან ზეცად ამაღლებამდე, და ზეცად ამაღლებიდან თვით განკითხვის დღემდე, ხოლო განკითხვის დღიდან — სრულ საღმრთო მარადიულობამდე. ფიქრი ყოველივე ამის შესახებ ჩვენი უპირველესი, უმთავრესი მოვალეობაა, ყოვლად აუცილებელი მოვალეობა ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების ყოველი წამისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა ადამიანი ყველაფერ ამაზე ფიქრობს, — ანუ ჭეშმარიტებასა თუ შეცთომილებაზე, სიცოცხლესა თუ სიკვდილზე, სიკეთესა თუ ბოროტებაზე, სიმართლესა თუ უმართლობაზე, სამოთხესა თუ ჯოჯოხეთზე, ღმერთსა თუ ეშმაკზე, — მაშინ იგი მხოლოდ „ქრისტე იესუის მიერ“ უნდა იქმდეს ამას; და თუკი მისი ფიქრნი ყველა ამ საკითხზე არ გადადის ფიქრში ქრისტეს შესახებ, თუკი არ შეერთვის ღვთის მოაზრებას, მაშინ მისი ეს ფიქრი უსათუოდ გადაიქცევა უაზრო და თავის მომკვლელ ტანჯვა-წამებად. ქრისტეს მიერ და ქრისტეთი რომ არ ფიქრობდეს კაცობრიობა საზოგადოებაზე, პიროვნებაზე, ოჯახზე, ერზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მაშინ იგი ვერასდროს ვერ იპოვნიდა ჭეშმარიტ აზრს და ვერც სწორად ვერ გადაწყვეტდა რომელიმე პრობლემას, ვერანაირ საჭირბოროტო საკითხს.

ყოველივეზე ფიქრი ქრისტეს მიერ და ქრისტეთი — აი, უმთავრესი მცნება ყოველი ქრისტიანისა; აი, ჩვენი კატეგორიული ქრისტიანული იმპერატივი შემეცნების თეორიისათვის. მაგრამ ამგვარი ფიქრი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი ჩვენთვის, თუკი ქრისტეს გონება გვექნება, როგორც ამას წმიდა მოციქული ამბობს: „...ვინ ცნა გონებაი უფლისაი, რაითამცა აზრახა მას?! — ხოლო ჩვენ გონებაი ქრისტესი გვაქვს!“ (I კორ. 2, 16). როგორ შევიძინოთ ასეთი გონება? — ღირსეული ცხოვრებით ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში, რომლის თავიც — ქრისტეა, რამეთუ ეკლესიაში ღირსად ცხოვრება — საღმრთო საიდუმლოთა და სათნოებათა მოღვაწებით — მთელს ჩვენს არსებას შეაერთებს ეკლესიის არსებასთან, ჩვენს გონებასაც შეაერთებს ეკლესიის ღმერთკაცობრივ გონებასთან და გვასწავლის ფიქრს ქრისტეთი და ქრისტეს მიერ, — ანუ მოპოვებას იმ გრძნობა-ფიქრისა, რაც ქრისტეს აქვს და ქრისტესმიერი გონებით, ანუ ეკლესიის საერთო-საზოგადო გონებით ფიქრისას ქრისტიანებს ძალუძთ ერთნაირი

აზრებით, ერთნაირი გრძნობებით აღივსონ, ერთნაირი სიყვარულით განიმსჭვალონ, და ასე იყვნენ „ერთ სულ“ და „ერთ გულ“ და „ერთ ზრახვა“ (ფილიპ. 2, 2; 3, 16; 4, 2; რომ. 15, 5; I კორინთ. 1, 10). უფალი ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე ზეცათა გამოუთქმელ სიმაღლეთაგან გარდამოხდა ქვეყნად და თვითონვე შეიქნა ადამიანად, რათა ადამიანებს იგივე გრძნობა—ფიქრნი გვქონოდა, რაც მ ა ს აქვს და რათა გვეცხოვრა ღირსად — „სწორებად ღმრთისა“ (ფილიპ. 2, 6). წმიდა მამები ასე იტყვიან — ღმერთი იმისთვის შეიქნა ადამიანად, რათა ადამიანი ღმერთად შეექნაო, ანუ ღმერთი იმისთვის განხორციელდა და იმისთვის განკაცდა, რათა ადამიანიც განელმრთოვებინაო, — აი, სწორედ ამაშია დავანებული მთელი ჭეშმარიტებაც ქრისტეს ეკლესიისა, ღმერთკაცობრივი ჭეშმარიტება, ქვეყნიური და ზეციური ჭეშმარიტება, უკვდავი, მარადიული საღმრთო ჭეშმარიტება.

ეკლესიის ორგანიზმი ყველაზე რთული რამ არის ყოველივე იმისაგან, რაც კი ადამიანის სულმა უწყის. რატომ? — იმიტომ, რომ ეს ერთადერთი ღმერთკაცობრივი ორგანიზმია, რომელშიც დამარხულ-დაცულია ყველა საღმრთო და ადამიანური საიდუმლო, და რომელშიც ყველა ღვთაებრივი თუ კაცობრივი ძალა ერთ სხეულს შეადგენს და წარმოადგენს. მხოლოდ ყოვლადბრძენ და ყოვლადძლიერ ღმერთკაც იესო ქრისტეს ძალ-ედვა ყოველივე ეს ერთ სხეულად — თავის სხეულად შეეკავშირებია, რომლის საუკუნო თავიც თვითონ არის და რომელშიც იგი ეკლესიის მთელს ცხოვრებას წარმართავს. ყველანი ერთობლივ თითოეულში და თითოეულით ცხოვრობენ, თითოეული კი — ყველაში და ყველათი სულდგმულობს. თითოეული ყველას ზრდით იზრდება, როგორც სხეულის ნაწილი — მთელი სხეულის საერთო გაზრდით, და ყველანიც, ერთობლივ, ეკლესიის თითოეული წევრის გაზრდით იზრდებიან. და ყველა ამ მრავალრიცხოვან ნაწილს ეკლესიის ღმერთკაცობრივი სხეულისა იესო ქრისტე აერთიანებს თავის მარად ცხოველ სხეულში, შეათანხმებს რა თითოეული ნაწილის მოქმედებას მთელი სხეულის საერთო ცხოვრებასთან, ისე, რომ ყოველი ნაწილი თავის ძალთა კვალობაზე დაშვრება. ხოლო ამ ძალებს ეკლესიის წევრებისა აღმოაცენებენ სახარებისეული სათნოებანი. ეკლესიის ყოველი წევრის სახარებისმიერი საქმიანობა თუმც კი ინდივიდუალურია, განცალკევებულია, მაგრამ, ამავე დროს, ის ყოველთვის და ყოველმხრივ საერთო-საზოგადოა, რადგან შემადგენელი ნაწილია მთელი სხეულის ქმედებისა. და სანამ თავისი სახარებისეული საქმიანობით ადამიანი თავს გარდაიქმნის, აღიზრდება რა ქრისტეს

მიერ და ქრისტეთი, უფალი საერთო-საზოგადო ღმერთკაცობრივ ენერგიად გადააქცევს მის ამ საქმიანობას, და ეკლესიის სხეულიც, ამგვარად, „ჰყოფს სიორძილსა და მას გუამისასს... აღსაშენებლად თავისა... სიყვარულით“ (ეფეს. 4, 16), ანუ იზრდება და განივრცობაო. ამრიგად, ეკლესიის ყოველი წევრის საქმიანობა ყოველთვის ინდივიდუალურიც არის და საერთო-საზოგადოც ერთდროულად, ასე ინდივიდუალურ-კოლექტიური. და როცა გვგონია კიდეც, თითქოს რომელიმე ქრისტიანი მხოლოდ საკუთარი თავისთვის დაშვრებაო, სინამდვილეში იგი მთელი ეკლესიისათვის იღვწის, რადგან წევრია მისი, ნაწილია ეკლესიის ღმერთკაცობრივი სხეულისა. ასეთია ეკლესიის ღმერთკაცობრივი ორგანიზმის აგებულება, რომლის ზრდასა თუ მოქმედებას ყოველთვის უფალი ჩვენი იესო ქრისტე წარმართავს.

ეკლესიის საერთო-საზოგადო ცხოვრებაში ერთურთშია გადაწნული ანგელოზთა და ადამიანთა ცხოვრება, მონანულთა და შემცოდეთა, მართალთა და უმართლოთა, კეთილმსახურთა და ნაკლებ კეთილმსახურთა, შესვენებულთა და აწ ცოცხალთა — ყველა მორწმუნის ცხოვრება, ამასთან, უფრო მეტად კეთილმსახურნი ყოველმხრივ შეეწევიან ნაკლებ კეთილმსახურთ, რათა ისინიც კეთილმსახურებასა და სიწმიდეში აღიზრდებოდნენ ღვთაებრივი ზრდით. ეკლესიის ყველა წევრზე გადმოიღვრება ქრისტეს წმიდა ძალები, უმცირესთა და ყველაზე უჩინოთა ზედაც კი — ზომისაებრ მათი მადლისმიერი შეზრდისა ეკლესიის ორგანიზმში — რწმენის, სიყვარულის, მარხვა-ლოცვის, სინანულისა და სხვა საღმრთო სათნოებათა მოღვაწეებით, და ამგვარად, ჩვენ ყოველნი ერთად, თანაზიარად შეევენაწევრებით ეკლესიას და ამით ჩვენი ადამიანური არსებაც იზრდება — „ორძის ტაძრად წმიდად უფლისა მიერ“ (ეფეს, 2, 21); ყველანი საღმრთო მადლით, ორგანულად ვართ შეკავშირებულნი ერთურთთან ერთი სარწმუნოებით, ერთი საღმრთო საიდუმლოებითა და სათნოებებით, ერთი უფლით, ერთი ჭეშმარიტებით, ერთი სახარებით. და ყველანი ერთი ღმერთკაცობრივი ცხოვრებით ვცხოვრობთ, თითოეული თავის ადგილას ეკლესიის ამ სხეულზე, იქ, სადაც მას თვით უფალმა განუსაზღვრა ყოფნა, ეკლესიის თავმა და წინამძღვარმა, რამეთუ ეკლესიის სხეული მ ი ს მიერ, მისგან და მისით იზრდება, „შენაწევრებული და შემტკიცებული... ყოვლითა შეახლებითა უხუებისაითა შეწევნისაებრ საზომისა თვითოეულისა ასოისა“ (ეფეს. 4, 16). ამასთან, უფალი სწორედ იმ ადგილს განუსაზღვრავს თითოეულს ეკლესიაში, მის პიროვნულ თავისებურებებსა და ქრისტიანულ თვისებებს რომ პასუხობს,

განსაკუთრებით კი — თითოეულის სახარებისეულ სიყვარულს რომ შეესაბამება, რადგან ამ სიყვარულს ყოველი მორწმუნე ნებაყოფლობით აღზრდის საკუთარ არსებაში. ამ საერთო-საზოგადო ცხოვრებისას ეკლესიაში თითოეული — ყველას შეწევნით — აღაშენებს საკუთარ თავს, და ეს სწორედ სიყვარულის სათნოების ძლით აღესრულება, და ასევე ყველანიც ერთობლივ — თითოეულის შეწევნით აღაშენებენ ეკლესიას; ამიტომაცაა, რომ უფლის წმიდა მოციქულსაც კი უსათუოდ ესაჭიროება, როგორც თვით ამბობს, ეკლესიის „უმცირეს" წევრთა — ლოცვა-ვედრებაც.

ეკლესიის წევრები, მთელის არსებით შეერთებულნი ღმერთკაც იესო ქრისტესთან მადლმოსილი სათნო კავშირით, მხოლოდ იმით ცხოვრობენ, რაც ქრისტესია, ქრისტესაგანაა და ქრისტეთია, და ასევე ქონებითაც მხოლოდ ის აქვთ, რაც ღმერთკაცისაა; კვალად ცოდნითაც ქრისტიანებმა მხოლოდ ის უწყიან, რაც მ ი ს მ ი ე რ ი ღვთაებრივი ცოდნისაგან მიუღიათ, რამეთუ ყოველნი ეკლესიის საერთო-საზოგადო გონებით აზროვნებენ, ეკლესიის გულით გრძნობენ, ეკლესიის ნებით ისურვებენ და ეკლესიის საზოგადო-საერთო ცხოვრებით ჰგიებენ: ყველაფერი, რაც კი მათ აქვთ შეძენილი, სინამდვილეში, უპირველესად, სწორედ ქრისტეს კუთვნილებაა და ყოველთვის მ ი ს ი იყო და იქნება, და მორწმუნენიც საკუთარ თავს მხოლოდ მ ა ს შ ი, მისით და მის მიერ ეკუთვნიან.

ყოველი ერთგული მორწმუნე ქრისტესი ეკლესიის ერთიან სხეულს შეადგენს ყველა სხვა მორწმუნესთან ერთად, რათა ყველამ, ერთობლივ, იცხოვროს ერთი წმიდა საზოგადო ცხოვრებით, საზოგადო რწმენით საერთო-საზოგადო ნებით, სულით, სინდისით, გონებით, — ეკლესიის საზოგადო-საერთო არსებით; ეკლესიაში ყოველივე საზოგადო და ერთობლივია: რწმენაც, სიყვარულიც, სიმართლეც, ლოცვაც, მარხვაც, ჭეშმარიტებაც, მწუხარებაც, სიხარულიც, ტკივილიც, ცხოვნებაც, განღმერთებაც, ღმერთკაცთან შეერთებაც, უკვდავებაც, მარადიულობაც, ნეტარებაც, და ყველაფერ ამას წარმართავს და შეაკავშირებს სულიწმიდის ღვთაებრივი მადლი. ჩვენ — საკუთარ თავს კი არ ვეკუთვნით, არამედ — ყველას ეკლესიაში, უპირველეს ყოვლისა კი — ეკლესიის ცხოველმყოფელ სულს — სულიწმიდას. ეს გრძნობა — უმთავრესი, სამარადჟამო და უწყვეტი სახარებისეული გრძნობაა ეკლესიის ყველა ნამდვილი წევრისათვის. ეკლესიაში არავის კუთვნილება არ არის ყველაფერი, რამეთუ თითოეულს იმდენი ეკუთვნის რამდენიც მისთვის სულიწმიდას განუსაზღვრავს შესაბამი-

სად თითოეულის მიერ დამკვიდრებელი ადგილისა ეკლესიის ღმერთ-კაცობრივ სხეულში საზომისაებრ მისი რწმენისა.

ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანის თვისებაა გრძნობა საზოგადოობისა, პიროვნული პასუხისმგებლობისა ყველაფრისათვის და ყველასათვის ეკლესიაში. ყოველმა მორწმუნემ იცის: როცა თვით დაეცემა (ცოდვით) მაშინ სხვებსაც წაიყოლებს, გადაიტანს და ქვე-დასცემს, ხოლო როცა ზე-აღდგება — სხვებსაც აღადგენს. ეკლესიაში ყოველივე საზოგადო-საერთოა — ღმერთიც, სიწმიდენიც, სინდისიც, გულიც. ლოცვითი მადლმოსილი სახით თითოეული მორწმუნე — ყველაში მუნმყოფობს, ყველანი კი — თითოეულში. ვინ უწყის სრულად, თუ ყოველი ჩვენგანი რამდენადა დავალებული ღვთის წმიდანთაგან და მათს ლოცვა-ვედრებათაგან, — დავალებული მთელი თავისი სულისთვის, რწმენისა და ცხოვნებისათვის?! და თუკი შენ ნამდვილად ხარ ეკლესიის წევრი, მაშინ ორგანულად ყოფილხარ დაკავშირებული წმიდა მოციქულებთან, მოწამეებთან, აღმსარებელ მამებთან და დედებთან და ყველა ანგელოზებრ ძალასთან. წმიდა საზოგადოობის სიყვარული ეკლესიაში ღმერთკაცობრივად შეაერთებს ერთმანეთთან ეკლესიის ყველა წევრს და დამოკიდებულია მათს რწმენაზე ქრისტესადმი და მათს ჯეროვან ცხოვრებაზე ქრისტეში; ამიტომაც „ვითარცა-ეგე გისწავიეს ქრისტე იესუ უფალი, მას შინა ვიდოდეთ“ (კოლას. 2, 6); ნურაფერს შეცვლით უფალ იესო ქრისტეში, ნურაფერს მიუმატებთ მას, და ნურც გამოაკლებთ, — როგორიც არის ი გ ი, სწორედ იმგვარია ყოვლად სრულყოფილი — ღვთაებრივადაც და ადამიანურადაც.

„მ ა ს შინა ვიდოდეთ“-ო, — გვიბრძანებს მოციქული, და ეს — უაღმატებულესი მცნებაა, მცნებათა მცნება. და სწორედ ასე იცხოვრეთო: მას, ქრისტეს, კი ნუ მიუსადაგებთ თქვენს თავს, არამედ საკუთარი თავი მიუსადაგეთ მ ა ს; თქვენი თავის შესაბამისად კი ნუ შეცვლითო მ ა ს, არამედ საკუთარი თავი შეცვალეთ და გარდაქმენით მ ი ს შესაბამისად; ქრისტეს კი ნუ შექმნით ხელახლა თქვენს მსგავსად, არამედ საკუთარი თავი ააღორძინეთო რწმენით, რათა დაიბრუნოთ თავდაპირველი ღვთისმსგავსება თქვენი არსებისა, ღმერთკაცის მსგავსად გარდაქმნათო თავი. მხოლოდ ამპარტავანი მწვალებლები და უგნური დამღუპველები საკუთარი თავისა შეცვლიან ღმერთკაც იესო ქრისტეს, ხელახლა ქმნიან მას, გაასხვაფერებენ თავიანთი მდაბალი სურვილებისა და ცნებების შესაბამისად. და სწორედ აქედან მომდინარეობენ ესოდენ მრავალნი ქრისტემტყუვარნი, ცრუ-

მოძღვარნი და ცრუ-ქრისტიანნი. ჭეშმარიტი იესო ქრისტე კი, უფალი და ღმერთი ჩვენი, თავისი სახარებისეული ღმერთკაცობითა და ისტორიულობით მთლიანად და ყოველთვის ჰგიებს თავის ღმერთკაცობრივ სხეულში — მართლმადიდებელ ეკლესიაში — როგორც წმიდა მოციქულთა მოღვაწეობის ჟამს, ასევე ამჟამადაც და მარადისაც მომავალში, რამეთუ „იესუ ქრისტე გუშინ და დღეს და თავადი იგი არს უკუნისამდე" (ებრ. 13, 8). ეკლესიაში ჯეროვანი ცხოვრებით ჩვენ „ქრისტე იესუის მიერ" ვცხოვრობთ, როგორც ამას ღმერთშემოსილი წმიდა მოციქული გვიბრძანებს კიდეც. ხოლო ყველაზე ჯეროვნად და სრულყოფილად მასში უფლის წმიდანები ცხოვრობენ, რამეთუ მისი საკვირველი ცხოველმყოფელობით, ჭეშმარიტობით, სიმშვენიერითა და უცვალებლობით აქვთ შენარჩუნებული საკუთარ არსებაში ქრისტეს ღმერთკაცობრივი — ხატი, მისმიერი სახება, ღვთისმგსავსება. ამის კვალობაზე კი წმიდანებს სრულყოფილად და უცვალებელად აქვთ შენარჩუნებული მიზანიც ადამიანური არსებისა და ადამიანური ცხოვრებისა, ის უმთავრესი ამოცანა, რომელიც ჩვენ თვით უფალმა იესო ქრისტემ განგვისაზღვრა და რომლის განხორციელებაც მხოლოდ მის ღმერთკაცობრივ სხეულში — ეკლესიაშია შესაძლებელი. მაგრამ ნებისმიერი დამცრობა-დაკნინება, შეცვლა, გამარტივება, შემოკლება თუ ანტროპომორფირება ქრისტიანული მიზნისა ღუპავს ქრისტიანობას, შინაარსისაგან ჰფიტავს მას, ამაქვეყანას მიაჯაჭვავს, გარდააქცევს ჩვეულებრივ ადამიანურ, „ჰუმანისტურ", დაჭლექებულ „რელიგიად", ასეთივე უაზრო ფილოსოფიად, ეთიკად, შეცნიერებად, ანუ რაღაც „ჰუმანისტურ", დაჭლექებულ ქმნილებად თუ გაერთიანებად.

ყოველი ახალი წევრის შემომატება ეკლესიაში მოასწავებს ზრდას მისი ღმერთკაცობრივი სხეულისა. რამეთუ თითოეული, თავისი შესაძლებლობების შესატყვისი საქმიანობით, შეიქნება თანამოზიარედ ეკლესიის სხეულისა, და თვით უფალი განუსაზღვრავს მას ადგილს ეკლესიაში, ამრიგად მხოლოდ ეკლესიაშია სრულყოფილად გადაჭრილი პიროვნებისა და საზოგადოების პრობლემა და მხოლოდ ეკლესიაშია განხორციელებული სრულყოფილი პიროვნებაცა და სრულყოფილი საზოგადოებაც, ეკლესიის გარეშე არ არსებობს არც ნამდვილი საზოგადოება და არც ნამდვილი პიროვნება. წმიდა იოანე დამასკელი გვიქადაგებს: „ქრისტემ, ჩვენმა თავმა, საკუთარი თავი მოგვცა, და ამით თავის თავთანაც შეგვიერთა და ერთმანეთთანაც შეგვაერთა;

ამის შედეგად ჩვენ გვაქვს თანაზიარი თანხმობა, ერთობლივი შეთანხმიერება და თითოეული ჩვენგანი იმ ზომით მიიღებს სულიწმიდის შეწევნას, რა ზომითაც ძალი შესწევს მისი დატევნისა"[1].

უფალი იესო ქრისტე არის თავი ეკლესიისა, წინამძღვარი მისი, და მხოლოდ ამ სახითაა „იგი თავადი... მაცხოვარი გუამისა" — ანუ სხეულისა ეკლესიისა (ეფეს.. 5, 23). როგორც ეკლესიის თავი ი გ ი ყოველივე აუცილებელს აძლევს ეკლესიას მისი ღმერთკაცობრივი ცხოვრებისათვის და მისი ყველა ნამდვილი წევრის ხსნისათვის ცოდვისაგან, სიკვდილისა და ეშმაკისაგან. ეკლესია ყოველთვის მხოლოდ ქრისტეთი და ქრისტეს მიერ არის ეკლესია, — ანუ იმით, რომ სწორედ ი გ ი ა მისი თავი, თვით კი სხეულია ქრისტეს. ეკლესიაში ყოველივე ქრისტეზეა დამოკიდებული: ეკლესია მ ი ს ი თ ცხოვრობს!, მოქმედებს, ცხოვნდება და უკვდავებას შეიძენს, — ყოველივეში სწორედ **მასაა** დამორჩილებული და მსახურიცაა **მისი** მთელი თავისი არსებით. ეკლესიაში ღმერთი ყველაფერი და ყოველივეა ადამიანისათვის; ეკლესია არის ყველაზე სრულყოფილი დაწესებულება, რამეთუ ეს — ქრისტეს ღმერთკაცობრივი ორგანიზმია, სულიერი, მადლმოსილი სხეული, რომელშიც შეერთებულნი არიან ღმერთი და ადამიანი: ადამიანი ღმერთში ცხოვრობს, ღმერთით და ღმერთის მიერ, ღმერთი კი — ადამიანში და ადამიანით; ეკლესიის ყოველი წევრი ყოველივეში ნებაყოფლობით ემორჩილება ღმერთს, ღმერთით აღორძინდება სრულყოფილებისათვის და იზრდება — „ორძის სიორძილსა მას ღმრთისასა" (კოლას. 2, 19), — იზრდება „მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა" (ეფეს. 4, 13), მაგრამ კვლავაც ყოველთვის ადამიანადვე რჩება; ეკლესიაში ყველაფერი ღმერთკაცობრივი ერთიანობის სულისკვეთებით აღესრულება და ხორციელდება, — ღმერთკაცობრივი თანამოღვაწეობის, წინასწორობისა და სისრულის სულისკვეთებით. ამიტომაც სწორედ ეკლესიაა ერთადერთი ჭეშმარიტი გაერთიანება; მასში ინდივიდუუმი საზოგადოების მიერ სრულ-იქმნება, საზოგადოება კი ინდივიდუუმით ხდება სრულყოფილი, ხოლო ორთავე საკვირველი უფლის — იესო ქრისტესაგან იღებს ძალებს ამგვარი ღვაწლისათვის, — ღმერთკაცისაგან, რომელიც თავია საზოგადოებისა როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმისა და ასევე თავია ადამიანისა როგორც ცალკეული პიროვნებისა, ინდივიდუუმისა.

---

[1] წმიდა იოანე დამასკელი. განმარტებები ეპისტოლეზე ეფესელთა მიმართ, თავი 4, მუხლები 5—6; ბერძნ. პატროლოგია, ტ. 95, გვ. 844 A.

ამიტომაც ეკლესიის გარეშე არ არსებობს არც ნამდვილი საზოგადოება და არც ნამდვილი პიროვნება — ინდივიდუუმი.

განათლება — კურთხევა ყოველივე წმიდისაგან მომდინარეობს, ისევე, როგორც ლამპრისაგან — სინათლე. ეკლესიას, რომელიც ცასა და ქვეყანას მოიცავს, მხოლოდ ისეთი ყოვლისმომცველი და ყოვლადწმიდა არსებისაგან შეეძლო განათლებულიყო და კურთხეულიყო, როგორიც ღმერთკაცი იესო ქრისტეა. იმისთვის, რომ ეკლესია განენათლებინა და ეკურთხა, ქრისტემ „თავი თვისი მისცა მისთვის" (ეფეს. 5, 25), მთელი თავისი არსება შესწირა მას მსხვერპლად, მთლიანად დაუტოვა თავისი ღმრთაება და ამით სწორედ თავის თავზე დააფუძნა ეკლესია. და მთელი ცხოვრება და ღვაწლი ღმერთკაცი იესო ქრისტესი — არის კაცობრიობის ხსნა ცოდვით, სიკვდილისა და ეშმაკისაგან სწორედ ეკლესიის შექმნის გზით. ეკლესიის არსება მ ა ნ საკუთარი თავით აღავსო, თავისი წმიდა ღვთაებრივი ძალებით შემოსა და ასე განანათლა და აკურთხა მთლიანად, და ამის შედეგად ეკლესიაც წმიდა საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით იხსნის ადამიანებს ცოდვის, სიკვდილისა და ეშმაკისაგან, რომელთაგანაც მათი გამოხსნა სხვა არანაირ ძალას არ ძალუძს, არსებულთ ცათა ქვეშეთში. განსაკუთრებულად კი მ ა ნ იმით განახორციელა ეს ხსნა კაცობრიობისა, რომ სულიწმიდით მონათლა ეკლესია მეერგასის — სულთმოფენობის დღეს, რათა ეკლესიასაც შეეძინა საღმრთო ძალა ადამიანთა განათლება-კურთხევისათვის სულიწმიდითა და წყლით (ეფეს. 5 26; შდრ. ტიტ. 3, 5; იოანე 3, 5). და ეკლესიაც მხოლოდ ამ სრულყოფილი ღვთაებრივი სიწმიდით განწმედს ადამიანის არსებას ყოველივე არაწმიდებისაგან, ცოდვისმიერისა და ეშმაკისმიერისაგან. და აწ ეკლესიაში ყოველი მისი წევრი ადამიანი განიწმიდება და განათლდება „საბანელითა მით წყლისაითა და სიტყვითა" (ეფეს. 5, 26). სიტყვა ღმერთისა სულიწმიდით განწმედს და განანათლებს წყალს, — სულიწმიდა უხილავია, წმიდა წყალი კი — ხილული. ერთიც ეძლევა ადამიანს და მეორეც, რამეთუ თვით ადამიანიც ორი შედგენილობის არსებაა — ხილული ხორცისა, სხეულისა და უხილავი სულისა. თუ კი ღმერთის სიტყვა მკვდარ, უსულო წყალსაც კი განწმედს და განანათლებს თავისმიერი კურთხევით, მაშ, განა შესაძლებელია, რომ ცოცხალი, ღმერთის მსგავსებისაებრ შექმნილი, უკვდავი ადამიანური სული ვერ განწმიდოს და ვერ განანათლოს?! ქრისტემ „თავი თვისი მისცა მისთვის (ეკლესიისათვის, ადამიანისათვის), რაითა იგი წმიდა-ყოს, და განწმიდა იგი საბანელითა მით წყლისაითა და სიტყვითა" (ეფეს.

5, 26), რამეთუ მხოლოდ წმიდა და ყოვლისგანმწმედი ძალა ქრისტესი, ღვთის სიტყვის ძლით დავანებული ნათლობის წყალში, განწმედს კიდეც ადამიანს ყოველგვარი ცოდვისაგან, არაწმიდებისა და ეშმაკისაგან, და ღვთაებრივი სიწმიდით, თვით ღმერთით აღავსებს მის არსებას, რამეთუ ყველა, ვინც კი ქრისტეს მიმართ მოინათლება ყოვლადწმიდა სამების სახელით, ქრისტესავე შეიმოსავს (გალატ. 3, 27). ეკლესიაში ყოველივე ქრისტესაგანაა, ქრისტეშია და ქრისტეს მიერაა, და ი გ ი ც მთლიანად არის მასში დამკვიდრებული, ხოლო ეკლესიაც მთლიანადვე ჰგიებს მ ა ს შ ი და მ ი ს ი თ.

და რაკი ქრისტე მთლიანად არის დამკვიდრებული ეკლესიაში, ეკლესია კი — ქრისტეში, ამიტომ უფალი წარუდგენს კიდეც თავის თავს „დიდებულად ეკლესიას, რაითა არა აქვნდეს მწინკულევანება, არც ნაოჭ ბრძვილისა.., არამედ რაითა იყოს წმიდა და უბიწო" (ეფეს. 5, 27). და იმისთვის, რომ ასეთად გადაექცია ეკლესია, ქრისტემ მასში, ვითარცა თავის სხეულში, განახორციელა მთელი თავისი ღმერთკაცობრივი ღვაწლი. მთლიანად ეკლესია არის ღმერთკაცი იესო ქრისტე ყოველს საუკუნესა და მთელს მარადიულობაში, იმიტომ, რომ მას არა აქვს არანაირი ნაკლოვანება — „მწინკულევანება, არცა ნაოჭ ბრძვილისა, არცა სხვაი რაი ესევითარი" (ეფ. 5, 27). და მართლაც, განა აკლია ეკლესიას რაიმე, რისი გულისთვისაც შესაძლებელი გახდებოდა მისი გაკიცხვა?! განა იგი ყველა ცოდვისაგან არ განსწმენდს ადამიანს, დაწყებული უმძიმესით, უდიდესით და დამთავრებული სულ უმნიშვნელოთი?! განა იგი მთლიანად არ გვათავისუფლებს ჩვენ სიკვდილისაგან და ყველა დემონისაგან?! განა მთლიანად არ შეიწყნარებს იგი და თავის წიაღში არ მიიღებს ყველას, ვინც კი რწმენით მიეახლება მას?! განა ყველას, ნამდვილად მონანულ მორწმუნეს, არ იხსნის ცოდვის, სიკვდილისა და ეშმაკისაგან?! განა კი აქვს საზღვარი მის უზომო კაცთმოყვარებასა და მის მაცხოვნებელ ძალებს?! — ხოლო ასეთად ეკლესიას შექნის სწორედ ქრისტეს ღვთაებრივი ძალა,— ყოველთვის წმიდა ყოვლადძლიერი (შდრ. კოლ. 1, 29).

ასეთად აქცია ეკლესია უფალმა იესო ქრისტემ თავისი ჯვარით და თავისი ღმერთკაცობრივი სისხლით, რომელიც ამ ჯვარზე დაღვარა ჩვენთვის. და ეს სისხლი არის განწმედა, ხსნა ეკლესიისა; ეს სისხლი არის ეკლესიის ღმერთკაცობრივი გაერთიანება, ანუ მისი ერთიანობა ღმერთთან და ადამიანებთან; ეს სისხლი არის მარადის ახალი, მარადის გამომსყიდველი, მხსნელი, მაცხოვნებელი, ყოვლისაღმაშენებელი და გამაერთიანებელი ძალა ეკლესიისა ღმერთკაც იესო ქრისტეს პიროვნებაში

ყველაზე სრულყოფილად შეერთდა ღვთაებრივი ბუნება ადამიანურ ბუნებასთან, ღმერთი და ადამიანი. ამიტომაც აქამდე ღმერთისაგან ცოდვის გამო მოშორებული ადამიანი, ამ ღმერთკაცობრივი სისხლის ძლით, მახლობელი შეიქნა ქრისტესი, თანაზიარი გახდა მისი ღმრთაებისა (ეფეს. 2, 13—14); ასე, რომ ადამიანები გახდნენ „ასონი ...გუამისა (სხეულისა) მისისანი, ხორცთა მისთაგანნი და ძვალთა მისთაგანნი“ (ეფეს. 5, 30). ღმერთკაცმა იესო ქრისტემ აქამდე წარმოუდგენელი სინამდვილე განახორციელა ამქვეყნად: ჩვენ, ადამიანები — ეს ცოდვისაკენ მიდრეკილი ძუძუმწოვარნი, — მ ი ს ი თ და მ ი ს მიერ სისხლხორცეულნი მახლობელნი, ნათესავნი შევიქენით ღმერთისა, რამეთუ ქრისტეს ღმერთკაცობრივი სისხლი არის წყარო ჩვენი მარადიული ცხოვრებისა, ჩვენ ღმერთკაცობრივი უკვდავებისა, წყარო, რომელიც უმჯიდროესად შეგვაერთებს მასთან — ერთ ჭეშმარიტ ღმერთთან, ვინც არის „ცხოვრებაი საუკუნოი“ (შდრ. I იოანე 5, 20; 5, 11; 1, 2) ღვთაებრივი სისხლი უფლისა — მისი ღმერთკაცობრივი, რეალური ძალაა, რომელიც განგვანათლებს, განგვწმედს, გარდაგვქმნის, გვიხსნის ჩვენ და გადაგვაქცევს ნაწილად ღმერთკაცის იესო ქრისტეს სხეულისა — მისი ეკლესიისა, ანუ ნაწილად ყოვლადწმიდა სამებისა! ამიტომაც ახალი აღთქმა — არის ღმერთკაც იესო ქრისტეს სისხლში, მისი სისხლით მოცემული აღთქმა. და ეს აღთქმა ევქარისტულად გრძელდება ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში, იმით, რომ ეკლესია ღმერთკაცობრივი სისხლით ღმერთთან შეაერთებს ადამიანებს, ხოლო ღმერთის მიერ — ერთმანეთთანაც შეაერთებს მათ ცხადზე უცხადესია ეს ისტორიული ფაქტიც: ნამდვილი, ჭეშმარიტი, უკვდავი ერთიანობა ყოველი ადამიანისა ყველა სხვა ადამიანთან განხორციელებადი საქმეა და იგი ღმერთკაცით, მ ი ს მიერ აღესრულება, რამეთუ ღმერთი უფრო ახლოსაა თითოეულ ადამიანთან, ვიდრე თვით ადამიანი — საკუთარ თავთან. ამიტომაც შეუძლებელია ადამიანის ერთიანობა საკუთარ თავთანაც კი და მეტადრე — სხვა ადამიანებთან ღმერთკაცის გარეშე, ანუ მ ა ს თ ა ნ სისხლხორცეული ნათესაობისა და შეერთების გარეშე, მასთან ზიარების გარეშე, ხოლო ამგვარი სისხლხორცეული ნათესაობა და შეერთება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იესო ქრისტეს ღმერთკაცობრივ სხეულში — ეკლესიაში, ამასთან — კონკრეტულად და განცდისეულადაც — წმიდა ევქარისტიის საიდუმლოში, მიღებით ქრისტეს ხორცისა და სისხლისა.

ღმერთკაც იესო ქრისტეს სისხლი ადამიანს ღმერთთან შეაერ-

თებს — როგორც გოლგოთას ჯვარზე დაღვრილი სისხლის ძლით, ასევე ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში — ზიარების წმიდა. საიდუმლოს ცხოველმყოფელი სისხლით და ხორცით საღმრთო ლიტურგიისა. კვალად: რამდენადაც ეს — ღმერთკაც იესო ქრისტეს სისხლია, ხოლო ეკლესია — მ ი ს ი სხეულია, ამიტომ სწორედ ეს სისხლია ის შემაერთებელი ძალა, რომელიც ეკლესიის ყველა წევრს ერთ სხეულად შეაკავშირებს — ერთ სიცოცხლეში, ერთ სულად, ერთ გულად, ერთ ღმერთკაცობრივ საზოგადოებად. „სასუმელი ესე კურთხევისაი, რომელ ვაკურთხევთ, არა-მე ზიარებაი სისხლთა ქრისტესთაი არსა? პურსა ამას, რომელსა განვტეხთ, არა-მე ზიარებაი ხორცთა ქრისტესთაი არსა? რამეთუ ერთ პურ და ერთ ხორც ჩვენ მრავალნი ესე ვართ, რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს“ (I კორინთ. 10, 16—17). ეს სიტყვები წმიდა პავლე მოციქულისა ყველაზე დიდ და ღრმა საიდუმლოს განგვიცხადებენ ქრისტეს ეკლესიისა — მის ევქარისტულ საიდუმლოს და ევქარისტულ ბუნებას — წმიდა ევქარისტიის საიდუმლო არამხოლოდ ღმერთთან შეგვაერთებს ჩვენ, ყოველ ქრისტიან მორწმუნეს, არამედ — ერთმანეთთანაც. როცა მ ი ს წმიდა სხეულს — ხორცს ვეზიარებით, „ერთ ხორც ჩვენ მრავალნი ესე ვართ“. და როცა ქრისტეს ვუერთდებით, ჩვენ წმიდა შეერთებით ვუკავშირდებით ერთმანეთსაც, და ეს — ღმერთკაცობრივი ერთიანობაა, ადამიანთა წმიდა ერთიანობა ქრისტეში და ქრისტეს მიერ, — ერთადერთი მარადიული და ჭეშმარიტი ერთიანობა ადამიანებისა, რამეთუ ღმერთკაც იესო ქრისტეში ჩვენ არამხოლოდ მარადის ცოცხალნი ვართ, არამედ მარადის ერთნი სხეულითაც. — მხოლოდ ღმერთკაცით „ერთ ხორც ჩვენ მრავალნი ესე ვართ“, ხოლო ამ ღმერთკაცობრივი სინამდვილის გამოხატულებას სწორედ წმიდა ევქარისტიის საიდუმლო წარმოადგენს — წმიდა ლიტურგია, წმიდა საიდუმლო ზიარებისა სასწაულთმოქმედმა უფალმა, უპირველესად, თავისი ხორციელ-ქმნით და განკაცებით შეაერთა თავისი არსებაში ღმერთი და ადამიანი მარადიული ერთიანობით, და ყოველივე ეს ჩვენზეც, ადამიანებზე გადმოიტანა თავისი ღმერთკაცობრივი სახით, და მუდმივადაც გადმოაქვს. რამეთუ ეკლესია მ ა ნ თავის ღმერთკაცობრივ სხეულზე დააფუძნა — თავისი ღმერთკაცობრივი ამქვეყნიური ცხოვრებისა და ქვეყნად თავისი ღმრთაებისა და ადამიანობის მუნმყოფობის სინამდვილეზე. უფალი იესო ქრისტე იმისთვის მოგვევლინა, იმისთვის შეიქნა ადამიანად, რომ ჩვენ ყოველნი, ჭეშმარიტნი ქრისტიანნი, თავისი „თანა-მკვიდრნი, თანა-ხორცნი და თანა-მყოფ-

ნი“ შეეექენით (ეფეს. 3, 6), განვეღმრთოებინეთ, ანუ იმისთვის, რომ ყოველივე თავისი — ჩვენთვის მოენიჭებინა. და ეს მან, უპირველესად, სწორედ წმიდა ზიარების საიდუმლოს მეშვეობით აღასრულა.

„ერთ ხორც ჩვენ მრავალნი ესე ვართ“ (I სორ. 10, 17), რამეთუ ცალკე მყოფი არც ერთი ჩვენგანი არ შეადგენს ეკლესიის მთელს სხეულს, რადგან თითოეული მხოლოდ ნაწილია მისი, და ეს იმიტომაა ამგვარად, რომ ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდეთ, ყოველთვის ვუწყოდეთ ჩვენი დამოკიდებულება ერთმანეთზე, ჩვენი აუცილებლობა ერთმანეთისათვის — ყველანი ერთად — თითოეულისათვის, და თითოეულისა — ყველასთვის ერთობლივ. ჩვენი ძალა, ჩვენი უკვდავება, ჩვენი ნეტარება, ჩვენი ცხოვრება მხოლოდდამხოლოდ ასეთ ერთიანობაშია, რომელსაც ასევე მხოლოდდამხოლოდ ქრისტეს ღმერთკაცობრივი სხეული გვანიჭებს, ღმერთის სხეული, ანუ მართლმადიდებელი ეკლესია, — საკვირველი უფალი ჩვენი იესო ქრისტე, — ჩვენი ეს ჭეშმარიტი საჭმელი და ჭეშმარიტი სასმელი (შდრ. იოანე 6, 55—56. 48). სწორედ ი გ ი ა ის „ერთი პური“, რომლითაც ჩვენ ყველანი ვსაზრდოობთ, „რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს“ (I კორ. 10, 17), ანუ ყოველნი ქრისტიანნი მისგან და მისით ვეზიარებით ქრისტეს სხეულს; ი გ ი თვითონაც სხეულია და ძალაც წმიდა სხეულისა, ეკლესიის წმიდა ერთიანობისა. და როცა ჩვენ უფალ იესო ქრისტეს წმიდა ხორცსა და წმიდა სისხლს ვეზიარებით, მაშინ მის წმიდა სხეულს ვეზიარებით და ვუერთდებით, რომელიც ყოველთვის და ყველგან ერთიანია. „ეგრეთცა ჩვენ ყოველნი ერთ გუამ ვართ ქრისტეს მიერ, ხოლო თვითეული ურთიერთას ასოებ ვართ“ (რომ. 12, 5; შდრ. I კორინთ. 12, 27).

წმიდა მოციქულის ღვთაებრივ სიბრძნეს, გამოხატულს ამ სიტყვებით, განავრცობს და განადიდებს წმიდა იოანე ოქროპირი: „როცა ზიარების წმიდა საიდუმლოს უწოდა „ზიარებაი სისხლთა ქრისტესთაი“ და „ზიარებაი ხორცთა ქრისტესთაი“, მოციქულმა ისურვა კიდევ უფრო ზუსტად და გასაგებად გამოეთქვა ეს, და ამიტომაც დასძინა — „რამეთუ ერთ პურ და ერთ ხორც ჩვენ მრავალნი ესე ვართო“. რა არის ეს ზიარება, ეს ერთობა? — მხოლოდ ერთად, მხოლოდ ერთობლივ შევადგენთ ჩვენ ამ სხეულს. რა არის ეს პური? — იგი ქრისტეს სხეულია, მისი ხორცია. ხოლო მზიარებელნი რად შეიქნებიან? — სწორედ სხეულად იესო ქრისტესი, — არა მრავალ სხეულად, არამედ ერთ, ერთადერთ სხეულად. როგორადაც მრავალი მარცვლისაგან გამომცხვარი პური ერთ პურად არის ქცეული, ისე, რომ

ცალკეული მარცვლები აღარ არიან საცნაური მათი შეერთების გამო, ამგვარადვე ვუერთდებით ჩვენც ქრისტეს სხეულსაც და ერთმანეთსაც და ერთ სხეულს შევადგენთ"[1].

ამ ღმერთკაცობრივი სინამდვილის შესახებ შემდეგს ამბობს ღვთივგანბრძნობილი კავასილა თავის „საღმრთო ლიტურგიის ახსნა-განმარტებაში": ეკლესიისათვის წმიდა საიდუმლონი — ხორცი და სისხლი ქრისტესი — სიმბოლოები კი არ არის, არამედ მათში ეკლესია ნამდვილად ცხოვრობს, არსებობს, და ნამდვილადვე საზრდოობს მათგან იმგვარადვე, როგორც ადამიანის სხეულის ნაწილნი საზრდოობენ გულით, გულისაგან, როგორადაც ხის რტოები საზრდოობენ ფესვებისაგან, ანდა უფლის სიტყვისაებრ, როგორადაც ვაზის რტო საზრდოობს თავისი ფესვებისაგან (იოანე 15, 1—5). და ეს მხოლოდ სახელწოდებათა თანა-ზიარობა, ერთიანობა, ანთუ რაღაც ანალოგია კი არ არის, არამედ სრული იგივეობაა, რამეთუ ეს წმიდა საიდუმლონი — ხორცი და სისხლი ქრისტესი — არის კიდეც ეკლესიის ჭეშმარიტი საზრდო, ჭეშმარიტი საჭმელი და ჭეშმარიტი სასმელი, და იგიც, ეზიარება რა მათ, ამ ხორცსა და სისხლს კი არ გადააქცევს ადამიანის სხეულად, როგორც ეს ჩვეულებრივი საზრდოს მიღების შემთხვევაში გვაქვს, არამედ თვითონვე, ეკლესია გადაიქცევა ხორცად და სისხლად — ანუ სხეულად ქრისტესი... და ვინმეს რომ ძალი ჰქონოდა დაენახა ქრისტეს ეკლესია მას შემდეგ, რაც ის უფალს შეუერთდა წმიდა ზიარების საიდუმლოში, ის სხვას ვერაფერს დაინახავდა, თვინიერ უფლის სხეულისა. ამიტომაც ამბობს პავლე მოციქული: „ჩვენ ყოველნი ერთ გუამ (სხეულ) ვართ ქრისტეს მიერ, ხოლო თვითეული ურთიერთას — ასოებ ვართ" (I კორ. 12, 27)"[2]. წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი კი ასე იტყვის: „თუკი ქრისტე ერთია, მაშინ ეკლესიასაც ერთი თავი და ერთი სხეული ჰქონია"-ო[3]. ამრიგად, ქრისტეთი და ქრისტეში ჩვენ ყველანი, ერთობლივ, ერთი სხეული ვართ, ცალ-ცალკე კი — ასონი, ნაწილნი ამ სხეულისა, — ყველა მორწმუნენი მისი — ყოველთა წმიდათა თანა — წმიდა მოციქულებთან, წინასწარმეტყველებთან, მოწამეებთან, აღმსარებლებთან და ყველა სხვა ჭეშმარიტ ქრისტიანთან

---

[1] წმიდა იოანე ოქროპირი. ჰომილია 24, 2 პირველ ეპისტოლეზე კორინთელთა მიმართ; ბერძნ., პატრ., ტ. 61, გვ. 200.

[2] კავასილა, საღმრთო ლიტურგიის განმარტება, თ. 38., ბერძნ., პარტ., ტ. 150, გვ. 452 C — 453 A.

[3] წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი. სიტყვა 37,8; ბერძნ., პატრ., ტ. 36, გვ. 292 B.

ერთად. ხოლო ქრისტეში და ქრისტეთი ამ ერთობისა და თანაზიარობის გარეშე ადამიანის არსებისათვის არაფერია უფრო კარგი, უფრო ნათელი, ნეტარი, საუკუნო, ტკბილი და მაცხოვნებელი არსად, არანაირ სამყაროში — არც იმაში, ჩვენ რომ ვიცით, და არც იქ, ჩვენი ქვეყნიური ოცნებების წარმონაქმნს რომ წარმოადგენს. და აი, სწორედ ეს არის ყოველთა სიხარულთა სიხარული და ყოველთა სიტკბოებათა სიტკბოება, — ვიყოთ ერთი სხეული ყოველთა წმიდათა თანა— სხეული იესო ქრისტესი, ანუ ერთი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია!

ახალი აღთქმისა და ღმერთკაცის ეკლესიის ყველა საიდუმლოს გამოხატვა ერთი საიდუმლოთი რომ ყოფილიყო შესაძლებელი, ასეთად უთუოდ წარმოსდგებოდა წმიდა ზიარების საიდუმლო — ევქარისტია. ეს საიდუმლო ჩვენ წარმოგვიდგენს, განგვიცხადებს და სრულად გვანიჭებს უფალ იესო ქრისტეს მთელის სრულყოფილებით მისი ღმერთკაცობრივი პიროვნებისა და სხეულისა, რომელიც არის ეკლესია, რამეთუ წმიდა ზიარება, ევქარისტია არის თვით მისი ღვთაებრივი ხორცი და ღვთაებრივი სისხლი; არის — თვით ი გ ი, მისი ეკლესიითურთ, გამოუთქმელ სრულყოფილებაში თავისი ღმრთაებისა და ადამიანობისა, — ანუ თავისი ღმერთკაცობისა. ახალი აღთქმაც ნამდვილად ახალია თავისი უგამორჩეულესი სახით: ეს არის აღთქმა საღმრთო სისხლსა და საღმრთო ხორცში. და ასეთი ღმერთკაცობრივი კავშირი განხორციელდა საკვირველი ღმერთკაცის — უფალ იესო ქრისტეს მიერ და მისი ღმერთკაცობრივი სხეულის — ეკლესიის მიერ.

წმიდა ზიარება ყოველთვის სხეულია ცხოველმყოფელი უფლის იესო ქრისტესი: „ესე არს ხორცი ჩემი“-ო, — ამბობს თვით უფალი (მათე 26, 26); და ჩვენც ამ ხორცით, ამ ხორცის მიერ ყოველთვის მ ი ს ნ ი ვართ, და იმათიც, ყველასი, ვინც ეზიარება ამ წმიდა ხორცს, და ამგვარად წარმოვქმნით ყველანი — ერთობლივ — ქრისტეს ეკლესიას. მართლაც, წმიდა ევქარისტიის საიდუმლოში მთელი ეკლესიაა და მისი ყველა სიწმიდე და ქმედება, — მასში სრულად არის თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მთელი მისი ახალი აღთქმა — აღთქმა ყოვლის განმაცხოველებელი სისხლის მიერ ღმერთისა: „ესე სასუმელი ახალი სჯული არს სისხლისა ჩემისაი“ (I კორ. 11, 25). წმიდა ზიარების საიდუმლოს მეშვეობით ჩვენ განუწყვეტლივ განვაახლებთ ხოლმე ჩვენს კავშირს უფალ იესო ქრისტესთან, როგორც ინდივიდუუმებიც და როგორც ერიც ღვთისა (შდრ. ტიტ. 2, 14; ებრ. 2, 17; 18, 8—10; II კორ. 6, 16): მისით ჩვენ გამუდმებით განვმტკიცდებით ამ

კავშირში, და უფალი იესო ქრისტეც ნამდვილად და სამარადჟამოდ ახალი კავშირისა, ახალი აღთქმაა თავის ღმერთკაცობრივ სხეულში ეს არასდროს არ უნდა დავივიწყოთ და მარადის უნდა განვაახლებდეთ ამ კავშირს, მისით კი კვლავაც და კვლავაც განვიცხოველებდეთ თავს ღმერთკაცობრივი ცხოვრებით. სწორედ ამიტომ გვაძლევს მაცხოვარი ამ მადლმოსილ აღთქმას: „ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა"-ო (ლუკა 22, 19; I კორინთ. 11, 24—25).

ეს ლიტურგიკული და ევქარისტული მოხსენება მოგვაგონებს ხოლმე მთელს ღმერთკაცობრივ მოღვაწეობას კაცობრიობის, მთელი სამყაროს ხსნისა, რაც უფალმა იესო ქრისტემ აღასრულა. წმიდა იოანე დამასკელის ღვთივსულიერი სიტყვით, „ამ წმიდა საიდუმლოთა აღსრულება არის კიდეც მთელი სულიერი ზებუნებრივი მოღვაწეობა (განგებულება) სიტყვა — ღმერთის ხორციელ-ქმნისა მ ი ს ი განკაცებისა"[1]. ეს წმიდა ევქარისტული მოხსენიება არის სრული წარმოდგინება ჩვენთვის უფალ იესო ქრისტესი მთელი სრულყოფილებით მისი ღმერთკაცობისა; და ახალი აღთქმიდან არაფერი ისე სრულად არ წარმოგვიდგენს ჩვენ უფალ იესო ქრისტეს, როგორც წმიდა ევქარისტია, წმიდა საიდუმლო ზიარებისა, რომელიც მთლიანად მოგვანიჭებს მ ა ს — მარადიულს, ყოვლადცხოველს, ყოვლადარსმყოფსა და ყოვლისგანმაცხოველებელს, მარად ერთსა და იმავეს უკუნისამდე (ებრ. 13, 8). წმიდა ზიარების საიდუმლოს მეშვეობით ჩვენ საკუთარი ღვაწლივით განვიცდით მთელს ღმერთკაცობრივ მოღვაწეობას ხსნისა, უპირველესად კი, მ ი ს მაცხოვნებელ სიკვდილს ჯვარზე და მკვდრეთით აღდგომას, რამეთუ მათი მეშვეობით ჩვენ შიგ გულისგულში, მარადიულ წიაღში შევდივართ ღმერთკაცობრივი ხსნისა. ამიტომაც ამბობს წმიდა პავლე მოციქული: „...რაოდენ—გზისცა შჯამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს" (I კორ. 11, 26).

სხეული ხორციელ-ქმნილი უფლის იესო ქრისტესი, რომელიც მ ა ნ შეიძინა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან და სულიწმიდისაგან, და მისი ხორცი წმიდა ევქარისტიისა, და ასევე მისი ღმერთკაცობრივი სხეული — ეკლესია, — საბოლოოდ ერთი სხეულია, ერთადერთი მაცხოვნებელი სხეული უფლისა, რამეთუ „იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე" (ებრ. 13, 8). ამის შესახებ

---

[1] წმიდა იოანე დამასკელი. ყოვლადწმიდა სხეულის შესახებ, 2, ბერძნ., პატრ., ტ. 95, გვ. 408.

მგზნებარედ გვიმოწმებს წმიდა იოანე ოქროპირი: „ჰოი, თქვენ, მზიარებელნო უფალ იესო ქრისტეს ხორცისა და სისხლისა, — მარადის გახსოვდეთ ეს: ჩვენ იმგვარ ხორცს, სხეულს ვეზიარებით რომელიც არაფრით არ განსხვავდება იმ განღმრთოებული სხეულისაგან უფლისა, რომელიც ზეცად მჯდომია მარჯვენით მამისა და რომელსაც ყოველნი ანგელოზნი ეთაყვანებიან, — აი, სწორედ ამ სხეულს, ამ ხორცს მივიღებთ ჩვენ საზრდოდ! ჰოი, ხსნის რა დიადი გზაა გახსნილი ჩვენს წინაშე! უფალმა თავისი სხეულით აღგვავსო ჩვენ, მოგვცა იგი, რამეთუ როგორც ქრისტესთანაა შეერთებული ეს სხეული, ასევე ჩვენც ვუერთდებით მას ზიარების პურის მეშვეობით, რადგან მისთვის საკმარისი არ იყო განკაცებულიყო, ადამიანი გამხდარიყო, გვემულ-ტანჯული და ჯვარცმული ყოფილიყო ჩვენთვის, — მან ისიც ისურვა, რომ თავის ყოვლადღვთაებრივ არსებასთან შეეერთებინეთ ჩვენ, — და არამხოლოდ რწმენით, არამედ რეალურადაც, რამეთუ იგი ნამდვილად გადაგვაქცევს ჩვენ, ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანს, ჯეროვნად მზიარებელს, თავის სხეულად“[1].

სხეული ხორციელ-ქმნილი სიტყვა-ღმერთისა — უზენაესი ფასეულობაა ადამიანის არსებისათვის. მასშია ყველა მარადიული ღვთაებრივი ფასეულობა. მეორე პირი ყოვლადწმიდა სამებისა ხორციელიქმნა, განკაცდა და ღმერთკაცი გახდა, რათა ამით ეკლესიად შექმნილიყო და მასში აღესრულებინა მოღვაწება სამყაროსა და ადამიანის ხსნისა ცოდვისაგან, სიკვდილისა და ეშმაკისაგან. ღმერთი იმისთვის შეიქნა ადამიანად, რომ ადამიანი ღმერთკაცის დახმარებით მის სხეულ'ში — ეკლესიაში — ღმერთი შექმნილიყო, განღმრთოებულიყო, — აი, ამაში მდგომარეობს მთელი ხარებაც ღმერთკაც იესო ქრისტესი და მისი წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიისა. და ამიტომაც მის ეკლესიაში „დამკვიდრებულ არს ყოველივე სავსებაი ღმრთეებისაი ხორციელად“ (კოლას. 2, 9). და როგორც განუყოფელ ნაწილთ ქრისტესი და მისი ღმერთკაცობრივი სხეულისა — ეკლესიისა, ჩვენ, ქრისტიანებს ამ ღვთაებრივი საესებისაგან ყველაფერი გვაქვს მონიჭებული, რაც კი საუკუნო ცხოვრებისთვისაა აუცილებელი ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც: საღმრთო მადლს მადლსა ზედა მივიღებთ

---

[1] წმიდა იოანე ოქროპირი. 33-ე ჰომილია ეპისტოლეზე ეფესელთა მიმართ, ბერძნ., პატროლ., ტ. 62, გვ. 27; ჰომილია 82, 5 მათეს სახარებაზე, ბერძნ., პატრ., ტ. 58, გვ. 743.

ეკლესიაში და აქ სრული საღმრთო ჭეშმარიტებაც გვეძლევა, ასევე ყველა მისი წარუვალი სიმდიდრე, ფასეულობა და სიხარულიც (კოლას. 2, 9—10: ეფეს. 3, 19; იოანე 1, 17).

თავკიდური ლოდი საღმრთო განგებულებისა ადამიანის ხსნისათვის (ფს. 117, 22) — ეს არის უდიდესი საიდუმლო ორთავ ქვეყნისა — ქრისტე და ეკლესია (ეფეს. 5, 32), და ადამიანს არ ჰყოფნის არც გონიერება და არც სიტყვები იმისთვის, რომ თუნდაც მიახლოებით გადმოსცეს ეს საიდუმლო. ქრისტე ერთდროულად სიტყვა — ღმერთიც არის და ადამიანიც, სიტყვა — ღმერთიც და ეკლესიაც; სიტყვა — ღმერთი, სხეულებრივად ამაღლებული ზეცად და სხეულებრივადვე მუნმყოფი თავის ღმერთკაცობრივ სხეულში — ეკლესიაში ამქვეყნად. განა ეს მართლაც უდიდესი საიდუმლო არ არის?.. ეკლესიის წევრები ერთ ორგანიზმს, ერთ სხეულს შეადგენენ, მაგრამ თითოეული, იმავდროულად, ცალკეულ პიროვნებად რჩება. და განა ესეც უდიდესი საიდუმლო არ არის?! ეკლესიაში დიდი ცოდვილნიც არიან, და მიუხედავად ამისა, იგი მაინც წმიდა და შეურყვნელია, არა აქვს არცა „მწინკულევანება, არც ნაოჭ ბრძვილისა“ (ეფეს. 5, 27), და განა ესეც დიდი საიდუმლო არ არის?! სხვა ყოველივეც ეკლესიაში, უმცირესიდან უდიდესამდე, დიდი საიდუმლოა, რადგანაც ყოველივეში მთელის სისრულით მუნმყოფობს საკვირველი უფალი ჩვენი იესო ქრისტე თავისი ყველა — ურიცხვი საიდუმლოთი; ამიტომაც ეკლესია ყველაზე დიდი სასწაულია მთელს ამ ქმნილ სამყაროში, — სასწაული, რომელსაც ანგელოზნიც კი ჰკვირობენ! ეკლესიის საღმრთო სახარებაში შეღწევა ანგელოზთაც სურთ, რამეთუ მათაც ეუწყებათ ეკლესიის მიერ „მრავალფერი იგი სიბრძნე ღმრთისაი“ (ეფ. 3, 10; I პეტრ. 1, 12).

ღმერთკაცმა იესო ქრისტემ თავის ეკლესიაში ყოველივე გააერთიანა, „რაი-იგი არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა“ (ეფეს. 1, 10); მასში ყველა საიდუმლო ცათა და ქვეყნისა ერთ დიდს საიდუმლოდ შეერთდა, და ასე იწყო არსებობა უდიდესმა საიდუმლომ ღმერთისა — ეკლესიამ. ეს უდიდესი საიდუმლო ქრისტეს ეკლესიისა მის ყველა წევრს განმსჭვალავს, მთელს მათს ცხოვრებასა და ურთიერთობებს აღავსებს. ამიტომაც ეკლესიაში ყოველივე — სასწაულია, ყოველივე — საიდუმლოა, ყოველივე — აღმატებულია აზრსა და გონიერებაზე. აქ არაფერია უბრალო, ნაკლებ მნიშვნელოვანი, მეორეხარისხოვანი, რამეთუ ყოველივე აქ ღმერთკაცობრივია ყოველივე ორგა-

ნულად არის ურთიერთშეკავშირებული ღმერთკაცობრივ სხეულში — ერთ ყოვლისმომცველ, უდიდეს ღმერთკაცობრივ საიდუმლოში — ქრისტეს მართლმადიდებელ ეკლესიაში.

ეკლესიის ნიშან-თვისებანი

ეკლესიის ნიშან-თვისებანი აღურაცხელია, რამეთუ, არსებითად, ეს — ღმერთკაცის — ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ნიშან-თვისებანია, მ ი ს მიერ კი — სამპიროვანი ღმრთაებისა, ყოვლადწმიდა სამებისა. მაგრამ მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების (კონსტანტინოპოლი, 381 წ.) წმიდა და ღმრთივგანბრძნობილმა მამებმა, სულიწმიდის კარნახით აღძრულებმა, ოთხ უმთავრეს ნიშან-თვისებამდე დაიყვანეს ისინი მეცხრე წევრში სარწმუნოების სიმბოლოსი: „მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე (ანუ საზოგადო-საყოველთაო) და სამოციქულო ეკლესია". დიახ, სწორედ ეს არის უმთავრესი ნიშან-თვისებანი ქრისტეს ეკლესიისა: ერთიანობა, სიწმიდე, საყოველთაობა და სამოციქულობა, — და ყველა ეს ნიშან-თვისება გამომდინარეობს ეკლესიის თვით არსებიდან, ბუნებიდან და მისი მიზნიდან. ისინი ცხადად, ზუსტად განსაზღვრავენ ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის ხასიათს, რომლითაც იგი, ვითარცა ღმერთკაცობრივი დაწესებულება და საზოგადოება, ყველა სხვა ადამიანური საზოგადოებისაგან განსხვავდება.

1. ერთიანობა და ერთადერთობა ეკლესიისა

როგორადაც ღმერთკაც იესო ქრისტეს პიროვნებაა ერთიანი და ერთადერთი, ამგვარადვე ეკლესიაც, დაფუძნებული მ ი ს მიერ, მასში და მასზე, ერთიანი და ერთადერთია. ეკლესიის ერთიანობა გარდუვალად გამომდინარეობს ერთიანობისაგან ღმერთკაცისა — იესო ქრისტესი. ღმერთკაცობრივი, ორგანიზმი ორგანულად ერთიანი და ერთადერთია. ამიტომაც ეკლესია არ შეიძლება განიყოს რომელიმე კანონით, რადგან ყოველგვარი განყოფა მისი სიკვდილის მომასწავებელი იქნებოდა. მთლიანად ღმერთკაცში გიებული, იგი, უპირველესად, წარმოადგენს ღმერთკაცობრივ ორგანიზმს, და მხოლოდ ამის შემდგომ — ღმერთკაცობრივ ორგანიზაციას. მასში ყოველივე ღმერთკაცობრივია: ბუნებაც, სარწმუნოებაც, სიყვარულიც, ნათლისღებაც, ევქარისტიაც, ყოველი სხვა საიდუმლოც, ყოველი სხვა წმიდა

სათნოებაც, მთელი მისი სწავლებაც, მთელი მისი ცხოვრებაც, უკვდავებაც, მარადიულობაც და მთელი მისი აგებულება თუ მოწყობაც; ყველაფერი მასში ღმერთკაცობრივად ერთიანი და განუყოფელია: განათლება-კურთხევაც, განღმრთოებაც, ცხოვნებაც და ქრისტესთან შეერთება, ანუ მის მიერ ყოვლადწმიდა სამებასთან შეერთებაც. ყოველივე ქრისტეს ეკლესიაში ორგანულად და მადლის მიერ არის შეკავშირებული ერთ ღმერთკაცობრივ სხეულში მისი ერთი თავის — უფალ იესო ქრისტეს წინამძღვრობით, და ყველა მისი ნაწილი, ყოველთვის, გამთლიანებულნი და ერთადერთნი როგორც ცალკეული პიროვნებანი, შეერთებული არიან სულიწმიდის მადლით წმიდა საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით ორგანულ ერთიანობად, — ანუ ყოველნი ერთად შეადგენენ ერთ სხეულს, აღიარებენ ერთ სარწმუნოებას, რომელიც მათ ღმერთკაც იესო ქრისტესთან შეაერთებს და ერთურთთანაც.

ღმერთშემოსილი წმიდა მოციქულები ღვთივსულიერად ლაპარაკობენ ეკლესიის ერთიანობისა და ერთადერთობის შესახებ, და ამას ყოველთვის ასაბუთებენ ეკლესიის დამაფუძნებელის — უფალ იესო ქრისტეს ერთიანობითა და ერთადერთობით: „რამეთუ საფუძველი სხვაი (ეკლესიისათვის) ვერვის ხელეწიფების დადებად გარეშე მისსა, რომელ-იგი დადებულ არს, — რომელ არს იესუ ქრისტე“ (I კორინთ, 3, 11).

წმიდა მოციქულების კვალობაზე ეკლესიის წმიდა მამებიცა და მოძღვრებიც ქერუბიმთამიერი სიბრძნითა და სერაბიმთამიერი მოშურნეობით გულმოდგინედ აღიარებენ ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობასა და ერთადერთობას. ამიტომაც სავსებით გასაგებია მათი მგზნებარე კვეთება ეკლესიისაგან ნებისმიერი კონკრეტული გამოყოფისა და მოცილების შემთხვევებში, და ასევე გასაგებია მათი მკაცრი მიმართებაც მწვალებლობებისა და განხეთქილებებისადმი. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობისაა წმიდა მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებები. ამ კრებების მამათა შეხედულებით, ეკლესია არამხოლოდ ერთადერთია, არამედ — ერთიანიც. როგორც თვით ღმერთკაცს — უფალ იესო ქრისტეს არ შეიძლება რამდენიმე სხეული ჰქონდეს, ასევე შეუძლებელია მას რამდენიმე ეკლესია ჰქონდეს; აქედან გამომდინარე ეკლესიის განყოფა მისი დანაწევრება არსებითად და ონტოლოგიურად შეუძლებელი რამაა, ეკლესიის განყოფა-დანაწევრებანი არასდროს არ მომხდარა. და ეს არც შეიძლება მოხდეს, ხოლო თუკი რამე იყო, რასაც ზოგნი ეკლესიის გაყო-

ფას უწოდებენ, სინამდვილეში ეს მხოლოდ მოწყვეტა და მოშორება იყო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესიისაგან, და მომავალშიც, თუკი რაიმე მოხდება, მხოლოდ ეს შეიძლება მოხდეს, და არა — ეკლესიის განყოფა-დანაწევრება. ამგვარადვე, ის რტონი, რომელთაც არ სურთ, არ ძალუძთ ნაყოფი, გამოიღონ, გამხმარნი მოსწყდებიან მარადის ცხოველმყოფელ ღმერთკაცობრივ ვაზს — უფალ იესო ქრისტეს (შდრ. იოანე 15, 1—6).

ქრისტეს ერთიან მართლმადიდებელ ეკლესიას, ამ განუყოფელ ღმერთკაცობრივ სხეულს სხვადასხვა დროში ბევრი მწვალებელი და განხეთქილებათა შემომღები მოსწყვეტია, ჩამოსცილებია, და ამ მოშორებით ჭეშმარიტი ეკლესიისაგან ისინი უკვე აღარც ყოფილან წევრები მ ი ს ი, ღმერთკაცობრივი სხეულისა. ასე მოსწყდნენ ეკლესიას ჯერ გნოსტიკოსები, მერმე არიოზის მწვალებლობის მიმდევარნი, მათს კვალად კი — სულისმბრძოლნიც (სულიწმიდის უარმყოფელნი), მონოფიზიტები, ხატთმბრძოლნი, კათოლიკენი (პაპისტები) — მომავალი პროტესტანტების ჩათვლით, უნიატები..., — ერთის სიტყვით, ყველა წევრი მწვალებლური და განხეთქილებისეული ლეგიონისა (შდრ. მარკ. 5, 9).

2. ეკლესიის სიწმიდე

თავისი ღმერთკაცობრივი ბუნების წყალობით ეკლესია, უეჭველად, ერთადერთი, განუმეორებელი დაწესებულებაა ამქვეყნიურ სამყაროში, და სწორედ მის ასეთ ბუნებაში მდგომარეობს მისი სრული სიწმიდეც. მართლაც, ეკლესია წარმოადგენს ღმერთკაცობრივ სახელოსნოს ადამიანთა კურთხევა-განათლებისათვის, მათი მეშვეობით კი — ყველა სხვა ქმნილების განათლებისა და კურთხევისათვის. ეკლესია წმიდაა, ვითარცა იესო ქრისტეს ღმერთკაცობრივი სხეულიც რომლის უკვდავი თავიც და წინამძღვარიც — თვით უფალია, სული კი ეკლესიისა — სულიწმიდაა. ამიტომაც ეკლესიაში ყოველივე წმიდაა: მისი სწავლებაც, მისი მადლიც, მისი საიდუმლონიც, სათნოებანიც, მისი ყველა ძალაცა და ყველა საშუალებაც, რომლებსაც ეკლესია ადამიანებისა და სხვა ქმნილებების განწმედა-კურთხევისათვის იყენებს. რაკი ადამიანებისადმი თავისი უსაზღვრო სიყვარულის გამო უფალი ეკლესიად შეიქნა თავისი ხორციელ-ქმნისა და განკაცების გზით, მ ა ნ განწმიდა ეკლესია თავისი ჯვარზე ვნებითა და სიკვდილით, მკვდრეთით აღდგომითა და ზეცად ამაღლებით, თავისი საღმ-

რთო სწავლებით, სასწაულთმოქმედებებით, მარხვა-ლოცვით, საიდუმ-ლოებებით და სათნოებებით, — ერთის სიტყვით, როგორც პავლე მოციქული ამბობს, მთელი თავისი ღმერთკაცობრივი ცხოვრებით: „...ქრისტემან შეიყვარა ეკლესიაი და თავი თვისი მისცა მისთვის, რა-ითა იგი წმიდა-ყოს, განწმიდა იგი საბანელითა მით წყლისაითა და სიტყვითა, რაითა წარუდგინოს თავადმან თავსა თვისსა დიდებულად ეკლესიაი, რაითა არა აქვნდეს მწინკულევანება, არცა ნაოჭ ბრძვილი-სა, არცა სხვაი რაი ესევითარი, არამედ რაითა იყოს წმიდა და უბიწო“ (ეფეს. 5, 25—27).

მაგრამ სახარებისეული და მთელი შემდგომი ისტორიაც ხარები-სა ასეთია: ეკლესია აღსავსეა, და ძალზე მძაფრადაც, ცოდვილებით. და განა აკნინებს, განა დაამცრობს მათი ყოფნა ეკლესიაში მის სიწ-მიდეს? განა დაარღვევს, განა მოსპობს ეკლესიის სიწმიდეს? — არა, არანაირი სახით არ დაამცრობს და არ მოსპობს, რადგან ეკლესიის სიწმიდე დაუმცრობელი და მარადის უცვალებელია მისი თავის — იესო ქრისტეს სიწმიდის ძლით, და მისი სულის — სულიწმიდის სიწ-მიდის გამო. ასევე მარადიულად და უცვალებლად წმიდაა ეკლესიის ღვთაებრივი მოძღვრება, მისი საიდუმლონი, და სათნოებანი. ეკლე-სია — ანუ ღმერთკაცი იესო ქრისტე — მშვიდი მოთმინებით შეიწყნა-რებს ცოდვილებს, დამოძღვრავს მათ, სურს აღძრას სინანულისთვის, განაღვიძოს მათში ძალები სულიერი გამოჯანმრთელებისა და გარ-დაქმნისათვის. ამიტომაც ეკლესიის სიწმიდე ცოდვილების ყოფნით მის წიაღში არ მცირდება. მხოლოდ შეუნანებელი ცოდვილები, რომ-ლებიც ჯიუტად ადგანან თავიანთ ბოროტებას, თავიანთ ღვთისმბრძოლ მტრობას, — მხოლოდ ასეთი ჯიუტი ცოდვილები მოიკვეთებიან ეკლე-სიის სხეულისაგან ხილული ქმედებებით ღმერთკაცობრივი საეკლე-სიო ხელისუფლების მხრიდან, ანდა უხილავი, მაგრამ ძალმოსილი ქმედებით ღვთის სამსჯავროსი. ამიტომაც ამ შემთხვევაშიც ყოვლად-შეურყვნელი რჩება ეკლესიის სიწმიდე. წმიდა პავლე მოციქულის სიტყვით, „...გარეშენი იგი ღმერთმან განიკითხნეს; და მოჰსპოთ უკე-თური იგი თქვენ შორის“ (I კორინთ. 5, 13).

წმიდა მამებმა თავიანთი ნაშრომ-ნაღვაწითა და წმიდა საეკლესიო კრებებზე გამოსვლებით ქმედითად აღიარეს ეკლესიის სიწმიდე რო-გორც მისი არსებითი და აუცილებელი ნიშან-თვისება. მეორე მსოფ-ლიო კრების წმიდა მამებმა, როგორც ვთქვით, დოგმატის სიმაღლედ აქციეს ეკლესიის სიწმიდე მეცხრე წევრში მრწამსისა. და ეს სხვა საეკლესიო კრებებმაც დაადასტურეს.

8. ეკლესიის კათოლიკობა (საყოველთაობა)

ეკლესიის თვით ღმერთკაცობრივი ბუნებაა, თავისი არსით, ყოვლისმომცველი, საზოგადო და საყოველთაო, და იგი ღმერთკაცის მთელ სამყაროს მოიცავს. უფალმა იესო ქრისტემ თავისი თავით, თავის მიერ და თავის თავში ყველაზე სრულყოფილი სახით შეაერთა ერთმანეთთან ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებანი, ღმერთი და ადამიანი, ხოლო ადამიანის მეშვეობით — მთელი დანარჩენი ქმნილებაც თვისი. მთელი ქმნილების ბედი, არსებითად, სწორედ ადამიანთან და მის ბედთანაა დაკავშირებული (იხ. რომ. 8, 19, 24). თავისი ღმერთკაცობრივი ორგანიზმით ეკლესია მოიცავს „...ყოველივეს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ხილულთა და არახილულთა, ანუ თუ საყდართა, ანუ თუ უფლებათა, გინა თუ ხელმწიფებათა...“ (კოლას. 1, 16). ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში ყოველი მისი წევრი მთელის სავსებით ცხოვრობს თავისი პიროვნებისა როგორც მისი ცოცხალი, ღვთისმსგავსი უჯრედი. ღმერთკაცობრივი საზოგადოების, საყოველთაობისა და ერთობის კანონი ყოველივეს მოიცავს და ყოველივეთი მოქმედებს, ამასთანავე, ყოველთვის დაცულია ღმერთკაცობრივი წონასწორობა ღვთაებრივსა და ადამიანურს შორის. ჩვენ, ეკლესიის წევრები, ჩვენი არსების მთელს სისრულეს განვიცდით მასში ყოფნით, და ეს განცდა ხდება ყველა საზომით ღვთისმსგავსებისა. კვალად, ეკლესიაში ადამიანი თავის არსებას განიცდის ვითარცა უმაღლეს არსებას, ანუ ღმერთის მსგავს არსებად; ანუ თავის თავს განიცდის არამხოლოდ ვითარცა ადამიანს, არამედ როგორც უმაღლეს ქმნილებასაც, — ერთის სიტყვით, როგორც მადლმოსილ ღმერთკაცს, ღმერთს — მადლისმიერ.

ღმერთკაცობრივი საზოგადოობა, საყოველთაობა ეკლესიისა სინამდვილეში არის ადამიანის განუწყვეტელი მადლმოსილი და ნებაყოფლობითი ყოფნა ქრისტეში: ყოველივე თავს იყრის ქრისტეში, ყველა და ყველაფერი მ ი ს მიერ განიცდება როგორც შემადგენელი ნაწილი მისი ღვთაებრივი არსებისა, როგორც ერთი განუყოფელი ღმერთკაცობრივი ორგანიზმი, რადგანაც ცხოვრება ეკლესიაში ნიშნავს არსებობას მადლმოსილი ერთობით, საზოგადოობით, მადლმოსილი სათნო ღვაწლით განათლებისა, გარდაქმნისა, ხსნისა, უკვდავებისა და მარადიულობის შეძენისა, ღმერთკაც იესო ქრისტეს ნაწილად გადაქცევისა, მ ი ს მიერ კი — ყოვლადწმიდა სამების განუყოფელ ნაწილად გადაქცევისა. საზოგადოება, საყოველთაობა ეკლესიისა დაცუ-

ლი და შენარჩუნებულია ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც თავის თავში ყველაზე სრულყოფილი სახით აერთიანებს ღმერთსა და ადამიანს, ადამიანის მიერ კი — მთელს დანარჩენ ქმნილებასაც, რომელიც **მ ი ს მ ა** ძვირფასმა სისხლმა განბანა და განწმიდა ცოდვისაგან, ბოროტებისა და სიკვდილისაგან (შდრ. კოლას. 1, 19—22). ღმერთკაცობრივი პიროვნება იესო ქრისტესი — სული და გულია ეკლესიის საზოგადოებისა, საყოველთაობისა, რამეთუ სწორედ ქრისტეა „აღვსებაი იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო" (ეფეს. 1, 23), — და ამიტომაც ეკლესია არის კათოლიკე, ანუ მსოფლიო, საყოველთაო, საზოგადო — საერთო დაწესებულება თავისი ყოველი წევრით, თითოეული უჯრედით, და ეს საყოველთაობა წმიდა მოციქულების მიერ არის დადასტურებული, წმიდა მამების, წმიდა მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების მიერაა დამტკიცებული.

4. საზოციქულოობა ეკლესიისა

წმიდა მოციქულები — პირველნი ღმერთკაცნი იყვნენ ამქვეყნად მადლის მიერ. თითოეული მათგანი მთელი თავისი ცხოვრებით, პავლე მოციქულთან ერთად, უფლებამოსილია გვითხრას: „...ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე" (გალატ. 2, 20), — ანუ უკვე მე კი არ ვცოცხლობ და ვმოქმედებ, არამედ ჩემი მეშვეობით ქრისტე ცოცხლობს და მოქმედებს ჩემშიო. ყოველი მათგანი — ეს არის განმეორებული გზა იესო ქრისტესი, ყოველი მათგანი — ეს თვით ქრისტეა, ანდა უფრო ზუსტად თუ ვიტყვით — მათში განცხადებული ქრისტე. ყოველივეცა მათში — ღმერთკაცობრივია, რადგანაც ყველაფერი მათ ღმერთკაც იესო ქრისტესაგან აქვთ მიღებული. მოციქულობაც სხვა არაფერია, თუ არ ღმერთკაცობა ჩვენი უფლისა იესო ქრისტესი, ადამიანის თავისუფალი ნებით შეთვისებული წმიდა სათნოებათა მოღვაწეობით: რწმენისა, სიყვარულისა, სასოებისა, მარხვა-ლოცვისა და სხვათა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველივე ადამიანური მათში ღმერთკაცით და ღმერთკაცის მიერ ცხოვრობს — აზროვნებს, გრძნობს, სურს და მოქმედებს მხოლოდდამხოლოდ **მ ი ს ი თ** და მის მიერ. მათთვის იესო ქრისტე უზენაესი ღირებულება და საზომია. ყველაფერი მათში ღმერთკაცისაგანაა, ღმერთკაცისთვისაა და ღმერთკაცისმიერია, — ასეა ყოველთვის და ყველგან. და ეს მოციქულთა უკვდავებას წარმოადგენს უკვე აქვე, ამქვეყნიურ დროსა და სივრცეში, რამეთუ ისინი ამქვეყნიურ ცხოვრებაშივე არიან დაკავ-

შირებულნი, მთლიანად შერთულნი იესო ქრისტეს მთელს ღმერთკაცობრივ მარადიულობასთან, საუკუნოობასთან.

ღმერთკაცობრივმა მოციქულობამ სრულყოფილად ჰპოვა თავისი გაგრძელება ამქვეყნად მათს მემკვიდრეთა — ეკლესიის წმიდა მამების სახით, რომლებიც მათს მსგავსადვე იყვნენ ღმერთშემოსილნი, და მათ შორის, არსებითად, არანაირი განსხვავება არ არის: ყოველ მათგანში ცალკეა და ყველაში — ერთობლივ ცხოვრობს, მოქმედებს და დამკვიდრებულია ღმერთკაცი იესო ქრისტე, რომელი „გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე" (ებრ. 13, 8). წმიდა მამები ნამდვილად განაგრძობენ და აღასრულებენ უფლის წმიდა მოციქულების საქმეს, — როგორც განსაკუთრებულად წმიდა, მადლმოსილი პირიერარქებანიც, როგორც მღვდელმთავრებიც ადგილობრივი ეკლესიებისა და როგორც წევრებიც, მონაწილეებიც წმიდა საეკლესიო კრებებისა — მსოფლიოთა და ადგილობრივთა, და მართლაც, წმიდა მსოფლიო კრებები, დაწყებული პირველით (ნიკეა, 325 წ.) და დამთავრებული უკანასკნელით — მეშვიდეთი (ნიკეა, 787 წ.) ჭეშმარიტი სარწმუნოებით და მართლიად აღიარებენ, განადიდებენ და ფხიზლად იცავენ ერთადერთს რასმე — ღმერთკაც იესო ქრისტეს და მის ღმერთკაცობრივ ეკლესიას.

უმთავრესი წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის საღმრთო გადმოცემაში არის ის, რომ ღმერთკაცი იესო ქრისტე მთელი თავისი სრულყოფილებით ცხოვრობს ეკლესიაში და არის მისი მარადიული, უკვდავი წინამძღვარი — თავი. სწორედ ეს არის უდიდესი ხარება წმიდა მოციქულებისა და წმიდა მამებისა; მათ სხვა არა უწყიან რა, თვინიერ ჯვარცმული ქრისტესი, მკვდრეთით აღმდგარი ქრისტესი, თვინიერ ზეცად ამაღლებული ქრისტესი. ყველა ისინი მთელი თავიანთი ცხოვრებითაც და მთელი თავიანთი სწავლა-მოძღვრებითაც მხოლოდ ამას გვიმოწმებენ: ღმერთკაცი იესო ქრისტე მთლიანად ჰგიებს თავის ეკლესიაში, ვითარცა თავის სხეულში. და ყოველ წმიდა მამას სამართლიანად შეუძლია მაქსიმე აღმსარებელთან ერთად ეს განაცხადოს: „მე არასდროს, არც ერთ შემთხვევაში არაფერს ჩემსას არ ვლაპარაკობ, რამეთუ მხოლოდ იმას ვიტყვი, რაც წმიდა მამათაგან მისწავლია, და ვიტყვი ისე, რომ იოტისოდენსაც არ შევცვლი მათს სწავლებაში"[1].

---

[1] წმიდა მაქსიმე აღმსარებელი. XV ეპისტოლე, ბერძნ. პატროლოგია, ტომი 91, გვ. 544 D.

წმიდა იოანე დამასკელის უკვდავი ხარებაც წმიდა ღმერთშემოსილი მამების აღმსარებლობითა და სულისკვეთებით არის განმსჭვალული, როცა ასე დაგვმოძღვრავს: „ყოველივეს, რაც ჩვენ გადმოგვეცა სჯულისა და წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და მახარებელთა მეშვეობით, მივიღებთ, დიდად ვაფასებთ და ვიცით კიდეც ეს, რამეთუ ამაზე მეტი და აღმატებელი ჩვენ არაფერი გვაქვს... მაშ, მთლიანად დავკმაყოფილდეთ ამით, ამაზე ვიდგეთ და ზედმიწევნით აღვასრულოთ საღმრთო წერილის ბრძანება, რომელიც გვეტყვის: „ნუ სცვალებ საზღვართა საუკუნეთა, რომელი დადვეს მამათა შენთა!“ (იგავნი 22, 28), — და ნუ დავარღვევთ წმიდა საღმრთო გადმოცემას“[1]. ამიტომაც ეს გულისშემძვრელი წმიდამამობრივი მოწოდება იოანე დამასკელისა განკუთვნილია ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის, რადგან ჭეშმარიტებას გვიღაღადებს: „მაშ, მტკიცედ ვიდგეთ, ძმანო, საეკლესიო გადმოცემაზე, როგორც კლდეზე ჩვენი სარწმუნოებისა, — ნუ შევცვლით იმ საუკუნო საზღვრებს, რომელნიც ჩვენს მამებს დაუდვიათ, და ნურც ადგილს მივცემთ იმათ, ვისაც სიახლენი სურს, ვისაც განახლების საბაბით დარღვევა და დაქცევა მონდომებია ეკლესიის შენობისა, ღმერთის წმიდა და სამოციქულო ეკლესიისა. რამეთუ თუკი ყოველნი თავიანთი ნებისმიერ მოიქცევიან, მაშინ ნელ-ნელა, თანდათანობით მთლიანად დაირღვევა ეკლესიის სხეული“[2].

წმიდა საღმრთო გადმოცემა მთლიანად და სრულად — ღმერთკაც იესო ქრისტესაგანაა, წმიდა მოციქულთაგან და წმიდა მამებისაგანაა, — ანუ ქრისტეს ეკლესიისაგანაა. და იგი მხოლოდ ეკლესიაში და ეკლესიის მიერ არის დაცული, და წმიდა მამებიც დამცველ-შემნახავნი არიან ამ, ყველაზე ძვირფასი განძისა — წმიდა საღმრთო სამოციქულო გადმოცემისა. ყველა ისინი, ისევე, როგორც წმიდა მოციქულები, მხოლოდ მოწმენი და დამადასტურებელნი არიან დიადი ჭეშმარიტებისა — ჩვენი უფლისა და ღმერთკაცის იესო ქრისტესი, რომელსაც ისინი დაუდუმებლად ქადაგებენ, რამეთუ, როგორც მათ ეკლესიაში განადიდებენ, — ისინი „ყოვლად ოქროპირნი არიან სიტყვა-ღმერთისა“ (სტრიქონი ცისკარზედ — „აქებდით...“, მე-7

---

[1] წმიდა იოანე დამასკელი. მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა წ. I, თ. I, ბერძნ., პატრ., ტ. 94, გვ. 792 A; ქართული თარგმანი იხ. კრებულში „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“, წიგნი II, თბ., 1991, გვ. 158.

[2] მისივე De imagin, Orat III, 41; Patr. graec., t. 94, col. 1356.

კვირას ქრისტეს აღდგომიდან, პირველი მსოფლიო კრების წმიდა მამების ხსენების დღეს).

სამოციქულო მემკვიდრეობითობას და გადმოცემას მთლიანად ღმერთკაცობრივი ბუნება აქვს ყოველივეში. რას გადასცემენ წმიდა მოციქულები თავიანთ მემკვიდრეებს და რის წმიდად დამარხვას დაუდებენ მცნებად? — რა თქმა უნდა, თვით ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, — ეკლესიის ამ ერთადერთი თავისა და წინამძღვარისა, — მ ი ს ი ყველა წარუვალი სიმდიდრითურთ. და თუ ეს არ გადაეცემა მემკვიდრეობად, მაშინ ის, რასაც მემკვიდრეობად გადასცემენ, აღარც ყოფილა ნამდვილად სამოციქულო მემკვიდრეობა, და მაშინ აღარც თვით სამოციქულო წმიდა გადმოცემა არსებულა, აღარც სამოციქულო იერარქია და აღარც სამოციქულო ეკლესია!...

წმიდა საეკლესიო გადმოცემა არის სახარება უფალ იესო ქრისტესი, და ეს თვით იესო ქრისტეცაა, რომელიც სულიწმიდის მიერ შესახლდება და ცხოვრობს ყოველი მართალი მორწმუნის სულში, მთელს ეკლესიაში. და ყველაფერი, რაც ქრისტესია, სულიწმიდის ძლით ჩვენიც ხდება, ადამიანური, რაც მხოლოდ ეკლესიაში აღესრულება. ეკლესიის განმაცხოველებელი სული — სულიწმიდა ყოველ მორწმუნეს შეზრდის ეკლესიის სხეულში და ღმერთკაცის თანამოზიარედ, თანა-მყოფად შექნის (ეფეს. 3, 6). და მართლაც, სულიწმიდა თავისი ღვთაებრივი მადლის ზემოქმედებით გარდაქმნის ყოველ მორწმუნეს და ყოველ ღვთისმსგავსებას წარმოაჩენს მასში. რამეთუ განა სხვას რას უნდა ნიშნავდეს ეკლესიაში ცხოვრება, თუ არ მადლისმიერ განღმრთოებას ყოველი მორწმუნისას, აღსრულებულს მათი პირადი სახარებისეული სათნოებების მოღვაწეობით, ეკლესიაში მათი შესვლისა და ქრისტეს სხეულად მათი გარდაქმნის გზით?! ქრისტიანის მთელი ცხოვრება ეკლესიაში არის განუწყვეტელი დღე სულთმოფენობისა, სულიწმიდა საღმრთო საიდუმლოთა და სათნოებათა გზით თვით ქრისტეს ანიჭებს თითოეულ მორწმუნეს, შექნის რა მ ა ს ჩვენს ცხოველ გადმოცემად, ჩვენს მარადიულ ცხოვრებად. „ქრისტე არის... ცხორებაი იგი ჩვენი“ (კოლას. 3, 4), ხოლო ამის ძლით ყველაფერი, რაც კი ქრისტეს ეკუთვნის, ჩვენს მარადიულ კუთვნილებადაც შეიქნება: მ ი ს ი ჭეშმარიტებაც, მისი სიმართლეც, მისი სიყვარულიც, მისი ცხოვრებაც და, მთელი მისი ღვთაებრივი ჰიპოსტასი.

წმიდა გადმოცემა — ეს თვით ღმერთკაცია, უფალი ჩვენი იესო

ქრისტე ყველა სიმდიდრითურთ თავისი საღმრთო ჰიპოსტასისა, ხოლო მის მიერ და მის გამო — სრულიად წმიდა სამებისა. ეს ყველაზე სრულყოფილად წმიდა ევქარისტიაშია გამოხატული, რომელშიც ჩვენთვის, ჩვენი ცხოვნებისათვის ყოველთვის ხორციელდება და მეორდება ღმერთკაცობრივი მოღვაწება ხსნისა. აქ თვით ღმერთკაცია ყველა თავისი საკვირველი ნიჭით, — აქაც და საერთოდ, მთელს ლოცვითს, საღვთისმსახურო ცხოვრებაში ეკლესიისა; ყოველივე ამაზე გადმოიღვრება ყოვლადკაცთმოყვარე ხარება მაცხოვარისა: „და აჰა ესერა, მე თქვენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ამინ“ (მათე 28, 20), — ყველა მოციქულთან ერთად და მათი მეშვეობით ყველა ერთგულ მორწმუნესთან ერთად უკუნისამდე, ქვეყნის დასასრულამდე და მერმეც, სამარადისოდ! — აი, ამაში მდგომარეობს წმიდა გადმოცემა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისა: ცხოვრებაში ქრისტეს მიერ — ცხოვრებაში ყოვლადწმიდა სამების მიერ, — ანუ გადაქცევაში ქრისტეს განუყოფელ ნაწილად, მის მიერ კი — ყოვლადწმიდა სამების ნაწილად (შდრ. მათე 28, 19—20).

მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ის, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში საღმრთო გადმოცემას — მარადის ცხოველსა და ცხოველმყოფელს — შეადგენენ: წმიდა ლიტურგია, სხვა წმიდა ღვთისმსახურებანი, საღმრთო საიდუმლონი და სათნოებანი, — ანუ მთელი ეს საუკუნო ჭეშმარიტება და საუკუნო სიმართლე, სიყვარული, მთელი საუკუნო ცხოვრება, სრული ღმერთკაცი იესო ქრისტე, სრული წმიდა სამება, მთელი ღმერთკაცობრივი ცხოვრება ეკლესიისა მთელს მის ღმერთკაცობრივ სისავსეში — ყოვლადწმიდა ღვთისმშობელთან და ყველა წმიდანთან ერთად ეკლესიისა.

ღმერთკაც იესო ქრისტეს პიროვნება, ფერცვალებული ეკლესიად და ლოცვითს, ღვთისმსახურებითს უნაპირო ზღვად ღვთაებრივი მადლისა მთლიანად მუნმყოფობს ევქარისტიაში და მთლიანადვეა ეკლესიაში, — აი, ეს არის წმიდა გადმოცემა. სწორედ ამ ჭეშმარიტებას გვახარებენ და აღიარებენ ეკლესიის წმიდა მამები და წმიდა მსოფლიო საეკლესიო კრებები. ლოცვითა და კეთილმსახურებით დაიცვება წმიდა გადმოცემა ყოველგვარი ადამიანური დემონიზმისაგან და ეშმაკისმიერი ჰუმანიზმისაგან, და სწორედ წმიდა გადმოცემაშია დამკვიდრებული სრულიად იესო ქრისტე, ჩვენი ღმერთი და უფალი, რომელიც არის კიდეც საუკუნო საღმრთო გადმოცემა ეკლესიისა. „და აღსარებულად დიდ არს ღმერთის მსახურებისა საი-

დუმლოი: ღმერთი გამოჩნდა ხორცითა" (I ტიმ. 3, 16), — გამოჩნდა როგორც ადამიანი, როგორც ღმერთკაცი, როგორც ეკლესია, და თავისი კაცთმოყვარე მოღვაწეობით ადამიან-ს არსება აღამაღლა და განადიდა უმაღლეს ქერუბიმთა და სერაბიმთა.

მეერგასის დღე (სულთმოფენობა)

რას წარმოადგენს ღმერთკაცი იესო ქრისტე? — რა არის მასში — ღმერთი, და რა არის მასში — ადამიანი? როგორ შეიცნობა ღმერთკაცში — ღმერთი, და როგორ — ადამიანი? — ყოველივე ამას ჩვენ სულიწმიდა განგვიცხადებს — „სული ჭეშმარიტებისაი"; სწორედ იგი გვაძლევს ჩვენ, ადამიანებს, განცხადებულად სრულყოფილ ჭეშმარიტებას ღმერთკაც იესო ქრისტეს შესახებ, და იმასაც განგვიცხადებს, რომ ჩვენ ყოველივე სწორედ ღმერთკაცისაგან გვაქვს მიღებული. მაგრამ რა არის ეს — ყოველივე, რაც ჩვენ ღმერთკაცისაგან მიგვიღია? — მ ი ს გ ა ნ მონიჭებული ყველაფერი განუზომლად აღემატება ყოველივე იმას, რაც თვალს უხილავს, ყურს მოუსმენია და გულს ადამიანისას მოსურვებია (შდრ. იოანე 15, 26; 16, 13; I კორინთ. 2, 4—16; ეფეს. 3, 5).

თავისი ხორციელი ცხოვრებით ამქვეყნად ღმერთკაცმა იესო ქრისტემ თავისი ღმერთკაცობრივი სხეული — ეკლესია დაარეფუძნა და ამით განამზადა კიდეც ამქვეყნიური სამყარო სულიწმიდის მოვლინებისათვის, მისი ცხოვრებისათვის და მოქმედებისათვის ეკლესიის სხეულში, — სულიწმიდისა ვითარცა ამ ღმერთკაცობრივი სხეულის განმაცხოველებელი საღმრთო სულისა. წმიდა მეერგასის დღეს (ანუ 50-ე დღეს ქრისტეს აღდგომიდან) სულიწმიდა გარდამოხდა ზეცით ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულზე და სამარადისოდ დაიმკვიდრა მასში ვითარცა მისმა ცხოველმყოფელმა სულმა (საქმე მოციქ. 2, 1—47). ეკლესიის ამ ხილულ სხეულს მეერგასის დღისათვის — სულთმოფენობისათვის შეადგენდნენ უფლის წმიდა მოციქულები და ყოველადწმიდა ღვთისმშობელი, რომელნიც აღსავსე იყვნენ რწმენით ღმერთკაცის — უფალ იესო ქრისტესადმი ვითარცა სამყაროსა და ადამიანის მხსნელისადმი, ვითარცა სრულყოფილი ღმერთისა და სრულყოფილი ადამიანისადმი. გარდამოსვლაცა და მთელი მოქმედებაც სულიწმიდისა ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხე-

ულში აღესრულება ღმერთკაცისათვის, მ ი ს ი თ, მის მიერ და მისი გულისათვის (შდრ. იოანე 16, 7—13; 15, 26; 14, 26): მისთვის და მის გამო მოვიდა ქვეყნად სულიწმიდაო, — ნათქვამია დაუჯდომელ ლოცვაში ტკბილი იესოისა. ხსნის ღმერთკაცობრივ განგებულებაში ყოველივე უფალ იესო ქრისტეს მიერ არის დადგენილი და აღესრულება კიდეც მ ი ს მიერ და მასში როგორც ღმერთკაცში. ასევეა ქმედებაც სულიწმიდისა: იგი მთლიანად თანა-არსია ადამიანის ხსნის ღმერთკაცობრივი მოღვაწეობისა — იესო ქრისტეს მაცხოვნებელი ქმედებისა. მეერგასის — სულთმოფენობის დღეს სამპიროვანი ღმერთის უკვდავი ნიშნი — მადლი სულიწმიდისა მხოლოდ მოციქულებზე (და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელზე) გარდამოხდა, — ანუ წმიდა მოციქულებრივ რწმენაზე, წმიდა სამოციქულო გადმოცემაზე, წმიდა სამოციქულო იერარქიაზე — ყველაფერ იმაზე, რაც მოციქულთაა და სამოციქულოა, — ანუ ყოველივე იმაზე, რაც ღმერთკაცობრივია.

სულთმოფენობის დღე, რომელიც მეერგასის (ორმოცდამეათე) დღეს დაიწყო უფლის ბრწყინვალე აღდგომიდან, განუწყვეტლივ გრძელდება ეკლესიაში გამოუთქმელი სიხარულით ყველა ღვთაებრივი ნიჭისა და ცხოველმყოფელი ძალისა (შდრ. საქმე მოციქ. 10, 44—48; 11, 15—16; 15, 8—9; 19, 6). ყოველივე ეკლესიაში — მცირიდან უდიდესამდე — უკლებლივ ყველაფერი სულიწმიდის მიერ აღესრულება. როცა გუნდრუკის კმევის წინ მღვდელმსახური სასაკმეველს აკურთხებს, იგი ევედრება უფალ იესო ქრისტეს — გარდამოავლინე მადლი სულიწმიდისაო; როცა გამოუთქმელი საღმრთო სასწაული — წმიდა მეერგასის დღე — სულთმოფენობა კვლავაც ხელახლად აღესრულება ეპისკოპოსის ხელდასხმის დროს, მაშინ მას მთელი სისრულე მოენიჭება ღვთაებრივი მადლისა, და ამით ხიროტონიის ამ ქმედებაში თვალსაჩინოდ დასტურდება ისიც, რომ მთელი ღმერთკაცობრივი ცხოვრება ქრისტეს ეკლესიაში სულიწმიდის მიერ აღესრულება... ეჭვი არ არის: უფალი იესო ქრისტე სულიწმიდითაა ეკლესიაში, ეკლესია კი — სულიწმიდითაა უფალ იესო ქრისტეში. უფალი იესო ქრისტე ეკლესიის თავია, სულიწმიდა კი ეკლესიის განმაცხოველებელი სულია (I კორინთ. 12, 1—28). ხსნის ღმერთკაცობრივი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე სულმა წმიდამ თავისი თავი დაუდო საფუძვლად ეკლესიას — ქრისტეს სხეულს, როცა ღმერთის ხორციელ-ქმნა და განკაცება აღასრულა წმიდა ქალწულში.

ამრიგად, ყოველი წმიდა საიდუმლო და საღმრთო სათნოება —

თავისებური მცირე მეერგასის დღეა, სულთმოფენობაა, რამეთუ ამ დროს სულიწმიდა გარდამოვალს ჩვენზე და შემოსახლდება ჩვენს არსებაში, — გარდამოვალს არსისმიერად, არსებითად, რადგანაც იგი არის სიმდიდრე ღმრთაებისა, უსაზღვროება მადლისა მადლი და ცხოვრება ყოველი ქმნილებისა. სულიწმიდით კი თვით უფალი იესო ქრისტე მკვიდრდება ჩვენში, ჩვენ კი — მ ა ს შ ი, — აი, სწორედ ამას გვიმოწმებს სულიწმიდის გარდამოსვლა ჩვენზე და მისი შემოსახლება ჩვენს არსებაში. ჩვენ სულიწმიდით ვცხოვრობთ ქრისტეში, ის კი — ჩვენში, და ეს ჩვენ ვიცით „სულისა მისგან, რომელი მომცა ჩვენ“ უფალმა იესო ქრსტემ (I ოანე 3, 24). ჩვენი ადამიანური სულიც სწორედ სულიწმიდის მიერ განისწავლება იმად, რომ ნამდვილად — სისწორითა და ჭეშმარიტებით შეიმეცნებდეს ქრსტეს. ის, რაც ღმერთშია და ღმერთკაცშია, — ანუ ყოველივე ღვთაებრივი — ჩვენ ღვთაებრივი სულიწმიდის მიერ ვიცით, რომელსაც ქრისტე გვანიჭებს (შდრ. I იოანე 4, 13; I კორინთ. 2, 4—16).

ღმერთკაც იესო ქრისტეს შეცნობისათვის — წმიდა სამების ერთ-ერთი საღმრთო პირისა — ჩვენ გვესაჭიროება დანარჩენი ორი საღმრთო პირის შეწევნა — მამა-ღმერთისა და სულიწმიდა — ღმერთისა (შდრ. მათე 11, 27; I კორინთ. 2, 12). სულიწმიდა არის „სული სიბრძნისა და გამოცხადებისა მეცნიერებითა მისითა“ (ეფეს. 1, 17), რადგანაც ღვთაებრივი სიბრძნით იგი ყოველი მორწმუნის გულში განაცხადებს საიდუმლოს იესო ქრისტესი, ღმერთკაცისა; ამიტომაც ყველა ის, ვინც ამგვარად ეზიარება სულიწმიდის სიბრძნესა და გამოცხადებას, მიდის ჭეშმარიტ შემეცნებამდე იესო ქრისტესი. არანაირ ადამიანურ სულს არანაირი ძალისხმევით — თავისით — არ ძალუძს ქრისტეს საიდუმლოს სრულყოფილი შემეცნება მთელი მისი საღმრთო-მაცხოვნებელი სისრულითა და სიღრმით; ამას მხოლოდ სულიწმიდა განუცხადებს ადამიანურ სულს იმ ზომით, რა ზომითაც ძალუძს მას ამის დატევნა, და სწორედ ამის გამო იწოდება სულიწმიდა „სულად გამოცხადებისა“ (ეფეს. 1, 17; I კორინთ. 2, 10). და ამიტომაც ამბობს წმიდა მოციქული — სულთმეცნიერი პავლე: „არავის ხელ-ეწიფების თქუმად უფალი იესო, გარნა სულითა წმიდითა“ (I კორინთ. 12, 3). სწორედ სულსწმიდას — ამ სულს ჭეშმარიტებისა და სულს გამოცხადებისა მივყავართ ჩვენ ყველა ჭეშმარიტებამდე ქრისტეს ღმერთკაცობრივი პიროვნებისა და მისი ღმერთკაცობრივი განგებულებისა ადამიანის ხსნისათვის; სწორედ მხოლოდ სულიწმიდა დაგვმოძღვრავს და გვასწავლის ყოველივე იმას, რაც ქრისტესია

(იოანე 16, 13; 14, 26; I კორინთ. 2, 6—16). აი, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ქრისტეს მთელი სახარება — ყველა მისეული ღმერთკაცობრივი მოვლენითა და ფაქტით, გამოცხადებადაც იწოდება. და ესევეა მიზეზი იმისა, რომ ეკლესიაში არსებული ყველა წესი, საქმე, მსახურება, საიდუმლო თუ სამუშაო, — ყველაფერი ეს სულიწმიდის ძალისა და მადლის მოწოდებით აღესრულება, მისი მოხმობა — წვევით.

ერთის სიტყვით, მთელი საეკლესიო ცხოვრება, მისი ყველა დაუსრულებელი ღმერთკაცობრივი გამოვლინებით, აღესრულება და წარიმართება სულიწმიდის მიერ, მისი ხელმძღვანელობით, — სულისა, რომელიც მარადის უფალ იესო ქრისტეში ჰგიებს; ამიტომაც არის ნათქვამი საღმრთო წერილში — „უკუეთუ ვისმე სული ქრისტესი არა აქვს, იგი არა არს მ ი ს ი“, ანუ ქრისტესი (რომ. 8, 9). და წმიდა ბასილი დიდიც, ქერუბიმთამიერი სიღრმით მიწევნული ეკლესიის ღმერთკაცობრივ საიდუმლოს, როკორც ყველაზე საკვირველ და დიდ საღმრთო საიდუმლოს, ასე გვიღაღადებს: „სულიწმიდა აღაშენებს ღმერთის ეკლესიას“-ო[1].

მ ა Დ ლ ი

ღვთაებრივი სავსებისაგან, რომელიც ღმერთკაც იესო ქრისტეში განხორციელდა, განუწყვეტლივ გადმოიღვრება აღურაცხელი და აუწყველი საღმრთო ძალნი, ყოვლადაუცილებელნი ადამიანური არსებისათვის ხსნისათვის, განღმრთოების, ეკლესიის წიაღში შესვლის, ქრისტეს თანამოზიარედ და თანა-მყოფად გახდომისათვის, ანუ იმისთვის, რომ სულიწმიდის თანამოზიარე და ყოვლადწმიდა სამების ნაწილად შეიქნას. ყველა ეს ღვთაებრივი ძალა ერთი სიტყვით — მადლით — იწოდება. ამ საღმრთო ძალებში მთელის სისრულით არის დამკვიდრებული ყველა ღმერთკაცობრივი თვისება თუ ხასიათი, და ამიტომ ისინი მთლიანად ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულშია დავანებული, მისგან და მის მიერ არსებობენ. ეკლესიაში ყოველივე ღმერთკაცობრივია, რამეთუ ყველა და ყველაფერი მასში ღმერთკაცს — უფალ იესო ქრისტეს ეკუთვნის. ჩვენი ხსნა — ჩვენი განღმრთოება სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი არსების განუწყვეტელი აღვსება ამ ძალებით — ანუ ჩვენი აღვსება სულიწმიდის ღვთაებრივი

[1] წმიდა ბასილი დიდი. ესაიაზედ, თ. III, ბერძნ. პატრ., ტ. 30, გვ. 289 D.

მადლით... ეკლესიაში და ეკლესიის მიერ მადლი თითქოსდა უნაპირო ოკეანეს საღმრთო ძალებისა, რომელნიც განუწყვეტლივ მოქმედებენ ეკლესიის ღმერთკაცობრივ ორგანიზმში. ღმერთკაცის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც არის კიდეც ეკლესია, ჩვენ მოგვენიჭა ყველა საღმრთო ძალა, აუცილებელი ქრისტესმიერი ცხოვრებისათვის და კეთილმსახური არსებობისათვის ამქვეყანაზე და იმ ქვეყნადაც, საუკუნო ნეტარ ცხოვრებაში (შდრ. II პეტრ. 1, 3—4).

ღმერთკაცის როგორც პიროვნებისა და როგორც ეკლესიის წინაშე ადამიანი დგას თავისი ღვთისმსგავსი ბუნებით. ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანი შემოსილია ღმერთის მსგავსივე თავისუფლებით, ძალზე დიდი, მიუწვდომელი თავისუფლებით. და რაკი თავისუფალი ნებით არის აღჭურვილი, ადამიანს ისიც კი შეუძლია, რომ თავისი შემოქმედი ღმერთი უარყოს და თავისი მტერი — დამღუპველი ეშმაკი შეიწყნაროს. კვალად, თავისი თავისუფალი ნებითვე ყოველ ადამიანს ძალუძს შეიქნას ღმერთად მადლის მიერ, ანდა ეშმაკად — ცოდვით დაცემით. ღვთაებრივი სიბრძნით გამოყენებულ ამ თავისუფალ ნებას ადამიანი ღმერთთან მიჰყავს და მ ი ს არსებასთან შეაერთებს ადამიანის არსებას. ხოლო ბოროტად, უგნურებით გამოყენებულ თავისუფალ ნებას ადამიანი ეშმაკთან მიჰყავს და ბოროტ სულთან შეართებს მას. კაცთა მოდგმის მთელი ისტორიაც ამის მჭევრმეტყველური მოწმე და დამადასტურებელია. ღმერთიც სწორედ იმიტომ ხორციელ-იქმნა და განკაცდა, იმისთვის შეიქნა ადამიანად, რომ ვითარცა ღმერთკაცს თავისი ღმერთკაცობრივი პიროვნებით ეჩვენებინა ადამიანისათვის, ესწავლებინა მისთვის, თუ როგორ შეიძლება საღმრთო სიბრძნით წარვმართავდეთ ჩვენს თავისუფალ ნებას და ჩვენივ თავით აღვაშენებდეთ მადლმოსილ, ქრისტეს მიმსგავსებულ ადამიანს, და ასე მივაღწევდეთ სრულყოფილებას საკუთარი, ღმერთის ხატად და სახედ შექმნილი არსებისა. ხოლო იმისთვის, რომ ამ მიზნის მისაღწევად ძალები მოეცა ადამიანისათვის, ქრისტემ თავის არსებაზე — ღმერთკაცზე დააფუძნა ეკლესია მისი წმიდა საიდუმლოებითურთ და სათნოებებითურთ. და როცა ამ საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით ადამიანი თანამოზიარე და თანა-მყოფი ხდება ქრისტეს ღმერთკაცობრივი სხეულისა — ეკლესიისა (ეფეს. 3, 6), იგი, ამით, აღწევს კიდეც საღმრთო მიზანს, მისთვის დასახულს — შეიქნება ღმერთად მადლის მიერ. მთელი მაცხოვნებელი და ღვთაებრივი სიბრძნე ქრისტიანი ადამიანისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავის თავისუფალ ნებას ნებაყოფლობითვე უმორ-

ჩილებდეს ღვთაებრივ ნებას უფალ იესო ქრისტესი; რამეთუ თვით უფალმაც თავის ღმერთკაცობრივ პიროვნებაში ადამიანური ნება ნებაყოფლობით დაუმორჩილა თავის ღვთაებრივ ნებას. ქრისტეს პიროვნებაში ამ ღმერთკაცობრივ ურთიერთდამოკიდებულებას ღვთაებრივი და ადამიანური ნებელობებისა, ანუ ადამიანური ნების დაქვემდებარებას ღვთაებრივ ნებისადმი ყველაზე სრულყოფილი კანონის და ყველაზე აუცილებელი წესის ძალა აქვს ქრისტეს ღმერთკაცობრივ სხეულში — ეკლესიაში: ჩვენი ადამიანური ნება ჩვენც ნებაყოფლობით უნდა დავუმორჩილოთ უფალ იესო ქრისტეს ნებას, და ასე, წმიდა საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით მოვიპოვოთ ჩვენი ხსნა — განღმრთოვება და საუკუნო ნეტარ ცხოვრება ქრისტესმიერი სიყვარულის სასუფეველში.

ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში სრული მადლი მუნმყოფობა სამპიროვანი ღმრთაებისა და ეს მადლი გვიხსნის ჩვენ ცოდვისაგან, სიკვდილისა და ეშმაკისაგან; ეს საღმრთო მადლი აგვაღორძინებს, განგვანათლებს, გარდაგვქმნის, შეგვაერთებს ქრისტესთან და მისით — სრულ სამპიროვან ღმრთაებასთან, შეგვქმნის რა მ ი ს განუყოფელ ნაწილად. მაგრამ ყოველ ჩვენგანს — მორწმუნე ქრისტიანს — ღვთაებრივი მადლი მოენიჭება ხოლმე „საზომისაებრ ნიჭისა ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 7); ქრისტე კი ამ საღმრთო მადლს ყოველ ადამიანს მისი შრომისა და ღვაწლის საზომისაებრ მიუწყავს, რწმენის საზომისაებრ (I კორინთ. 3, 8): შრომისა სარწმუნოებაში, სიყვარულში, მოწყალებაში, მარხვა-ლოცვაში, მღვიძარებაში, სიმშვიდეში, მოთმინებაში და ყველა სხვა წმიდა საიდუმლოსა და სათნოებაში. ხოლო რაკი თავისი საღმრთო ყოვლისმცნობელობით ღმერთი წინასწარ განჭვრეტს, თუ თითოეული ჩვენგანი როგორ გამოიყენებს მისდა მონიჭებულ ღვთაებრივ მადლსა და ძალებს, ამიტომ უფალი იესო ქრისტე განუყოფს კიდეც თავის საბოძვარს „კაცად კაცადსა მსგავსად ძალისა თვისისა“ (მათე 25, 15). მაგრამ ჩვენს პირად შრომაზე, რწმენაზე და ქრისტეს საღმრთო ნიჭთა განმრავლებაზეა დამოკიდებული ჩვენი ადგილიც ქრისტეს ამ ცხოველმყოფელ ღმერთკაცობრივ სხეულში — ეკლესიაში, რომელიც როგორც ერთიანი, განუყოფელი, ზეციურ-ქვეყნიური ღმერთკაცობრივი არსება ყოველგნით არის განვრცობილი — ამა ქვეყნიდან — ზეცათა უმაღლეს. და რაც უფრო სრულად ცხოვრობს ადამიანი ქრისტესმიერი საღმრთო მადლის სრულყოფილებით, მით უფრო მეტად აქვს მას მიღებული საღმრთო ნიჭნი და მით უფრო უხვად გადმოიღვრება მასზე როგორც

ქრისტეს თანამოზიარეზე ეკლესიის ღმერთკაცობრივი ძალები — მადლი სულიწმიდისა რომელიც განგვწმედს ჩვენ ყოველგვარი ცოდვისაგან, ბიწიერებისაგან, და ცხოველ ღვთისმსგავსებას დაგვიბრუნებს, განგვაღმერთოვებს. ამასთან, თითოეული ჩვენგანი ყველაში და ყველასთვის ცხოვრობს, რამეთუ ჩვენ ყველანი, ერთობლივ, ერთ სხეულს შევადგენთ. ამიტომაც ყოველ ჩვენგანს დიდად უხარის თავის მოყვასთა ნიჭისათვის, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუკი ეს ნიჭნი ჩვენი თანამოძმეებისა ჩვენსაც საკუთარ ნიჭთ აღემატება.

წმიდა საიდუმლონი

ყველა საღმრთო საიდუმლო — წმიდაა. ყოველივემ, რამაც კი არსებობა დაიწყო, სწორედ ყოვლადწმიდა სიტყვა — ღმერთით იწყო არსებობა. ხოლო ყველაფერი, რაც სიტყვა — ღმერთისაგანაა, წმიდა და ღვთაებრივი. სიტყვა — ღმერთის გარეშე არავის და არაფერს არ დაუწყია არსებობა, რამაც კი არსებობა იწყო (იოანე 1, 3; კოლას 1, 16; ებრ. 2, 10). ცათა შინაც და ქვეყანასა ზედაც ყოველივე წმიდაა თვინიერ ცოდვისა, ხოლო ცოდვა არის ბოროტად გამოყენებული თავისუფლება ქმნილებისა, მაგალითად — ეშმაკისა და ადამიანისა. ღმერთისაგან მონიჭებულ თავისუფლებას ბოროტად იყენებენ მაშინ, როცა მას ღმერთის წინააღმდეგ მოიხმარენ; ჩადენილი ცოდვა სიკვდილს წარმოშობს, ხოლო ეშმაკი ორი უმთავრესი ძალით არის აღჭურვილი — ცოდვითა და სიკვდილით. სწორედ მათი მეშვეობით მიიტაცებს იგი ცოდვილ ადამიანებს, შთანთქავს მათ და მეუფებს მათზე, ხოლო სიკვდილისა და ცოდვის მეუფება — ჯოჯოხეთია იმგვარი ღვთისმსგავსი არსებისათვის, როგორიც ადამიანია.

შემოქმედი ცათა და ქვეყნისა, ხილული და უხილავი ქმნილებებისა — **სიტყვა — ღმერთი** ადამიანი ხდება, რათა ცოდვისა და სიკვდილისაგან გაათავისუფლოს იგი, და ამით ეშმაკისა და ჯოჯოხეთისაგანაც იხსნას. სიტყვა — ღმერთმა ეს ყოველივე ვითარცა ღმერთკაცმა აღასრულა მთელი თავისი ღვაწლით ამქვეყნად — დაწყებული ხორციელ-ქმნიდან, განკაცებიდან და დამთავრებული ზეცად ამაღლებით; ამის შედეგად **მან** თავით თვისით და თავის თავზე დააფუძნა ეკლესია, რომელშიც **იგი** სულიწმიდის საღმრთო საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით აღასრულებს ადამიანთა ხსნას. და სწორედ ღმერთკაცი იესო ქრისტე — ეკლესია — არის ყოვლადწმიდა და

უმთავრესი საიდუმლო, რომელშიც და რომლისაგანაც აღესრულება ყველა სხვა საიდუმლო, დაწყებული წმიდა ნათლის-ღებით.

ეკლესიაში ყველაფერი საიდუმლოა — დაწყებული სულ მცირითა და დამთავრებული უდიდესით, რამეთუ ყოველივე უცოდველი ღმერთკაცის — უფალ იესო ქრისტეს გამოუთქმელი სიწმიდით არის განმსჭვალული. და როგორც ეკლესია ღმერთკაცი ყველას და ყველაფერს მოიცავს ცათა შინა თუ ქვეყანასა ზედა, რამეთუ ქვეყანაცა და ცანიც — მისი ქმნილებანია: „ყოველივე მ ი ს მიერ და მისსა მიმართ დაებადა“ (კოლას. 1, 16—20). ი გ ი ა შემოქმედიც და მიზანიც ყველა ქმნილებისა, ყოველივე არსებულისა, „და იგი არს თავი გუამისა (სხეულისა) მის ეკლესიისაი“ (კოლას. 1, 18); კვალად, ეკლესია არის „გუამი მ ი ს ი, აღვსებაი იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფეს. 1, 23). ამიტომაც სწორედ მასში — ყოვლისმომცველ ქრისტეშია ჩვენი ხსნაც, განღმრთოებაც, ყოვლადწმიდა სამების ნაწილად შექმნაც და სხვა ყოველივეც — ყველაზე სრულყოფილი, რაც კი ადამიანის არსებას ესაჭიროება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. ამას ემსახურება ყველა წმიდა საიდუმლოც მისი ეკლესიისა და ყველა საღმრთო სათნოებაც, უპირველეს ყოვლისა კი ეს სამი საიდუმლო: წმიდა საიდუმლონი ნათლის-ღებისა, მირონცხებისა და ზიარებისა (ევქარისტიისა), და ეს სამი სათნოება — რწმენა, სასოება და სიყვარული.

წმიდა ნათლის-ღებით ჩვენ უფალ იესო ქრისტეს შევიმოსავთ, რათა ჩვენი ხსნისათვის განვღმრთოვდეთ ამ შეერთებით უფალთან,— რამეთუ ყოვლად-სახიერი უფალი ღმერთკაცად მოგვევლინა ამა ჩვენს ქვეყნიურ სამყაროში და ეკლესიად — ღმერთკაცად დარჩა მასში. და სწორედ ღმერთკაცი იესო ქრისტეში არის დამოკიდებული „ყოველივე სავსებაი ღმრთეებისაი ხორციელად“ (კოლას. 2, 9), და დამკვიდრებულია ერთადერთი მიზნით, იმისთვის, რომ ჩვენ ყველანი აღვივსოთ ამ სისავსით ღმრთაებისა (კოლას. 2, 10), შევიქნათ ნაწილად ღმერთკაც იესო ქრისტესი, ნაწილად ყოვლადწმიდა სამებისა,— ანუ იმისთვის, რომ ღმერთებად ვიქცეთ მადლის მიერ, ღმერთკაცები გავხდეთ მადლის მიერ.

ღმერთკაცი არის დიდი საიდუმლო ღვთისმსახურებისა (I ტიმ. 3, 16), დიდი საიდუმლო ღმერთკაცობრივი სარწმუნოებისა, ხოლო ღმერთკაცში ეკლესიის მთელი საიდუმლოა დამარხული. ერთადერთი და მარადის ერთი და იგივე, ყოვლადღვთაებრივი ჰიპოსტასური საიდუმლო წმიდა სამების მეორე პირისა ერთიანად განმსჭვალავს ეკლესიის ყველა საიდუმლოს და სხვა ყოველივესაც, რაც კი არის ეკლე-

სიისაგან და ეკლესიაში. ყველა სხვა საღმრთო საიდუმლო სწორედ ამ უმთავრესი საიდუმლოდან მომდინარეობს და მასვე უბრუნდება — წმიდა საიდუმლოს ღმერთის ხორციელ-ქმნისა, განკაცებისა, ანუ საიდუმლოს ღმერთკაცისა, ღმერთკაცობისა. და მართლაც, ყოველი წმიდა საიდუმლო მთლიანად ეკლესიაშია, მთლიანად ღმერთკაცშია, და მთელი ეკლესიაც სრულყოფილად მკვიდრობს თითოეულ წმიდა საიდუმლოში.

ეკლესიაში ყველაფერი — წმიდა საიდუმლოა. ყოველი საღმრთო ქმედება, ეკლესიაში აღსრულებული, ასევე წმიდა საღმრთო საიდუმლოა. ყველაზე მცირე და უმნიშვნელო ქმედებაც კი საიდუმლოა, რადგან ყოველი მათგანი ღრმა და მაცხოვნებელია როგორც თვით ეკლესიის საიდუმლო; ყველაზე მცირე, თითქოსდა ყველაზე უმნიშვნელო სამღვდელო ქმედებაც კი ეკლესიის ღმერთკაცობრივ ორგანიზმში სისხლხორცეულად, ცხოველი კავშირით არის შერთული მთელს საიდუმლოსთან ეკლესიისა, ანუ თვით ღმერთკაცთან — ჩვენს უფალ იესო ქრისტესთან. აი, თუნდაც ერთი მაგალითი ამისა: წყლის მცირე კურთხევისას ეს თითქოსდა უმნიშვნელო სამღვდელო ქმედება, სინამდვილეში დიდ წმიდა სასწაულად წარმოსდგება ჩვენს წინაშე. დიახ, მასში დიდი სასწაულია, — ისეთივე დიდი, როგორც თვით ეკლესიაა! ეს დიდი სასწაული უკვე ორი ათასი წელია აღესრულება მილიონობით სულისათვის მართლმადიდებელი ქრისტიანებისა, — იგი განსწმედს, განანათლებს მათ, განკურნავს სნეულებათაგან, უკვდავებას ანიჭებს და კვლავაც და კვლავაც განუწყვეტლივ აღესრულება, — არ წყდება და არც არასდროს შეწყდება, სანამ ცანი და ქვეყანა არსებობენ! ხოლო ეს საიდუმლო — წმიდა, ნაკურთხი წყალი — მხოლოდ ერთ-ერთია ღმერთის მრავალრიცხოვან საიდუმლოთა შორის, განუწყვეტლივ რომ აღესრულება ქრისტეს მართლმადიდებელ ეკლესიაში.

მაგრამ საღმრთო საიდუმლოთა თანად ასევე წმიდა საიდუმლონია წმიდა საღმრთო სათნოებანიც, ყოველი მათგანი, რამეთუ ისინი ორგანულ კავშირში არიან ნათლის-ღების საიდუმლოსთან, ამ საიდუმლოს მეშვეობით კი — მთელს ღმერთკაცობრივ საიდუმლოსთანაც ეკლესიისა. ასე, მაგალითად, რწმენა — წმიდა სათნოებაა, რომლითაც მართლმადიდებელი ქრისტიანი განუწყვეტლივ არის შემოსილი, აღსავსე, და ასე ცხოვრობს ეკლესიაში, ხოლო რწმენა თავისი სიწმიდის ძლით სხვა საღმრთო სათნოებებსაც აღმოაცენებს მის

სულში: ლოცვას, სიყვარულს, სასოებას, მარხვას, მოწყალებას, სიმშვიდეს სიმდაბლეს... და თითოეული მათგანიც—ასევე წმიდა საღმრთო საიდუმლოა. ყველა ისინი ერთმანეთით და ერთმანეთის მიერ ცოცხლობენ მორწმუნე ადამიანის სულში, და ეს სიცოცხლე მარადიული, უკვდავია: კვალად, ისინი ერთმანეთისაგან საზრდოობენ, ერთმანეთს ასაზრდოვებენ, და ყოველივეც, რაც კი მათგან გამომდინარეობს, წმიდა და საღმრთოა. ამიტომაც არის, რომ წმიდა საიდუმლონი ქრისტეს ეკლესიაში აღურაცხელია, რამეთუ თვით ისიც — ქრისტეს ეკლესიაც — წარმოადგენს ცათა და ქვეყნის მომცველ უდიდეს წმიდა საიდუმლოს. და ეკლესიაში წარმოთქმული ყოველი — „უფალო, შეგვიწყალე!"-ც — წმიდა საიდუმლოა; ასევე წმიდა საღმრთო საიდუმლოა ყოველი დაღვრილი ცრემლიც სინანულისა, ყოველი ლოცვითი სულთქმაცა და ოხვრაც ცოდვათა გამო, — ყველაფერი ეკლესიაში — წმიდა საიდუმლოა!..

ა) წმიდა ნათლის-ღების საიდუმლო

ნათლის-ღება წმიდა საიდუმლოა, რომელშიც ადამიანი ღმერთკაცს — ქრისტეს შეიმოსავს, მისი მეშვეობით კი — ყოვლადწმიდა სამებასაც: წმიდა ნათელის მიმღები იმგვარად შეიმოსავს ქრისტეს, რომ ცხოვლად განიცდის მ ი ს სიკვდილსა და მკვდრეთით აღდგომას, მონათლული მთლიანად, სრული თავისი არსებით ეძლევა ქრისტეს და მთლიანადვე მიიღებს ქრისტეს ღმრთაებას, შეიქნება რა თანა-მოზიარე და თანა-მყოფი იესო ქრისტესი, და ეკლესიის მიერ ყოველივე ღმერთკაცობრივი — მის კუთვნილებად იქცევა. ადამიანი — ღმერთის მსგავსად და ხატად შექმნილი ეს გონიერი არსება — წმიდა ნათლის-ღების საიდუმლოში თავისი ცხოვრების მთელს მარადიულ მიზანს სწვდება: იმას რომ უნდა იცხოვროს უფალ იესო ქრისტეში და მარადის განიცდიდეს საკუთარ თავს როგორც ღმერთის მსგავს არსებას; განუწყვეტლივ აღავსებდეს თავს ქრისტეს ღვთაებრივი ძალებით. სწორედ წმიდა ნათელის მიღების მომენტიდან იწყება ყოველი ქრისტიანის ცხოვრება ეკლესიაში, — ჩვენი ნებაყოფლობითი მადლმოსილი ცხოვრება ქრისტეში და ქრისტეს მიერ საღმრთო საიდუმლოთა თუ სათნოებათა მეშვეობით. მთელი მომდევნო ცხოვრებაც ქრისტიანისა არის გამრავლება ყველა იმ ნიჭთა, საღმრთო ძალთა და მადლთა, რომელნიც მას ნათლის-ღების წმიდა საიდუმლოში მიეღია. ნათლის-ღების მეშვეობით ჩვენ ტაძრად, სამკვიდრებელად შევიქნებით ყოვლადწმიდა სამებისათვის, და მთელი ჩვენი ცხოვრე-

ბაც მაშინ მამა-ღმერთისაგან მომდინარე იქნება ძე-ღმერთის მიერ სულიწმიდაში. ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანში მოქმედებს ყველა მადლმოსილი სათნო ძალა, რომელნიც მას ქრისტესა და ყოვლადწმიდა სამების ნაწილად შექმნიან: ყოველი ჩვენგანიც — პოტენციური ღმერთკაცი — მადლისმიერ ღმერთკაცად იქცევა ეკლესიაში ღმერთკაც იესო ქრისტეს მიერ. ვიყოთ „ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე" (კოლას. 3, 11), — აი, გზა, აი, მიზანი ქრისტიანის ცხოვრებისა ყოველთვის და ყველგან — ამა წარმავალ ქვეყანაშიც და იმა მარადიულ არსებობაშიც!

ბ) წმიდა საიდუმლო მირონცხებისა

წმიდა მირონცხება წარმოადგენს, უპირატესად, სულიწმიდის საიდუმლოს, თუმცაღა იგი მორწმუნეებს იესო ქრისტეს ღმერთკაცობრივი ღვაწლის ძლით მოენიჭება, ჩვენი უფლისა და ერთადერთი კაცთმოყვარის გამო. და სინამდვილეში ნათლის-ღებისა და მირონცხების საიდუმლონი — ორ-ერთიანი წმიდა საიდუმლოა. რაკი ეკლესიის ღმერთკაცობრივი სხეულის ნაწილად შეიქნება წმიდა ნათელის მიღებით, ქრისტიანი წმიდა მირონცხების საიდუმლოში მიიღებს „ბეჭედს სულიწმიდის ნიჭისა" ანუ განათლებას, კურთხევას, ცხებულობასა და განმტკიცებას სულიწმიდის მადლით. წმიდა ნათლისღების საიდუმლოში ყოველი ქრისტიანი, ღვთივგანბრძნობილი კავასილას სიტყვით, შეიძენს ახალ არსებას, და საერთოდ, ახალ ცხოვრებას ქრისტეს მიერ[1], ხოლო წმიდა მირონცხების საიდუმლოში მას მოემადლება ყველა ის ღვთაებრივი ძალა და ნიჭი, რომელნიც ქრისტეთი შემოსავენ მის არსებას, და ასევე მოემადლება სულიწმიდის ენერგიაც, ძალაც, ახალი — ღმერთკაცობრივი ცხოვრებისათვის ღმერთკაც იესო ქრისტეში — მ ი ს მიერ და მ ი ს ი თ ცხოვრებისათვის. წმიდა მირონცხების საიდუმლოში ადამიანური პიროვნება ცხებულ-იქმნება სულიწმიდის მიერ ხატად და მსგავსად ღვთაებრივი ცხებულებისა, იმისა, რომლითაც თვით ღმერთკაცი — უფალი ჩვენი იესო ქრისტეა ცხებული. და ამ დიდ წმიდა საიდუმლოში განუწყვეტლივ გრძელდება წმიდა მეერგასის დღე — სულთმოფენობა, რომელიც არასდროს არ წყდება ქრისტეს მართლმადიდებელ ეკლესიაში.

---

[1] კავასილა. ცხოვრება ქრისტეში, წიგნი I, ბერძ., ათრ., ტ. 150, გვ. 504 A.

ბ) წმიდა საიდუმლო ევქარისტიისა (ზიარებისა)

ის წმიდა მიზანი და დანიშნულება ცხოვრებისათვის, რომელიც ქრისტიანს წმიდა ნათლის-ღების საიდუმლოში მიუღია, ყველაზე სრულყოფილი სახით ევქარისტიის საიდუმლოში ხორციელდება: მასში აღესრულება მთლიანი შეერთება მზიარებელისა ღმერთკაც იესო ქრისტესთან. აქ მადლმოსილად განიცდება სრულყოფილი ღმერთკაცობრივი მოღვაწება ჩვენი ხსნისა — ქრისტეს ხორციელ-ქმნიდან და განკაცებიდან დაწყებული და ზეცად ამაღლებით დამთავრებული, — განიცდება როგორც ჭეშმარიტი ცხოვრება ჩვენი ცხოვრებისა და როგორც ჭეშმარიტი სული — ჩვენი სულისა. წმიდა საღმრთო ლიტურგიაც, ნეტარი თეოდორე სტუდიელის სიტყვით, არის განმეორება ქრისტეს მთელი ღმერთკაცობრივი მოღვაწებისა ჩვენი ხსნისათვის; და წმიდა ევქარისტიის საიდუმლო არის „ცენტრი, გულის-გული მთელი საღმრთო განგებულებისა და ღვაწლისა ჩვენი ხსნისათვის"[1].

ეს განსაკუთრებულად არის ხაზგასმული წმიდა ბასილი დიდის წირვის (ლიტურგიის) ბოლოს, როცა წარმოითქმება — „აღესრულა და სრულ იქნა ძალისაებრ ჩვენისა, ქრისტე ღმერთო ჩვენო განგებულებისა შენისა საიდუმლო". წმიდა მამები ასე განმარტავენ არსს წმიდა ლიტურგიისა: „ღმერთი ადამიანად იქცა, რათა ადამიანიც ღმერთად ქცეულიყო". და სიმდაბლით აღვსებული ყოველი მზიარებელიც წმიდა ევქარისტიის მიღების წინ ასე იტყვის: „სული ჩემი ხორცთა თანა განსწმიდე, მეუფეო, და განანათლე შენ საღმრთოდ, რათა იქმნას სახლ შენდა, და ზიარ იქმნას საიდუმლოთა შენთა, სიწმიდით ერთარსად მამისა თანა და სულისა შენისა თანა მცნობელი..."

რა საშინელი და გამორჩეულად დიადია ეს საიდუმლო — წმიდა ევქარისტია! და ერთიანად ზარგანხდილი ამ საშინელი სადუმლოს მიღების წინაშე მზიარებელი ასე ეუბნება საკუთარ თავსაც და ყოველ მზიარებელსაც: „ღმერთ-მყოფელისა სისხლისაგან შეძრწუნდი, კაცო, ჰხედვიდე რა, რამეთუ ცეცხლი არს უღირსთა შემწველი"; „ხორცი ღვთისა განმაღრთობს მე და მზრდის. განაღმრთობს სულსა და ჰზრდის გონებასა უცხოდ" (ლოცვა ზიარების წინ წმიდისა სიმეონ მეტაფრასისა). და მზიარებელიც ამ წმიდა საიდუმლოში ცათა და

---

[1] თხზულებანი ღირსი მამის თეოდორე სტუდიელისა, ტ. I. ს.-პ., 1907, გვ. 126 (რუსულ ენაზე).

ქვეყნის უდიდეს ხარებას განიცდის: აღივსება „ყოვლითა სავსებითა ღმრთისაითა“ (ეფეს. 3, 20).

წმიდა ევქარისტია, ზიარება — მწვერვალთ-მწვერვალია ღმერთ-კაცობრივი რეალობისა. სიტყვა — ღმერთის განხორციელებით უფალი იესო ქრისტე გახდა ხილული და უკვდავი სინამდვილე ცათა და ქვეყანისა. ჩემთან არის ქრისტე: „ემმანუელ — ჩვენთან არს ღმერთი“, მარადის ჩვენთან, ადამიანებთან, მთელს თავის ქმნილებასთან (მათე 1, 23). ყველაზე დამაჯერებელი, სარწმუნო მოწმე ამისა — ეკლესიაა, ქრისტეს ღმერთკაცობრივი სხეული. ეკლესია — ქრისტეს სხეულია, ევქარისტია — ქრისტეს ხორცია, სხეულია. ეს იგივეობა არსებითია, არსებისმიერია: ეკლესია ევქარისტიაშია, ევქარისტია — ეკლესიაშია. სადაც ღმერთკაცი იესო ქრისტე არ არის, იქ არც ეკლესიაა, ხოლო სადაც ეკლესია არ არის, იქ არც ევქარისტიაა. ყოველივე, რაც ქრისტეს, ეკლესიის და ევქარისტიის გარეშეა, მწვალებლობაა, არა-ეკლესიაა, ანტი-ეკლესიაა, ფსევდო-ეკლესიაა. რაკი ქრისტეს სხეულია — ამის ძლით ეკლესია წარმოადგენს საზოგადოსაყოველთაო ერთიანობას, ასევე — საზოგადოების ერთიანობას. ეს ყოველივე ევქარისტიის საიდუმლოსაც ეხება როგორც ქრისტეს სხეულს: „...ერთ პურ და ერთ ხორც ჩვენ მრავალნი ესე ვართ, რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს“, ანუ ერთი პურისაგან ვეზიარებითო (I კორინთ. 10, 17). დიახ, ჩვენ, ყოველნი ქრისტიანნი, ერთი სხეული ვართ ერთი თავის — ჩვენი წინამძღვრის ღმერთკაც იესო ქრისტეს მეუფების ქვეშ. ამიტომაც წმიდა ევქარისტიის საიდუმლოშიც და ეკლესიაშიც ღმერთკაცი იესო ქრისტე მთლიანად არის და ყოველივეა: „და იგი თავადი არს ყოველთა წინა, და ყოველივე მ ი ს მიერ დამტკიცნა“ (კოლას. 1, 17).

წმიდა სათნოებანი

სიტყვა — ღმერთის განხორციელებამდე, **მის** განკაცებამდე ამქვეყნად სათნოებანი მხოლოდ განუხორციელებელი ჩანაფიქრნი თუ უსიცოცხლო იდეები შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ჩვენს ადამიანურ სამყაროში. და ამგვარნივე არიან ისინი ამჟამადაც ყველა არაქრისტიანულ „რელიგიაში“, ფილოსოფიაში, ეთიკაში, სოციოლოგიაში, კულტურაში თუ ცივილიზაციაში. ღმერთკაცი იესო ქრისტე არის სრულყოფილი მაგალითი ყველა წმიდა სათნოებისა — ნიმუში მათი

სრულყოფილი განხორციელებისა ამქვეყნად. სათნოებანი და უფალი იესო ქრისტე — ეს ერთი და იგივეა. ამის შესახებ წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ამბობს, რომ „თვით იესო ქრისტეა არსება ყველა სათნოებისა“[1]. ჩვენს ამქვეყნიურ სამყაროში მხოლოდ უფალმა იესო ქრისტემ აღმოაცენა სათნოებანი, ისევე, როგორც მხოლოდ მის მიერ არის დაფუძნებული ეკლესიაც. მაგრამ რადგანაც უფალი მთლიანად არის დამკვიდრებული ეკლესიაში, რომელიც მისი სხეულია, თვითონ კი — თავია ეკლესიისა, ამიტომ მისი წმიდა სათნოებანიც მხოლოდ ეკლესიაში და ეკლესიით ცოცხლობენ. ეკლესიის წევრები, დამკვიდრებულნი ეკლესიაში, ყველა ამ წმიდა სათნოებაში ცხოვრობენ და თავიანთი გულმოდგინების საზომისაებრ მოიპოვებენ ხსნას, განღმრთობას, ანუ ასე უერთდებიან ღმერთკაც იესო ქრისტეს.

ეკლესიაში, ამ წმიდა სათნოებათა და საღმრთო საიდუმლოთა მეშვეობით ღმერთკაცი ქრისტე ჩვენს არსებაში შემოსახლდება, მკვიდრდება და ცხოვრობს ჩვენში. წმიდა ნათლის-ღებით ქრისტიანი უფალს შეიმოსავს, შემდეგ კი წმიდა საიდუმლოთა და სათნოებათა მიერ განმტკიცდება ამ მდგომარეობაში სულიწმიდის მადლის შეწევნით. ცნება თითოეული სათნოებისა საკმაოდ ფართოა. მათი სათავეა — სარწმუნოება, ძირის ძირი და არსი ყველა სხვა სათნოებისა. მისგან გამოედინება ყველა წმიდა სათნოება: ლოცვა, სიყვარული, სინანული, სიმდაბლე, მარხვა, სიმშვიდე, მოწყალება და სხვანი. ამის გამო იტყვის წმიდა მოციქულიც: „და თქვენცა ესევე მოსწრაფებაი ყოვლითურთ მოიპოვეთ და ყავთ სარწმუნოებასა შინა თქვენსა სათნოებაი, და სათნოებასა შინა — მეცნიერებაი“... (I პეტრ. 1, 15), ანდა, უმჯობესია, მოიღვაწოთ ყველაზე დიდი სათნოება — თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რამეთუ თქვენი ცხოვრებით სარწმუნოებაში უნდა „სათნოებათა მიუთხრობდეთ“ ჩვენი უფლისაო (I პეტრე 2, 9). ადამიანის ხსნისათვის ყოველი სათნოება აუცილებელია. იმისთვის, რომ სული იცხოვნოს, ქრისტიანი უსათუოდ უნდა იღვწოდეს სარწმუნოების ღვაწლშიც, სიყვარულშიც, ლოცვა-ვედრებაშიც, მარხვაშიც, მოწყალების გაცემაშიც და ყველა სხვა სახარებისეულ სათნოებაში. სარწმუნოების გარეშე შეუძლებელია ხსნა სულისა რამეთუ „თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნო-ყოფაი ღმრთისაი, რამეთუ სარწმუნოებაი უღირს, რომელი მოუხდების ღმერთსა, რამეთუ არს, და მეძიებელთა მისთა სასყიდლის

[1] წმ. მაქსიმე აღმსარებელი, წიგნი I, ბერძნ., პატრ., ტ. 91, გვ. 1081 D.

მიმცემელ ექმნების“ (ებრ. 11, 6). იგივე შეიძლება ითქვას სიყვარულზეც, ურომლისოდაც შეუძლებელია ღმერთის სათნო-ყოფა. ეს ცხადად გამომდინარეობს მაცხოვრის წმიდა სახარებიდან, რომელიც ეკითონვე მოგვცა თავისი წმიდა მახარებლებისა და მქადაგებლების მეშვეობით: წმიდა მოციქულებისა და წმიდა მამების მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით ღმრთივგანბრძნობილი მართლმადიდებელი მოსაგრე ნიკიტა სტიფატი, მოწაფე წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველისა, (XI საუკ.) თავის „სარწმუნოების აღსარებაში“ ასე იტყვის: „მწამს აუცილებლობა უზაკველი და სათნო ცხოვრებისა, რაც ყოვლად საჭიროა ცხოვნებისათვის ჭეშმარიტ რწმენასთან ერთად“[1].

„ღმერთი ყოვლად სრულყოფილი სათნოებაა“, — ამბობს გრიგოლ ნოსელი — და აი, სწორედ ეს არის სამოციქულო და წმიდა მამათა სწავლება და ქრისტეს ეკლესიის წმიდა გადმოცემა. — „ღვთაებრივი ბუნება — წყაროა ყოველგვარი სათნოებისა“...; „მიზანი სათნო ცხოვრებისა — ღმერთს მიმსგავსებაა“..., და ამიტომაც „სათნოებას ერთი ზღვარი აქვს სრულყოფისა, ანუ ის, რომ არანაირი სა-ზღვარი არა ჰქონდეს“[2].

ამრიგად, წმიდა სათნოებათა გარეშე ადამიანს არა აქვს ხსნა, ცხოვნება, განღმრთობა, დამკვიდრება იესო ქრისტეში, — არა აქვს არც სამოთხე და არც ცათა სასუფეველი. წმიდა სათნოებანი, უეჭველია, ჩვენი სარწმუნოებისა და ჩვენი ხსნის დოგმატებს წარმოადგენენ. წმიდა ნათლ-ღების გარეშე შეუძლებელია ხსნა — ცხოვნება. ეს არის უცვალებელი ჭეშმარიტება — დოგმატი ხსნისა ქრისტეს ღმერთკაცობრივ ეკლესიაში. მაგრამ სარწმუნოებისა და სიყვარულის გარეშეც არა აქვს ადამიანს ხსნა, და ამიტომ ეს წმიდა სათნოებანიც — სარწმუნოება და სიყვარული — ასევე უცვალებელი დოგმატებია ხსნისა. ყოველი წმიდა საიდუმლო ეკლესიისა და ყოველი სახარებისეული სათნოება — დოგმატია სარწმუნოებისა. წმიდა საიდუმლონიცა და წმიდა სათნოებანიც შეადგენენ ერთ, განუყოფელ, ორგანულ ღვაწლს ხსნისა — ღმერთკაცობრივ ღვაწლს ჩვენი ცხოვნებისა.

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახარებისეული მცნებანი სხვა არა-

---

[1] წმიდა ნიკიტა სტიფატი. Opuscules et lettreo, sources christo №81 გვ. 460.

[2] წმიდა გრიგოლ ნოსელი. მოსეს ცხოვრება, ბერძნ., პატრ., ტ. 44, გვ. 301 A; და ისევ „მოსეს ცხოვრება“, გვ. 300 D. 1. პატრ., ტ. 44, გვ. 104 A. ტ. 44. გვ. 1200 C.

ფერია, თუ არ ეთიკური დოგმატები; მაგალითად, უფლის მიერ მათზე წარმოთქმულ ქადაგებაში მოხსენიებული ნეტარებიანი ასევე დოგმატს წარმოადგენს. პირველი ნეტარიანის გარეშე („ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი" — (მათე 5, 3). არ არსებობს ადამიანისათვის ხსნა, რამეთუ სიმდაბლის გარეშე შეუძლებელია ვინმე ცხოვნდეს. ზუსტად ასევე შეუძლებელია ხსნა ლოცვის, სიყვარულის, მარხვის, გულმოწყალების გარეშე ყველა სხვა სათნოების გარეშე, რადგან ყველა ისინი სახარებისეული ეთიკური დოგმატებია, მარად უცვალებელნი და აუცილებელნი ყველა მორწმუნისათვის. ყოველი წმიდა სათნოება საღმრთო დოგმატია, უპირველესად ყოველისა კი — „სარწმუნოებაი, სიყვარულისაგან შეწევნული" (გალატ. 5, 6), და ყველა დანარჩენი სათნოებანიც მისგან — სიყვარულით მომქმედი ამ სათნოებისაგან — რწმენისაგან არის აღმოცენებული. ყველა ეს ეთიკური დოგმატი ყოვლადაუცილებელია ჩვენი ხსნისათვის, განღმრთოებისათვის, ღმერთკაცად ქცევისათვის მადლის მიერ. სწორედ ეს დოგმატებია ის მადლმოსილი, ცხოველმყოფელი საღმრთო ძალნი, რომელთა შეწევნითაც ცხოვნდება ადამიანი. ისინი წმიდა საიდუმლოთა — სინანულის, ზიარების და სხვათა მეშვეობით აღმოცენდებიან ადამიანში და შეესისხლხორცებიან მის არსებას.

სახარებისეული სათნოებანი — ღმერთკაცობრივი ძალებია, გამომდინარენი ღმერთკაც იესო ქრისტესაგან და შემოსილნი ღმერთკაცობრივი ძლიერებით. და რაკი ამგვარნი არიან, ისინი, იმავდროულად, ისეთი ძალებიცაა, რომლებიც გარდაქმნიან ადამიანს და განღმრთობის ღირსად ხდიან მას მადლის მიერ.

სწორედ ამაშია ძირითადი სხვაობა სახარებისეულ ღმერთკაცობრივ სათნოებებსა და ყველა არაქრისტიანულ სიქველეს შორის, რომლებშიც გულისხმობენ ფილოსოფიურ, რელიგიურ, მეცნიერულ, კულტურულ, პოლიტიკურ, ზოგადკაცობრიულ სიკეთეთ. ყოველ სახარებისეულ სათნოებაში ერთობლივად იღვწიან ღმერთი და ადამიანი. ღმერთკაცობრივი თანა-მოღვაწეობა უმთავრესი კანონია ნებისმიერი წმიდა სათნოებისა. აკი მოციქულიც ასე იტყვის: „...ღმრთისა თანა-შემწენი ვართ"-ო (I კორინთ. 3, 9). ღვთისმსგავსი თავისუფლება ადამიანისა ის საფუძველია, რომელზეც ხორციელდება კიდეც მისი თანა-მოღვაწეობა ღმერთთან. ყოველი სათნოებაც ადამიანის მადლმოსილი და ნებაყოფლობითი ღვაწლია, ამასთან, ღმერთკაცობრივი წონასწორობა სათნოებისეულ ღვაწლთა შორის

დაცულია თვით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ როგორც ეკლესიის თავის — მისი ყველა წევრის წინამძღვრის მიერ, და ამის გამო ღვთაებრივისაგანაც არაფერი არ ხორციელდება ადამიანურის ხარჯზე, და არც ადამიანურისაგან რაიმე — საღმრთოს ხარჯზე.

ადამიანის ხსნის მოღვაწეობაში ღმერთი მაცხოვნებელ ძალთა მეშვეობით გამოავლენს თავს წმიდა საიდუმლოთა შორის, ადამიანი კი თავის თავს წმიდა სათნოებათა მეშვეობით გამოავლენს, რომელთაგანაც უპირველესია რწმენა, ყველა სხვა სათნოების აღმომაცენებელი. ხსნის ამ მოღვაწეობაში ადამიანს შეეწევიან ღვთაებრივი ძალები, რომლებიც წმიდა საიდუმლოთა მეშვეობით მოქმედებენ. ასე, რომ ხსნის მოღვაწეობაში საღმრთო საიდუმლონი და სათნოებანი ერთს მთელს — ღმერთკაცობრივ ერთიანობას შეადგენენ. საღმრთო მადლისა და ადამიანური ღვთისმსგავსი თავისუფლების თანამოღვაწეობა ადამიანის ხსნის საქმეში ხორციელდება ქრისტეს ღმერთკაცობრივი პიროვნების კანონთა შესაბამისად, ეკლესიაში რომ მოქმედებენ — მის ღმერთკაცობრივ სხეულში, და აუცილებელნი რომ არიან ეკლესიის ყველა წევრისათვის. საღმრთო მადლიცა და ადამიანის ღვთისმსგავსი თავისუფლებაც ყოველთვის ერთნაირად ქმედითია, რადგან ღმერთი არავის აცხოვნებს ძალით, ძალდატანებით. თუკი ადამიანს თავისი თავისუფალი ნებით არ სურს წმიდა სათნოებათა მოღვაწეობა — რწმენისა, სიყვარულისა და სხვათა, მაშინ მისთვის არც არსებობს არავითარი ხსნა ცხოვნება! და ასეთი ადამიანი — მკვდარია, უსიცოცხლო გვამია. იგივე ხდება იმ შემთხვევაშიც, თუკი ადამიანი არ მონაწილეობს წმიდა საიდუმლოებებში. როგორც პავლე მოციქული ამბობს, ჩვენ, ქრისტიანები, უნდა „განვერნეთ უწესოთა და ეკეთურთა კაცთაგან, რამეთუ არა ყოველთაი არს სარწმუნოებაი“ (II თესალონიკ. 3, 2).

ლოცვითი სიბრძნე ქრისტეს ეკლესიისა პირდაპირ ამას გვეუბნება ჩვენ: ღმერთი არის — ღმერთი მოწყალებისა, ღმერთი სიკეთისა, ღმერთი კაცთმოყვარეობისა, — ერთის სიტყვით: ღმერთი ყოველი წმიდა სათნოებისა. ამგვარად, ჩვენს ქვეყნიურ, ადამიანურ, ისტორიულ სინამდვილეში გაცხადებულია მხოლოდ ღმერთკაცი ქრისტე — განსახიერება და სრულყოფილი მაგალითი ყველა საღმრთო სათნოებისა. რაკი ქრისტე სიყვარულია ი გ ი სრულყოფილი სიყვარულია; რაკი სიკეთეა, — სრულყოფილი სიკეთეა; რაკი კაცთმოყვარეობაა, ი გ ი არის სრულყოფილი კაცთმოყვარეობა, — ერთის სიტყვით, იგი არის ღმერთკაცობრივი სრულყოფილება ყოველგვარი სათნო-

ებისა, — ანუ თვითვეა ყოვლისმომცველი სათნოება. ამიტომაც ყოველი ქრისტიანის უწმიდესი და სასიცოცხლო ამოცანაა შეიმოსოს ეს ყოვლისმომცველი სათნოება, იქცეს ღმერთკაცად, გახდეს განუყოფელი ნაწილი ქრისტესი, და **მის** მიერ — ყოვლადწმიდა სამებისაც. და ეს სწორედ ასეც ხდება ჭეშმარიტი ქრისტიანის შემთხვევაში, რამეთუ სადაც ძ ე ა, იქვეა მ ა მ ა ც და იქვეა ს უ ლ ი წ მ ი დ ა ც — სრული განუყოფელი სამპიროვანი ღმერთი, ყოვლადწმიდა სამება.

ღმერთკაც იესო ქრისტეში ყოველი სათნოება ღვთაებრივადაც სრულყოფილია და ადამიანურადაც, ხოლო ამის ძლით — მისაწვდომიც და განხორციელებადიც ადამიანისათვის. ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს, ამ ღვთისმსგავსების თვით ბუნების წყალობითვე აქვს ღმერთისდაგვარი საწყისები წმიდა სათნოებებისა. და უფალი იესო ქრისტეც — ღმერთი, რომელიც ადამიანი შეიქნა თავის არსებაში და თავის ცხოვრებაში განგვიცხადებს ყველა ამ სათნოებას მთელი მათი ღმერთკაცობრივი სრულყოფილებით. და ყოველ მორწმუნე ადამიანს, ვისაც კი ღმერთკაცი იესო ქრისტე წინამძღვრობს, ძალუძს თავის ღვთისმსგავს ბუნებაში მიიღოს და სრულყოფილებამდე მიიყვანოს ეს წმიდა სათნოებანი. ადამიანი ღმერთის მსგავსად რომ არ ყოფილიყო შექმნილი, მაშინ საღმრთო სათნოებანი უცხო და საწინააღმდეგოც იქნებოდა მისი ბუნებისათვის, მისი მთელი არსებისათვის, — ანუ ძალით თავს-მოხვეული, მექანიკური. ამრიგად, ღმერთკაცობრივი სათნოებანი ბუნებრივნი არიან ღვთისმსგავსი ადამიანური ბუნებისათვის, და მისაწვდომნიც განსახორციელებლად, ანუ მთლიანად დამახასიათებელნიც ადამიანური არსებისათვის. რაკი განკაცდა, ადამიანი გახდა, ღმერთმა ვითარცა ღმერთკაცმა დამაჯერებლად განგვიცხადა ჩვენ ამ ჩვენს ქვეყნიურ სინამდვილეში ეს ჭეშმარიტება: ღმერთკაცი იესო ქრისტე თვით არის წმიდა სათნოება, ყოვლისმომცველი ღვთაებრივი სათნოება, და მხოლოდ მ ა ს შ ი, მხოლოდ მისით და მის მიერ ძალუძს ადამიანს როგორც ღვთის მსგავს არსებას ნებისმიერი სათნოების მოპოვება თავისი ნებაყოფლობითი შრომით, ღვაწლით და წმიდა საიდუმლოთა საღმრთო მადლის შეწევნით — მოპოვებაც და შემდგომ — ცხოვრებაც ამ სათნოებებით ქრისტეს ღმერთკაცობრივ სხეულში — ეკლესიაში. და მაშინ ყოველივე, რაც კი ქრისტეს კუთვნილებაა, ჩვენს კუთვნილებადაც იქცევა ეკლესიაში და მაშასადამე, ჩვენი შეიქნება მ ი ს ი ყოვლისმომცველი წმიდა, სათნოებაც. აი, ამაში მდგომარეობს სრულად მთელი სახარებისეული ზნეობა და ეთიკა. სახე ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრებისა.

საეკლესიო იერარქია

არსებითად, იერარქია თავის დასაბამს „საუკუნო მღვდელმთავრისაგან“ იღებს — ღმერთკაც იესო ქრისტესაგან, ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასისაგან. ამიტომაც ღმერთკაცობა არსიცაა და საზომიც ყოველგვარი იერარქიისა, იერარქიულობისა. იერარქია უფალ იესო ქრისტესაგანაა, და თვით ქრისტეც — იერარქიაშია (იხ. ეფეს. 4, 11—13), და სწორედ ამიტომ ი გ ი აიგივებს საკუთარ თავს იერარქიასთან, როცა ასე უქადაგებს წმიდა მოციქულებს: „რომელმან თქვენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქვენ შეურაცხგყვნეს, მე შეურაცხს-მყოფს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-ჰყოფს მომავლინებელსა ჩემსა“ (ლუკა 10, 16), „... და აჰა ესერა, მე თქვენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (მათე 28, 20). აქედან გამომდინარე კი, სადაც არის ღმერთკაცი იესო ქრისტე — საუკუნო მღვდელმთავარი, იქვეა იერარქიაც და საუკუნო მღვდლობაც (ებრ. 7, 21—27). ეკლესია როგორც ღმერთკაცი იესო ქრისტე არის კიდეც ერთადერთი მფლობელი და დამცველი მარადიული ღმერთკაცობრივი მღვდლობისა და იერარქიისა, რომელიც თავისი ღმერთკაცობრივი სიწმიდით განუწყვეტლივ გადმოღვრის ჩვენზე საღმრთო საიდუმლოთა მეშვეობით ღვთაებრივ ძალებს, ყოვლად აუცილებელთ ადამიანური არსებისათვის იმად, რომ კეთილმსახურად ცხოვრობდეს, ღმერთკაცობრივად ჰგიებდეს ორსავ ქვეყანასა შინა, ანუ იმად, რომ საბოლოოდ განღმრთობას, მიაღწიოს მადლის მიერ (შდრ. II პეტრ. 1, 2—4). ბუნებრივია, და ლოგიკურიც, რომ ეს ყოველივე ეკლესიაში ხორციელდება როგორც ღმერთკაცობრივ სხეულში იესო ქრისტესი, იმ ორგანიზმში, რომელშიც განუწყვეტლივ მოქმედებენ ეკლესიის თავის — იესო ქრისტეს ღმერთკაცობრივი კანონები. ამიტომაც სამოციქულო და წმიდა მამათა გადმოცემაში არსებობს ასეთი დებულებაც — „ეპისკოპოსი — ეკლესიაშია, ეკლესია კი — ეპისკოპოსშია“ (წმიდა კვიპრიანე)[1], და კიდევ ასეთი დებულებაცაა: „სადაც ქრისტეა, იქვეა მსოფლიო ეკლესიაც“ (წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი)[1]. „ყოველთა პატივი ეცით დიაკვნებს, ვითარცა მცნებას იესო ქრისტესი; ხოლო ეპისკოპოსებს— ვითარცა თვით ჩვენს უფალ იესო ქრისტეს, ძეს მამა-ღმერთისა; ხო-

---

[1] წმიდა კვიპრიანე. 66-ე ეპისტოლე.

[1] წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი. ეპისტოლე სმირნელთა მიმართ, VII, 2.

ლო პრესვიტერებს პატივი მიაგეთ ვითარცა საღმრთო კრებულს, ვითარცა გუნდს მოციქულებისა. მათს გარეშე არ არსებობს ქრისტეს ეკლესია“ (მისივე ეპისტოლე ტრალიელთა მიმართ, III).

როგორც ორგანიზაცია და როგორც დაწესებულება — ქრისტეს ეკლესია უნიკალური მოვლენაა ამ ჩვენს ქვეყნიურ სამყაროში; როგორც ორგანიზმი იგი არის ღმერთკაცობრივი სხეული, ანუ თვით უფალი იესო ქრისტე მთელს მის მარადიულობაში. და როგორც დაწესებულება იგი ასევე ღმერთკაცობრივი ორგანიზაციაა: სამღვდელოთა და საეროთა. ამასთანავე, ღმერთკაცი იესო ქრისტე ყოველთვის უზენაესი ფასეულობა და საზომია ეკლესიის ორგანიზაციისა, რადგან მისი თავია, წინამძღვარია. ხოლო სადაც მ ა ს — ღმერთკაცს — ადამიანით ცვლიან, დაე, თუნდ ამ უკანასკნელს „უცოდველსა და უცთომელს“ უწოდებდნენ (როგორც ეს, მაგალითად, კათოლიციზმში ხდება), იქ თავს მოჰკვეთენ ღმერთკაცს, და ეკლესიაც იხპობა; იქ ჰქრება ღმერთკაცობრივი სამოციქულო იერარქიაც, ამის შედეგად კი — სამოციქულო მემკვიდრეობითობაც და წმიდა მამათა მემკვიდრეობაც.

თავის სისრულესა და მთლიანობაში ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა გადმოცემა — თვით ღმერთკაცი იესო ქრისტეა. და განა ძალუძთ ადამიანებს რაიმე დაუმატონ, რაიმე მისცენ ამ წმიდა გადმოცემას, — ყოვლადსრულყოფილ ღმერთკაც იესო ქრისტეს?! როცა თავის არსებაში ყოვლისმომცველ ღმერთკაცს უერთდება, ყველა დროის ყველა მორწმუნე — ყოვლად უქონელნი და გლახაკნი არიან, ობლები, სიკვდილს დაქვემდებარებულნი — რომელიც წაართმევს მათ ყოველივე ღვთაებრივს, ზეციურს, უკვდავსა და მარადიულს. ხოლო ყოვლისმპყრობელი, ყოვლისმფლობელი და ყოვლადმოწყალე უფალი იესო ქრისტე, მოციქულებრივი რწმენისათვის ღმერთისა, ყოველ ადამიანს მოანიჭებს ყველა მარადიულ, წარუვალ სიმდიდრეს ღმრთაებისა: საუკუნო ჭეშმარიტებას, საუკუნო სამართლიანობას, სიყვარულს, საუკუნო ცხოვრებას და სხვა ყოველივეს, რისი მოცემაც კი ძალუძს ადამიანისათვის ღმერთს სიყვარულისა — ერთადერთს ჭეშმარიტად კაცთმოყვარეს. ამიტომაც ადამიანური არსებისათვის მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი სიხარული არსებობს ცათა შინა თუ ქვეყანასა ზედა: თვით ღმერთკაცი — უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელშიც მთელი საიდუმლოა დამარხული ღმერთისა და ადამიანისა, ცათა და ქვეყანისა. უდიდესი და უტკბილესი საიდუმლო ჩვენი სარწმუნოებისა და კეთილმსახური ცხოვრებისა სწორედ

ეს არის — ღმერთი ხორციელად გამოჩნდა, ადამიანად მოგვევლინა, „უცნაური ღმერთი“ — აქამდის შეუცნობი კაცობრიობისათვის — საცნაური და ახლობელი შეიქნა ადამიანისათვის. ეს უპირველესი ჭეშმარიტებაა საუკუნო, დიდ საღმრთო ჭეშმარიტებაში; მეორე დიდი საიდუმლო კი ეს არის: ადამიანი გამოჩნდა ღმერთში (შდრ. I ტიმ. 3, 16). ამიტომაც საკვირველი უფალი იესო ქრისტეა სწორედ ის „ერთისაი სახმარ“ — კეთილი ნაწილი ადამიანური არსებისა და მთელი კაცთა მოდგმისა ცათა შინა თუ ქვეყანასა ზედა, რაზეც წმიდა სახარება გვეუბნება (შდრ. ლუკა 10, 42).

საეკლესიო ღვთისმსახურება და დღესასწაულები

მთელი ცხოვრება ეკლესიაში არის განუწყვეტელი მსახურება ღმერთისადმი. ამიტომაც ყოველი დღე ეკლესიაში — დღესასწაულია, რადგან მასში ყოველდღე აღესრულება ღვთისმსახურება და წმიდანების მოხსენიება. ამის გამო ცხოვრება ეკლესიაში წარმოადგენს ერთს განუწყვეტელ ღვთისმსახურებას და ყოფნას „ყოველთა წმიდათა თანა“ (ეფეს. 3, 18). დღევანდელი წმიდანები, ანუ ისინი, რომელთაც დღეს მოიხსენიებენ ეკლესიაში, ხვალინდელ წმიდანებს გადასცემენ ჩვენს თავს, ხვალინდელნი კი — მომდევნო დღის წმიდანებს და ასე შემდგომ მთელი წლის განმავლობაში, წლიდან-წლამდე — დაუსრულებლად. როცა ჩვენ წმიდანთა ხსენებას ვდღესასწაულობთ, ლოცვისმიერად და სინამდვილეშიც განვიცდით მათს მადლს თუ სათნოებათ ჩვენი რწმენის ზომისაებრ, რადგანაც წმიდანები სახარებისეული სათნოებების განსახიერებანი არიან — ჩვენი ხსნის ამ დოგმატებისა.

საუკუნო ჭეშმარიტებანი წმიდა სათნოებებისა, უპირველესად, სწორედ ლოცვითა და ღვთისმსახურებით ხორციელდება ჩვენს ცხოვრებაში. „სიტყვათა, რომელთა გეტყვი თქვენ, სულ არიან და ცხოვრება“ (იოანე 6, 63), — გვეუბნება მაცხოვარი. ღვთისმსახურება მადლს მოგვანიჭებს ჩვენს თავისუფლებაში, ხოლო შეერთებულნი — მადლი და ჩვენი თავისუფლება ცხოვრებაში ახორციელებენ დოგმატურ და ეთიკურ სახარებისეულ ჭეშმარიტებებს. ეკლესია, როგორც ქრისტეს სხეული, მთლიანად მონაწილეობს ჩვენ ამქვეყნიურ ცხოვრებაში ევქარისტიული სხეულის მეშვეობით, უაღმატებულესი სხეულისა — სიწმიდეთა სიწმიდისა. ქრისტიანები, ყველა

უკლებლივ. ამ წმიდა სხეულში ყოველთვის ერთობლივ იღვწიან „ყოველთა წმიდათა თანა“, და ჩვენც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყველა წმიდანის მეშვეობით ქრისტეს მივუძღვანებთ საკუთარ თავსაც, ერთმანეთსაც და მთელს ჩვენს ცხოვრებასაც. აქ ყოველივე ღმერთკაცობრივია, ყველაფერი ადამიანთან აერთიანებს ღმერთს, ზეცათ — ქვეყანასთან, მარადიულობას — დრო-ჟამთან; ყოველივე ამქვეყნიური — ზეციურით სულდგმულობს, ყოველივე დროებითი, წარმავალი — მარადიულით ცოცხლობს, და მთლიანად ადამიანიც — ღმერთით ცხოვრობს. ასე აღესრულება განუწყვეტელი ღმერთკაცობრივი ღვაწლი ჩვენი ხსნისათვის, ქრისტესთან შეერთებისათვის, რამეთუ ეკლესია — ცანია ქვეყანასა ზედა, ანუ ღმერთია ადამიანში და ადამიანია — ღმერთში.

ამის მოწმენი ყოველნი წმინდანნი არიან, დაწყებული პირველით და სულ უკანასკნელი დროის წმიდანით დამთავრებული. ამას ნათლად გვიჩვენებენ და დამაჯერებლად გვიდასტურებენ წმიდა საღვთისმსახურო წიგნებიც: ყოველი წმიდანი, თითქოს, მოქსოვილია წმიდა სათნოებათაგან; ყოველი მათგანი სწორედ წმიდა სათნოებით გარდაქმნიდა საკუთარ თავს. ეს ყველას ეხება — მოციქულებსაც, მოწამეებსაც, აღმსარებელთაც, წინასწარმეტყველთაც, ღირს დედა-მამათაც, წმიდა უვეცხლოთაც და, საერთოდ, ყველა წმიდანს ქრისტეს ეკლესიისა. ყოველი მათგანის მიერ მოღვაწებული წმიდა სათნოებანი რწმენის წინამძღვრობით ცოცხლობენ და მოქმედებენ. ამრიგად, ყოველი სათნოება ნებაყოფლობითი ღვაწლია ჩვენი ღვთისმსგავსი თავისუფალი ნებისა. ჩვენი პირადი თანამოღვაწება უფალთან ჩვენსავ ხსნაში, უპირველესად, სწორედ ჩვენს მიერ მოღვაწებულ სათნოებებში მდგომარეობს. ყველა სათნოება ერთ ორგანულ მთლიანობას შეადგენს, — ანუ ერთ ღმერთკაცობრივ ორგანიზმს. ისინი ერთმანეთისაგან აღმოცენდებიან, ერთმანეთით ცოცხლობენ, ძლიერდებიან და ერთმანეთშივე არსებობენ უკვდავად. გარკვეული აზრით, ყოველი სათნოება — ყოვლისმომცველი სათნოებაცაა. მაგალითად, რწმენა რომ ცოცხალი ორგანიზმი ყოფილიყო, საკუთარ თავს სიყვარულით, სასოებით, მარხვითა და ყველა სხვა სათნოებით ასაზრდოვებდა. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენ სათნოებებზეც.

ღმერთის ყველა წმიდანი — მღვდელმთავარნი, წინასწარმეტყველნი, გუნდნი და გუნდნი ღირსი მამა-დედებისა და სხვანიც ყოველნი იმით განიდიდნენ ქრისტეს ეკლესიაში, რომ სათნოებათა საქმეებით სათნო-ეყვნენ ღმერთს. და მათ ყველას, ერთობლივ, სწორედ სათნო-

ებათა მოელვარე მშვენიერებით მიუღწევიათ ზეციური სამყოფელისათვის.

მართლმადიდებელ ეკლესიაში ღმერთკაცი იესო ქრისტე არის „ანი და ჰოე (ალფა და ომეგა), პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (გამოცხ. 1, 8, 17; 21, 6). ეკლესიაში მოქმედებენ ღმერთკაცობრივი კანონები. ყოველივე, რაც კი ადამიანს შეადგენს, ღვთაებრივის მიერ წარიმართება. ეკლესიაში ადამიანი ლოცვითი ღვაწლით ყოველთვის წინამდგომელია ღმრთისა. როგორც ღმერთკაცობრივი ორგანიზმი — ეკლესია ყოველთვის სამლოცველოა, და როგორც ტაძარიც — ის სამლოცველოა. ეკლესიის ყოველი წევრი ღვთისმსგავსი უჯრედია ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში. ხსნაც, სინამდვილეში, არის განუწყვეტელი განცდა ეკლესიის მთელი ლოცვითი ცხოვრებისა. ყოველი ქრისტიანი ეკლესიის სრული ღმერთკაცობრივი ცხოვრებით ჰგიებს, თავისი რწმენის ზომისაებრ, წმიდა საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით. ამგვარად, ყოველი ქრისტიანი — მცირე ეკლესიაა.

ეკლესიის მთელი ღმერთკაცობრივი ცხოვრება და მისი ყველა ჭეშმარიტება ყველაზე სრულყოფილად, ნათლად და ღრმად ღვთისმსახურებაში ვლინდება, როცა აღესრულება ლოცვითი განცდა ყოველივე ღმერთკაცობრივისა, — იმისა, რაც ლოცვას აღმოაცენებს. ღვთისმსახურებითი ცხოვრება ეკლესიისა ყველაზე საიმედო გადმოცემაა ეკლესიაში — ცხოველი და უკვდავი საღმრთო გადმოცემა. სწორედ მასში მუნმყოფობს სრული ღმერთკაცი — საკვირველი უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და მასთან ერთად, ყველა წმიდანიც ეკლესიისა.

მართლმადიდებელი ღვთისმსახურება ეკლესიის ცხოველი ქმედებაა, რომელშიც მისი ყველა წევრი მონაწილეობს: განცდით ყოველივე ღმერთკაცობრივისა, მოციქულებრივისა და წმიდამამობრივისა, — ერთის სიტყვით — განცდით ყოველივე მართლმადიდებლურისა. ამ განცდისას ეკლესიის მთელი ღმერთკაცობრივი წარსული ჩვენს დღეთა რეალობად იქცევა. ეკლესიაში მთელი წარსული — აწინდელობას წარმოადგენს, მთელი აწინდელობა კი — წარსულს; მეტიც, ეკლესიაში მხოლოდ უსაზღვრო, დაუსრულებელი აწინდელობაა; აქ ყველაფერი უკვდავია და წმიდაა, ღმერთკაცობრივად და მოციქულებრივად საზოგადოა, საერთოა, — ყოველივე ეკლესიაში — საყოველთაო — მსოფლიოა. თითოეული — ყველას ეკუთვნის, ყველა კი — თითოეულს, და ეს ხდება მადლმოსილი ძალით წმიდა

სიყვარულისა რომელსაც წმიდა ღმერთკაცობრივი სიყვარული წარმოშობს და რომელიც მარადის არსებობს ყველა სხვა ღმერთკაცობრივ სათნოებასთან ერთად, პირველ ყოვლისა კი — ლოცვასთან ერთად.

ეს ღვთისმსახურებითი, ლოცვითი გადმოცემა ეკლესიისა კეთილმსახური მოშიშებითა და თრთოლვით გვინარჩუნებს ყველაზე დიდ ფასეულობას ცათა და ქვეყანისა — ღმერთკაც იესო ქრისტეს, და ყოველივეს, რაც კი მისი კუთვნილებაა. სწორედ ამგვარად დაცული განგვეცხადება ი გ ი მთელის სავსებით თავისი ღმერთკაცობრივი პიროვნებისა — მარადის ცხოველი და სრულყოფილი, მარადის მოქმედი ეკლესიის წმიდა გადმოცემით. და მ ა ს შ ი და მასთან ერთადაა ყოველთვის — მთელი მისი სახარებაც ხსნისა და განღმრთოებისა, მასთანაა ყველა მისი ჭეშმარიტებაც. განსაკუთრებით ცხადად ეს წმიდა ლიტურგიაშია საცნაური. დასკვნითს ლოცვაში წმიდა ბასილი დიდის წირვისა ნათქვამია: აღავსე და სრულ-ჰყავ, ქრისტე ღმერთო ჩვენო, შენი განგებულების საიდუმლო. და სწორედ ჩვენი ლოცვითი მონაწილეობა ამაში შეადგენს ჩვენს ხსნას, განღმრთოებას, ღმერთკაცად ქცევას ეკლესიის მეშვეობით, — ერი.ის სიტყვით, ჩვენ ეკლესიაში დამკვიდრების სავსებას, რაც მადლმოსილი და სათნოებათამიერი ნებაყოფლობითი ღვაწლია ჩვენი რწმენისა.

და მართლაც, ადამიანური ხსნა მდგომარეობს ერთობლივ-საზოგადო ცხოვრებაში „ყოველთა წმიდათა თანა“ (ეფეს. 3, 18), რაც ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში მიმდინარეობს. ეს ცხოვრება განუწყვეტელია და თითოეულ ჩვენს ამქვეყნიურ დღეს განმსჭვალავს, რადგან ყოველდღიურად ჩვენ ერთი ან რამდენიმე წმიდანის ხსენებას ვდღესასწაულობთ, წმიდანებისა, რომელნიც მარადის ჩვენი ხსნის საქმისათვის დაშვრებიან. ჩვენი ლოცვითი კავშირი მათთან ჩვენსავ ცხოვრებას აღაშენებს, — ამიტომ აუცილებელია უკლებლივ ყველა დღესასწაულის აღნიშვნა, — უდიდეს საუფლო დღესასწაულთა, ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული, ანგელოზთა, მოციქულთა, წმიდა მამათა და ყოველთა სხვა წმიდანთა დღესასწაულებისა. ყველა ისინი — დღითა თუ ღამით აღსრულებული დღესასწაულები, ჩვენს ხსნას აღაშენებენ, ხოლო ყოველივე ამაში მთლიანად მუნმყოფობს სრული ღმერთკაცი — უფალი ჩვენი იესო ქრისტე, თავი და სხეული ეკლესიისა, ყველა წმიდანითურთ და ყველა წარუვალი ჭეშმარიტებითურთ, — ანუ მთელი მ ი ს ი დაუსრულებელი ცხოვრებაა აქ ყველა მისი მარადიული სიკეთითურთ.

ეკლესიის საიდუმლოებრივ ღმერთკაცობრივ ორგანიზმს ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ლოცვითი ღვაწლით შევეზრდებით და ლოცვის ძლითვე ვიმყოფებით მასში. ლოცვითი მონაწილეობით ღვთისმსახურებაში თითოეული ჩვენგანის არსებაში განღმრთოების ღვაწლი ხორციელდება, — ღვაწლი ჩვენი გარდაქმნისა, ფერიცვალებისა, ქრისტეთი და ყოვლადწმიდა სამებით შემოსვისა და ეს ყოველთვის ყველა წმიდანთან ერთად აღესრულება. ასეთი ცხოვრება ყოველმხრივ პიროვნულია და ყოველმხრივ საზოგადოც, — წმიდანებთან ერთად ჩვენ საერთო ლოცვით ვცხოვრობთ და ამიტომაც ლოცვითი ღვაწლი ყოველი ქრისტიანისათვის არის აუცილებელი. სწორედ ლოცვა განუსაზღვრავს ადგილს თითოეულ სათნოებას, განაცხოველებს მათ. მისით აღორძინება თითოეული სათნოება, მისით ვითარდება, იზრდება და თავის ადგილს ინარჩუნებს სხვა წმიდა სათნოებებს შორის, ისე, რომ ღმერთკაცობრივი ერთსულოვნებით შეათანხმიერებს სათნოებისმიერ ქმედებებს ხსნის ღვაწლში.

მართლმადიდებელი ღვთისმსახურება — ეს წმიდა სახარება და წმიდა გადმოცემაა, შთადებული ლოცვით სიტყვებში, გადმოცემული გალობით, წართქმული საკვირველი და ცხოველმყოფელი სტიქარონების, ტროპარების, კონდაკების, კანონების, ჰიმნების, კვერექსების, საგალობლების სახით, და გამოხატული სინანულისმიერი სულთქმის, ოხვრისა და ცრემლთა — ღვრის სახით. მთელი ღმერთკაცობრივი ჭეშმარიტება, სიმართლე, სიყვარული, სიბრძნე, ღმერთკაცობრივი ცხოვრება, უკვდავება, ღმერთკაცობრივი მარადიულობა, — ყოველივე ეს ლოცვებით მოემადლება მორწმუნე ადამიანს — წმიდა ზიარებით საღმრთო მცნებების აღსრულებით, წმიდა საიდუმლოთა და სათნოებათა მეშვეობით. როგორადაც და რითიც არ უნდა შევეხოთ ეკლესიის სხეულს, ყოველთვის შევიგრძნობთ მის წმიდა ცხოველ გადმოცემას: მისი სისხლის მიმოქცევას, ნერვებს, ძვლებს, გულისფეთქვას, მის თვალებს, სინდისს, გონებას, გონიერებას. და როცა ჩვენი სული ლოცვითი ღვაწლით შეიწოვს საკუთარ თავში ამ ღმერთკაცობრივ ჭეშმარიტებებს და საზრდოობასაც დაიწყებს ამ ღმერთკაცობრივი სიცოცხლით, მაშინ ყველა წმიდა სათნოება იზრდება—„ორძის სიორძილსა მას ღმრთისასა“ (კოლას. 2, 19)... და ადამიანის სულიც მადლმოსილ განღმრთობას იწყებს, ანუ ჭეშმარიტ ქრისტიანად იქცევა. სწორედ ეკლესიის ღვთისმსახურებითი ცხოვრების განცდით აღეშენება ქრისტიანული პიროვნება: განღმრთობილ მადლის მიერ, „მამაკაცი სრული საზომად ჰასაკისა სავ-

სებისა მის ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 13). ეს არის ერთადერთი მაცხოვნებელი გზა და ღვაწლი ყოველი ქრისტიანისათვის. და ეს განუწყვეტელი მადლმოსილი ზრდა-აღშენება ქრისტეს ეკლესიაში აღესრულება ყოველი ლოცვა-ვედრების, ყოველი ცრემლთა-ღვრის, სულთქმის, ოხვრის, ქვითინის, ყოველი აღსარების მეშვეობით, რომელთა დროსაც მოძღვრებად ყოველნი წმიდანნი გვევლინებიან. ისინი არიან „თვალნი ქრისტეს ეკლესიისა“ (წმიდა მოწამეების სერგისა და ბაქოსის ტროპარი — ხსენება 7 ოქტომბერს), და ჩვენც ჩვენი ადამიანური არსების ერთი უმთავრესი მიზნისაკენ მივყავართ — ღმერთკაცობრივი მიზნისაკენ.

მართლმადიდებელი ქრისტიანი თავის ყოველ აზრს ლოცვაში გადმოღვრის და ლოცვითვე დაასრულებს. ასევე, ყოველი გრძნობაცა და ვედრებაც მისი იესო ქრისტესადმია მიმართული, ამასთან თვით მვედრებელსაც მოიცავს და მთელს მის გარემომცველ სამყაროსაც, და ყველაფერი ამ დროს ღმერთკაცობრივი შეიქნება მასში და ღმერთთან მიდის: აზრი — ღმერთის მოაზრებად გადაიქცევა, რამეთუ სწორედ ესაა ჩვენი აზროვნების ღვთაებრივი და უკვდავი არსი; გრძნობა ღმერთის შეგრძნობაში გადაიზრდება, რადგან სწორედ ამაშია ჩვენი გრძნობების ღვთაებრივი და უკვდავი არსი; სინდისიც — საღმრთო სინდისად გადაიქცევა, გონება — საღმრთო გონებად, ნება — საღმრთო ნებელობად, რადგან სწორედ ეს არის კიდეც მათი ღვთაებრივი და უკვდავი არსი, — ერთის სიტყვით, ადამიანი ღმერთკაცად შეიქნება მადლის მიერ, რამეთუ სწორედ ეს არის ღვთაბრივი და უკვდავი არსი ადამიანის დანიშნულებისა, ადამიანის ცხოვრებისა.

და კვლავ და კვლავ ვიტყვით: ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში ყოველი ნაწილი, როგორც მისი ცოცხალი ღვთისმსგავსი უჯრედი, ეკლესიის მთელი ღმერთკაცობრივი ცხოვრებით ცხოვრობს საზომისაებრ თავისი რწმენისა და სხვა სათნოებების მოღვაწეებისა; ყოველდღე, ყოველ წამს იგი „ყოველთა თანა წმიდათა“ ჰგიებს. ყოველდღე მასზე გადმოიღვრება და მასში განუწყვეტლივ მოქმედებს მრავალრიცხოვანი ძალა ღმერთკაცობრივი ცხოვრებისა, — გადმოიღვრება და მოქმედებს ამ დღეს მოხსენიებულ წმიდანთა მეშვეობით: წმიდა მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მოწამეთა, უვეცხლოთა, ღირს დედამამათა და სხვათა მეშვეობით. და ყველა ამ წმიდანის მიერ ყოველივეში თვით ქრისტეს დამკვიდრებელი, — თავი და წინამძღვარი ეკლესიისა, რომელიც ყოველივეს წარმართავს მის ღმერთკაცობრივ სამყაროში.

ჩვენი სარწმუნოების ყოველ წმიდა დოგმატს თავისი დღესასწაული აქვს ეკლესიაში: ღმერთის ხორციელქმნას და განკაცებას — შობა, მკვდრეთით აღდგომას — აღდგომის დღესასწაული, რწმენას — წმიდა მოწამეთა ხსენების დღესასწაულები, — და ამგვარადვე ყველა სხვა წმიდა სათნოებასაც — დღესასწაულები დანარჩენი წმიდანებისა. დოგმატურ ჭეშმარიტებებს ყოველი ქრისტიანი ეკლესიის სხეულში განიცდის და შეიმეცნებს. და თითოეული ეს დოგმატური ჭეშმარიტება განიცდება როგორც მარადიული ცხოვრება და ორგანული ნაწილი ღმერთკაც იესო ქრისტეს საუკუნო ჰიპოსტასისა: „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხორებაი", — ამბობს თვით მაცხოვარი (იოანე 14, 6). წმიდა ღვთისმსახურებაც ეკლესიაში წარმოადგენს განცდას დოგმატური ჭეშმარიტებებისა. მაგალითად, დოგმატი უფალ იესო ქრისტეს ღმერთკაცობის შესახებ განიცდება შობის, ხარების, ფერიცვალებისა, აღდგომისა და სხვა საუფლო დღესასწაულების აღსრულებისას. ეს მარადიული ჭეშმარიტება მარად განიცდება ჩვენს მიერ მთელის სისრულით და ამით ჩვენს ყოველწამიერ ცხოვრებად გადაიქცევა, და როგორც მოციქული იტყვის — „ჩვენი მოქალაქეობაი ცათა შინა არს, ვინაიცა მაცხოვარსა მოველით, უფალსა იესო ქრისტესა" (ფილიპ. 3, 20), და ჩვენი ცხოვრებაც „დაფარულ არს ქრისტეთურთ ღმრთისა თანა"-ო (კოლას. 3, 3).

ღმერთი, როგორც მსაჯული

საუკუნო სახარებისეული ჭეშმარიტება შესახებ ღმერთისა, როგორც უზენაესი მსაჯულისა ძალდატანებით როდი მოახვიეს თავს ჩვენს შემეცნებას, და იგი არც რასმე არაბუნებრივს არ წარმოადგენს ღმრთივგანცხადებულ ჭეშმარიტებათა წმიდათაწმიდა საკურთხეველში; იგი არის ორგანული შემადგენელი ნაწილი წმიდა გამოცხადებისა ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში. უმისოდ გამოცხადების ლოგიკა ვერ იქნებოდა ღვთაებრივი, ხოლო ღმერთკაცობრივი მოღვაწება ჩვენი ხსნისა — სრულყოფილი; უმისოდ საღმრთო გამოცხადება მიემსგავსებოდა იმ სინათლეს, რომლის ზემოთაც არ იქნებოდა ცათა ნათელი. და ეს ჭეშმარიტება ღმერთის როგორც უზენაესი მსაჯულის შესახებ არის ის ჭერი, ის საფარველი, რომელიც აგვირგვინებს ღმერთკაცობრივ ჭეშმარიტებათა ძვირფას ტაძარს. დანარჩენი წმიდა დოგმატების ბუნება — იმავდროულად მისი ბუ-

ნებაცაა; იგი თანა-არსია მათი, მუნმყოფობს მათში ისევე, როგორც, თავის მხრივ, ისინი მუნმყოფობენ ამ დოგმატში; მასაც მათი მსგავსი და თანაბარი ღირებულება, თანაბარი სასიცოცხლო ძალა აქვს, და მისი გამოყოფა სხვა დოგმატებისაგან არ შეიძლება, რამეთუ ყველა ისინი — ერთობლივ — განუყოფელ ღმერთკაცობრივ ორგანიზმს შეადგენენ. და ბუნებრივია, რომ ღმერთი, რომელიც არის შემოქმედი, მაცხოვარი და მღვდელმთავარი, ამავე დროს მსჯულიც იყოს. რამეთუ როგორც შემოქმედმა მ ა ნ არარსებობიდან — არსებობად მოგვიყვანა და არსებობის მიზნად თავისთან მიმსგავსება დაგვისახა ჩვენდა ბოძებული ღვთისმსგავსი სულის დახმარებით, — ანუ ღვთაებრივი ზრდით გაზრდა და გადაქცევა სრულყოფილ ადამიანად — მამაკაცად სრულად საზომისაებრ ქრისტეს სრულყოფილი სხეულისა (შდრ. კოლას. 2, 19; ეფეს. 4, 13); როგორც მაცხოვარმა, მხსნელმა, მ ა ნ გვიხსნა ჩვენ ცოდვისაგან, სიკვდილისა და ეშმაკისაგან იმით, რომ ცოდვით მოკვდინებულ ადამიანურ ბუნებაში შემოიტანა ძალა და პრინციპი მკვდრეთით აღდგომისა და უკვდავებისა; როგორც განმანათლებელმა და მაკურთხეველმა მღვდელმთავარმა მ ა ნ თავის ღმერთკაცობრივ სხეულში — ეკლესიაში ყველა მადლმოსილი საშუალება და ყველა საღმრთო ძალა მოგვანიჭა იმისათვის, რომ გავითავისოთ მისი ღმერთკაცობრივი განგებულება ჩვენი ხსნისათვის და ჩავწვდეთ მიზანს ჩვენი არსებობისა; ხოლო როგორც უზენაესი მსაჯული ი გ ი შეაფასებს და განსჯის ჩვენსას ყოველივეს და მსჯავრსაც გამოიტანს შესაბამისად იმისა, თუ როგორი მიმართება გვქონდა ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებაში ღმერთისადმი როგორც შემოქმედისადმი და საკუთარი თავისადმი როგორც ღვთისმსგავსი ქმნილებისადმი; როგორი მიმართება გვქონდა მ ი ს ა დ მ ი ვითარცა მხსნელისადმი, მაცხოვარისადმი და ჩვენივ საკუთარი თავისადმი ვითარცა ხსნის ობიექტისადმი; მ ი ს ა დ მ ი როგორც ღმერთკაცისადმი, ანუ ეკლესიისადმი — ჩვენი განმანათლებელისადმი, და საკუთარი თავისადმი როგორც განათლებისა და განღმრთობის საგნისადმი. თავის ამ ქმედებაში ღმერთმა „ყოველდღე შექმნა ზრახვისაებრ ნებისა მისისა“ (ეფეს. 1, 1), ანუ თავისი წინადსაუკუნო განგებულებით ადამიანისა და მთელი სამყაროს ხსნისათვის, „განგებულად აღვსებისა მის ჟამთაისა, თავ-ყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რაი — იგი არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა“ (ეფეს. 1, 10; შდრ. კოლას. 1, 16—17. 20).

ადამიანის არსებაში ღმერთმა იმთავითვე შეურია დვრიტა მგზნე-

ბარე მისწრაფებისა ქრისტესადმი, რათა ადამიანსაც და მის კვალად მთელს დანარჩენ ქმნილებასაც ქრისტესაკენ ესწრაფა. ამიტომაც მთელი ქმნილება თავისი არსების შესაბამისად ქრისტესაკენ მიისწრაფვის როგორც თავისი ბუნებრივი მარადიული ცენტრისა და მიზნისაკენ (შდრ. რომ. 8, 19—23; კოლას. 1, 16—17; ეფეს. 1, 4—5). თუკი თავის შემოქმედებითს, მაცხოვნებელ და განმანათლებელ-მაკურთხეველ ქმედებაში ღმერთი არის მხვნელი, მთესველი და ამაღორძინებელი, — თავის მსაჯულებითს ქმედებაში იგი გვევლინება მომკელად და გამლეწავად (განმრჩევად). ბუნებრივია, რომ ზეციური მთესვარი, რომელმაც უხვად დათესა ღვთაებრივ საუკუნო ჭეშმარიტებათა თესლი ადამიანის სულის ნიადაგში, (თავის დროს) მოვა და ნახავს, თუ რამდენი დამპალა ამ თესლთაგან ბილწ გულისთქმათა ტალახში, რამდენი მოშთობილა ვნებების ეკალბარდში, რამდენი გამხმარა ცოდვისმოყვარების მხურვალე ცეცხლში და რამდენი კეთილად გაღვივებულა, ამოზრდილა, და გამოუღია კიდეც ღვთაებრივი ნაყოფები. და მაშინ იგი მომკის და განარჩევს, დამწიფებულ თავთავებს, და რადგანაც ი გ ი მხვნელია, მთესველი და გამომზრდელია, ამდენად იმის უფლებაც აქვს, რომ მომკელიც იყოს და განმრჩევ-გამლეწავიც; ხოლო რადგანაც მ ა ნ ადამიანებს ყველა საშუალება მოანიჭა სასიცოცხლო მიზნის მისაღწევად, ამდენად მ ა ს უფლება აქვს უზენაესი მსაჯულიც იყოს. უსამართლობა და ტირანია იქნებოდა, თუკი ღმერთი პირდაპირვე მსაჯულად მოვიდოდა, ისე, რომ მანამდე არ მოვლენილიყო ქვეყნად ვითარცა მხსნელი და გამათავისუფლებელი. ადამიანისა და, მეტადრე, კაცობრიობის განსჯის უფლება არ ექნებოდა იმ ღმერთს, რომელიც არ გაუხსნიდა ადამიანებს საუკუნო ცხოვრებისაკენ მიმავალ გზას და არ ახარებდა მათ მარადიულ ჭეშმარიტებას და არც საშუალებებს მოანიჭებდა თავის სახსნელად ცოდვისაგან, ეშმაკისა და სიკვდილისაგან, — ერთის სიტყვით, იმას, ვინც არ იქნებოდა მხსნელი, მაცხოვარი. ასეთი „ღმერთისათვის" — ტირანისათვის ადამიანს უფლება ექნებოდა პირდაპირ ეთქვა ის სიტყვები, რომლებიც ბოროტმა მონამ უთხრა თავის ბატონს სახარების იგავში ქანქართა (ტალანტთა) შესახებ (იხ. მათე, 24—25; „ფიცხელი ხარ შენ: მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიეს"), ანუ უსამართლობა მიეწერა მისთვის.

ქრისტე რომ ამგვარი „ღმერთი" ყოფილიყო, მაშინ არც უნდა გვერწმუნა მისი, რამეთუ ამ შემთხვევაში იგი არ იქნებოდა ნამდვილი ღმერთი, არამედ ერთ-ერთი იქნებოდა უძლურ თვითმარქვიათა-

გან — ცრუ-ღმერთთაგან კაცობრივ კერპებს შორის. მაგრამ რადგანაც ღმერთკაცი — უფალი იესო ქრისტე მხსნელად მოგვევლინა ადამიანისა, კაცობრიობისა, და თავისი გამოუთქმელი კაცთმოყვარეობით აღასრულა დიდი, მწუხარე ღვაწლი ხსნისა, და ადამიანებს ცათა ყველა საბოძვარი მოანიჭა, რომელთა მოცემაც მხოლოდ სიყვარულის ღმერთს შეეძლო, — ამიტომ მ ა ს იმის უფლებაც აქვს, რომ მსაჯულიც იყოს ადამიანისა და მთელი სამყაროსიც, და განიკითხოს თავისი ქმნილება.

რა თქმა უნდა, რამდენადაც უფალი იესო ქრისტე თანა-არსია მამა-ღმერთისა და სულიწმიდა-ღმერთისა, ანუ ერთი არსების მქონეა მათთან, ამდენად კაცობრიობის განკითხვა სრულიად ყოვლადწმიდა სამების საქმეა. მაგრამ იმისთვის, რომ მეამბოხე ადამიანს, თავისი ღვთისმბრძოლი მიდრეკილების გამო, პროტესტი არ გამოეთქვა, რომ ღმერთს, რომელიც არ ყოფილა ამქვეყნად ადამიანის სხეულში და არ უტანჯია როგორც ადამიანს კაცობრივი .ტანჯვით (ანუ მამა-ღმერთს) — არა აქვს უფლება ადამიანთა განკითხვისაო, ამიტომ „არცაღა მამაი სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა“ (იოანე 5, 22) და „დაამტკიცა დღე, რომელსა შინა ეგულების განკითხვაი სოფლისაი სიმართლით, კ ა ც ი თ ა მით, რომელი განაჩინა, (და) სარწმუნოებაი მოსცა ყოველთა, რამეთუ აღადგინა ი გ ი მკვდრეთით“ (საქმე მოციქულთა 17, 31).

რაკი კაცი, ადამიანი — ხორციელ-ქმნილი სიტყვა-ღმერთი დაადგინა ქმნილების განსასჯელად, მამა-ღმერთმა ამით საბოლოო სამართალი განუჩინა კაცობრიობას, რადგან კაცთმოყვარეობით შეჰკრა წრე თავისი ზეციური სამართლიანობისა ამქვეყნად, და ამიტომ არ შეიძლება გამართლება ჰქონდეს ადამიანის პროტესტსა თუ ამბოხს ღმერთის სამსჯავროს წინააღმდეგ. ღმერთკაცი — უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის არამხოლოდ დამაფუძნებელი სარწმუნოებისა, არამედ აღმასრულებელიც და სრულ-მქმნელიც ჩვენი რწმენისა მ ი ს ა დ მ ი; ი გ ი არის მიზეზიც და შემსრულებელიც მთელი ღვთაებრივი განგებულებისა ადამიანისა და სამყაროს შესახებ (ებრ. 12, 2; შდრ. ებრ. 2, 10).

ყველა ცვალებისა და გარდაქმნის გზით ქმნილება თავისი დასასრულისაკენ მიისწრაფვის. ყველა დღისა და ღამის განმავლობაში ამქვეყნად მცხოვრები ყოველი ადამიანი, მის კვალად კი — მთელი ქმნილებაც — მიისწრაფის ერთი უკანასკნელი დღისაკენ, რომელშიც აღსრულდება საიდუმლო ამა ქვეყნისა და კაცობრიობის ისტორიისა.

ყოველმა ქმნილებამ, რომელსაც კი უცხოვრია და აწ ცხოვრობს დროში, თავის უკანასკნელ დღეს უნდა მიაღწიოს, და არ არის ისეთი არსება, ისეთი ქმნილება, რომელსაც დრო-ჟამის ნაკადი სწორედ ამ უკანასკნელ დღემდე არ მიიყვანს. ამ დღეს კი დრო-ჟამი შესწყვეტს არსებობას, და ამიტომაც იგი საღმრთო გამოცხადებაში იწოდება „უკანასკნელ დღედ“ (იოანე 3, 39. 40. 44; 12, 48), „დიდ დღედ“ (საქმე მოც. 2, 20; იუდა 6); ხოლო რადგანაც ეს — ღმერთის მიერ განსაზღვრული დღეა, „რომელსა შინა ეგულების განკითხვაი სოფლისაი სიმართლით“ (საქ. მოც. 17, 31), ამიტომ იგი იწოდება კიდეც „დღედ სასჯელისა“ (მათე 10, 15; 11, 22, 24; 12, 36; II პეტრ. 2, 9; 3, 7; I, იოანე 4, 17), „დღედ რისხვისა და გამოჩინებისა მართლმსაჯულებისა ღმრთისაისა“ (რომ. 2, 5). მაგრამ რადგანაც „არცა-ღა მამაი სჯის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა“ (იოანე 5, 22) და იგიც, ძე ღვთისა იესო ქრისტე, ჩვენი უფალი, მოგვევლინება ჩვენ ამ უკანასკნელ დღეს ვითარცა მსაჯული თავის სრული დიდებით და ძლიერებით, — ამიტომ ეს დღე იწოდება, აგრეთვე, „დღედ ძისა კაცისა“ (ლუკა 17, 22, 24, 26), „დღედ უფლისა“ (II პეტრე 3, 10; I თეს. 5, 22; შდრ. იეზეკ. 15, 5; ესაია 2, 12; იოველი 2, 31; სოფონია 1, 14; მალაქია 4, 1), „დღედ ქრისტესი“ (II. თეს. 2, 2; ფილიპ. 1, 10; 2, 16), „დღედ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“ (II კორ. 1, 14; I კორ. 1, 8; 5, 5), „დღედ სასჯელისა და წარწყმედისა ულმრთოთა კაცთაისა“ (II პეტრე 3, 7; 2, 9).

ამ მრავალმნიშვნელოვან დღეს ღმერთკაცი — უფალი იესო ქრისტე საბოლოო მსჯავრს გამოთქვამს და აღასრულებს კაცობრიობის მთელი ისტორიისა და ადამიანის გამო, ყველა ადამიანის გამო — ერთობლივ და თითოეულისათვის — ცალ-ცალკე. და როგორადაც შექმნათა გასრულებისას მოიხილა ღმერთმა თავის მიერ შექმნილი მთელი ქმნილება და ყველაზე წარმოთქვა თავისი მსჯავრი, რომ „ყოველივე კეთილ ფრიად“ (დაბ. 1, 31), ამგვარადვე უკანასკნელ დღესაც ი გ ი — უფალი იესო ქრისტე კვლავ მოიხილავს თავის მთელს ქმნილებას მათს მიერ ისტორიაში განვლილი გზის განსრულების შემდეგ და თავის საბოლოო მსჯავრს გამოთქვამს ყველას და თითოეულის შესახებ. მაშინ ი გ ი განაცალკევებს სიკეთეს — ბოროტებისაგან, და გაუვალ ზღვარს — „დანახეთქს“ დასდებს მათ შორის (შდრ. ლუკა 16, 26); და მაშინ იგი თავის აბსოლუტურად ზუსტ და მგრძნობიარე სასწორზე სიმართლისა და სიყვარულისა აწყავს ყველა ადამიანური საქმეს, ფიქრს, აზრს, გრძნობას, სურვილსა თუ სიტყვას; და

მაშინ „აღესრულება საიდუმლო ღმრთისაი“ (გამოცხ. 10, 7) ადამიანის, ყოველი ქმნილების, მსოფლიოსა და სამყაროს გამო; და მაშინ ყოველნი კეთილნი, მართალნი მორწმუნენი, და ყოველივე კეთილი, დაიმკვიდრებს საუკუნო ნეტარებას, მარადიულ სამოთხეს ყოვლადტკბილ ცათა სასუფეველში ჩვენი უტკბილესი უფლის იესო ქრისტესი, ხოლო ყოველნი ბოროტნი, უმართლონი და უკეთურნი, და ყოველივე ბოროტიც — საუკუნო ტანჯვას დაიმკვიდრებენ, მარადიულ ჯოჯოხეთს უმწარეს და უბნელეს მეუფეებაში ეშმაკისა, ბოროტი და დაცემული ანგელოზებისა.

ნაწილი II

ეკუმენიზმი

ისტორიულმა ღმერთკაცმა — უფალმა იესო ქრისტემ ყოველ-მხრივ გვიჩვენა, რომ ადამიანური არსებისათვის ი გ ი ყოველივეა ცათა შინა თუ ქვეყანასა ზედა — არსიც, არსებაც, ცხოვრებაც, გონიერებაც, გულიც, სინდისიც, სიკეთეც, სიყვარულიც, ნათელიც, სათნოებაც, გზაც, ჭეშმარიტებაც, სიმართლეც, სიხარულიც, ხსნაც, ცხოვნებაც, მკვდრეთით აღდგომაც, ზეცად ამაღლებაც, მარადიულობაც და სამოთხეც. და ყველაფერ ამად ი გ ი გვევლინება თავისი ღმერთკაცობით, თავისი ღმერთკაცობრივი სხეულით — ყოვლადწმიდა ეკლესიით, სამოციქულო ეკლესიით, წმიდა მამათა, წმიდა გადმოცემის ეკლესიით, — ანუ მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიით.

ეკლესიის გარეშე, ანუ ღმერთკაცის სხეულის გარეშე მყოფი ადამიანი, ყველა თავისი უძლურებით არსებობს, და არამარტო საკუთარი უძლურებებით, არამედ თავის გარშემო არსებულითაც: ცოდვით, ეშმაკითა და სიკვდილითურთ, ხოლო მათში და მათთან ერთად — ყოველი ბოროტებით, ყოველი ჯოჯოხეთით, ყოველი სნეულებით, მანკიერებით, ტანჯვითა და ნაკლოვანებით. და ასეთ ყოფაში ჩავარდნილი ადამიანი მთელი თავისი საქმიანობით წვალობს და ცდილობს იხსნას თავი, გათავისუფლდეს ამ ტანჯვათაგან, ამ ბოროტებისა და საშინელებისაგან; ცდილობს ამას მეცნიერების მეშვეობით, რწმენის მეშვეობით, ფილოსოფიის, კულტურის, ხელოვნების მეშვეობით, მიწათმოქმედების, მრეწველობისა თუ ტექნიკის მეშვეობით... და ასეთი ადამიანი ყოველთვის იმ ჯვრებზე გაკრულ ტანჯულად წარმოსდგება, თვითვე რომ აღუმართავს საკუთარი თავისთვის და თვითვე რომ მიუმსჭვალია მათზე თავი. ასე, რომ ადამიანს მრავლად გამოუგონია სხვადასხვა შემცვლელიც — სუროგატიც — ჭეშმარიტი ხსნი-

სა იმ მრავალფერი ტანჯვისაგან, რითაც ესოდენ აღსავსეა მისი ცხოვრება ამქვეყნად. მრავლად გამოუგონია მას სხვადასხვა „ჰუმანისტური“ თეორიებიც შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა გადაირჩინოს საკუთარი თავი თავისით, საკუთარი ძალებით, და როგორ გაბედნიერდეს ამქვეყნიურ ცხოვრებაშივე. მაგრამ ისტორია ცხადად გვიდასტურებს, რომ ყოველივე ეს ამაო მცდელობაა, ტყუილი შრომაა: ადამიანი კვლავაც მონა რჩება სხვადასხვა სატანჯველთა და ბოროტებათა, და რაც ყველაზე საშინელია, — მონად სიკვდილისა. და ეს უკლებლივ ყოველ ადამიანს შეეხება ღვთის მიერ დაბადებულ ამა ქვეყანაზედ, განსაკუთრებით კი — ევროპელ ადამიანს. ამიტომაც აუცილებელიცაა და მეტად მიზანშეწონილიც თვალი მივადევნოთ ადამიანის მიერ „ჰუმანისტური“ თეორიების განვითარებას.

ჰუმანისტური და ღმერთკაცობრივი პროგრესი

აბა, განიხილეთ უმთავრესი პრინციპები ევროპული ჰუმანისტური ცხოვრებისა, და მაშინვე თვალში გეცემათ ის გარემოება რომ ევროპული კულტურა სისტემატურად აჩლუნგებს ადამიანში უკვდავების გრძნობას, იქამდე, სანამ მთლიანად არ განუქარვებს მას, და ევროპული კულტურის მქონე ადამიანიც, ნიცშეს კვალობაზე, უკვე გადაჭრით ამტკიცებს — მე მხოლოდ სხეული ვარ და არაფერი სხვა რამ ამ სხეულის გარდაო და რაკი ასეა, მხოლოდ მოკვდავი არსება ვარ, და სხვა არაფერი ამ მოკვდავი არსების გარდაო. აი, ასე იწყო ბატონობა „ჰუმანისტურ“ ევროპაში ამ დევიზმა — „ადამიანი — მოკვდავი არსებაა“. ეს არის ჰუმანისტური ადამიანის ფორმულა. ამაშია მისი პროგრესის არსი, თავდაპირველად — ქვეცნობიერად, შემდეგ კი წინასწარი განზრახვითა და სისტემატურობით შთაუნერგეს ევროპელ ადამიანს — მეცნიერებით, ფილოსოფიითა და კულტურით — შეგნება იმისა, რომ ადამიანი მთლიანად მოკვდავია, მთელი თავისი არსებით განქარვებადი — სულითაც და სხეულითაც. ეს შეგნება თანდათანობით ჩამოყალიბდა მტკიცე დაჯერებულობად, რომელიც ღაღადებდა: სიკვდილი აუცილებლობაა! სიკვდილი უსათუოდ ესაჭიროება ადამიანს!.. შესაძლებელია განა უფრო მეტი საშინელების, შეურაცხყოფისა და უფრო გესლიანი დაცინვის წარმოდგენა, ვიდრე ისაა, რომ სიკვდილი — უმთავრესი მოწინააღმდეგე ადამიანისა — თურმე, საჭირო, აუცილებელი რამ ყოფილა მისთვის?! მითხარით,

თუ არის აქ რაღაც ლოგიკა?! თუ არის აქ თუნდაც ნასახი ლოგიკისა?! თუნდაც ბავშვური, ანდა მწერებისეული ლოგიკა?!.. ხომ არ დაკარგა ევროპელმა ადამიანმა — გასრესილ-დაფქულმა სიკვდილის ამ წისქვილში (როგორც ჩვენს დედამიწას უწოდებენ ხოლმე) — უკანასკნელი ნიშან-წყალიც გონიერებისა, და უაზრო ბოდვა ხომ არ დაიწყო?.. გაცამტვერებულია, საშინლად არის გაცამტვერებული თანამედროვე ადამიანი, რადგანაც იგი გამოფიტულია პირადი უკვდავების შეგნებისა და გრძნობისაგან. უამისოდ კი განა შეიძლება ადამიანს სრულფასოვანი, მთლიანი არსება ვუწოდოთ? — ჰოი, როგორ მძიმედ გაუსრესიათ, როგორ საშინლად დაუსახიჩრებიათ თანამედროვე ადამიანი! იგი ქონდრისკაცად უქცევიათ, ნატეხად ადამიანისა, რამეთუ მისგან გამოუდევნიათ ყოველგვარი გრძნობა და შეგნება მარადიულობისა. ხოლო დაუსრულებლობის შეგრძნების გარეშე განა შეუძლია ადამიანს, საერთოდ, იარსებოს როგორც ადამიანს — გონიერ არსებას?! და თუკი შეუძლია კიდეც რაღაცნაირად, მაშინ განა აქვს აზრი მის ამგვარ არსებობას?! განა უსასრულობის გრძნობის გარეშე მკვდარ, უსულო რამ საგანს არ წარმოადგენს იგი ასევე მკვდარ და უსულო ნივთებს შორის? განა წარმავალ პირუტყვს არ წარმოადგენს — პირუტყვთა შორის?!.. წარმოვიდგინოთ, ასეთი პარადოქსი: მე ვამტკიცებ, რომ ზოგიერთ პირუტყვს უფრო „ამაღლებული“ გრძნობები აქვს, უფრო „უკვდავი“ სურვილები ამოძრავებს, ვიდრე თანამედროვე ადამიანს-მეთქი, — პროდუქტს ევროპული პროგრესისა! და იგიც, თავისი გონებით მიწას, ყოველივე ამქვეყნიურს მიჯაჭვული და ყოველივე მატერიალურში ჩაფლული ადამიანი, სავსებით მართალია, როცა თავისი „ბრძენკაცების“ ბაგეებით ამტკიცებს, მაიმუნისაგან ვარ წარმოშობილი. და თუკი წარმოშობით უთანაბრებს თავს პირუტყვებს, მაშ, ზნეობის მხრივაც რატომღა არ უნდა გაუთანაბროს?! და განა თანადროულ მართლმსაჯულებაშიც ცოდვა — დანაშაული სულ უფრო და უფრო არ არის აღიარებული ყოვლადაუცილებელ და გარდუვალ საჭიროებად ადამიანური ბუნებისათვის, მისი სოციალური გარემოსათვის? და რამდენადაც ადამიანში, თურმე, არაფერი უკვდავი არა ყოფილა, — როგორც ამას თანამედროვე ევროპელი ამტკიცებს, — ამდენად მთელი ეთიკაც, საბოლოოდ, ინსტინქტურ მისწრაფებებამდე დაიყვანება. და თუკი ეთიკაში ადამიანმა თავის „წინაპრებს“ გაუთანაბრა თავი — მაიმუნებსა და სხვა ცხოველებს, მაშინ მთელს მის ცხოვრებასაც ეს პრინციპი დაუფლებია — ადამიანი ადამიანისათვის მგელია. სხვაგვარად არც

შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან მხოლოდ საკუთარი უკვდავების შეგნებას ეფუძნება ადამიანის ზნეობა, რითაც ის არის კიდეც პირუტყვებზე აღმატებული. ხოლო თუკი არ არსებობს უკვდავება და მარადიული ცხოვრება არც ადამიანისათვის და არც მისი გარემომცველი სამყაროსათვის, მაშინ ასეთი ადამიანისათვის — პირუტყვ ცხოველს მიმსგავსებულისათვის — სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია ასეთი ზნეობაც: „რაი-მე სარგებელ არს ჩემდა, უკუეთუ მკუდარნი არა აღდგენ? — ვჭამოთ და ვსვათ, რამეთუ ხვალე მოვსწყდებით“ (I კორინთ. 15, 32).

ფარდობითობა ევროპული ჰუმანისტური პროგრესის ფილოსოფიაში მიზეზი უნდა შექმნილიყო ფარდობითობისა ცხოვრებაშიც, ხოლო ნებისმიერი ფარდობითობა დედაა ანარქიზმისა და ნიჰილიზმისა; მაშასადამე, მთელი ეს პრაქტიკული ეთიკაც ჰუმანისტური ადამიანისა ანარქიზმსა და ნიჰილიზმს წარმოადგენს, რამეთუ ანარქია და ნიჰილიზმი გარდუვალი, დამაგვირგვინებელი, აპოკალიპსური ფაზებია ევროპული პროგრესისა. იდეურ ანარქიზმსა და იდეურ ნიჰილიზმს ევროპული კაცობრიობის ცხოვრებისა და საქმიანობის გახრწნა, მისი განვითარების, პროგრესის კრიზისი უნდა გამოეწვია. და განა ჩვენ, მართლაც, თვითმხილველნი არა ვართ ყოველნაირი — იდეურ-პრაქტიკული ანარქიზმისაც და ნიჰილიზმისაც, ერთიანად რომ აჩანაგებენ ევროპული კონტინენტის სულიერებას? ევროპული პროგრესის შესაკრებელნი იმგვარნია, რომ როგორადაც არ უნდა გადავაადგილებდეთ მათ, ჯამი ყოველთვის ანარქიზმსა და ნიჰილიზმს გვაძლევს. დამამტკიცებელი საბუთი გნებავთ? — ინებეთ: ორი გამანადგურებელი მსოფლიო ომი, რომლებიც, სინამდვილეში, ევროპული ომები იყო.

უგნური გამხდარა ევროპელი ადამიანი, კატასტროფულად უგნური, რაკი შეუძლია არა სწამდეს ღმერთი, სულის უკვდავება, და ამის სანაცვლოდ მხოლოდ ე. წ. პროგრესი სწამდეს როგორც აზრი თავისი ცხოვრებისა, და მხოლოდ მისთვის დაშვრებოდეს ამქვეყნად. მაგრამ ერთი ესეც ვიკითხოთ: რაში მჭირდება მე პროგრესი, თუკი მის იქით მე სიკვდილი, სამუდამო გაქრობა მომელის?! რაში მჭირდება შორეული სამყაროები, თანავარსკვლავედები, კულტურები, თუკი მათს მიღმა მე სიკვდილი, სამუდამო გაქრობა დამდარაჯებია და ადრე თუ გვიან მთლიანად უნდა შთამნთქას?! — რამეთუ სადაც სიკვდილია, იქ არანაირი პროგრესი არ შეიძლება იყოს. ხოლო თუკი მაინც არის რაღაც პროგრესი, ეს — დაწყეველილი პროგრესია სიკვდი-

ლის წისქვილში, და ამიტომაც იგი სრულად და საბოლოოდ უნდა მოისპოს.

ეს ტანჯვა-წამება ევროპული პროგრესისა კარგად დაინახა გამოჩენილმა ჩეხოსლოვაკიელმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა და გამოხატა კიდეც იგი თავის ტრაგედიაში — „გონიერი უნივერსალური რობოტი". მის გმირებს — ალკვისტსა და ელენეს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„ალკვისტი: თუ აქვს ნანას რომელიმე ლოცვანი?

ელენე: აქვს ერთი, ძალზე დიდი.

ალკვისტი: და მასში, ალბათ, ნამდვილად არის ლოცვები სხვადასხვა ცხოვრებისეული შემთხვევებისათვის — ავდრის საწინააღმდეგოდ, სნეულებათა და უბედურებათა თავიდან ასაცილებლად?

ელენე: დიახ, არის ასეთი ლოცვები სხვადასხვა საცთურისა და განსაცდელის საწინააღმდეგოდ...

ალკვისტი: მაგრამ თუ არის ამ ლოცვანში ლოცვები პროგრესის საწინააღმდეგოდ?!..

ელენე: არა, პროგრესის საწინააღმდეგო ლოცვები მასში, დარწმუნებული ვარ, ნამდვილად არ არის.

ალკვინისტი: ეჰ, რა დასანანია!.."

ამგვარი სულისკვეთებით ევროპული პროგრესის მიმართ ბევრი სხვაც არის განმსჭვალული...

* * *

ჰუმანისტურ კაცობრიობას და მისმიერ პროგრესს უპირისპირდება ქრისტესმიერი კაცობრიობა თავისი ღმერთკაცობრივი განვითარებით. უმთავრესი პრინციპი ამ ქრისტესმიერი პროგრესისა შემდეგია: ადამიანი მხოლოდ ღმერთით არის ნამდვილი ადამიანი, — ანუ მხოლოდ ღმერთკაცითაა და ღმერთკაცისმიერაა იგი ნამდვილი ადამიანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი მხოლოდ უკვდავების ძლით არის ნამდვილი ადამიანი, ანუ დაძლევით ყოველივე მოკვდავისა, სიკვდილს დაქვემდებარებულისა, — მხოლოდ გამარჯვებით სიკვდილზე. როცა ცოდვასა და ბოროტებას სძლევს საკუთარ თავში, ამით ქრისტეს ადამიანი სიკვდილსაც სძლევს თავის ცნობიერებაში, და უკვდავ ღმერთკაცთან — იესო ქრისტესთან შეაერთებს თავის არსებას, მასთან შეერთებული კი ამქვეყნადვე უკვდავი შეიქნება, რაშეთუ მისი გონება უკვე ქრისტეს გონებით იაზროვნებს, — უკვდავი

და მარადიული გონებით; მისი გულიც უკვე სრულად შეიგრძნობს საკუთარ არსებაში ქრისტესმიერ ცხოვრებას — საუკუნო ნეტარ ცხოვრებას...

ესკი მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტეს რწმენით მიიღწევა. როგორც კი ადამიანი მთელი გულით, წრფელად ირწმუნებს მკვდრეთით აღმდგარ ღმერთკაცს, მის სულში მაშინვე იშვება გრძნობა საკუთარი უკვდავებისა, მკვდრეთით აღდგომისა, სიკვდილზე, ცოდვასა და ბოროტებაზე გამარჯვებისა. ეს გრძნობა ყველა სხვა სახარებისეული ღვაწლისათვისაც განამხნევებს ქრისტიანს, და იგიც სიხარულით აღასრულებს ქრისტეს მცნებებს, და ამ სიხარულით აღსავსე, ღვთის შეწევნით გაივლის გზას არარსებობიდან — არსებობისაკენ, სიკვდილიდან — უკვდავებისაკენ. როგორც რიცხვი ნულია არარა და ძალუძს არარადან უსასრულობამდე გაიზარდოს, ასევეა ადამიანიც, რომელიც ღმერთკაცით იზიდება: იგი მთელი თავისი არსებით განიმსჭვალება ღვთაებრივი დაუსრულებლობით, და მთელს თავის არსებაში უკვდავად და დაუსრულებლად გრძნობს თავს. ასე, რომ ზემოხსენებული ტრაგიკული პრინციპი ჰუმანისტური პროგრესისა — სიკვდილი აუცილებლად ესაჭიროება ადამიანსო, — შეიცვლება სასიხარულო, მაცხოვნებელი პრინციპით ღმერთკაცობრივი პროგრესისა: უკვდავება წარმოადგენს აუცილებლობას, მარადიულობაა ადამიანის ხვედრი!

ღმერთკაცობრივ პროგრესს თავისი ღმერთკაცობრივი ზნეობა აქვს: მასში მთელი ადამიანური ცხოვრება ერთი წინამძღვრის მიერ წარიმართება — ღმერთკაცის — ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. სიკეთე მხოლოდ ისაა, რაც ქრისტესია, რაც ქრისტესმიერია, — თვინიერ ამისა არ არსებობს ჭეშმარიტი სიკეთე. უკვდავება უმთავრესი ნიშან-თვისებაა ქრისტესმიერი სიკეთისა, და ამიტომაც იგი აუცილებელი რამ არის ქრისტეს ადამიანის ზნეობაში როგორც გრძნობა, როგორც შეგნება, როგორც ქმედება და როგორც განხორციელება. უფალ იესო ქრისტეს შეგრძნება როგორც სულისა — საკუთარი სულისათვის და როგორც ცხოვრება — საკუთარი ცხოვრებისათვის, — აი, ეს არის სწორედ ადამიანის უკვდავება, ამის მეშვეობით კი მას მოენიჭება, მონიჭებული ჰქონდა და ექნება დაუსრულებლობა აზროვნებისა, გრძნობისა, ცხოვრებისა. ნამდვილი ქრისტიანისათვის უკვდავება სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური რამ არის, უკვდავების კვალობაზე კი — მარადიულობაც. სწორედ ეს იძლევა შესაძლებლობას მიმდინარეობდეს პროცესი დაუსრულებელი ზნეობრი-

ვი სრულყოფისა, — ანუ ჭეშმარიტი პროგრესისა ღმერთისაკენ მიმავალ, გზაზე, — ღმერთისა, რომელიც არის აღსება ყოველთა სრულყოფილებათა და დაუსრულებლობათა. ამიტომ სავსებით ლოგიკურია და ბუნებრივიც ღმერთკაცობრივი პროგრესის კატეგორიული იმპერატივი: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მ ა მ ა ჲ თქვენი ზეცათაჲ სრულ არს“ (მათე 5, 48).

ქრისტეს ადამიანი ღვთაებრივი სრულყოფილების გზას ადგას, რომელზეც იგი სახარებისმიერი სათნოებით სძლევს ცოდვასა და ბოროტებას საკუთარ თავშიც და მთელს გარემომცველ სამყაროშიც. იგი ყოველთვის იზრდება სიკეთიდან — სიკეთემდე, მცირეთაგან — დიდამდე, და ამასთან, არასდროს არ ჩერდება ამ გზაზე, რადგანაც ყოველგვარი შეყოვნება, თუნდაც სულ მცირე, სულიერ სიკვდილს მოასწავებს. ყოველი უზაკველი აზრის, ყოველი წმიდა გრძნობის, ყოველი კეთილი სურვილისა და ქველი სიტყვის მეშვეობით იგი აღორძინდება და იზრდება მკვდრეთით აღდგომისაკენ, უკვდავებისაკენ და საუკუნო, მარადიული ნეტარი ცხოვრებისაკენ.

ცოდვისა და სიკვდილის დაძლევით ქრისტესმიერი ადამიანი ქრისტიანული ევოლუციის სამ უმთავრეს ეტაპს გაივლის ამქვეყნიურ ცხოვრებაში: შობას ქრისტეში და ქრისტეს მიერ, გარდაქმნა — ფერიცვალებას ქრისტეში და ქრისტეს მიერ და მკვდრეთით აღდგომას ქრისტეში და ქრისტეს მიერ. საბოლოო მიზანი მისი ბრძოლისა ის არის, რომ ქრისტესთან ერთად მკვდრეთით აღდგეს და ამით სიკვდილი დაამარცხოს. მაშ, იცოდე, რომ შენ უკვე გიძლევია სიკვდილისათვის, თუკი მთელის სულითა და გულით გირწმუნია მკვდრეთით აღმდგარი ღმერთკაცი იესო ქრისტე, რამეთუ თვით მას ასე უთქვამს: „...რომელსა ჰრწმენეს ჩემი, აქუნდეს ცხორებაი საუკუნოი“, და „გარდაიცვალოს იგი სიკვდილისაგან — ცხორებად“ (იოანე 6, 47; 5, 24).

ასე, — რწმენით მკვდრეთით აღმდგარი ღმერთკაცისა, — იწყებს ადამიანი ნამდვილ ადამიანობას, რამეთუ ამ რწმენის ძლით იგი თავისუფლდება ცოდვისაგან და სიკვდილისაგან, და მისივ ძლით შეიძენს შეგნებასა და გრძნობას უკვდავებისა. ცოდვა — სნეულებაა, რომელიც აჩლუნგებს, ადამბლავებს ადამიანში უკვდავების შეგრძნებას, და მაშინ ადამიანს არც აზრით, არც გრძნობით არ ძალუძს ამაღლება მარად ცხოველი ჭეშმარიტი ღმერთის შეგნებამდე და განცდამდე. ასეთი ადამიანი — დასახიჩრებული ადამიანია, ანუ ნახევრად-ადამიანია, უფრო სწორად — არა-ადამიანია. ღმერთკაცმა თავი-

სი მკვდრეთით აღდგომით დაამარცხა ცოდვა და სიკვდილი, რათა გამოეღვიძებინა ადამიანი უკვდავებისა და მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის; რათა აქამდე მომკვდარი თუ პარალიზებული გრძნობა უკვდავებისა კვლავ გაცოცხლებულიყო ადამიანში და გაახალგაზრდავებულიყო; რათა ადამიანს შეეგრძნო ღმერთი და საუკუნო ცხოვრება როგორც ადამიანური ცხოვრების აზრი ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც, ცათა შინა. მართლაც, ღმერთკაცობრივი ეკლესია ერთგვარი ღვთაებრივი სახელოსნოა, რომელშიც განუწყვეტლივ განახლდება და განმტკიცდება ადამიანური შეგნება. პიროვნული უკვდავებისა და დაუსრულებლობისა. განა ლოცვა დაუსრულებელ რაიმედ არ გადააქცევს ადამიანის სულს, როცა ღმერთთან შეაერთებს მას? განა სიყვარულიც უკვდავად არ შექნის ადამიანის სულს, როცა ღმერთთან აღამაღლებს მას? განა მოწყალება, გულკეთილობა, სიმდაბლე, სიმართლე და სხვა საღმრთო სათნოებანი უკვდავებისათვის არ აღაშენებენ ადამიანს ქრისტესმიერი ჭეშმარიტების მეუფებაში? — ყოველი სახარებისეული სათნოებით ადამიანი თანდათანობით დასძლევს საკუთარ თავში სიკვდილს, სანამ, ბოლოს, მთლიანად არ დაამარცხებს მას და თავის უკვდავებასა და საუკუნო ცხოვრებას არ მიაღწევს.

ღმერთკაცობრივ პროგრესში ადამიანი თანდათანობით მიჰყვება ქრისტეს გზას როგორც ღვთაებრივს, რომელიც საღმრთო ჭეშმარიტებით მიიყვანს მას საუკუნო ნეტარ ცხოვრებად. და ყოველივე ეს ადამიანთა მოდგმას სწორედ თავისი მკვდრეთით აღდგომით მოანიჭა ღმერთკაცმა იესო ქრისტემ. მთელი ჭეშმარიტება ცათა და ქვეყნისა, მთელი აზრი ქმნილებისა, სრული სიხარული ყოველთა არსებათა — ყოველივე ეს ადამიანს მოენიჭა იესო ქრისტეს — ღმერთკაცის — მკვდრეთით აღდგომით, და ამიტომაც ქრისტეს აღდგომა უმთავრესი, გადამწყვეტი მოვლენაა მთელს მსოფლიო ისტორიაში: მასზეა დამოკიდებული და მისგანაა განპირობებული წარუვალი, ღვთაებრივი ფასეულობა ყველა ადამიანისა — ერთობლივ, და თითოეული მათგანისა — ცალკე.

ჰუმანისტური და ღმერთკაცობრივი კულტურა

ევროპულ კულტურას თავის საფუძვლად ადამიანი ჰყავს დადებული. ადამიანით ამოიწურება მისი პროგრამა თუ მიზანი მისი სა-

შუალებანი თუ შინაარსი. ჰუმანიზმია მისი მთავარი არქიტექტორი, და მთლიანადაც იგი ამ სოფისტურ პრინციპზეა დაშენებული: ადამიანი და მხოლოდ ადამიანია ყოველთა საგანთა საზომირ, — და ამასთან, ეს — ევროპელი ადამიანია! იგია სწორედ უმაღლესი შემქმნელიც და განმანაწილებელიც ფასეულობებისა. ჭეშმარიტებაც მხოლოდ ის არის, რასაც ეს ადამიანი გამოაცხადებს ჭეშმარიტებად; ცხოვრების აზრიც მხოლოდ ის არის, რასაც იგი აცხადებს ცხოვრების აზრად და დანიშნულებად; და ბოლოს, სიკეთეცა და ბოროტებაც სწორედ და მხოლოდ ის არის, რასაც ეს ადამიანი მიიჩნევს სიკეთედ და ბოროტებად. მოკლედ რომ ვთქვათ, ევროპელმა ადამიანმა საკუთარი თავი ღმერთად გამოაცხადა! და ნუთუ ცხადად არა ჩანს, თუ როგორ განუზომლად უყვარს მას ცხოვრება ღმერთივით — ცხოვრება როგორც ღმერთს მეცნიერებითა და ტექნიკით, ფილოსოფიითა და კულტურით, რელიგიითა და პოლიტიკით, ხელოვნებითა და მოდით; ცხოვრება ღმერთივით ნებისმიერ ფასად, დაე, თუნდაც ეს ინკვიზიციისა თუ პაპიზმის ფასად იყოს, დაე, თუნდაც ეს ცეცხლის, მახვილისა და კაციჭამიობის ფასად ხდებოდეს?! თავისი ჰუმანისტურ-პოზიტივისტური მეცნიერების ენით ამ ადამიანმა გამოაცხადა, რომ ღმერთი არ არსებობს, და ამ ლოგიკით აღძრულმა გაბედულად გამოიტანა ასეთი დასკვნაც: რაკი ღმერთი არ არსებობს, ღმერთი თვით მე ვყოფილვარო!..

არაფერი იმაზე მეტად არ უყვარს ევროპელ ადამიანს, როგორც ღმერთად წარმოჩენა, საკუთარ თავისა, თუმცა კი ამქვეყნიურ სამყაროში იგი ისე სავალალოდაა დატყვევებული ცოდვისა და სიკვდილის მიერ, როგორც თაგვი სათაგურში. და იმისთვის, რომ თავისი ღვთაებრიობა, თავისი ღმერთობა დაემტკიცებინა, ევროპელმა ადამიანმა ისიც გამოაცხადა, რომ არ არსებობს იმქვეყნიური ცხოვრება, და მაშასადამე, აქედან გამომდინარე, არც ღმერთი არსებობს და არც სხვა ზეციური არსებანიო. ევროპელ ადამიანს სურს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ნებისმიერი სახით დაეუფლოს ბუნებას, გაბატონდეს მასზე, თავის ნებას დაუქვემდებაროს იგი, და ამ მიზნით სისტემატური ლაშქრობა მოაწყო ბუნების წინააღმდეგ, რასაც კულტურა უწოდა. ამ ლაშქრობის უღელში შეაბა მან თავისი ფილოსოფიაც, თავისი მეცნიერებაც, თავისი რელიგიაც, ეთიკაც, პოლიტიკაც და ტექნიკაც... მან მოახერხა გარკვეული მონაკვეთი როგორღაც დაეხვეწა და შეელამაზებინა კიდეც ამ მატერიალურ სამყაროში, მაგრამ ვერ შესძლო მისი გარდაქმნა. ბუნებასთან ამ ბრძოლაში ევროპელმა ადამიან-

მა ვერ მოახერხა მისი გაადამიანურება“, მაგრამ, სამაგიეროდ, შესძლო შეეზღუდა, „დაემიწებინა“, „გაენივთებინა“ თვით ადამიანი, ანუ საკუთარი თავი, რაკი მატერიამდე დაიყვანა იგი, და ახლა საკუთარ თავს შეიმეცნებს როგორც მხოლოდ მატერიას. მაგრამ ვინ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში? — რა თქმა უნდა ირონიამ, რამეთუ ასეთმა კულტურამ ადამიანი მატერიის მონად გადააქცია, ნივთების მონად, გახრწნილების მონად. და ახლა ცხადზე უცხადესია ასეთი მდგომარეობა: ევროპელი ადამიანი „ღმერთი“ კი არ არის, არამედ უბადრუკი მონაა ნივთებისა, ყოველივე მატერიალურისა! ეს თვითმარქვია „ღმერთი“ საგნებისა და კერპების წინაშე დაფუსფუსებს, რომლებიც თავისი ხელითვე შეუქმნია. თავის გალაშქრებაში ყოველივე ზებუნებრივის წინააღმდეგ მან ჰუმანისტური კულტურის ე. წ. მიღწევებით — ანუ მოტყუებით შეცვალა ყოველივე სულიერი: ცანი, სული, უკვდავება, მარადიულობა, ცხოველი და ჭეშმარიტი ღმერთი. და კულტურაც მან „ღმერთად“ გამოაცხადა, რადგანაც ამ ჩვენს ბნელით მოცულ პლანეტაზე ადამიანი ვერ სძლებს ღმერთის გარეშე, ვერ სულდგმულობს ნებისმიერი „ღმერთის“ გარეშე, დაე, თუნდ ეს ცრუ-ღმერთიც იყოს, — აი, ასეთია ევროპელი ადამიანის ფატალური ირონია.

განა ცხადი არ არის, რომ თავისი კულტურომანიით ევროპელმა ადამიანმა კერპების დამამზადებელ ფაბრიკად გადააქცია მთელი ევროპა?! თითქმის ყოველი მიღწევა კერპად არის გადაქცეული; ამიტომაც ჩვენი დრო, პირველ ყოვლისა, სწორედ კერპთაყვანისმცემლობის დროა. არც ერთი სხვა კონტინენტი არ არის ისე წალეკილი კერპებით, როგორც ევროპა. არსად ისე არ ქვემძრომობენ კერპების წინაშე და არსად ისე არ ცხოვრობენ მხოლოდ ნივთებით და მხოლოდ ნივთებისათვის, როგორც ევროპაში. და ეს — ნამდვილი კერპთთაყვანისმცემლობაა მის ყველაზე ცუდ ფორმაში, რადგან წარმოადგენს მიწის, თიხის თაყვანისცემას. მართლაცდა, განა ვარდისფერ თიხას არ ეთაყვანება ადამიანი, როცა აცთუნებს. და სიყვარულით დაჰფუფუნებს თავის მიწიერ, გახრწნად სხეულს; როცა ჯიუტად სულ ამას ამტკიცებს — მე მხოლოდ ხორცი, სხეული ვარ, და სხვა არაფერი ამ ხორცის გარდაო?! მითხარით, განა ვარდისფერ თიხას არ ეთაყვანება ადამიანი, როცა თავის იდეალად აცხადებს ერთ რომელიმე კლასს, ანდა ხალხსა თუ მთელს კაცობრიობას?!

უეჭველია, ევროპა ათეიზმისაგან კი არ ევნება, არამედ მრავალღმერთიანობისაგან! რაკი ჭეშმარიტი ღმერთი დაჰკარგა, მან ისურვა

მრავალი ცრუ-ღმერთისა და კერპის შექმნით მოეკლა თავისი უღმერთობისმიერი შიმშილი; კერპები კი ყველაფრისაგან შეჰქმნა: მეცნიერებებისაგანაც — სხვადასხვა ჰიპოთეზებისა თუ აღმოჩენებისაგან, ტექნიკისაგან, სხვადასხვა ცრუ-რელიგიისაგან თუ მათი წარმომადგენლებისაგან, პოლიტიკისაგან თუ მისი წარმომადგენლებისაგან და პარტიებისაგან... და ყველა ამ კერპის შუაგულში, კოსმიურ ტახტზე ეგოიზმისა მან ევროპელი ადამიანი წამოასკუპა — ეს ევროპელი დალაი-ლამა!..

არსებითად, ევროპული კულტურა — ეს ვამპირების ფეტიშიზმია, — ის ფეტიშიზმი, რომელიც თანამედროვე ევროპულ კოსტუმშია გამოწყობილი. გამოდევნება ნივთებისა — აი, ეს არის ევროპელი ადამიანის განმასხვავებელი ნიშანთვისება. ფეტიშისტური მეტაფიზიკა ევროპული კულტურისა პრაქტიკულად არის გამოხატული ფეტიშისტურ ეთიკაში. ძველი, წარმართული ფეტიშიზმი, როგორც ცნობილია, კაციჭამიობით გამოირჩეოდა. და განა ახალ — ევროპული ფეტიშიზმიც იგივე კაციჭამიობით არ გამოირჩევა, — ოღონდ შენიღბული, „კულტურული“ კაციჭამიობით?! განა ევროპულმა კულტურამ თვითვე არ გამოაცხადა ცხოვრების ერთადერთ პრინციპად ბრძოლა თვითშენარჩუნებისათვის? განა ეს პრინციპი სწორედ კაციჭამიობისაკენ მოწოდება არ არის?! განა ასეთი მოწოდება იგივე არ არის, რომ ადამიანს ასე უთხრა: ადამიანო ყველა ხერხითა და საშუალებით იბრძოლე თვითშენარჩუნებისათვის, და თუ საჭირო შეიქნა — კაციჭამიობითაცო?! მთავარი ხომ მხოლოდ ის არის, რომ საკუთარი თავი შეინარჩუნო ცხოვრებაში?! და ის კი, თუ როგორ უნდა შეინარჩუნოს მან თავი, არ წარიმართება სინდისის კონტროლით; ცხოვრება — სასაკლაოაო, სადაც ბატონობს უფლება უფრო სუსტის დაკელისა, და სადაც უძლური ადამიანები მხოლოდ მასალას წარმოადგენენ ძლიერისთვისო; და რამდენადაც არც ღმერთი არსებობს და არც უკვდავება, ამდენად ადამიანისათვის ყველაფერია ნებადართული, ოღონდ კი თავი შეინარჩუნოსო — ნებადართულია ცოდვაც, ბოროტებაც და დანაშაულიც... პოზიტივისტურმა მეცნიერებამ გამოაცხადა, რომ ყოველივე, რაც კი ამქვეყნად ხდება, ბუნების კანონთა მიხედვით აღესრულება, ხოლო უმთავრეს კანონს ბუნებაში წარმოადგენს აუცილებლობის კანონი, რომელიც ამჟამად ბატონობს კიდეც ადამიანებზე — მათს აზრებზეც, გრძნობებზეც, მისწრაფებებზეც, საქციელზეც... ასე, რომ როცა ევროპელი ადამიანი სცოდავს, ის, თურმე, მხოლოდ აუცილებლობის გამო იქმს ამას!

ჰოდა, ასეც ეუბნებიან ყველას: ადამიანო, შენ ბრალი არა გაქვს თვით უდიდესი ცოდვის ჩადენისაც კი, რადგან ყველაფერს მხოლოდ ბუნებრივი აუცილებლობის გამო იქმო!.. ნუ გავიკვირვებთ ამას, რადგან ცოდვა არ შეიძლება არსებობდეს იმ ადამიანისათვის, რომელსაც ღმერთი არა სწამს, რომლისთვისაც არ არსებობს არც ღმერთი და არც მარადიული ცხოვრება; ცოდვა ხომ ღმერთის წინაშეა დანაშაული, და თუკი ღმერთი არ არსებობს, მაშინ არც ცოდვა არსებულა, არც ბოროტება და არც არანაირი დანაშაული!

და ეს მეტაფიზიკური ნიჰილიზმი ევროპული კულტურისა, გამოხატული ამ პრინციპით — არ არსებობსო ღმერთი — მიზეზი უნდა შექმნილიყო პრაქტიკული ნიჰილიზმისაც, რომლის პრინციპი ასეთია: არ არსებობს ცოდვა, — ყოველივე ნებადართულია, ყველაფერი დაშვებულია! ყურადღება მივაქციოთ ამ გარემოებას: თავისი ფილოსოფიით, მეცნიერებით, ტექნიკით და ა. შ. ევროპული კულტურა სისტემატურად განდევნის ადამიანისაგან ყოველივე მარადიულსა და უკვდავს; ვირტუოზულად ადამბლავებს მასში გრძნობას უკვდავებისა, მძიმედ აწვება და შეაჭირვებს მის სულს მანამდე, სანამ არარაობად არ აქცევს, სანამ სულ არ გამოფიტავს ყოველივე ღვთაებრივისაგან.

„საჭიროა გათავისუფლება ღმერთისაგან!“ — აი, აშკარა შეფარული სურვილი ევროპული კულტურის მრავალი „შემოქმედისა“. მათ სურთ ეს ჰუმანიზმისა და რენესანსის მეშვეობით განახორციელონ, — რუსოსმიერი ნატურალიზმისა და შეფერთხილ-შელახული რომანტიზმის მეშვეობით, პოზიტივიზმისა და აგნოსტიციზმის მეშვეობით, რაციონალიზმისა და ვოლუნტარიზმის მეშვეობით, პარლამენტარიზმისა და რევოლუციურობის მეშვეობით. ხოლო ყველაზე გაბედულებმა და უტიფრებმა მათგან მოიგონეს ასეთი ლოზუნგიც: საჭიროა მოკვლა ღმერთისა! და ბოლოს, ყველაზე გულწრფელმა „შემოქმედმა“ და „აღმსარებელმა“ ევროპული კულტურისა — ნიცშემ ადამიანომანიისა თუ ეგოიზმის პირამიდის მწვერვალიდან ასეც კი გამოაცხადა — ღმერთი მოკვდაო!

როცა ადამიანისათვის არ არსებობს არც საუკუნო ღმერთი და არც უკვდავი სული, მაშინ მისთვის არც რაიმე აბსოლუტური არსებობს, ყოვლადღირებული, და ამიტომ ყველაფერი მისთვის შეფარდებითია, მოკვდავია, წარმავალი და განხრწნადია. და მართლაც, ევროპულ კულტურაში უარყოფილია, უკუგდებულია აბსოლუტური ფასეულობანი და გაბატონებულია შეფარდებითი ფასეულობანი.

უეჭველია, რომ ეს შეფარდობითობა არის კიდეც ჰუმანიზმის ლოგიკა, ბუნება და სული. აინშტაინის ფარდობითობის თეორია წარმოადგენს საბოლოო შედეგს ჰუმანიზმისა და მისი ყველანაირი განშტოებისა — ფილოსოფიურისა, მეცნიერულისა, ტექნიკურისა თუ პოლიტიკურისა. და არამხოლოდ ამით, არამედ თავისი სულ უკანასკნელი კონკრეტული გამოხატულებითაც ჰუმანიზმი, არსებითად, სხვა არაფერია, თუ არ ეს ნიჰილიზმი, — უარმყოფელი ყოველივე ღვთაებრივისა და მარადიულისა.

ევროპული სულის კრიზისს შემდეგნაირად აღწერს გერმანელი ფილოსოფოსი კარლ იოილი: „ჩვენს თვალსაზრისს სამყაროს შესახებ აკლია მისწრაფება მთლიანისადმი, საერთოდ, და აბსოლუტურისადმი. ჩვენ გვაკლია ძალა დაჯერებისა, და, მასთან ერთად, ძალაც რწმენისა; ჩვენს ზნეობაში არ არის დიდი ხასიათები; ჩვენს ისტორიაში არ არიან ისეთი პიროვნებები, რომლებიც უწყვეტ კავშირში გამოხატავდნენ დროისა და ხალხის ინტერესებს. ჩვენ არა გვაქვს დიდი პოეზია, იმიტომ, რომ ჩვენი ფანტაზია, მოწყვეტილი კოსმიურ მთელს, მხოლოდ უმნიშვნელოს ეჭიდება, დიადს კი ისე ექცევა, როგორც გასართობს რასმე, და ეს იმის გამოც ხდება, რომ ჩვენს პოეტებს უკვე აღარ აქვთ ის კოსმიური გრძნობა კლასიკოსებისა, რომელიც მათს პოეზიას უმაღლეს ჟღერადობას ანიჭებდა, მათს მხატვრულ სახეებს კი შინაგანი აუცილებლობით მსჭვალავდა. გვაქვს ოდენ გამაბრუებელი მხატვრულობა ტონისა მელოდიურობის გარეშე; გვაქვს ოდენ ჭრელზე-ჭრელი ილუსტრირება და ინსცენირება სულის გარეშე; გვაქვს ოდენ მდიდარი და ცოცხალი სცენა მსახიობების გარეშე, რომლის გმირებიც მხოლოდ მასები და მარიონეტები არიან: გვაქვს ოდენ რეჟისურა როგორც მოვლენათა წარმართვის ხელოვნება — არსის გარეშე; და ბოლოს, გვაქვს ოდენ გარეგნულად მდიდრული ცხოვრება, ისე მდიდრული, როგორც არასდროს, ოღონდ სიმშვიდის გარეშე, შინაგანი ჰარმონიის გარეშე, რადგან ამ ცხოვრებას აკლია მისწრაფება მთლიანობისაკენ, აბსოლუტურობისაკენ, სამყაროსა და ადამიანის აზრის განსაზღვრებისაკენ. აი, ასე გარდაიქმნება ფილოსოფიის კრიზისი — დროის კრიზისად“.

ასე, რომ ჰუმანიზმი უსათუოდ უნდა გადაზრდილიყო ნიჰილიზმში. და ადამიანიც უსათუოდ ნიჰილისტად იქცევა, თუკი არ აღიარებს არანაირ აბსოლუტურ ფასეულობას. თუკი ამ ლოგიკას მივჰყვებით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ შეფარდობითობა — ანარქიის დედა ყოფილა, რადგანაც თუკი ყველა არსება ფარდობითია, მაშინ არც

ერთ მათგანს არ ჰქონია უფლება იმისა, რომ აბსოლუტურ არსებად წარმოუდგინოს თავი სხვებს, და თუკი მაინც შეეცდება ამას, მაშინ მისთვის აუცილებელია ბრძოლა ბოლომდე, მოსპობამდე; და თუკი ყველა ფასეულობაც შეფარდებითია, მაშინ რა უფლება აქვს ერთს მათგან უზენაეს ფასეულობად გამოაცხადოს თავი?! რამდენადაც ადამიანურ სამყაროში, თურმე არაფერი ყოფილა აბსოლუტური, მაშინ არ არსებულა არც იერარქია ცოცხალი, გონიერი არსებებისა და არც ფასეულობებისა, და არსებულა მხოლოდ ანარქია.

და მართლაც, ნიჰილიზმი და ანარქიზმი ლოგიკური ფინალია ევროპული ჰუმანიზმისა და რელატივიზმისა. ჰუმანიზმი უთუოდ გადაიზრდება თავისი განვითარებისას, ათეიზმში, — გაივლის ანარქიზმის სტადიას და ნიჰილიზმით დასრულდება. თუკი დღეს მავანი — ათეისტია, იცოდეთ, რომ ხვალ იგი, თუკი მართლაც თანმიმდევრული და ბუნებრივია თავის განვითარებაში, ანარქისტი შეიქნება, ზეგ კი — ნიჰილისტი. და თუკი ვინმე დღეს არის ნიჰილისტი, დარწმუნებული იყავით, რომ თავის ამ მდგომარეობამდე — ყოვლის უარყოფამდე იგი ჰუმანიზმიდან მისულა ათეიზმის გზით.

რა რჩება ადამიანისაგან, როცა სული მისი სტოვებს სხეულს? — მხოლოდ გვამი, უსიცოცხლო და გახრწნადი სხეული. ხოლო ევროპული ადამიანისაგან რა დარჩება, თუკი მის სულს ღმერთი მოშორდება? — არარაობა. და თვით ევროპის სხეულისაგანაც, უღმერთოდ, მხოლოდ უსიცოცხლო გვამია დარჩენილი. აი, განდევნეს კოსმოსიდან ღმერთი. და რა დარჩა მისგან? — განა მხოლოდ უსიცოცხლო სივრცე არ დარჩა?! რას წარმოადგენს ის ადამიანი, რომელიც უარყოფს უკვდავი სულის არსებობას საკუთარ თავშიც და თავის გარემომცველ სამყაროშიც? — სხვას არაფერს, თვინიერ ტანსაცმლით შემოსილი თიხისა, მოსიარულე და მოლაპარაკე თიხის კუბოსი. და შედეგიც ამისა შესაზარია: ნივთების მოყვარული ევროპელი ადამიანი თვითონაც ნივთად გადაიქცა. პიროვნება გაუფასურებული და გაცამტვერებულია ევროპაში, დარჩა ოდენ უსიცოცხლო, უსულგულო ადამიანი — ნივთი. აღარ არსებობს მთლიანი, უკვდავი, ღვთისმსგავსი ადამიანი, — დარჩა მხოლოდ ნამსხვრევები ადამიანისა, მხოლოდ სხეულებრივი ჩენჩო, რომლისაგანაც განუდევნიათ სული. მართალია, ეს ჩენჩო დახვეწილია, გარანდულია, ელვარებამდეა გაპრიალებული, მაგრამ ის მაინც ჩენჩოა მხოლოდ, და მეტი არაფერი. ევროპულმა კულტურამ სულისაგან განძარცვა, გაანივთიერა, გამატერიალურა ადამიანი, რაღაც საშინელ მანქანად გადააქცია იგი;

და აი, ევროპული კულტურა ახლა ურჩხულისმაგვარ საზარელ მანქანად წარმოსდგება ჩვენს წინაშე, რომელიც შთანთქავს ადამიანებს და ნივთებად გადაამუშავებს მათ. და ფინალიც ამისა მძიმე და ტრაგიკულია: ადამიანი უსულო საგნად ქცეულა უსულო საგნებს შორის.

* * *

აი, ასეთია, ზოგადი მონახაზით, ევროპელი ადამიანის კულტურა. და ახლა ისიც ვნახოთ, თუ როგორია სახარებისეული კულტურა ისტორიული ღმერთკაცის — ჩვენი უფლის იესო ქრისტესი. რაზეა დაფუძნებული ეს კულტურა? — იგი დაფუძნებულია პიროვნებაზე ღმერთკაც იესო ქრისტესი. ღმერთი ხორციელ-იქმნა, განკაცდა, ადამიანად მოგვევლინა, რათა ადამიანიც განედიდებინა და ღმერთად ექცია მადლის მიერ. აი, ის დასაბამი და დასასრული, რომელთა შორისაც მოძრაობს და ვითარდება მართლმადიდებელი ღმერთკაცობრივი კულტურა. მისი დევიზი შემდეგია: დაე, ღმერთკაცი იყოს პირველ ადგილზე ყოველივეში, — არა ღმერთი მხოლოდ, და არა ადამიანი მხოლოდ, არამედ სწორედ ღმერთკაცი — სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი ერთსა და იმავ დროს. აქ უმჭიდროესი ერთიანობაა განხორციელებული ღმერთისა და ადამიანისა. აქ მიიღწევა იდეალური წონასწორობა და აქ ხორციელდება სრულყოფილი ჰარმონია ღმერთსა და ადამიანს შორის. თავისი პიროვნების მთლიანობასა და სრულყოფილებას ადამიანი მხოლოდ ღმერთკაც იესო ქრისტესთან შეერთებით აღწევს მ ი ს ეკლესიაში — ქრისტეს ღმერთკაცობრივ სხეულში. ღმერთკაცობა — ეს ერთიანი კატეგორიაა, რომლის მეშვეობითაც სრულად ვლინდება მთელი ეს მრავალმხრივი მოქმედება მართლმადიდებელი ქრისტიანული კულტურისა, რომელიც ღმერთკაციდან იწყება და ადამიანით დასრულდება — სრულყოფილი, განღმრთობილი ადამიანით. ყოველთა სამყაროთა ცენტრში დგას ღმერთკაცი იესო ქრისტე, — უმთავრესი ღერძი, რომლის გარშემოც იქცევიან ყველა ქვეყნიური და ზეციური სამყარონი. ი გ ი ა სწორედ მიზანიც და წყაროც ყველა შემოქმედებითი ძალისათვის მართლმადიდებელი ღმერთკაცობრივი კულტურისა. აქ ღმერთი იღვწის და ადამიანი თანამოღვაწეობს მ ა ს თ ა ნ, ღმერთი ადამიანს შექმნის, აღაშენებს, ააღორძინებს, და ყოველი ადამიანიც, ნაწილი მისი ღმერთკაცობრივი სხეულისა, ღმერთით და ღმერთისაგან იზრდება და აღეშენება; აქ კვლავაც გრძელდება საღმრთო შემოქმედება

ადამიანის მეშვეობით. ამისთვის ადამიანი თავის არსებაში შთადებულ ყოველივე ღვთაებრივს აამოქმედებს, შემოქმედებად და ცხოვრებად მიმართავს. ამასთანავე, ამ შემოქმედებითი ქმედებისას ყოველივე ღვთაებრივი არამარტო ადამიანშია დამკვიდრებული, არამედ — მთელს მის გარემომცველ სამყაროშიც, და ყველგან სწორედ ადამიანის მეშვეობით პოულობს თავის გამოხატულებას, მისით და მის მიერ წარიმართება მოქმედებისათვის; ყოველივე ღვთაებრივი, ამგვარად, შრომობს, იღვწის, ყოველივე ადამიანური კი — თანა-მოღვაწეობს, თანა-მოქმედებს მასთან. მაგრამ იმისთვის, რომ ეს განხორციელდეს, ადამიანმა უნდა ისწავლოს ღმერთით და ღმერთის მიერ აზროვნება, — გრძნობა, ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა კვლავაც და კვლავაც ღმერთით და ღმერთის მიერ. ყოველივე ამაში განცხადებულია მიზანი მართლმადიდებელი კულტურისა.

რა არის ეს მიზანი მართლმადიდებელი ქრისტიანული კულტურისა? — ის, რომ რაც შეიძლება მეტი ღვთაებრივი რამ შესძინოს ადამიანს, ყოველივე საღმრთო განახორციელოს მასშიც და მის გარემომცველ სამყაროშიც; ხორციელ-ქმნას ღმერთი ადამიანში და მის გარემომცველ სამყაროში, — ამიტომაც მართლმადიდებელი ქრისტიანული კულტურა არის განუწყვეტელი მსახურება ღმერთისა, დაუსრულებელი აღსრულება ღვთისმსახურებისა; ადამიანი ღმერთს ემსახურება საკუთარი არსების მეშვეობით და მთელი ქმნილების მეშვეობითაც, მის გარემომცველ სამყაროში რომ არსებობს; ადამიანს სისტემატურად, გეგმაზომიერად შეაქვს ყოველივე ღვთაებრივი თავის ყველა სახის ქმედებაში — შრომასა თუ შემოქმედებაში; იგი განაღვიძებს ყოველივე ღვთაებრივს გარემო ბუნებაში, რათა მთელი ბუნებაც მისი — ადამიანის — წინამძღვრობით ღმერთს ემსახურებოდეს, და, ამგვარად, მთელი ქმნილებაც მონაწილეობდეს საყოველთაო ღვთისმსახურებაში, რადგან მთელი ბუნებაც სწორედ ღმერთის მსახურ ადამიანს ემსახურება, მისთვის, მისი ხსნისათვის არის შექმნილი.

ღმერთკაცობრივი კულტურა შიგნიდან გარდაქმნის ადამიანის ბუნებას, ამის მეშვეობით კი მის გარეგნულ მდგომარეობაზეც ახდენს ზეგავლენას, — ანუ ჯერ სულს გარდაქმნის, სულით კი — მის სხეულსაც უცვლის ფერს. ამ კულტურისათვის სხეული — სულის ტაძარია, ის ტაძარი, რომელიც სულით ცხოვრობს, სულით მოძრაობს, მოქმედებს, და საერთოდ, არსებობს. წაართვით სხეულს სული, და მაშინ სხვა რა დარჩება, თვინიერ ხრწნადი, მყრალი გვამისა?! ღმერთკაცი იესო ქრისტე, უპირველესად, ადამიანის სულს გარდაქმნის,

მერმე კი — სხეულსაც. და ეს გარდაქმნილი, ფერცვალებული სული სხეულსაც შესცვლის, მატერიასაც გარდაქმნის.

ღმერთკაცობრივი მართლმადიდებელი კულტურის მიზანია არამხოლოდ ადამიანისა და მთელი კაცობრიობის გარდაქმნა, არამედ — მთელი ბუნებისაც მათი მეშვეობით. მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამ მიზანს? — მხოლოდ ღმერთკაცობრივი საშუალებებით: სახარებისეული წმიდა სათნოებებით — რწმენითა და სიყვარულით, სასოებითა და ლოცვა-ვედრებით, მარხვითა და სიმდაბლით, სიმშვიდითა და თანალმობით, გულმოწყალებითა და ღვთისმოშიშებით, სიყვარულით ღმერთისა და მოყვასისადმი. სწორედ ამ სათნოებათა მეშვეობით იზრდება და აღეშენება ღმერთკაცობრივი მართლმადიდებელი ქრისტიანული კულტურა. ამ სათნოებათა მოღვაწეობით ადამიანი გარდაქმნის თავის უსახურ სულს, მოკლებულს ღვთისმსგავსებას — ცოდვიანისაგან წმიდად შეცვლის, ბნელით მოცულისაგან — ნათლით შემოსილად აქცევს და ღმერთის მსგავსებას დაუბრუნებს. ამით კი თავის სხეულსაც იმ ტაძრად შექმნის, რომელსაც მისი ღმერთისმსგავსი სულის დატევნა შეუძლია.

სახარებისეული სათნოებების მოღვაწეობით ადამიანი საკუთარ თავზეც შეიძენს ხელმწიფებას და მთელს გარემომცველ ბუნებაზეც. განდევნის რა ცოდვას თავისი თავიდანაც და გარემომცველი სამყაროდანაც, ამით ადამიანი ველურ, გამაჩანაგებელ ძალასაც იშორებს, რითაც მთლიანად გარდაქმნის საკუთარ თავსაც და გარემომცველ სამყაროსაც, დაიურვებს ბუნებას საკუთარ თავშიც და გარემო სამყაროშიც. ამის საუკეთესო მაგალითნი ეკლესიის წმიდანები არიან: რაკი საკუთარი თავი განუნათლებიათ და გარდუქმნიათ წმიდა სათნოებათა მოღვაწეობით, ისინი მერმე ბუნებასაც გარდაქმნიან ხოლმე და განანათლებენ თავიანთ გარემომცველ სამყაროში. ბევრი არსებულა ისეთი წმიდანი, რომელთაც გარეული მხეცებიც კი ემსახურებოდნენ, და რომელნიც მხოლოდ თავიანთი გამოჩენით ათვინიერებდნენ მძვინვარე ლომებს, დათვებსა თუ მგლებს. მათი მიმართება ბუნებისადმი ლოცვითია, მშვიდი, უწყინარი, თანალმობით აღსავსე, ნაზი, და არა — უხეში, არა — მკაცრი, არა — მტრული, არა — ველური.

ცათა სასუფეველსაც ამქვეყნად გარეგანი, ძალდატანებითი და მექანიკური ძალისხმევა კი არ აღაშენებს, არამედ შინაგანი, ნებაყოფლობითი, პიროვნული გათავისება უფალ იესო ქრისტესი, რაც შესაძლებელია განუწყვეტელი მოღვაწეობით ქრისტიანული სათნოებებისა. სწორედ ეს შექმნის მართლმადიდებელ ქრისტიანულ

კულტურას, რადგან ცათა სასუფეველი გარეგანი, ხილული გზით კი არ მოვალს, არამედ შინაგანი, სულიერი, უხილავი გზებით. აკი მაცხოვარიც იტყვის: „არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაი ზმნით (ანუ აშკარად, განცხადებული სახით); არცა თქვიან: აჰა, აქა, ანუ — იქი. რამეთუ აჰა, ეგერა, სასუფეველი ღმრთისაი შორის თქვენსა არს“ (ლუკა 17, 20—21), — იგი ადამიანის სულის სიღრმეშია, სულისა, რომელიც ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა და რომელიც სულიწმიდის მიერ არის განათლებულ-კურთხეული, — „რამეთუ არა არს სასუფეველი ღმრთისაი საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმიდითა“ (რომ. 14, 17), — დიახ, სულიწმიდით, და არა ადამიანის სულით. ცათა სასუფეველი მხოლოდ იმ ზომით შეიძლება ადამიანის სულში იყოს, რა ზომითაც ის სულიწმიდით აღივსებს თავს წმიდა სათნოებათა მოღვაწებით. ამიტომაც უპირველესი და უდიდესი მცნება მართლმადიდებელი ქრისტიანული კულტურისა ეს არის: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათე 6, 33), ანუ ყველაფერ იმასაც მიიღებთ, რაც კი სხეულებრივი სიცოცხლის განგრძნობისათვის არის აუცილებელიო — საზრდოს, შესამოსელს, საცხოვრებელს და ა. შ. (იხ. მათე 6, 25—32). ყველაფერი ეს მხოლოდ დანამატია ცათა სასუფეველისა. და დასავლეთის ჰუმანისტური კულტურაც, უპირველესად, სწორედ ამ დანამატს ეძიებს. ამაში მდგომარეობს მისი წარმართული ბუნება, რადგანაც, მაცხოვრის სიტყვისაებრ, წარმართები სწორედ ამას იქმან — მხოლოდ სხეულებრივი სიცოცხლის განგრძობისათვის აუცილებელს ეძიებენ და სასოებენ. აი, ამაშია კიდეც დასავლეთის კულტურის მთელი ტრაგიზმიც, რადგან მან გამოიფიტა სული ამ გამუდმებული ზრუნვით ყოველივე ამაქვეყნიურისათვის, ნივთიერისათვის, ნივთებისათვის. უცოდველმა ღმერთკაცმა იესო ქრისტემ კი ერთხელ და სამუდამოდ ეს გვიბრძანა: „...ნუ ჰზრუნავთ სულისა თქვენისათვის, რაი სჭამოთ, და რაი ჰსუათ, ნუცა ხორცთა თქვენთათვის, რაი შეიმოსოთ. ანუ არა სული უფროის არსა საზრდელისა და გუამი სამოსლისა?.. ნუ ჰზრუნავთ და იტყვით: რაი ვჭამოთ, ანუ რაი ვსუათ, ანუ რაი შევიმოსოთ? — რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ; რამეთუ იცის მამამან თქვენმან ზეცათამან, რაი გიხმს ამათ ყოველთაგანი. ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათე 6, 25. 32—33; ლუკა 12, 22—31).

ვეებაა მოთხოვნილებათა ის მოცულობა, რომელსაც ვნებიანი ჟინით გამოიგონებს თანამედროვე ადამიანი. ამ ყოვლადუაზრო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ადამიანებმა იმდენი ქნეს, რომ ჩვენი ეს საუცხოო, ღვთაებრივი პლანეტა სასაკლაოდ გადააქციეს. ხოლო კაცთმოყვარე უფალმა დიდი ხანია განგვიცხადა, თუ რა არის „ერთისა სახმარ" ყოველი ადამიანისათვის და მთელი კაცობრიობისათვის. კერძოდ კი, თვით ღმერთკაცი იესო ქრისტეა ადამიანისათვის საჭირო და ყოველივე ის, რაც მას მოაქვს თან: საღმრთო ჭეშმარიტება, საღმრთო სამართლიანობა, უკვდავება და მარადიულობა, საერთოდ, ყველა სხვა ღვთაებრივი სრულყოფილება. აი, სწორედ ეს არის ის ერთადერთი რამ — „ერთისა სახმარ", — რაც ადამიანსა და კაცობრიობას ესაჭიროება, ხოლო ყველა სხვა ადამიანური მოთხოვნილება, ამ უზენაეს მოთხოვნილებასთან შედარებით, იმდენად უმნიშვნელოა, რომ ისინი თითქმის არც ესაჭიროება ადამიანს (იხ. ლუკა 10, 42).

როცა ადამიანი ღრმად — სახარებისეული სიბრძნით ჩაუფიქრდება თავისი ცხოვრებისა და, საერთოდ, მთელი გარემომცველი სამყაროს საიდუმლოს, ყველა სხვა ადამიანის საიდუმლოს, მთელი კაცობრიობის არსებობას, მაშინ ის უსათუოდ უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე არსებითი საჭიროება და მოთხოვნილება მისთვის არის უარის-თქმა ყველა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე და შედგომა იესო ქრისტესი, ანუ შეერთება **მასთან**, ღმერთკაცთან, სახარებისეულ ღვაწლთა მოქმედებით. და თუ ის არ მოიმოქმედებს ამას, ყოველთვის სულიერად უნაყოფო იქნება. ბერწი, უაზრო, უსიცოცხლო; სული ასეთი ადამიანისა განხმება, გამოიფიტება, განიბნევა, დაიშლება და თანდათანობით კვდომას დაიწყებს, სანამ ბოლოს მთლიანად არ მოკვდება, თავის ყოველ ნაწილში, რამეთუ იესო ქრისტეს ღვთაებრივ ბაგეთ ასე უთქვამთ: „...ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერხელ-ეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თვისით, უკუეთუ არა ეგოს ვენახსა ზედა, ეგრეთვე — არცა თქვენ, უკუეთუ არა დადგრეთ ჩემ თანა, და მე — თქვენ თანა. მე ვარ ვენახი, და თქვენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა და მ ე — მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თვინიერ ჩემსა არარაი ძალ-გიც ყოფად არცა ერთი. უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნასხლევი და განხმეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან, და დაიწვას " (იოანე 15, 4—6).

მხოლოდ ღმერთკაც იესო ქრისტესთან სულიერი ორგანული ერ-

თიანობით ძალუძს ადამიანს თავისი სიცოცხლე საუკუნო ნეტარ ცხოვრებაში გააგრძელოს და თავისი არსება — მარადიულ არსებად გადააქციოს. ღმერთკაცობრივი კულტურის ადამიანი არასდროს არ არის მარტოსული: როცა ის აზროვნებს, — ქრისტეთი აზროვნებს; როცა მოქმედებს, — ქრისტეთი მოქმედებს, როცა გრძნობს, — ქრისტეთი შეიგრძნობს. ერთის სიტყვით, იგი განუწყვეტლივ ქრისტეღმერთით ცხოვრობს და მოქმედებს. რამეთუ განა რა არის ადამიანი ღმერთის გარეშე? — თავიდან ნახევრად — ადამიანია, ბოლოს კი — სულაც არაადამიანი. მხოლოდ ღმერთკაცში ჰპოვებს ადამიანი სრულყოფილებას თავისი არსებისა, — თავის პირველსახეს, თავის დაუსრულებლობას, უკვდავებასა და მარადიულობას, ანუ თავის აბსოლუტურ ღირებულებასა და დანიშნულებას. უფალი იესო ქრისტე ერთადერთია ადამიანებსა და ყველა სხვა გონიერ არსებებში, ვინც ადამიანის სული ყველაზე დიდ ღირებულებად გამოაცხადა ყველა სამყაროთა — ზენათა თუ ქვენათა: „...რაი სარგებელ ეყოს კაცსა, — ამბობს მაცხოვარი. — უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს? ანუ რაი მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თვისისა?“ (მათე 16, 26), ანუ ყველაზე ძვირფასი მას საკუთარი სული აქვსო.

მთელი სამყარო, ყველა ვარსკვლავი და პლანეტი არ წარმოადგენს იმგვარად დიდ ფასეულობას, როგორსაც — ერთი ადამიანის სული. თუკი ადამიანი ცოდვებსა და ბიწიერებებში ხარჯავს თავის სულს, იგი ვერაფრით ველარ შესძლებს მის გამოსყიდვას, დაე, თუნდ ვარსკვლავთა მთელი სისტემების მფლობელი შეიქნას. აქ მას მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩება თავის გადასარჩენად: ღმერთკაცი იესო ქრისტე — ერთადერთი, ვ ი ნ ც უკვდავებას ანიჭებს ადამიანის სულს. ხოლო ნივთებით, მათი სიყვარულითა და შეძენით სიკვდილისაგან კი არ დაიხსნება ადამიანის სული, არამედ, პირიქით, დაემონება სიკვდილს, და მხოლოდ ღმერთკაცს ძალუძს ადამიანის გათავისუფლება ნივთთა მიმძლავრებისაგან, მატერიალურის ტირანიისაგან. ნივთები ვერ ხელმწიფებენ ქრისტეს ადამიანზე, პირიქით — იგი უფლებს მათზე. ყველა ნივთსა და საგანს სწორედ იგი განუსაზღვრავს ნამდვილ ღირებულებას, რადგან ისე აფასებს მათ, როგორც ქრისტე იქმდა ამას. ხოლო რამდენადაც, ქრისტეს სახარების მიხედვით, ადამიანის სულს შეუდარებლად უფრო დიდი ღირებულება აქვს, ვიდრე ყველა სხვა არსებასა თუ საგანს ქმნილ სამყაროში, ამიტომ მართლმადიდებელი ადამიანიც მთელ თავის ზრუნვასა და ყურადღებას სწრო-

რედ სულს უთმობს, და მართლმადიდებელი ქრისტიანული კულტურაც, უპირველესად, სწორედ სულის კულტურაა.

ადამიანი მხოლოდ ღმერთით არის დიდი და ძლიერი, — აი, ესაა ღმერთკაცობრივი კულტურის ლოზუნგი. უღმერთოდ ადამიანი მხოლოდ 70-იოდე კილოგრამი სისხლიანი თიხაა, და მეტი — არაფერი; ასეთი ადამიანი საფლავია ამ სიცოცხლეშივე, საფლავად შთადებამდე. ევროპელმა ადამიანმა სასიკვდილოდ განიკითხა ღმერთიცა და სულიც, ყოველივე ღვთაებრივიცა და სულიერიც. მაგრამ ამით მან მხოლოდ საკუთარი თავი განიკითხა სასიკვდილოდ, — განიკითხა ისეთი სიკვდილისათვის, რომელსაც უკვე აღარ მოსდევს მკვდრეთით აღდგომა! და თუკი მიუკერძოებლად ჩაუკვირდებით არსს ევროპული ფილოსოფიისა, მეცნიერებისა, პოლიტიკისა, კულტურისა, საერთოდ, არსს ევროპული ცივილიზაციისა, მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ ევროპელ ადამიანში მოუკლავთ ღმერთი და სულის უკვდავება. ასევე, თუკი სერიოზულად ჩავუფიქრდებით კაცობრიობის ისტორიის ტრაგიზმს, შეგვიძლია დავინახოთ, რომ ღმერთის მკვლელობა ყოველთვის თვითმკვლელობით მთავრდება. გაიხსენეთ იუდა ისკარიოტელი. მან ჯერ ღმერთი გაიმეტა სასიკვდილოდ, შემდეგ კი საკუთარი თავიც მოსპო, და ეს გარდუვალი კანონია ჩვენი პლანეტის ისტორიისა.

ასე, რომ ევროპული კულტურის შენობა, აგებული ქრისტეს გარეშე, უნდა დაინგრესო, ძალზე მალე უნდა დაინგრესო, — ასე წინასწარმეტყველებდნენ თ. დოსტოევსკი 100 წლის წინათ და დამწუხრებული ნ. გოგოლი 100-ზე მეტი წლის წინათ... და აი, ჩვენს თვალწინ, ახლა აღსრულდება ეს წინასწარმეტყველება. 10 საუკუნეა ინტენსიურად შენდება ევროპის ბაბილონის გოდოლი, და ამჟამად ჩვენს წინაშეა ტრაგიკული სურათი: აგებულია ვეება ნული, არარაობა! დაწყებულია საყოველთაო დაბნეულობა: ადამიანს არ ესმის მეორე ადამიანისა, სულს — სულისა, ერს — მეორე ერისა. ადამიანი — ადამიანის წინააღმდეგ აღმდგარა, ერთი სამეფო — მეორე სამეფოს წინააღმდეგ, ერთი ერი — სხვა ერის წინააღმდეგ, და თვით კონტინენტიც კი — მეორე კონტინენტის წინააღმდეგ!

ევროპელმა ადამიანმა თავისი ბედის განმსაზღვრელ და თავბრუდამხვევ სიმაღლეს მიაღწია. ამ ბაბილონის გოდოლის მწვერვალზე მან ზე-ადამიანი დააყენა და სურდა მისით დაეგვირგვინებინა შენობის მშენებლობა, მაგრამ სულ ბოლოს, თხემს მიღწეული ზე-ადამიანი გონებას გადასცდა და გოდოლიდან ჩამოვარდა, დაიმსხვრა, თვით

გოდოლი კი ამის შემდეგ სულ ირღვევა და იქცევა ომებისა თუ რევოლუციების გამო. ევროპელი ადამიანი ჭკუაზე უნდა შეშლილიყო თავისი კულტურის განვითარების დასასრულს: ღმერთის მკვლელი — თვითმკვლელიც უნდა გამხდარიყო! უკუნი, მძიმე ღამე გადასწოლია მთელს. ევროპას. იმსხვრევა ევროპის კერპები, და შორს არ არის ის დღე, როცა ქვა — ქვაზედ აღარ დარჩება ევროპული კულტურისაგან, რომელიც უსულო ქალაქებს აღაშენებდა, ადამიანთა სულებს კი — აჩანაგებდა; ქმნილებებს განაღმრთოვებდა, მათს შემოქმედ ღმერთს კი — უარყოფდა... ცრუ-მოძღვრებებს იგონებდა, ჭეშმარიტ სარწმუნოებას კი განეშორებოდა...

ევროპის მოყვარე რუსი მოაზროვნე ა. გერცენი დიდხანს ცხოვრობდა მის წიაღში, მაგრამ უკვე თავისი ცხოვრების მიწურულს, ამ ასიოდე წლის წინათ, წერდა: „საკმარისად დიდხანს შევისწავლიდით ჩვენ ევროპის ჭიანჯამ ორგანიზმს: ყველა ფენაში, ყველგან მისი სიკვდილის ნიშნებს ვამჩნევდით... ევროპა საშინელ კატასტროფას უახლოვდება... პოლიტიკური რევოლუციები ირღვევა საკუთარი უძლურების სიმძიმის ქვეშ; მათ დიდი საქმენი მოიმოქმედეს, მაგრამ ვერ შეასრულეს თავიანთი ამოცანა: დაანგრიეს სარწმუნოება, მაგრამ ვერ უზრუნველჰყვეს თავისუფლება; ისეთი ნდომა-სურვილნი აღაგზნეს ადამიანთა გულებში, რომელთაც აღსრულება არ ეწერათ.. მე პირველი ვფიქრდები და შიშით აღვივსები მოახლოებული ღამის წინაშე... მშვიდობით, მომაკვდავო სამყაროვ! მშვიდობით, ევროპავ!..“

დაცარიელებულა ევროპელი ადამიანისათვის ზეცა — მას შინა აღარ არის მისთვის ღმერთი; დაცარიელებულა დედამიწაც, — მას ზედა აღარ არის მისთვის ადამიანის უკვდავი სული; ევროპულმა კულტურამ ყველა თავისი მონა მკვდრებად აქცია და თვითონაც დიდ სასაფლაოდ გადაქცეულა. „მე ევროპაში გამგზავრება მსურს, — ამბობდა როგორღაც თ. დოსტოევსკი. — და ვიცი, რომ სასაფლაოზე მივემგზავრები!..“ („ზამთრისეული ჩანაწერები ზაფხულისდროინდელ შთაბეჭდილებებზე“).

პირველ მსოფლიო ომამდე ევროპის დაღუპვას მხოლოდ მელანქოლიური სლავი მწერლები გრძნობდნენ და წინასწარმეტყველებდნენ; ომის შემდეგ კი ამას ზოგიერთი ევროპელიც ხედავს და გრძნობს. მათს შორის ყველაზე გაბედული და გულწრფელი, უთუოდ, ოსვალდ შპენგლერი იყო, რომელმაც მთელი მსოფლიო შესძრა თავისი წიგნით „ევროპის დაისი“. მასში შპენგლერი ყველა იმ საშუალებით, რისი მიცემაც მისთვის შეეძლო ევროპულ მეცნიერებას,

ფილოსოფიას, პოლიტიკას, ტექნიკას, ხელოვნებას, რელიგიას და ა. შ., აჩვენებს, რომ დასავლეთი იღუპება. პირველი მსოფლიო ომიდან დაწყებული, ევროპას სიკვდილისწინა აგონიის ხრიალი აღმოხდება. დასავლეთის, ანუ ფაუსტური კულტურა, რომელიც შპენგლერის შეხედულებით, X საუკუნეში იღებს დასაბამს, ამჟამად იღუპება, ირღვევა, რათა მომავალში საბოლოოდ მოისპოს (ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ ეს პროცესი ამჟამად აშკარად დაჩქარებულია). ევროპული კულტურის შემდეგო, — ასე თვლის ო. შპენგლერი. — დგება დრო დოსტოევსკისეული კულტურისა, ანუ მართლმადიდებლური კულტურისა!..“

ყოველ ახალ კულტურულ აღმოჩენასთან ერთად ევროპელი ადამიანი სულ უფრო მეტ-ს აჩქარებით კვდებოდა, სიკვდილისაკენ მიექანებოდა. ევროპელ ადამიანთა სიყვარული საკუთარი თავისადმი იყო და არის ის საფლავი განგოზილი, რომლიდანაც მკვდრეთით აღდგომა მათ აღარ სურთ, და ამიტომ არც ძალუძთ ეს; ტრფიალება საკუთარი გონიერებისადმი, — აი, ის საბედისწერო ვნება, რომელიც აჩანაგებს ევროპელ ადამიანებს. ერთადერთი ხსნა ყოველივე ამისაგან იესო ქრისტეა! — ამბობს ნ. გოგოლი. მაგრამ იმ სამყაროს, რომელშიც „მილიონობით მბრწყინავ-მოელვარე საგანია გაბნეული, ყოველი მიმართულებით რომ ავრცელებენ აზრებს, — ასეთ სამყაროს ძალა არ შესწევს უშუალოდ შეეგებოს ქრისტეს, კვლავ მიიღოს იგი“.

ევროპული ადამიანის ტიპმა ფარხმალი დაყარა თავისი ცხოვრების უმთავრესი პრობლემის წინაშე; ღმერთკაცმა კი ყველა ეს პრობლემა ერთიანად გადაწყვიტა. ევროპელმა ადამიანმა ცხოვრების პრობლემის გადაწყვეტა ნიჰილიზმით — ყოველივეს უარყოფით — სცადა. ღმერთკაცმა კი — საუკუნო ნეტარი ცხოვრებით გადაწყვიტა ისინი! ევროპელი — დარვინულ-ფაუსტური ადამიანისათვის ცხოვრებაში უმთავრესია საკუთარი თავის შენარჩუნება, გადარჩენისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა; ქრისტეს ადამიანისათვის კი — თავგანწირვა, სხვისთვის თავის დადება! პირველი ასე იტყვის ხოლმე — სხვები გაიღე მსხვერპლად საკუთარი თავისთვისო! მეორე კი სულ ამას ღაღადებს — საკუთარი თავი გაიღე მსხვერპლად სხვებისთვის, მოყვასისთვისო!.. ევროპელმა ადამიანმა ვერ გადაწყვიტა ის ავბედითი პრობლემა სიკვდილ-სიცოცხლისა, ყველაზე მეტად რომ აწუხებს ყველა ცოცხალ არსებას, ღმერთკაცმა კი სრულიად გადაწყვიტა იგი თავისი და ყოველთა მკვდრეთით აღდგომით!

უეჭველია, რომ ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის პრინციპი — ღვთისმბრძოლი პრინციპია. დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა ევროპელი ადამიანის ტიპი სანამ მან ღმერთკაცი იესო ქრისტე არ შესცვალა თავისი ფილოსოფიითა და მეცნიერებით, თავისი პოლიტიკითა და ტექნიკით, თავისი „რელიგიითა" თუ ეთიკით... ევროპამ ქრისტე გამოიყენა „მხოლოდ როგორც ხიდი უკულტურო ბარბაროსობიდან — კულტურული ბარბაროსობისაკენ, ანუ უხეში ბარბაროსობიდან — დახვეწილი, ნატიფი ბარბაროსობისაკენ" (ეპისკოპოსი ნიკოლოზი. „სიტყვა ყოვლადადამიანზე").

ჩემს ამ დასკვნებში ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის შესახებ ბევრი რამაა სამძიმო და კატასტროფული ადამიანის სულისათვის. მაგრამ, დაე, ნუ გაგაკვირვებთ ეს, რამეთუ ჩვენ ვსაუბრობთ ყველაზე კატასტროფულ პერიოდზე კაცობრიობის ისტორიაში, ევროპის აპოკალიპსისზე, — იმ კონტინენტისა, რომლის სხეულსაც და სულსაც საშინელებანი ფლეთენ. უეჭველია, რომ ევროპაში ვულკანისებრი წინააღმდეგობებია შთადებული, რომლებიც, თუკი მათ არ გააუვნებელ-ჰყოფენ, შესაძლოა, ევროპული კულტურის საბოლოო განადგურებით დასრულდეს.

ჰუმანისტური და ღმერთკაცობრივი საზოგადოებანი

თუკი ევროპის კონტინენტი რითიმე სახელგანთქმული დარჩება ჩვენი პლანეტის ისტორიაში, ეს, ალბათ, იმის ძლით მოხდება, რომ მან შესძლო გამოეგონებინა უამრავი პრობლემა, და ვერც ერთი მათგანი ვერ გადაჭრა კაცთა მოდგმის სასიკეთოდ! აქ, პირველ ყოვლისა, იგულისხმება ეგრეთ წოდებული სოციალური პრობლემები. მათი გადაწყვეტის მცდელობა — ეს ლამის ყოველი ევროპელის მანია იყო და არის. მაგრამ განა ვინმეს უცდია მათი გადაწყვეტა ცეცხლისა და მახვილის გარეშე, ინკვიზიციისა და კოცონთა გარეშე?! ამ სოციალურ პრობლემათა წინაშე ევროპელ ადამიანს სასოწარკვეთა იპყრობს, რომელიც ხშირად შეშლილობაში გადაიზრდება ხოლმე. რატომ? — იმიტომ, რომ საზოგადოების პრობლემები, თუკი მათ ძირითად შემადგენელ ელემენტებზე დავშლით, სხვა არაფერია, თუ არ პიროვნების პრობლემები, გადამრავლებულნი ყველა იმ ინდივიდუუმის რიცხვზე, საზოგადოებას რომ შეადგენენ. ყოველ ადამიანს, არის რა საზოგადოების წევრი, თავისი საკუთარი, ინდივიდუალური,

ფსიქოლოგიური შინაარსი, და პრობლემატიკა შეაქვს მასში. მაგრამ ყოველი ცალკეული ადამიანისა და მთელი კაცობრიობის პრობლემატიკა, არსებითად, ერთმანეთის მსგავსია. ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის, სიცოცხლისა და სიკვდილის, სიკეთისა და ბოროტების, მარადიულობისა და უკვდავების, ცათა და ქვეყნის პრობლემები ყოველ ცალკეულ ადამიანსაც აწუხებს და მთელს კაცობრიობასაც, მაგრამ ისინი, უპირველესად, სწორედ ცალკეული ადამიანის — როგორც ინდივიდუუმის — პრობლემებია, და მხოლოდ ამის შემდეგ და მისით — მთელი კაცობრიობისაც როგორც კოლექტივისა. აქედან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნაც: ვინც ადამიანის პრობლემას გადასწყვეტს, ის მთელი საზოგადოების, მთელი კაცობრიობის პრობლემასაც გადასწყვეტს, — ყოველი საზოგადოებისა — დაწყებული სულ მცირერიცხოვანიდან და დამთავრებული ყველაზე მრავალრიცხოვანით, დაწყებული ერთი კონკრეტული ოჯახიდან, და დამთავრებული მთელი კაცობრიობით.

როცა ჰუმანისტურად წყვეტდა ადამიანისა და საზოგადოების პრობლემებს, ევროპა ორ უკიდურესობაში ვარდებოდა: ან ადამიანი არ ფასდებოდა სათანადოდ—მას ივიწყებდნენ, იგი მხედველობიდან გამორჩებოდათ ხოლმე, ანდა საზოგადოებას ივიწყებდნენ პიროვნების პრობლემის გადაწყვეტისას: ხოლო სრულყოფილი გადაწყვეტისათვის ამ პრობლემებისა აუცილებელია სამართლიანი მიდგომა ადამიანისადმიც და საზოგადოებისადმიც. ისეთი მიდგომა, რომელიც ყოველთვის დაიცავდა წონასწორობას ადამიანის ღვთაებრივ ფასეულობებსა და საზოგადოების წარუვალ ფასეულობებს შორის. ჩვენ ისეთი საზოგადოება გვესაჭიროება, რომელშიც დაცული იქნება ადამიანის ღვთაებრივი სიდიადე და მნიშვნელობა, მისი ხელმძღვანელობა: ისეთი საზოგადოება, სადაც ის ყოველთვის ჯეროვნად იქნება შეფასებული და სადაც მას არ დაამახინჯებენ, უსახურად არ შექმნიან: საზოგადოება, რომელშიც ადამიანი მანქანად, რობოტად არ გადაიქცევა არც რომელიმე კლასის ხარჯზე და არც ერის ხარჯზე, არც სახელმწიფოსა და არც კულტურის, არც ცივილიზაციისა და არც მეცნიერებისა თუ რელიგიის ხარჯზე. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი საზოგადოება, რომელშიც პიროვნება და საზოგადოება შეავსებენ ერთურთს, მხარს დაუჭერენ ერთმანეთს, გაიზრდებიან, განვითარდებიან და სრულყოფილნიც შეიქნებიან ერთურთით: საზოგადოება, რომელშიც თითოეული მისი წევრი სულიერად არის შეერთებული ყველასთან, და

ყველანი ერთობლივ — თითოეულთან; გვესაჭიროება ისეთი საზოგადოება, რომელშიც თითოეული — ყველას ინტერესებით ცხოვრობს, ყველა კი — თითოეულის ინტერესებით. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ გვესაჭიროება ისეთი საზოგადოება, რომელიც ერთ ორგანიზმს წარმოადგენს, ერთ მთლიან სხეულს, და რომელშიც ამ საზოგადოების ყოველი წევრი ორგანული ნაწილია მთელი სხეულისა: ერთი — თვალია, მეორე — ხელი, მესამე — ფერხნი, და არც ერთს არ ძალუძს მეორეს უთხრას — შენ მე არა მჭირდებიო. ხელი რომ მოქმედებდეს, უსათუოდ ესაჭიროება თვალი, რომელიც წარმართავს მას, და ფეხიც, რომელიც ატარებს. კვალად, თვალსაც. დანახვისათვის უსათუოდ ესაჭიროება ხელი, რომელიც ასაზრდოვებს მას, და ფეხიც, რომელიც ატარებს; ასევე ფეხსაც, სიარულისათვის, უსათუოდ ესაჭიროება თვალი, რომელიც წარმართავდა მას, და ხელიც, რომელიც შეეწეოდა. ჩვენ ყველანი ორგანული ნაწილები ვართ საზოგადოების ორგანიზმისა — დიდნი თუ მცირენი, ხილულნი თუ უხილავნი, და იმგვარი ნაწილები, რომელნიც ერთმანეთის დახმარებით ცოცხლობენ: თითოეული ყველას შეეწევა, ყველა ერთად კი — თითოეულს, ისევე, როგორც ეს სხეულში ხდება: თავზე თმები რომ ეზრდება ადამიანს, ამაში მთელი სხეული მონაწილეობს, და თმაც იზრდება იმისთვის, რომ თავი დაიცვას, ანუ თავისი ფუნქცია შეასრულოს. აბა, ჩავუკვირდეთ ადამიანის სხეულს: მასში ჩვენ საუკეთესო მაგალითი გვაქვს მოცემული საზოგადოებისა, თანამოღვაწეებისა, სიმბიოზისა (ანუ ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრებისა), მოყვასისადმი მსახურებისა, — თითოეული ნაწილი სხეულისა — ყველას ემსახურება, ყველა კი თითოეულს; ჩვენი ხელის პაწაწინა თითს ისეთი რთული ორგანო ემსახურება, როგორიც თვალია, და კიდევ უფრო რთულიც, როგორიც ტვინია; თითიც, თავის მხრივ, თვალსაც ემსახურება და ტვინსაც. რაც უფრო რთული აგებულებისაა სხეულის ესა თუ ის ნაწილი, მით უფრო საპასუხისმგებლო ფუნქციას ასრულებს იგი და ყველას ემსახურება, სხეულის ყველაზე უმნიშვნელო ნაწილებსაც კი. გული ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანოა სხეულისა მაგრამ — ყველაზე მორჩილი მსახურიც სხეულისა: იგი განუწყვეტლივ ემსახურება ყოველ ცალკეულ უჯრედსაც და მთელს სხეულსაც.

ნუ გაგიკვირდებათ ეს, რადგან ადამიანის სხეული ამგვარადაა მოწყობილი და შეთანხმიერებული: უფრო დიდი ნაწილი იმისთვის არის მასში სხვებზე აღმატებული და მნიშვნელოვანი, რომ მცირეს

ემსახუროს. სიმდაბლე, მორჩილება — უმთავრესი სათნოებაა, ყოველგვარ ურთიერთობას რომ მოაწესრიგებს ადამიანის სხეულში: უფრო დიდი — თავს დაიმდაბლებს უფრო მცირის წინაშე და მორჩილად ემსახურება მას; რაც უფრო დიდია სხეულის რომელიმე ნაწილი, მით უფრო მეტად იმდაბლებს იგი თავს და მით უფრო მეტი მორჩილებით ემსახურება სხვებს. ასევეა ჩვენს იდეალურ საზოგადოებაშიც: უფრო დიდი — მცირეს ემსახურება, მეცნიერი — უსწავლელს, ბრძენკაცი — უბრალო კაცს, მდიდარი — ობოლსა და უქონელს; ყველაზე დიდი ნაწილი სხეულისა სწორედ იმიტომაცაა სხვაზე აღმატებული, რომ იგი ნებაყოფლობითი მსახურია ყველასი. ყოველივე აქ ღმერთკაცობრივი, ბუნებრივი კანონის მიხედვითაა მოწყობილი, კანონისა, რომელიც გვიღაღადებს: „რომელსა უნებს თქვენ შორის დიდ ყოფაი, იყავნ თქვენდა მსახურ. და რომელსა უნებს თქვენ შორის წინა ყოფაი, იყოს იგი თქვენდა მონა“ (მათე 20, 26—27). რატომ? — იმიტომ, რომ ეს კანონია თვით ყველაზე სრულყოფილი და დიდი ადამიანისათვისაც — ღმერთკაც იესო ქრისტესათვისაც, რომელიც „არა მოვიდა, რაითამცა იმსახურა, არამედ — მსახურებად და მიცემად სული თვისი სახსრად მრავალთათვის“ (მათე 20, 28). და მართლაც, განა არსებობს კაცთა მოდგმისათვის იმაზე უფრო დიდი და მორჩილი მსახური, ვიდრე მშვიდი ღმერთკაცია?! — „ხოლო მე ვარ შორის თქვენსა ვითარცა მსახური“ (ლუკა 22, 27), — უცხადებს იგი თავის მიმდევრებს: როგორც მსახურიო, რომელიც სიმდაბლით გვემსახურება ჩვენ, ადამიანებს, და გვასწავლის ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, სამართლიანობას, სიყვარულს, სიკეთეს, ღვთაებრივ სიძლიერეს, რათა ჩვენც შევძლოთ შეცნობა და დამარცხება ცოდვისა, ბოროტებისა და სიკვდილისა, და რათა ვიყოთ ღვთაებრივად კეთილნი, უკვდავნი და მარადიულნი. და არამხოლოდ ვითარცა ხორციელ-ქმნილი, განკაცებული ღმერთი, არამედ როგორც სიტყვა — ღმერთიც — ი გ ი განუწყვეტლივ ემსახურება ადამიანებს ყოველივეთი — მზით, ჰაერით, ნათელით, მთელი ბუნებით, მთელი სამყაროთი, — ემსახურება მოთმინედ და სიმდაბლით, იმისთვის, რომ მხოლოდ ასწავლოს მათ ეს უზენაესი კოსმიური და უზენაესი ბუნებისმიერი საღმრთო კანონი: დაე, დიდი — მცირეს ემსახურებოდეს სიხარულითა და სიმშვიდით, სიმდაბლითა და მორჩილებით! სწორედ ამიტომაც გამოთქვეს მისმა ღვთაებრივმა ბაგეებმა ეს სიტყვები: „...უდიდესი იგი თქვენ შორის იყავნ მრწემ, და წინამძღვარი იგი — ვითარცა მსახური...., რამეთუ ყოველმან, რომელმან

აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (ლუკა 22, 26; 18, 14). და მთელი სახარებაც ღმერთკაც იესო ქრისტესი, თავიდან ბოლომდე, სხვა არაფერია, თუ არ სრულყოფილი ილუსტრაცია ამ უზენაესი კოსმიური ღვთაებრივი კანონისა.

და ამ სახარებისეული კანონით ღმერთკაცი იესო ქრისტე იდეალურად და ამავე დროს რეალურადაც გადასწყვეტს პრობლემას ადამიანისა და კაცობრიობისა, პიროვნებისა და საზოგადოებისა. რამეთუ ადამიანიცა და მთელი კაცობრიობაც, პიროვნებაცა და მთელი საზოგადოებაც არამარტო შესდგებიან ერთი და იმავე ფსიქოფიზიკური მასალისაგან, არამედ მთელს მათს არსებასაც ერთი და იგივე მიზანი განმსჭვალავს. და თუკი მათი მიზნები არ ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ მათს შორის დიდი უფსკრული ჩნდება, რის გამოც მათ შეურიგებელი წინააღმდეგობანი მოსწყლავენ. მხოლოდ მიზნის ერთიანობა ხდის შესაძლებელად იდეალურ გადაწყვეტას პიროვნებისა და საზოგადოების პრობლემისას. მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს მიზანი? — რა თქმა უნდა, არა დროებითი, არა წარმავალი, არამედ მარადიული, წარუვალი, უკვდავი მიზანი, რომელიც ცათა შინაც დგას ადამიანის წინაშე და — ქვეყანას ზედაც ეს არის ის უკვდავი, საუკუნო მიზანი, რომელიც ღმერთკაცმა იესო ქრისტემ დაუსახა ღვთისმსგავს არსებას ადამიანისა. და რაში მდგომარეობს ეს უკვდავი ღმერთკაცობრივი მიზანი? — იმაში, რომ ღმერთის ყველა ღვთაებრივი სრულყოფილება ადამიანში და მთელს კაცობრიობაში განხორციელდეს, ყოველ ცალკეულ პიროვნებაში და მთელს საზოგადოებაში გაცხადდეს.

შესაძლებელია თუ — არა ეს? — დიახ, სწორედ, რომ შესაძლებელია, რამეთუ, ჯერ — ერთი, ადამიანი ღვთისმსგავსი არსებაა, შექმნილი ღმერთის მიერ ხატად და მსგავსად მ ი ს ა, და მეორეც — იმიტომ, რომ სიტყვა — ღმერთი ხორციელ-იქმნა, განკაცდა, ადამიანად შეიქნა და როგორც ღმერთკაცმა ცხადად გვიჩვენა, თუ ღვთაებრივად რა იდეალურად სრულყოფილია და კაცობრივადაც რა რეალურად ბუნებრივია ადამიანი, რომელშიც ღმერთი განხორციელდა ყველა თავისი საღმრთო სრულყოფილებებით. და კიდევ: ღმერთკაცმა ადამიანებს მოუტანა და მოანიჭა საღმრთო სათნოებანი და ძალნი, და ამის შემდეგ ყოველ ადამიანს, თუკი ნამდვილად ექნება ამის სურვილი, შეუძლია მთელის სისრულით განახორციელოს თავის თავში ღმერთი, საღმრთო სრულყოფილებანი. ამ მიზნის განხორცი-

ელებისას ადამიანები ღვთაებრივი მადლის მიერ უკვდავ არსებებად გადაიქცევიან და შეიქნებიან წევრებად უკვდავი ღმერთკაცობრივი საზოგადოებისა — ღმერთკაცობრიობისა. როგორადაც ადამიანისაგან ვითარდება კაცობრიობა ლოგიკურად და ბუნებრივად, ამგვარადვე ღმერთკაცისაგანაც ლოგიკურად, ბუნებრივად გამომდინარეობს და ვითარდება ღმერთკაცობრიობა. ამ ღმერთკაცობრივ საზოგადოებაში ადამიანები უკვდავი არსებების მსგავსად ცხოვრობენ სახარებისეული კანონების მიხედვით, რომელნიც ძალშემოსილნი არიან ცათა შინაც და ქვეყანასა ზედაც. ეს — ერთადერთი საზოგადოებაა ჩვენს პლანეტაზე, რომელშიც ნამდვილად ღმერთშემოსილი არსებანი ცხოვრობენ, მათთან ერთად კი — ისინიც, ვინც ჯერ კიდევ ესწრაფვის ამას — ღმერთით შემოსვას; და ეს საზოგადოება სხვა არაფერია, თუ არ სწორედ ღმერთკაცობრივი სხეული უფალ იესო ქრისტესი, — ანუ მ ი ს ი ეკლესია.

და, აი, ჩვენ უკვე შევედით წმიდათა წმიდაში ღმერთკაცობრივი ფილოსოფიისა საზოგადოების შესახებ. ეს არის ახალი, ღმერთკაცობრივი საზოგადოება, სულ რომ არა ჰგავს იმ საზოგადოებებს, რომლებსაც თეორიულად თუ კონკრეტულად გვთავაზობს ევროპელი ადამიანის ჰუმანისტური სოციოლოგია. ამ ღმერთკაცობრივ საზოგადოებაში ყოველივე ღმერთკაც იესო ქრისტეს ცხოველმყოფელ პიროვნებისაკენ მიემართება, ყველაფერი მ ა ს შ ი იყრის თავს, ვ ი ნ ც ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. ყველა სხვა ფასეულობანი, ინდივიდუალურნიცა და სოციალურნიც, სწორედ მისგან იღებენ სათავეს და მისგან მომდინარეობენ, როგორც სხივები — მზისაგან. თავს ნურავინ მოიტყუებს სხვა აზრით: მართლმადიდებლობა მხოლოდ ღმერთკაცით არის მართლმადიდებლობა, რამეთუ ქრისტიანობაც — მხოლოდ ღმერთკაც იესო ქრისტეთი არის ქრისტიანობა, — ამაშია მისი ერთადერთი მნიშვნელობა, ღირებულება და ძალა. უფალმა იესო ქრისტემ თავისი თავი — თავისი ღმერთკაცობრივი პიროვნება როგორც ეკლესია დაგვიტოვა ჩვენ, და ამიტომ ეკლესია მხოლოდ ღმერთკაცით და ღმერთკაცში არის ეკლესია. ყოველივე, რაც სახარებაა და რაც მართლმადიდებელი ქრისტიანობაა, ერთს დიად, ყოვლისმომცველ ჭეშმარიტებაში იყრის თავს: ღმერთკაცი არის არსი, მიზანი, აზრი და უზენაესი ფასეულობა ეკლესიისა, ანდა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით: ეკლესია არის ღმერთკაცი იესო ქრისტე მარადის, ყოველთა საუკუნეთა შინა და მათი გასრულების შემდგომაც — მარადიულო-

ბაში. ღმერთკაცი იესო ქრისტეა თავი ეკლესიის სხეულისა, მისი ერთადერთი მეთაური და წინამძღვარი. ეკლესიის სხეული მ ი ს ი თ იზრდება მთელს უსასრულობაში ღვთაებრივი ცხოვრებისა; იზრდება ღვთაებრივი ზრდით საზომისაებრ ღმერთკაცობრივი სრული სხეულისა, რამეთუ ყოველივე მ ი ს მიერ, მისთვის და მ ი ს ა მიმართ დაბადა. თავისი ღმერთკაცობრივი ძალით მ ა ს ეკლესიის ყველა ნამდვილი წევრი საიდუმლო სახით მიჰყავს განღმრთოებამდე, რადგან სწორედ ამაში მდგომარეობს აზრიცა და მიზანიც ეკლესიის არსებობისა: ღმერთკაცობრივი რწმენითა და ღვაწლით ყოველივე მიიყვანოს ზომად ქრისტეს სრულყოფილი სხეულისა, ასაკისა, ანუ ყველა და ყველაფერი განაღმრთოს მადლის მიერ.

მე მართლმადიდებელ ქრისტიანულ ეკლესიაზე ვლაპარაკობ. რა არის მისი არსი? — თვით ღმერთკაცი იესო ქრისტე. აქედან გამომდინარე, ყოველივე მართლმადიდებლური — ღმერთკაცობრივი ხასიათისაა: შეგნებაც, გრძნობაც, ნებელობაც, აზროვნებაც, ცხოვრებაც და, მთლიანად, საზოგადოებაც. ღმერთი ყველგან და ყოველთვის პირველ ადგილზეა, ადამიანი კი — მეორეზე; ღმერთს მიჰყავს, იგი წარმმართველია, ადამიანი კი მიმოიყვანება, წარიმართება მ ი ს მიერ; ღმერთი იღვწის, ადამიანი კი — თანამოღვაწეობს მასთან. და ეს რაღაც ტრანსცენდენტური, აბსტრაქტული, მოგონილი და წარმოსახული ღმერთი კი არ არის, არამედ რეალური ღმერთია უშუალო ისტორიული სინამდვილისა, ღმერთი, რომელიც ხორციელ-იქმნა, განკაცდა, ადამიანი შეიქნა ისე, რომ კვლავაც და მარადის ღმერთად დარჩა; ღმერთი, რომელიც ჩვენი, ადამიანური ცხოვრებით ჰგიებდა ამქვეყნად, ყოველივეთი გვემსგავსა ჩვენ, თვინიერ ცოდვისა და თავისი თავი ყოველივეში სრულიად წმიდად, უცოდველად, კეთილად, მართლად, კეთილმსახურად, ჭეშმარიტად წარმოგვიდგინა. ი გ ი ადამიანი შეიქნა და იმავდროულად ღმერთად დარჩა იმისთვის, რომ როგორც ღმერთს ღვთაებრივი ძალები მოენიჭებინა ადამიანებისათვის, — ის ძალები, რომლებიც უმჭიდროესად, ღმერთკაცობრივი კავშირით შეაერთებენ ადამიანებს ღმერთთან. და ეს მისი ღვთაებრივი ძალები განუწყვეტლივ მოქმედებენ მ ი ს ღმერთკაცობრივ სხეულში — ეკლესიაში, აერთებენ რა ადამიანს, ყოველ ნამდვილ და ერთგულ მორწმუნეს, ღმერთთან მადლმოსილი, წმიდა ცხოვრების მეშვეობით. რამეთუ ეკლესია — საკვირველი ღმერთკაცობრივი ორგანიზმია, რომელშიც, საღმრთო მადლისა და ადამიანის თავისუფალი მოქმედების ურთიერთქმედებით მთელი კაცობრიობა უკვდავებას

შეიძენს და ღმერთკაც იესო ქრისტეს მსგავსად ცხოვრობს, — ყველა და ყველაფერი, გარდა ცოდვისა. ეკლესიის ღმერთკაცობრივ ორგანიზმში ყოველი მორწმუნე ადამიანი — ცოცხალი უჯრედია, ეკლესიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად რომ იქცევა და მისი ცხოველმყოფელი ღმერთკაცობრივი ძალით ცხოვრობს. რამეთუ იყო ეკლესიის წევრი — ნიშნავს თანა-ხორციელ-ექმნა ღმერთკაც იესო ქრისტეს, გახდე მისი განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, ორგანული წევრი მისი ღმერთკაცობრივი სხეულისა, — ერთის სიტყვით: ღმერთკაცის მსგავსი შეიქნა მთლიანად — სრული რეალობით შენი ადამიანური პიროვნებისა და შენი ადამიანური ცხოვრებისა.

ძირითადი პრინციპები მართლმადიდებელი ფილოსოფიისა საზოგადოების შესახებ ესაა: ყოველივეში და ყველაფრით ეკლესია, უპირველესად, არის ღმერთკაცობრივი ორგანიზმი, და მხოლოდ ამის შემდეგ — ღმერთკაცობრივი დაწესებულება, ორგანიზაცია. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს მისი ღმერთკაცობრივი მოქმედებაც მსოფლიოში: ყოველივე ღმერთკაცობრივი — ადამიანში და კაცობრიობაში განახორციელოს: ქრისტესმიერი სიყვარული, ქრისტესმიერი სიმართლე, სიკეთე, სიბრძნე, სიმდაბლე და, საერთოდ, ყოველი საღმრთო სათნოება. რამეთუ სწორედ მათი მეშვეობით შესახლდება იესო ქრისტე ადამიანში და განხორციელდება მასში. ასეთი ადამიანი ყოველთვის ქრისტეთი ცხოვრობს — ქრისტეთი აზროვნებს, გრძნობს, შრომობს. საიდანა აქვს მას ძალნი ამისთვის? — რა თქმა უნდა, თვით იესო ქრისტესაგან. წმიდა პავლე მოციქულის სიტყვისაებრ, ყოველ ნამდვილ ქრისტიანს შეუძლია თქვას: „ყოველივე ძალ-მიც განმაძლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ“-ო (ფილიპ. 4, 13). მართლმადიდებელი რწმენის მქონე ადამიანი, ცხოვრობს რა ეკლესიის ღმერთკაცობრივ ორგანიზმში როგორც მისი განუყოფელი ცოცხალი უჯრედი ყოველთვის: „ყოველთა თანა წმიდათა“ ცხოვრობს (ეფეს. 3, 18), რომლებიც საიდუმლო სახით შეეწევიან მას სახარებისეულ მცნებათა აღსრულებაში. ამიტომაც მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი ცხოვლად შეიგრძნობს, რომ მას ერთი, თანაზიარი რწმენა აქვს მოციქულებთან, მოწამეებთან მღვდელმთავრებთან და, საერთოდ, ეკლესიის ყველა წმიდანთან ყველა დროისა; რომ ისინი მარადის ცოცხალნი არიან და ყველას, ერთობლივ, ერთდროულად განმსჭვალავს ერთი და იგივე ღმერთკაცობრივი ძალა, ერთი და იგივე ღმერთკაცობრივი ცხოვრება, ერთი და იგივე ღმერთკაცობრივი ჰეშმარიტება. ეკლესიაში წარსული ყოველთვის აწინდელი დროა, თანადრო-

ულობაა, რამეთუ „იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე“ (ებრ. 13, 8), — და ი გ ი მარადიულად ცხოვრობს თავის ღმერთკაცობრივ სხეულში — მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთი და იმავე ჭეშმარიტებით, სიწმიდით, ერთი და იმავე სიკეთით, და ყოველივე გარდასულსაც მარად აწმყოდ გადააქცევს. ამიტომაც მართლმადიდებელი რწმენით აღჭურვილი ადამიანი არასდროს არ არის მარტოსული — ის ყოველთვის ერთობაშია ეკლესიის ყველა წევრთან — ჰგიებს „ყოველთა თანა წმიდათა“. და როცა ის რაიმეზე ფიქრობს, ყოველთვის ღვთისმოშიშებითა და ლოცვითი თრთოლვით იქმს ამას, რადგან იცის, რომ ამაშიც მასთან ერთად საიდუმლო სახით მონაწილეობენ ყოველნი წმიდანნი. მართლმადიდებელი მორწმუნეები სწორედ იმით არიან მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომ ყოველთვის შენარჩუნებული აქვთ თავის თავში ღმერთკაცობრივი ერთობის, საზოგადოობის გრძნობა, რომელსაც ლოცვითა და სიმდაბლით ასაზრდოვებენ. ისინი არასდროს არ ქადაგებენ საკუთარი თავით და საკუთარ თავს, არასდროს არ იქადიან ადამიანით, არასდროს არ განიძარცვავენ თავს ღვთაებრივისაგან და არ რჩებიან შიშველი ადამიანობის ამარა; არასდროს არ გადააქცევენ ჰუმანიზმს თავიანთ კერპად და არ ეთაყვანებიან მას. ყოველთვის და ყველგან ისინი მხოლოდ ღმერთკაც იესო ქრისტეს აღიარებენ და მ ა ს ჰქადაგებენ, და არა — ადამიანს. მართლმადიდებელ ქრისტიანთა უმთავრესი სჯა ესაა: ღმერთკაცობრივი მიზნები მხოლოდ ღმერთკაცობრივი საშუალებით შეიძლება განხორციელდეს; და სახარებისეული მიზნებიც მხოლოდ სახარებისეული გზებით მიიღწევა. ქრისტიანობის ღმერთკაცობრივი სწავლება მხოლოდ ღმერთკაცობრივი გზით შეიძლება დაცულ და შენარჩუნებულ იქნას. უფალი იესო ქრისტე არის ჭეშმარიტება და გზა: არამხოლოდ ჭეშმარიტება არამედ — გზაც, — ის ერთადერთი გზა, რომლითაც ქრისტესმიერ ჭეშმარიტებამდე მისვლაა შესაძლებელი. ღმერთკაცობრივი გზიდან გადახვევით ჩვენ გარდუვლად გადავუხვევთ ღმერთკაცობრივი სწავლებიდანაც, და ამით ღმერთკაც იესო ქრისტესაც უსათუოდ განვეშორებით.

* * *

ევორპულ დასავლეთში ქრისტიანობა, დროთა განმავლობაში, თანდათანობით გადაიქცეოდა ჰუმანიზმად. ღმერთკაცი დიდხანს და ჯიუტად იცვლებოდა და გადასხვაფერდებოდა დასავლელი ქრისტი-

ანის შეგნებაში, რაც იმით დასრულდა, რომ ი გ ი ადამიანთან იქნა გაიგივებული და გათანაბრებული — „უცოდველ, უცთომელ“ ადამიანთან რომში, და ასევე, და არანაკლებ, „შეუცთომელ“ ადამიანთან ლონდონსა თუ ბერლინში. ასე იწყებოდა პაპიზმი, რომელიც ყველაფერს წაართმევს ქრისტეს და თვითონ მიითვისებს, და ასე იწყებოდა პროტესტანტიზმიც, რომელიც არაფერს მნიშვნელოვანს და ღირებულს არ მოითხოვდა ქრისტესაგან, ხშირად კი, საერთოდ, არც არაფერს მოითხოვდა და არ მოითხოვს მ ი ს გ ა ნ. პაპიზმშიც და პროტესტანტიზმშიც ღმერთკაც იესო ქრისტეს ადგილას — ადამიანია დაყენებული ვითარცა უმაღლესი ფასეულობა და კრიტერიუმი. აქ მოახდინეს ხორციელი, სავალალო შესწორება ღმერთკაცისა, მისი საქმეებისა და სწავლებისა. პაპიზმი, დაჟინებით ისწრაფვოდა იმისკენ, რომ ადამიანით შეეცვალა ღმერთკაცი იესო ქრისტე, — და აი, დოგმატში პაპის — ადამიანის — უცთომლობის შესახებ ღმერთკაცი საბოლოოდ იქნა შენაცვლებული წარმავალი „უცთომელი“ ადამიანით, — ამ დოგმატით პაპი ცხადად და გადაჭრით არის გამოცხადებული არამხოლოდ ადამიანზე აღმატებულ არსებად, არამედ აღმატებულადაც თვით წმიდა მოციქულებზე, მამებზე და მსოფლიო საეკლესიო კრებებზეც კი! ამგვარი განდგომით ღმერთკაცისაგან — მსოფლიო ეკლესიისაგან ვითარცა ღმერთკაცობრივი ორგანიზმისაგან, პაპიზმმა ლუთერსაც კი გადაამეტა — პროტესტანტიზმის დამფუძნებელს. მართლაც, პირველი რადიკალური პროტესტი ღმერთკაც იესო ქრისტეს წინააღმდეგ და მისი ღმერთკაცობრივი ორგანიზმის — ეკლესიის წინააღმდეგ სწორედ პაპიზმში უნდა ვეძიოთ, და არა — ლუთერანობაში. სინამდვილეში სწორედ პაპიზმია პირველი, ძველთაძველი სახეობა პროტესტანტიზმისა, წარმომშობი ჰუმანიზმისა და ყოველგვარი პროტესტანტიზმისაც. მაშ, თავს ნურავინ მოიტყუებს, რამეთუ სწორედ პაპიზმია ყველაზე რადიკალური პროტესტანტიზმი, რადგანაც ქრისტიანობის საფუძვლად მან, ღმერთკაც იესო ქრისტეს სანაცვლოდ, წარმავალი და ცოდვილი ადამიანი დაადგინა, და სწორედ ეს გამოაცხადა თავის უმთავრეს დოგმატად, და მაშასადამე, უმთავრეს ჭეშმარიტებადაც, უმთავრეს ფასეულობად და საზომადაც ყოველივეში — ცათა შინაც და ქვეყანასა ზედაც. პროტესტანტებმა კი მხოლოდ აიტაცეს ამ დოგმატის არსი და ახლა თვითონაც საშინელი ზომით განავრცეს იგი, წვრილად გადაამუშავეს და უფრო მეტი სიმახინჯით შემოსეს. მართლაც, პროტესტანტიზმი სხვა არაფერია, თუ არ ბოლომდე მიყვანილი და სრულად განხორცი-

ელებული პაპიზმი! რამეთუ მასში პაპიზმის ძირითადი პრინციპი თითოეული ადამიანის, ყოველი პროტესტანტის ცხოვრებაშია ხორცშესხმული. რომში მჯდარი „უცთომელი“ კაცის მაგალითისაებრ ყოველი პროტესტანტიც ახალი, „უცთომელი“ ადამიანია, რადგან პრეტენზია აქვს თავის პიროვნულ უცთომლობაზე სარწმუნოებრივ საკითხებში. შეიძლება ითქვას, რომ პროტესტანტიზმი — ვულგარიზებული პაპიზმია, ოღონდ განძარცვული მისტიურობისაგან, ავტორიტეტისა და ძალაუფლებისაგან.

ადამიანამდე დაყვანით ქრისტიანობისა, მ ი ს ი ყველა საუკუნო ღმერთკაცობრივი ჭეშმარიტებითურთ, მოხდა ის, რის შედეგადაც დასავლეთის ქრისტიანობა ჰუმანიზმად გადაიქცა. შეიძლება პარადოქსულადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ისტორიული ფაქტია, რადგანაც დასავლური ქრისტიანობა, არსებითად, ყველაზე გადაჭრილი ჰუმანიზმია, რაკი ადამიანი მას უცთომელ არსებად გამოუცხადებია, ხოლო ღმერთკაცობრივი რელიგია ჰუმანისტურ მოძღვრებად გადაუქცევია. ეს კი ცხადყოფს, რომ ღმერთკაცი იესო ქრისტე ზეცად გაუნაპირებიათ, ამაქვეყნიდან განუდევნიათ, ხოლო მის ადგილას ამქვეყნად დაუდგენიათ ვითომცდა „მოსაყდრე“ და „ნაცვალი“ ქრისტესი — Vicarius Christi — რომის პაპი. აი, რა აბსურდული ლოგიკაა: ყოვლადარსმყოფ ღმერთსა და უფალს ნაცვალს უყენებენ ქვეყნად! მაგრამ ეს უგნურება რეალურად განხორციელდა დასავლეთის „ქრისტიანობაში“. ეკლესია სახელმწიფოდ არის გადაქცეული, პაპი — ხელმწიფედ შექმნილა, მეუფენი — კარდინალ-ეპისკოპოსნი — მთავრებად გამოუცხადებიათ, მღვდელ-მსახურნი კლერიკალური პარტიების ბელადები გამხდარან, ხოლო ყველა მორწმუნე, უკლებლივ, პაპის ქვეშევრდომია; სახარებაც აქ ვატიკანისეული კრებულით შეუცვლიათ კანონიკური სამართლისა, სახარებისეული გზა კი — სიყვარულისა და სიმდაბლე-მორჩილების გზა — კაზუისტიკით არის შენაცვლებული, იეზუიტობითა და „წმიდა“ ინკვიზიციით, — ანუ სისტემატური უკუგდებითა და განადგურებით ყოველივე იმისა, რაც პაპს არ ემორჩილება; ადგილი აქვს ძალდატანებით გადაყვანასაც ადამიანებისა პაპისტურ „სარწმუნოებაზე“, და ცოდვილთა დაწვასაც კი ვითომცდა სადიდებელად მშვიდი და სახიერი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!...

უეჭველია, რომ ყველა ამ ფაქტს თავისთავად მივყავართ ერთ შთავარ დასკვნამდე: **დასავლეთში არ არსებობს ქრისტეს ეკლესია,** არ არსებობს ღმერთკაცი იესო ქრისტე, და ამიტომაც არც ნამდვი-

ლი ღმერთკაცობრივი საზოგადოება არსებობს, რომელშიც ადამიანი მარადიული ქრისტესმიერი ძმა უნდა იყოს მეორე ადამიანისათვის! ჰუმანისტური „ქრისტიანობა“ სინამდვილეში ყველაზე გადაჭრილი პროტესტი და წინააღდგომაა ღმერთკაც იესო ქრისტეს მიმართ და მისი ყველა სახარებისეული ღმერთკაცობრივი მცნებების მიმართ. დიახ, ეს ნამდვილად ასეა! და ამაში საცნაური ხდება ევროპელი ადამიანის ჟინიანი სურვილი იმისა, რომ ყოველივე — ადამიანამდე დაიყვანოს ვითარცა უმთავრეს ფასეულობამდე და ძირითად კრიტერიუმამდე. ყოველივე ამის მიღმა კი ერთი კერპია აღმართული — „ადამიანური — მეტისმეტად ადამიანური!“ ქრისტიანობის დაყვანით ჰუმანიზმამდე იგი, უეჭველად, გამარტივებულია, ეულგარიზებულია, და ამავე დროს — მოსპობილიც! მას შემდეგ, რაც განხორციელებულია ე. წ. „გლაიხშალტუნგი“ — გაიგივება ქრისტიანობისა ჰუმანიზმთან, ახლა ადგილ-ადგილ ევროპაში ზოგიერთნი ღმერთკაც იესო ქრისტესთან დაბრუნებაზეც ფიქრობენ. ცალკეულ ადამიანთა მოწოდებანი პროტესტანტულ სამყაროში — „უკან, ქრისტესაკენ!“-ო, მხოლოდ უძლურების ღაღადისია ჰუმანისტური „ქრისტიანობის“ წყვდიად ღამეში, რადგან ამგვარი „ქრისტიანობა“ ნიშნავს განდგომას ღმერთკაცობრივი მცნებებისაგან და აწ უკვე მიმდინარე დაღუპვასაც სასოწარკვეთილებისა და უღონოებისაგან. და დღეს საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენამდე აღწევს სიმწრით აღსავსე სიტყვები ღმრთის წინასწარმეტყველის — დამწუხრებული იერემიასი: „ესრეთ იტყვის უფალი: წყეულ იყავნ კაცი, რომელსა სასოება აქვს კაცისა მიმართ! და განიმტკიცოს ხორცი მკლავისა თვისისაი, და უფლისაგან განდგეს გული მისი!“ (იერემია 17, 5). ისტორიაც ცხადად გვიდასტურებს იმას, რომ დასავლური დოგმატი ადამიანის უცოდველობისა და უცთომელობის შესახებ მხოლოდ მცდელობაა გამოაცოცხლონ და უკვდავჰყონ მომაკვდავი ჰუმანიზმი. ეს არის უკანასკნელი გარდაქმნა, უკანასკნელი განდიდება ჰუმანიზმისა. XVIII საუკუნის რაციონალისტური (ღვთისმგმობი) განმანათლებლობისა და XIX საუკუნის ბეცი პოზიტივიზმის შემდეგ ევროპულ ჰუმანიზმს მეტი არა დარჩენოდა რა, თუ არ ის, რომ დარღვეულიყო თავის წიაღშივე არსებული წინააღმდეგობებით. მაგრამ მისთვის ამ ტრაგიკულ მომენტში საერო ჰუმანიზმის დასახმარებლად გამოჩნდა რელიგიური ჰუმანიზმი თავისი დოგმატით ადამიანის უცთომლობის, უცოდველობის შესახებ და გარდაუვალი სიკვდილისაგან იხსნა ევროპული ჰუმანიზმი. მაგრამ ამ, გადარჩენილ და დოგმატიზებულ დასავლურ

„ქრისტიანულ“ ჰუმანიზმსაც უსათუოდ უნდა შეენარჩუნებინა თავის წიაღში ყველა დამღუპველი მისწრაფება ევროპული ჰუმანიზმისა, რაც, საბოლოო ჯამში, ერთს რასმე მოასწავებდა: ღმერთკაცის განდევნას ამა ქვეყნიდან, მ ი ს განაპირებას ზეცად! რამეთუ ჰუმანიზმისათვის უმთავრესია ის, რომ სწორედ ადამიანი, — და არა ღმერთკაცი იესო ქრისტე! — იყოს უმაღლესი ფასეულობა და უზენაესი საწყაო და კრიტერიუმიც ყოველივესთვის ცათა შინაც და ქვეყანასა ზედაც!..

ქრისტიანობა — სწორედ ღმერთკაც იესო ქრისტეთი არის ჭეშმარიტი სარწმუნოება, მართლმადიდებელი ქრისტიანობა, — მ ი ს ი ღმერთკაცობრივი სწავლებითა და წმიდა საღმრთო საიდუმლოებით. ესაა უმთავრესი ჭეშმარიტება, რომლის გამოც ჩვენთვის არ შეიძლება რაიმე ეჭვი არსებობდეს. ღმერთკაცი იესო ქრისტე უზენაესი ფასეულობა და უზენაესი კრიტერიუმი, საწყაოა ყოველივესთვის, და ამგვარია იგი მხოლოდდამხოლოდ როგორც ღმერთკაცი: და თუკი ი გ ი ვინმესთვის არ არის ღმერთკაცი, მაშინ ასეთი ადამიანი, სინამდვილეში, უსინდისო მატყუარად აღიარებს მ ა ს, რაკი მისთვის უმთავრესია დაკარგული ქრისტეში — მისი ხორციელ-ქმნა, მისი განკაცება ჩვენი ხსნისათვის. მაგრამ სახარებისეული ისტორიული სინამდვილე დამაჯერებლად და ცხადად გვიდასტურებს, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე — სრულყოფილი ღმერთკაცია: სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი. ამიტომაც შეუძლებელია ადამიანი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყოს, და ამავე დროს არა სწამდეს იესო ქრისტე ვითარცა ღმერთკაცი, ვითარცა ხორციელქმნილი და განკაცებული ღმერთი, და არ აღიარებდეს ეკლესიას მ ი ს ღმერთკაცობრივ სხეულად, — იმად, რაშიც იესო ქრისტემ მთელი თავისი საკვირველი პიროვნება დაგვიტოვა. მხსნელი და ცხოველმყოფელი ძალმოსილება ქრისტეს ეკლესიისა მდგომარეობს ღმერთკაც იესო ქრისტეს მარადის ცხოველ და ყოვლადარსმყოფ პიროვნებაში. ნებისმიერი შენაცვლება ღმერთკაცისა რომელიმე ადამიანით, და ნებისმიერი გამორჩევა ქრისტიანობისაგან მხოლოდ იმისა, რაც ადამიანის ინდივიდუალურ გემოვნებასა და აზრს მოეწონება ქრისტიანობას გადააქცევს ოდენ ზედაპირულ და უძლურ ჰუმანიზმად, — კაცობრივ დამღუპველ მოძღვრებად.

გამორჩეული მნიშვნელობა ქრისტიანობისა ადამიანთა მოდგმისათვის მდგომარეობს მის ცხოველმყოფელ და მარადიულ ღმერთკაცობაში, რომლის მეშვეობითაც დიდი აზრი, მნიშვნელობა ენიჭება

ადამიანის არსებობას ვითარცა ასეთისა, — არაარსი წყვდიადიდან — ყოვლადარსის ნათელამდე აღმაღლდება მისი არსება. მხოლოდ თავისი ღმერთაცობრივი ძალმოსილებით არის ქრისტიანობა მარილი ამა ქვეყნისა, რომელიც იცავს ადამიანს ცოდვისმიერი და ბოროტებისმიერი განხრწნისაგან. ხოლო სხვადასხვა ჯურის ჰუმანიზმებად გარდასახული ქრისტიანობა ჰკარგავს თავის ძალას, თავის „მარილობას" და განქარდება, ყოვლად უვარგისად იქცევა ძალადაკარგულ მარილსავით, რომელსაც გარე განაგდებენ ფეხით გასაქელად.

ნებისმიერი მცდელობა — ქრისტიანობა დროის სულისკვეთებას მიუსადაგონ, შეუზავონ იგი წარმავალ იდეებსა თუ განსაზღვრული ისტორიული პერიოდის რეჟიმებს, — ნებისმიერი ასეთი მცდელობა უკარგავს ქრისტიანობას იმ სპეციფიკურ განსაკუთრებულ ღირებულებას, — ანუ ყველაფერ იმას, რაც შექმნის კიდეც მას ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთაცობრივ სარწმუნოებად მსოფლიოში. მართლმადიდებელ ფილოსოფიაში საზოგადოების შესახებ არსებობს ერთი უაღმატებულესი — წესთა წესი: არ მიუსადაგონ ღმერთაცი იესო ქრისტე დროის მოთხოვნასა და სულისკვეთებას; პირიქით, სწორედ დროის სულისკვეთება განაპირობონ ღმერთაცის მარადიული სულისკვეთებით, სწორედ იესო ქრისტეს სულისკვეთებას მიუსადაგონ იგი. აი, მხოლოდ ამ გზით შესძლებს ეკლესია შეინარჩუნოს ცხოველმყოფელი და შეუცვლელი პიროვნება ღმერთაც იესო ქრისტესი, და ყოველთვის დარჩეს ღმერთაცობრივ საზოგადოებად, რომელშიც ადამიანები ღმერთაცობრივი სახარებისეული სიყვარულისა და სიმართლის, ლოცვისა და მარხვის, სიმშვიდისა და სიმდაბლის, სიკეთისა და სიბრძნის, მოწყალებისა და რწმენის, ღვთისმოყვარებისა და ძმათა მოყვარების, საერთოდ, ყველა წმიდა საღმრთო სათნოების მოღვაწეობით ცხოვრობენ ღვთაებრივი მადლის შეწევნით.

თანახმად სიცოცხლის ღმერთაცობრივი ფილოსოფიისა, ადამიანიცა და საზოგადოებაც, ხალხიცა და სახელმწიფოც, ეკლესიად უნდა გარდაიქმნან, ეკლესიაში უნდა გადაიზარდნენ ვითარცა მარადიულ იდეალში, პირველსახეში, მაგრამ თვით ეკლესია არამც და არამც არ უნდა მიესადაგოს მათ. არ უნდა გარდაიქმნას სახელმწიფოდ თუ სხვა კაცობრივ რაიმედ, და მით უმეტეს — არც მონად არ უნდა გაუხდეს არავის და არაფერს. ხალხსაც ჭეშმარიტი ღირებულებანი იმდენად აქვს შეძენილი, რამდენადაც ის ცხოვრობს კიდეც სახარებისეული სათნოებებით და რამდენადაც ხორცს ასხამს თავის ცხოვრებაში, მთელს თავის ისტორიულ განვითარებაში ღმერთაცო-

ბრივ ფასეულობებს. იგივე შეიძლება ვთქვათ სახელმწიფოს შესახებაც. ხალხის მიზანი, მთლიანობაში, იგივეა, რაც ყოველი ცალკეული ადამიანისა: ანუ ის, რომ თავის არსებაში, თავის თავში განახორციელოს სახარებისეული სიმართლე, სიყვარული, სიწმიდე; შეიქმნას „ერად წმიდად", „ერად ღმრთისად", რომლის ისტორიაც, რომლის მთელი ცხოვრებაც იქნება სრული აღსრულება წმიდა საღმრთო მცნებებისა და მოღვაწება წმიდა ღვთაებრივი სათნოებებისა (I პეტრე 2, 9—10; 1, 15—16).

* * *

მაგრამ ჩვენ შეიძლება ასეთი კითხვაც დაგვისვან: სად არის კონკრეტული ნაყოფები ამგვარი ღმერთკაცობრივი საზოგადოებისა? სად და როდის არსებობდა ასეთი საზოგადოება? რატომ არსებობს მართლმადიდებლობაშიც ისეთი მოვლენა, რომელსაც უწოდებენ „ყველაზე რადიკალურ სეკულარიზმს კაცობრიობის ისტორიაში" (იოსებ პიპერი)? განა აღმოსავლური ჰუმანიზმი" არ არსებობს (მაგალითად, ცეზარო-პაპიზმი და სხვ.)? და ეს — სოციალური, უღმერთობით განმსჭვალული ჰუმანიზმის „წარმატებულობა" მართლმადიდებლობის ნიადაგზე ხომ არ არის ცხადი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ „მართლმადიდებლობა უუნაროა" გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი ყველაზე მარტივი, ელემენტარული საზოგადოებრივი პრობლემებიც კი? — ამ შეკითხვების პასუხად ასე ვიტყვით: ფაქტია, რომ ქვეყანა ესე ცოდვასა და ბოროტებაში ჰგიებს; ყველაფრის ადამიანამდე დაყვანა, — აი, ის ატმოსფერო, რომელშიც ცხოვრობს და სუნთქავს და რომლისაკენაც მიისწრაფის ცოდვით მოწამლული ადამიანური ბუნება, საერთოდ, ადამიანი, სულ ერთია, სად იმყოფება იგი; ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ზოგჯერ ამ ცოდვიანობის მოზღვავებანი, ასევე ევროპულ ფსევდო-ქრისტიანულ შხამ-სამსალათა ტალღები წალეკავდნენ ხოლმე, და ზოგჯერ ზემოდან გადაუვლიან მართლმადიდებელ ერებსაც. ამასთან, ერთი რამ უეჭველი ჭეშმარიტებაა ჩვენთვის. მართლმადიდებელ ქრისტიანობას, მართლმადიდებელ ეკლესიას არასდროს საღმრთო დოგმატის სიმაღლემდე არ აუყვანია არანაირი ჰუმანიზმი — არც ცეზარო-პაპიზმი და არც სხვა რომელიმე. თავისი ჭეშმარიტი, შეურყვნელი ღმერთკაცობრიობითა და სახარებისეული სიწმინდის ძლით, თავისი განუწყვეტელი მოწოდებით სინანულისაკენ ყოველივე იმაში რაც არ არის ღმერთ-

კაცისმიერ რაც არ არის იესო ქრისტესაგან, მართლმადიდებელმა ეკლესიამ, სულიწმიდის საღმრთო მადლის შეწევნით, შეინარჩუნა თავისი სულისა და გულის კეთილკრძალულება, შეურყვნელობა, უბიწოება. და ამიტომაც იგი ყოველთვის იყო და დარჩა კიდეც ძალმოსილ მარილად ქვეყანისა, — ადამიანისა და საზოგადოებისათვის. ხოლო დასავლეთით ქრისტიანობის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხან შეასწორებდა ღმერთკაცის სახეს და ხანაც სულაც უარყოფდა მას, რითაც კვლავ და კვლავ ცდილობდა დემონური ჰუმანიზმის შემოღებას, — ესოდენ დამახასიათებელისა ცოდვით დასნებოვნებული ადამიანური ბუნებისათვის; და შემოღებას სად? — თვით გულის-გულში ღმერთკაცობრივი ორგანიზმისა — ეკლესიის წიაღში, რომლის არსებობის აზრიც სწორედ ამგვარი „ჰუმანიზმისაგან“ გათავისუფლებაა! ეკლესიის მეშვეობით კი დასავლეთის ქრისტიანობამ ამ „ჰუმანიზმის“ შეტანა ყველა სფეროშიც სცადა პიროვნებისა თუ საზოგადოების ცხოვრებისა, და სცადა იმით, რომ იგი უზენაეს დოგმატად გამოაცხადა. ასე, რომ ადამიანური გონების დემონური ამპარტავნება, ამოფარებული ეკლესიის სახელსა და საფარველს, სარწმუნოებრივ დოგმატად შეიქნა დასავლელი ადამიანისათვის (ხოლო სარწმუნოებრივი დოგმატის ჭეშმარიტი აღიარების გარეშე, როგორც ვიცით, არ არსებობს ხსნა!). შესაზარია გაფიქრებაც კი, და მეტადრე ხმამაღლა წარმოთქმაც იმისა, რომ ამით ერთადერთი „სახელოსნო ხსნისა“ და განღმრთოებისა ამქვეყნად — ქრისტეს ღმერთკაცობრივი ეკლესია — დასავლეთში თანდათანობით გადაიქცა დემონურ „სახელოსნოდ“ ძალადობისა ადამიანურ სინდისზე, — სახელოსნოდ მტარვალ-მოძალადეთა გამოზრდისა! — იმ სახელოსნოდ, სადაც ღმერთსაც ამახინჯებენ და ადამიანსაც უკარგავენ მის ნამდვილ სახეს ღმერთკაც იესო ქრისტეს სწავლების დამახინჯებით!..

მართლმადიდებელ ეკლესიას არასდროს არ გამოუცხადებია სარწმუნოებრივ დოგმატად არანაირი შხამ-სამსალა, არანაირი ცოდვა, არანაირი ჰუმანიზმი, არანაირი ამქვეყნიური საზოგადოებრივი სისტემა, — არც საეკლესიო კრებებზე და არც მსოფლიო ეკლესიის სხეულის მეშვეობით. დასავლეთი კი, ვაი, რომ მხოლოდ და სწორედ ამას იქმდა და იქმს! უახლესი დადასტურება ამისა იყო ვატიკანის მეორე („მსოფლიო“) კრება (1962—1965 წწ.). მართლმადიდებელ სარწმუნოებაში სინანული აუცილებელი წმიდა სათნოება და საიდუმლოა, და ამიტომაც მართლმადიდებელი ეკლესია ქრისტესი ყოველთვის მოუწოდებს ადამიანებს ცოდვათა მონანიებისაკენ. დასავ-

ლეთის ფსევდო-ქრისტიანული ეკლესია კი თავისი გაჰუმანიზმებული „სარწმუნოებით“ — არ მოუწოდებს ადამიანებს ცოდვათა მონანიებისაკენ. პირიქითაც კი, ამ „სარწმუნოების“ აღმსარებელნი „საღმრთო“ ვალდებულებას იღებენ, რომ მტკიცედ იდგებიან თავიანთ წარმწყმედ თაყვანისცემაზედ ადამიანისა — პაპისა, ანუ თავიანთი ფსევდოქრისტიანული ჰუმანიზმის აღიარებაზედ, თავიანთ „უცთომლობაზედ“ და თავიანთ მწვალებლობებზე. და ისინი აბსოლუტურად არიან დარწმუნებულნი, რომ არავითარ შემთხვევაში არ არის აუცილებელი ყოველივე ამის მონანიება, ყველაფერ ამის ცოდვად აღიარება.

ჩვენი თანამედროვე, უღმერთობით აღსავსე სოციალური ჰუმანიზმი — იდეოლოგიურადაც და მეთოდოლოგიურადაც — ფსევდოქრისტიანული ევროპის აღმონაცენი და გამონაგონია, დაგვირგვინებული დღევანდელი ადამიანების ავალალო უღმერთობითა და ცოდვიანობით. ჩვენ გკეკითხებიან: საიდან, როგორ და რატომ გაჩნდა იგი მართლმადიდებლობის წიაღშიც, მართლმადიდებლობის ნიადაგზეც? — პასუხად ეს შეგვიძლია მივუგოთ: ეს — ღმერთი გამოსცდის მართალ მორწმუნეთა მოთმინებას, ეს ღმერთი მოჰკითხავს ადამიანებს მათი მამების ცოდვას, და ეს — ღმერთი განაცხადებს ძლიერებასაც თავისი ეკლესიისა, რომელიც წყალსა და ცეცხლს შორის მიჰყავს! რამეთუ ღვთივგანბრძნობილი მაკარი ეგვიპტელის (დიდის) სიტყვითაც, სწორედ ეს არის ჭეშმარიტი ქრისტიანობის ერთადერთი გზა: „სადაც სულიწმიდაა, იქვე, როგორც ბნელი ჩრდილი, დევნულება და ბრძოლაც იწყება... ჭეშმარიტებისათვის ამქვეყნად აუცილებელია დევნული იყო“[1]. ხოლო ღმერთკაცობრივი საზოგადოების ნაყოფები არიან მღვდელმთავრები, მოწამენი, აღმსარებელნი, ყოველნი წმიდანი ქრისტეს ეკლესიისა. სწორედ ეს არის მისი მიზანიც, აზრიც და დადასტურებაც მისი უძლეველი, მარადიული ძლიერებისა. დიახ, ისინი არიან ღმერთკაცობრივი საზოგადოების ნაყოფები, და არა მრავალრიცხოვანი წიგნები თუ ბიბლიოთეკები, არა — წეს-წყობილებანი თუ ქალაქები, რომლებიც დღეს არიან, ხვალ კი აღიხოცებიან პირისაგან მიწისა! სხვადასხვა ჰუმანისტური სისტემები მრავალნაირი წიგნებით აღავსებენ ამა ქვეყანას, მართლმადიდებელი ქრისტიანობა კი წმიდანებითა და მოწამეებით აღავსებს

---

[1] წმ. მაკარი დიდი. XV ჰომილია, 11—12; ბერძნ., პატრ., ტ. 34, გვ. 384 AB.

მას: აკი ათასობით, და მილიონობითაც კი, ზღვათა ქვიშაზე უმრავლეს შესძენია ქრისტეს მართლმადიდებელ ეკლესიას წმიდა მოწამეები და ახალმოწამეები, ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის ვნებულწამებულნი! — აი, უმთავრესნი ნაყოფნი ღმერთკაცობრივი საზოგადოებისა. სწორედ ამიტომაც სახელგანთქმული ფრანგი მწერალი ფრანსუა მორიაკი, ეს თანამედროვე კათოლიკეც, კი, მხოლოდ ერთ ნათელ წერტილს ხედავს დღევანდელი მსოფლიოს შავბნელ ჰორიზონტზე, დღითი დღე რომ სულ უფრო ინთქმება ევროპაში აღმოცენებული ადამიანთთაყვანისცემის წყვდიადში, — იმ ნათელ წერტილს, რომელიც მომავლის იმედსა და რწმენას ანიჭებს ადამიანს: იგი ხედავს წმიდა მოწამეთა და ახალმოწამეთა სისხლით სავსე და ამ სისხლით განბანილ-განწმენდილ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სარწმუნოებას!.. დასავლეთში კი რა არის? — დასავლეთში არ უწყიან არც ქრისტეს ღმერთკაცობრივი ეკლესია, არც ჭეშმარიტი გზა და არც გამოსავალი მძიმე მდგომარეობიდან, რამეთუ ყოველივე სულისწარმწყმედ კერპთაყვანისმცემლობაში დანთქმულა: დამღუპველ ავხორცობაში, ბილწი ვნებებისადმი დამონებაში. და სწორედ აქედან მომდინარეობს მრავალღმერთიანობის აღორძინებაც ევროპაში. ცრუ-ქრისტეებმა — ქრისტემტყუვრებმა, ცრუ-ღმერთებმა წალეკეს მთელი ევროპა, და აქედან მთელი მსოფლიოს ბაზარზე გატანილნი, ყველა ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან: სურთ სული მოკლან ადამიანში — მისი ერთადერთი ფასეულობა, რაც კი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა შეიძლება ჰქონდეს, — მოკლან, და ამით თვით შესაძლებლობაც მოსპონ ერთიანი, ჭეშმარიტი ღმერთკაცობრივი საზოგადოების არსებობისა ამქვეყნად.

როცა ყველაფერ ამაზე ვსაუბრობთ, ჩვენ არ აღვწერთ არც ევროპის ისტორიას ყველა მისი ღირსება — ნაკლოვანებებით და არც ევროპაში არსებული ფსევდო-ეკლესიების ისტორიას გადმოვცემთ. ჩვენ მხოლოდ ის გვსურს, რომ ღრმად ჩავწვდეთ ევროპელი ადამიანის გონებისმიერ ამპარტავნებას, მის დემონურ დანაშაულებრივ სამყაროს, აღსავსეს მღვრიე წყაროებით, რომელთა შხამითაც მოწამვლას იგი მთელს მსოფლიოს უქადის. ეს — ევროპის განკითხვა როდია, არამედ მთელის გულიდან მომდინარე ლოცვითი მოწოდებაა იმად, რომ ევროპელი ადამიანი ხსნის ერთადერთ ჭეშმარიტ გზას დაადგეს სინანულის მეშვეობით.

ლმერთკაცობრივი და ჰუმანისტური განათლება

განათლება წარმოადგენს უდავო ფაქტს კაცთა მოდგმის ისტორიის მთელს განმავლობაში და ცხადად მოწმობს, რომ ადამიანი — არასრულყოფილი გონიერი არსებაა. ამას ადასტურებენ ყველა სახის ფილოსოფიები, რელიგიები, მეცნიერებანი თუ კულტურები. ადამიანი ისეთი ქმნილებაა, რომელიც, სრულყოფას მოითხოვს. მაგრამ აქ ერთი სერიოზული კითხვა წამოიჭრება: რით და როგორ უნდა მოხდეს ადამიანის სრულყოფა?

ადამიანი, რომელი მხრიდანაც არ უნდა ვეცადოთ მის შეცნობას, თავისი არსებით სისხლხორცეულად არის დაკავშირებული სხვა არსებებთანაც და სხვა სამყაროებთანაც. იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ თავის თავში ჩაკეტილ ლეიბნიციისეულ მონადად. მთელი თავისი სიცოცხლით — ფიზიკურათაც და ფსიქიკურითაც — ადამიანი, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ნებსით თუ უნებლიეთ, განუწყვეტლივ ჩააქსოვს საკუთარ არსებაში გრანდიოზულ, თვალშეუდგამ ქსოვილს კოსმიური სიცოცხლისა. და განათლებაც, თუკი ის ნამდვილად ადამიანურია, სწორედ ამ ფაქტისაგან უნდა გამომდინარეობდეს როგორც უმთავრესი ლოგიკური თეზისისაგან. ხოლო როცა კაცთა მოდგმის ისტორიაში სრულყოფილი ადამიანის ძიება მიმდინარეობს, მაშინ ჩვენს შემეცნებას არ შეუძლია თავიდან აიცილოს ეს მტანჯველი კითხვაც: ვინ არის და რას წარმოადგენს ეს სრულყოფილი ადამიანი?

ვინ იყო წარსულში ასეთი ადამიანი? პლატონი? — მაგრამ თავისი არასრულყოფილების შეგნებით დათრგუნვილი, იგი ხომ უზენაესი სამყაროსაკენ ისწრაფვოდა — მარადიული იდეებისა და იდეალების სამყაროსაკენ. არა, პლატონი სულაც არ ყოფილა სრულყოფილი ადამიანი.

მაშ, იქნებ, ბუდა იყო ასეთი? — მაგრამ მანაც ხომ, შეჭირვებულმა მტანჯველი გრძნობით თავისი ადამიანური არასრულყოფილებისა, ადამიანური არსების ყველა მისწრაფება სრულყოფილებისაკენ მარადიული შეუგრძნობლობისა და თანა-შეუგრძნობლობის მეუფეში — ე. წ. ნირვანაში მოამწყვდია. მაშ, ბუდაც შორს ყოფილა სრულყოფილებისაგან.

მაშ, ეგების, მოსე იყო სრულყოფილი? — მაგრამ გატანჯული საშინელი ვაებით თავისი ხალხისა და ვნებული პირადი უმწეობით, მოსეც ხომ გამუდმებით ზეცას შეჰღაღადებდა შეწევნისათვის, და

თავისი ადამიანური არსების გაუნელებელ მწუხარებას წინასწარ-მეტყველური ხილვებით შეაზავებდა მომავალი მესიისა და მხსნელის შესახებ. მოსეც არ იყო სრულყოფილი.

იქნებ მუჰამედი ჰგონია ვინმეს ამგვარი? — არა, ისიც გატანჯული იყო სისხლისმოყვარებით თავისი მძვინვარე ჯოჯოხეთისა და ავხორცობით თავისი სამოთხისა, და ამიტომ ახლაც ცეცხლითა და მახვილით დააბიჯებს ჩვენს პლანეტაზე, სურს რა ძალდატანებით შეასხას ხორცი თავის „წინასწარმეტყველურ" სიზმრებს, და თან ყველგან შიშსა და სიკვდილს თესავს აღტყინებული ფანატიზმით, სტოვებს რა თავის შემდეგ მხოლოდ გვამების გროვას „ურწმუნოებისა". და იგიც, მაშასადამე, შორს არის სრულყოფილებისაგან.

იქნებ კანტია ასეთი ადამიანი? — მაგრამ მანაც ხომ, გატანჯულმა ადამიანური არსების არასრულყოფილებით და გამომწყვდეულმა მჭიდრო გარსში რაციონალისტური კრიტიციზმისა, „თავისთავადი საგნის" ირაციონალურ უფსკრულში გადაუძახა ყოველივე ადამიანურს, და ამით რაღაც შეუცნობს, საშინელს მიანება იგი. ჰოდა, კანტიც ვერ ყოფილა სრულყოფილი ადამიანი.

შექსპირი ხომ არ იყო ასეთი სრულყოფილი? — მაგრამ თავის მგზნებარე სურვილში სრულყოფილისა და დასრულებულისა იგიც ხომ სწორედ ადამიანურ არასრულყოფილებას განიცდის თავის შემზარავ ტრაგედიებში, და ამ გზაზე იგიც ხომ გაკვირვებულსა და დაბნეულს სტოვებს ადამიანს. არა, არც შექსპირია სრულყოფილი.

გოეთეზე რაღა ვთქვათ? — მანაც, გატანჯულმა ადამიანური არსების დრამით, რომელშიც მთავარ როლს მეფისტოფელი — ბოროტი სული ასრულებს, თავისი სიკვდილისწინა წამოძახილით — სინათლე, მეტი სინათლეო, — ის ხომ არ განგვიცხადა, თუ რა უბედური და არასრულყოფილი სტოვებდა ამა ქვეყანას?!

ან იქნებ ტოლსტოია ასეთი? — მაგრამ იგიც, ხომ, თავის განუწყვეტელ და ულმობელ ბრძოლაში ადამიანური არსების არასრულყოფილებასთან ისეთ სულიერ შფოთვამდე მივიდა, რომ სიკვდილის წინ, სულიერი აგონიით შეპყრობილმა, მიატოვა ყოველივე, რაც კი ამქვეყნად ჰქონდა, გაექცა თავის ოჯახსა და ახლობლებს, ფიქრობდა რა საკუთარ თავსაც გაჰქცეოდა — თავის მტანჯველ არასრულყოფილებას და ტრაგიკულ ქედმაღლობას, როცა უარი თქვა სინანულზე და ეკლესიის წიაღში დაბრუნებაზე. მაშ, ისიც შორს არის სრულყოფილებისაგან.

და ბოლოს, იქნებ ვინმეს ნიცშე ჰგონია სრულყოფილი ადამი-

ანი?— მაგრამ იგიც ხომ, შეძრული ადამიანური არასრულყოფილებით ამქვეყნად, აუტანელი სევდით მოწყლული უზენაესის გამო, სრულყოფილი ადამიანის გამო, ჭკუაზე გადასცდა ისე, რომ ვერ იპოვა სრულყოფილება და ვერც ის შეიტყო, თუ რას წარმოადგენს სრულყოფილება, სრულყოფილი ადამიანი. მაშ, იგიც არ ყოფილა ასეთი.

და ასე, ერთმანეთის მიყოლებით, პირველიდან უკანასკნელამდე, ჩვენს წინაშე პროცესიასავით ჩაივლიან არასრულყოფილი ადამიანები. და მათ შორის ჩვენს თვალწინ ი გ ი წამოიმართება — საიდუმლოებით მოცული და საკვირველი ღმერთკაცი იესო ქრისტე — ღვთაებრივად სრულყოფილი და ადამიანურად სრულყოფილი, ღმერთკაცობრივად რეალური. მ ი ს ი ადამიანური სიკეთე — ღვთაებრივად სრულყოფილია, და ამგვარადვე, მ ი ს ი სიყვარულიც, სიმართლეც, მოწყალებაც, თანალმობაც, უკვდავებაც, მარადიულობაც, მისი სიმშვენიერეც, — ყოველივე ეს ადამიანურადაც რეალურია და ღვთაებრივადაც სრულყოფილია. ნუ გავიკვირვებთ ამას: ყოველივე ადამიანური მ ა ნ ღვთაებრივად გარდაქმნა თავის ღმერთკაცობრივ პიროვნებაში, სრულყოფილი გახადა. ერთის სიტყვით, მ ა ს შ ი მთლიანად ღვთაებრივად სრულყოფილია ყოველივე ადამიანური.

და თუ ვინმეს არა სჯერა ეს, მაშინ სცადოს წარმოიდგინოს ამ უფალ იესო ქრისტეზე უფრო სრულყოფილი ღმერთი, ახლა მ ა ს ზ ე უფრო სრულყოფილი ადამიანი! ვერავინ, ვერც ცალკეული ადამიანი და ვერც ვერანაირი კოლექტიური ადამიანური აზრი ვერ შესძლებს ამას, რადგან იესო ქრისტეს ღმერთკაცობრივ პიროვნებაში ყველა ღვთაებრივი სრულყოფილება ადამიანურად რეალური და კონკრეტულია. ღვთაებრივი ჭეშმარიტებაც, ღვთაებრივი სიყვარულიც, სამართლიანობაც, სიმართლეც, სიკეთეცა და სიმშვენიერეც, მ ა ს შ ი რეალურად არსებულია მთელი ადამიანური კონკრეტულობით. ამიტომაც სწორედ ი გ ი — ღმერთკაცი იესო ქრისტეა ის სრულყოფილი ადამიანი, რომელსაც კაცთა მოდგმა, ადამიანური აზრი თუ გული გამუდმებით ეძიებს თავის ყველა რელიგიაში, მეცნიერებაში, კულტურასა და ხელოვნებაში. განათლებასთან დაკავშირებით ეს დასკვნა შემდეგ სახეს მიიღებს: ღმერთკაცი იესო ქრისტე არის ის იდეალური ადამიანი, რომელსაც ადამიანური განათლება გამუდმებით ეძიებს როგორც თავის მიზანს, იდეალსა და აზრს. ვიცით რა ი გ ი, ჩვენ ამით ისიც ვუწყით, თუ რას წარმოადგენს ეს — ნამდვილად სრულყოფილი, იდეალური, განათლებული ადამი-

ანი. მ ა ს შ ი და მისი სახით ჩვენ ნიმუში, მაგალითი, პირველსახე გვაქვს მოცემული, რომლის შესაბამისადაც ყოველ ადამიანს შეუძლია იდეალურად კეთილ ადამიანად გადააქციოს საკუთარი თავი, იდეალურად მართლად, იდეალურად სრულყოფილად,— ანუ შეუძლია დაასრულოს, სრულჰყოს საკუთარი თავი ვითარცა ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილმა ადამიანმა, და ამის ქმნა მას შეუძლია რაღაც დიდი, განსაკუთრებული და დაუძლეველი დაბრკოლებების გარეშე, რამეთუ იესო ქრისტე ყველას, ვინც სრულყოფას ესწრაფვის, ღვთაებრივ ძალებს ანიჭებს, რომლებითაც ადამიანს შეუძლია ყოველივე ღვთაებრივი თავისად, ადამიანურად აქციოს: მ ი ს ი საღმრთო სამართლიანობაც, მისი საღმრთო ჭეშმარიტებაც, სიყვარულიცა და სიკეთეც.

ჩვენ უკვე უმთავრეს გზაზე ვსაუბრობთ ღმერთკაცობრივი ფილოსოფიისა განათლების შესახებ, რომლის გეგმაც, შემადგენელი ნაწილებიც, პროგრამაც, ხულიცა და მისწრაფებაც — ყოველივე ეს — სახარებისეულია, ღმერთკაცობრივია. მისი ყველა ფასეულობა — ღმერთკაცობრივი ფასეულობებია, მისი ყველა ხერხი და საშუალება — სახარებისმიერია. ამ გზაზე ღმერთი ყოველთვის პირველ ადგილზეა, ადამიანი კი — მეორეზე: ყველაფერს ადამიანი ყოველთვის ღმერთით და ღმერთის მიერ იქმს — ცხოვრობს, აზროვნებს, გრძნობს და მოქმედებს — ღმერთით, და მაშასადამე, განათლდება კიდეც ღმერთით, — არა რომელიღაც აბსტრაქტული, ტრანსცენდენტური, ცათამიღმური პლატონურ-კანტისეული ღმერთით, არამედ უშუალოდ ამქვეყნიური სინამდვილის ღმერთით, ადამიანური კონკრეტულობის მქონე ღმერთით, იმ ღმერთით, რომელიც ხორციელ-იქმნა, ადამიანი შეიქნა და ამით ადამიანსაც მოანიჭა ყოველივე ღვთაებრივი, უკვდავი, მარადიული. ამიტომაც კაცთა მოდგმაში მხოლოდ მ ა ს, ღმერთკაც იესო ქრისტეს შეეძლო და უნდა მიეთითებია კიდეც ადამიანისათვის ჭეშმარიტი გზა ღვთაებრივი სრულყოფილებისაკენ: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მ ა მ ა ი თქვენი ზეცათაი სრულ არს!“ (მათე 5, 48), და სწორედ ეს ღვთაებრივი სრულყოფილება დაესახა მისთვის ცხოვრების მიზნადაც, განათლების მიზნადაც, კულტურისა და ნებისმიერი სხვა ადამიანური საქმიანობის მიზნადაც. მაგრამ, ამასთანავე, მ ა ნ ადამიანს ყველა აუცილებელი საშუალებაცა და ძალაც მოანიჭა ამ ღვთაებრივი სრულყოფილების მისაღწევად. ეს კი — სახარებისეული სათნოებანია: რწმენა და სიყვარული, მარხვა და ლოცვა, სიმშვიდე და სიმდაბლე, მო-

წყალება და გულკეთილობა, სამართლიანობა და ჭეშმარიტება. და როცა აღსრულდებიან, განხორციელდებიან ადამიანის მიერ, ეს სათნოებაში წმიდანად შექმნიან ადამიანს, და ამით — სრულყოფილადაც, ასეთმა ადამიანმა იცის ყოველივეს ჭეშმარიტი აზრი — სამყაროსიც, სიცოცხლისაც, არსებებისაც და საგნებისაც, და ამიტომ მთელი თავისი არსებით იღვწის იმისთვის, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოს ადამიანურს, საქმიანობის ყველა სფეროში. მარადის ცხოველი და ცხოველმყოფელი ღმერთკაცი — უფალი ჩვენი იესო ქრისტე განუწყვეტლივ მოგვანიჭებს ჩვენ, ადამიანებს, თავის უკვდავ ძალებს და წმიდა სათნოებათა მეშვეობით გვზრდის, აღგვაშენებს სრულყოფილ არსებებად. და წმიდა სათნოებათაგან აღშენებული ასეთი ადამიანი გამუდმებით მიიღებს ყველა უკვდავ ძალას იესო ქრისტესაგან. ამიტომ იგი ამქვეყნადვე შეიგრძნობს თავს უკვდავად და მარადიულ არსებად, და ამიტომვე ყველა სხვა ადამიანშიც მარადიულ უკვდავ არსებას ხედავს. სახარებისეული სათნოებანი — ღვთაებრივი ნათელის გამტარებელნი არიან; თითოეული მათგანი ამ საღმრთო ნათელის ერთ სხივს მომართავს ადამიანისაკენ, რის გამო ყოველი წმიდანიც საღმრთო ნათელით არის აღსილი და სხვებსაც განათლებს; იგი თავის თავში ატარებს „ნათელს მშვიდობისა“, რომელიც მთელს სამყაროს განუნათლებს მას, და წმიდა ადამიანსაც ცხადად ძალუძს ამ სამყაროს აზრისა და ღირებულების დანახვა. ეს „ნათელი მშვიდობისა“ ამავე დროს არის „ნათელიც სიცოცხლისა“, რომელიც ადამიანს უკვდავებისაკენ და მარადიული ნეტარი ცხოვრებისაკენ მიმავალ გზას უნათებს. ადამიანურ სამყაროში სინათლე და სიცოცხლე — სინონიმებია, ისევე, როგორც სინონიმებია — წყვდიადი და სიკვდილი.

მაგალითისათვის სერბი მართლმადიდებელი ხალხის ისტორიას მივმართოთ: წმიდა საბა მასში ყველაზე დიდი წმიდანი და განმანათლებელია. განათლება — ეს მხოლოდ პროექციაა წმიდანობისა, ბრწყინვა და ელვარება სიწმიდისა: წმიდანი თვით ანათებს და ამით სხვებსაც უნათებს და განანათლებს. განათლება მთლიანად არის განპირობებული სიწმინდით; ნამდვილი განმანათლებელი, მართლაც, მხოლოდ წმიდანია, — და წმიდანის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი განმანათლებელი, ანუ სიწმიდის გარეშე შეუძლებელია იყოს ნამდვილი განათლება. ხოლო ჭეშმარიტი სიწმიდე — ღვთაებრივი ნათელის ძლით არის სიწმიდე. ჭეშმარიტი განათლებულობა არის სიწმიდის ბრწყინვა; მხოლოდ წმიდა ადამიანები არიან ჭეშმარიტად განათლებულნი საღმრთო ნათელით, რამე-

თუ ღვთაებრივი სიწმიდითა და ნათელით მათ მთელი თავიანთი არსება აღუვსიათ, და ეს სახარებისეულ სათნოებათა მოღვაწეობით მოუმოქმედიათ, რისი წყალობითაც მთლიანად განუდევნიათ თავისაგან წყდიადი ცოდვისა, ბნელი ბიწიერებისა. სახარებისეული სიწმიდე ყოველივეში ღვთაებრივი ნათელით ჰგიებს, — ცხოვრობს კიდეც, სუნთქავს, ბრწყინავს და მოქმედებს კიდეც. როცა აკურთხებს, იგი, იმავდროულად, განანათლებს კიდეც. ამის შესახებ ცხადად მეტყველებს თვით ეტიმოლოგიაც სიტყვისა „განათლება“ (სერბ. „პროსვეტა“ — მომდინარეობს საეკლესიო-სლავური სიტყვიდან „პროსვეშჩენიე“, რაც ნიშნავს სინათლით აღვსებას, გაბრწყინებას).

დიახ, განათლება — სინათლით აღვსებას ნიშნავს, და იგი სულიწმიდისეული განათლებითა და კურთხევით აღესრულება, ქრისტეს სულისმიერი განათლებით — უფლისა და ღმერთისა ჩვენისა, რომელიც არის შემოქმედი, მატარებელი და მომნიჭებელი ღვთაებრივი ნათელისა და სიწმიდისა; ამიტომაც სულიწმიდისაგან კურთხეული და განათლებული წმიდანები არიან კიდეც ნამდვილი განმანათლებელნი. წმიდა საბამაც სულიწმიდის ძლით შვა (შდრ. I კორ. 4, 15) და ააღორძინა თავისი სულიერი შვილები — მართლმადიდებელი ქრისტიანი სერბი ხალხი, და ჰეშმარიტი განათლებისა და კურთხევის გზაზე დააყენა ისინი სახარებისეული სათნოებებით. ამის შესახებ გამომეტყველად გვეუბნება ტროპარიც წმიდა საბასი: „ცხოვრებად მიმყვანებელი გზის მოძღვარი, პირველმოსაყდრე და მასწავლებელი იყავ: თავად პირველი მიხველ, მღვდელმთავარო საბა, და სამშობლოცა შენი განანათლე; სულიწმიდის მადლით გიშობიეს ყოვლადგანათლებულნი სულიერნი შვილნი შენნი, რომელნიც დაგინერგავს ვითარცა ზეთისხილის ხენი, გონებისმიერ სამოთხეში. ამიტომაც პატივს-მოგაგებთ ვითარცა მოციქულთა და წმიდა მღვდელმთავართა თანა-მოსაყდრეს და ამას შეგთხოვთ: ევედრე ქრისტე ღმერთსა, რათა მოგვანიჭოს ჩვენ დიდი წყალობა“. (ხსენება წმიდა საბასი აღესრულება 12 იანვარს, ახ. სტილით — 25-ს). წმიდა საბას მიერ დამოძღვრილმა და განბრძობილმა ჩვენმა მართლმადიდებელმა სერბმა ხალხმა სამუდამოდ გააიგივა ცნება „განათლება“ — ცნებასთან „სიწმიდე“, ცნება „განმანათლებელი“ — ცნებასთან „წმიდანი“; და ყოველივე ეს სრულყოფილად განახორციელა წმიდა საბაში ვითარცა თავის პირველ უდიდეს განმანათლებელსა და მღვდელმთავარში, რომელიც მისთვის საუკუნოდ იქმნება ასეთი — უპირველესი და უდიდესი. ამიტომაც ჩვენს წმიდასაბასეულ მართლმადიდებლურ შემეც-

ნებაში, ერის ცნობიერებაში ეკლესია და სკოლა — განუყოფელნი არიან ერთმანეთისაგან: ისინი ერთურთის შეწევნით არსებობენ, ერთმანეთით ცხოვრობენ და აღორძინდებიან...

* * *

ხოლო ჰუმანისტური განათლება ადამიანისა, მოკლებული ღვთაებრივ სიწმიდეს, სულიწმიდით კურთხევასა და განათლებას, ღმერთკაცისაგან ადამიანის სრულყოფასა და აღშენებას, — ასეთი კაცობრივი განათლება მოგონილია ღვთისაგან განდგომილი ევროპის მიერ მის ჰუმანისტურ კერპთთაყვანისმცემლობაში — სულ ერთია, რაში გამოვლინდება იგი — გაღმერთებაში პაპისა, კულტურისა, მეცნიერებისა, ტექნიკისა, პოლიტიკისა თუ მოდისა. ყველაფერ ამაში ერთი რამაა მთავარი: ევროპულ ჰუმანიზმს სურს ადამიანიც, საზოგადოებაცა და მთელი სამყაროც ღმერთის გარეშე — ღმერთკაც იესო ქრისტეს გარეშე მოაწესრიგოს. ასევე განათლებაშიც მისთვის უმთავრესი ესაა: ღმერთკაც იესო ქრისტეს გარეშე განანათლოს ადამიანიცა და მთელი კაცობრიობაც. ამ მისწრაფების განსახორციელებლად ევროპული ჰუმანისტური განმანათლებლობა ახალი ადამიანის შექმნას შეუდგა, და გეგმა ამისა უკიდურესად მარტივი ჰქონდა: ახალ ადამიანში არაფერი არ უნდა ყოფილიყო ქრისტესეული და სახარებისეული! და ევროპაც ასე შეუდგა ახალი ადამიანის შექმნა-ჩამოყალიბებას, მასთან ერთად კი — ახალი საზოგადოებისა და მთელი კაცობრიობისაც, — ქრისტეს გარეშე!

ევროპულმა აღორძინებამ — ე. წ. რენესანსმა თავის დროზე მრავალ გულს შთაუნერგა იმედი. კათოლიციზმს ცოტაღა დააკლდა, რომ მთლიანად დაეღუპა ადამიანი თავისი სქოლასტიციზმით ფილოსოფიაში და იეზუიტობით — ეთიკაში; მან, პირველყოვლისა, შემოქმედებით ძალთაგან განძარცვა ადამიანი. აღორძინების პირველი მოთხოვნა კი ეს იყო: ძველი ელადის ჰუმანისტურ-წარმართული სულით განეახლებინა ევროპელი მომაკვდავი ადამიანი და ამ გზით აეცილებინა მისთვის სულიერი კვდომა, ხოლო ამის აღსრულებას იგი ჰგონებდა: 1) ევროპელი ადამიანის მოშორებით ღმერთკაც იესო ქრისტესაგან! და 2) მოშლით ყველა იმ კავშირისა, რაც მას უზენაეს, უხილავ, ღვთაებრივ სამყაროსთან შეაერთებდა!

და აი, გამოჩნდა ჟ.-ჟ. რუსო, რომელიც ასე ქადაგებდა: ადამიანი ბუნების წიაღში უნდა აღიზრდებოდეს და საჭიროა ყოველივე ზე-

ბუნებრივი, არაბუნებისმიერი განვდევნოთ მისგანო; ის, რაც ბუ-ნებრივია, — მშვენიერია; ბუნებრივი, ბუნებისმიერი ადამიანი — ყველაზე კარგი ადამიანიაო, — აი, სულ ეს არის ჟან-ჟაკ რუსოს მთე-ლი ნაქები ეთიკაცა და პედაგოგიკაც!

რუსომ ბევრი რამ აიღო ბუნებისაგან და ადამიანში შეიტანა. მაგრამ იბადება ბუნებრივი კითხვა: რა არის არსი, ბუნება თვით ადა-მიანისა? — გრძნობებიო, — გვპასუხობს სენსუალისტური ფილო-სოფია ჯომ ლოკის სახით; ადამიანი როგორც გრძნობა, — აი, ეს არის კიდეც ნამდვილი ადამიანიო; ადამიანის მთელი არსება, მთელი ბუ-ნება — გრძნობებისაგან მომდინარეობს და გრძნობებსავე მიემარ-თებაო, გრძნობებამდე დაიყვანებაო; და თუკი ყოველივე არააუცი-ლებელს მოვაშორებთ ადამიანს, მაშინ მხოლოდ გრძნობები შეგვრ-ჩება ხელთ, რომლებიც წარმოქმნიან კიდეც ადამიანის არსებას, — ანუ იმად შექმნიან, რაც არის კიდეც სინამდვილეში ადამიანიო.

მაგრამ ოდენ გრძნობებამდე დაყვანილი ადამიანი მეტისმეტად პრიმიტიული და უხეშია. და აი, რაციონალისტური ფილოსოფია რე-ნე დეკარტისა და ემანუილ კანტის მეთაურობით ადამიანის სრულიად ახალ ტიპს გვთავაზობს: ადამიანს ვითარცა გონიერებას, ვითარცა გონებას. ადამიანი, უპირველესად, რაციონალური არსებაა, ანუ მხო-ლოდ გონება აქცევს ადამიანს — ადამიანად, სხვა ყოველივე კი მე-ტისმეტად უფერულია იმისთვის, რომ უმთავრესი რამ იყოს მის არ-სებაშიო, — ამტკიცებენ რაციონალისტური ფილოსოფიის წარმო-მადგენლები...

„გამორჩენილია უმთავრესი რამ ადამიანში!“ — პროტესტს აცხა-დებენ ვოლუნტარისტები ფილოსოფიაში, რომელთაც შოპენჰაუ-ერი და შტირნერი მეთაურობენ. — არ შეიძლება ადამიანი დაყვა-ნილ იქნას არც მხოლოდ გრძნობებამდე და არც მხოლოდ გონიერე-ბამდეო; ადამიანი არც ერთია და არც მეორე მხოლოდ, — ადამიანი, უპირველესად, ნებელობაა, — ამტკიცებენ ისინი. — აი, ეს არის არსი აწინდელი, ჭეშმარიტად ახალი ადამიანისაო.

ამის შემდეგ ახალი ადამიანის შექმნა-ძიებაში ჰუმანისტური ევ-როპა უდაბლეს ცოცხალ არსებებს მიექცა და სწორედ მათ შორის დაიწყო ადამიანის წინაპართა ძიება! და ამას იგი იმიტომ იქმდა, რომ საფუძვლად ადამიანის არსებისათვის აღიარებდა მხოლოდ ცხოვე-ლურ საწყისს, და ასე, ღმერთის გარეშე „შეიქმნა“ ხელახლა ადამი-ანი! მაშინ კი დიდი, ისტერიული სიხარული და მაიმუნისებრი ყეფა-კივილი ატყდა ჰუმანისტურ ევროპაში, როდესაც ახალმა უღმერთო

ჰიპოთეზამ გადაუარა მას, რომლის მიხედვითაც, თითქოს, ადამიანი მაიმუნისაგან და სხვა ძუძუმწოვარ არაგონიერ და პირუტყვ ცხოველთაგან იყოს წარმოშობილი! აქ კი ევროპული ავადმყოფური აზრის სამყაროში ფ. ნიცშე შემოიჭრა თავისი გაელვებებით, ქარიშხლებითა და მიწისძვრებით, და მან, დიდი წარმოდგენით აღძრულმა საკუთარი თავის გამო ვითარცა წინასწარმეტყველისა და მგოსნის, ხმაურით აუწყა მსოფლიოს თავისი „სახარება“ ზეადამიანზე და რაკი აზროვნებაში უფრო მეტად მგზნებარე და ვნებიანი იყო, ვიდრე გრძნობებში, ნიცშემ შოპენჰაუერის ვოლუნტარიზმიდან და დარვინის ევოლუციონიზმიდან თამამი და ლოგიკური დასკვნა გააკეთა: თუკი მაიმუნი გარდამავალი საფეხურია ადამიანისაკენ, მაშინ რატომ არ შეიძლება ადამიანიც გარდამავალი საფეხური იყოს ზეადამიანისაკენ? დიახ, ადამიანი არის რაღაც ისეთი რამ, რაც გადალახულ და გადამეტებულ უნდა იქნასო. „რა არის ადამიანისათვის მაიმუნი? — საცოდაობა, სირცხვილი და უბადრუკი, სასაცილო რამ. ასევე ზეადამიანისათვისაც ადამიანი — საცოდაობა, სირცხვილი და სასაცილო რამ უნდა იყოსო. ზეადამიანი არის აზრი დედამიწისა და მიზანი კაცობრიობის ისტორიისა, და იგი ოთხი უმთავრესი პრინციპისაგან შესდგებაო: 1. საჭიროა ღმერთის მოკვლა! — „თქვენ — უმაღლესი ადამიანები ხართ, — მიმართავს თავის მოწაფეებს ზარატუსტრა ნიცშესი. — ეს ღმერთი თქვენთვის ყველაზე დიდი საშიშროება იყო... მაგრამ ნუ გეშინიათ: ღმერთი მოკვდა, — ამბობს ზარატუსტრა. — და უკვე აღარ არსებობს თქვენთვის საშიშროება, უკვე აღარც წინაღობებია ზეადამიანის გამოსაჩენ გზაზე; 2. ნუ დაზოგავ, ნუ გაუფრთხილდები შენს მოყვასს: დაცემულს კიდევ ერთხელ დაარტყი! 3. მთავარია ჩემი ნებელობა და მისწრაფება ძლიერებისადმი, კადნიერი და ულმობელი სწრაფვა ყოველისშემძლებლობისადმი; 4. ყოველივე ნებადართულია და დასაშვებია: ზეადამიანისათვის არ არსებობს არც სიკეთე და არც ბოროტება; იგი სიკეთისა და ბოროტების მიღმა, მაღლა ცხოვრობს, ჭეშმარიტებისა და შეცთომილების მიღმა, სინდისისა და პასუხისმგებლობის მიღმა“, — ასე წერდა ფ. ნიცშე.

ამრიგად, ჰუმანიზმის დრამა დასრულებულია: შეიქმნა ახალი ადამიანი — ზეადამიანი. რუსოსმიერი ბუნებრივი ემბრიონიდან ჰუმანისტური ადამიანი თანდათან განვითარდა და ზეადამიანში გადაიზარდა; რენესანსის ეპოქის ადამიანი — ნიცშეს ზეადამიანით დასრულდა. მაგრამ რა არის, თავისი არსით, ეს ზეადამიანი, რისგან არის იგი შექმნილი? — მთლიანობაში იგი მხოლოდდამხოლოდ ინსტინქტია, —

ინსტინქტი თვითშენარჩუნებისა. მაგრამ მხოლოდ ამ ერთი რაიმესაგან განა შესაძლებელია თუნდაც სულ უმნიშვნელო მწერის წარმოქმნა?! და მით უმეტეს, მხოლოდ ინსტინქტი ვერ წარმოქმნის ყველაზე რთულ არსებას ამქვეყნად — ადამიანს! დედამიწის მთელს ცხოველურ სამყაროში, 600 ათასზე მეტ ცოცხალ არსებას რომ მოითვლის, ერთი სულ მცირე არსებაც კი არ არის ისეთი, რომლის სიცოცხლეც მხოლოდდამხოლოდ ინსტინქტით იქნებოდა განპირობებული, დაე, თუნდაც ეს მთავარი ინსტინქტი — თვითშენარჩუნების ინსტინქტი ყოფილიყო! ნიცშემ კი სწორედ და მხოლოდ ეს ინსტინქტი გამოაცხადა ზეადამიანის არსად, და ამიტომაც ზეადამიანი, სინამდვილეში, არის ჩვეულებრივ ადამიანზე დაბლა მდგომი რაღაც არსება, და აქედან გამომდინარე — არაადამიანიც! და თუ გნებავთ, ზეადამიანი ყველაზე მოსწრებული კარიკატურაა ადამიანისა! ყველაზე მარჯვე დაცინვა მისი ამ ჩვენს ჩამუქებულ და ცოდვით დამძიმებულ პლანეტაზე.

და ის, რაც ზეადამიანს ეხება, მის ჰუმანისტურ წინაპრებზეც ითქმის. ჟ.-ჟ. რუსოს ბუნებრივი ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა ეს ნახევრად ადამიანი, რადგან მას წართმეული აქვს ყოველივე ზებუნებრივი, ყოველივე ღვთაებრივი და ამაღლებული; ნახევრად — ადამიანი კი იგივეა, რაც — არა-ადამიანი, რადგანაც მასში დაუბრკოლებლად წამოზრდილა მთელი ბუნებისმიერი ბოროტება, რასაც დიდად შეუწყო ხელი ევროპაში ესოდენ გაშლილ-გაფურჩქნილმა ჰუმანისტურმა განმანათლებლობამაც.

ხოლო ლოკისმიერი ადამიანი — ეს არის ნამსხვრევი ადამიანისა, მხოლოდ წოდებული ადამიანად. მაგრამ სინამდვილეში ახალი სიმახინჯეა, ახალი კარიკატურაა ადამიანისა. რა არის გრძნობები სულის გარეშე? — ხუთსიმიანი ვიოლინო მევიოლინეს გარეშე!

კანტისეული ადამიანი — გონიერება კი მხოლოდ ფრაგმენტია ნამდვილი ადამიანისა. სად არის აქ ადამიანურ შეგრძნებათა სამყარო, რომელშიც ჩვენი სამოთხეცაა და ჩვენი ჯოჯოხეთიც? განა უამისოდ ადამიანს შეუძლია ნამდვილი ადამიანი იყოს? — არა, კანტისეული ადამიანი — გონიერებაც მხოლოდ კარიკატურაა ნამდვილი ადამიანისა, და მეტი არაფერი!

შოპენჰაუერისა და ნიცშეს ადამიანზე რაღა უნდა ვთქვათ? — სად არის მასში სული თავისი მარადიულობით? სადაა მასში სინდისი, თანალმობა? განა უამისოდ შესაძლებელია ადამიანი — ნამდვილი

იყოს? — არა, ესეც მხოლოდ კარიკატურაა ნამდვილი ადამიანისა, ოღონდ ახლებური კარიკატურა, და მეტი არაფერი!

აი, ამგვარია ჰუმანისტური გალერეა ახალი ადამიანებისა: ყველგან მხოლოდ კარიკატურებია და ნამსხვრევები ნამდვილი ადამიანისა, და მეტი არაფერი! საშინელი სიმახინჯენი — საშინელ სიმახინჯეთა გვერდით! ჰუმანისტურმა განმანათლებლობამ სწორედ მახინჯი ადამიანებით გაავსო ევროპა. ყოველგნით მხოლოდ დასახიჩრებული ადამიანები არიან, მხოლოდ ნამსხვრევები და კარიკატურები ნამდვილი ადამიანისა. და ეს საშინელი გამოფენაა: ევროპულმა ჰუმანისტურმა განათლებამ უღმერთო ადამიანი სიმახინჯედ აქცია!..

აქ იერემიას გოდება იქნებოდა უპრიანი: ევროპელმა ჰუმანისტმა ადამიანმა შეასრულა თავისი მისია — შექმნა ახალი ადამიანი, უღმერთო და უსულო. მაგრამ სად არის იგი — ეს ახალი ადამიანი, ეს ზეადამიანი? იგი არ არსებობს როგორც ინდივიდუალური პიროვნება, და ვაი, რომ არსებობს როგორც ინტელექტუალური ძალა, რომელიც აჩანაგებს ევროპას თავისი ჰუმანისტური ფილოსოფიითაც, ჰუმანისტური კულტურითაც, მეცნიერებითა და ტექნიკითაც, ჰუმანისტურითაც და ცივილიზაციითაც. ასე ჩამოყალიბდა სპეციფიკური ტიპი ევროპელი ადამიანისა: ჰოლბახისეული ადამიანი ღმერთისა და სულის გარეშე, ანუ ერთგვარი რობოტი. რობოტი კი სწორედ იმითაა უსულო მანქანა, რომ არც უწყის ღმერთი და არც აღიარებს მას, და ასევე მან არც სული უწყის; სწორედ ამაში უპერს მას მხარს და განაძლიერებს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიაც — ფსიქოლოგია სულის გარეშე. ეს არის ევროპული ჰუმანისტური მეცნიერება სულის შესახებ, რომელიც არ აღიარებს სულის არსებობას. და სწორედ მის წინაშე ქვემძრომობენ მრავალრიცხოვანი ევროპელი რობოტები ვითარცა უცოდველი ღვთაების წინაშე.

რენესანსის პერიოდიდან ჩვენს დღეებამდე ევროპა რობოტების მწარმოებელ ფაბრიკად გადაიქცა, რობოტი კი — ყველაზე საცოდავი, ყველაზე მახინჯი, ყველაზე „არაადამიანური“ ტიპია ადამიანისა. ღმერთისა და საკუთარი სულის „მოკვდინების“ შემდგომ ევროპელი ადამიანი, აი, უკვე რამდენიმე ათწლეულია თანდათანობით თვითმკვლელობას აღასრულებს, რადგან თვითმკვლელობა განუხრელად სდევს თან ღმერთის „მოკვდინებას“. უღმერთო განათლებამ იმგვარ წყვდიადში ჩაძირა ევროპა, როგორშიც არასდროს არ ჩავარდნილა არც ერთი სხვა კონტინენტი. ამ უკუნ წყვდიადში ვერავინ ვერაფერს

ვერ ხედავს, ვერავინ ვერ განარჩევს, და აქ არც არავინ აღიარებს ვინმეს ძმად და მოყვასად.

განა სხვა რა უნდა იყოს განათლების მიზანი, თუ არ ის, რომ გზა გაუნათოს ადამიანს, დაანახოს მას ყველა ხრამი თუ ორმო, განფანტოს მისგან ყოველივე ბნელი?! ადამიანი კი ღმერთის — ღმერთკაც იესო ქრისტეს გარეშე — ამ ერთადერთი ჭეშმარიტი ნათელის გარეშე მთელს სამყაროში — ვერაფრით ვერ შესძლებს იმ კოსმიური წყვდიადის გაფანტვას, რომელიც ყოველის მხრიდან მოიცავს მას და შთანთქმას უქადის; და თუკი ამას ვერ შესძლებს, როგორღა განდევნოს წყვდიადი საკუთარი არსებიდან?! მთელი თავისი განათლებითა და სინათლით უღმერთო ადამიანი ერთი ციდა ციცინათელაც კი არ არის სამყაროს ამ უსასრულო წყვდიადში, ხოლო მთელი მისი ფილოსოფია მეცნიერება, განათლება, კულტურა და ტექნიკა, — ანუ მთელი მისი ცივილიზაცია — ციცქნა სანთლებიც კი არ არის, რომელთა დაწვაც მას ამქვეყნიურ თუ კოსმიურ მოვლენათა წყვდიადში შეეძლებოდა. და რომც დაინთონ, განა რისი განათება ძალუძთ ამ უმცირეს სანთლებს დაუსრულებელ ღამეში ინდივიდუალური, სოციალური, ეროვნული, ინტერნაციონალური მოვლენებისა და პრობლემებისა? განა ყველა ისინი არ დაშრეტილან უკვე და არ ჩამქრალან? და განა მთელს ევროპაზეც მძიმე უკუნი წყვდიადისა არ ჩამოწოლილა უკვე?!

დიახ სიგიჟემდეა მისული უკვე უგნური რწმენა ჰუმანიზმის ყოვლისშემძლებლობისა, — მისი მეცნიერებისა, კულტურისა, ტექნიკისა თუ განათლებისა. ამ უგნური რწმენის დამღუპველი ზეგავლენით ევროპულმა ჰუმანისტურმა განათლებამ კონფლიქტი წარმოშვა სკოლასა და ეკლესიას შორის, რაც ჩვენი — მართლმადიდებელი ერისათვის კატასტროფას მოასწავებდა. ამ კონფლიქტის ზეგავლენით ადამიანმაც იწყო რობოტად გადაქცევა.

იმისთვის რომ თავიდან ავიცილოთ საბოლოო კატასტროფა, მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: მივიღოთ ღმერთკაცობრივი განათლება და მთლიანად შევიტანოთ იგი ჩვენს ყველა სკოლაში — დაწყებითიდან — უმაღლესამდე, და ასევე, ყველა განმანათლებლურ, სახალხო თუ სახელმწიფო დაწესებულებაში. ღმერთკაცობრივი განათლება ბრწყინავს, აცისკროვნებს და განანათლებს ყოველივეს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა ერთადერთი ჭეშმარიტი და დაუშრეტელი ნათელით — ღმერთკაცით იესო ქრისტეთი. მ ა ს ვერავითარი წყვდიადი ვერ ეწევა, ვერ შთანთქავს და ვერ მოიცავს (იოანე 1, 5).

ეს ერთადერთი ჭეშმარიტი ნათელი — ღმერთკაცი იესო ქრისტე — განდევნის მთელს წყვდიადს ადამიანისაგანაც, საზოგადოებისაგანაც, ხალხისაგანაც, ერისაგანაც და სახელმწიფოსაგანაც; იგი თითოეულ ადამიანს ფარულ სიღრმეებამდე განანათლებს და ყოველ მათგანში განგვიცხადებს ჩვენს საუკუნო, უკვდავ, ღვთაებრივ ძმასა და მოყვასს. და ეს ერთადერთი ჭეშმარიტი ნათელი გვასწავლის ჩვენ, რომ ყველა პრობლემა ამქვეყნად — ადამიანისაც, საზოგადოებისაც, ერისაც და მთელი კაცობრიობისაც ადვილად, ცხადად შეიძლება გაგებულ და გადაწყვეტილ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ყველას დანახვა ჩვენ ღმერთკაც იესო ქრისტეს ნათელით შეგვეძლება — ადამიანისაც, საზოგადოებისაც, ერისაც და მთლიანად კაცობრიობისაც.

უმთავრესი მიმართულებებისა და თავისებურებების ჩამოყალიბება ღმერთკაცობრივი განათლებისა, ანუ ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ქრისტიანული განათლებისა შემდეგნაირად შეგვიძლია:

1. ადამიანი ის არსებაა, რომლის სრულყოფაც ღმერთკაცით ყველაზე იდეალურად და ყველაზე რეალურად არის შესაძლებელი;

2. ადამიანის სრულყოფა ღმერთკაცით ხორციელდება სახარებისეულ წმიდა სათნოებათა მეშვეობით, მათი მოღვაწეობით ქრისტიანის მიერ;

3. ჭეშმარიტი ღმერთკაცობრივი ნათელით განათლებული ადამიანი ყველა სხვა ადამიანში თავის მარადიულ, უკვდავ, ღვთაებრივ ძმას ხედავს;

4. ნებისმიერი ადამიანური საქმიანობა — ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოსნობა, ხელოვნება, განათლება, კულტურა — თავის წარუვალ ღირებულებას მხოლოდ მაშინ იძენს, როცა განათლდება და გაიაზრება ღმერთკაცში — ჩვენს უფალსა და ღმერთში იესო ქრისტეში;

5. ჭეშმარიტი განათლებულობა მიიღწევა წმიდა ცხოვრებით იესო ქრისტეს სახარებისეული მცნებების შესაბამისად;

6. წმიდანები ყველაზე სრულყოფილი განმანათლებელნი არიან; რაც უფრო მეტის სიწმიდით ცხოვრობს ადამიანი, მით უფრო კარგი აღმზრდელი და განმანათლებელია იგი;

7. მართლმადიდებელი ეკლესია არის სხეული ღმერთკაც იესო ქრისტესი, სკოლა კი ამ სხეულის განუყოფელი ნაწილია (ასე იყო უწინ ყოველთვის, და ასევე უნდა იყოს ეს მომავალშიც, თუკი გვინ-

და ჭეშმარიტი განმანათლებლობა და ქრისტიანული საზოგადოება გვქონდეს);

და ბოლოს ასე შეგვიძლია დავასკვნათ:

8. ყველაფრის შუაგულში ყველგან — ცათა შინაც და ქვეყანასა ზედაც ყველა იდეისა და ყოველგვარი საქმიანობის ცენტრში მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის დგას და უნდა იდგეს საკვირველი ღმერთკაცი — უფალი და ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე, და მისი ღმერთკაცობრივი სხეული — მართლმადიდებელი ეკლესია.

ადამიანი (კაცი) თუ ღმერთკაცი?

1. უეჭველია, რომ ადამიანი, ღმერთის შემდეგ, ყველაზე საიდუმლოებით მოცული და ძნელად შესაცნობი არსებაა. მარადიულობაში ადამიანური არსებისა შეურიგებელი წინააღმდეგობები ცოცხლობენ და ბობოქრობენ: სიცოცხლე და სიკვდილი, სიკეთე და ბოროტება, ღმერთი და ეშმაკი, და სხვა ყოველივეც, რაც კი არსებობს მათში და მათს გარშემო. თავისი ყოველგვარი „რელიგიებით", ფილოსოფიებით, მეცნიერებებითა და კულტურებით კაცთა მოდგმა ყოველთვის მხოლოდ ერთი უმთავრესი პრობლემის გადაწყვეტას ესწრაფვოდა — ადამიანის პრობლემისა. და ამ ტანჯვა-წვალებით მან თვითონვე შეუქმნა საკუთარ თავს უზენაესი ღმრთაება და ემსახურებოდა კიდეც მას როგორც თავის უმაღლეს ფასეულობასა და საზომს. აი, ეს უზენაესი ღმრთაებაც ევროპელი ადამიანისა: „ადამიანი საზომია ყოველივესი!" — საზომი, საწყაო და კრიტერიუმი ყველა არსებისა და ყველა საგნისათვის. მაგრამ ამით მისმა „ღვთაებრივმა უდიდებულესობამ" — ადამიანმა — ვერ გადაწყვიტა ეს მთავარი პრობლემა — ადამიანის პრობლემა, რადგან რაკი საკუთარი თავით ზომავდა თავის არსებას, მან ვერ შეიცნო ვერც იგი და ვერც გარემომცველი სამყარო (შდრ. II კორინთ. 10, 12). სინამდვილეში იგი ამაოდ დაძვრებოდა — სარკეს სარკეშივე არეკლავდა, და ამის გამო ყოველთვის ერთ შედეგამდე მიდიოდა: უმწეოდ აღიარებდა — მე არ ვუწყი არც ადამიანი, არც ღმერთი, არც სიცოცხლე და არც სიკვდილი; ამასთანავე, მთელის არსებით ვგრძნობ, რომ მე მონა ვყოფილვარ სიკვდილისა, მონა — ბოროტებისა, ხოლო ცოდვიანობის მიზეზით — მონაც ეშმაკისა, ჩემი დაღუპვის მოსურნე ბოროტი სულისაო. და მთელი ამ ადამიანური საქმიანობის პროცესში კაცთა მოდგმისა-

გან ჩამოყალიბდა ერთი სხეული — „სხეული სიკვდილისა“, და ყოველი ადამიანიც მისი ნაწილი შეიქნა. რა არის ამ სიკვდილის სხეულში? — რა თქმა უნდა, მხოლოდ სიმყრალე, მხოლოდ ჩირქი, მხოლოდ ჭიანაჭამი ადგილი, და მეტი — არაფერი! „უბადრუკი მე ესე კაცი! ვინ-მე მიხსნეს ხორცთა ამათგან ამის სიკვდილისათა?!“ (რომ. 7, 24).

სხვა ვერავინ გვიხსნის ამგვარი სიკვდილისაგან, გარდა ერთისა — ღმერთკაც იესო ქრისტესი, რამეთუ მ ა ნ, სძლია რა სიკვდილს თავისი მკვდრეთით აღდგომით როგორც ონტოლოგიურ სინამდვილეს (შდრ. გამოცხ. 20, 14, 10), იხსნა კაცთა მოდგმა სიკვდილისაგან, მოანიჭა მას საუკუნო ნეტარი ცხოვრება, საუკუნო ჭეშმარიტება, საუკუნო სიყვარული, სიმართლე, სიხარული და ყველა სხვა დაუსრულებელი საღმრთო სიკეთე, რომელთა მოცემაც ადამიანისათვის მხოლოდ მას შეუძლია — ღმერთს სიყვარულისა, ღმერთს კაცთმოყვარეობისა. აი, ასე გადაწყვიტა მან — ღმერთკაცმა იესო ქრისტემ — ადამიანის პრობლემა. და მართლაც, მას შემდეგ, რაც ღმერთი ხორციელიქმნა, განკაცდა და ადამიანი შეიქნა, გამოუჩნდა რა ამა ქვეყანას ვითარცა ღმერთკაცი იესო ქრისტე, და თავისი ღმერთკაცობრივი სხეულით — ეკლესიით — მთლიანად დარჩა ამქვეყნიურ სამყაროშიც როგორც ღმერთკაცი, — ამის შემდგომ ი გ ი ნამდვილად და სამარადისოდ შეიქნა უზენაესი საზომი და უზენაესი ფასეულობა მთელი კაცთა მოდგმისათვის. ი გ ი არის ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და ერთადერთი ჭეშმარიტი ადამიანი, ერთადერთი სრულყოფილი ღმერთი და ერთადერთი სრულყოფილი ადამიანი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და რაკი ამგვარია, იგი უზენაესი საზომიცაა, უზენაესი საწყაო და კრიტერიუმიცაა თვით ადამიანისა — მთელს მის ფსიქოფიზიკურ სინამდვილეშიც და მთელს მის ღმერთკაცობრივ პოტენციურობაშიც, ანუ ყოველივე ადამიანურში. პირველად მხოლოდ ღმერთკაც იესო ქრისტეში დაინახა ადამიანმა საკუთარი თავი სრულყოფილ და მარადიულ არსებად. და პირველად სწორედ მ ა ს შ ი შეიცნო საკუთარი თავი სრულყოფილად — თავიდან ბოლომდე. აქედან მომდინარეობს ახალი აქსიომატური და გნოსეოლოგიური პრინციპთა პრინციპიც კაცთა მოდგმისა: „ღმერთკაცი არის საზომი ყოველივესი!“ — უზენაესი საწყაო და კრიტერიუმი ყველა არსებისა და საგნისათვის. მაგრამ ზემოხსენებული ჰუმანისტური პრინციპიც — „ადამიანია საზომი ყოველივესი“ — კვლავაც უწინდებურად ბატონობს, უფრორე კი — ამა უღმერთო, მრავალღმერთიან და ანტიქრის-

ტიანულ მსოფლიოში. ამიტომაც ღვთივგანბრძნობილი წმიდა პავლე მოციქული, რომელსაც ღმერთმა შთააგონა, თუ რა არის ღმერთსა შინა და რა არის ადამიანში, ყველა სიბრძნეს, ყველა ფილოსოფიას კაცთა მოდგმისა დაიყვანს ორად-ორ მოძღვრებამდე: ადამიანურ ფილოსოფიამდე „მოძღურებისა მისებრ კაცთაისა“ და საღმრთო ფილოსოფიამდე ღმერთკაცისა — „ქრისტეს მიერ“ (კოლას. 2, 8).

2. მხოლოდ ღმერთკაცი იესო ქრისტეა ყოვლადსრულყოფილი არსება: სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი. ჰიპოსტასი სიტყვა-ღმერთისა არის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ეკლესიისათვის და მისი სწავლებისათვის. ღმერთკაც იესო ქრისტეში ადამიანმა თავის ყველა სრულყოფილებას მიაღწია: ღმერთით სრულ-ჰყო და დაასრულა აღშენება საკუთარი სულისაც, სინდისისაც, ნებისაც, გონებისაც გულისაც და საკუთარი სხეულისაც, — ერთის სიტყვით, მთელი თავისი არსებისა. და მაშინ აღსრულდა ყველაზე დიდი სასწაული: ღმერთკაცმა იესო ქრისტემ, ზეცად ამაღლებულმა, თავისი თავი ამ ჩვენს ქვეყნიურ სამყაროშიც დასტოვა როგორც ეკლესია — როგორც თავისი სხეული, რათა ყოველ ადამიანს შეეძლოს მ ი ს ი ღმერთკაცობრივი სხეულის ნაწილი შეიქნას და ამ გზით კვლავ მიიღოს, კვლავ შეიძინოს ყველა სრულყოფილება თავისი ღვთისმსგავსებისა (შდრ. ეფეს. 3, 6). თითოეულ ადამიანს მხოლოდ ღმერთკაცში, მ ი ს ი თ და მის მიერ შეუძლია გახდეს ნამდვილი, სრულყოფილი და სრულფასოვანი ადამიანი; მხოლოდ ეკლესიის მიერ და ეკლესიის მეშვეობით — „ყოველთა თანა წმიდათა“ — ძალუძს ადამიანს მიიწიოს „მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 13. 11—16: 3, 18). ღმერთკაცში — ჩვენს უფალ იესო ქრისტეში — „დამკვიდრებულ არს ყოველივე სავსებაი ღმრთეებისაი ხორციელად“ (კოლას. 2, 8—10), რათა ყოველმა ჩვენგანმა ეკლესიაში და ეკლესიის მეშვეობით აღავსოს საკუთარი თავი ღვთაებრივი სრულყოფილებებით. ამის მიღწევა კი თითოეულ ჩვენგანს შეუძლია მხოლოდ „ყოველთა თანა წმიდათა“-წმიდა საღმრთო საიდუმლოთა მეშვეობით და წმიდა საღმრთო სათნოებათა მოღვაწეობით, წმიდა სარწმუნოებისა და წმიდა სიყვარულის წინამძღვრობით (ეფეს. 3, 17—20). ღმერთკაცის — იესო ქრისტეს გარეშე მცხოვრები ადამიანი, სინამდვილეში უთავო ადამიანია, კვალად, საკუთარ თავსაც — მარადიულ და უკვდავ არსებას მოკლებული ადამიანი, — ღვთისმსგავსებას მოკლებული. ღმერთკაცის გარეშე იგი არც არის ადამიანი, არამედ ადამიანზე დაბლა მდგომი რაღაც არსებაა, ანუ

არაადამიანია. ამასთანავე, უღმერთკაცოდ, ადამიანი ყოველთვის მონაა სიკვდილისა, ცოდვისა და ეშმაკისა. მხოლოდ ღმერთკაცით ძალუძს ადამიანს მიაღწიოს იმ მიზანს, რომელიც მას ღმერთმა დაუსახა: გახდეს ღმერთი მადლის მიერ, და ამით სრულყოფილი სავსება შეიძინოს თავისი არსებისა და თავისი პიროვნებისა. თავის ღვთაებრივ მარადიულობას ადამიანი ღმერთკაცობის მეშვეობით აღწევს, როცა ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში ცხოვრობს ყოველთა თანა წმიდათა, და თვითონაც შეიქნება ღმერთკაცად მადლის მიერ წმიდა საღმრთო საიდუმლოთა მეშვეობით და წმიდა სათნოებათა მოღვაწეობით. და მაშინ მას სიხარულის ფრთები ესხმება სიტყვისაებრ წმიდა ბასილი დიდისა: **„ადამიანი ის არსებაა, რომელსაც ნაბრძანები აქვს ღმერთი გახდეს!“**[1] პოტენციურ ღმერთკაცად შექმნილი ადამიანი სწორედ ეკლესიის ღმერთკაცობრივ სხეულში ესწრაფვის თავისი ღვთაებრივი მსგავსებით შექმნილი და შემდეგ ცოდვის გამო ამ მსგავსებას მოკლებული გონება კვლავ ღვთაებრივ გონებას მიამსგავსოს, ღვთაებრივ გონებად გარდაქმნას იგი („ჩვენ გონებაი ქრისტესი გუაქუს“ — I კორ. 2, 16); სინდისი და ნება თვისი — ღმერთის სინდისსა და ნებას მიამსგავსოს და ღვთაებრივად გადააქციოს; ასევე თავისი სხეულიც ღმერთკაცის სხეულს მიამსგავსოს და ღვთაებრივ სხეულად გარდაქმნას („ხორცნი ესე — „უფლისათვის, და უფალი — ხორცთათვის“ — I, კორ. 6, 13). და როცა მადლისმიერ ღმერთკაცად შეიქნება ეკლესიაში და ეკლესიის მიერ, ადამიანი ამით თავის თავს ცოდვითდაცემამდელ ღვთისმსგავსებას უბრუნებს (პარასტასი: „მსგავსებისაებრ აღიყვანე, ძველი სიკეთით ააღორძინე“...), რაკი ქრისტესმსგავსი მშვენიერებით აღავსებს საკუთარ თავს (გალატ. 4, 19; 3,27; რომ. 3, 29). ღმერთკაცის გარეშე ადამიანი ყოველთვის იმ საშიშროების წინაშე დგას, რომ ეშმაკს მიემსგავსება, რადგანაც ცოდვა ეშმაკის ძალაც არის და სახეც ერთსა და იმავ დროს, და როცა უღმერთკაცოდ დარჩენილი ადამიანი ცოდვას ემუშაკება და ემონება, იგი თავისი ნებითვე ხდება ეშმაკის მსგავსი, თვისიანად შეექნება ბოროტ სულს: „რომელსაც ქმნეს ცოდვაი, იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამითგან ეშმაკი ცოდავს“ (I იოვანე 3, 8). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეშმაკის მიზანია — უღმერთო გახადოს ადამიანი, მოაკლოს მას ღვთისმსგავსება, მოსწყვიტოს იგი ღმერთკაც იესო ქრისტეს და, ამგვარად, თავის მსგავს ბოროტ არსებად გადააქციოს. ჰუ-

[1] წმიდა ბასილი დიდი. ბერძნ. პატრ., ტ. 36, გვ. 560 A.

მანისტური ანთროპოცენტრიზმი, არსებითად, სატანოცენტრიზმია, რადგანაც ერთსაც და მეორესაც ერთი რამ სურთ: თავისთავადობა. ყოფნა მხოლოდ საკუთარი თავისთვის და მხოლოდ საკუთარ თავში. ამ გზით კი ისინი, სინამდვილეში, „მეორე სიკვდილის" მეუფებაში შთაიგდებენ თავს, სადაც არ არის არც ღმერთი და არც რაიმე ღვთაებრივი (გამოც. 21, 8; 20, 14). ხოლო ყოველივე ზემოთქმული სხვა არაფერია, თუ არ სახარებისეული, მოციქულებრივი და წმიდა მამათა თეოანთროპიზმი, ანუ ჭეშმარიტი სწავლება ღმერთკაც იესო ქრისტეს შესახებ.

3. ევროპული ჰუმანიზმი თავის ყველა გამოვლინებაში, დაწყებული პრიმიტიული ფორმიდან და დამთავრებული ყველაზე რთულითა და „დახვეწილით", — დაწყებული ფეტიშიზმით და დამთავრებული — პაპიზმით, დაფუძნებულია რწმენაზე ადამიანისა მთელი მისი ფსიქოფიზიკური მოცემულობითა და ისტორიულობითურთ. ნებისმიერი სახის ჰუმანიზმის არსს ადამიანი შეადგენს ვითარცა უზენაესი ფასეულობა და უმაღლესი კრიტერიუმი: ადამიანი არის საზომი ყოველივესი, ყველა არსებისა და ყველა საგნისათვის, და ამიტომაც ყველანაირ ჰუმანიზმს წარმართული წარმომავლობა აქვს. ევროპული ჰუმანიზმის ყველა ფორმა, აღმოცენებული აღორძინების ეპოქის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას და მისი დამთავრების შემდეგაც, — მისი ყველა ეს პროტესტანტული, ფილოსოფიური, რელიგიური, სოციალური, მეცნიერული, კულტურული თუ პოლიტიკური ფორმები, ნებსით თუ უნებლიეთ, განუწყვეტლივ ესწრაფვიან ერთ რამეს: ადამიანის, მისი ძალების რწმენით შეცვალონ ღმერთკაცისმიერი სახარება; ადამიანური ფილოსოფიითა და კულტურით შესცვალონ ღმერთკაცობრივი სიბრძნე და კულტურა, — ერთის სიტყვით, ადამიანისმიერი ცხოვრებით შეცვალონ ღმერთკაცისმიერი ცხოვრება. ყოველივე ეს საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა ევროპული ჰუმანიზმის წიაღში, სანამ 1870 წელს, ვატიკანის პირველ „მსოფლიო" საეკლესიო კრებაზე არ განხორციელდა დოგმატში რომის პაპის უცთომელობის შესახებ; ეს დოგმატი პაპიზმის უმთავრეს დოგმატად გადაიქცა. ამიტომაც ვატიკანის მეორე „მსოფლიო" საეკლესიო კრებაზე, ჩვენს დროში (1962—1965) ეგზომ შეუპოვრად და დახელოვნებით იქნა დაცული ხელშეუხებლობა ამ დოგმატისა, ეპოქალურ მოვლენად რომ იქცა ევროპისათვის, განსაკუთრებით კი — მისი აპოკალიპსისათვის, რომელშიც უკვე შეუდგამს მას ფეხი. ამ დოგმატით ევროპული ჰუმანიზმი თავის იდეალამ-

დე და თავის კერპამდე მივიდა — მასში ხომ სწორედ ადამიანია გამოცხადებული უზენაეს ღმრთაებად! — ასე, რომ ევროპულმა ჰუმანისტურმა პანთეონმა თავისი ზევსიც შეიძინა!..

გულწრფელობა — ეს ჭეშმარიტების ენაა; დოგმატი პაპის — ანუ ადამიანის უცთომლობის შესახებ სხვა არაფერია, თუ არ აღორძინება წარმართობისა, და „ჭეშმარიტების" წარმართული კრიტერიუმებისა. სათქმელადაც კი საშინელია, მაგრამ ეს მაინც უნდა ვთქვათ: ამ დოგმატით რომის პაპის უცთომლობის შესახებ დოგმატიზებულია წარმართული ჰუმანიზმი, პირველ ყოვლისა კი — ელინური ჰუმანიზმი; და ეს წარმართობა დოგმატიზებულია როგორც უმაღლესი ფასეულობა და უზენაესი კრიტერიუმი, — დოგმატიზებულია ელინური კულტურა, პოეზია, ფილოსოფია, ხელოვნება, პოლიტიკა, მეცნიერება, რადგან იგი ღაღადებს: ყოველივეს საზომი ადამიანიაო; ანუ ამით დოგმატიზებულია მთელი წარმართობა, დოგმატიზებულია ავთარკია — მეთაურობა — ევროპელი ადამიანისა, რასაც ესწრაფვოდა კიდეც ყველა სახეობა ევროპული ჰუმანიზმისა...

დოგმატი პაპის უცთომლობის შესახებ დადასტურებაა ევროპელი ადამიანის მთელი შემოქმედებისა, მისი კულტურისა და ცივილიზაციისა; ყველაფერი ეს კი, მიზნითაც და მეთოდებითაც, წარმართული მოვლენაა. ღმერთკაცისეული მცნება ამას გვიბრძანებს: „...ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი (ანუ ამქვეყნიური ცხოვრებისათვის აუცილებელი ყველაფერი) შეგეძინოს თქვენ!" (მათე 6, 33), — ევროპულმა ჰუმანისტურმა კულტურამ კი ლამის ყველაფერი ადამიანის მიზნად და მისი შრომა — ქმედების მასალად გამოაცხადა! ღმერთკაცი იესო ქრისტე — ერთადერთი მხსნელი და მაცხოვარია ადამიანისა, მხსნელი — ცოდვისაგან, სიკვდილისა და ეშმაკისაგან; ი გ ი ა ერთადერთი განმაახლებელი ადამიანისა, მისი მკვდრეთით აღმადგინებელი და ზეცად ამამაღლებელი, მომნიჭებელი მისდა მარადიულობისა, უკვდავებისა და განღმრთობისა; და მ ა ნ ცხადად მიგვითითა მიზანზეც ადამიანის არსებისა და ცხოვრებისა: გავხდეთ ისეთივე სრულყოფილნი, როგორი სრულყოფილიც თვით ღმერთია, ჩვენი ზეციური მამა (მათე 5, 48); ევროპელმა ადამიანმა კი, რაც მოესურვა და მოეპრიანა, ყველაფერი ადამიანის მიზნად დააკანონა. სახარებისეული გამოთქმა — „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას" (I იოანე 5, 19) — ჭეშმარიტებაა და ძალმოსილია ღმერთკაც იესო ქრისტეს მხსნელი ღვაწლის აღსრულების შემდგომაც; უფრო მეტიც, წმიდა პავლე მოციქუ-

ქულის სიტყვით, ეშმაკი არის „ღმერთი ამის სოფლისა, რომელიც დაღუპულ ადამიანებს, რომელთათვისაც დაფარულია ქრისტეს სახარება, რწმენადაკარგულ გონებას უბრმავებს (II კორინთ. 4, 4). და ასეთ მსოფლიოსთან, საკუთარი ნებით რომ დგას ბოროტსა ზედა, ქრისტეს მიმდევარს არ შეიძლება თანხმობა ჰქონდეს. ქრისტეს მიმდევარს არ ძალუძს თანხმობაში იყოს ჰუმანისტურ ადამიანთან და ამავე დროს არ ჰქელავდეს სახარებისეულ ჭეშმარიტებას; რამეთუ ჰუმანისტური ადამიანი ის ადამიანია, ვინც ამართლებს ყოველივე ამქვეყნიურს და მის დოგმატიზებასაც კი ახდენს. აქ ყოველთვის ასეთი არჩევანი წარმოსდგება ჩვენს წინაშე: ღმერთკაცი თუ ადამიანი?.. ევროპელი ადამიანი გამოდის როგორც კანონმდებელი, და აქ ადგილი არა აქვს ღმერთკაცს, რის გამოც ჰუმანისტურ სამეუფოში მ ი ს ადგილს ქრისტეს ნაცვალი, ქრისტეს მოსაყდრე, პაპი იკავებს, ღმერთკაცი იესო ქრისტე კი ზეცად არის განდევნილი, რაც, ერთგვარად, მ ი ს ი განძარცვაცაა სხეულისაგან.

რაკი ამ დოგმატით საკუთარი უცთომლობის შესახებ რომის პაპმა ყველა ის უფლება, ძალა და ხელმწიფება მიისაკუთრა, რაც მხოლოდ ღმერთკაც იესო ქრისტეს ეკუთვნის, მან, ფაქტიურად, ეკლესიად გამოაცხადა თავი, პაპისტურ ეკლესიაში და ყოველივედ შეიქნა მასში; სწორედ ამიტომ დოგმატი პაპის უცთომლობის შესახებ პაპიზმის უზენაეს დოგმატად იქცა, და მასზე პაპი არაფრის გულისათვის არ იტყვის უარს, სანამ იგი ჰუმანისტური „რელიგიის“ — პაპიზმის წინამძღოლია.

4. კაცთა მოდგმის ისტორიამ სამი მთავარი დაცემა უწყის: ადამისეული, იუდასეული და პაპიზმისეული. არსი ცოდვით დაცემისა ყოველთვის ერთია: ეს არის ნდომა იმისა, რომ მხოლოდ საკუთარი თავისა და მხოლოდ საკუთარი ძალების მეშვეობით გახდეს ადამიანი კეთილი, სრულყოფილი, განღმრთობილი, ღმერთი! მაგრამ ამით ადამიანი, ისე, რომ ვერც აცნობიერებს ამას, — სინამდვილეში ეშმაკს ემსგავსება და ბოროტ სულს უერთდება, რამეთუ ამ უკანასკნელსაც ის სურდა, რომ თვითვე, მხოლოდ საკუთარი ძალის მეშვეობით გამხდარიყო ღმერთი და თავისი თავით შეეცვალა ი გ ი. და ასეთი გაამპარტავნებით იგი, თავდაპირველად კეთილად შექმნილი ნათლის ანგელოზი, უმალვე ბოროტ სულად — ეშმაკად გადაიქცა, წყვდიადის ანგელოზად, რომელიც მთლიანად მოშორებია ღმერთს და მ ი ს ი წინააღმდგომიც შექმნილა. და სწორედ ამ ქედმაღლურ მოტყუებაში საკუთარი თავისა მდგომარეობს კიდეც არსი ცოდვისა და არსება ეშმაკისა, ბოროტი სულისა — სატანასი. ეს კი სხვა არაფე-

რია, თუ არ სურვილი მარად საკუთარი არსების ამარა დარჩენისა, არნდომა თავისთვის არაფრისა, თვინიერ საკუთარი თავისა. საერთოდ, ეშმაკის არსიც ის არის, რომ მას არ სურს ღმერთი ჰყავდეს თავის არსებაში; რომ მას სურს ყოველთვის თავისთავადი იყოს, თავის თავში და საკუთარი თავისთვის არსებობდეს, ჰერმეტულად დახშულ-მოზღუდული ღმერთისაგან და ყოველივე ღვთაებრივისაგან. ეს კი მარადიული ეგოიზმი და თავმოყვარეობაა, საუკუნო თვითმკვლელობაა: ასეთივეა, არსებითად, ჰუმანისტური ადამიანიც: ყოველთვის საკუთარ თავში ჩაკეტილი, თავისთავადი, და მხოლოდ საკუთარი თავისთვის მომქმედი; მარად ქედმაღლური კადნიერებით ჩაძირული საკუთარ არსებაში, მოზღუდული ღმერთისაგან, — სწორედ ამაში მდგომარეობს მთელი არსიც ჰუმანიზმისა, რომლის მწვერვალიც იმის ნდომაა, რომ ბოროტის დახმარებით — კეთილი შეიქნას! და ეშმაკის შეწევნით — ღმერთად იქცეს! აი, აქედან მომდინარეობდა ეშმაკის მზაკვრული დაპირებაც ჩვენი პირველმშობლებისადმი სამოთხეში ედემს, რომ ისინი, თუკი მისას — მაცთური ბოროტი სულის რჩევას — შეისმენდნენ, ღმერთის მსგავსნი შეიქნებოდნენ — „და იყვნეთ თქვენ ვითარცა ღმერთნი“-ო (დაბ. 3, 5).

კაცთმოყვარე ღმერთმა იმგვარ არსებად შექმნა ადამიანი, რომელსაც ძალუმს, ღმერთის შეწევნით, მადლისმიერ ღმერთად იქცეს, განღმრთობას მიაღწიოს სულიწმიდის მადლით, რათა თავისი არსების ღვთისმსგავსების საფუძველზე ნებაყოფლობით და ღმერთის შეწევნით აღაშენოს საკუთარი თავი ღმერთკაცად. მაგრამ ადამიანმა საკუთარი თავისუფალი არჩევანით სწორედ ცოდვის მეშვეობით იწყო სწრაფვა უცოდველობისაკენ და სწორედ ბოროტი სულის — ეშმაკის — შეწევნით ისურვა ღმერთად გახდომა! და ამ მცდარ გზაზე იგი უსათუოდ შეიქნებოდა თავისებურ ეშმაკად, რომ არა სახიერი ღმერთის უსაზღვრო კაცთმოყვარება, რომლითაც მან, უზომოდ მოწყალემ, ღმერთკაცისაკენ მოაქცია ცოდვით დაცემული ადამიანი, და ეკლესიის მეშვეობით — თავისი სხეულით — აღასრულებინა ღვაწლი გაღმერთკაცებისა, წმიდა სათნოებათა და საიდუმლოთა მეშვეობით მიაღწევინა განღმრთობისათვის. ამით უფალმა შესაძლებლობა მოანიჭა ადამიანს გაზრდილიყო საღმრთო გაზრდით და მიწევნულიყო „მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 13), და ასე განეხორციელებინა საღმრთო განგებულება ადამიანის გამო: ის, რომ ადამიანი ნებაყოფლობით გამხდარიყო ღმერთკაცი მადლის მიერ. ხოლო ცოდვით დაცემა პაპიზმისა

იმაში მდგომარეობს, რომ მან ისურვა ადამიანით შეეცვალა ღმერთკაცი იესო ქრისტე, ანუ პაპით შეეცვალა უფალი!

5. ამ ჩვენს კაცობრივ, ქვეყნიურ სამყაროში, წმიდა იდუმალთმეტყველის იოანე დამასკელის სიტყვით, მხოლოდ ღმერთკაცი იესო ქრისტეა „ერთადერთი სიახლე, ერთადერთი ახალი რამ ამ მზის-ქვეშეთში". და იგი ყოველთვის, მარადის ახალია: თავისი ღმერთკაცობრივი მოღვაწეობით ჩვენი ხსნისა, თავისი ღმერთკაცობრივი პიროვნებით და თავისი ღმერთკაცობრივი სხეულით — მართლმადიდებელი ეკლესიით. ადამიანი კი მხოლოდ ღმერთკაცში და ღმერთკაცის მიერ არის ახალი, — ყოველთვის და მარად ახალი რამ, — თავის ყველა ქმედებასა და მოვლენაში ხსნის გზაზე, კურთხევა-განათლების გზაზე, ფერისცვალებისა და გარდაქმნის გზაზე, განღმრთობის, გზაზე. ამქვეყნიურ გზაზე ყოველივე ძველდება, ბერდება და კვდება; ხოლო არ ძველდება და არ კვდება მხოლოდ განღმრთობილი ადამიანი, მხოლოდ მადლისმიერ ღმერთკაცად შექნილი ადამიანი, „თანამყოფი" და „თანა-ხორცი" ღმერთკაც იესო ქრისტესი. ყოველი ქრისტიანი, ღმერთკაცის ეკლესიაში შესული და მის წევრად გამხდარი,— ქცეული ორგანულ ნაწილად ქრისტეს წმიდა და მარადიული სხეულისა, რომელშიც მისი პიროვნება განუწყვეტლივ იზრდება საღმრთო გაზრდით — „სიორძილსა მას ღმრთისასა" (კოლას. 2, 19) „მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა" (ეფეს. 4, 13), — ყოველი ასეთი ადამიანი განუწყვეტლივ იზრდება, ვითარდება საღმრთო დაუსრულებლობაში, რომელიც სამპიროვანი ღმერთისაგან მიღებია დასაბამითვე, როცა ღმერთის ხატად და მსგავსად შეიქმნა.

ღმერთკაცი იმგვარი გამორჩეულობით არის ახალი და ერთადერთი, განუმეორებელი, რომ სინამდვილეშიც „ჭეშმარიტებაი ქრისტე იესუის მიერ იქმნა", ანუ მის მიერ აღმოცენდა (იოანე 1, 17), და მისითვე და მასშიავე დარჩა ამ ჩვენს ქვეყნიურ სამყაროში. ყველაფერი, რაც კი ღმერთკაცამდელია, რაც კი იესო ქრისტემდელია და ყველაფერი რაც ღმერთკაც იესო ქრისტეს გარეშეა, არ შეიძლება თავის თავში ჭეშმარიტებას შეიცავდეს, რამეთუ მხოლოდ ღმერთკაცობრივი ჰიპოსტასია — ჭეშმარიტება, რასაც თვითვე გვიდასტურებს წმიდა სახარებაში: „მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ"-ო (იოანე 14, 6), და ადამიანისათვის არ არსებობს სხვა ჭეშმარიტება, თვინიერ ამ ღმერთკაცობრივი ჭეშმარიტებისა, რადგან არც ადამიანი შეიძლება არსებობდეს ღმერთკაც იესო ქრისტეს გარეშე!..

ყოველივე ახალი — ღმერთკაცისაგანაა, ღმერთკაცშია და ღმერთკაცითაა ახალი: უპირველესად თვით იგი, მერმე კი — ცხოვრებაც და სწავლებაც ცხოვნების შესახებ, და გზაც, ცხოვრებად მიმყვანებელი. გამორჩეულად ახალია კაცთა მოდგმაში ღმერთკაც იესო ქრისტეს სიტყვაც: განარჩევდეს, ერთმანეთისაგან გამოჰყოფდეს ცოდვასა და ცოდვილს, სძულდეს ცოდვა და უყვარდეს ცოდვილი, ჰკლავდეს ცოდვას და იხსნიდეს ცოდვილს; კი არ მოაკვდინებდეს ცოდვილს მისი შეცოდებისათვის, არამედ იხსნიდეს მას ცოდვისაგან, ასწავლიდეს მონანიებას. ამის საკვირველი მაგალითია სახარებისეული ამბავი მრუშ დედაკაცზე, რომელიც ხალხმა, ვისაც იგი „ცხადად ერსა ზედა დაეპყრა მრუშებასა“ (იოანე 8, 3), ღმერთკაც იესო ქრისტეს მიუყვანა განსასჯელად. ყოვლადმოწყალე მაცხოვარმა განაცალკევა ცოდვა ამ დედაკაცისა მისი ღვთისმსგავსი არსებისაგან, დაგმო ცოდვა ცოდვილი კი შეიწყალა: „არცა მე განგიკითხავ შენ; წარვედ და ამიერიდან ნუღარა სცოდავ!“ (იოანე 8, 11). აი, ამგვარია მართლმადიდებელი ქრისტიანობის გზა ცოდვილის ხსნა-განთავისუფლებისა ცოდვისა ტყვეობისაგან, — გზა, რომელიც საღმრთო სიბრძნით არის განმტკიცებული ეკლესიაში ყველა წმიდა მამის მიერ, და ღმრთივსულიერად გამოხატულიც წმიდა სვიმეონის, ახალი ღვთისმეტყველის მიერ: „სიკეთე, რომელიც არაკეთილი სახითაა მოქმედებული, არ არის სიკეთე“.

ამიტომაც, სახარებისეული წმიდა გადმოცემის შუქზე, სახარებისა და თვით ქრისტეს საწინააღმდეგო ქმედებად უნდა მივიჩნიოთ ცოდვილის მოკვლა მის მიერ ჩადენილი ცოდვისათვის; და არანაირი ინკვიზიცია არ შეიძლება გამართლებული იყოს, მეტადრე — არც წმიდა საქმედ გამოცხადებული. საბოლაო ჯამში, ჰუმანიზმის ყველა ფორმა კი სწორედ ამას სჩადის — ჩადენილი ცოდვისათვის მოაკვდინებს ცოდვილს, სპობს ადამიანს ყველა მისი ცოდვითურთ, და ეს იმიტომაა ასე, რომ ყველა ეს ფორმა ჰუმანიზმისა უარყოფს ღმერთკაცს, რომელშიც ერთადერთშია ხსნა ცოდვისაგან, სიკვდილისა და ეშმაკისაგან. ვინც ღმერთკაცთან არ არის, ის ადამიანის მოწინააღმდეგეცაა და ღმერთისაც, — ადამიანსაც მოჰკლავს და თავსაც მოიკლავს, რადგან ადამიანს ცოდვის, ეშმაკისა და სიკვდილის მსხვერპლად შექნის, რომელთაგან ჩვენი ხსნაც მხოლოდ ღმერთკაც იესო ქრისტეს ძალუძს. და როცა ასე ექცევა შემცოდეს, ჰუმანისტური ადამიანი გარდუვლად აღასრულებს თვითმკვლელობასაც — საკუთარ სულს მოაკვდინებს და თავს ჯოჯოხეთში შთაიგდებს, საუკუნო მე-

გობრად უხდება ეშმაკს, უერთდება მას — ამ „კაცისმკვლელს... დასაბამითგან“ (იოანე 8, 44), ხოლო ყოველივე ამაზე უსაზღვროდ არის გაბატონებული ჰუმანისტურ-იეზუიტური ევროპის ყოვლადმიუღებელი ეთიკური დოგმატი, რომელიც გვეუბნება: „მიზანი ამართლებს საშუალებას!“-ო.

6. ისეთს რას ანიჭებს ადამიანს ღმერთკაცი იესო ქრისტე, რისი მოცემაც სხვას არავის ძალუძს? — ძლევას სიკვდილზე, ცოდვასა და ეშმაკზე! საუკუნო ჭეშმარიტებას, სიმართლეს! მარადიულ სიკეთეს, სიყვარულს, სიხარულს, — ანუ მთელს სისრულეს თავისი ღმრთაებისა და ღვთაებრივი სრულყოფილებებისა, — იმას, რასაც წმიდა პავლე მოციქული გვახარებს: „რომელი თვალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა“ (I კორინთ. 2, 9).

აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტად მხოლოდ ი გ ი — ერთადერთი საკვირველი ღმერთკაცი იესო ქრისტეა „ერთისა სახმარ“ — ანუ ერთადერთი აუცილებელი რამ ადამიანისათვის ცათა შინა და ქვეყანასა ზედა (შდრ. ლუკა 10, 42): და ამიტომ მხოლოდ ღმერთკაცსვე აქვს უფლება მოითხოვდეს ადამიანთაგან იმას, რისი მოთხოვნაც მანამდე არავის შეეძლო: რომ ადამიანს ყველაზე მეტად სწორედ და მხოლოდ ი გ ი — ღმერთკაცი იესო ქრისტე უყვარდეს, — უფრო მეტად, ვიდრე ღვიძლი მშობლები, და-ძმები, შვილები; უფრო მეტად, ვიდრე მეგობარ-ახლობლები, ვიდრე მთელი ქვეყნიერება, ყოველნი ანგელოზნი და, საერთოდ, ყოველივე, რაც კი არის ცათა შინა და ქვეყანასა ზედა (მათე 10, 37—39; ლუკა 14, 26; რომ. 8, 31—39).

7. ვატიკანის II კრების დადგენილები, არსებითად, აღორძინებაა ევროპული ჰუმანიზმის ყველა ფორმისა, — ეს არის ექსგუმაცია ყველა გახრწნილი გვამისა, რამეთუ იმ დროიდან, რაც ღმერთკაცი ამქვეყნიურ სამყაროშია, ნებისმიერი სახის ჰუმანიზმი — ოდენ უსიცოცხლო გვამია, და მეტი — არაფერი! და ეს ნამდვილად ასეა., რადგან ამ კრებამ შეუპოვრად დაიცვა კათოლიციზმის ერთ-ერთი უმთავრესი დოგმატი — პაპის, ადამიანის, უცთომლობის შესახებ. მარადის ცხოველი და ცხოველმყოფელი ღმერთკაცის — უფალ იესო ქრისტეს თვალსაზრისით ყველა სახეობის ჰუმანიზმი, უკიდურეს შემთხვევაში, დანაშაულებრივ უტოპიებად წარმოსდგება ჩვენს წინაშე, რადგანაც ყველა ისინი, ვითომცდა, ადამიანისათვის და მისი კეთილდღეობისათვის, თვით ადამიანს მოაკვდინებენ სხვადასხვა საშუალებებით, — მოაკვდინებენ მთელს მის არსებას — მთელი მისი ფსიქოფიზიკური

მთლიანობით. ყველა ისინი, თითქოს, მწერს უფრთხილდებიან, აქლემს კი — შთანთქავენო, ხოლო დოგმატით პაპის — ადამიანის — უცთომლობის შესახებ ეს უსჯულოება ეკლესიურად არის დოგმატიზებული. ყოველივე ეს — საშინელებაა, რადგან ხსენებული დოგმატი წარმოადგენს შემზარავ ანდერძის აგებას ნებისმიერი ჰუმანიზმისათვის — დაწყებული ვატიკანისეული ჰუმანიზმით — დოგმატიზებულით, და დამთავრებული — სარტრისეული ჰუმანიზმით — სატანიზებულით. ევროპის ჰუმანისტურ პანთეონში ყველა „ღმერთი“ მომკვდარა — ზევსის მეთაურობით; და ევროპა მკვდარი იქნები მანამდე, სანამ მის ჩამქრალ გულში თავგანწირული სინანული არ აღეგზნება, თანხლებული ტანჯვით, გარდაქმნითა და ამაღლებით, და მაშინ, თუკი ეს შეიძლება აღსრულდეს, დასასრული არ ექნებოდა მის დიდებისმეტყველებას მარადის ცხოველმყოფელი და მარადის სასწაულთმოქმედი ღმერთკაცის იესო ქრისტესადმი — ჭეშმარიტად ამ ერთადერთი კაცთმოყვარისადმი ცათა შინა თუ ქვეყანასა ზედა!..

8. რაში მდგომარეობს არსი ამ დოგმატისა პაპის — ადამიანის უცთომლობის შესახებ? — იმაში, რომ ადამიანური ბუნება წაართვას ღმერთკაცს, ადამიანობისაგან განძარცვოს იესო ქრისტე, ამა ქვეყნიდან გააძევოს იგი. ამისთვის დაშვრებიან ყველა სახეობანი ევროპული ჰუმანიზმისა, და მათ შორის ე. წ. „რელიგიური ჰუმანიზმიც“, ანუ პაპიზმი. ყველა ისინი წარმართობისაკენ აბრუნებენ ადამიანს, ანუ ორმაგ სიკვდილს სწევენ მას — სულიერსაც და ფიზიკურსაც. და რაკი ღმერთკაც იესო ქრისტეს განეშორება, ნებისმიერი ჰუმანიზმი თანდათანობით გადაიქცევა ნიჰილიზმად. ამას მოწმობს საშინელი მარცხი ყველა სახის ჰუმანიზმისა პაპიზმის მეთაურობით, რომელიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი მშობელია ევროპული ჰუმანიზმის ყველა ფორმისა, პაპიზმის კატასტროფული მარცხი მდგომარეობს მის უმთავრეს დოგმატში პაპის უცთომლობის შესახებ. ეს დოგმატი არის მწვერვალი ნიჰილიზმისა, რადგანაც ევროპელმა ადამიანმა ამით საბოლოოდ გამოაცხადა, რომ მას, თურმე, სულ არ სჭირდება ღმერთკაცი იესო ქრისტე, და რომ ღმერთკაცისათვის ქვეყნად არ არის ადგილი, სადაც ქრისტეს ნაცვალი, მოსაყდრე — რომის პაპი მთლიანად შესცვლის მას. და მართლაც, სწორედ ამ დოგმატით ცხოვრობს, მას აღიარებს და იცავს ყველა სახის ევროპული ჰუმანიზმი. ყველა ხერხითა და საშუალებით მიმდინარეობს გადაფასება ყველა ფასეულობებისა: ღმერთკაც იესო ქრისტეს ყველგან და ყოველივეში ადამიანით სცვლიან, რომელსაც ყველა ევროპულ ტახტზე აღაზევებენ, და

ამის შედეგად უკვე ერთი ქრისტეს ნაცვალი — რომის პაპი კი არ არსებობს აქ, არამედ — უამრავი, ოღონდ ყველა ისინი სხვადასხვა-გვარად არიან შემოსილნი და სხვადასხვა სახელწოდებას ატარებენ, რამეთუ ამ დოგმატით პაპის უცთომლობის შესახებ, საბოლოო ჯამში, უცთომლად და უცოდველად არის გამოცხადებული საერთოდ ადამიანი, და ახლა მთელს ევროპას ყოველი მიმართულებით სერავენ ათასობით ეს „უცთომელი ვატიკანელი თუ პროტესტანტი „პაპები", რომელთა შორის არანაირი არსებითი განსხვავება არ არსებობს, რადგანაც პაპიზმი, თავისი არსით, არის კიდეც უპირველესი პროტესტანტიზმი, ანუ განდგომა ღმერთისაგან, — როგორც ამას თანამედროვე ღვთისმეტყველი ა. ს. ხომიაკოვი სამართლიანად ამტკიცებს.

9. ჭეშმარიტი უცთომლობა და უცოდველობა კი — ბუნებრივი ღმერთკაცობრივი თვისება და ბუნებრივი ღმერთკაცობრივი ფუნქციაა ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიისა, მისი ღმერთკაცობრივი სხეულისა, რომლისთვისაც ი გ ი — საუკუნო თავია, მარადიული წინამძღვარია, რაკი არის მეორე ჰიპოსტასი ყოვლადწმიდა სამებისა. დოგმატით პაპის უცთომლობის შესახებ ეს უკანასკნელი, ფაქტიურად, ეკლესიად არის გამოცხადებული და ღმერთკაცის ადგილის დაკავებას ლამობს ამქვეყნად! აი, ასეთია დამაგვირგვინებელი „ტრიუმფი" ევროპული ჰუმანიზმისა, და ამავე დროს, მისი საბოლოო — „მეორე სიკვდილიც" (გამოცხ. 20, 14; 21, 8), — დაღუპვა პაპიზმისაც და მასთან ერთად — ყველა სახეობის ჰუმანიზმისაც. მაგრამ ქრისტეს ჭეშმარიტი — მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ ეს დოგმატი პაპის უცთომლობის შესახებ მხოლოდ ჩვეულებრივი მწვალებლობა კი არ არის, არამედ ყველაზე დიდი — უაღმატებულესი მწვალებლობაა, ერესთ ერესი, რამეთუ აქამდე არც ერთი სხვა მწვალებლობა ასე გადაჭრილად და ღრმად არ აღმდგარა ღმერთკაც იესო ქრისტესა და მისი წმიდა ეკლესიის წინააღმდეგ, როგორც ამას პაპიზმი იქმდა და იქმს. და უეჭველია, რომ ეს მწვალებლობათა მწვალებლობა, — წარმოადგენს ბოროტგანზრახულ გაძევებას იესო ქრისტესი ამაქვეყანიდან, მ ი ს ხელახალ უაღრეს განმცემლობას ახალი იუდების მხრიდან, ქრისტეს ახალ ჯვარცმას, ოღონდ არა ხის ძელის ჯვარზე, არამედ ოქროს ბრჭყვიალა ჯვარზე პაპისტური ჰუმანიზმისა! ეს ყოველივე კი სწორედ ის არის, რასაც ადამიანი, ჩვეულებრივ, ჯოჯოხეთს უწოდებს.

10. თუ არის რაიმე გამოსავალი ამ უძირო ჰუმანისტური ჯოჯოხე-

თიდან ევროპისა? თუ არსებობს შესაძლებლობა მკვდრეთით აღდგომისა ამ უთვალავ ევროპულ განგოზილ საფლავთაგან? თუ არსებობს რაიმე საკურნებელი საშუალება ამ უთვალავი მომაკვდინებელი, წარმწყმედი სნეულებებისგან?

დიახ, არის, და ეს გამოსავალი — სინანულია! ასეთია უკვდავი ხარება ღმერთკაც იესო ქრისტეს წმიდა სახარებისა, მისი მარადიული სიტყვისა: „სინანული მეცნიერებად (ანუ შესაცნობად) ჭეშმარიტებისა“ (II ტიმ. 2, 25)! სხვაგვარად შეუძლებელიცაა რწმენა ღმერთკაცის ყოვლადმაცხოვნებელი სახარებისა: „შეინანეთ და გრწმენინ სახარებისაი!“ (მარკოზი 1. 15); სინანული ღმერთკაცის წინაშე, მონანიება, ყველა ცოდვისა, მსოფლიო ცოდვისაც და პიროვნულისაც. უეჭველია, რომ სინანული — საკურნებელი წამალია პაპიზმის ამ დიდი ცოდვისაც, რომელსაც შეიცავს ეს, ამპარტავნებით განმსჭვალული დოგმატი პაპის უცთომლობის შესახებ, და ამდენად იგი ყოველგვარი ჰუმანისტური სნეულების საკურნებელი საშუალებაც არის მის ყველა გამოვლინებაშიც და მთლიანად ჰუმანიზმისაც. დიახ, თავის ხსნა ამ უდიდესი შეცოდებისაგან ევროპელ „უცთომელ“ და „უცოდველ“ ადამიანს შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ გულწრფელი სინანულით ღმერთკაც იესო ქრისტეს წინაშე, ჩვენი საკვირველი, ყოვლადმოწყალე და ყოვლადსახიერი უფლის და ღმრთის წინაშე, ჭეშმარიტად ჩვენი ერთადერთი მხსნელისა და მაცხოვრის წინაშე, ვისაც ერთს მხოლოს ძალუძს იხსნას და გაათავისუფლოს ადამიანი ყოველგვარი ცოდვისაგან, ბოროტებისაგან, ჯოჯოხეთისაგან და ეშმაკისაგან, — იხსნას ადამიანი ჩვენი დროის ყველაზე დიდი უბედურებისაგან — ჰუმანისტური რაციონალიზმისაგან, და საერთოდაც, ყველა იმ ცოდვისა და ბოროტებისაგან, რომელთა მოფიქრება და მოგონებაც მხოლოდ ცოდვით დაცემული ადამიანის გარდაქცეულ ფანტაზიას შეუძლია.

სწორედ ამ მიზეზით შვიდი წმიდა მსოფლიო საეკლესიო კრების ღმრთივ — სულიერმა წმიდა მამებმა მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის ყველა საკითხი დაიყვანეს ერთ უმთავრეს საკითხამდე ღმერთკაც იესო ქრისტეს პიროვნებისა, და აღიარეს ი გ ი ერთადერთ და ყველაზე დიდ ფასეულობად ყოველი ადამიანისათვის ცათა შინა თუ ქვეყანასა ზედა. დიახ, ამ წმიდა მამათათვის, და ამდენად, ყოველი ჩვენგანისათვისაც — მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის ღმერთკაცი იესო ქრისტე — ყოველივეა ადამიანურ სამყაროში, ი გ ი ა ერთადერთი და უზენაესი ფასეულობა ეკლესიის ცათა შინა

და ქვეყანასა ზედა. და ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანის მარადიული წესიც ეს არის: ყოველივე ქრისტეს მიუძღვნას! ყველაფერი ქრისტესათვის ქმნას უანგაროდ, არაფრის საფასურად! და ეს — ადამიანური ჰუმანიზმი კი არ არის, არამედ ჭეშმარიტი ღმერთკაცობრივი მოძღვრებაა. ეს ღმერთკაცი — იესო ქრისტეა, და არა — ადამიანი! ჩვენთვის იესო ქრისტეა უპირველეს ყოველისა და უმაღლეს ყოველისა!

თარგმნა ვასილ ბურკაძემ

ჰუმანისტური ეკუმენიზმი

ეკუმენიზმი საერთო სახელწოდებაა ყველა ფსევდოქრისტეანული მიმდინარეობისა და დასავლეთის ყველა ფსევდოეკლესიისა ერთად. მასშია არსი ყველა სახის ჰუმანიზმისა, რომელიც სათავეს პაპიზმიდან იღებს. ყოველივე ამას კი აქვს ერთი, სახარებისეული განსაზღვრება — მწვალებლობა. მთელი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა სახის მწვალებლობას სწორედ ის ახასიათებდა, რომ უმნიშვნელოდა თვლიდა ან ამახინჯებდა იესო ქრისტეს ცალკეულ თავისებურებებს, და ეს ახალი ევროპული წვალებანიც უარყოფენ, უგულვებელყოფენ ღმერთკაცს და მის ადგილას აყენებენ კაცს ამ პუნქტში არც არის რაიმე არსებითი განსხვავება პაპიზმსა, პროტესტანტიზმსა და სხვა სექტებს შორის, რომელთა სახელი ლეგეონია.

მართლმადიდებლური დოგმატი ეკლესიის შესახებ კათოლიკებმა უარყვეს და შეცვალეს მწვალებლური დოგმატით პაპის უცთომელობის შესახებ, ხოლო მისგან გამომდინარეობს დანარჩენებიც: „ფილიოკვე“, „ეპიკლეზის“ (სული წმიდის გარდამოწვევის ლოცვა ლიტურგიის ჟამს) უარყოფა, ქმნული მადლის შემოღება, აზიმა (უცომოება, უფუარი სეფისკვერის გამოყენება), განსაწმენდელი, კეთილ საქმეთა ყულაბა, მექანიზირებული სწავლება ცხოვნების შესახებ, და შესაბამისად, მექანიზირებული სწავლება ცხოვრების შესახებ, პაპოცეზარიზმი, „წმ. ინკვიზიცია“, ინდულგენციები, ცოდვილის მოკვდინება ცოდვისათვის, იეზუიტიზმი, სქოლასტიკა, კაზუისტიკა, სოციალური ჰუმანიზმი...

პროტესტანტიზმი არის ნამდვილი და ერთგული პირმშო პაპიზმისა, რომელიც თავისი რაციონალისტური სქოლასტიკის გამო საუკუ-

ნეთა მანძილზე ერთი მწვალებლობიდან მეორეზე გადადიოდა და მუდმივად მწვალებლურ ცთომილებათა შხამით იწამლებოდა. ამასთან, პაპისტური მზვაობარი გონება და „უცთომელი“ უგუნურება სრულიად აცარიელებს მორწმუნეთა სულებს. ფაქტიურად ყოველი პროტესტანტი იგივე დამოუკიდებელი პაპია, „უცთომელი“ პაპი სარწმუნოების ყველა საკითხში, ამას კი ყოველთვის ერთი სიკვდილიდან მეორემდე მივყავართ და ასე უსასრულოდ, რამეთუ ადამიანის სულიერი კვდომა უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. პაპისტურ-ჰუმანისტურ ეკუმენიზმს არავითარი გამოსავალი არ გააჩნია ამ სიკვდილისა და ტანჯვის ტყვეობიდან, გარდა გულწრფელი სინანულისა უფალი იესო ქრისტესა და მისი მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე. სინანულის გარეშე, ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის მიღების გარეშე ამ წვალებათა მიმდევრებისთვის არაბუნებრივიცაა და უაზროც ლაპარაკი რაღაც „ეკლესიათა გაერთიანებაზე“, სიყვარულის დიალოგზე, „ინტერკომენნიო“-ზე[1]. მთავარია, რომ ისინი გახდნენ ქრისტეს ეკლესიის სხეულის წევრები, ეკლესიის სულის — სული წმიდის ზიარნი, და ღმერთკაცისაგან მონიჭებული ყველა უკვდავი სიკეთის მემკვიდრენი.

1. თანამედროვე „სიყვარულის დიალოგი“, რომელიც ლიტონი სენტიმენტალიზმის ჩარჩოებში მიმდინარეობს, სინამდვილეში არის სულმოკლე უარყოფა „განწმენდისა სულისაჲთა და სარწმუნოებითა ჭეშმარიტებისაჲთა“ (2 თესალ. 2, 13). არსი სიყვარულისა არის ჭეშმარიტება, და სიყვარული ჰგიეს ჭეშმარიტებასა ზედა, რომელიც არის გული ყოველი სათნოებისა. ხოლო განხორციელება და განსახიერება ღმრთაებრივი ჭეშმარიტებისა არის ღმერთკაცი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ჭეშმარიტება რომ რაიმე სხვა საგანში მდგომარეობდეს, იგი იქნებოდა შედარებითი, წარმავალი, მოკვდავი, სულ ერთია, რაც არ უნდა ყოფილიყო ეს: ცნება, იდეა, თეორია, სქემა, გონება; მეცნიერება, ფილოსოფია, კულტურა, ადამიანი, კაცობრიობა, მთელი სამყარო, ცა და ხმელეთი თუ ყველაფერი ერთად. მაგრამ ჭეშმარიტება — ესაა პიროვნება ღმერთკაცის, უფლისა იესო ქრისტესი, ყოვლად-წმიდა სამების მეორე იპოსტასისა, და ამიტომაა იგი სრული და მარადიული, რამეთუ უფალ იესო ქრისტეში სარწმუნოებაცა და ცხოვრებაც ერთსა და იმავე თვისებას ატარებს — მარადიულობას

---

[1] „ინტერკომუნიო“ — ურთიერთზიარება, ერთობლივი მონაწილეობა საეკლესიო საიდუმლოებებში.

(შდრ. იოანე, 14, 6; 1, 4—17). ვისაც სწამს უფალი იესო ქრისტე, იგი მოუკლებლად ძლიერდება მისი ჭეშმარიტებით და ესწრაფვის ღმრთაებრივ უსასრულობას მთელი თავისი არსებით: გონებით, გულით და სულით. ქრისტეს მიერ ვცხოვრობთ „ჭეშმარიტ სიყვარულსა ზედა“, რამეთუ მხოლოდ ასე შეიძლება განვძლიერდეთ ქრისტეს მიერ, ამასთან ეს ხდება მარადის „ყოველთა თანა წმიდათა“ (ებ. 3, 18), მარადის ეკლესიაში და ეკლესიასთან ერთად. ხოლო სულიერი სიმტკიცისთვის აუცილებელ ძალებს ეკლესია ღებულობს თვით მისი თავის, იესო ქრისტესაგან, რამეთუ მხოლოდ იგი, ღმერთი და უფალი ჩვენი ფლობს ამ უსასრულო ძალებს და სიბრძნით განაგებს მათ.

მაგრამ არსებობს ტყუილის „დიალოგიც“, როცა მხარეები მეცნიერებით თუ უმეცრებით სწამებენ ცილს ერთმანეთს. ასეთი „დიალოგი“ სჩვევია „ტყუილის მამას“, ეშმაკს (იოანე, 8, 44), და მის ნებსით თუ უნებლიე თანაშემწეებს, რომლებსაც სურთ ბოროტის მეშვეობით მოიპოვონ კეთილდღეობა და ტყუილის შემწეობით მიაღწიონ საკუთარ „ჭეშმარიტებას“. შეუძლებელია ვეზიაროთ სიყვარულს ისე, რომ არ ვეზიაროთ ჭეშმარიტებას. ასეთი ზიარება არაბუნებრივია და მტყუვარი, ამიტომაც გვამცნებს მოციქული: „სიყვარულითა შეურიგებლობითა განეშორენით ბოროტსა“ (რომ. 12, 8).

მწვალებლური ჰუმანისტური განყოფა სიყვარულისა და ჭეშმარიტებისა არის ნიშანი მცირედმორწმუნეობისა და დაკარგული სულიერი წონასწორობისა. ეს გზა არასოდეს ყოფილა წმ. მამების გზა. მართლმადიდებლები მოციქულთა დროიდან მოყოლებული დღევანდელი დღემდე ატარებენ მაცხოვნებელ, ღმერთკაცის მიერ მონიჭებულ სიყვარულს იმიტომ, რომ „ყოველთა წმიდათა თანა“ არიან შეერთებულნი ჭეშმარიტებისა და სიყვარულის გზით. თანამედროვე ეკუმენიზმის ლიტონი მორალური მინიმალიზმი და ჰუმანისტური პაციფიზმი ამჟღავნებენ და ამხილებენ თავიანთი ფილოსოფიისა და ეთიკის ავადმყოფურ ხასიათსა და უძლურებას „მოძღურებისა მისებრ კაცთაჲსა“ (კოლ. 2, 8), აქედანვე ჩანს, რომ მათ ჰუმანისტურ რწმენას ჭეშმარიტებისადმი კრიზისი უდგება, და რომ ისინი ივიწყებენ ეკლესიის ისტორიას, ეკლესიის საყოველთაო და მოციქულებრივი ცხოვრების გამოცდილებას ჭეშმარიტებისა და სული წმიდის მადლით. წმ. მაქსიმე აღმსარებელი ღმერთკაცის რწმენის ჭეშმარიტების შესახებ ამბობს: „სარწმუნოება არის საფუძველი სასო-

ებისა და სიყვარულისა, რამეთუ იგია ერთგული მცველი თვით ჭეშმარიტებისა“.

უეჭველია, რომ წმ. მამათა და მოციქულთა პრინციპი ადამიანთა სიყვარულისა და მწვალებლებთან დამოკიდებულებისა არის ღმერთკაცის პრინციპი. ეს ღმრთივგამოცხადებულადაა გადმოცემული წმ. მაქსიმე აღმსარებლის სიტყვებში: „მე არ მსურს, რომ მწვალებლებმა იტანჯონ და არც მათი ცუდი გამიხარდება — ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ მათი მოქცევა კი ძალიან მახარებს. ან რა უნდა იყოს მორწმუნეთათვის უფრო საამო სახილველი, ვიდრე უფლის განბნეულ შვილთა შეერთება! გონება როდი დამიკარგავს, რომ იმას გირჩევდეთ, უმოწყალობა კაცთმოყვარებაზე მეტად შეიყვარეთ-მეთქი. პირიქით, გირჩევთ ყურადღებით და გულმოდგინედ უყოთ სიკეთე ყველა ადამიანს და ყველა გაჭირვებულს დაეხმაროთ ყველაფრით, რითიც შეგიძლიათ. მაგრამ ამასაც გეტყვით: არ შეიძლება დავეხმაროთ მწვალებლებს მათი უგუნური სწავლებების დამკვიდრებაში, ასეთ დროს მკაცრნი და შეურიგებელნი უნდა ვიყოთ. რამეთუ მე სიყვარულს კი არა, კაცთმოყვარეობას და ღმრთაებრივი სიყვარულისგან განდგომას ვუწოდებ, როცა ვინმე ეხმარება მწვალებლებს მათი ცთომილების დამკვიდრებაში და უეჭველი წარწყმედისკენ უბიძგებს ამ ადამიანებს“.

2. მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება მწვალებლების შესახებ ამბობს: წვალებანი არ წარმოადგენენ ეკლესიას და შეუძლებელიცაა, რომ წარმოადგენდნენ. ამიტომ მწვალებლებს ვერ ექნებათ წმ. საიდუმლოებები, ვერ ექნებათ წმ. ევქარისტია — საიდუმლოებათა საიდუმლოება, რამეთუ იგია თავი და თავი ეკლესიაში: თვით ღმერთკაცი იესო ქრისტე, თვით ეკლესია, როგორც სხეული ქრისტესი.

„ინტერკომუნიო“ (ურთიერთზიარება) — შეერთება მწვალებლებთან, წმ. საიდუმლოებების გზით და განსაკუთრებით ევქარისტიით დამყარებული, არის უფალ იესო ქრისტეს ყველაზე სულმდაბლური ღალატი, იუდას გამცემლობა, და მთელი სამოციქულო, წმ. მამათა, ქრისტეს ერთიანი ეკლესიის ღალატი.

პირველ ყოვლისა, ის უნდა ვიკითხოთ, რომელ ეკლეზიოლოგიაზეა აგებული ე. წ. „ინტერკომუნიო“? მთელი მართლმადიდებლური სწავლება ეკლესიისა დამყარებულია არა „ინტერკომუნიო“-ზე, არამედ „კომუნიო“-ზე (ზიარებაზე), ღმერთკაცისა და კაცის ზიარებაზე (შდრ. 1 კორ. 1, 9—10; 15—17, 2 კორ. 13, 13; ებრ. 2, 14; 3, 14, 1

იოანე, 1, 3), ეს იმ დროს, როცა ტერმინი „ურთიერთზიარება“ თავისთავად წინააღმდეგობრივი და სრულიად უაზროცაა მართლმადიდებლური ეკლეზიოლოგიისათვის. გარდა ამისა, მართლმადიდებლური სწავლება ეკლესიისა და წმ. საიდუმლოებების შესახებ ერთადერთ საიდუმლოებად მიიჩნევს თვით ეკლესიას — ქრისტეს სხეულს, იგია ერთადერთი წყარო და შინაარსი საღმრთო საიდუმლოთა. ეკლესიის გარეშე ვერც წმ. საიდუმლოებები იარსებებს და ვერც, მით უმეტეს, რაიმე „ურთიერთზიარება“ საიდუმლოებების გზით. ეკლესიაა წყარო წმ. საიდუმლოთა, და არა პირიქით: საიდუმლოებები ეკლესიაზე მაღლა არ დგანან და მის გარეშე არ განიხილებიან. მართმადიდებლური სწავლება წმ. საიდუმლოთა შესახებ ამბობს, რომ ეკლესია არ ცნობს არავითარ სხვა საიდუმლოებებს მის გარეშე, არ მიიჩნევს მათ საიდუმლოებებად რომელიმე კერძო პირისთვის, ვიდრე იგი ფსევდოეკლესიიდან მართლმადიდებელ ეკლესიაში არ გადავა სინანულის გზით. ეკლესიის გარეშე მდგომი კაცი, რომელიც არ არის შეერთებული ეკლესიასთან სინანულის გზით, არის მწვალებელი, და მოკლებულია მაცხოვნებელ ზიარებას ეკლესიასთან, „რამეთუ რაჲ მოყუსობა არს სიმართლისა და უსჯულოებისა? ანუ რაჲ ზიარება არს ნათლისა და ბნელისა?“ (2 კორ. 6, 14).

უმთავრესი მოციქული, მაცხოვრისაგან მინიჭებული უფლებით, ბრძანებს: „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“ (ტიტ. 3, 10). და ის, ვინც არათუ განეშორება მწვალებელს, არამედ თვით უფალ იესო ქრისტეს აზიარებს წმ. ევქარისტიის მეშვეობით, განა წმ. მართლმადიდებელი სარწმუნოების წიაღში რჩება? მეტიც, ქრისტეს საყვარელი მოწაფე, სიყვარულის მოციქული გვიბრძანებს, რომ ადამიანს, რომელსაც არა სწამს ქრისტეს განხორციელება და არ ღებულობს სახარების სწავლებას ქრისტეს, როგორც ღმერთკაცის შესახებ, „ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენთაო“ (2 იოანე, 1, 10).

წმ. მოციქულთა 45-ე კანონი ხმამაღლა გვამცნებს: „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებლებთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა თუ ნებას მისცემს მათ (მწვალებლებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდელო წესი, განიკვეთოს“.

ვფიქრობთ, სათქმელი სრულიად ნათლადაა გადმოცემული.

წმ. მოციქულთა 65-ე კანონი ბრძანებს: „თუ ვინმე სასულიერო პირი ან ერისკაცი ურიათა ან მწვალებელთა შესაკრებელში შევიდეს სალოცავად, სასულიერო პირი განიკვეთოს, და ერისკაცი უზიარე-

ბლობით დაისაჯოს“. ესეც საოცრად ნათლად და მარტივადაა თქმული.

წმ. მოციქულთა 46-ე კანონი ამბობს: „ვბრძანებთ: თუ ეპისკოპოსმა ან მღვდელმა მიიღოს მწვალებლის მიერ ჩატარებული ნათლისღება ნათლისღებად, ან მის მიერ შეწირული მსხვერპლი — მსხვერპლად, განიკვეთოს, რამეთუ „რა შეტყუება არს ქრისტესი ბელიარის თანა? ანუ რა ნაწილ უც მორწმუნესა ურწმუნოჲსა თანა? (2 კორ. 6, 15). ბრმათათვისაც ცხადია: ეს მცნება მკაცრად გვიბრძანებს, არავითარი წმ. საიდუმლოება არ ვცნოთ მწვალებელთა კუთვნილად, არ ჩავთვალოთ ისინი ნამდვილად და მადლმოსილად.

წმ. იოანე დამასკელი გვამცნებს ყველა წმ. მამის, წმ. მოციქულისა და საეკლესიო კრების საერთო სწავლებას: „ევქარისტიის პური უბრალოდ კი არა, ღმერთთან შეერთებული პურია... მის მიერ განწმენდილნი ვუერთდებით უფლის სხეულსა და სულს და ვიქმნებით ქრისტეს სხეულად... ევქარისტიის საიდუმლოს ზიარება ეწოდება, რამეთუ იესოს ღმრთაებრივ ბუნებას ვეზიარებით. ევქარისტიას შეერთებაც ჰქვია და მართლაც ასეა, რამეთუ ევქარისტიის მეშვეობით ქრისტეს თანაზიარნი ვხდებით და წილს ვიდებთ მის ხორციელ და ღმრთაებრივ ბუნებაში. მეორე მხრივ, ამ საიდუმლოს მეშვეობით ერთმანეთის თანაზიარნიც ვხდებით, რამეთუ ყველანი ქრისტეს თანაზიარნი ვართ. ამიტომ ჩვენ ყოველნაირად ვერიდებით ზიარების მიღებას მწვალებლისაგან ანდა მის ზიარებას. რამეთუ იტყვის უფალი: „ნუ მისცემთ სიწმიდეს ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა წინაშე ღორთა“ (მათე, 7, 6), რათა მათი ბოროტი სარწმუნოებისა და სასჯელის თანაზიარნი არ ვიქმნეთ. რამეთუ, თუკი ნამდვილად ხდება შეერთება ქრისტესთან და ერთმანეთთან, მაშასადამე, ჩვენ ჩვენი ნებით ვუერთდებით ყველას, ვინც ჩვენთან ერთად ეზიარება. და ეს შეერთება ხდება ნებაყოფლობით, ჩვენი თანხმობით, რამეთუ ჩვენ ყველანი ვართ ერთხორც, რაკიღა ერთ ხორცს ვეზიარებით, როგორც მოციქული ამბობს“ (1 კორ. 10, 17). (წმ. იოანე დამასკელი, „ზუსტი გარდამოცემა მართლმადიდებელ სარწმუნოებისა“ წიგნი IV. თავი 13).

ღირსი თეოდორე სტოდიელი, ღმრთაებრივ ჭეშმარიტებათა უშიშარი აღმსარებელი, ამბობს: „ზიარების მიღება მწვალებლისაგან განაშორებს კაცს ღმრთისაგან და ეშმაკის ხელში აგდებს მას“ (თეოდორე სტოდიელის თხზულებანი, ტ. 2, გვ. 332. 1908 წ.). თუ ევქარისტიის საიდუმლოს მწვალებელი ატარებს, მაშინ „მწვალებლური

პური არ არის ხორცი ქრისტესი“ (იქვე, გვ. 596). „რა განსხვავებაც ნათელსა და ბნელს შორისაა, იგივე განსხვავებაა მართლმადიდებლურ და მწვალებლურ ზიარებას შორის. მართლმადიდებლური ზიარება განანათლებს კაცს, მწვალებლური — ბნელში ხვევს მას. პირველი ქრისტეს შეგვაერთებს, მეორე — ეშმაკს, პირველი განაცხოველებს სულს, ხოლო მეორე — ღუპავს“ (იქვე, გვ 742). „ზიარება, მწვალებლისაგან მიღებული, საწამლავია და არა ჩვეულებრივი პური“ (იქვე, გვ. 780).

ეს ჩვენი მოხილვა სამოთხისა და ჯოჯოხეთისა თანამედროვე მართლმადიდებელი მეუფის, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ნამდვილი ოქროპირის, ნიკოლოზ ჟიჩელის (+ 1956) სიტყვებით დავამთავროთ. იგი ამბობს: „დიდმა წინასწარმეტყველმა ესაიამ თქვა: „ოდეს აღდგეს უფალი მოსრვად ქუეყანისა, მაშინ ჩაქრეს კაცთა ამაყი მზერა, დამდაბლდეს სიმაღლე კაცთა და ამაღლდეს უფალი მხოლოდ მას დღესა შინა“ (ესაია, 2, 11).

ძველ დროშიც მრავალჯერ აღიძრა ღმერთი „მოსრვად ქუეყანისა“ იმის გამო, რომ ადამიანები თავისსავე მსგავს ადამიანებს აღმერთებდნენ, იმის ნაცვლად, რომ მისთვის, ერთი ღმერთისთვის ეცათ თაყვანი. ჩვენს დროშიც აღდგა ღმერთი და ჭეშმარიტად მოსწყლა ქვეყანა თავისი სამართლიანი რისხვით, რათა კაცთა სიამაყე და ზესთამჩნეობა მოეტეხა.

ღმერთის ასეთი რისხვა ადამიანთა მოდგმაზე ყოველთვის მოსდევდა თვით ადამიანების ჯანყს ღმერთის წინააღმდეგ. ჩვენი დროის მწვალებლურ ქვეყნებში უფალ იესო ქრისტეს ბოლო ადგილი მიაკუთვნეს ამა სოფლის ტრაპეზზე, თითქოს ის უკანასკნელი გლახაკი ყოფილიყოს, საპატიო ადგილებზე კი დასვეს თავიანთი, დიდი პოლიტიკოსები, მწერლები, ფილოსოფოსები ლეგენდარული გმირები, მეცნიერები, ფინანსისტები, ტურისტები და სპორტსმენებიც კი. ამ ხალხებმა თვალი მიაპყრეს თანამედროვე ღმერთებს, ხოლო ქრისტეს, სიკვდილის დამთრგუნველს ცოტა ვინმე თუ აქცევდა ყურადღებას. ნათელღებული, მაგრამ მწვალებელი ქვეყნების ამ ბილწ აჯანყებას უნდა მოჰყოლოდა ღმერთის აღდგომა უსჯულო კაცთა წინააღმდეგ, იგი მართლაც აღიძრა ქვეყნის მოსასპობად, და ჩვენ მომსწრენი გავხდით ხალხების არნახული ტანჯვისა. მოხდა ის, რაც ესაიამ იწინასწარმეტყველა: „შემხუმელთა ქუაბებისა მიმართ და დანახეთქებისა კლდეთასა და ნაპრალთა მიმართ ქუეყანისათა პირისაგან შიშისა უფლისა და დიდებისაგან ძალისა მისისა, ოდეს აღდგეს სრვად ქუეყანი-

სა“ (ესაია, 2, 19). განა ეს სიტყვა სიტყვით არ ახდა გასულ ომში? განა სხვადასხვა კონტინენტებზე მცხოვრები ადამიანები კლდეთა ნაპრალებსა და უფსკრულებს არ აფარებდნენ თავს, რომ ევროპელ სიკვდილის მთესველებს როგორმე დამალვოდნენ? და ეს სიკვდილის მთესველები არიან სწორედ ის გოლიათები და გაკერპებული ადამიანები, რომლებიც ამა სოფლის ტრაპებზე საპატიო ადგილას ისხდნენ და დასცინოდნენ ქრისტეს, როგორც უკანასკნელ მათხოვარს.

ესაია განაგრძობს თავის წინასწარმეტყველებას და ამბობს, რომ ადამიანებს ღმრთის დიდების შიში შეიპყრობთ და დაამსხვრევენ თავიანთ კერპებს, ზურგს შეაქცევენ მტყუვარ ღმერთებს. თავის საშინელ მოწმობას ესაია გაფრთხილებით ამთავრებს: „დასცხრენით კაცისაგან, რომლისა სამშვინველი მისი ცხვირთა შინა მისთა არს, რამეთუ რაისა შერაცხულ იქმნა მათდა“ (ესაია, 2, 22)? ესაიას სურდა ეთქვა ყველასათვის, ვისაც მოსმენა და გულისხმისყოფა ძალუძს: ნუღარ დაამყარებთ იმედს უძლურ და მოკვდავ ადამიანებზე, დაუბრუნდით ცხოველ ღმერთს, რომელიც გვაცხოვნებს ჩვენ. ვინ გაცთუნათ, ვინ შთაგაგონათ ქრისტეს უარყოფა და საპატიო ადგილებზე თქვენი ამაყი და ყბედი ადამიანების, სიკვდილის მთესველების დასმა? იქნება გინდათ, ისევ მოგატყუონ? მაშ აირჩიეთ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის უმჯობესი და იცოდეთ, რომ თუ ღმერთის წინაღმდეგ აღდგებით თქვენი „კულტურის“ ღმერთებით, მაშინ ისიც აღდგება თქვენს წინაღმდეგ და შვილნი თქვენნი, შიშით შეიწრებულნი თავს შეაფარებენ კლდეთა ნაპრალებსა და გამოქვაბულებს. მაშინ ისინი შეიცნობენ უფლის დიდებასა და დიდებულებას, მაგრამ ეს სისხლის ფასად დაუჯდებათ, ბევრად უფრო ძვირ საფასურს გაიღებენ, ვიდრე თქვენ გაიღებდით.

ჩვენმა ნათელღებულმა ძმებმა, რომლებიც შეცდნენ და კათოლიკურ და ლუთერანულ მწვალებლობებს გაჰყვნენ, საკუთარი სიბრძნით ვერ შეიცნეს და დაკარგეს ქრისტე, უგულებელყვეს მართლმადიდებელი ქრისტეანენი, როგორც უმეცარნი და უკულტურონი. მაგრამ სწორედ მათზე ახდა პავლე მოციქულის სიტყვები: „იტყოდეს თავთა თვისთა ბრძენ და განცოფნეს“ (რომ. 1, 22), რამეთუ უარყვეს სულიერი, ქრისტესმიერი სიბრძნე, რომელიც მშვიდობასა და სიყვარულშია დამარხული, და წარმართ ფილოსოფოსთა მსგავსად შეიმოსეს ამსოფლიური, ხორციელი სიბრძნე, რომელიც მთლიანად სიამაყისა და უკეთურების ნაყოფია. „და ცვალეს დიდება იგი უხრწ-

ნელისა ღმრთისა მსგავსებად ხატისა მის განხრწნადისა კაცისა... და პატივსცემდეს და ჰმსახურებდეს დაბადებულთა, და არა დამბადებელსა“ (რომ. 23—25), ანუ მოსტაცეს დიდება ქრისტეს და შემოსეს ამ დიდებით მოკვდავნი კაცნი, რომლებიც ახალ მესიებად აცხადებენ თავს. ასე გაიგეს ევროპელებმა, წარმართ და უღმრთო ფილოსოფოსთა მიერ განსწავლულება, სახელი და დიდება. კულტურის ცნება კი მათთან იმას ნიშნავს, რომ ღმრთის დაბადებულს, ანუ ხილულ სამყაროს უფრო მეტს პატივს სცემენ, ვიდრე თვით ღმერთს, ყოველივე ამის შემოქმედს. მოკვდავი ღმერთები და გაღმერთებული ბუნება ჯერჯერობით ბოლო ეტაპია დაცემის გზისა, რომლითაც დასავლეთის ქვეყნები საუკუნეთა მანძილზე მიექანებიან ქრისტესმიერი სწავლების სიმაღლიდან სატანური ჯურღმულისაკენ. ესაა დასავლეთის მკვიდრთა სრული მიმსგავსება ძველ რომაულ და თანამედროვე აზიურ წარმართობასთან. ისინი ყოველწლიურად ათასობით წიგნს ბეჭდავენ დიდი ადამიანების სახოტბოდ და თავიანთი კულტურის სადიდებლად, ყოველდღიურად ათასობით გაზეთი ემსახურება ცრუ დიდებასა და კაცთა ქმნილი საქმეების ქებას, და ყოველივე ამას სახელად ჰქვია მაღალფარდოვანი სიტყვა „კულტურა“. ამიტომ მისცა ისინი ღმერთმა „ვნებასა მას გონებისასა“ (შდრ. რომ. 1, 26—28), და ისინი კმაყოფილდებიან არა ზეციურით, არამედ მიწიერით, რაც ეშმაკის სიცილსა და ქრისტეს ანგელოსთა ტირილს იწვევს. ხორციელზე ზრუნვა, ტაცება, მცირეთა და უძლურთა ძარცვა, ამქვეყნიურ სიკეთეთა გამრავლება, საკუთარი ძალაუფლებისა და ბატონობის გაფართოება, სხვისი სამშობლოს მოღალატური დაპყრობა, მხიარულება და ცეკვები, ყოველგვარი სარწმუნოების, როგორც ცრურწმენის უგულებელყოფა, ღმერთის უარყოფა, მხოლოდ ბიოლოგიური, პირუტყვთა მსგავსი ყოფის გაფეტიშება, მაიმუნის საკუთარ წინაპრად დასახვა, ანთროპოლოგიის ზოოლოგიაში გათქვეფა — აი რითაა შეპყრობილი მათი გული და გონება.

ალბათ იკითხავთ, შეძლებს კი ოდესმე ეს ყველაზე გზააბნეული თაობა, დაუბრუნდეს ჭეშმარიტებას? შეძლებს. დაე ქრისტემ, მათ მიერ უარყოფილმა მალე ინებოს ქმნა ამისა. მაგრამ როდის მოხდება ეს ამბავი?

მაშინ, როდესაც ჩვენი დასავლელი ძმები ყოველწლიურად ათასობით წიგნს გამოსცემენ უფალ იესო ქრისტეს სადიდებლად, ათასობით მათ გაზეთში ყოველწლიურად აღიწერება ქრისტეანული სათნოებანი ნაცვლად გმობისა და მკრეხელობის, ვაჭრობისა და ქვენა

ინსტიქტების აღწერისა. და როდესაც ეს ფერისცვალება მოხდება, მაშინ დასავლეთის მწვალებლური მოსახლეობა ხილული ცის წინაშე განბანილი, განწმენდილი და სინანულის კეთილსურნელებით გაჟღენთილი წარსდგება.

მაშინ ჩვენ, მართლმადიდებლებიც გავიხარებთ, რამეთუ კვლავ მოვიპოვებთ ჩვენს დაკარგულ ძმებს. მაშინ წარმართი ხალხები აღივსებიან ქრისტესადმი სიყვარულით და შეეცდებიან იქმნენ მის შვილებად, რადგან ქრისტიანები აღარ შეუშლიან ხელს იმაში, რომ ქრისტეს შეუდგნენ. მაშინ აღარ იქნება მტრობა კაცთა შორის და ომები ხალხებს შორის, არამედ დამყარდება ქრისტესმიერი მშვიდობა, რომელიც აღემატება ყოველ გონებას, და დიდება ქრისტესი, რომელსაც არ გააჩნია მსგავსება არც დროში, არც მარადისობაში.

კაცთათვის უდიდესი ბედნიერება იყო განხორციელებული ღმერთის გამოცხადება, უდიდესი უბედურება — ღმრთისაგან განდგომა და სატანის მონობაში დაბრუნება. ეს უბედურება დასავლეთში ორი მიზეზის გამო მოხდა. ესაა, პირველ ყოვლისა, სიძულვილი მწვალებელი მღვდლების მიმართ და მეორე, ებრაელების სიძულვილი. ორივე ეს მიზეზი დასავლეთში ერთი და იგივე თესლისგან აღმოცენდა. კერძოდ: ერთი მხრივ ქრისტიანული სამღდელო დასი, ხოლო მეორე მხრივ ებრაელები ცდილობდნენ სრულიად გაბატონებულიყვნენ ადამიანებისა და სახელმწიფოების ცხოვრების ყველა სფეროში. ასეთი სამღდელო დასის მიმართ სიძულვილი ეკლესიისადმი სიძულვილში ქრისტე დედით ებრაელი იყო, ამ ხალხის წიაღში განხორციელდა, მაგრამ სწორედ მათ არ მიიღეს, სწორედ მათ მოაკვდინეს საშინელი სიკვდილით. აქედან რა დასკვნა გამომდინარეობს? თუკი ვინმე ებრაელთა წინააღმდეგაა განწყობილი, როგორ უნდა გაავრცელოს ეს სიძულვილი ქრისტეზე, რომელსაც ებრაელები აგერ უკვე ორი ათასი წელიწადია, რაც ებრძვიან? მაგრამ სადაც სატანა თავის ბასრ ბრჭყალებს ჩაასობს იქ რაიმე ლოგიკაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

სამღვდელო დასისა და ებრაელების სიძულვილით შეპყრობილი, დასავლეთის სამყარო თანდათან განდევნიდა ქრისტეს თავისი ცხოვრებიდან, ვიდრე ბოლო დროს ყველა სფეროდან არ გააძევეს და ადგილი დაუტოვეს მხოლოდ ტაძარში — ასე შემოსაზღვრეს ქვეყნად არსებობა იმისა, ვინც დიდებით აღდგომის შემდეგ თქვა: „მომეცა მე ყოველი ხელმწიფება ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“ (მათე, 28, 18). და მას, ქრისტეს, უჩინოქმნილმა ადამიანებმა წარსტაცეს ყოველგვარი ხელმწიფება, და არა მარტო ხელმწიფება, არამედ ყოველივე

დედამიწის ზურგზე: სკოლა, საზოგადოება, სახელმწიფო, პოლიტიკა, ხელოვნება, საერთაშორისო ურთიერთობები და ურთიერთობები ადამიანებს შორის, მეცნიერება, ლიტერატურა და საერთოდ ყველაფერი.

მაგრამ „ჩემი არს შურისგება და მე მივაგო, იტყვის უფალი (რომ. 12, 19)". როდესაც უფლის ტრაპეზზე სტუმრად მყოფი ადამიანები კარგავენ სირცხვილის გრძნობას, მაშინ მათ ღმერთი სასჯელს მოუვლენს ხოლმე გასაფრთხილებლად. ორი მსოფლიო ომი ოც წელიწადში არის ორი საშინელი გაფრთხილება ღმრთისა. დაე ქრისტეანმა ხალხებმა თავიანთი ფიცხელი ქედები მოუდრეკონ და მუხლი მოუყარონ მათგანვე უარყოფილ ქრისტეს და მიაგონ მას ის ხელმწიფება, პატივი, დიდება და თაყვანისცემა, რომელიც შვენის მისდა. ასევე მოიქეცით თქვენც, ჩემო მართლმადიდებელო ძმებო, თუ გინდათ, თავიდან აიცილოთ მესამე მსოფლიო ომი, რომელიც წინა ორ ომზე გაცილებით უფრო საშინელი იქნება.

რა არის ევროპა? ესაა ჟინი და გონება — ადამიანური ჟინი და ადამიანური გონება, და ორივე ერთად პაპსა და ლუთერშია განხორციელებული. და მაშასადამე, რა არის ევროპა? პაპი და ლუთერი, ანუ წვრილმანი ადამიანური გულისთქმებისა და ამაოებასთან შესისხლხორცებული გონების სინთეზი. ევროპელი პაპი არის ძალაუფლების წყურვილის განხორციელება, ევროპელი ლუთერი ნიშნავს ადამიანის სწრაფვას, ყოველივე ახსნას თავისი გონებით. პაპი, როგორც მპყრობელი ქვეყნისა, და მეცნიერი, როგორც მპყრობელი ქვეყნისა — ესაა არსი ევროპისა. ერთი კაცობრიობის ცეცხლში დაწვას ნიშნავს, მეორე — წყალში ჩავარდნას, ერთიცა და მეორეც ღმრთისაგან განაგდებს ადამიანს. პირველი სარწმუნოების უარყოფას ნიშნავს, მეორე — ქრისტეს ეკლესიის უარყოფას. ასე მოქმედებს ბოროტი სული ევროპის სხეულში აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა, და ვის ძალუძს მისი განდევნა? მხოლოდ იმას, ვისაც ერთადერთსა აქვს ხელმწიფება კაცთაგან ეშმაკთა განსხმისა — უფალ იესო ქრისტეს, მესიასა და მაცხოვარს, ქალწულისაგან შობილს, ებრაელთაგან მოკვდინებულს, მამა ღმრთისაგან აღდგინებულს, საუკუნეთა მანძილზე დამტკიცებულს, ცათაგან განმართლებულს, ანგელოსთაგან დიდებულს, წმიდათა მიერ ქადაგებულს და ჩვენთა წინაპართა მიერ მიღებულს.

ვიდრე ევროპა აღიარებდა ქრისტეს, როგორც მზეს სიმართლისას, და აღიარებდა მის მოციქულებს, მოწამეებს, მღვდელმთავრებს,

ურიცხვ სათნომყოფელსა და მართალს, იგი ჰგავდა ათასობით დიდი და პატარა ჩირაღდნით განათებულ მოედანს. მაგრამ როდესაც ადამიანური ჟინი და გონება წინ აღუდგა ქრისტეს, საშინელმა გრიგალმა დაშრიტა ეს ჩირაღდნები და ამ მოედანზე დაისადგურა წყვდიადმა, სწორედ ისეთმა, როგორიც თხუნელას სოროშია ჩამოწოლილი.

ჟინს აყოლილი ყოველი ერი და ყოველი კაცი, რომის პაპის მიბაძვით, ეძიებს ხელისუფლებას, განცხრომასა და დიდებას. კაცობრივი გონების კარნახით ყოველი ერი და ყოველი კაცი საკუთარ თავს ყველაზე ჭკვიანად და ყველა ამქვეყნიური სიკეთის ღირსად თვლის. როგორღა შეიძლება, რომ არ იყოს ომი ხალხებს შორის? ან როგორ არ უნდა იყოს ცოფი და სიგიჟე კაცთა შორის? განა შეიძლება, რომ არ იყოს სნეულებები, გვალვები, წყალდიდობები, ტუბერკულოზი, წყლულები, რევოლუციები? ყოველივე ეს შეუძლებელია არ იყოს, ისევე, როგორც შეუძლებელია ჩირქიან იარას ჩირქი არ სდიოდეს და უწმინდურების გროვა არ ყარდეს.

პაპიზმი პოლიტიკას იყენებს და ისე იგდებს ხელთ ძალაუფლებას. ლუთერანობა იყენებს ფილოსოფიასა და მეცნიერებას და ასე ფიქრობს გონებამდე მიღწევას. ამრიგად, ჟინმა გონების წინააღმდეგ გააჩაღა ომი და გონებამ — ჟინის წინააღმდეგ. ჭეშმარიტად, ევროპა არის ახალი ბაბილონის გოდოლი. ჩვენს დროში აღმოცენდა ახალი ევროპული თაობა, რომელმაც ჟინსა და გონებას ათეიზმის წიაღში დაწერა ჯვარი და უგულვებელყო პაპი და ლუთერი. ახლა აღარავინ ფარავს თავის ჟინს და აღარავინ ასხამს ხოტბას გონებას. ადამიანურმა ჟინმა და ადამიანურმა გონებამ ჩვენს დროში აღასრულეს არა კათოლიკური და არა პროტესტანტული, არამედ აშკარად სატანური ქორწინება. თანამედროვე ევროპა უკვე პაპიზმისა და ლუთერანობის გარეშე დგას, იგი კონკრეტულად მიწასაა მიჯაჭვული, და არავითარი სურვილი არა აქვს ცად ასვლისა არც „უცთომელი“ პაპის „კურთხევით“, არც პროტესტანტული გონების კიბით. ის საერთოდ არ აპირებს ამ ქვეყნის დატოვებას და უნდა, რომ მისი საფლავი იქვე იყოს, სადაც აკვანი დაირწა. ის არ იცნობს სხვა ქვეყანას, ვერ გრძნობს ზეციურ კეთილსურნელებას, არც ანგელოსები და წმინდანები ესიზმრება, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შესახებ ხომ გაგონებაც არ სურს რაიმესი, რამეთუ ცხოვრების გარყვნილი წესი ქალწულების სიძულვილს განუმტკიცებს. მთელი მოედანი წყვდიადს მოუცავს, ყველა ჩირაღდანი ჩამქრალა. რა საზარელი სიბნელეა! ძმა ძმას ლახვარს სცემს გულში, რადგან იგი მტრად ეჩვენება. მამა შვილზე ამ-

ბობს უარს და შვილი — მამაზე. მგელი უფრო მეტ მეგობრობას უწევს მგელს, ვიდრე ადამიანი-ადამიანს.

ოჰ, ძმებო! ნუთუ ვერ ხედავთ ყოველივე ამას? ნუთუ ჯერაც არ გიგრძვნიათ საკუთარ თავზე ანტიქრისტეანული ევროპის სიბნელე და სიბოროტე? ვის გინდათ შეუდგეთ: ქრისტეს თუ ევროპას? სიცოცხლეს თუ სიკვდილს? ამ ორ გზაზე ელაპარაკებოდა ოდესღაც მოსე თავის ხალხს, ჩვენ კი თქვენ გეუბნებით. იცოდეთ, რომ ევროპა სიკვდილია, ქრისტე — სიცოცხლე. სიცოცხლე აირჩიეთ, და, მარადიულ ცხოვრებას დაიმკვიდრებთ. ძმებო, XVIII საუკუნე არის მამა XIX საუკუნისა, XIX საუკუნე კი XX საუკუნის მამაა. მამა დიდ ვალებში ჩავარდა, შვილმა ვერ გადაიხადა მამის ვალები, პირიქით, უფრო გაზარდა ისინი, და ვალი შვილიშვილზე გადავიდა. მამას მძიმე სნეულება სჭირდა, შვილმა ვერ დასძლია მამის მძიმე მემკვიდრეობა და კიდევ უფრო დასნეულდა, და ავადმყოფობა გასამკეცებული ძალით დაატყდა თავს შვილიშვილს. შვილიშვილი სწორედ ის XX საუკუნეა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

XVIII საუკუნე იყო რომაელი პონტიფექსის ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ ჯანყის საუკუნე. XIX საუკუნე ღმერთის წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავს. XX საუკუნემ კი პირდაპირ ეშმაკთან დაამყარა კავშირი. ვალები გაიზარდა, ავადმყოფობა მომძლავრდა, ღმერთმა კი თქვა, რომ მამების ცოდვებს მესამე და მეოთხე თაობასაც კი მოკითხავს. ვერ ხედავთ, როგორ დასაჯა ღმერთმა შვილიშვილები მათი ევროპელი პაპების ცოდვებისათვის? ვერ ხედავთ მათრახის კვალს შვილიშვილების ზურგებზე იმის გამო, რომ პაპებს ვალები დარჩათ გადაუხდელი?

მეფე-ანტიქრისტე XIX ს-ის დასაწყისს აღნიშნავს, პაპი — ანტიქრისტე — XIX ს-ის შუა ხანებს, ევროპული ფილოსოფია — ანტიქრისტე (ფსიქიატრული საავადმყოფოდან მოსული) — XIX ს-ის დასასრულს. ბონაპარტე, პიუსი, ნიცშე ესაა სამი საბედისწერო სახელი, სამი უმძიმესი ავადმყოფობის სახელი.

ვინ არიან ისინი, XIX საუკუნის გამარჯვებულები? არა, ისინი XVIII საუკუნიდან გამოყოლილი სნეულების ყველაზე საშიში მატარებლები არიან კეისარი, პონტიფექსი და ფილოსოფოსი... და ეს ხდება არა წარმართულ ძველ რომში, არამედ ნათელღებული ევროპის შუაგულში! ისინი გამარჯვებულნი კი არა, ძლეულნი არიან. როდესაც ბონაპარტე მოსკოვის სიწმინდეებს ზარბაზნებს უმიზნებდა, როდესაც პიუსი თავის თავს უცთომელად აცხადებდა, როდესაც ნიც-

შემ აღიარა, რომ ანტიქრისტეს მსახურებს, მზე ჩაქრა ცის კაბადონზე, და ერთი კი არა, ათასი მზე რომ ყოფილიყო, ათასივე ჩაქრებოდა შიშისა და მწუხარებისაგან, რამეთუ ასეთი საოცრება ქვეყანას არ მოსწრებია: ათეისტი მეფე, ათეისტი პონტიფექსი და ათეისტი ფილოსოფოსი. ნერონის დროს სამიდან ერთ-ერთი მაინც არ იყო ათეისტი — ფილოსოფოსი (სენეკა). XVIIIს. პილატეს საუკუნეა, რადგან ქრისტეს სიკვდილი მიუსაჯა, XIX ს. კაიაფას საუკუნეა, რადგან ქრისტე ხელახლა ჯვარს აცვეს, ხოლო XX საუკუნე სინედრიონის საუკუნეა, სინედრიონისა, რომელიც მოუნათლავი და მონათლული ებრაელებისაგან შედგებოდა და რომელმაც დაადგინა, რომ ქრისტე სამარადისოდ მოკვდა და არც არასოდეს აღმდგარა მკვდრეთით. რატომღა გიკვირთ, ძმებო, რომ ევროპას არნახული უბედურებების ჟამი დაუდგა — შფოთის, ომებისა და რევოლუციების ჟამი?

მაშ ვინღაა გამარჯვებული, თუ არა კეისარი, პონტიფექსი და ფილოსოფოსი ქრისტესგან განდგომილი ევროპისა? გამარჯვებულია რუსი გლეხკაცი, სერბი გლეხკაცი, რომელთა შესახებ ქრისტე ამბობს: „ხოლო უმცირესი თქუენ ყოველთა შორის იგი არს დიდ“ (ლუკა, 9, 48). ვინ იყო უფრო მცირე და უბრალო XIX ს-ში — დიდი ბონაპარტეს, „უცთომელი“ პიუსისა და შეუვალი ნიცშეს საუკუნეში ვიდრე რუსი გლეხკაცი — წმინდა ადგილების მოსალოცად დაძრული, და სერბი გლეხკაცი — ნახევარმთვარის წინააღმდეგ მებრძოლი და ბალკანების განმათავისუფლებელი? სატანური ბრძოლის ველი, სატანური სამღვდელოება, სატანური სიბრძნე — ეს იყო XIX საუკუნის იმპერატორის, პაპისა და ფილოსოფოსის სარბიელი. სერბი გლეხი ყოველივე ამის საპირისპირო მოვლენა გახლდათ: ჯერ ერთი, მისი თავადაზნაურობა გმირულად იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისა და მართლმადიდებლობის სიწმინდის დასაცავად, მეორე — მისმა სამღვდელოებამ ქრისტესთვის სიკვდილი დაითმინა, და მესამე — მისი ფილოსოფია იყო მოციქულთა, მებადურთა სიბრძნე. სწორედ მათ შესახებ თქვა უფალმა იესო ქრისტემ: „აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩვილთა“ (მათე, 11, 25). რა გამოუცხადა ღმერთმა ჩჩვილთა? ვაჟკაცური შემართება, ზეციური სიწმინდე და ღმრთაებრივი სიბრძნე, ანუ გამოუცხადა მათ ყოველივე, რაც ისევე განსხვავდება დასავლეთის კეისრის, პაპისა და ფილოსოფოსისაგან როგორც დღე განსხვავდება ღამისაგან.

ევროპა რომ ქრისტეანულად დარჩენილიყო, ქრისტეთი მოიწო-

ნებდა თავს და არა კულტურით. აზიისა და აფრიკის დიდი ქვეყნები, თუმცა მოუნათლავები, მაგრამ სულიერი ცხოვრებით მცხოვრებნი, ამას გაიგებდნენ და დააფასებდნენ, რადგან თითოეული მათგანი თავს იწონებს თავისი სარწმუნოებით, თავისი ღმერთებით და თავისი რელიგიური წიგნებით — ყურანით, ვედრებით და ა. შ. ისინი მხოლოდ იმით როდი იწონებენ თავს, რაც თვითონ შექმნეს ანუ კულტურით, არამედ იმითაც, რაც საკუთარ თავზე მაღლა მდგომად, უმაღლეს სფეროდ მიაჩნიათ. მხოლოდ ევროპელი ხალხები არ იწონებენ თავს არც ქრისტეთი და არც მისი სახარებით, მათ თავი მოაქვთ მხოლოდ თავიანთი სიკვდილის მთესველი მანქანებით და იაფფასიანი ფაბრიკებით, და ამ თავმოწონების შედეგი კი ისაა, რომ ყველა არაქრისტეანმა ერმა შეიძულა ქრისტე და ქრისტეანობა. ამ ერებმა მოიძულეს მცირე და ზედ მიაყოლეს უდიდესი რამ: ევროპული განათლების ნაყოფისადმი სიძულვილს დაუმატეს ქრისტესა და ქრისტეანობის სიძულვილიც. მაგრამ ევროპას ესეც არ აღელვებს, რამეთუ მან ყველაზე ადრე შეიძულა და უარყო თავისი ღმერთი. ასეთ არასახარბიელო მდგომარეობამდე მიიყვანა ევროპული სამყარო მისმა მცდარმა განვითარებამ, რომელიც ფსევდოეკლესიის გაელენით მიმდინარეობდა ბოლო 900 წლის მანძილზე, და ამაში დამნაშავენი ევროპელი ხალხები კი არა, მათი სულიერი მწყემსები არიან.

რა ბედნიერება იქნებოდა, ევროპა რომ იქადოდეს ქრისტიანობით, როგორც უძვირფასესი მემკვიდრეობით და მონაპოვარით. ეს ასე უნდა ყოფილიყო და ასეც იყო ქრისტეს მოსვლის შემდგომ პირველ საუკუნეებში, როდესაც სახელი ევროპა ქრისტეანობის სინონიმი იყო და ერთარსი მისი. ქრისტეს განდიდება და მისი ქადაგება მთელ ქვეყანაზე ღმერთმა სწორედ ევროპის კონტინენტს დააკისრა. ქრისტიანობის გარდა ევროპა ვერაფრით მოიწონებს თავს, რამეთუ ქრისტეს გარეშე იგია ლატაკი, სხვისი ხელის შემყურე პარაზიტი და ყველაზე უსინდისო მძარცველი მსოფლიოსი.

ევროპული სკოლა გამოეყო ეკლესიას, უარყო ღმერთის რწმენა და იქცა მომწამვლელად, რომელსაც ევროპული ხალხებისათვის სიკვდილი მოაქვს. წარმართულ კულტურებში მეცნიერება არასოდეს ყოფილა სარწმუნოებისაგან გამოყოფილი, თუნდაც ეს სარწმუნოება მცდარი და სულელური ყოფილიყო. ეს გამოყოფა მოხდა მხოლოდ ევროპაში, თუმცა მას ყველაზე სრულყოფილი სარწმუნოება ჰქონდა. ეკლესიის უხუცესებთან შეტაკების გამო ევროპამ უარყო ეს ყველაზე სრულყოფილი სარწმუნოება და დაიტოვა ყველაზე სრულყოფი-

ლი მეცნიერება, უარყო ღმრთაებრივი ცოდნა და ჩაებღაუჭა კაცობრივ უმეცრებას, და ამით განაცხადა თავისი სიცოფე და უგუნურება.

დასავლეთს საყმაწვილო სენი შეეყარა. ამაშია მისი სიბილწეც და მისი სიშმაგეც. თავის ქრისტეანულ პერიოდში ევროპა მართლმადიდებელი იყო და ხედავდა სულიერი ხედვითაც და გონებითაც. მაგრამ რაც უფრო მეტად შორდებოდა ქრისტეანულ ჭეშმარიტებას და ქრისტიანულ სათნოებებს, მით უფრო უარესდებოდა მისი სულიერი ხედვა, ვიდრე XX საუკუნეში საერთოდ არ დაკარგა იგი. ახლა დასავლეთს შერჩა მხოლოდ ხორციელი თვალები მგრძნობელობითი ხედვისათვის, ეს ხედვა მას უკიდურესად განუვითარდა და ხელს უწყობს, რომ უკეთ. დეტალებში დაინახოს ნივთიერი, ხორციელი სამყარო, მისი ფორმები, ფერები, რიცხვი, ზომა. ეს ხედვა მიკროსკოპითაა შეიარაღებული და ხედავს უწვრილეს ჭიაღუასა და მიკრობებს, იგი ტელესკოპსაც იყენებს და ისე ახლოს ხედავს ვარსკვლავებს, კაცთაგან არავის რომ არ ღირსებია ადრე. ესაა და ეს. რაც შეეხება საგანთა დაფარული ბუნების გონებით ჭვრეტას და სულიერ წვდომას მთელი სამყაროს აზრსა და დანიშნულებაში, ამ სფეროში დასავლეთ ევროპა ახლა უფრო ბრმაა, ვიდრე მუსულმანური არაბეთი და ბრამანული ინდოეთი, ანდა ბუდისტური ტიბეტი და სპირიტული ჩინეთი. და მართლაც, ქრისტეანობას ამაზე მეტი სირცხვილი არ ახსოვს გასული ორი ათასი წლის მანძილზე, რამეთუ ნათელღებული ადამიანები უნათლავებზე უფრო ბრმანი აღმოჩნდნენ. რაშიც პაულე მოციქული ამხილებდა ნათელღებულ გალატელებს, იგივე შეუძლია აყვედროს საკუთარ თავს სიყმაწვილეში ჩავარდნილმა ევროპამ: „ჰოი უცნობელნო გალატელნო, ვინ გეშურებოდა თქვენ ჭეშმარიტებისა არა მორჩილებად, რომელთა თუალთა წინაშე პირველვე გამოიწერა თქუენ შორის იესო ქრისტე ჯუარს-ცუმული?.. ესრეთ უცნობელ ხართ, იწყეთ სულიერად და აწ ხორციელად აღასრულებთ?“ (გალ. 3, 1—3) ოდესღაც ევროპაც სულით, სულიერი ხედვით იწყებდა, ახლა კი ამთავრებს ხორცით, ანუ ხორციელი ხედვით, განსჯით, სურვილებით და მოპოვებული სიკეთეებით. პირდაპირ მოჯადოებულია! მთელი მისი ცხოვრება ორ განზომილებაში მიმდინარეობს: სიგრძესა და სიგანეში, ანუ სიბრტყეში. მისთვის უცნობია სიღრმე და სიმაღლე, ამიტომაც იბრძვის მიწისთვის, მოკლედ, სიბრტყის და მხოლოდ სიბრტყის გაფართოებისთვის!

ამიტომაა, რომ ომი ომს მოსდევს და საშინელება-საშინელებას. რამეთუ ღმერთმა ადამიანი იმისთვის როდი შექმნა, რომ მან უბრა-

ლოდ იარსებოს, პირუტყვის ცხოვრებით იცხოვროს, არამედ იმისთვისაც, რომ მან გონებით განეკვრიტოს საიდუმლოს სიღრმე, გულით კი ღმრთაებრივ სიმაღლეს მიაღწიოს. ომი მიწის მოსაპოვებლად არის ომი ჭეშმარიტების წინააღმდეგ, ომი ღმრთაებრივი და ადამიანური ბუნების წინააღმდეგ. მერედა, რამდენს იტანჯებიან, იჭირვიან და რამდენს კარგავენ ადამიანები ამსოფლიური, წარმავალი და მაცდური მიწიერი ცხოვრების მანძილზე! ამ საშინელი ტანჯვის მეასედის დათმენაც რომ მოისურვონ ზეციური სასუფევლის მოსახვეჭად, მაშინ ომი დედამიწაზე სრულიად უაზროდ და სასაცილოდ მოეჩვენებათ.

დაე, ევროპამ ჭეშმარიტი ნათლისღება მიიღოს და ქრისტეს დაუბრუნდეს. დაე გაიხსენოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და ქრისტეს თორმეტი მოციქული, მაშინ თვალთაგან ლიბრი გადაეცლება და ისეთივე მშვენიერი გახდება, როგორიც ათასი წლის წინ იყო მართლმადიდებელი ევროპა. მაშინ ისიც ბედნიერი იქნება და ჩვენც მასთან ერთად. მაშინ განიხარებენ ევროპელი ხალხები და ჩვენთან ერთად ცრემლით აღუვლენენ ღმერთს მარადიულ სადიდებელს: წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა, ამინ.

მაგრამ ხელმწიფებისმოყვარე და ქედმაღალი ევროპელი ხალხები დღემდე არ ცნობენ თავიანთ დანაშაულს. მათ წარმოდგენა არა აქვთ არც ცოდვაზე, არც სინანულზე, და ყოველგვარ ამქვეყნიურ ბოროტებაში ყველას ადანაშაულებენ, საკუთარი თავის გარდა. ან როგორ იგრძნობენ თავიანთ ცოდვებს ისინი, ვინც ღმრთის საჯდომელზე დასხდნენ და საკუთარი თავი უცთომელ ღმერთებად გამოაცხადეს! პირველმა ეს პაპმა გააკეთა, შემდეგ დასავლეთის თავადებმა და მეფეებმა, შემდეგ კი ყველა დანარჩენმა: იმათაც, ვისაც ჯვარი უპყრია, და იმათაც, ვინც ხმლითაა შეიარაღებული.

XVIII—XX საუკუნეების მთელი ისტორიის ორიოდე სიტყვით დახასიათება რომ შეიძლებოდეს, ყველაზე შესაფერისი ალბათ ასეთი განსაზღვრება იქნებოდა. ევროპასა და ქრისტეს შორის გამართული სამსჯავროს ოქმი. ბოლო სამასი წლის მანძილზე ევროპაში ხომ არაფერი მომხდარა ისეთი, ქრისტესთან რომ არ ჰქონოდა კავშირი.

ამ სამსჯავროზე ქრისტე ევროპას ეუბნება, რომ იგი, ევროპა, ქრისტეს სახელითაა ნათელღებული და ამიტომ ქრისტესა და მისი სახარების ერთგულება უნდა დაიმარხოს. ამაზე მსჯავრდებული ასე

უპასუხებს: — ყველა სარწმუნოება ერთნაირია. ეს ფრანგმა ენციკლოპედისტებმა გვასწავლეს, და ვერავინ ვერავის აიძულებს ჰქონდეს ესა თუ ის სარწმუნოება. ევროპა ყველა სარწმუნოებას და ყველა ხალხურ ცრურწმენას ითმენს თავისი იმპერიალისტური ინტერესების გამო, თუმცა თვითონ არც ერთს არ იზიარებს. როდესაც ჩვენ საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს მივაღწევთ, მაშინ იმ ცრურწმენებსაც მალე მოვუღებთ ბოლოს.

ქრისტე: — როგორ შეგიძლიათ, ადამიანებო, მხოლოდ მატერიალური ინტერესებით, მხოლოდ ხორციელი გულისთქმებით იცხოვროთ? მე მოვედი, რომ ღმრთის შვილებად გყოთ, თქვენ კი ამაოებას ეძლევით და საკუთარ თავთან ბრძოლაში იღუპებით, და ემსგავსებით პირუტყვთა მათ უსიტყვურთა.

ევროპა: — შენ მოძველდი, და შენი სახარებისნაცვლად ჩვენ ბიოლოგია გამოვიგონეთ. ახლა უკვე ვიცით, რომ შენი და შენი ზეციური მამის კი არა, ორანგუტანგისა და გორილას შთამომავლები ვართ. ახლა საკუთარი სრულყოფითა ვართ დაკავებულნი, გვინდა რომ ღმერთები გავხდეთ, რამეთუ საკუთარი თავის გარდა სხვა ღმერთებს არა ვცნობთ.

ქრისტე: — თქვენ ძველ იუდეველებზე უფრო ჯიუტი ხალხი ხართ. ბარბაროსული წყვდიადიდან ზეციურ ნათელში ამოგიყვანეთ, თქვენ კი ისევ სიბნელეს უბრუნდებით, როგორც ღორები უბრუნდებიან ხოლმე ტალახს. მე სისხლი დავანთხიე თქვენთვის. მე გიჩვენეთ ჩემი სიყვარული მაშინ, როცა ყველა ანგელოსმა ზურგი შეგაქციათ, რამეთუ ვერ აიტანეს თქვენი ჯოჯოხეთური სიმყრალე. მე მოველ სოფლად, რათა განმეწმინდეთ და მეკურთხებინეთ, როდესაც თქვენ სიბნელითა და სიმყრალით იყავით მოცულნი. მაშ ნუღარ შეორგულდებით, თორემ ისევ იმ აუტანელ სიბნელესა და სიმყრალეს დაუბრუნდებით.

ევროპა, სიცილით: — წარვედ ჩვენგან. ჩვენ შენ არ გიცნობთ. ჩვენ ვაღიარებთ მხოლოდ ელინიურ ფილოსოფიას და რომაულ კულტურას. ჩვენ თავისუფლება გვინდა. ჩვენ გვაქვს უნივერსიტეტები, მეცნიერება — იგია ჩვენი გზის მანათობელი ვარსკვლავი. ჩვენი ლოზუნგია თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა. ჩვენი გონება არს ღმერთი ღმერთთა. შენ აზიელი ხარ, ჩვენ შენზე უარს ვამბობთ. შენა ხარ მხოლოდ ჩვენი უბირი წინაპრების გამოგონილი, ჟამგადასული ლეგენდა.

ქრისტე: — მე წავალ, თვითონვე ნახავთ. თქვენ დაუტოვეთ გზა

ღმრთისა და სატანის კვალს დაადექით. კურთხევა და ბედნიერება უკვე წაგერთვათ. ჩემს ხელთაა თქვენი სიკვდილ-სიცოცხლე, რამეთუ მე ნებსით ჯვარს-ვეცვი თქვენთვის. მე კი არ განგსჯით. არამედ თქვენივე ცოდვები და თქვენი განდგომა ჩემგან, თქვენი მაცხოვრისგან. მე გამოგიცხადეთ სიყვარული მამისა ჩემისა ყოველი კაცის მიმართ და მსურდა ამ სიყვარულის შემწეობით ცხოვნება მომეტანა ყველასათვის.

ევროპა: — რა სიყვარული? ჯანსაღი მამაკაცური სიძულვილი ყველას მიმართ, ვინც ჩვენ არ გვეთანხმება — ესაა ჩვენი პროგრამა. შენი სიყვარული ზღაპარია, და ჩვენ მის ადგილას დავაყენებთ: ნაციონალიზმს, ინტერნაციონალიზმს, პროგრესს, ევოლუციას, კულტურას — ესაა ჩვენი ცხოვნება, შენ კი წადი, გაგვშორდი.

*

ძმებო, სასამართლოს სხდომა დამთავრებულია: ქრისტემ მიატოვა ევროპა, როგორც ოდესღაც ღადარინელთა მხარე მიატოვა. მაგრამ როგორც კი იგი გაშორდა ევროპას, მაშინვე დაიწყო ომები, მტრობა, საშინელებები, ნგრევა, განადგურება. ევროპაში წინაქრისტიანულ დროის ბარბაროსობა დაბრუნდა — ავარების, ჰუნების, ლონგობარდების, აფრიკელების — ოღონდ ბევრად უფრო საშინელი ბარბაროსობა. ქრისტე გაშორდა ევროპას და თან წაიღო თავისი ჯვარი და კურთხევა. დარჩა წყვდიადი და სიმყრალე. ახლა კი თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, ვის შეუდგეთ: შავბნელ და მყრალ ევროპას თუ ქრისტეს.

აზიისა და აფრიკის მკვიდრნი ევროპელებს თეთრ დემონებს უწოდებენ. შესაბამისად, ევროპას შეგვიძლია ეუწოდოთ „თეთრი მხარე, დემონთა მხარე“: თეთრი — კანის ფერის გამო, ხოლო „დემონთა“ — სულში ჩამოწოლილი წყვდიადის გამო, რამეთუ ევროპას უარყო ერთი ღმერთი, რომაელი კეისრების მსგავსად, რომლებმაც რომის ბატონობის მიწურულს მის იმპერიაში შემავალ ყველა ხალხს განუცხადეს, რომ ყველას აქვს უფლება თაყვანი სცეს თავის ღმერთს, როგორც უნდა და როგორც იცის. ასეთ შემწყნარებლობას ეკლესიაც გამოიჩენს, მაგრამ ყველამ თაყვანი უნდა სცეს მას, როგორც უმაღლეს ღვთაებას, რომელსაც სახელად ან ევროპა ჰქვია, ან კულტურა.

ჩვენს დღეებში ასეთ კამპანიად იქცა რომი, იგი ისეთივე გახდა, როგორიც კონსტანტინე მეფემდე იყო — რომი, რომელიც ცეცხლითა და მახვილით სდევნიდა ქრისტეანებს, ხოლო თვით ქრისტეს

კარს უკეტავდა ევროპისაკენ, ვიდრე სატანური, წარმართული რომი, რამეთუ ძველ რომს ერთი ეშმაკი ტანჯავდა, თეთრ დემონთა მხარეს კი შვიდი ეშმაკი ებრძვის, რომლებიც იმ ერთზე უბოროტესნი არიან. მზად იყავით, რომ თეთრ დემონთა მხარისგან დაითმინოთ სიკვდილი და წამება ქრისტესთვის.

ახალი წარმართული ევროპა არც ერთ ღმერთს არა სცემს თაყვანს, არ სცნობს ღმერთებს თავისზე მაღლა, და ამაყობს მხოლოდ საკუთარი თავით, თავისი გონებით, სიმდიდრით, ძალით. თანამედროვე ანტიქრისტეანული ევროპა არის საპნის ბუშტი, რომელიც კინაღამ გასკდა აზიისა და აფრიკის სასაცილოდ და მთელ მსოფლიოს მოსდო სიმყრალის სუნი. ევროპა სხვადასხვა აღმოჩენათა მოჯადოებულ წრეში ცხოვრობს: ვინც არ უნდა გამოაცხადოს რაიმე ახალი აღმოჩენის შესახებ, მყისვე გენიოსად აღიარებენ, და ვინც სხვის გამოგონებას აღწერს, იმასაც გენიოსად ნათლავენ. უთვალავი აღმოჩენა ხდება, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აქცევს ადამიანს უფრო უკეთესად, უფრო პატიოსნად და უფრო განათლებულად. ბოლო ათასი წლის მანძილზე ევროპას არც ერთი აღმოჩენა არ გაუკეთებია ზნეობისა და სულიერების სფეროში, მხოლოდ მატერიალურ სამყაროში ხდება აღმოჩენები, რომლებმაც კაცობრიობა უკვე მიიყვანეს უფსკრულის პირას, სულიერი წყვდიადის სამყოფელში, როგორიც არ ახსოვს ქრისტეანობის ისტორიას, რამეთუ ყველა აღმოჩენას ევროპა ქრისტეს წინააღმდეგ წარმართავდა, მხოლოდ არ ვიცით, ამას თავისი გონებით სჩადიოდა თუ ებრაელთა კარნახით.

ტელესკოპი რომ გამოიგონეს, ევროპელებმა ეს ქრისტეს სახარების საწინააღმდეგოდ ახსნეს. მიკროსკოპი შექმნეს და ისევ ქრისტეს გმობა დაიწყეს. რკინიგზა, ორთქლის ძრავა, ტელეფონი და ტელეგრაფი რომ გამოიგონეს, ევროპელების ტრაბახმა ხომ ყურთასმენა წაიღო. როდესაც ადამიანებმა შექმნეს წყალქვეშა ნავები, თვითმფრინავები, დიდ მანძილზე სალაპარაკო ტელეფონები, მაშინ ქრისტე ისევე უსარგებლოდ და არათანამედროვედ მოეჩვენათ, როგორც ეგვიპტური მუმიები. მაგრამ ყველა თავისი აღმოჩენა ბოლო 200 წლის მანძილზე ევროპამ გამოიყენა მსოფლიო ომებში თვითმკვლელობისათვის, დანაშაულობებისთვის, სიძულვილის გაღვივებისათვის, ნგრევისთვის, სიცრუისთვის, ძალადობისთვის, ხალხის სიწმინდეებისა და წმინდა ჩვეულებების შებღალვისათვის, ტყუილისა და უჯერო საქციელისთვის, გარყვნილებისა და უღმრთოებისთვის მთელ

მსოფლიოში. სინამდვილეში ევროპამ მხოლოდ საკუთარი თავი მოატყუა, რამეთუ არაქრისტეანმა ხალხებმა დაინახეს რას წარმოადგენს ევროპა და რა უნდა მას, და „თეთრ დემონთა მხარე“ უწოდეს მას.

დავით მეფე ამბობს: „ესენი ეტლებითა და ესენი ჰუნებითა, ხოლო ჩუენ სახელითა უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲთა ჩუენ ვხადოდით“ (ფს. 19, 8). მკვეხარებმა დაიძინეს, თავიანთი ცრუ დიდებით დამტკბარებმა, ჩვენ კი მღვიძარენ ვიდგეთ. პავლე მოციქული კიდევ უფრო დაბეჯითებით გვეუბნება: „რა გაქუს, რომელი არა მიგიღებიეს? ხოლო უკუეთუ მიგიღებიეს, რასა იქადი, ვითარცა არა მიღებულსა?“ (1 კორ. 4, 7). იცოდე, რომ ყველა აღმოჩენა უფლის განგებით და მის წინაშე შეიქმნა, და ისწავლე სიმდაბლე.

გამოსავალი ყველა გამოუვალი მდგომარეობიდან

ეს გამოსავალი არის უფალი იესო ქრისტე და მისი ღმრთაებრივი ქმნილება — ეკლესია, რომელშიც იგია თავი, ხოლო ეკლესია — სხეული მისი. სამოციქულო, წმინდა მამათა, საყოველთაო, მსოფლიო, მართლმადიდებელი სარწმუნოება ამ ეკლესიისა არის სწორედ აღდგომა ყველა მწვალებლური სიკვდილიდან. ნებისმიერი მწვალებლობა, ასე თუ ისე, ადამიანამდე დადის და ადამიანითვე იცვლება ღმერთკაცი, ქრისტე, რაც ეკლესიის უარყოფას ნიშნავს, ხოლო ეკლესია არის მთლიანად ღმერთკაცისაგან და ღმერთკაცში. საშველი ამ მდგომარეობაში არის მხოლოდ მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან დაბრუნება. წმ. მოციქულთა და წმ. მამათა გზაზე დაბრუნება, მათ შეურყეველ, მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან, მათ მადლმოსილ ცხოვრებასთან დაბრუნება ეკლესიის წიაღში, ქრისტესმიერ თავისუფლებასთან დაბრუნება, რომელიც მათ ღმერთმა მიანიჭა სული წმიდის მადლით, მათ მადლმოსილ გამოცდილებასთან, მათ წმინდა, ღმერთკაცის ბოძებულ სიკეთეებთან დაბრუნება. „მართლმადიდებლობის მამა“, „მეცამეტე მოციქული“, წმ. ათანასე დიდი ამბობს: „ჩვენ გვიპყრია და ვიმარხავთ მსოფლიო ეკლესიის სარწმუნოებას, რომელიც უფალმა გვიბოძა, მოგვცა, მოციქულებმა გვიქადაგეს, მამებმა დაიცვეს. რამეთუ ეკლესია მას ზედა დაემყარა, და ვინც მას განუდგება, ის არაა ქრისტეანი და არ შეეფერის სახელი ქრისტეანესი“ (წერილი სერაპიონს, 1, 28). მხოლოდ ასე თუ შეიძლება იხსნა თავი კაცთმოთნეობისა და კაცთა მსახურების მონობისაგან და აღხო-

ცო შენი ცოდვები, რამეთუ ეს მონობა კერპთმსახურების ტოლია. თუ მოციქულთა და წმ. მამათა მსგავსად მტკიცედ არ შეეუდგებით ერთ, ჭეშმარიტ ღმერთს, ღმერთკაცს და მაცხოვარს ჩვენსას იესო ქრისტეს, ყველა მწვალებელი უცილობლად დაინთქმება „კულტურული“ კერპთმსახურების ზღვაში და მსახურებას გაუწევს მხოლოდ კერპებს, რომლებშიც არაა ცხოვნება, არაა აღდგომა, არაა განღმრთობა ისეთი დახსნილი არსებისთვის, როგორიც ადამიანია.

მეშვიდე მსოფლიო კრების მამები, რომლებიც უფალმა იესო ქრისტემ, ღმერთკაცმა, ყოველგვარი კერპთმსახურებისგან განათავისუფლა, გვახარებენ და გვამცნობენ, რომ ერთადერთი მართლმადიდებლური გზა, რომელსაც მტკიცედ უნდა მივდიოთ, მიუხედავად ამ სოფლისა და ამ საუკუნის გონების დაბნელებისა, არის შემდეგი: „ჩვენმა წმ. მამებმა, რომლებიც ასრულებდნენ ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ღმრთაებრივ მცნებას, ისე აღანთეს ღმრთაებრივი ცოდნის სანთელი, რომ ყველას უნათებდეს სახლში, ანუ ყველას, ვინც მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში ადიდებს ქრისტეს, რათა არც ერთმა მათგანმა არ წამოჰკრას ფეხი მწვალებლური ბოროტი სარწმუნოების ქვას. რამეთუ წმ. მამები ყოველგვარ მწვალებლურ ცთომილებებს განაგდებენ და სხეულის დამპალ ასოებს კვეთენ, თუ ამ ასოების განკურნება უკვე შეუძლებელია. წმ. მამები წმენდენ კალოს და ხორბალს, ანუ ყოველ მასაზრდოებელ სიტყვას, რომელიც განამტკიცებს კაცის გულს, მართლმადიდებელი ეკლესიის ბეღელში ინახავენ, ხოლო მწვალებლური ბოროტი სარწმუნოების ბზეს განაგდებენ და ცეცხლში წვავენ... ჩვენც, ვინც ყოველნაირად ვიცავთ ჩვენს ღმერთშემოსილ მამათა დოგმატებსა და საქმეებს, ერთითა პირითა და ერთითა გულითა ვქადაგებთ იმას, რაც მათ გადმოგვცეს, ისე რომ არც ვაკლებთ რამეს და არც ვუმატებთ, არამედ მას შინა მტკიცედ ვდგავართ და ისე ვასწავლით და აღვიარებთ, როგორც ექვსმა წმინდა მსოფლიო კრებამ დაადგინა. და ჩვენც გვწამს, რომ „არცა მოციქულმან, არცა ანგელოზმან, არამედ თვით უფალმან აცხოვნა იგინი“ (ესაია, 63, 9), მას შეეუდექით და მისივე ხმას შეეიწყნარებთ და ხმამაღლა ვღაღადებთ: რაიმე კრებამ, მეფის ძალაუფლებამ, ან ღმრთისაგან შეთქმულებამ როდი იხსნა ეკლესია კერპთაგან, არამედ თვით უფალმა დიდებისა — განხორციელებულმა ღმერთმა აცხოვნა და გაათავისუფლა ეკლესია კერპთაყვანისმცემლობის ცთომილებისგან. მასვე დიდება, მასვე მადლი, მასვე თაყვანისცემა, მასვე ქება, რამეთუ გამოსყიდვა და ცხოვნება ჩვენი მისგან

არს, მან განახორციელა, რამეთუ მას ერთადერთს შესწევს ძალა მთლიანად გვაცხოვნოს, სხვას ეს არავის ძალუძს წარმავალ კაცთაგან. ამრიგად, როგორც წინასწარმეტყველებმა გვიწინასწარმეტყველეს, როგორც მოციქულებმა გვასწავლეს, როგორც ეკლესიამ მიიღო როგორც მასწავლებლებმა აღიყვანეს დოგმატად, როგორც ყოველი სოფელი დაეთანხმა, როგორც განვისწავლენით სული წმიდის მადლით, როგორც ჭეშმარიტებამ გამოგვიცხადა თავი თვისი, როგორც განგდებულ იქნა სიცრუე, როგორც დაემკვიდრა სიბრძნე, როგორც ქრისტემ დაამტკიცა — ისევე ვაზროვნებთ, ისევე ვლაპარაკობთ, ისევე აღვიარებთ ქრისტეს, ჭეშმარიტ ღმერთს.

ესაა სარწმუნოება მოციქულთა, სარწმუნოება მამათა, მართლმადიდებელი სარწმუნოება. სარწმუნოება ესე დაამტკიცებს ყოველსა სოფელსა“ (მე-7 მსოფლიო კრების აქტი, მე-4 სხდომა, და მართლმადიდებლობის სინოდიკონი).

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ

არქიმანდრიტი სერაფიმე (ალექსიევი)
არქიმანდრიტი სერგი (იაზაჯიევი)

„რაჯრომ არ შეიძლება ქრისტიანი იყოს ეკუმენისტი“

შინაარსი

ნაწილი I. ეკუმენიზმი და მისი ფსევდოქრისტიანული ხასიათი 206

1. ჭეშმარიტება მსოფლიოა, შეცთომილება კი შეუძლებელია იყოს მსოფლიო 206
2. ეკუმენიზმი არის წვალება ეკლესიის დოგმატის წინააღმდეგ — ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ 219
3. ეკუმენიზმი ძველი ეკლესიის დოგმატურ და კანონიკურ პრაქტიკას ეწინააღმდეგება და მწვალებლობებთან აახლოვებს მართლმადიდებლობას 249
4. ეკუმენიზმი არ ცნობს გამყოფ კედლებს, რომლებითაც მართლმადიდებლობა მწვალებელ კრებულებს გამოეყო 254
5. ეკუმენიზმი უარყოფს მოციქულთა მე-5 და 45-ე კანონებს, რომლებიც მწვალებლებთან ლოცვას კრძალავენ 263
6. ეკუმენიზმი ცდილობს განსხვავებათა შერბილებას მართლმადიდებლობასა და სხვა აღმსარებლობათა შორის 268
7. ეკუმენიზმი იყენებს მწვალებელთა მეთოდებს 272
8. ეკუმენიზმი ამზადებს მართლმადიდებლებს დოგმატური გადახვეეებისათვის 281
9. ეკუმენისტური გაერთიანების საფუძვლები. საეკლესიო საიდუმლოთა ურთიერთცნობა ეკუმენისტურ წიაღში 310
10. ეკუმენიზმი ხელს უშლის მართლმადიდებლურ მისიონერობას, იგი სხვადასხვა სექტებს „ეკლესიების“ სტატუსს ანიჭებს 342
11. ეკუმენიზმი მართლმადიდებელი ეკლესიისაგან მოითხოვს „ეკლესიათა განყოფის“ ცოდვის მონანიებას. 360
12. ეკუმენიზმის დამღუპველი გავლენა მართლმადიდებლებზე 373

ნაწილი II. ეკუმენიზმის ანტიქრისტეანული არსი

13. მასონობით შთაგონებული ეკუმენიზმი გზას უმზადებს ანტიქრისტეს 396
14. ეკუმენიზმის მიზანია ყველა რელიგიის ერთ, ანტიქრისტიანულ რელიგიად გაერთიანება, ბიბლიის ეკუმენისტური თარგმანები 428

15. ეკუმენიზმი ამკვიდრებს მკრეხელურ „ლიტურგიკულ“ სტილს — ჯაზით, ცეკვებითა და ღმრთისმგმობი ლოცვებით 457
16. ეკუმენიზმს მივყავართ ე. წ. „მკვდარი ღმერთის ღვთისმეტყველებისაკენ“ 465
დასკვნა 472
შენიშვნები 478

წინასიტყვაობა

დღეს ბევრს წერენ, ლაპარაკობენ და ქადაგებენ ეკუმენიზმზე, ეკუმენისტურ შეხვედრებზე, ქრისტიანთა ეკუმენისტურ გაერთიანებებზე, ეკუმენისტურ ღმრთისმეტყველებაზე და ა. შ. მაგრამ რას ნიშნავს ეკუმენიზმი, ხშირად იმათაც არ ეცმით, ვინც ამ სიტყვას ხმარობს.

სიტყვა „ეკუმენიზმი" ბერძ. „ოიკუმენი, ოიკეო"-დან წარმოსდგა (ესახლობ, ვბინადრობ). მაშასადამე, „ეკუმენი" არის დასახლებული მიწა, ოიკუმენა. თავიდან ამ სიტყვით აღინიშნებოდა კიდეც ადამიანებით დასახლებული მიწის ნაწილი.

ქრისტეს ეკლესია ძველად სიტყვა „ოიკუმენას" დედამიწას და მის მკვიდრთ უწოდებდა (მათ. 24, 14, ლუკ. 21, 26, გამოცხ. 3, 10, 12, 9). მაშასადამე, ზედსართავი „ეკუმენური" აღნიშნავს „საყოველთაოს", ანუ იმას, რაც მთელ დედამიწას და მის მკვიდრთ ეხება. წმ. მართლმადიდებელ ეკლესიას ბერძნულად ასევე ეწოდება „ეკუმენური", და ასეთიცაა არსებითად, რამეთუ მისმა ღმრთაებრივმა დამაარსებელმა დაადგინა, რომ იგი მთელ მსოფლიოში უნდა გავრცელებულიყო (მათ. 28, 19, მარკ. 16, 15).

თანამედროვე „ეკუმენისტურ" მოძრაობასაც „მსოფლიო მოძრაობის" პრეტენზია აქვს, მაგრამ იგი მსოფლიო ერთიანობას ჭეშმარიტი სარწმუნოების წიაღში მართლმადიდებლობისგან განდგომილი კონფესიების მექანიკური შეერთებით ცვლის, ამიტომ არის თანამედროვე ეკუმენიზმი სრულიად ახალი მოვლენა[1]. იდეის სახით ეკუმენიზმი XIX საუკუნის შუა წლებში გაჩნდა ინგლისსა და ამერიკაში და მიზნად ისახავდა სხვადასხვა ქრისტიანული აღმსარებლობების გაერთიანებას—იმ აღმსარებლობებისა, რომლებსაც რატომღაც „ეკლესიის" სახელი ჰქვიათ. ამ მიზნის მიღწევას ცდილობს 1948 წელს ამსტერდამის ასამბლეაზე შექმნილი „ეკლესიათა" მსოფლიო საბჭო (ემს), რომლის ცენტრიც ჟენევაში იმყოფება.

თანამედროვე ტერმინი „ეკუმენიზმი" მოიფიქრა და ხმარებაში

შეიტანა ჯონ მოტმა (1865 — 1955), მასონთა ცნობილმა ლიდერმა და „იმკა“-ს თავმჯდომარემ. ეს მოხდა „საერთაშორისო მისიონერული საბჭოს“ კონფერენციაზე, რომელიც 1910 წელს მისივე თავმჯდომარეობით შედგა ედინბურგში, შოტლანდიაში [2]. სწორედ იმ დროიდან დაედო საფუძველი მთელ ეკუმენისტურ მოძრაობას [3].

ნიშანდობლივია, რომ ჯონ მოტმა ამ მოძრაობას სათაურად ლათინური „უნივერსალიზმი“ კი არ უწოდა (universum სამყარო), არამედ მისი ბერძნული ანალოგია, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ მართლმადიდებლობას, როგორც ჭეშმარიტად მსოფლიო აღმსარებლობას. ჩანს, ამ არჩევანის უახლოესი, აშკარა მიზანი მწვალებლური ჩანაფიქრის მართლმადიდებლური ტერმინით შენიღბვაა, ხოლო შორეული — ადრე თუ გვიან მსოფლიო კრებების „ეკონომიურ საბჭოსთან“ გაიგივება, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, თავის თავს „მსოფლიო კრებად“ გამოაცხადებს.

რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ გამოსცა „წმ. სინოდის ეპისტოლე ემს-ს V ასამბლეისა და მისი შედეგების შესახებ“, რომელიც სამართლიან ბრალდებებს უყენებს ამ ორგანიზაციას. მასში ნათქვამია: „ქრისტიანულ ერთობასა და ეკუმენისტურ მოძრაობას დიდ საფრთხეს უქმნის ის ამბავი, რომ ეკუმენისტური მოძრაობის ზოგიერთ მონაწილეს ჰგონია, თითქოს „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს“ შეუძლია მიაღწიოს თავისი წევრი ეკლესიების ისეთ დაახლოებას, რომ ემს-ს ერთ-ერთი მომავალი გენერალური ასამბლეა მსოფლიო ქრისტიანულ კრებად იქცევა. ეს უკვე იმის დაშვებას ნიშნავს, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო მომავალში რაღაც „ზეეკლესია“ გახდება“ [4].

ამრიგად, ცნება „მსოფლიო“ (ოიკუმენიკოს), რომელიც მუდამ მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნოდა, დღეს ახალ, მართლმადიდებლობისათვის უცხო, „ეკუმენისტურად“ ცნობილ მოძრაობას აღნიშნავს. მაგრამ გარეგნული მსგავსება შინაგან იგივეობას როდი ნიშნავს. ტერმინ „ეკუმენიზმს“ მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთი, ჭეშმარიტი მნიშვნელობა აქვს, თანამედროვე ეკუმენისტურ მოძრაობაში კი — სულ სხვა.

ჟენევის „ეკუმენიზმის“ გაჩენამდე კარგა ხნით ადრე წარმოიშვა ჭეშმარიტი, მართმადიდებლური ეკუმენიზმი [5], რომელიც დღემდე არსებობს და მარად იარსებებს. ესაა ეკუმენიზმი, ანუ საყოველთაობა წმ. მართლმადიდებელი ეკლესიისა, იმ ეკლესიისა, რომელიც დააარსა ჩვენმა იესო ქრისტემ, რათა მისი მეშვეობით მთელ მსოფლიოში

გავრცელებულიყო ქრისტეს მიერ მოტანილი ღმრთივგამოცხადებული სწავლება და აღსრულებულიყო ქრისტესმიერი ცხონება. გავბედავთ და ვიტყვით, რომ ჩვენ სწორედ ამ ძველსა და მარად ახალ, ჭეშმარიტ ეკუმენიზმს ვეკუთვნით, ანუ წმ. მართლმადიდებელი ეკლესიის საყოველთაობას (კათოლიკობას). ამ მართლმადიდებელ ეკუმენიზმსა და თანამედროვე ევნევურ ეკუმენიზმს შორის არსებითი წინააღმდეგობები და ღრმა, დაუძლეველი დოგმატური სხვაობაა.

ამიტომ ჩვენ ვერ ვიქნებით „ეკუმენისტები" ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, რადგან ნამდვილი ეკუმენისტები ვართ, როგორც წევრები მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომელსაც თავისი დაარსების დღიდანვე „ეკუმენური" (ეკუმენური) ეწოდება! შეუძლებელია, კაცი ერთდროულად ორ აღმსარებლობას ეკუთვნოდეს — მაგალითად, მართლმადიდებლურსა და პროტესტანტულს, ასევე შეუძლებელია ერთდროულად მართლმადიდებელი ეკლესიის წევრიც იყოს და ეკუმენისტურ მოძრაობაშიც მონაწილეობდეს, რომელიც განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ჯიუტად ცდილობს თავისი, მართლმადიდებლობისათვის სრულიად უცხო იდეების დანერგვას.

ევნეველი ეკუმენისტები ეკუმენიზმს უწოდებენ „ჩვენს დროში სული წმიდის მოძრაობას" და თვლიან, რომ შეიძლება ახლებურად ლაპარაკი ღმერთზე, იესო ქრისტეს საიდუმლოებაზე და, განსაკუთრებით, წმ. ეკლესიაზე, ამასთან აშკარად არაფრად აგდებენ მართლმადიდებლურ დოგმატებს, კანონებსა და წმ. გადმოცემას. მაგრამ წმ. მართლმადიდებლობა ამას ვერ დაეთანხმება, იგი ვერ დაუშვებს დოგმატების ახალი რედაქციით მოვლინებას, კანონების შეცვლასა და მრავალი საუკუნის მანძილზე შემონახული მართლმადიდებლური გადმოცემების შერყვნას. მართლმადიდებლობას მტკიცედ უპყრია ის, რაც უფალი იესო ქრისტესა და მისი მოციქულებისაგან მიიღო, რამეთუ სურს წმ. პავლე მოციქულის მცნება დაიმარხოს: „მტკიცედ დეგით და შეიკრძალეთ მოძღურებაჲ ესე, რომელიცა გისწავიეს გინა სიტყვითა გინა წიგნითა ჩუენითა" (2 თეს. 2, 15). ევნევის ეკუმენიზმსა და წმ. მართლმადიდებელი ეკლესიის შეხედულებებს შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ იგი აშკარაა თვით საღმრთისმეტყველო საკითხებში გაუთვითცნობიერებელი ქრისტიანებისთვისაც, და ეს განსხვავება მასში ეკუმენისტური მოძრაობისადმი სამართლიან უნდობლობას იწვევს.

ყოველი არამართლმადიდებლური რელიგიური სწავლება დამლუპველია და საძაგელი ღმრთის წინაშე, რადგან მაცხოვნებელ, ღმრთივ-

გამოცხადებულ სწავლებას — მწვალებლური სიცრუით ცვლის — ამით იგი ღმერთს განარისხებს და განგვაშორებს მას. წმ. წერილში ღმერთი არაერთხელ გვიმოწმებს, რომ ღმრთის რისხვას მხოლოდ ისინი როდი იწვევენ, ვინც მის ნაცვლად კერპებს სცემს თაყვანს, არამედ ისინიც, ვინც არასწორად ქადაგებს მის შესახებ. იობის წიგნში ვკითხულობთ: „სცოდე შენ და ორთა მეგობართა შენთა, რამეთუ არა იტყოდეთ ჭეშმარიტისა ჩემ წინაშე არცა ერთსა რას, ვითარ-იგი მსახური ჩემი იობ“ (იობ. 42, 7). სულიერი ნათლით განათლებულმა ქრისტიანმა იცის, თუ რა საშინელებაა ღმრთის შესახებ არასწორი სწავლების შეთვისება, რამეთუ ღმერთი არის ღმერთი ჭეშმარიტებისა (ფსალმ. 30, 6), იცის, რა საშიშია ღმრთაებრივი დოგმატების შერყევნა და ამით ღმრთის მართალი რისხვის თავს დატეხვა! ამიტომ ურჩევს წმ. პავლე მოციქული თავის მოწაფეს, ტიმოთეს: „ისწრაფე თავისა შენისა რჩეულად წარდგინებად წინაშე ღმრთისა, მუშაკად ურცხვენელად, წარმართებად სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა“ (2 ტიმ. 2, 15).

მართლმადიდებლობის უპირატესობა სწორედ ისაა, რომ იგი, ერთადერთი ყველა ქრისტიანულ აღმსარებლობას შორის, ყოველთვის სწორად ასწავლიდა და ასწავლის ღმერთის, ქრისტეს, მისი წმიდა ეკლესიისა და ყველა საღმრთო საიდუმლოს შესახებ, მაშინ, როდესაც ყველა სხვა აღმსარებლობა შეიცავს „ჭეშმარიტებას სიცრუვით“ (რომ. 1, 18). დასაბამიდან ვიდრე დღევანდელ დღემდე იგი უცვლელად ინახავს ღმრთივგამოცხადებულ სწავლებასა და წმ. გადმოცემას.

ევანსტონის 1954 წლის ეკუმენისტური ასამბლეის მართლმადიდებელ მონაწილეთა დეკლარაციაში კარგადაა ნათქვამი, რომ „ერთადერთმა წმ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეინახა სავსებით და შეურყვნელად სარწმუნოება, „ერთგზის მოცემული მისთვის წმიდათა“ (იუდ. 1, 3). და ეს ჩვენი დამსახურების გამო კი არ მოხდა, არამედ იმიტომ, რომ ღმერთს სურს დაიცვას „საფასე ესე კეცის ჭურებითა, რაითა გარდარეული იგი ძლიერებისა იყოს ღმრთისა და არა ჩუენგან“ (2 კორ. 4, 7) [6].

როგორც წმ. მართლმადიდებელი ეკლესიაა ყოველთვის ერთგული ღმრთისა და სწორად ასწავლის მის შესახებ, ასევე მისი ყოველი ცალკეული წევრი უნდა იყოს ერთგული ღმერთისა და მტკიცედ ეპყრას საეკლესიო სწავლება, რათა არ დაეკარგოს თავისი კუთვნილება ეკლესიისადმი და არ მოაკლდეს საუკუნო ცხონებას, როგორც წმ. ათანასე დიდის სარწმუნოების სიმბოლოში ვკითხულობთ: „თუ ვინმეს ცხონება სურს, პირველ ყოვლისა კათოლიკე სარწმუნოება უნდა და-

იცვას. ხოლო თუ კაცი მას უვნებლად და განუხრწნელად არ ინახავს, საუკუნო წარწყმედა ელის!“ [7] საიდუმლოთა მცნობელი, წმ. იოანე ღმრთისმეტყველი გვიბრძანებს არაფერი შევცვალოთ იქიდან, რაც თავიდან მივიღეთ, ანუ არც გამოვაკლოთ და არც მივუმატოთ რაიმე იმას, რაც სული წმიდის მიერ მოგვეცა (გამოცხ. 22, 18—19), თორემ მოვაკლდებით ქრისტესმიერ ცხოვრებას, რომლის ღირსნი გახდებიან მხოლოდ „მორწმუნენი ვიდრე სიკვდილამდე“ (გამოცხ. 2, 10).

იგივე იოანე, სიყვარულის მოციქული, მტკიცედ იცავდა ჭეშმარიტ აღმსარებლობას: „რომელი მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღრებაჲ არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენთა და „გიხაროდენ“ ნუ ეტყვით მას. რამეთუ რომელმან ჰრქუას მას „გიხაროდენ“, ეზიარების საქმეთა მისთა ბოროტთა (2 იოან,. 1, 10—11), და ამიტომ მოითხოვს: „თქუენ უკუე, რომელი-იგი გესმა პირველითგან, თქუენ თანა ეგენ. უკეთუ თქუენ თანა ეგოს, რომელი-იგი გესმა პირველითგან, და თქუენცა ძისა თანა და მამისა თანა ეგნეთ“ (1 იოანე, 2, 24). ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც არ იმარხავს ღმრთივგამოცხადებულ სწავლებას, იესო ქრისტესაგან წმ. მოციქულთა მეშვეობით გადმოცემულს, ის უცხოა ღმრთაებრივ და ცხოველმყოფელი სამებისთვის და საუკუნო წარწყმედა ელის.

ახლანდელი ეკუმენიზმი ძველისძველ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას შორდება და უცხო აღმსარებლობებს უახლოვდება, რომლებიც, იობის მეგობრების მსგავსად, არ ამბობენ სიმართლეს ღმერთზე — იმ სიმართლეს, რომელსაც მონა ღმრთისა იობი ამბობდა. ამიტომ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი, ვისთვისაც სულის ცხონება ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა შეუძლებელია გულგრილი იყოს ეკუმენიზმის მიმართ, რომელიც ჩვენს მიერ აღსარებულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას სხვა, უცხო და უსწორო მსოფლმხედველობით ცვლის.

როდესაც ეკუმენიზმისა და მისი დამღუპველი გავლენის საკითხს ვიკვლევდით, წავაწყდით მთელ რიგ მნიშვნელოვან მიზეზებს, რომლებიც ეკუმენიზმის თანაგრძნობისა და მასში მონაწილეობის არავითარ უფლებას არ გვაძლევენ. ჩვენ გვინდა გავუზიაროთ ეს მიზეზები ყველას, ვისაც გულწრფელად სწამს ღმერთი და სურს მოიპოვოს საუკუნო ცხოვრება იესო ქრისტეს მიერ, მის წმიდა ეკლესიასთან ერთობით!

„ის, ვინც მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტება უკვე ნაპოვნია, კვლავ

განაგრძობს რაღაცის ძებნას, სიცრუეს დაეძებს“ (VII მსოფლიო კრების საქმეებიდან).

„ვისაც არ სურს ჭეშმარიტების მოწაფე იყოს, ის შეცთომილების მასწავლებელი ხდება“ (წმ. ლეონ დიდი, რომის პაპი).

„ჩვენს დროში ჭეშმარიტება იმდენად არის ბნელით მოცული, სიცრუე კი — იმდენად დამკვიდრებული, რომ ჩვენ ვერასოდეს ვიცნობთ ჭეშმარიტებას, თუკი არ გვეუყვარება იგი“ (პასკალი).

„სახიერო იესო ქრისტე! შენს ეკლესიაში არიან ადამიანები, რომლებიც არც შენს მოციქულობას სწევენ და არც ლოცვებს აღგივლენენ... მათ დაივიწყეს იერუსალიმი და შეიტკბეს ყენევა, სადაც სჯულის ახალი ფიცრები შექმნეს. მაგრამ შენც, ყენევა, რომელი ცამდე ამაღლდი, ჯოჯოხეთამდე ‘ითაპხდე“ (შდრ. ლუკ. 10, 15) (იერუსალიმის პატრიარქი, ტიმოთე (გარდ. 1955 წ.) სიტყვიდან სული წმიდის მოფენის დღესასწაულზე).

„ევროპა ჭკუიდან გვშლის, მაგრამ ‘ეკ ‘ ‘ ‘ მთლიანად წარმართული გახდა. იქნება სჯობდეს, თავი გავახებოთ? ჭეშმარიტი ნათელი ხომ ბიზანტიიდან მოგვევლინა. აღარც ჩვენა ვართ მცირეწლოვანნი. აგერ უკვე ათასი წელი გახდება, რაც გვწამს უფალი და მის წმიდა სჯულს ვიმარხავთ. ეს კი დაე სხვებმა ისწავლონ ჩვენგან, რამეთუ ჩვენთან არს ჭეშმარიტება!“ (წმ. თეოფანე დაყუდებული).

„თქვენ უკუე, რომელი-იგი გესმა პირველთაგან, თქუენ თანა ეგენ. უკეთუ თქუენ თანა ეგოს, რომელი-იგი გესმა პირველითგან, და თქუენცა ძისა თანა და მამისა ეგნეთ“ (1 იოანე, 2, 24).

„სხუაი უფროესი სიხარული ამისსა არა მაქუს, რაჲთა მესმოდის და თქუენცა ძისა თანა და მამისა ეგნეთ“ (1 იოანე, 2, 24).

„ხოლო შენ დაადგერ მას ზედა, რომელიცა გისწავიეს და გრწმენა, უწყი, ვისგან გისწავიეს“ (2 ტიმ. 3, 14).

„რამეთუ არა ხელ-გუეწიფების ჭეშმარიტებისა ძვირის-სიტყუად, არამედ ჭეშმარიტებისა კერძო“ (2 კორ. 13, 8).

„იცოდე, დროს კი არა, ღმერთს უნდა ვემსახუროთ“ (წმ. ათანასე დიდი, წერილი დრაკონტიუსის მიმართ).

„ჩვენ არ გვაეპვების ჭეშმარიტება და არ ვეწინააღმდეგებით მას, არამედ ერთი და იმავე სარწმუნოებითა და ჩვენი თავდაპირველი სარწმუნოების ბეჭდით ვართ დაცულნი. რამეთუ ისე არაფერი განაწყობს ადამიანებს თანამოაზრეობისთვის, როგორც თანხმობა ღმერთის შესახებ სწავლებაში, და არაფერი ქმნის ისეთ განხეთქილებას,

როგორსაც ამ სწავლებაში შეუთანხმებლობა“ (წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი, სიტყვა მე-6, თავი 11, 12).

„უფალო, შეაერთე ყველა ერთსულოვნებით და დაბადე ადამიანები, რომლებიც ერთნაირად იმსჯელებენ შენს ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და მართალ აღმსარებლობაზე“ (წმ. კირილე სლავის სიკვდილისწინა ლოცვიდან),

„საუკეთესო ერთობა სარწმუნოებისა და ჭეშმარიტი სიყვარულისმიერი ერთობაა.. არაფერია ისეთი მშვენიერი, როგორიც ჭეშმარიტება“ (მ. ფოტიოსი, პაპ ნიკოლოზ I-ს მიმართ მიწერილი წერილიდან).

ნაწილი პირველი

ეკუმენიზმი და მისი ფსევდოქრისტიანული ხასიათი

1. მიზეზი

ჰეშმარიტება მსოფლიოა, შეცთომილება კი შეუძლებელია იყოს და არც უნდა იყოს მსოფლიო

ა) მართლმადიდებელი ეკლესია — ჰეშმარიტების მატარებელი

წმ. მართლმადიდებელი ეკლესია, მხსნელი ხომალდის მსგავსად, რომელიც „ბოროტსა ზედა მდგომი სოფლის" (1 იოან. 5, 19) ზღვაში დაცურავს, უფალმა იესო ქრისტემ დააფუძნა სოფლისათვის „ჭეშმარიტებისა სიტყვის" (ტიტ. 1,9) საუწყებლად. ამას კარგად განმარტავს წმ. თეოფანე დაყუდებული: „სიტყვა მთელ ქრისტიანულ სწავლებას ნიშნავს. ეს ის სიტყვაა, რომელიც ქრისტე მაცხოვარს მამისაგან ესმა და სოფელში მოიტანა" (იოან. 8, 26, 14, 24), მოციქულებმა კი სული წმიდის ძალით გაავრცელეს მთელ დედამიწაზე" (მათ. 28, 19, იოან. 14, 26). სარწმუნო და ჭეშმარიტია ეს სიტყვა, რამეთუ იგი ღმერთისაგან გამოდის, რომელიც ჭეშმარიტია ყოველ თავის სიტყვაში. სარწმუნოა იმაშიც, რასაც კანონად გვიდგენს და იმაშიც, რასაც აღგვითქვამს.. ამრიგად, სარწმუნო არის ჭეშმარიტი სიტყვა, სწორედ ის, რომელიც ღმერთისგან გამოვიდა რაიმეს მიმატებისა ან გამოკლების, რაიმეს შეცვლის გარეშე..." [1]

ეს სიტყვა ჩაბარებული აქვს ეკლესიას და მის მსახურებს — მღვდლებსა და ეპისკოპოსებს, რომლებიც მოვალენი არიან იქადაგონ

იგი წმიდად, სხვა სწავლებათა მინარევების გარეშე, „წარმართებულად სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა“ (2 ტიმ. 2, 15). იმისათვის, რომ სულის ცხონებისთვის სასარგებლო და ქმედითი იყოს, ეს სწავლება უნდა დავიცვათ ყოველივე უცხოსაგან. სწორედ ეს არის „მოძღურება სიცოცხლისა“ (ტიტ. 1, 9), რომელსაც ეპისკოპოსი უნდა ქადაგებდეს. „ცოხცალი მოძღვრება ის არის, რომელიც ჭეშმარიტ დოგმატებსა და მართალ ცხოვრებას ასწავლის“ (წმ. თეოფანე დაყუდებული) [2].

ქრისტეს მოძღვრების შინაარსი ეთიკითა და დოგმატიკით განისაზღვრება; ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და განაპირობებენ ერთმანეთს, ამიტომ ვერც დოგმატიკა იარსებებს ეთიკის გარეშე და ვერც ეთიკა — დოგმატიკის გარეშე. რამეთუ „სარწმუნეობა თვინიერ საქმეთა მკვდარ არს“ (იაკ. 2, 26), და ასევე მკვდარია საქმე სარწმუნოების გარეშე (რომ. 4, 2—3). თუმცა „ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან“ (იაკ. 2, 19), მაგრამ მათი რწმენა უნაყოფოა, რამეთუ ამ რწმენას არ ახლავს კეთილი საქმეები. მწვალებლებსაც შეიძლება ჰქონდეთ გარეგნულად კეთილი საქმეები, მაგრამ ეს საქმეები მათ ცხონებაში ვერ შეეწევა, რადგან საფუძვლად სარწმუნოება არ უდევთ. წმ. თეოფანე დაყუდებულის განმარტებით ჭეშმარიტი, შეუორგულებელი სარწმუნოება „მოიცავს ყველა დოგმატს, ისინი კი ყველანი მართლაც ისეთები არიან, რომ თუკი მათ კაცი გულწრფელად იმარხავს, უეჭველად იწვევენ სიყვარულსაც და მის საქმეებსაც. ეს განსაკუთრებით ეხება დოგმატებს ღმრთის განგებაზე, გამოხსნასა და საუკუნო ნეტარებაზე. ღმერთი ყოველივეს ხედავს და ყველაფერს, რასაც ადამიანი მისი სიყვარულის გამო ძმებისთვის აკეთებს, თავისთვის გაკეთებულად მიითვლის. და განა ის, ვისაც ასე სწამს, არ შეეცდება სიკეთე უყოს ძმას და, მაშასადამე, ღმერთს? ასე ხდება სიყვარულის გარდამოსვლა, განწმენდა, გამრავლება და განმტკიცება შეუორგულებელი სარწმუნოების მეშვეობით“.

დოგმატიკა და ეთიკა მთელი სისავსით იმყოფება და ხორციელდება ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის წიაღში, რამეთუ იგი თვით უფალმა იესო ქრისტემ დააფუძნა 1) ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტ აღმსარებლობაზე, რომელიც პეტრე მოციქულმა დაგვიმოწმა ყველა მოციქულის სახელით (მათ. 16, 16—18, იოან. 6, 69), 2) ჭეშმარიტ ზნეობრიობაზე, რომელიც ღმრთის მაცხოვნებელი მადლის საფუძველზე აღმოცენდება (ტიტ. 2, 11—12), თვით მადლს კი ეკლესია იძლევა. ამ, ყოვლისმომცველი აზრით ეწოდება ქრისტეს ეკლესიას „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ (1 ტიმ. 3, 15). დიახ, ეკლესია არის

სკეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა, რადგან, წმ. თეოფანე დაყუდებულის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგია „ეკლესია ღმრთისა ცხოველისა, რომელიც არის ღმერთი ჭეშმარიტებისა, ანუ თავად ჭეშმარიტება. ამიტომაა მასში ყოველივე ჭეშმარიტი — სარწმუნოების აღმსარებლობა, საიდუმლოებებით განწმენდა, მადლის მოფენა, ქრისტესმიერი ცხოვრება. ღმერთი ამკვიდრებს ეკლესიაში და ამიტომ ჭეშმარიტია აგრეთვე ღმრთის შეწევნა, ჭეშმარიტნი არიან მისი აღთქმანი, რომელნიც განაცხოველებენ ღმრთის სახლის მსახურთ — ყოველივე ჭეშმარიტია ეკლესიაში. სხვაგან ნუ ეძებ ჭეშმარიტებას! არსებობს რაღაც მსგავსება ჭეშმარიტებისა ეკლესიის გარეშეც, მაგრამ ნამდვილი ჭეშმარიტება მხოლოდ მის შიგნითაა“ [4]. „ეკლესია არის სვეტი ჭეშმარიტებისა, რამეთუ მტკიცედ და ურყევად დგას ჭეშმარიტებასა ზედა და იცავს მას, იგია სიმტკიცე ჭეშმარიტებისა, რამეთუ ამშვიდებს გონებას, შემოპარული სიცრუით ამღვრეულს“ [5].

თუმცა ცოდვით დაცემის შემდეგ, როდესაც ადამიანს გონება დაუბნელდა, მან დაკარგა ჭეშმარიტება, მაგრამ სულში კი დარჩა მისი წყურვილი. ამ წყურვილის მიუხედავად, ღმერთისგან განდგომილ, შეცოდებულ კაცს არ ძალუძს დაშოუკიდებლად მისი მოპოვება. ისინი, ვინც მოიპოვა და დღესაც მოიპოვებს ჭეშმარიტებას, ამას მხოლოდ ღმერთს უნდა უმადლოდნენ, რომელიც გამოუცხადებს კაცს ამ ჭეშმარიტებას. (მათ. 11, 27). წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი ამ თემაზე მსჯელობისას ამბობს, რომ „ჭეშმარიტებაში“ არც ჩვეულებრივი, ყოფითი ჭეშმარიტებები იგულისხმება და არც მეცნიერული — მათ არაფერი აქვთ საერთო სულის მარადიულ ცხოვრებასთან. არამედ ღმრთაებრივი, მაცხოვნებელი ჭეშმარიტება, რომელიც ადამიანს უჩვენებს მისი ცხოვრების აზრს და თვით განხორციელებულ ჭეშმარიტებასთან — იესო ქრისტესთან მარადიული ერთიანობის მიღწევის გზას. სწორედ ამაზე წერს წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი თავის 37-ე სიტყვაში: „ჭეშმარიტება ღმერთისგან გვაქვს, იგი სალმრთო წერილშია განცხადებული და ქრისტეს მადლით შეიცნობა“ [6].

ჩვენს მიერ შეთვისებული, ეს ჭეშმარიტება გვიცავს რელიგიური სიცრუისა და ხიბლისაგან — ეშმაკთა ბნელი სამეფოსგან, რომლებიც ადამიანთა სულების დასალუპად ათასგვარ წვალებას იგონებენ.

თუმცა კი ეკლესია არა ამა სოფლისაგანია, მაგრამ იგი მოწოდებულია, რომ სოფელში იყოს და მოიცვას მსოფლიო (ეკუმენი) ღმრთაებრივ ჭეშმარიტების ქადაგებით. ქრისტეს ეკლესიას ასეთი მსოფლიო დანიშნულება აქვს, რამეთუ მან მაცხვრის მიერ გაცხადებული ჭეშ-

მარიტება უნდა გვამცნოს. ჭეშმარიტება საყოველთაოა და კიდეც უნდა იყოს საყოველთაო! საყოველთაობა (კათოლიკობა), პროფ. ვლ. ლოსკის თქმით, ჭეშმარიტების დამახასიათებელი თვისებაა[7]. რაც შეეხება სხვადა ცთომილებას, წვალებას, ცრუმოძღვრებას, თუმცა კი ძალიან არიან სოფლად მოდებულნი, მაგრამ საყოველთაობის პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ, რადგან ტყუილი უარყოფითი ცნებაა და არა აქვს უფლება მთელ მსოფლიოში გავრცელებისა. და თუ ათასგვარი წვალება მაინც ცდილობს საყოველთაობის უფლების მისაკუთრებას, ეს სხვების უფლებათა უზურპაციის ხარჯზე ხდება!

ქრისტეს ეკლესია მთელი მსოფლიოსათვის განკუთვნილი ჭეშმარიტების მატარებელი, და, შესაბამისად, საყოველთაო იყო თავისი დაარსების დღიდანვე, როდესაც სულ 120 კაცისაგან შედგებოდა (საქმე, 1,16), რომლებსაც 12 მოციქული ედგა სათავეში. უფალმა მათ დიდი მისია დააკისრა — მთელ მსოფლიოში გაევრცელებინათ ქრისტეს ჭეშმარიტება; „წარვედით და მოიმოწაფენით ყველანი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ (მათ. 28, 19).

ამ ჭეშმარიტი სარწმუნოების მთელ მსოფლიოში გავრცელება ჯერ კიდევ ძველ ალთქმაში იყო ნაწინასწარმეტყველები: „ყოველსა ქუეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი“ (ფსალმ. 18, 5). ეს წინასწარმეტყველება მწვალებლებსა და ცრუმოძღვრებებს კი არ ეხება, აქ ლაპარაკია მხოლოდ მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, რადგან იგი, ერთადერთი, ყოველგვარი დამახინჯების გარეშე ქადაგებს ღმრთივგამოცხადებულ, მაცხოვნებელ ჭეშმარიტებას.

„საყოველთაობისა“ და „მართლმადიდებლობის“ ცნებები უკვე ადრექრისტიანული დროიდან იყო ერთმანეთთან გაიგივებული. და უკვე იმ ხანებიდან წმ. ეკლესია „მსოფლიო სარწმუნოებაში“ „მართლმადიდებელ სარწმუნოებას“ გულისხმობს. ეს ჩანს, სხვათა შორის, „წმ. პოლიკარპეს წამებიდანაც“ (II საუკ.) რომლის მიძღვნაში წერია: „სმირნას ეკლესია — ფილომელიის ეკლესიას და ყველა თემს, რომელიც წმ. მსოფლიო ეკლესიას ეკუთვნის“[8]. ბერძენი ღმრთისმეტყველი, პროფ. ი. ანასტასიუ წერს: „ის, რაც მსოფლიო (ეკუმენიკონ) იყო, იყო აგრეთვე მართლმადიებლურიც (ორთოდოქსონ). ის, ვინც არ იყო მართლმადიდებელი, განიკვეთებოდა მსოფლიო, ანუ საყოველთაო ეკლესიისაგან და მისგან უარყოფილად ითვლებოდა“[9].

მართლმადიდებელი ქრისტიანები ყველგან და ყოველთვის — უწი-

ნაც და დღესაც — ერთიანად მიიჩნევდნენ თავს სწორედ ერთი სარწმუნოების გამო, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიაშია დაცული. წმ. ბასილი დიდი წერდა, რომ წმ. მამების მიერ დადგენილი მართლმადიდებლობის საერთო სიმბოლოების მეშვეობით[10], რომელთაც ყოველი ადგილობრივი ეკლესიის ძმობა აღიარებდა, ისინი „მსოფლიოს ყოველ კუთხეში, ყველგან პოულობდნენ ძმებსა და მამებს“[11].

სამ მღვდელმთავარს — ბასილი დიდს, გრიგოლ ღმრთისმეტყველსა და იოანე ოქროპირს ტროპარში „მსოფლიო მოძღვარნი“ იმიტომ ეწოდებათ, რომ ისინი სოფელს მართლმადიდებლური სწავლებით განანათლებდნენ. მსოფლიო საეკლესიო კრებები მხოლოდ იმიტომ როდი ნიშნავს მართლმადიდებელ კრებებს, რომ მათში მთელი მაშინდელი ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, არამედ პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი იცავდნენ და განამტკიცებდნენ მართლმადიდებლურ ჭეშმარიტებას, რომელსაც მსოფლიო მართლმადიდებლობა ქადაგებდა, და ამხობდნენ მწვალებლურ ცრუმოძღვრებებს. წმ. იოანე ოქროპირის თქმით, „ეკლესია არის სამყაროს სკეტი“[12]. იგი მსოფლიოა (საყოველთაოა), რამეთუ იცავს ჭეშმარიტებას, რომელიც არის და უნდა იყოს საყოველთაო (მსოფლიო)“.

მაშასადამე, ზედსართავი „მსოფლიო“ ეკლესიასთან მიმართებაში იმდენად რიცხობრივი და გეოგრაფიული მნიშვნელობით არ იხმარებოდა, რამდენადაც ხარისხობრივითა და სულიერ-აღმსარებლობით. თუმცა მსოფლიო ეკლესია არ მოიცავს მსოფლიოს გეოგრაფიულად, ეს მას ხელს არ უშლის არსებითი, სულიერ-დოგმატური აზრით იყოს მსოფლიო — თავისი მოწოდების თანახმად და პირიქით, თუმცა ზოგჯერ წვალება უფროა გავრცელებული, ვიდრე მართლმადიდებლობა, როგორც ეს IV საუკუნეში იყო, არიანობის დროს, ანდა მოგვიანებით, ხატმბრძოლთა წვალების ხანაში, მაგრამ წვალება ვერასოდეს იქნება მსოფლიო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი სიცრუეს ქადაგებს.

ბ) ეკუმენიზმი არაჭეშმარიტ „ეკლესიაზე“ ზრუნავს

ახლანდელი ეკუმენისტური მოძრაობა „საყოველთაოს“ ცნებაში სულ სხვა, ძველი დროისათვის უცნობ შინაარსს დებს. წმ. მამებისეული ცნება მსოფლიო ეკლესიისა (ხარისხობრივის მნიშვნელობით) გულისხმობს ჭეშმარიტების დამცველ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც ცთომილების არავითარ მინარევს არ იკარებს. მისგან გან-

სხვავებით „ეკუმენისტური მოძრაობა“ რიცხობრიობის მნიშვნელობით აერთიანებს „ეკლესიებად“ წოდებულ რელიგიურ საზოგადოებებს, რომლებიც სხვადასხვა ქრისტიანული აღმსარებლობებისგან არიან შეკოწიწებულნი და რომლებშიც ჭეშმარიტება და სიცრუე გვერდიგვერდ არსებობენ (რომ. 1, 18).

დოქტორი ფილიპ პოტერი, ემს-ს ყოფილი გენერალური მდივანი, „კათოლიკობაზე“ ამგვარი შეხედულებიდან გამომდინარე, აფართოებს „ეკუმენისტურის“ ცნებას და ამტკიცებს, რომ იგი მხოლოდ „ეკლესიების“ დაახლოებასა და ურთიერთობას კი არ გულისხმობს, არამედ მთელი „დაახლებული მიწის ერთობლიობას“. „მაშასადამე“, დაასკვნის იგი, „ეკუმენისტური მოძრაობა ყველგან ჩნდება, სადაც ქრისტიანები და სხვა ადამიანები (!) ასე თუ ისე ცდილობენ კაცობრიობის ერთიანობას ემსახურონ“ [13]. აქედან ცხადია, რომ ეკუმენიზმის საბოლოო მიზანი ე. წ. „ეკლესიების“ ერთიანობა კი არ არის, თუნდაც ეკუმენისტური გაგებით, არამედ კაცობრიობის რაღაც დაგეგმილი გაერთიანება... ეკუმენისტები „საყოველთაოს“ ცნებას სულ უფრო ხშირად ანიჭებენ გეოგრაფიულ გაგებას. „ვერავითარ ეკლესიას ვერ ექნება საყოველთაობის პრეტენზია, თუ ჩვენს საპლანეტო საუკუნეში პროვინციული დარჩება“, წერს ერთ-ერთი ეკუმენისტური ჟურნალი [14].

1967 წლის 3 სექტემბერს ჩვენ მოვახერხეთ საუბარი ინგლისელ ეკუმენისტებთან, მაიკლ მურთან, რომელიც ემს-ს გენერალური მდივნის მოადგილე იყო ანგლიკანურ ეკლესიასთან საგარეო ურთიერთობათა დარგში. შეკითხვაზე: „როგორ გესმით ეკლესიის ერთიანობა?“ მან გვიპასუხა: „იგი ერთიანია, როგორ უხილავი ეკლესია“. ჩვენ ვკითხეთ: „ვინ ეკუთვნის ამ უხილავ ეკლესიას?“ რაზედაც მან გვიპასუხა: „ყველა ქრისტიანი“. ანუ, ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიაში რთავენ ყველა დენომინაციას, სექტასა და დაჯგუფებას, რომლებიც მართლმადიდებელმა ეკლესიამ კარგა ხნის წინ განკვეთა ქრისტეს ჭეშმარიტებისაგან მწვალებლური გადახვევების გამო. მაიკლ მურს ზეციური, უხილავი, მოზეიმე ეკლესიის თვისებები შეცდომით გადააქვს მიწიერ, ხილულ, მებრძოლ ეკლსიაზე და ამ მიწიერ ეკლესიაში, რომელსაც იგი „უხილავს“ უწოდებს, ყველა მწვალებელს აერთიანებს „ქრისტიანების“ საერთო სახელით.

„უხილავი ეკლესია“ ნამდვილი პროტესტანტული ტერმინია და იგი სრულიად ეწინააღმდეგება სწავლებას ეკლესიის როგორც ცისა და ქვეყნის ერთიანი ეკლესიის შესახებ, რომლის თავიც არის თვით

ქრისტე (ეფეს. 1, 10) და რომლის წევრებიც არიან მხოლოდ მართლ-მორწმუნე ქრისტიანები. მიტრ. ფილარეტის „ვრცელ ქრისტიანულ კა-ტეხიზმოში“ ნათქვამია, რომ „ეკლესია არის საყოველთაო ანუ კა-თოლიკე, რამეთუ იგი არ არის შემოსაზღვრული არც ადგილით, არც დროით, არც ეროვნებით, არამედ თავის თავში შეიცავს ყველა ად-გილის, დროისა და ეროვნების ჭეშმარიტ მორწმუნეებს“ [15]. წმ. პავ-ლე მოციქული რომელმაც პირველმა უწოდა ეკლესიას „ხორცი ქრისტესი“, (I კორ. 12, 27), ხოლო ქრისტეს — „თავი ეკლესიისა“ (ეფეს. 1,22), და რომელსაც მშვენივრად ესმოდა მისი უხილავი, მის-ტიური არსი, (ეფეს. 5, 32), არსად უწოდებს მას უხილავ ეკლესიას, არამედ ყველგან ლაპარაკობს ეკლესიაზე, როგორც ხილულ სიდი-დეზე — კრებულზე, რომელშიც ცხონდებიან ქრისტეს მორწმუნენი, როგორც მართალნი, ისე ცოდვილნი, სადაც არსებობს ხილული იერარ-ქია, სრულდება ხილული მაცხოვნებელი საიდუმლოებანი, რომელთა მეშვეობითაც ღმრთის უხილავი მადლის მიღების ღირსნი ვხვდებით უხილავ ღმერთთან ერთობისა და თანაზიარებისათვის. „თქუენ ხართ ხორცნი ქრისტესნი და ძსონი ძსოთა მისთაჳანნი. და რომელნიმე და-ადგინნა ღმერთმან ეკლესიათა პირველად მოციქულნი, მეორედ წი-ნასწარმეტყველნი, მესამედ მოძღუარნი...“ (I კორ. 12, 27—28).

აი, რას ამბობს „უხილავ ეკლესიაზე“ პროფ. ვ. ვ. ბოლოტოვი: „ის გარემოება, რომ ქრისტემ მის მიერ დაარსებულ კრებულს ეკლე-სია უწოდა, გაჟსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროტესტანთებთან პო-ლემიკისათვის პროტესტანტები ერთთავად უხილავ ეკლესიაზე ლა-პარაკობენ, მაგრამ „ეკლესიის“ ცნება ხილულობის დიდ წილსაც შე-იცავს. ამიტომ გამოთქმა „უხილავი ეკლესია“ შინაგან წინააღმდეგო-ბას წარმოადგენს. შეუძლებელია არსებობდეს (დედამიწაზე — ავტო-რების შენიშვნა) რაიმე უხილავი ეკლესია. უხილავში მხოლოდ უხი-ლავად შეიძლება მონაწილეობა, ხოლო, ეკლესიაში მზნაწილეობისათ-ვის აუცილებელია ხორციელი არსებობა [16]

სხვადასხვა ჯურის არამართლმადიდებელ ქრისტიანებს „მსოფლიო ეკელსიის“ ცნებაში რთავენ არა მხოლოდ უცხო აღმსარებლობის ეკუმენისტები, არამედ, მათი გავლენით, პროფესორი, პროტოპრეს-ვიტერი სტეფანე ცანკოვიც. იგი წერს: „ეკლესიის ერთიანობის იდეა შეტისმეტად რთულდება და უკვე შეუძლებელია შისი მხოლოდ სქო-ლასტიკურად განხილვა, როგორც საქმე აქამდე იყო... არ არის სწორი იმის ფიქრი, რომ ქრისტეს მისტიურ სხეულს (ეკლესიას) მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანები ეკუთვნიან და ხილული განყოფის

მიღმა ეკლესიაში არ არსებობს უხილავი ერთიანობა“ [17]. დოგმატების საწინააღმდეგოდ ეკლესიის „უხილავ“ ერთიანობას ხშირად მიათვლიან ხოლმე უცხო აღმსარებლობებს, მიუხედავად დოგმატური ცთომილებებისა, რომლებიც მათ ქრისტეს ეკლესიასთან ერთიანობისგან განაყენებს.

მაინც, რას ნიშნავს ეკუმენისტების „უხილავი მისტიური ერთიანობა?“ ამ სიტყვათშეხამებით ჯერჯერობით ფრთხილად აღნიშნავენ ეკუმენისტურ უნივერსალურ „ეკლესიას“. მართალია, დღემდე ემს მხოლოდ ეკლესიათა გაერთიანებად ცხადდება და არა რაღაც „ზეეკლესიად“, ეკლესიათა უნივერსალური გაერთიანების იდეალი უკვე შეინიშნება და მისი საფუძველიც ჩაყრილია. მომავალი ეკლესიის წევრები ეკუმენიზმის მონაწილენი და მისი თანამგრძნობნი იქნებიან. მაინც, ვინ არიან ისინი?

თავგამოდებული ეკუმენისტი, რუსი ღმრთისმეტყველი ლევ ზანდერი, რომელიც პარიზის საღმრთისმეტყველო ინსტიტუტში მოღვაწეობს, გულახდილად წერდა: „ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეთა შემადგენლობა ფრიად მრავალფეროვანია: აქ შეხვდებით არა მარტო მართლმადიდებელ იერარქს, ანგლიკანელ ეპისკოპოსს ანდა პროტესტანტ პასტორს, არამედ „ლიბერალური ღმრთისმეტყველების“ წარმომადგენელსაც რომელსაც იესო ქრისტეს ღმრთაებრიობა არა სწამს, უნიტარისტსაც რომელიც უარყოფს დოგმატს სამების შესახებ, და კვაკერსაც, რომელიც საერთოდ არავითარ საეკლესიო განწესებებს არ ცნობს“ [18]. ეს 1930 წელს დაიწერა, ამჟამად ემს-ში მრავალი მწვალებლური საზოგადოებაც შედის — ჰოლანდიელი რემონსტრატ-არმინიანელები და ზოგიერთი უკიდურესად ლიბერალური რელიგიური გაერთიანება, რომლებიც ნათლისღებასაც კი უარყოფენ [19], თუმცა თვით ქრისტე მას ცხონების უცილობელ პირობად გვიდგენს (მარკ 16, 16).

ემს-ში შედის აგრეთვე ე. წ. „მორავიის ძმათა ეკლესია“, რომელიც ასწავლის, რომ შესაძლებელია მხოლოდ სარწმუნეობით განმართლება, რითაც უპირისპირდება მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას იმის შესახებ, რომ სარწმუნოებასთან ერთად აუცილებელია საქმეებიც. ამ საზოგადოების წევრები ფიქრობენ, რომ საიდუმლოთა ქმედითობა მღვდლის ღირსებაზეა დამოკიდებული და ამიტომ დასაშვებად მიაჩნიათ ხელმეორე ნათლისღება [20], რაც სრულიად ეწინააღმდეგება სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამსის) მე-10 წევრს: „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მისატევებელად ცოდვათა“.

დღეს ემს-ში მონაწილეობენ ნესტორიანელები, მონოფიზიტები, ხატმბრძოლები (პროტესტანტები და მათი სექტები), აგრეთვე ზოგიერთი გაერთიანება, რომელთაც ეკლესიის არავითარი ნიშნები არ ეტყობათ — ამას ადასტურებს ბერძენი პროფესორი, დოგმატისტი შეგას ფარანდასი, რომელიც ესწრებოდა ემს-ს VI ასამბლეას ვანკუვერში, 1983 წელს: „პროტესტანტები ასობით ეკლესიად არიან დაყოფილნი, რომელთაგან ბევრს კონკრეტული „მრწამსიც" კი არ გააჩნია. ისინი მხოლოდ სოციალურ მოთხოვნებს აყენებენ და ქრისტიანული ლოზუნგები უბრალოდ შირმად სჭირდებათ" [21]. აი, ასეთ „ქრისტანებთან" თანამშრომლობენ ეკუმენისტურ კონგრესებზე მომავალი „ეკლესიის" სახელით მართლმადიდებელი წარმომადგენლები! ამ კონფერენციებზე ყველაზე აშკარა მწვალებლები ქრისტეს მისტიური სხეულის — ეკლესიის წევრებად ითვლებიან, და „ეკლესიებად" იწოდებიან, მაშინ, როდესაც სულაც არ არიან ეკლესიები ჟენევის ეკუმენისტურ საბჭოს „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო" ჰქვია

თვით ამ სახელწოდებით მართლმადიდებელი ეკლესია ემს-ში შემავალი ყველა ე. წ. ეკლესიის თანაბრად ცხადდება, ამგვარი ნიველირების საბოლოო მიზანი ისაა, რომ ეკლესიის ცნება, რომელიც თავისებურად ერთადერთია, იქცეს ჩვეულებრივ, რიგით ცნებად, ანუ აბსტრაქციად, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა „სახის ეკლესიებს", ეს კი იმას ნიშნავს, რომ სრულიად უნდა გაუქმდეს დოგმატური წარმოდგენა ეკლესიის, როგორც მსოფლიოში ერთადერთი მოვლენის შესახებ. რამეთუ, თუკი არსებობს ეკლესიის სახესხვაობები, მაშასადამე, ეკლესია, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს.

ეკუმენიზმი ერთნაირად დამღუპველია მართლმადიდებლისთვისაც და არამართლმადიდებლისთვისაც. არამართლმადიდებლები ეკომენიზმის გზით ვერასოდეს ეზიარებიან ჭეშმარიტებას, მართლმადიდებლები კი განეშორებიან მას. მოდი, განვმარტოთ ეს აზრი. არამართლმადიდებლები, რომლებიც გულწრფელად ეძიებენ მხსნელ ჭეშმარიტებასა და განმაახლებელ მადლს, ეკუმენიზმის გზით ვერ მოეკვეთიან წმ. მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, პირიქით, უფრო მეტად განმტკიცდებიან თავიანთ ცთომილებაში, რადგანაც ემს

ვიანთი „ეკლესია“ და თავიანთი „საიდუმლოებები“ აქვთ? წმ. კვიპრიანე კართაგენელი ბრძნულად შენიშნავს, რომ „მწვალებლები არასოდეს მოვლენ ეკლესიაში, თუკი ჩვენ განვუმტკიცებთ რწმენას, თითქოს მათ თავიანთი ეკლესია და თავიანთი საიდუმლოებები ჰქონდეთ“ [22]. ამგვარად, „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტები, რომლებიც მწვალებლურ გაერთიანებებს „ეკლსიებად“ აღიარებენ, ღუპავენ მათ ეკლესიისათვის!

თავის მხრივ, არამართლმადიდებლებთან მუდმივი სულიერ ლოცვითი კონქაქტით ეკუმენსტურ მოძრაობის მართმადიდებელ მონაწილეებს თანდათან შეუმჩნევლად ეპარებათ მათი არამართლმადიდებლური, უკიდურესად ლიბერალური შეხედულებები და კარგავენ თავიანთ მართლმადიდებელ საწრმუნეობას. ამის მაგალითად გამოდგება ბერძენი ღმრთისმეტყველი ნიკოს ნისიოტისი, (გამოცდილი ეკუმენისტი მოღვაწე და ბოსეს (ქალაქი ჟენევასთან) ახალგაზრდა ეკუმენისტთა აღზრდის ინსტიტუტის დირექტორი. არამართლმადიდებლებთან კონტაქტების გავლენით მისი ღმრთისმეტყველება ისეთი ლიბერალური გახდა, რომ, მართლმადიდებლური დოგმატიკის საწინააღმდეგოდ, ამტკიცებს:

1) არსებობს მხოლოდ ერთი ერთიანობა ყველა ქრისტიანისა — სული წმიდის მიერ (ამით ნისიოტისი მართლმადიდებელ ეკლესიას რაღაც ზეკონფესიური ერთიანობით ცვლის).

2) ეკლესია უნივერსალურად ერთიანია და, როგორც ასეთი, ყველგან ცხადდება. (მაშასადამე, ნისიოტისისთვის ეკლესია მართლმადიდებლობაში როდია, არამედ მხოლოდ ეკუმენისტური „უნივერსალური ეკლესიის სახით არსებობს და არამართლმადიდებლებსაც აერთიანებს).

3) „ვერავითარი საეკლესიო საზოგადოება ვერ იცხოვრებს სხვა ქრისტიანებისა და ქრისტიანული საზოგადოებებისგან განცალკევებით და მოშორებით“ (ნისიოტისი ფიქრობს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ვერ შეძლებს იარსებოს მწვალებლურ გაერთიანებათა გარეშე, ეს კი სრულიად მიუღებელია მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის, რომელმაც იცის, რომ მართლმადიდებელი ეკლესია აქამდე მშვენივრად ცხოვრობდა ისე, რომ არავითარი კავშირი ან ერთობა არ ჰქონია მწვალებლობასთან).

4) „ყველა ქრისტიანული საზოგადოება განახლებასა და ღრმა გარდაქმნას მოითხოვს“ (ნისიოტისის აზრით, მართლმადიდებელი ეკლესიაც, როგორც რელიგიური საზოგადოება, ეკუმენისტურ „დასაბუთებას“ საჭიროებს) [23]

ნისიოტისი ამაზე არ შეჩერებულა: ახალ ეკუმენისტურ საზოგადოებას მან წმ. პავლე მოციქულის შედარება მიუყენა ქრისტეს სხეულისა და მისი სხვადასხვა ასოს შესახებ (რომ. 12, 4—8, ეფ. 4, 15)[24].

ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობა ყოველ „ეკლესიას“ თითქოს თავისი ეკლესიოლოგიის შენარჩუნების უფლებას აძლევს, თუმცა სინამდვილეში მას უხდება ისევე მოექცეს ყოველ სხვა ქრისტიანულ საზოგადოებას, როგორც თანასწორუფლებიან ეკლესიას, რომელშიც თითქოს ასევე ერთი სული მოქმედებს. ნისიოტისი, როგორც ეკუმენისტი, შეუძლებელია ამ აზრს არ იზიარებდეს და ამიტომ ამტკიცებს: „თუმცა ეკლესიოლოგიურ ასპექტში თვითეული ეკლესიის მიმართება სხვა ეკლესიისადმი უცვლელი რჩება და თუმცა ემს-ს არც ერთი საჯარო განცხადება, მაგალითად, ტორონტოს დოკუმენტი, არ მოითხოვს, რომ ერთმა ეკლესიამ ემს-ს სხვა წევრები ეკლესიებად ცნოს, მაგრამ საბჭოში მონაწილეობა ნიშნავს, რომ.. იგი უკვე ვეღარ იცხოვრებს თავისთვის, განცალკევებით, რომ სხვა ქრისტიანული საზოგადოებებიც განსაკუთრებული ნიშნებით არიან მიმადლებულნი“ [23], და „რომ უნივერსალური ეკლესია სცილდება ისტორიული ეკლესიის ფარგლებს, რომელსაც ჩვენ ყველანი ვეკუთვნით“ [26].

არასწორ სწავლებას მხოლოდ ნისიოტისის მსგავსი ცალკეული მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველები როდი ქადაგებენ. თვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ — მართლმადიდებლობის „უპირატესმა“ წარმომადგენლებმა ემს-ს 25 წლისთავთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომელშიც ეკუმენისტურ მოძრაობას უმაღლესი შეფასება მისცა. იმის მაგივრად, რომ გაწყვიტოს ურთიერთობა ეკუმენიზმთან და მართლმადიდებლური დოგმატებისა და კანონების ერთგულება დაიცვას, საპატრიარქო პირმოთნედ და განუსჯელად უწოდებს მას „ერთ-ერთ გზას, ღმერთისგან არჩეულს, რათა ადამიანებისთვის უფრო ახლობელი გახდეს სიყვარულის ცნება, რათა ეკლესიამ მეტი ყურადღება დაუთმოს უფლის შეგონებას ძერიგებისა და ერთიანობის შესახებ“ [27].

ეს მლიქვნელური სიტყვები დოგმატურ სიცრუეს შეიცავენ. შეცდომაა იმის ფიქრი, თითქოს უფალმა ეკუმენიზმი აირჩია ადამიანე-

ბისადმი თავისი სიყვარულის განსახორციელებლად, ეკუმენიზმის გზა არის გზა სინკრეტიზმისა, გზა სხვადასხვა მწვალებლობის მხარდაჭერისა და, როგორც შემდგომში დავინახავთ, ეკლესიის შესახებ დოგმატიკის შერყვნისა, ესაა ღმრთივდადგინებული კანონების გათელვის, ქრისტეს ღალატის გზა — ერთი სიტყვით, ჭეშმარიტებისგან განდგომის გზა. აქედან გამომდინარე, ღმერთს არ აურჩევია ეკუმენიზმი, მან იგი დაუშვა ჩვენს აპოკალიფსურ დროში, „რაჲთა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი“ (ლუკა, 2, 35).

კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ღალატობს თავის თავსაც და თავის მართლმადიდებლურ ტრადიციებსაც, როდესაც მონურად ეპირფერება ეკუმენიზმს, რომლის საფუძველიც არის პროტესტანტიზმი ყველა მისი მიმართულებით, წვალებითა და სექტით, „ეკლესიათა“ მსოფლიო საბჭოში რომ არიან გაერთიანებულნი. სულ სხვანაირად უყურებდა XVI საუკუნეში ახლადმოვლენილ პროტესტანტ-ლუთერანებს მართლმადიდებლობის მხურვალე დამცველი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია II, მას შემდეგ, რაც, მათივე თხოვნით, სამ ვრცელ ტრაქტატში დაწვრილებით განუმარტა მართლმადიდებელი სარწმუნოების არსი, მაგრამ მათივე პასუხების მიხედვით დარწმუნდა, რომ ისინი კვლავ ეწინააღმდეგებიან ჭეშმარიტებას, პატრიარქმა მისწერა: „გთხოვთ, მეტად ნულარ შეგვაწუხებთ, ნურც მოგვწერთ და ნურც ნურავის გამოგვიგზავნით, რაკიღა ეკლესიის მნათობებს და ღმრთისმეტყველებს სულ სხვაგვარად განმარტავთ სიტყვით პატივს სცემთ და ადიდებთ მათ, საქმით კი უარყოფთ, რითაც ამტკიცებთ, რომ ჩვენი იარაღი უსარგებლოა, ანუ უსარგებლოა მამების წმიდა და ღვთაებრივი სიტყვები, რომელთა მეშვეობითაც კვლავაც ვფიქრობდით თქვენთან საუბარს და დარწმუნებას. მაშ დაგვეხსენით! თქვენი გზით იარეთ და ნულარასოდეს მოგვწერთ რასმე დოგმატების თაობაზე!“ [28].

მართლმადიდებელთა მონაწილეობა ეკუმენისტურ მოძრაობაში უკიდურესად სახიფათოა, რამეთუ ამას შეუმჩნევლად მიჰყავს ისინი მართლმადიდებლური „მრწამსის“ ღალატამდე, აიძულებს დაინახონ მწვალებლურ საზოგადოებებში ვითომდა სული წმიდის განსაკუთრებული ნიჭით მიმადლებული „ეკლესიები“ და გეოგრაფიულად შემოსაზღვრული მართლმადიდებელი ეკლესია მეტისმეტად პატარად ეჩვენებათ იმისათვის, რომ მას „მსოფლიო“ ერქვას. ეკუმენისტების აზრით, „მსოფლიო“ შეიძლება იყოს მხოლოდ „უნივერსალური ეკ-

ლესია“, ანუ ყველა არსებული, უფლის წინაშე თანასწორი „ეკლესიის“ გაერთიანება. ვისერტ-ჰუფტის (მრავალი წლის მანძილზე ემს-ის გენერალური მდივნის) აზრით, იესო ქრისტე ყველა ეკლესიაში ცხოვრობს, მათი განსხვავებულობის მიუხედავად [29].

მაგრამ განა შესაძლებელია, რომ არსებობდეს მრავალი ეკლესია, ერთნაირად სათნო ღმრთის წინაშე? უფალმა იესო ქრისტემ ხომ ერთი ეკლესია დააარსა, რომელიც შინაგანად ერთი, მართლმადიდებელი სოფლისათვის საუკუნითგან საუკუნემდე. პირველ მსოფლიო კრებაზე 325 წელს წმ. მეფე კონსტანტინე დიდმა თავის ეპისტოლეში „იმ ეპისკოპოსთა მიმართ, რომლებიც კრებას არ ესწრებიან“, განაცხადა: „მაცხოვარმა ჩვენმა, იესო ქრისტემ ინება ჰქონოდა თავისი ერთი, მსოფლიო ეკლესია, რათა მის ყველა წევრს, რაც არ უნდა შორი-შორს იყვნენ განფანტულნი, შეეძლოთ გათბნენ ერთი სულით, ანუ ერთი ღმრთაებრივი ნებით“ [30]. ქრისტეს ეკლესიისადმი კუთვნილების ყველაზე უცილობელი ნიშანია მასში დამარხული ჭეშმარიტების სრული აღიარება. წმ. იოანე კასიანე ამბობს: „უეჭველია, რომ ის, ვინც არ აღიარებს ეკლესიის სარწმუნოებას, ეკლესიის გარეთ იმყოფება [31]“. ამასვე უსვამს ხაზს კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია II: „ქრისტეს ეკლესიის წევრები მთლიანად ერთგულნი არიან ჭეშმარიტებისა, ხოლო ისინი, ვინც არ არიან მთლიანად ერთგულნი ჭეშმარიტებისა, არ არიან წევრნი ქრისტეს ეკლესიისა“ [32].

ამრიგად, მართლმადიდებელი ქრისტიანი არ უნდა მონაწილეობდეს ეკუმენიზმში, რამეთუ

1) იგი ცვლის სწორ წარმოდგენას ეკლესიის, როგორც საყოველთაოს შესახებ (ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტების დამცველის მნიშვნელობით) ეკლესიისათვის არასწორი განსაზღვრებით („უნივერსალური“ — გეოგრაფიული საყოველთაობის მნიშვნელობით);

2) ჭეშმარიტების აღმსარებლობაში არჩევს რიცხობრიობის და არა ხარისხის პრინციპს;

3) თავს გვახვევს ცრუსწავლებებს, როგორც საყოველთაოს;

4) განუმტკიცებენ არამართლმადიდებლებს იმის რწმენას, რომ ისინი ეკლესიას ეკუთვნიან;

5) მაშასადამე, ეკუმენიზმი აბრკოლებს ჭეშმარიტების გულწრფელ მაძიებლებს რათა მათ მოიპოვონ ეს ჭეშმარიტება ქრისტეს მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთებით!

მეორე მიზეზი

ეკუმენიზმი არის წვალება ეკლესიის დოგმატის წინააღმდეგ — ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ

ა) ეკლესია სარწმუნოების სიმბოლოს მიხედვით. „განშტოებათა“ თეორია. პლურალიზმი

დოგმატი ეკლესიის შესახებ ერთობ ზუტად და შეკუმშულადაა ჩამოყალიბებული ნიკეა-კონსტანტინეპოლის „მრწამსის“ მე-9 წევრში: „მრწამს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. ამ სიტყვებით გამოთქმულია მართლმადიდებელი ქრისტიანის მტკიცე და ურყევი რწმენა, რომ ეკლესია, რომელიც ჩვენ გვწამს, არის არსებული და არა მოსალოდნელი, შექმნილი და არა შესაქმნელი, სავსებით რეალური და არა წარმოსახვის ნაყოფი.

იყო დრო, როდესაც მაცხოვარმა ეკლესია აღგვითქვა სიტყვებით: „აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (მათ. 16, 18). მაგრამ ეს აღთქმა შესრულდა სული წმიდის მოფენის დღეს, და იმ დროიდან მოყოლებული ეჭვი არავის შეპარვია ეკლესიის არსებობაში, რომელიც ქრისტეს სარწმუნოებაზეა დამყარებული, ხოლო ქრისტე არის „თავ საკიდური“ (ეფეს. 2, 20). ეკლესია მართლმადიებელი ქრისტიანისთვის არსებობს, როგორც რეალური ღმრთაებრივი ორგანიზმი, აუცილებელი სულის ცხონებისთვის.

მხოლოდ ჩვენს დროში, ეკუმენიზმის ნიადაგზე, წარმოიშვა იდეა, თითქოს ეკლესია უნდა შეიქმნას არა ქრისტეს ჭეშმარიტების ლოდზე, არამედ ათასნაირ კაცობრივ ცთომილებათა ქვიშაზე, რაც ეწინააღმდეგება სარწმუნოების სიმბოლოსაც და საღმრთო წერილსაც. ერთადერთი, რაზედაც სარწმუნოების სიმბოლოში ლაპარაკია, როგორც მომავალ დროში მოსახდენზე, ესაა ესქატოლოგიური მოვლენა — ქრისტეს მეორედ მოსვლა, მიცვალებულთა აღდგომა და საუკუნო ცხოვრება. ამიტომაც არის იქ სიტყვა „მოველი“ („მოველი აღდგომისა მკვდრეთით), როდესაც სხვაგან ყველგან არის „მრწამს“ („აღვიარებ“).

მწვალებლური საზოგადოებებისგან განსხვავებით, რომლებიც თავიანთ თავს „ეკლესიებს“ უწოდებენ, ქრისტეს ეკლესიას ჰქვია „ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო“. რას ნიშნავს ეს განსაზღვრებები? მოკლედ განვმარტავთ:

1) ეკლესია ერთია თავისი აღმსარებლობის ერთიანობის გამო სარ-

წმუნოებისადმი სხვადასხვა მიდგომა რომ დაეშვა, იგი ერთი და ერთადერთი კი არ იქნებოდა, არამედ მრავალი. 2) ეკლესია წმიდაა და განწმენდილი მის მიერ გაცემული ღმრთაებრივი მადლის მეშვეობით. ასეთი მადლი ზეგარდმო მინიჭებული რომ არ ჰქონდეს, ეკლესიას არ ერქმეოდა „წმიდა", ეს იქნებოდა მადლს მოკლებული ორგანიზაცია, სწორედ ისეთი, როგორებიც მწვალებლური საკრებულოები არიან. 3) ეკლესია არის საყოველთაო და მსოფლიო ძალში დაცული და მის მიერ ნაქადაგები ღმრთაებრივი ჭეშმარიტების ძალით, რომელიც მთელ მსოფლიოში გასავრცელებლადაა მოწოდებული. ეს ჭეშმარიტება რომ არ გააჩნდეს, ეს უკვე ქრისტეს ეკლესია კი არა, უზარმაზარი სიდიდე იქნებოდა, რომელიც თავის თავში გააერთიანებდა სხვადასხვა რელიგიურ ცრუმოძღვრებას. და ბოლოს, 4) ეკლესია სამოციქულოა თავისი სამოციქულო წარმოშობის გამო, იგი მოციქულთაგან შომდინარე უწყვეტად ხელდასხმას იცავს და სამოციქულო გადმოცემათა ერთგულია. მას რომ ეს კავშირი გაეწყვიტა, აღარ ექნებოდა უფლება „სამოციქულოს" სახელის ტარებისა.

ეს სწავლება, რომელიც შეკუმშული სახით „მრწამსის" მეცხრე წევრშია გადმოცემული სიტყვებით: „ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია", გადმოსცეშს მართლმადიდებელი სარწმუნოების დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართ. „ჩვენ გვესმის და ვგრძნობთ", — ამბობს პროფ. ვლ. ლოსკი, — „რომ ეკლესია, რომელიმე ამ თვისებას მოკლებული, არ იქნებოდა ეკლესია, და რომ მხოლოდ „მრწამსში" გადმოცემული ამ ოთხი თვისების ჰარმონიული შერწმყით არის შესაძლებელი ეკლესიის შყოფობის მთელი სავსების ასახვა" [33].

თუ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის რწმენას ეკლესიისადმი უცხო აღმსარებლობის ეკუმენისტების შეხედულებებს შევადარებთ, დიდ განსხვავებას დავინახავთ. ეკუმენისტებს არა სწამთ ერთი — ერთადერთი, ჭეშმარიტი, ყოველგვარი ცთომილებისაგან თავისუფალი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. ისინი ფიქრობენ, რომ არც ერთ ქრისტიანულ აღმსარებლობას არ შემოუნახავს სრულად ძველი სამოციქულო ეკლესიის ერთგულება და არ გააჩნია სავსება ჭეშმარიტებისა [34]. ეკუმენისტებს მიაჩნიათ, რომ ეკლესია უნდა შეიქმნას ეკუმენისტური მოძრაობის გზით, ე. წ. „ეკლესიების" დაახლოების მეშვეობით, რასაც თან ახლავს ურთიერთდათმობები სწავლებასა და პრაქტიკაში [35].

ჯერ კიდევ 1937 წელს პროტესტანთ-ეკუმენისტი ელი გუნელი და-

უფარავად გამოთქვამდა თავის ეკუმენისტურ „რწმენას“ მსოფლიო ეკლესიის მიმართ. „მე მწამს ის, რაც ჯერ კიდევ არ არსებობს... მაგრამ რაც უსათუოდ უნდა იყოს. რაშეთუ მწამს სული წმიდა, რომელიც იერუსალიმში სული წმიდის მოფენის ისტორიულ წუთიდან კვლავ და კვლავ ატარებს ცდებს, ქმნის ეკლესიის პროექტებს, ვიდრე სანიმუშო ეკლესია შეიქმნებოდეს... მე ვხედავ მრავალ ეკლესიას, გაფანტულსა და განცალკევებულს... მე ვხედავ ისეთ ცოდვებში ჩავარდნილ ეკლესიებს, ადამიანებს რომ აბრკოლებენ. მათ ეშმაკთა ლეგიონი სდევნის: ფორმალიზმი, ინტელექტუალიზმი, დოგმატიზმი(!)“. ავტორი იმით ამთავრებს, რომ იმეორებს — მე მწამს მომავალი „უნივერსალური ეკლესიაო“ [36].

ამგვარი მკრეხელობის მომსმენი მართლმადიდებელი ქრისტიანი უთუოდ შეძრწუნდება: ქრისტეს მიერ დაარსებული ეკლესია არარსებულად ცხადდება, სული წმიდას კი ბრალი ედება, რომ მას არ შეეძლო ერთბაშად შეექმნა სანიმუშო ეკლესია, თითქოს, სული წმიდის მოფენიდან მოყოლებული. დღემდე „ეკლესიების“ წარუმატებელ პროექტებს ქმნიდეს, რის გამოც სოფელში ამდენი ეკლესია გაჩნდა, რომლებიც აბრკოლებენ ადამიანებს და „ეშმაკთა ლეგიონებით“ არიან დასახლებულნი! სული წმიდისათვის ყოველივე ამის დაბრალება მიუტევებელი ღმერთის გმობაა, რაზედაც უფალი სახარებაში ლაპარაკობს (მათ. 12, 32)! ეკლესია უფალ იესო ქრისტესაგანაა დაარსებული (მათ. 16, 18) და სული წმიდის მადლით დამტკიცებული, რომელიც მასზე სული წმიდის მოფენის დღეს გადმოვიდა (საქმე, 2, 1—12). იგი შეიყვარა მაცხოვარმა (ეფეს. 5,25), მისთვის დასთხია სისხლი (საქმე, 20, 28), „რადთა იგი წმიდა-ყოს, განწმიდა იგი საბანელითა მით წყლისადთა და სიტყვითა, რადთა წარუდგინოს თავადმან თავსა თვისსა დიდებულად ეკლესიად, რაითა არა აქუნდეს მწიკულევანებად არცა ნაოჭ-ბრძვილისად, არცა სხუად რად ესევითარი, არამედ რადთი იყოს წმიდა და უბიწო“ (ეფეს. 5,26—27).

მაიკლ შურთან საუბარში ჩვენ ვკითხეთ მას, არსებობს თუ არა ეკლესია, რომელიც დღეს სრულიად მართალ და უხინჯო სარწმუნოებას ქადაგებს? „არა“, — გვიპასუხა მან, — „ჩვენ ყველა ეკლესიის სარწმუნოების კომბინირება უნდა მოვახდინოთ და მაშინ ყველა ერთიანი გახდება“. ამ პასუხიდან ჩანს, რომ ეკუმენიზმის საფუძველში სინკრეტიზმის მყარი, დოგმატურად არასწორი პრინციპი დევს.

გლოსტერის ანგლიკანელი ეპისკოპოსი ბერძენ და ანგლიკანელ

ღმერთისმეტყველთა შეკრების მონაწილე, ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა მართლმადიდებლურ დოგმატს იმის შესახებ, რომ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიაა „ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია". იგი ამტკიცებდა, რომ „ეკლესიამ დაკარგა თავისი ერთიანობა და ამჟამად მხოლოდ განხეთქილებებში („სქიზმებში") არსებობს: აღმოსავლური სქიზმა, პაპის სქიზმა, ანგლიკანური სქიზმა[37]. ზოგიერთი დასავლელი ეკუმენისტი კიდევ უფრო შორს წავიდა და უარყოფს ეკლესიის არა მხოლოდ ფაქტიურ, არამედ პრინციპულ ერთიანობასაც. ჰენრი ვან დუზენი წერს: „წარმოდგენა ერთი, თავდაპირველი, „განუყოფელი ეკლესიის" შესახებ ნამდვილი ზღაპარია. პირველი თხუთმეტი საუკუნის მანძილზეც კი არც ერთი საუკუნე არ ყოფილა, „ქრისტეს სხეულისაგან" განვარდნის ერთი შემთხვევა მაინც რომ არ მომხდარიყო"[38].

ამ სიტყვების ავტორი — ლიბერალი პროტესტანტი ყოველ მწვალებლობაში ქრისტეს ეკლესიის ახალ განშტოებას ხედავს და თვითეულ მათგანს „ეკლესიად" წოდებულის უფლებას მიაკუთვნებს. ვინაიდან თვითონ ეკლესიის გარეთ იმყოფება, მას არ ესმის და ვერ გრძნობს, რომ მწვალებლობის გზით გამოყოფილი ახალი საკრებულოები განეშორებიან ეკლესიას, უკვე აღარ ეკუთვნიან მას და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ კვლავ შეუერთდნენ, თუ უარყოფენ თავიანთ ცთომილებას. რაკი ცრუეკლესიები არიან, მათ არა აქვთ უფლება ეკლესიებად იწოდებოდნენ, ხოლო ქრისტეს ეკლესია, განაგდებს რა თავისი სხეულისგან მწვალებლებს, განაგრძობს არსებობას, როგორც მთლიანი, შინაგანად ერთიანი, განუყოფელი ეკლესია.

დიდი სერბი მართლმადიდებელი დოგმატისტი, არქიმანდრიტი, დოქტორი იუსტინ პოპოვიჩი შესანიშნავად ამბობს: „როგორც ქრისტეს — ღმრთისა და კაცის, პიროვნებაა ერთი და ერთადერთი, ასევე. მის მიერ და მასზე დაფუძნებული ეკლესიაა ერთი და ერთადერთი. ეკლესიის ერთიანობა უცილობლად გამომდინარეობს ქრისტეს ღმერთისა და კაცის ერთიანობისგან... ყოველგვარი დაყოფა ეკლესიისა მისი სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. იგი მთლიანად ღმერთკაცია და პირველ ყოვლისა ღმერთკაცის ორგანიზმია, და უკვე შემდგომ — ღმერთკაცის ორგანიზაცია. მასში ყოვლივე ღმერთკაცის კუთვნილია: ცხოვრებაც, სარწმუნოებაც, სიყვარულიც, ნათლობაც, ევქარისტიაც, ყოველი მისი წმიდა საიდუმლო, მთელი მისი სწავლება, მთელი მისი ცხოვრება, მთელი მისი უკვდავება, მთელი მისი მოწყობილობა — ყველაფერ ღმერთკაცისეული და განუყოფელია.. მასში ყოველივე

ორგანულად და მადლის მიერაა შეერთებული ღმერთკაცის ერთ სხეულად, ერთი თავის — ღმერთკაცის, უფალ იესო ქრისტეს ხელმწიფების ქვეშ... ქრისტესთან შეერთებული, ეკლესიის ყველა წევრი, რომელ ეროვნებას და რომელ დროსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, ერთნი არიან იესო ქრისტეს მიერ. (გალ. 3, 24—28).

მორწმუნეთა ეს ერთიანობა პირველი საიდუმლოდან — ნათლობიდან იწყება, სხვა წმიდა საიდუმლოებებით გრძელდება და მტკიცდება, ხოლო თავის მწვერვალს წმ. ევქარისტიაში აღწევს. ევქარისტიაში ხორციელდება მორწმუნეთა ყველაზე სრული ერთობა უფალ იესო ქრისტესთან, ისევე, როგორც ერთობა მორწმუნეთა შორის...: ქრისტეს მთლიან ეკლესიას საფუძველი ღმრთის სარწმუნოების ერთობისა და ერთიანობის ნიადაგზე ეყრება. ამ სარწმუნოებაში კი ყველაფერია ღმერთკაცი, უფალი იესო ქრისტე, რომელმაც თავის თავში და ეკლესიის მეშვეობით საუკუნოდ შეუერთა ზეცა დედამიწას, ანგელოზები — ადამიანებს და, რაც ყველაზე მთავარია, ღმერთი — ადამიანებს. ღმერთკაცის რწმენა ჩვენ, ადამიანებს, გვაძლევს ყველაფერს, რაც საუკუნო ცხოვრებისთვისაა აუცილებელი ამ სარწმუნოებით ვდგავართ და ვარსებობთ, იგი ერთხელ და სამუდამოდ მიეცა წმიდათა (იუდ. 1,3)... წმ. მოციქულთ მსგავსად, წმ. მამები და ეკლესიის მასწავლებლები აღიარებენ მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობასა და ერთიანობას. ამიტომ გასაგებია ეკლესიის წმიდა მამების მოშურნეობა, რომელსაც ისინი იჩენდნენ ეკლესიისგან ყოველგვარი გამოყოფისა და განვარნდის შემთხვევაში, ასევე მათი სიმკაცრე წვალებათა და განხეთქილებათა მიმართ... შეუძლებელია, რომ უფალ იესო ქრისტეს რამდენიმე სხეული ჰქონდეს, და ასევე შეუძლებელია რამდენიმე ეკლესიის არსებობა.. ასე რომ, ეკლესიის განყოფა ონტოლოგიურად, არსებითად, შეუძლებელია. არსებობდა და კვლავაც იარსებებს მხოლოდ განვარდნა ეკლესიისგან. ერთიან, განუყოფელ ქრისტეს ეკლესიას სხვადასხვა დროს განუდგებოდნენ ხოლმე მწვალებლები და განხეთქილების მოთავენი, და ამით მათი მიმდევარნი ეკლესიის წევრობისგან განეყენებოდნენ... ასე განვარდნენ ეკლესიისაგან გნოსტიკოსები, არიანელები, დუხობორები, მონოფიზიტები, ხატმებრძოლები, კათოლიკები, პროტესტანტები, უნიატები და ყველა სხვა ჯურის განდგომილნი, მწვალებელთა და განხეთქილების მთავართა ლეგიონის წევრები“ [39].

მოსაზრება, რომ თითქოს ეკლესია დღეს მხოლოდ განხეთქილების სახით არსებობს, გამოთქმულია ე. წ. „განშტოებათა თეორიაში“,

რომლის მიხედვითაც ეკლესია — „განშტოებებად" არის დაყოფილი: მართლმადიდებლურ, კათოლიკურ, ანგლიკანურ (პროტესტანტულ) განშტოებებად. ისინი არ არიან ერთიანნი და არც ურთიერთობა აქვთ, მაგრამ, ამ თეორიის მიხედვით, გარეგნული ერთობა „ეკლესიის არსებითი ნიშანი არასოდეს ყოფილა. მის ღრმა შინაარსს არ ეწინააღმდეგება მრავალფეროვნება სწავლებებსა და პრაქტიკაში" [40].

ასეთ მრავალფეროვნებას სწავლებებში, ეკუმენისტურ წრეებში „პლურალიზმად" წოდებულს, დღეს განსაკუთრებით უპერს მხარს ემს, რომელშიც მრავალი სექტა და აღმსარებლობა შედის. ამტკიცებენ, რომ პლურალიზმი სულიერად ამდიდრებს ეკუმენისტური მოძრაობის მონაწილეებს — ყველას შეუძლია სხვის აზრს მიუგდოს ყური, რაღაც გაიგოს, თავისი ტრადიცია სხვისით „გაამდიდროს", თავისი სარწმუნოება სხვა აღმსარებლობის ელემენტებით შეავსოს, რომლებიც ვითომ ეკლესიის სხვა გადმოცემას ინახავენ. „სარწმუნოებისა და მოწყობის" განყოფილების ყოფილი უფროსი, ლუკა ფიშერი იმის მტკიცებასაც კი ბედავს, რომ, მოსალოდნელი საფრთხის მიუხედავად, „მრავალფეროვნება კანონიერი და აუცილებელიც კია" [41].

რას ნიშნავს ეს მკაცრად მართლმადიდებლური თვალსაზრისი. რომლის თანახმადაც არსებობს ერთი, ღმრთივგამოცხადებული სარწმუნოება (ეფეს. 4, 5). ერთი, წმიდა, ჭეშმარიტი მოძღვრება (2 თეს. 2, 15) და ერთი ეკლესია (მათ. 16, 18)? პლურალიზმი, რომელსაც ეკუმენიზმი დასაშვებად მიიჩნევს და იწონებს კიდეც, სხვა არაფერია, თუ არა ღმრთაებრივი ჭეშმარიტების აბსოლუტურიდან შედარებითამდე დაყვანა. რამეთუ როგორ შეიძლება შედარებითი არ იყოს სარწმუნოების ჭეშმარიტებანი, თუკი სხვადასხვა აღმსარებლობათა ტრადიცია, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი, ერთნაირად ითვლება რაღაც „ჭეშმარიტების" შემცველად? ჭეშმარიტების რელატივიზაცია — ეს გახლავთ „განშტოებათა თეორიის" არსი!

როგორც სწორად შენიშნავს ვედერნიკოვი, „განშტოებათა ეს თეორია მაცდურია უკვე იმით, რომ ჭეშმარიტებას ცთომილებას უტოლებს და იმავე დროს ახალი, ეკუმენისტური ეკლესიის შექმნის მატყუარა პერსპექტივას სახავს, იმ ეკლესიისა, რომელშიც ყველა არსებული ქრისტიანული აღმსარებლობა უნდა გაერთიანდეს, ისე, რომ თავ-თავისი დამახასიათებელი ფასეულობები არ დაკარგოს. ასეთი პერსპექტივა მხოლოდ მატყუარა კი არა, საშიშიცაა ქრისტიანებისთვის, რამეთუ განაშორებს მათ ჭეშმარიტ, ქრისტეს მიერ დაარსებულ

ეკლესიას, ჩააგონებს აზრს ამ ეკლესიის არარეალურობის შესახებ და ჩვენს რელიგიას ღმერთან ნამდვილი, ონტოლოგიური შეერთებიდან ცარიელ განწყობად აქცევს, რომლის ამარა დარჩენილი კაცი იოლად წავა ნებისმიერ კომპრომისზე სარწმუნოებაშიც და ცხოვრებაშიც“ [42].

პლურალიზმის იდეა, რომელიც სულ უფრო დაბეჯითებით ვრცელდება ეკუმენისტურ წრეებში, თანდათან იპყრობს ადამიანების გონებას და მას ზოგიერთი კათოლიკე ღმრთისმეტყველიც იზიარებს. მაგალითად, ბელგიის კარდინალის, სუენენსის აზრით, „ეკლესია სამების მიხედვით შეიქმნა, რომელიც არის ერთი სამში და სამი ერთში. ეს ნიშნავს, რომ მრავლობითობაში არის ერთიანობა, ისევე როგორც ერთიანობაში — მრავლობითობა. ამიტომაც ერთიანობაზე უნდა ვილაპარაკოთ, როგორც მრავლობით ერთიანობაზე“ [43].

წმ. სამების მაგალითი დღევანდელი „ეკლესიების“ პლურალიზმთან დაკავშირებით, ანუ სხვადასხვა რელიგიური საზოგადოების დოგმატურ უთანხმოებებთან დაკავშირებით, დაუსაბუთებელი, ღმრთის წინააღმდგომი და მკრეხელურია, რამეთუ ე. წ. „ეკლესიები“ ცრუ ეკლესიები არიან, და შეუძლებელია მათთან ერთობაში ყოფნა. წმ. სამებაში ყველაფერი ჭეშმარიტებაა: ჭეშმარიტებაა მამა ღმერთი, (იერ. 10, 10), ჭეშმარიტებაა ძე ღმერთი (იონ. 14, 6), ჭეშმარიტებაა სული წმიდა (1 იოან. 5, 6), ჭეშმარიტება ჰყოფს წმ. სამებას ერთიანად (1 იონ. 5, 7). ჭეშმარიტებამ უნდა შეაკავშიროს ეკლესიები, თუ მათ სურთ ერთიანობა, რამეთუ ჭეშმარიტება შეუძლებელია ცთომილებას შეერიოს. სწორედ ეს გამორჩა მხედველობიდან კარდინალ სუენესს.

ერთხმად მიიღო რა 15 წინადადება „სარწმუნოების ერთიანობისა და საეკლესიო პლურალიზმის შესახებ“, ვატიკანის საღმრთისმეტყველო კომისიამ კათოლიკური ეკლესიის ოფიციალურ დოქტრინაში შეიტანა „სხვადასხვა მიდგომის უფლება ქრისტეს ეკლესიის განსაკუთრებული საიდუმლოსადმი“, უფლება, რომელიც პრინციპში უკვე ვატიკანის II კრებამ აღიარა დეკრეტით ეკუმენიზმის შესახებ (III, § 22) [44]. ამ წინადადებებიდან, რომლებიც ეკუმენიზმის პოზიციის ადეკვატური არიან, გამოდის, რომ „სარწმუნოება ერთია, მაგრამ მისი გამოხატვა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, და ეს მრავალფეროვნება არვითარ მტკიცებას არ საჭიროებს. ესაა ფაქტი, რომელიც ქრისტიანობის სხვადასხვა კულტურებში განხორციელების მოთხოვნილებებისგან გამომდინარეობს“ [45].

მაგრამ განა შეიძლება ქრისტეს საიდუმლოს მწვალებლურ ფოშულირებათა გამართლება კულტურების მრავალფეროვნებით, თით-

ქოს სარწმუნოების საიდუმლო ადამიანური კულტურებით იყოს გან-
პირობებული და არა ზეგონიერი, მათგან დამოუკიდებელი ზეციური
მოცემულობითა და ღმრთაებრივი გამოცხადებით, რომელსაც უნდა
დაემორჩილონ კულტურაცა და გონებაც (2 კორ. 10, 5)?!

წმ. ირინეოს ლიონელის დროს ეკლესია უკვე აღმოსავლეთიდან
დასავლეთამდე იყო გავრცელებული და ეკლესიური სწავლება განსხ-
ვავებული კულტურისა და ფსიქოლოგიის მქონე ხალხებს შორის იქა-
დაგებოდა. თუ ეკუმენისტურ სწავლებას დავუჯერებთ, ამ კულტუ-
რებს უკვე მაშინ უნდა დაემჩნიათ თავიანთი კვალი ქრისტეს საიდუმ-
ლოსთვის და სარწმუნოება „პლურალისტური" უნდა გაეხადათ. მაგ-
რამ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა, პირიქით, როგორც ლიონელი
მღვდელმთავარი გვიმოწმებს, „ეკლესია, თუმცა მთელ მსოფლიოშია
გაფანტული, დედამიწის უკიდურეს საზღვრებამდე, მოციქულებისა და
მათი მოწაფეებისაგან მიიღო სარწმუნოება.. ეკლესია თითქოს ერთ
სახლში ცხოვრობს: ბეჯითად იმარხავს ამ ქადაგებასა და სარწმუნო-
ებას და ერთსულოვნად სწამს ისე, თითქოს, ერთი გული ჰქონდეს,
და ამის მიხედვით ქადაგებს, მოძღვრავს და ასწავლის ისე, თითქოს
ერთი ბაგე ჰქონდეს, და თუმცა მსოფლიო ენები ერთნაირები არ
არიან, მაგრამ მოძღვრების ძალა ერთი და იგივეა. გერმანიის ქვეყ-
ნებში დაარსებულმა ეკლესიებმა თავისებურად როდი ირწმუნეს და
თავისებურად როდი ასწავლიან, იგივე ითქმის ივერიის, კულტების,
იერუსალიმის, ეგვიპტის, ლიბიის, ეკლესიებზე. როგორც მზე, ღმერთს
ქმნილება, ერთი და იგივეა მთელ მსოფლიოში, ისევე ჭეშმარიტების
ქადაგება ყველგან ანათებს და განანათლებს ყველას, ვისაც ჭეშმარი-
ტების შეცნობა სურს" [16].

ამრიგად, ცხადია, რომ კულტურებს კი არ შეუცვლიათ ქრისტეს
საიდუმლოს გამოხატვა და მასთან ერთად ჭეშმარიტება ამ ეკლესიის
შესახებ, არამედ ცალკეულმა მწვალებლებმა, რომლებიც ეკლესიის
მტრის — ეშმაკის მიერ იყვნენ შთაგონებულნი, — არიოზმა, ნესტო-
რიოსმა, მაკედონიოსმა, ევტიხიმ და სხვებმა. მაგრამ დღეს ეკუმენის-
ტებს წვალებათამთავრების დანაშაული კულტურებზე გადააქვთ, რათა
გაამართლონ ქრისტიანთა შორის გაჩენილი განყოფა და განხეთქილ-
ებები, როგორც რაღაც კანონიერი და ლამის აუცილებელი მოვლენა.

მართლმადიდებლური შეგნებისათვის ცხადია, რომ ის ჯგუ-
ფი, რომელიც განუდგა ეკლესიას, ეკლესიის ფარგლებს გარეთ დგას.
მისი ეკლესიის განყოფილ ხიდიდედ მიჩნევა მის უარყოფას ნიშნავს.
რამეთუ „ყოველი მეუფება, რომელი განეყოფის თავსა თვისსა, მოოხრ-
დის" (მათ. 12, 25). როგორ შესძლებდა ეკლესია ჯოჯოხეთის ბჭეთა

წინააღდგომას, იმ ბჭეთა, რომელნიც მუდმივ ცთომილებებს იგონებდნენ და განყოფას თესავდნენ (ლუკ. 22, 31), თუ მას არ ექნებოდა ერთი სარწმუნოება, თუ დაკარგავდა თავის ერთიანობას და მხოლოდ განხეთქილებებში იარსებებდა? მართალი სარწმუნოებისმიერი ერთობის დაკარგვით ეკლესია კარგავს ღმრთაებრივ დანიშნულებას — იყოს ქრისტეს ეკლესია — „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ (1 ტიმ. 3, 15).

ბ) ეკლესია ერთიანია. ყოვლისმომცველობის ანგლიკანური პრინციპი

რას ნიშნავს „ერთიანი ეკლესია?“ ვინაიდან ეკლესია ქრისტეს მისტიური სხეულია, რომელშიც მადლისა და ჭეშმარიტების საუნჯეა დამარხული (კოლ. 2, 3), ამიტომ ერთიანი ეკლესია, რომელსაც ერთი თავი ჰყავს მიცემული, ნიშნავს: „ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოებაჲ“ (ეფ. 4, 5), ერთია ჭეშმარიტება.

ეკლესია რომ განყოფილი იყოს, მაშინ უნდა დაგვეშვა აბსურდი, თითქოს თავი მისი, უფალი იესო ქრისტე, „განყოფილ არს“ (1 კორ. 1, 13). განა შესაძლებელია, ვისერ-ჰუფტთან ერთად ვამტკიცოთ, რომ „იესო ქრისტე ყველა ეკლესიაში იმყოფება, მათ შორის არსებული რეალური განსხვავების მიუხედავად“. ამ შემთხვევაში უნდა მივიღოთ მკრეხელური აზრი, რომ იესო ქრისტე გაიყო და ერთგან ერთს ასწავლის, მეორეგან მეორეს, მესამეგან კი სულ საპირისპიროს. ხოლო თუ დავთანხმდებით, რომ ქრისტე გაიყო და თავის თავს ეწინააღმდეგება, მაშინ უნდა გამოვიტანოთ ღმრთისმგმობი დასკვნა, რომ არ შეიძლება მისი ნდობა, როდესაც ამბობს: „მე ვარ ჭეშმარიტება“ (იონ. 14, 6), რამეთუ, როგორც კარგად თქვა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა იერემია მეორემ, „ჭეშმარიტება ჭეშმარიტებას არ ებრძვის“ [47].

განყოფილი ეკლესია განყოფილ და შერყვნილ სარწმუნოებას ნიშნავს, არსებითად სწორედ მას ქადაგებს ეკუმენიზმი თავისი პლურალისტული კონცეფციით. ჩვენ კი, მართლმადიდებელი ქრისტიანები, მთლიან, ერთიან, მრთელ, ჭეშმარიტ სარწმუნოებას ვადგავართ, რამეთუ „თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნო-ყოფა“ (ებრ. 11, 6), ისევე, როგორც მადლით ვართ „გამოხსნილ სარწმუნოებისა მიერ“ (ეფეს. 2, 8).

ეკლესიაში ყველა ერთიანი უნდა იყოს ჭეშმარიტების მიერ, ისე-

ვე, როგორც მამა არის ძეში და ძე — მამაში (იოან. 17, 21), რამეთუ ძე ღმერთისა და მამა ერთნი არიან ბუნებითა და ჰეშმარიტებით. მორწმუნენიც ერთობისაკენ არიან მოწოდებულნი ღმერთივგამოცხადებული ჰეშმარიტების მეშვეობით, ღებულობენ რა მას ნამდვილი, შეურყვნელი სახით. აი, რას ამბობს ამის შესახებ, თითქოს თვით მაცხოვრის სახელით, წმ. ათანასე დიდი: ჩვენი (მამისა და ძის) ერთობის მეშვეობით ისინიც (მორწმუნენი) ერთნი იქნებიან, ისევე, როგორც ჩვენა ვართ ერთნი ბუნებითა და ჰეშმარიტებით. და თუ ჩვენგან არ ისწავლიან, სხვაგვარად ისინი ვერ იქნებიან ერთნი" [48]. აქ სრულიად ნათლადაა გადმოცემული მაცხოვრის ვედრება მამა ღმერთის მიმართ, რომელიც მან თავის ლოცვაში გამოთქვა: „რადთა ყოველნი ერთ იყუნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე — შენდამი, რადთე იგინიცა ჩვენ შორის ერთ იყუნენ" (იოან. 17, 21).

იმის მტკიცება, დღეს ეკლესია განხეთქილებებში არსებობსო, ნიშნავს დავივიწყოთ, რომ ეკლესია ერთ კლდეზე — ქრისტეზეა დამყარებული (1 კორ. 10, 4) რაც საერთოდ ეკლესიის, როგორც ქრისტეს ცოცხალი სხეულის უარყოფას ნიშნავს, მაგრამ ეკლესია ხომ არსებითად ქრისტეს სხეულად გვევლინება (კოლ. 1, 24). ზოგიერთი „მართლმადიდებელი" ეკუმენისტი, „მართლმადიდებლობის" შენარჩუნებაც რომ სურს და ეკუმენიზმის გულის მოგებაც, ეკლესიის ერთიანობაზე მსჯელობისას იყენებს ტერმინს „განუყოფელი, ძველი ეკლესია". მაგალითად, „მოსკოვის სასატრიარქოს ჟურნალში" პროფესორი, დეკანოზი ლ. ვორონოვი წერს: „მართლმადიდებელი ეკლესია სავსებით ერთგულია ძველი, განუყოფელი ეკლესიისა" [29].

ამ ფრაზაში ეკლესიის მიმართ სიტყვა „განუყოფელის" ხმარებით ავტორი უშვებს მის გვიანდელ განყოფას, ანუ განშტოებათა არსებობას. მაშასადამე, იგი ირიბულად ეთანხმება ყბადაღებულ „განშტოებათა" თეორიას, აგრეთვე იმ აზრს, თითქოს ქრისტეს სხეული მხოლოდ ისტორიის რომელიღაც პერიოდში იყო განუყოფელი, მერე კი გაიყო! ღღევანდელი მართლმადიდებელი ეკლესიის ძველ „განუყოფელ ეკლესიასთან. დაპირისპირებით ავტორი არასწორ გამიჯვნას ახდენს — თითქოს ლაპარაკი ერთ, საუკუნეთა მანძილზე ერთსა და იმავე ეკლესიაზე არ იყოს.

მაგრამ ეკუმენისტები გვიპასუხებენ, დღეს ეკლესია ფაქტიურად განყოფილია, რამეთუ მასში განხეთქილებები არსებობსო. ჩვენ მათ შეევახსენებთ, რომ განხეთქილებები და წვალებები ყოველთვის იყო

და იქნება (I კორ. II, 19), მაგრამ განხეთქილებებსა და წვალებებს შორის ქრისტეს ეკლესია ყოველთვის იყო ერთიანი და შინაგანად გაერთიანებული, რამეთუ განკვეთდა ყოველგვარ გადახრას ჭეშმარიტებისგან, როგორც ქირურგი კვეთს ორგანიზმიდან საშიშ სიმსივნეს, რათა სხეული დაღუპვას გადაარჩინოს და შემდგომი განვითარების საშუალება მისცეს. ეკლესია ძირითადად ამით იყო დაკავებული შვიდი მსოფლიო კრების მანძილზე, რასაც ერთ-ერთი მეთოდისტიც კი აღიარებს: „მსოფლიო კრებების მთავარი მიზანი იყო სარწმუნოებრივი მოძღვრება — მისი განსაზღვრა და წვალებათა მხილება“ [50].

ისინი, ვინც ფიქრობენ, ეკლესია დღეს მხოლოდ განხეთქილებებში არსებობს, სრულიადაც არ აპირებენ სასურველ გაერთიანებას მართლმადიდებელ ჭეშმარიტებასთან მიბრუნების გზით მიაღწიონ, თუმცა ნიადაგ ეკლესიების დაახლოებასა და ერთიანობის განხორციელებაზე ლაპარაკობენ. როგორ წარმოუდგენიათ დასავლელ ეკუმენისტებს ეს გაერთიანება?

1961 წლის 21 მარტს შემდგარ შეხვედრაზე ფრენსის ჰაუსმა, ემს-ს ანგლიკანელმა წევრმა, აღნიშნა რა, რომ ანგლიკანელებს ოთხი ეკლესია აქვთ და რომ ეკუმენისტები მსოფლიოს ყველა ეკლესიის შეერთებას ესწრაფვიან, დაუმატა: „და როდესაც ეს მოხდება, აღარ იარსებებს არც კათოლიკური, არც ანგლიკანური, არც პროტესტანტული, არც მართლმადიდებელი ეკლესია ამ სიტყვის სეპარატიული მნიშვნელობით — ყველა ერთი ეკლესია იქნება“.

სრულიად აშკარაა, რომ ეს მომავალი ეკუმენისტური „ეკლესია“ არ არის იგივე, რაც მართლმადიდებელი, რამეთუ მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის არსებობდა და იარსებებს. ეკუმენისტებს რომ მართლმადიდებლობა სურდეთ, მათ უბრალოდ უარი უნდა თქვან თავიანთ მწვალებლურ ცთომილებებზე და მართლმადიდებლობა მიიღონ, სწორედ ამ იდეას ემხრობოდა გასულ საუკუნეში არამართლმადიდებელი ღმრთისმეტყველი ოვერბეკი. ისტორიული კვლევა-ძიების საფუძველზე იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია შეუძლებელია იყოს სხვაგვარი და არა ისეთი, როგორიც მართლმადიდებელი ეკლესიაა, რამეთუ მასში, მაცხოვრის აღთქმისაებრ, მუდამ იმყოფება სული წმიდა. ოვერბეკის თქმით, ამ ეკლესიას შექმნა არ სჭირდება, იგი უკვე შექმნილია უფალ იესო ქრისტეს მიერ, — საჭიროა მხოლოდ მისი ძიება: „ეკლესია არის დაწესებულება, რომელსაც თავისი ისტორია აქვს, იგი შეუძლებელია გამოგონილი იყოს. ესაა კლდეზე აშენებული სახლი, და იგი მტკიცედ დგას. არ

არის საჭირო მისი აგება, საჭიროა მხოლოდ მისი ძიება. ჰკითხეთ ისტორიას — იგი გიჩვენებთ ამ სახლს და გაგიძღვებათ მისკენ!“ [51]

მაგრამ ახლანდელ ეკუმენისტებს არ სურთ ქრისტეს მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიბრუნება. მათ ეკლესიების შეერთება უნდათ თავ-თავისი აღმსარებლობებით, ახალი ეკლესიის შექმნას აპირებენ, რომელიც იქნება არა მართლმადიდებელი, არამედ აშკარად მწვალებლური ეკლესია.

ადრე ეკუმენისტები ძალიან ფრთხილად ახსენებდნენ მომავალ „სრულიად ქრისტიანულ“ ეკლესიას, მაგრამ ბოლო ხანს კადნიერდებიან ისიც კი გაანაცხადონ, სად მდებარეობს და როგორ გამოიყურება იგი. ერთ-ერთ ეკუმენისტურ მოხსენებაში, რომელიც 1972 წელს უტრეხტში იქნა წაკითხული, ავტორი კატეგორიულად ამტკიცებს: „ღმერთი შეგვეწია, რომ გვეპოვნა ეკლესია ჩვენ-ჩვენი კონფესიონალური საკრებულოების გარეთ“ [52], ანუ ყოველი „ეკლესიად“ წოდებული ფორმაციის, მათ შორის მართლმადიდებლობის გარეთაც!

აქედან ცხადია, რომ ეკუმენისტები არამცთუ თვითონ არ აპირებენ მართლმადიდებლობის მიღებას, არამედ ცდილობენ მართლმადიდებელი ქრისტიანებიც ააცდინონ სწორ გზას და ახალი, „ეკუმენისტური“ ეკლესიის წევრებად აქციონ. და ვინაიდან ანგლიკანობა თავის თავს ეკლესიებს შორის გადებულ „ხიდად“ მიიჩნევს და ამასთან „ყოვლისმომცველობის“ პრინციპს ქადაგებს, ადვილი წარმოსადგენია, ცთომილებათა რა ქაოსში აღმოჩნდებიან მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც გულუბრყვილოდ მიენდობიან მომავალი გაერთიანებული „ეკლესიის“ იდეას!

როდესაც 1941 წლის მაისში ათენში, ბერძენ და ანგლიკანელ ღვთისმეტყველთა თათბირზე ანგლიკანური „ყოვლისმომცველობის“ პრინციპის საკითხს განიხილავდნენ, მართლმადიდებლურმა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პრინციპი მისთვის მიუღებელია. მართლმადიდებლობას ახასიათებს სწორედ საპირისპირო პრინციპი — ერთადერთობის, განსაკუთრებულობის (ყოველგვარი მწვალებლობის გამორიცხვისა), რამეთუ მართლმადიდებლობა ერთგულია წმიდა გარდამოცემისა, მისი სწავლება უცვალებელია, მაშინ როცა ეკუმენისტური მოძრაობის მთავარი თავისებურება „ტოლერანტობა სწავლების სფეროში და ინკლუზიის სულისკვეთების ქება-დიდება“ [53], ანუ ყველა მწვალებლობის მიღება.

1922 წელს კენტერბერიის მთავარეპისკოპოსმა მოიწვია კომისია იმის დასადგენად, თუ რა ფარგლებშია დასაშვები ეკლესიაში აზრთა

სხვადასხვაობა. კომისია 1937 წლამდე მუშაობდა და ერთი წლის შემდეგ გამოაქვეყნა თავისი დასკვნები, საიდანაც ჩანს, რომ ანგლიკანობისთვის მისაღებია უკიდურესი პროტესტანტული აზრები, კერძოდ:

1) მაცხოვრის ქალწულისაგან შობის უარყოფა — ეს ღმრთის განზორციელების უარყოფის ტოლფასია, რამეთუ ამ შემთხვევაში უარყოფილია ქრისტიანული დოგმატი გამოსყიდვის შესახებ, რომელიც მხოლოდ ზებუნებრივად ჩასახულსა და პირველქმნილი ცოდვისაგან თავისუფალ მაცხოვარს შეეძლო აღესრულებინა.

2) ქრისტეს აღდგომის ისტორიულობის უარყოფა, რაც ქრისტიანობას სრულ უაზრობად აქცევს, რამეთუ, წმ. პავლე მოციქულის თქმით, „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილს არს, ცუდად სამე არს ქადაგებაჲ ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი" (1 კორ. 15, 14).

3) აწგელოზებისა და დემონების, ანუ სულთა სამყაროს რეალური არსებობის უარყოფა. მაგრამ ამ სამყაროს ყოველთვის იმოწმებდნენ მოციქულები და საერთოდ, წმ. წერილი [54].

და ბოლოს, ანგლიკანობა ჯიუტად უანიხილავს საკითხს ქალთა ხელდასხმის შესახებ, ხოლო ლამბეტის ანგლიკანელ ეპისკოპოსთა კონფერენციამ (1988 წ.) ნებართვა გასცა მათი არა მხოლოდ მღვდლებად, არამედ ეპისკოპოსებად ხელდასხმისა, იმის მიუხედავად, რომ მოციქული უკრძალავს ქალებს ეკლესიაში ლაპარაკსაც კი (1 კორ. 14, 34), და მიუხედავად საერთო საეკლესიო პრაქტიკისა.

ასეთი ანტიქრისტიანული შეხედულებებისა და ანტიკანონიკური ქმედებების მიუხედავად ანგლიკანები არავის განკვეთენ ეკლესიისაგან. ისინი „ყოვლისმომცველობის პრინციპს" მისდევენ და კარგა ხანია ითმენენ სრულიად წინააღმდეგობრივ შეხედულებებსა და ქმედებებს თავიანთ „ეკლესიაში". ეს შეხედულებები სრულიად დასაშვებად ითვლება, როგორც პირადი „საღმრთისმეტყველო ხასიათის" აზრები, თუმცა ისინი სცილდებიან პირადულობის ფარგლებს, სარეველასავით მრავლდებიან და სწრაფად ვრცელდებიან ერისკაცთა შორის.

თუ მართლმადიდებელ ეკლესიაში, რომელიც კანონებით ხელმძღვანელობს, ეკლესიურ რწმენასთან შეუსაბამო ნებისმიერი ცრუმოძღვრება საეკლესიო განსჯისა და დაგმობის საგანი გახდებოდა, ანგლიკანურ „ეკლესიაში" სიახლეები დაუბრკოლებლივ ვითარდება, ვინაიდან მან დაკარგა ეშმარიტების სიყვარული და ამიტომ უშვებს

ნებისმიერი აზრისა და ცრუმოძღვრების გავრცელებას. მეტიც, მას თავიც კი მოსწონს იმით, რომ კარს უღებს ამა სოფელს, მის წესებსა და ნაირგვარ ფილოსოფიას (შდრ. კოლ. 2, 8) და საყვედურობს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომ იგი მტკიცედ დგას სარწმუნოებაში და ამა სოფლის ამაოებას განერიდება!

განსვენებული ათინაგორა (კოკინაკისი), ბერძენი მთავარეპისკოპოსი თიატირისა და დიდი ბრიტანეთისა, ცნობილი, როგორც მტკიცე ეკუმენისტი — ანგლოფილი, ამის მუიხედავად საყვედურს გამოთქვამს: „ანგლიკანურ ეკლესიაში მოაზროვნე ინტელექტუალები და ღმრთისმეტყველები ეკლესიისგან არავითარ ოფიციალურ დაჯმობას არ მოელიან. ის ამბავი, რომ ათი ეკლესია ღიაა მსოფლიო ისტორიისთვის და რომ მასში მოქმედებს „ყოვლისმომცველობის“ პრინციპი, მათ ერთგვარ საღმრთისმეტყველო კადნიერებას ანიჭებს ისტორიის მიმართ. ... ეს მცდელობები „ყოვლისმომცველობის“ საზღვრებს იმდენად აფართოვებს, რომ ჩნდება პრობლემები ანგლიკანური თემის შიგნით და მის გარეთ“ [55]. მაგრამ შემდგომ, ცდილობს რა როგორღაც გამართლოს ანგლიკანური „ყოვლისმომცველობის“ პრინციპი, მთავარეპისკოპოსი ათინაგორა საკუთარ თავს ეწინააღმდეგება: ამ პრინციპს იგი საეკლესიო იკონომიის მართლმადიდებლურ პრინციპთან აიგივებს [56]. მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებლად უნდა ჩაითვალოს, რამეთუ:

1) მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს იყენებს იკონომიის პრინციპს დოგმატების სფეროში, მაშინ, როდესაც „ყოვლისმომცველობის“ ანგლიკანური პრინციპები სარწმუნოების ამ უმნიშვნელოვანეს სფეროზეც ვრცელდება.

2) ეს ორი პრინციპი ძალიან განსხვავებულია, რამეთუ ანგლიკანებთან „ყოვლისმომცველობის“ კონკრეტული შედეგი სარწმუნოების სფეროში ადამიანთა სულების წარწყმედაა, მართლმადიდებლობაში კი იკონომიის პრინციპის მიზანია სულის ცხონება — წმ. მამებისეული გამოთქმით — „ძირშივე კურნების“ გზით“ [57].

ბოლო ხანს ანგლიკანობაში გაჩნდნენ „მოდერნისტები, რომლებიც უარყოფენ ქრისტიანობის, როგორც ღმრთივგამოცხადებული რელიგიის საფუძვლებს“. ამ მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია „ეპისკოპოსი“, დოქტორი ჯონ რობინსონი, ავტორი წიგნისა „როგორ უნდა იყოს პატიოსანი ღმერთთან ურთიერთობები“ (1983), რომლის მსოფლმხედველობას ყველაზე მეტად „ქრისტიანული ათეიზმის“ სახელი შეეფერება. იგი უარყოფს პიროვნული — შემოქ-

მედიცა და განმგებლის არსებობას. აგრეთვე სულიერი სამყაროსა და მომავალი საუკუნო ცხოვრების არსებობას. იესო მისთვის უბრალო ადამიანია. მაგრამ ეს ადამიანი — ქრისტე — სამყაროს ღმრთაებრივი საწყისის ერთადერთი და უმაღლესი გამოვლინებაა მთელი ისტორიის მანძილზე... ამ აზრით იგი არის ერთარსი მამისა, თუმცა რობინსონის მსოფლმხედველობაში მამა ღმერთის ადგილი არსად მოიპოვება. მისი აზრით, ქრისტეს აღდგომა არ ნიშნავს საფლავიდან ხორცით აღდგომას, არამედ „მოციქულთა რაღაც სულიერ განცდას, რომელიც მათ ჯვარცმიდან მესამე დღეს დაეუფლათ და რომელმაც ისინი შინაგანად გარდაქმნა“ [58].

და ამ „ქრისტიანულ“ ათეიზმს ითმენს ანგლიკანური ეკლესია! „ეპისკოპოს“ რობინსონის მიმართ ეკლესიის ხელისუფლებას არავითარი სანქციები არ გაუტარებია, ანგლიკანურ ეკლესიას [59], რომელიც საერთოდ გაურბის მწვალებლურ შეხედულებათა დაგმობას, არც მისი სწავლება უარუყვია.

მეტიც, „ყოვლისმომცველობის“ მანკიერ პრინციპს, რომელიც მხოლოდ სარწმუნოებაზე კი არა, ქრისტიანულ მორალზეც ვრცელდება, ანგლიკანობა აშკარად უზნეო მიზნებისთვის იყენებს. მაგალითად, „ჩერჩ ტაიმსში“, ინგლისის ეკლესიის ოფიციალურ ორგანოში, 1983 წლის 14 ოქტომბერს მოთავსებული იყო „ჰომოსექსუალისტების ქრისტიანული (!) კავშირის“ სამარცხვინო რეკლამა. იგი რეკომენდაციას აძლევს წიგნებს, რომლებიც შეიცავენ რელიგიურ განწესებებს ორივე სქესის სოდომური ქორიწნებისათვის!!! [60] ერთ-ერთი ასეთი „ქორწინების“ თაობაზე, რომელიც 1983 წლის 21 იანვარს შედგა ანგლიკანელი მღვდლის, ჰოლტის მონაწილეობით და რომელმაც იქაურ მკვიდრთა დიდი აღშფოთება გამოიწვია, ხაენებული „ქრისტიანული“ კავშირის გენერალურმა მდივანმა კირკერმა უტიფრად განაცხადა, რომ ასეთი ქორწინების რიცხვი სულ უფრო მატულობს და რომ მრავალი მათგანი ანგლიკანურ ეკლესიაში სრულდება გარკვეული წესის მიხედვით [61]. ალბათ ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა არაბუნებრივია ასეთი „ქორწინებები“, რომლებიც პავლე მოციქულმა დაგმო, როგორც „ვნებანი გინებისანი“ (რომ, 1, 26) და უმძიმეს ცოდვებს ამოუყენა გვერდით, რომელთაც „სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (I კორ. 6,9).

ასეთი გახლავთ ნაყოფი ანგლიკანური „ყოვლისმომცველობისა“, რომლის სახელითაც ამართლებენ არა მხოლოდ ყოველგვარ დოგმა-

ტურ ცრუსწავლებებს, არამედ ყველაზე სამარცხვინო ზნეობრივ დანაშაულობებს.

ეს სენი, სამწუხაროდ, ზოგიერთ მართლმადიდებელ ღმრთისმეტყველსაც გადაედო, მაგალითად, დეკანოზ ლიეერი ვორონოვს, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დოგმატიკის პროფესორს. პარიზში, სერგის ლავრის მეტოქეობის * საღმრთისმეტყველო ინსტიტუტის მონახულებისას მან წაიკითხა ლექცია რუსული მართმადიდებელი ეკლესიის (რუსეთისაც და საზღვარგარეთისაც) მიერ დაგმობილი მწვალებლის, დეკანოზ სერგი ბულგაკოვის შესახებ და სცადა ქრისტიანული „სიყვარულის" სახელით მისაღებად და დასაშვებად წარმოედგინა მისი შეხედულებები, პოლოს კი ყველას მოუწოდა „საუკუნო ხსენება" ეგალობათ მწვალებლისათვის! [62]

„ყოვლისმომცველობის" ანგლიკანური პრინციპი არ მიგვიყვანს ჭეშმარიტ გაერთიანებამდე ერთიან, მართალ სარწმუნოებაში, რამეთუ ყველას ექნება უფლება საკუთარ მცდარ შეხედულებებს მისდიოს. ამ პრინციპის გამო ჭეშმარიტებისმიერ ერთობას კი ვერ მივაღწევთ, არამედ სრულ განდგომას მისგან, ღმრთივგამოცხადებული სარწმუნოებისგან და, შესაბამისად, ეკლესიისა და ცხონების დაკარგვას. ასეთ სამწუხარო შედეგებამდე მიგვიყვანს ეკლესიის ერთიანობის უარყოფა!

ბ) ეკლესია წმიდაა

ეკუმენისტები მხოლოდ ქრისტეს ეკლესიის ერთიანობის დოგმატის წინააღმდეგ როდი სცოდავენ, არამედ, რაკი მწვალებლებს მის წევრადგენლობაში თვლიან, ეკლესიის, როგორც სიწმინდის წინააღმდეგაც.

მართლმადიდებლური სწავლების თანახმად, ორივე ეს თვისება — ჭეშმარიტებისმიერი ერთობა და სიმწინდე მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. როგორც ჭეშმარიტებისმიერი ერთიანობა აკავშირებს ერთი სარწმუნოებით ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს ცრუმოძღვრებათა და ცთომილებათაგან მათი გამიჯვნის გზით, ასევე სიწმიდე აერთიანებს მადლისა და ჭეშმარიტების მიერ, რომლებიც იესო ქრისტესაგან იქმნა (იონ. 1, 17) და რომლებიც გამორიცხავენ ყოველგვარ ერთობას მწვალებლობასა და უსჯულოებასთან (2 კორ 6,15). ესენი არიან ნაშობნი ბოროტი სულისაგან, რომელმაც გამოიგონა ტყუილი მაცხოვნებელი ჭეშმარიტების შესარყევად. სიწმიდისა და ჭეშმარიტე-

* მეტოქი — Подворье

ბის ცნებები ერთმანეთს ენათესავებიან და ეს კიდეც გამოთქვა უფალმა თავის ლოცვაში მამა ღმერთისადმი „წმიდა ყვენ იგინი (მოციქულნი) ჭეშმარიტებით“ (იოან. 17, 17). უფალი იესო ქრისტე განუყოფლად აკავშირებს სიწმიდესა და ჭეშმარიტებას. გსურს, რომ სიწმიდე მოიპოვო? შეიცან ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტება! გსურს, რომ შეიცნო ღმრთაებრივი ჭეშმარიტება? ესწრაფე სიწმიდეს, რამეთუ მხოლოდ მას, ერთადერთს, ძალუძს ახლობელი და ძვირფასი გახადოს შენთვის ჭეშმარიტება!

ეკლესიას ვერ ეწოდებოდა წმიდა, თუკი თავისი არსით ცთომილებას დაექვემდებარებოდა. კარგად თქვა დეკანოზმა ნ. მალინოვსკიმ: „ეკლესიის უცთომელობა მის სიწმინდეს ემყარება, ეკლესია უცთომელია, რამეთუ იგი წმიდაა“ [63].

რაში მდგომარეობს ეკლესიის სიწმიდე და რა აზრით ეწოდა მას წმიდა?

პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მისი თავია წმიდა, და იმიტომაც, რომ სული წმიდა, რომელიც ეკლესიას მართავს და ხელმძღვანელობს, განწმენდს კიდეც მას, რამეთუ იგია ყოველი სიწმინდის წყარო. ქრისტესგან — ეკლესიის თავისგან (ეფეს. 1, 22) სიწმიდის ნაკადულები ეკლესიის მთელ სხეულს ეფინება. სული წმიდა — წყარო ჩვენი განწმედისა, იმყოფება რა ეკლესიაში, განწმენდს მის წევრებს მადლით, რომელიც საიდუმლოებებით გადაიცემა. ამ მადლის მეშვეობით მოუწოდებს ღმერთი ყოველ მორწმუნეს სიწმიდით მოღვაწეობისკენ.

ეკლესიაში ცოდვილთა არსებობა კი არ ამცირებს მის სიწმინდეს, პირიქით, უფრო მეტად უსვამს ხაზს, ამჟღავნებს რა შემდეგ სულიერ ფაქტს: ეკლესიური საიდუმლოებებით გადმოცემული მადლის გავლენით ხშირად ყველაზე თავზეხელაღებული ცოდვილი ინანიებს და ჭეშმარიტი წმიდანი ხდება!

ეკლესიაში მყოფი მადლი სული წმიდისა, მის სიწმიდეს შეადგენს. მხოლოდ ეკლესიის წიაღშია შესაძლებელი ჭეშმარიტი სიწმიდის მიღწევა, რამეთუ იქ სიწმიდე გაიცემა. ეკლესიის ერს „თესლი წმიდაჲ“ ეწოდება (1 პეტ. 2, 3). უფალი იესო ქრისტე იმისთვის მოვიდა და მოკვდა, რათა მის ეკლესიას „არა აქუნდეს მწიკულეანებაჲ არცა სხუაჲ რაჲ ესევითარი, არამედ რაჲთა იყოს წმიდა და უბიწო“ (ეფ. 5, 27).

სიტყვა „მწიკულეანება“ ეკლესიის დოგმატური სარწმუნოების სიწმიდეს უნდა ეხებოდეს, „ნაოჭ-ბრძვილისა“ — მის ზნეობრივ სისპეტაკეს. როგორც ლაქა, ისე ბიწიერებაც საბედისწერო დაბრკოლე-

ბაა სიწმიდისაკენ სავალ გზაზე, სიწმიდე კი ღმერთის ძირითადი თვისებაა (1 პეტრ. 1, 15—16), „რომლისა თვინიერ ვერავინ იხილოს უფალი“ (ებრ. 12, 14). ყოველი მორწმუნე, რომელიც სიწმიდის მოპოვებას ესწრაფვის, ამას შემდეგი ორი საშუალების შეხამებით შეძლებს: 1) დაიცვას თავი ცრუმოძღვერებათა შავი ლაქებისაგან, სარწმუნოების სიწმიდეს რომ ბღალავენ და მაცხოვნებელ ძალას სტაცებენ მას, 2) დასძლიოს ზნეობრივი მანკიერება, ანუ გათავისუფლდეს ზნეობრივი ცოდვებისაგან, რომლებიც სულს ღმერთისგან განაშორებენ. ასეთი სიწმიდის სრულყოფილად განხორციელება მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაშია შესაძლებელი, რამეთუ იგი თავისუფალია ცრუმოძღვრებათა „მწიკვლოვანებებისგან“ და თავისი მადლით ძალუძს განკურნოს ერთგულ შვილთა ზნეობრივი უძლურებანი და მანკიერებანი, რა თქმა უნდა, ამ განკურნების აუცილებელი პირობაა თვით ცოდვილთა სინანული.

შესანიშნავ აზრებს გამოთქვამს ეკლესიის სიწმიდეზე მთავარეპისკ. სერაფიმე (სობოლევი), რომელმაც 1948 წ. მოსკოვის თათბირზე თქვა: „ეკლესიას წმიდა ეწოდება იმიტომ, რომ იგი გასცემს სული წმიდის მადლს, რომელსაც მორწმუნეები ღებულობენ მირონცხების საიდუმლოთი, ნათლობის წესის შესრულებისას. ეს განმაახლებელი, განმწმედელი და მაცხოვნებელი მადლი არის ყველაზე დიდი და ძვირფასი სიკეთე ჩვენთვის, რამეთუ მისი მონიშება იყო მიზანი იესო ქრისტეს ამსოფლად მოსვლისა, ჯვარზე ვნებისა და სიკვდილისა... განმაახლებელი მადლი სული წმიდისა არის ჩვენი წმიდა ცხოვრების წყარო. მაგრამ ეს უძვირფასესი სიკეთე, სული წმიდის განმაახლებელი მადლი მისი სიწმიდურთ არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ პროტესტანტებს, რამეთუ მათთან არაარსებობს მირონცხების საიდუმლო. ამ საიდუმლოთი გვეძლევა სული წმიდა მისი ყველა ნიჭითურთ, რომლებსაც სულიერ, წმიდა ცხოვრებაში შევყავართ და განგვამტკიცებენ ამ გზაზე. ასეთი მადლისმიერი, წმიდა ცხოვრება შეუძლებელია იმ არამართლმადიდებელი ქრისტიანებისთვისაც (რომის კათოლიკეთათვის), რომლებსაც, მართალია, აქვთ მირონცხების საიდუმლო, მაგრამ რაკი მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაგმობილნი არიან მწვალებლობისათვის, ამიტომ ეს მადლი მათთან არ არის მოქმედი და მაცხოვნებელი“ [84].

ეკლესიას წმიდა ეწოდება იმიტომაც, რომ იგი აერთიანებს ყველა ეპოქისა და ყველა საუკუნის განსვენებულ და საუკუნო ცხოვრებაში

გადასახლებულ წმიდანებს ჯერ კიდევ ამ სოფლად მცხოვრებ ადამიანებთან და აგრეთვე იმათთან, ვინც ჩვენს შემდეგ იცხოვრებს, ვიდრე სოფლის აღსასრულამდე. ნიკიტა რემესიელი, IV საუკუნის დასავლელი საეკლესიო მოღვაწე, თავის თხზულებაში „სარწმუნოების სიმბოლოს განმარტება“ წერს: „რა არის ეკლესია, თუ არა წმიდათა საკრებულო? სოფლის დაბადებიდან მოყოლებული, მამამთავრები, წინასწარმეტყველნი, მოწამენი და ყველა სხვა წმიდანი — ვინც ოდესღაც ცხოვრობდა, ვინც ახლა ცხოვრობს ანდა მომავალში იცხოვრებს — ყველანი ერთ ეკლესიას წარმოადგენენ, რამეთუ ერთი სარწმუნოებითა და ერთი ცხოვრებით არიან განწმედილნი, ერთი სულით დაბეჭდულნი და გაერთიანებულნი ერთ სხეულად, რომლის თავი არის ქრისტე... ამრიგად, გწამდეს, რომ ამ ეკლესიაში წმიდანებთან ერთობას მიაღწევ“ [65].

ზემოთქმული ასე შეიძლება შევაჯამოთ:

1) ეკლესია წმიდაა, როგორც ქრისტეს სხეული, მას განწმენდს მისი თავი — ქრისტე, და სული წმიდა, რომელიც მასში იმყოფება;

2) ეკლესია წმიდაა, რამეთუ სიწმიდეს ანიჭებს (ებრ. 12 10) თავის წევრებს, არა მხოლოდ მართალთ, არამედ მონანულ ცოდვილებსაც — მადლის მეშვეობით, რომელიც მის წიაღში აღსრულებული წმიდა საიდუმლოებებით გადაეცემა;

3) იგი წმიდაა იმიტომაც, რომ აკავშირებს მის მიერ განწმედილ მართლმადიდებელ ქრისტიანებს — ამჟამად მცხოვრებთ დედამიწაზე და მათ, ვინც მომავალში იცხოვრებს — ყველა წმიდანთან, ვინც ღმერთთან, ზეციურ ეკლესიაში გადასახლდა (ებრ. 10, 23);

ყოველივე ეს სრულიად შეუთავსებელია ეკუმენისტურ წარმოდგენასთან ეკლესიის შესახებ და საერაუდო „უნივერსალურ“ ეკლესიასთან, რამეთუ:

1) ეკუმენიზმის წიაღში ერთიანდებიან მწვალებლური საზოგადოებები, რომლებიც არ ცნობენ მირონცხების საიდუმლოს და თვითნებურად უწოდებენ თავიანთ თავს „ეკლესიებს“, მაშინ, როცა სინამდვილეში არ წარმოადგენენ;

2) თვითონ ეკუმენიზმი მწვალებლური გაერთიანებაა, რომელსაც არ გააჩნია მადლი და არ ძალუძს მისი გადაცემა;

3) ეკუმენიზმს თავისი მიმდევრები სიწმიდისკენ არ მიჰყავს. მეტიც, იგი განარიდებს სიწმიდეს ე. წ. „მართმადიდებელ“ ეკუმენისტებს, რომლებიც აქამდე სიწმიდის გზას ადგნენ!

ეკუმენისტები არასწორად განმარტავენ ქრისტეს ეკლესიის მსოფლიობას (საყოველთაობას). როგორც ვთქვით, ისინი სათანადოდ არ აფასებენ ჭეშმარიტებას, რომელიც აბსოლუტურად შეურყვნელი სახით მხოლოდ მართლმადიდებლობაშია შემონახული, უგულებელყოფენ ეკლესიის ღმრთივგამოცხადებულობას, დოგმატებს, როგორც ეკლესიის მსოფლიობისა და საყოველთაობის, ანუ ნამდვილი ეკუმენურობის არსებით ნიშნებს, და წინა პლანზე სწევენ რიცხობრიობის პრინციპს, რათა ეკლესია „გავლენიანი საერთაშორისო ძალა" იყოს [66]. ამ მიზნით ეკუმენისტები გაერთიანებას სთავაზობენ ყველა ეკლესიას, მათ შორის მწვალებელთა საკრებულოებს, რომლებიც კარგა ხანია განვარდნილ არიან ქრისტესგან (შდრ. იოან. 15, 6). მაგრამ ეს გარეგნული, მადლს მოკლებული გაერთიანება ვერ შექმნის ქრისტეს ჭეშმარიტ,მსოფლიო, საყოველთაო ეკლესიას.

ჯერ კიდევ IV საუკუნეში წმ. კირილე იერუსალიმელმა შესანიშნავად, სრულად განმარტა ეკლესიის ის თვისება, რომელიც სარწმუნოების სიმბოლოში ბერძნულად სიტყვა „კათოლიკე"-თი აღინიშნება. მე-18 სიტყვის 23-ში იგი წერს: „ეკლესიას ეწოდება კათოლიკე, რამეთუ იგი მთელ სამყაროში, დედამიწის კიდით კიდემდე სუფევს, და რამეთუ საყოველთაოდ (კათოლიკოს) და რაიმეს გამოუტოვებლად გადმოსცემს ყველაფერს, რაც ადამიანის ცოდნის საზღვრებში უნდა შედიოდეს, დოგმატებს ხილულსა და უხილავზე, ზეციურსა და მიწიერზე, კათოლიკე ეწოდება იმიტომაც, რომ ღმრთისმოშიშებას უმორჩილებს კაცთა მთელ მოდგმას... და ბოლოს, იმიტომაც, რომ ყველგან (კათოლიკოს) კურნავს და წამლობს ყოველგვარ ცოდვას, სულით და ხორცით ჩადენილს, და იგივეს მოგვმადლის ყველაფერს, რასაც სათნოება ეწოდება — საქმეში, სიტყვაში და ყოველ სულიერ ნიჭში..." [67]

ამ განსაზღვრების განმარტებისას ბრიუსელის მთავარეპისკოპოსი ბასილი ხაზს უსვამს, რომ წმ. კირილე იერუსელიმელთან სიტყვა „კათოლიკურით" [68] ქრისტეს ეკლესია წარმოგვიდგება, როგორც:

1) მსოფლიო (საყოველთაო) გეოგრაფიული მნიშვნელობით: „კიდეთა სოფლისათა", და კიდევ უფრო მეტად ამ სიტყვის ხარისხობრივი მნიშვნელობით — სხვადასხვა რასის, კულტურის, სოციალური მდგომარეობის ადამიანის მომცველად.

2) ჭეშმარიტების სავსების მფლობელი;

3) სიწმიდისა და მადლის სავსების მფლობელი და

4) შედეგად — როგორც ერთადერთი.

აჯამებს რა ყოველივე ამას, მთავარეპისკოპოსი ბასილი ამბობს: „ჩვენ ვხედავთ, რომ... კათოლიკურობის გარეგანი ნიშნები არ არის უარყოფილი, მაგრამ ხაზგასმით აღინიშნება ხარისხობრივი ცნებები — მადლისა და ჭეშმარიტების სავსება“ [69].

დაახლოებით ასევე ამბობს არქიმანდრიტი იუსტინე (პოპოვიჩი). იგი წერს: თვით ღმრთაებრივ-კაცობრივი მყოფობა ეკლესიისა არის ყოვლისმომცველი, მსოფლიო, კათოლიკე, მთლიანი, საყოველთაო... თავისი ღმრთაებრივ-კაცობრივი ორგანზმით ეკლესია მოიცავს ყოველივეს: „ყოველივე ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ხილულნი და არა ხილულნი, ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი, გინათუ ხელმწიფებანი“. ღმერთკაცში ყველაფერია, და „იგი არს თავადი ეკლესიისა“ (კოლ. 1, 16—17). უფალ იესო ქრისტეს ღმრთაებრივ-კაცობრივი პიროვნება არის ეკლესიის საყოველთაობის სული... ეკლესიის საყოველთაო ცხოვრებაში ჩართულია ანგელოზთა და კაცთა, მონანულთა და ცოდვილთა, მართალთა და უსჯულოთა, განსვენებულთა და ჯერ კიდევ ხორცში მყოფთა ცხოვრება. ამასთან მართალნი და წმიდანი შეეწევიან ნაკლებად მართალთა და წმიდათ წარემატონ სიმართლესა და სიწმიდეში. ამრიგად, ჩვენ ყველანი ვიქცევით „ტაძრად წმიდად უფლისა მიერ“ (ეფეს. 2, 21), მადლის მეშვეობით ორგანულად ვართ დაკავშირებულნი ერთი სარწმუნოებით, ერთი წმიდა საიდუმლოებებითა და სათნოებებით, ერთი უფლით, ერთი ჭეშმარიტებით, ერთი სახარებით. ყოველივე ამით ჩვენ, მორწმუნენი, ეკლესიის ერთიან სხეულს შევადგენთ. რისთვის? იმისთვის, რომ ვიცხოვროთ ეკლესიის ერთი, წმიდა და საყოველთაო ცხოვრებით, ეკლესიის წმიდა და საყოველთაო სარწმუნოებით, ეკლესიის წმიდა და საყოველთაო გონებით, წმიდა და საყოველთაო ნებით... ძალიან ხშირად „საყოველთაობის“ ცნება კათოლიკურ-გეოგრაფიულ ასპექტში გადმოიცემა. მაგრამ მართლმადიდებლური გაგებით საყოველთაობა ტოპოგრაფიული, გეოგრაფიული ცნება კი არ არის, არამედ შინაგანი, არსებითი, ფსიქოლოგიური ცნება, რომელიც სარწმუნოების აღმსარებლობის მთლიანობასა და შეურყვნელობას, სარწმუნოების წმიდა და სამოციქულო ერთიანობას ემყარება [70].

V მსოფლიო კრების წმ. მამათა თქმით, ქრისტე არის თავი, ჩვენ კი ასონი მისნი, ამიტომ უნდა შევადგენდეთ „ერთ სხეულს ჩვენი თანამოაზრეობისა და ერთმორწმუნეობის გზით“ [71].

მსოფლიო კრებების ზრუნვა და ყურადღება ძირითადად იქით იყო მიმართული, რომ ძირძველი, ქრისტეს მიერ წმ. მოციქულთა მეშვე-

ობით გადმოცემული მართლმადიდებელი სარწმუნოება განემტკიცებინა, ამასთან დაეგმო და მოეკვეთა ეშმაკის ჩაგონებით გაჩენილი დამღუპველი ცრუმოძღვრებანი. ეკლესია უდიდეს ცოდვილებს ითმენს მათი განკურნების იმედით, მაგრამ მწვალებლებს განკვეთს, რამეთუ ისინი ამახინჯებენ წმ. დოგმატებს — მარადიულ ღმრთაებრივ სიწმიდეებს, „რომელთა ბოლომდე წვდომა კაცობრივ გონებას არ ხელეწიფება“ [72]. არავის ძალუძს მთლიანად ჩასწვდეს ქრისტეს, განხორციელებული ძე ღმრთისას საიდუმლოს. რომელმაც გაგვიმჟღავნა ჭეშმარიტება ჩვენი ცხონების შესახებ, და რომელიც არის თავად ჭეშმარიტება (იოან. 14, 6). ამიტომ სწორი მიდგომა ღმრთივგამოცხადებული დოგმატების მიმართ მათ კადნიერ, რაციონალისტურ ჩხრეკაში როდი მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ მოწიწებით თაყვანს ვცემდეთ და გვწამდეს სიტყვა ღმრთისას განხორციელების უტყუარობა. წმ. მამები თავიანთი სისხლით იცავდნენ სარწმუნოებას ყოველგვარი გადახრებისაგან, რომლებშიც ეშმაკის, ანტიქრისტესა და მისი წინამორბედების მზაკვრობას ხედავდნენ. არქიმანდრიტ იუსტინეს თქმით, „როგორც ანტიქრისტეს გამოჩენა და მოქმედება იქნება სატანის გავლენა (2 თეს. 2, 3), ისევე ყოველი წვალება ეშმაკის გავლენით ჩნდება“ [73]. ამიტომაა, რომ წმ. მამები ერთსულოვნად გადასცემდნენ ხოლმე ანათემს ყველა წვალებასა და მწვალებელს, როგორც ადამიანის სულის ცხონების მტრებს.

მხოლოდ ქრისტეს ეკლესიაშია უკვდავება და საუკუნო ცხოვრება კაცისათვის. წვალება კი დამღუპველი ძალაა, რომელიც ადამიანს საუკუნო სიკვდილს, ანუ ღმერთისგან მარადიულ განდგომას უქადის. სწორედ აქეთკენ მივყავართ თანამედროვე ანტიქრისტესეულ ეკუმენიზმს, რომელიც თავს გვახვევს თავის უნივერსალიზმს და უარყოფს ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის მადლისმიერ საყოველთაობას, იმ ეკლესიისა, რომელიც ერთადერთი შეიცავს ნამდვილ, მაცხოვნებელ ჭეშმარიტებას!

დ) ეკლესია სამოციქულოა. მოციქულთაგან მომდინარე უფყვეტი ხელდასხმა და პროტესტანტული სწავლება ერისკაცთა საყოველთაო „მღვდლობის“ შესახებ

ეკუმენიზმი ღრმად ცდება მაშინაც, როდესაც ეკლესიის, როგორც სამოციქულოს განსაზღვრებას ეხება. მართლმადიდებელ ეკლესიას სამოციქულო იმიტომ ეწოდება, რომ წმ. მოციქულთაგან მოდის, წმიდად ინახავს მათ სწავლებას, მკაცრად უპყრია მოციქულთაგან

მომდინარე უწყვეტი ხელდასხმა და მათივე გადმოცემით ხელმძღვანელობს დოგმატიკის სფეროში, ღმრთისმსახურებასა და ეკლესიის წყობაში. ეკლესიის „ლოდ საკიდური" თვით ქრისტეა (ეფეს. 2, 20), გარშემო კი ქრისტეს წმიდა მოციქულები არიან — 12 ლოდი, რომლებზეც საიდუმლოთა მცნობელმა იხილა „ათორმეტნი სახელნი ათორმეტთა მათ მოციქულთა კრავისათანი" (გამოცხ. 21, 14).

სხვადასხვა რელიგიური საზოგადოება, თავიანთ თავს რომ „ეკლესიებს" უწოდებენ, შეუძლებელია სამოციქულოდ ვცნოთ, რამეთუ ისინი არ არიან „აღშენებულ საფუძველთა ზედა მოციქულთასა" (ეფეს. 2, 20), არა აქვთ მოციქულთაგან მომდინარე ხელდასხმა, უგულებელყოფენ წმინდა სამოციქულო გადმოცემას, რომელსაც წმ. წერილის თანასწორი ავტორიტეტი აქვს, როგორც ეკლესიის საფუძველს (2 თეს. 2, 15). ისინი არ არიან ჩართულნი სულიერ ჯაჭვში, რომელიც მოციქულთაგან გამოდის და რომლის მეშვეობითაც ეკლესიას გადაეცემა სული წმიდის მადლისმიერი ნიჭები. სიახლეების შემოტანით ეს „ეკლესიები" ღალატობენ მოძღვრებას, მოციქულთა მიერ ზეპირად ან წერილობით ნაანდერძევს, და სრულად არ იმარხავენ ჭეშმარიტებას, რომელიც მათ ჩვენი ცხოვრების საწინდრად გადმოგვცეს.(2 თეს. 2, 13). ისინი ცოტად თუ ბევრად ბღალავენ მოციქულთა მიერ დატოვებულ სულიერ სიმდიდრეს — დოგმატური, საღმრთისმეტყველო, ლიტურგიკული თუ კანონიკური ხასიათისას.

მთავარეპისკოპოს სერაფიმეს სრული საფუძველი აქვს აღშფოთებისა, როდესაც წერს: „რაც არ უნდა უცნაური იყოს, ეკუმენისტები ამ სამოციქულო ეკლესიას მიაკუთვნებენ აგრეთვე ე. წ. „ქრისტიანულ ეკლესიებს", რომლებსაც სრულიად არ გააჩნიათ სამოციქულო წარმოშობა და უწყვეტი ხელდასხმა. ყველა მწვალებლურ აღმსარებლობას ისინი სამოციქულო ეკლესიას უერთებენ, იმის მიუხედავად, რომ პავლე, თავი მოციქულთა, ყველა მწვალებელს განკვეთს მართლმადიდებელი ეკლესიისგან და ანათემას გადასცემს მათ ამ სიტყვებით: „დაღაცათუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი იგი გახარე თქუენ, შეჩუენებულ იყავნ" (გალ. 1, 8) [74].

და მართლაც, განა შეიძლება „სამოციქულო" ეწოდოს ისეთ საზოგადოებებს, როგორიცაა უნიტარისტთა თემი, რომელიც უარყოფს წმ. სამების დოგმატს, ანდა ეროვნულ ჩეხოსლოვაკურ ეკლესიას, რომელიც არ აღიარებს ქრისტეს ღმრთაებრიობას [75], ანდა რემონსტრანტარმინიანელთა ორგანიზაციას ჰოლანდიაში, რომელიც ყველა დოგმა-

ტურ ანდა საეკლესიო მოვალეობას უარყოფს[76], ანდა რელიგიური გაერთიანებანი, რომლებიც აუცილებლად არ თვლიან წყლით ნათლისღებას[77], და კიდევ ბევრი სხვა რელიგიური საზოგადოება, რომლებიც თავიანთ თავს „ქრისტეს ეკლესიებს“ უწოდებენ, მაგრამ ქრისტეს ჭეშმარიტების სავსებას არ აღიარებენ? მათი სარწმუნოება იმდენად არის შერყვნილი, რომ სრულიად ეწინააღმდეგება სამოციქულო სარწმუნოებას. ამის მიუხედავად, ემს მათ კვლავინდებურად „ეკლესიებს“ უწოდებს, მეტიც — ახალ, კადნიერ ღონისძიებებს ატარებს ძირძველი მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის მოსასპობად, რომლის თანახმადაც ეკლესიას „სამოციქულო“ ეწოდება.

ემ-ს VI ასამბლეაზე ვანკუვერში (კანადა), რომელიც 1983 წლის 24 ივლისიდან 10 აგვისტომდე მიმდინარეობდა, ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ფილიპ პოტერმა თავის შესავალ სიტყვაში მძიმედ შესცოდა ჭეშმარიტების წინაშე, როდესაც არასწორად განმარტა წმ. პეტრე მოციქულის სიტყვები: „და თქუენცა, ვითარცა ლოდნი ცხოველნი, აღეშენებოდეთ სახლად სულიერად, სამღდელოდ წმიდად, შეესაწირავად მსხუერპლთა სულიერთა, სათნოთა ღმრთისათა იესო ქრისტეს მიერ... ხოლო თქვენ — ნათესავი რჩეული, სამეფოჲ სამღდელოჲ, თესლი წმიდაჲ, ერი მოგებული“ (1 პეტრ. 2,5—9). აქედან გამომდინარე, პოტერმა განაცხადა: „რეფორმაციის ერთ-ერთი უველაზე დიდი დამსახურება, რომელიც მარტინ ლუთერს მიეკუთვნება, გახლავთ აღმოჩენა (!), რომ ყოველი — სულ ერთია, ქალი თუ კაცი — არის მღვდელი ღმრთის წინაშე“[78]. შემდეგ ემს-ს გენერალური მდივანი ყველას მოუწოდებს შეუერთდეს ჭეშმარიტ სამღვდელოებას, რომელიც მორწმუნეებისაგან იქნება შემდგარი, იმისგან დამოუკიდებლად, ხელდასხმულნი არიან ისინი თუ საერონი“[79].

ამ სიტყვებით პოტერი ცდილობს ძირი გამოუთხაროს მართლმადიდებლურ სწავლებას უწყვეტი ხელდასხმის შესახებ, როგორც კანონიერი, საკრამენტული მღვდლობის აუცილებელ პირობას: იგი ცდილობს წაშალოს ზღვარი ერთი მხრივ, სამღვდელოებასა და საეროებს და, მეორე მხრივ, მღვდლობის თვალსაზრისით, ქალებსა და მამაკაცებს შორის. მისთვის ყველა მორწმენე, მათ შორის საერონი — ქალები და მამაკაცები — ყველა მღვდელია!

მაგრამ განა პეტრე მოციქული ისეთ საყოველთაო „მღვდლობას“ გულისხმობს, ხელდასხმაზე აგებულ, კანონიერ, საკრამენტულ მღვდლობას რომ განაქიქებდეს? არამც და არამც!

მართლმადიდებელი ეკლესიის ძველისძველი, თავდაპირველი ტრა-

დიციის საწინააღმდეგოდ, პოტერი თავის სიტყვაში მოუწოდებს „განვაგდოთ წვალება (!) ეკლესიის ავტორიტეტისა და სამოძღვრო ძალაუფლების შესახებ“ [80]. ამ გამოთქმას აპლოდისმენტებით შეხვდნენ პროტესტასტები, მაგრამ მან მრავალი დელეგატის ენერგიული წინააღმდეგობა გამოიწვია. ისინი მოითხოვდნენ პოტერისგან უარი ეთქვა თავის სიტყვებზე, რაც მან თითქოს გააკეთა კიდეც. ამას ადასტურებს ასამბლეაზე დამსწრე ბერძენი ღმრთისმეტყველი, პროფ. გ. გალატისი სტატიაში „პროტესტანტული უმრავლესობა მართლმადიდებლობის სახელით არაფერს უნდა წყვეტდეს!“ [81] მაგრამ სინამდვილეში პოტერის ეს აღმაშფოთებელი ფრაზა არ ამოუღიათ პოტერის სიტყვიდან და იგი დღესაც წამლავს ადამიანთა სულებს კიდევ ერთი ეკუმენისტური მწვალებლობით, თანაც იმით ინიღბება, რომ სწორედ მართლმადიდებლობას აბრალებს „მწვალებლობას“. პოტერი, რომელიც, როგორც ეკუმენისტი, საერთოდ ერიდება სიტყვა „მწვალებლობის“ ხმარებას, ამჯერად სარგებლობს მისით, რათა წვალებად გამოაცხადოს მართლმადიდებლური სწავლება იერარქიის უწყვეტი ხელდასხმისა და „ეკლესიის ავტორიტეტისა და სამოძღვრო ძალაუფლების“ შესახებ. ცდილობს რა, ღრმორად გაიტანოს თავისი აღმაშფოთებელი წვალება, პოტერი მოქმედებს იმ ქურდის პრინციპით, რომელიც ყვირის: „დაიჭი ქურდი!“

ე) ეკლესია უცთომელია. სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა აღიარებანი მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ და პაპის „უცთომელობის“ საწინააღმდეგოდ

ჭეშმარიტი ეკლესიის კიდევ ერთი ნიშანია მისი უცთომელობა. მართლმადიდებელი ეკლესია უცთომელია სარწმუნოების აღმსარებლობაში, რომელიც მას ქრისტემ მიანდო თავის წმ. მოციქულთა მეშვეობით.

ცნობილი ფრანგი ეკლესიის ისტორიკოსი, მამა ვლადიმერ გეტე (1816—92), ყოფილი კათოლიკე აბატი, რომელმაც მართლმადიდებლობა მიიღო თავის სტატიაში „მართლმადიდებლობის ძირითადი საფუძვლები“ წერს: „მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრების თვალსაზრისით ეკლესიის უცთომელობის დოგმატი სავსებით გონივრულია და ყველაზე პრეტენზიული ფილოსოფიისთვისაც მისაღები უნდა იყოს, არსებითად იგი სარწმუნო მოწმობამდე დადის, რომელსაც ქრისტიანული საზოგადოება გამოთქვამდა ქრისტესა და მოციქულების მიერ

გადმოცემულ მოძღვრებაზე. ეს მოწმობა რომ სანდოა, იმითაც დასტურდება, რომ იგი, როგორც ისტორიული ფაქტი, პირველი საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე აქამომდე განუწყვეტლივ დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით, და ეს ჩვენებები მუდმივ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ამგვარი მოწმობა იმდენად უეჭველია, რომ მისი უარყოფისათვის მთელი ისტორიის უარყოფა გახდებოდა აუცილებელი, რამეთუ არ არსებობს რაიმე სხვა ისტორიული ფაქტი, ისეთი უწყვეტი, როგორიც მთელი ამ საზოგადოების მოწმობაა, საზოგადოებისა, რომელიც ცოცხლობს ყველა ეპოქის მანძილზე და განუწყვეტლივ განამტკიცებს მის მიერ მიღებულ მოძღვრებას... ჭეშმარიტად მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც საოცარ სიმტკიცეს იჩენს ამ მოძღვრების ერთგულებაში! მრავალ დავას მოსწრებია, პტრის მრავალი თავდასხმა გადახდენია, გაუგონარი დევნა და სისასტიკე განუცდია, მაგრამ ჭირსა და დევნულებაშიც, ისევე, როგორც დიდების დღეებში, თავის მოძღვრებას იმარხავდა: მისი ძირითადი საფუძვლები იგივეა, რაც ჭეშმარიტი ქრისტიანობის საფუძვლები. მას ძალუძს ჩვენს დროში მწვალებლურ ეკლესიებს შესთავაზოს ყველაზე მშვენიერი სწავლება, რაც კი ოდესმე არსებულა სოფლად!“ [82]

შემდგომ მამა გეტე მართლმადიდებელ ეკლესიას უპირისპირებს რომის ეკლესიის ცთომილებებს პაპის უცთომელობის დოგმატთან დაკავშირებით და ამბობს, რომ ისინი, „როგორც ჩანს, ეკლესიის შესახებ სწავლების დამახინჯებიდან გამომდინარეობენ. ჯერ კიდევ მანამ, სანამ რომის ეკლესია მიიღებდა ეკლესიის დაყოფას მასწავლებელ და მოსწავლე ეკლესიებად, მისმა ეპისკოპოსებმა უკვე მხოლოდ თავიანთ თავს მიაწერს მოძღვრობის ავტორიტეტი, რომელიც მათი ეპისკოპოსობიდან გამომდინარეობდა, შემდეგ ეს უცთომელობა ეპისკოპოსთა საზოგადოებაში გადმოიტანეს, იმ საზოგადოებაში, რომელიც მის თავთან — პაპთან არის შეერთებული. ჩვენ უკვე ვიცით, რომ პაპმა (ვატიკანის I კრებაზე, 1870 წ.) უთხრა თავის ეპისკოპოსებს: „მარტო მე შემიძლია დოგმატების დადგენა, ეპისკოპოსებს მხოლოდ სათათბირო ხმები აქვთ. ერთადერთი მე ვარ უცთომელი!“ ამრიგად, ცთომილებამ, რომელიც ოდესღაც უწყინარ საღმრთისმეტყველო გამონაგონად ჩანდა, რომის ეკლესია ბოლოს და ბოლოს მწვალებლობასა და აბსურდამდე მიიყვანა“ [83].

დღეს შეინიშნება სრული კრახი პაპის უცთომელობის დოგმატისა, რომელსაც უარყოფს თვით ისეთი ერთგული მიმდევარი პაპისტური

„ტრადიციისა“, როგორიცაა ფრანგი მთავარეპისკოპოსი მარსელ ლეფევრი. ვატიკანის II კრების შემდეგ (1962—65) მან განაცხადა, რომ ოპოზიციაში უდგება რომს, რამეთუ არ ღებულობს ამ კრებაზე შემოტანილ სიახლეებს, და შვეიცარიაში (ეკონში) დააარსა საკუთარი, „ტრადიციონალისტური“ სემინარია. მას შემდეგ ლეფევრი ტრადიციონალისტი მღვდლების ხელდასხმას ატარებს, 1988 წლის 30 ივნისს კი რომის ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე ჩაატარა 4 ეპისკოპოსის ხელდასხმა, რისთვისაც იოანე-პავლე II-მ ისიც და მის მიერ ხელდასხმული ეპისკოპოსებიც განკვეთა. როდესაც ჰკითხეს, როგორ გრძნობთ თავს მოსალოდნელი განკვეთის წინო, ლეფევრმა უპასუხა: „მშვიდად ვარ, რამეთუ ასეთ განკვეთას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: მე განმკვეთს პაპი-მოდერნისტი, თუმცა თვით მოდერნისტები იოანე XXIII-მდე განკვეთეს პაპებმა! ღღეანდელი რომი თავად იმყოფება განხეთქილებაში, რამეთუ გამოეყოფა და ეწინააღმდეგება კიდეც ტრადიციას. ასე რომ, ჩვენ განხეთქილება გვაქვს მათთან, ვისაც თვითონ აქვს განხეთქილება თავის წინამორბედებთან“ [84].

ორათუ განათლებული მართლმადიდებლები, ბევრი მიუდგომელი არამართლმადიდებელი ხედავს მართლმადიდებლობაში ერთადერთ ეკლესიას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ერთგული დარჩა ქრისტესი და მის მიერ მოციქულთა მეშვეობით გადმოცემული სარწმუნოებისა. აი რამდენიმე მაგალითიც:

ანგლიკანელი ჰოჯი თავის წიგნში „ანგლიკანობა და მართლმადიდებლობა“ (ლონდონი, 1955, 46—47) წერს, რომ „მართლმადიდებელი სარწმუნოება, რომელსაც უცვალებლად იმარხავს მართლმადიდებელი ეკლესია, არის ქრისტეს სარწმუნოება მისი ჭეშმარიტი და არსებითი ფორმით“.

ფრანც ფონ ბაადერი (1765 — 1841) თავისი ეკლესიოლოგიური კვლევის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „მართლმადიდებელი ეკლესია უფრო ერთგული დარჩა ქრისტიანობის თავდაპირველი სულისკვეთებისა, ვიდრე დასავლეთის ეკლესია“ [85]. „უნდა ვაღიაროთ“, — წერს ბაადერი, „რომ მართლმადიდებელ ეკლესიას რომის ეკლესიაზე გაცილებით მეტი უფლება აქვს ეწოდებოდეს სამოციქულო და სიძველისმოყვარული“ [86]. ამის მიზეზად ბაადერს ის მიაჩნია, რომ მართლმადიდებელი ეკლესია, პაპიზმის საეკლესიო სახელმწიფოსა და პროტესტანტიზმის სახელმწიფო ეკლესიისგან განსხვავებით, ეკლესიის საყოველთაობის პრინციპის ერთგული რჩება, რაშიც მდგომარეობს მისი ერთადერთი ხსნა, რამეთუ „ის, რასაც ხილული მეთა-

ური არა ჰყავს, შეუძლებელია რაიმე დროებითმა ხელისუფლებამ უმეთაუროდ დატოვოს“ [87]. მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელსაც უხილავად თვით ქრისტე მეთაურობს (ეფეს. 1, 18) და რომელიც არავითარ ამსოფლიურ ცენტრს არ ცნობს, ანტიქრისტეს ხელი ვერ შეეხება!

XIX საუკუნის პროტესტანტი ღმრთისმეტყველი ოვერბეკი მართლმადიდებლობისა და კათოლიკობის შედარებისას წერს: „მართლმადიდებელი ეკლესია უცვლელია სარწმუნოებასა და კანონებში. ეს სარწმუნოება იგივეა, რაც 1000 წლის წინ იყო. რომმა კი საჭიროდ მიიჩნია შეეცვალა უცვალებელი სარწმუნოება, მოძრავი გაეხადა და განეკითარებინა იგი. მხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოება იმარხავდა და განამტკიცებდა სარწმუნოებას იმ სახით, რა სახითაც იგი მოციქულებმა გადასცეს ეკლესიას“ [88].

სხვა თხზულებაში ოვერბეკი წერს: „მას შემდეგ, რაც პაპმა დასავლეთის ეკლესია აღმოსავლეთისას მოსწყვიტა, აღმოსავლეთის ეკლესიამ, ისტორიის მოწმობით, ჩვენს დრომდე უცვლელად შეინარჩუნა თავისი ძველისძველი, ერთიანი, საყოველთაო (კათოლიკე) მოძღვრება“ [89]. XIX საუკუნის სახელგანთქმული კათოლიკე ისტორიკოსი და ღმრთისმეტყველი გეფელე, თუმცა რომის ეკლესიის ერთგული იყო, მაგრამ იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „ბერძნული (ანუ მართლმადიდებელი) ეკლესიის მოძღვრებასა და ღმრთისმსახურებაში რომთან ერთობის გაწყვეტის შემდეგ მცირე ცვლილებაც არ მომხდარა“ [90].

ზემოხსენებული მამა გეტე მართლმადიდებლობაზე მოქცევის შემდეგ წერდა: „ეკლესია მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის არის ქრისტიანული საზოგადოება, რომელიც მოციქულთა დროიდან არსებობს, ეს საზოგადოება ერთი ცხოვრებით ცხოვრობს, იგი არ იცვლება, რამეთუ არაფერს ცვლის თავის ღმრთივგამოცხადებულ მოძღვრებაში, მიიღო რა ეს მოძღვრება პირველად, ეკლესია მას საუკუნიდან საუკუნემდე გადასცემს ისეთს, როგორიც გადაეცა. მორწმუნეები (საერონი) მისი ისეთივე არსებითი ნაწილია, როგორიც ეპისკოპოსები. ამ უკანასკნელთა ვალია მეთვალყურეობა გაუწიონ ქრისტიანულ საზოგადოებებს, რათა მათში რაიმე ახალმა მოძღვრებამ არ შეაღწიოს, მაგრამ მართლმადიდებლობის დაცვაში მონაწილეობის უფლება ყველა მორწმუნეს აქვს, და ისინი მოვალენი არიან გააფრთხილონ თვით ეპისკოპოსი, თუკი მან უღალატა თავის მოვალეობას და ეკლესიაში სიახლის შემოტანა სურს.

რომის ეკლესიაში გმობენ იმ ადამიანებს, რომლებიც ცთომილებათა წინააღმდეგ და ეპისკოპოსთა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ გამოდიან. ეს აშკარად გამოჩნდა უკანასკნელი ცრუ დოგმატების — ღმრთისმშობლის უბიწო ჩასახვისა და პაპის უცთომელობის — გამოცხადებისას. როდესაც რამდენიმე სინდისიერმა მღვდელმა პროტესტი გამოთქვა ამ სიახლის გამო, ისინი დაგმეს, ყოველნაირად სდევნიდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ, იმდენად, რამდენადაც ცთომილებას ძალუძს შეურაცხყოს ჭეშმარიტება.

მართლმადიდებელ ეკლესიაში შეუძლებელია, რომ ყველა ეპისკოპოსმა უღალატოს თავის მოვალეობას, რამეთუ მათ არა ჰყავთ უფროსად ე. წ. უცთომელი კაცი, თუმცა ცალკეული ეპისკოპოსი, მაგალითად, ნესტორიოსი, შეიძლება შეცდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში მღვდელი ან სულაც უბრალო მორწმუნე, რომელიც მწვალებელზე მიუთითებს, არათუ გმობას, არამედ მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის მადლიერებასა და ქება-დიდებას იმსახურებს [91].

ძველ-კათოლიკური ეკლესიის ქალაქ ბერნის ეპისკოპოსი ურო კიური აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ქრისტიანული ცხოვრება თავდაპირველი ძალით, დიდი ინტერესებითა და სიწმიდით გამოირჩევა, და მასში საუკეთესო მანძილზე შემორჩა უძველესი საეკლესიო მოძღვრება, რომელიც დასავლეთის ეკლესიამ არსებითად დაკარგა“ [92].

მას ეთანხმება პროფესორი, დოქტორი ერნსტ ბენცი: იგი წერს: „თანამედროვე ქრისტიანულ სამყაროში მართლმადიდებლობა თავისებურად ერთადერთი სიდიადეა. მისი სიდიადე იმაში მდგომარეობს რომ თავისი ცხოვრების ყველა სფეროში სრულად აქვს დამარხული ძველი ეკლესიის კათოლიკობის სავსება. მის ღმრთისმსახურებაში მემკვიდრეობითობის ძალით კვლავ ცხოვრობს ძველი საეკლესიო გავება და ძველი საეკლესიო ლიტურგიკული პრაქტიკა, აგრეთვე ძველი ეკლესიის მთელი სავსება, აქ არ არსებობს განყოფა ღმრისმსახურებასა და ღმრთისმეტყველებას, ლოცვასა და მოძღვრებას შორის. ამ ეკლესიამ შეინარჩუნა თავისი მსოფლიო-კათოლიკური ხასიათის თავდაპირველი შეგნება. მისი თვითგანსაზღვრება, როგორც ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისა, ემყარება არა უფლების იდეას, არამედ იმის შეგნებას, რომ იგი ქრისტეს მისტიურ სხეულს წარმოადგენს. ამ მისტიურ სხეულში ნამდვილად ვლინდება სული წმიდის ნიჭები და ლოცვა ერთმანეთისათვის, რომელიც მიცვალებულთა სამეუფოზეც ვრცელდება, რამეთუ „არა არს ღმერთი მკუდარ-

თა. არამედ ცხოველთა“ (მათ. 22, 32)... მართლმადიდებელმა ეკლესიამ ყველაზე ერთგულად შემოინახა ჩვენს დრომდე მისთვის მიბარებული ძველი ეკლესიის დოგმატური მემკვიდრეობა“ [93].

პროფესორი, დოქტორი ფრიც ლიბი უმნიშვნელოვანეს ფაქტად მიიჩნევს, რომ „აღმოსავლეთის ეკლესიამ წმინდად და შეურყვნელად დაიცვა ძველი ქრისტიანული დოგმატები, ისე რომ სქოლასტიკური რაციონალიზმით არ დაუმახინჯებია ისინი“ [94].

ჩვენ მივესალმებით დასავლეთის ამ აღიარებებს მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ და შეგვიძლია დავუმატოთ შემდეგი: წმ. მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ჭეშმარიტების ერთადერთი მუდმივი და შეუმცდარი მატარებლის პრესტიჟი იმაზე ემყარება, რომ ჩვენი ეკლესია ერთგულია იმ დოგმატური სარწმუნოებისა, რომელიც თვით უფალ იესო ქრისტესა და მის წმიდა მოციქულთაგან გადმოეცა და რომელიც მან მსოფლიო და აღიარებულ ადგილობრივ კრებებზე დაამტკიცა. აქედან ცხადია, რომ დოგმატური მემკვიდრეობა, რომელიც წმ. ეკლესიამ მაცხოვრისაგან მიიღო და მისი უშუალო მოწაფეებისგან შეითვისა, არის მტკიცე და ურყევი საფუძველი, რომელზეც იგი საუკუნეთა მანძილზე უცვლელად და განუყოფლად სუფევს.

მართლმადიდებელი ეკლესია არის ციხე-სიმაგრე, წინააღმდგომი ყოველგვარი იდეოლოგიურ-დოგმატური ხასიათის ცთომილებისა, იგი დღემდე იმარხავს ჭეშმარიტებას, რომელიც აუცილებლად მიაჩნია ცხონებისათვის, სწამს საცხოვნებლად (2 თეს. 12, 13) და რომელსაც დაიმარხავს სოფლის აღსასრულამდე, რათა ღმრთის ჭეშმარიტმა შვილებმა ბოლო ჟამსაც — ანტიქრისტეს მოსვლის დროს — მის საფუძველზე გაარჩიონ ჭეშმარიტება ცთომილებისაგან. ამრიგად, ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესია შეეწევა ყველას, ვისაც გულით სურს მოიპოვოს ჭეშმარიტება საერთო განდგომილების ჟამს (2 თეს 2, 3), რათა ისინი არ მიენდონ ქრისტეს წინააღმდგომის მზაკვრულ სწავლებას, არამედ ერთგულნი დარჩნენ უფალ იესო ქრისტესი და მართმადიდებელი სარწმუნოებისა და ღმრთისათვის სათნო ცხოვრებით მიაღწიონ მასთან საშუდამო ერთობას ზეციურ სასუფეველში.

თავისი დიდი მისია ჭეშმარიტების დამცველისა წმ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ დღესაც უნდა შეასრულოს — მისდამი მინდობილი, ერთხელ და სამუდამო ჩამოყალიბებული დოგმატებისა და კანონების ერთგულებით, რათა აღსრულდეს მაცხოვრის მიერ თავისი ეკ-

ლესიისადმი მიცემული აღთქმა, რომ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათ. 16, 18).

მართლმადიდებელი ქრისტიანი არ უნდა იყოს ეკუმენისტი, რამეთუ:

1) ეკუმენიზმს არ სწამს ერთი, წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის არსებობა;

2) მწვალებლურად უთხრის ძირს მართლმადიდებლურ ეკლესიოლოგიას;

3) არ სწამს ძალა ქრისტეს სიტყვებისა, რომ ეკლესია უძლეველია (მათ. 28, 20):

4) სრულიად ახალ, მართლმადიდებელი სარწმუნეობის საწინააღმდეგო სწავლებას ქადაგებს ეკლესიის შესახებ!

მე-3 მიზეზი

ეკუმენიზმი ძველი ეკლესიის დოგმატურ და კანონიკურ პრაქტიკას ეწინააღმდეგება და მართლმადიდებლობას მწვალებლობებთან აახლოვებს

კრებებზე ძველი ეკლესია მართლმადიდებლურ ჭეშმარიტებას მწვალებლური სიცრუისგან განაცალკევებდა და ყოველგვარ კავშირს წყვეტდა წვალებებთან: დოგმატურს, კანონიკურს, საკრამენტულ-ლიტურგიკულს. თანამედროვე ეკუმენიზმი კი პირიქით, ცდილობს სხვადასხვა ურთიერთობები დაამყაროს მართლმადიდებლობასა და უცხო აღმსარებლობებს შორის (ეს ეხება უკიდურესად მწვალებლურ მიმდინარეობებსაც), და ამით აშკარად უპირისპირდება ძველი ეკლესიის პრაქტიკას. ამას ხაზგასმით აღნიშნავს ინგლისელი ღმრთისმეტყველი, დოქტორი მარტინ ლოიდ ჯონსი, როგელიც წერს: „არაფერია უფრო საინტერესო, ვიდრე კონტრასტი პირველი საუკუნეების მსოფლიო კრებებსა და დღევანდელი ეკლესიების მსოფლიო საბჭოს შორის. კრებების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო სარწმუნოებრივი მოძღვრება — დოგმატური სწავლების განსაზღვრება და ცთომილებათა და მწვალებლობათა მხილება. ახალი მოძრაობის (ეკუმენიზმის) არსებითი ნიშანია დოგმატური სწავლების მიმართ გულგრილობა, ინკლუზივიზმის (შეერთების) სულისკვეთების პრიმატი და თანამშრომლობა პრაქტიკულ ნიადაგზე“ [95] „ინკლუზივიზმის სულისკვეთებაში“ ავტორი გულისხმობს ყველა დენომინაციის ერთ ორგანიზაციად გაერთიანე-

ბისკენ სწრაფვას, იმის მიუხედავად, მართალი სარწმუნოება უპყრიათ მათ თუ მწვალებლური.

საღმრთო წერილი გვიბრძანებს არაფერი გვქონდეს საერთო მწვალებლებთან. წმ. პავლე მოციქული გვმოძღვრის: „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“ (ტიტ. 3, 10). და კიდევ: „გლოცავ თქუენ, ძმანო, ეცრძალებოდეთ მათგან, რომელნი-იგი წვალებასა და საცთურებასა იქმან გარეშე მის მოძღურებისა რომელი თქუენ გისწავიეს, და განეშორენით მათგან“ (რომ. 16, 17). „განეშორენითო“, წერია, და არა „დაუახლოვდითო“!

ეკუმენიზმი კი აახლოებს მართლმადიდებელ ქრისტიანებს მწვალებლებთან. ეკუმენისტებს შორის უკვე ფაისმის ლაპარაკი „ინტერკომუნიონზე“, ანუ სხვადასხვა აღმსარებლობის, რელიგიურ საზოგადოებათა საიდუმლოებისმიერ ერთობაზე, მაგალითად, ანგლიკანელები უკვე ეზიარებიან ძველ კათოლიკეებთან, ბოლო ხანს კი — მეთოდისტებთან ერთადაც, რომლებიც ერთობ ლიბერალურად უყურებენ ხილულ ეკლესიას. 1963 წლიდან ანგლიკანებს სრული ლიტურგიკული ერთობა აქვთ ფილიპინების დამოუკიდებელ ეკლესიასთან, 1965 წელს ამ კავშირს ძველი კათოლიკური ეკლესიაც შეუერთდა, თუმცა ფილიპინების ეკლესია უნიტარისტული ტენდენციისაგან თავისუფალი არ არის [96].

ამით მზადდება მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ლიტურგიკული კავშირის დამყარება ჯერ უფრო ახლობელ აღმსარებლობებთან, როგორებიც არიან რომის კათოლიკეთა და ქალკედონის კრებამდელი ეკლესიები, მერე კი სხვა გაერთიანებებთანაც, ისე რომ დოგმატური სხვაობები და უთანხმოებები ძალაში დარჩება. ემს-ს VI გენერალურ ასამბლეაზე, ვანკუვერში (1983 წ.), ყინული დაიძრა — ზოგიერთი მართლმადიდებელი მღვდელმთავარი ესწრებოდა კენტერბერიის ეპისკოპოსის მიერ ჩატარებულ ეკუმენისტურ „ლიტურგიას“, რომელშიც ორი ქალი — ინგლისელი „მღვდლები“ მონაწილეობდნენ [97].

ეს მკრეხელური ქმედებანი ეწინააღმდეგება საღმრთო წერილს. მართლმადიდებელ მოძღვრებას ეკლესიის, როგორც ქრისტეს ერთიანი სხეულის შესახებ, წმიდა კანონებს და ეკლესიის საუკუნეობრივ პრაქტიკას! „ძველი ეკლესია უფლის ტრაპეზს მხოლოდ მათთან იყოფდა, ვინც სრულ ერთობაში იყო ეკლესიასთან სარწმუნოებისა და კანონიკური წყობის საფუძველზე“, აცხადებდა 1975 წელს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი ემს-ში [98]. დღეს კი რა ხდება? ზოგიერთი „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტი უკვე თვით-

ნებურად ეზიარება უცხო აღმსარებლობის წარმომადგენლებთან ერთად, თუმცა კარგად უწყის, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის სრულიად დაუშვებელია მწვალებელთან ერთობა! არქიმანდრიტი იუსტინ პოპოვიჩი ამის შესახებ ამბობს: „მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება მწვალებლებზე, წმ. მოციქულთა, წმ. მამათა და წმ. კრებათა მიერ გამოთქმული, ღაღადებს: „წვალებები არ არის და არც შეიძლება იყოს ეკლესია. ამიტომ მათ შეუძლებელია ჰქონდეთ წმ. საიდუმლოებები, განსაკუთრებით ევქარისტიის საიდუმლო, რომელიც არის საიდუმლოთა საიდუმლო... „ინტერკომუნიონი", ანუ მწვალებლებთან წმიდა საიდუმლოებისმიერი ერთობა არის ყველაზე უსჯულო ღალატი უფალ იესო ქრისტესი.

მოდი, ჯერ ის ვიკითხოთ, რომელ ეკლესიოლოგიას და რომელ ღმრთისმეტყველებას ეფუძნება ე. წ. „ინტერკომუნიონი?" ერთიანი მართლმადიდებლური ღმრთისმეტყველება ეკლესიის შესახებ დაფუძნებულია არა რაღაც „ინტერკომუნიონზე" (ურთიერთკავშირზე), არამედ „კომუნიონის" ღმრთაებრივ-კაცობრივ სინამდვილეზე, ანუ ღმრთაებრივ-კაცობრივ ზიარებაზე (1 კორ. 1, 9; 10, 10—17 და ა. შ.). ხოლო „ინტერკომუნიონის" ცნება თავისთავად წინააღმდეგობრივია და მართლმადიდებლური შეგნებისათვის მთლად გასაგები ვერ არის.

ქრისტეს საყოველთაო ეკლესიის გაგებისა და ერთიანი მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, მართლმადიდებელი ეკლესია არ ღებულობს მის გარეთ რაიმე სხვა საიდუმლოებების არსებობას და არ მიაჩნია ისინი ასეთებად, ვიდრე ადამიანი სინანულის საიდუმლოთი არ განუდგება მწვალებლურ „ეკლესიას" და ქრისტეს მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე არ შოექცევა. ხოლო ვიდრე ადამიანი ეკლესიის გარეთაა და მასთან სინანულის მეშვეობით არ არის შეერთებული, მანამ იგი ეკლესიისთვის მწვალებლად რჩება და მასთან მაცხოვნებელი ერთობის (კომუნიონის) გარეშე დგას, „რამეთუ რაჲ შოყუსობა არს სიმართლისა და უსჯულოებისა? ანუ რაჲ ზიარებაჲ არს ნათლისა და ბნელისა?" (2 კორ. 6, 14) [99].

მართლმადიდებელმა ეკლესიამ მსოფლიო კრებების მიერ მიღებული ღრმად დასაბუთებული გადაწყვეტილებების თანახმად გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი მწვალებლებთან — არიანელებთან, ნესტორიანელებთან, მონოფიზიტებთან, ხატმბრძოლებთან და ა. შ. დღეს კი ეკუმენიზმი თავის ფართო მკერდში იკრავს ამ და მრავალ სხვა წვალებას და მოითხოვს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ლოცვით და საკრამენტულ ერთობაშიც კი შევიდეს მათთან!

ეკუმენისტი მოღვაწენი არ მალავენ, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანების თანამშრომლობის ერთადერთი სფერო ჯერჯერობით პრაქტიკული საქმიანობა და ერთობლივი ევანგელიზაციაა, ხოლო სარწმუნეობრივი მოძღვრების საკითხებს სჯობს გვერდი აუარონ, რამეთუ „მოძღვრება თიშავს ადამიანებს“ [100]. ისინი ფიქრობენ, რომ არ ღირს დიდი მსჯელობა დოგმატებზე, ვინაიდან ქრისტიანებს შორის ჯერ კიდევ არ არსებობს ეკუმენისტური განურჩევლობა, რომელიც იარსებებს მომავალ, ეკუმენისტურად აღზრდილ თაობაში. დოგმატებისაგან განდგომის ასეთი სულისკვეთება თანდათან იკიდებს ფეხს ხშირი ეკუმენისტური კონტაქტების საფუძველზე, მომავალში კი ეკუმენისტური აღზრდისა და განათლების გზით სულ უფრო განმტკიცდება. პირველ ყოვლისა ეს ვანხორციელდება უმაღლეს საღმრთისმეტყველო სკოლებში სპეციალური დისციპლინის — „ეკუმენისტური ღმრთისმეტყველების შემოღებით, რომელიც ეწვალებლურ ცთომილებებს მათი უარყოფის გზით კი არ ანათრგუნავს, არამედ მსმენელისათვის ნებისმიერი მწვალებლობისადმი პატივისცემისა და სხვისი სარწმუნოებისადმი სიმპატიის ჩანერგვის გზით. „ეკუმენისტური ღმრთისმეტყველება“ ჯერ მსოფლიო კრებების დაკნინებას შეეცდება, მერე კი მათ სრულ უარყოფასაც დაიწყებს.

მაგრამ მსოფლიო კრებების უარყოფა ამ კრებების დადგენილებებში ასახული ეკლესიური შეგნების უარყოფას ნიშნავს, ვინაიდან ეს კრებები უმაღლესი საეკლესიო ორგანოა. მოციქულთა კრება, რომელიც 51 წელს იერუსალიმში შედგა, ყველა შემდგომი საეკლესიო კრების — მსოფლიოსა და ადგილობრივის — პირველსახეა. წმ. მოციქულებმა, იმის მიუხედავად, რომ ჰქონდათ სახარება, რომელიც შეიცავს ყოველივე აუცილებელს ცხონებისათვის, მაინც საჭიროდ მიიჩნიეს კრებას გადაეწყვიტა საკითხი: უნდა წინადაიცვითონ თუ არა წარმართებმა, რომლებიც ნათლისღებას აპირებენ? ამ საკითხის განსახილველად შეკრებილმა მოციქულებმა (საქმე, 15, 6) ერთსულოვნად დაადგინეს გაეთავისუფლებინათ წარმართები ძველი აღთქმისეული წინადაცვეთის ტვირთისაგან, რომელიც ახალი აღთქმის დაწყებიდან საჭირო აღარ არის.

გადაწყვეტილება კრებაზე ზეგარდმო შთაგონებით იქნა მიღებული, სული წმიდის კარნახით, რომელიც განაგებს ეკლესიის ბედს. ამიტომაც მისწერეს მწიდა მოციქულებმა მოქცეულ წარმართებს: „რამეთუ ჯერ-უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა, რაჲთა არარაჲ უმეტესი ტვირთი დავდვათ თქუენ ზედა, გარნა რომელნი-ესე სასწრაფო არიან:

განშორებად თქუენდა ნაკერპავისაგან და სისხლისა, დამშთვარისა და სიძვისა, რომელთაგან დაიმარხენით თავნი თვისნი“ (საქმე, 15, 28—29). იქიდან ძოყოლებული, ფორმულა „ჯერ-უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა“ ყველა მსოფლიო და ადგილობრივ კრებაზე მეორდებოდა, როგორც მათი ურყევი საფუძველი.

წმ. მოციქულებმა კრების გადაწყვეტილება გამოაცხადეს ღმრთივსულიერ, ეკლესიის ყველა წევრისათვის სავალდებულო განჩინებად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მას აქეთ ჩამოყალიბებული საეკლესიო კანონიკური წესების კოდექსის პირველი წესი. როგორც „საქმე მოციქულთას“ ავტორი, ლუკა მოციქული მოგვითხრობს, წმ. მოციქულები პავლე და შილა მც. აზიის ეკლესიების მოვლისას ყველა ახლადმოქცეულს ასწავლიდნენ „დამარხვად მოძღურებათა მათ, დამტკიცებულთა მოციქულთაგან და ხუცესთა, რომელნი-იგი იყვნეს იერუსალემს შინა“ (საქმე, 16, 4).

მაგ შემდეგ მსოფლიო კრებები, რომლებიც მოციქულთა კრების მიხედვით ეწყობოდა, სული წმიდის ავტორიტეტზე დაყრნდობით ყველა მართლმადიდებელ მორწმუნეს მოვალედ მიიჩნევენ მკაცრად დაიცვან ამ კრებებზე მიღებული დოგმატური და კანონიკური ხასიათის დადგენილებანი.

ჩვენს დროში ეკლესიის ამ საკანონმდებლო ხელისუფლებას არ-ყევს ეკუმენისტური მოძრაობა, რომელიც კრებების ავტორიტეტის საკუთარი ავტორიტეტით შეცვლას ესწრაფვის. ეს ბრალდება სამართლიანად წაუყენა ეკუმენისტურ მოძრაობას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდმა წერილში „ეპისტოლე ემს-ს V ასამბლეისა და მისი შედეგების შესახებ“. მასში ნათქვამია: „ამის ცალკეული სიმპტომები დროდადრო (მაგ. ნაირობის ასამბლეაზე) გამოკრთება ხოლმე შენიღბული სახით, როდესაც ჟენევის მსოფლიო საეკლესიო საბჭოს „განსაკუთრებულ წინასწარმეტყველურ როლზე“ ჩამოაგდებენ ხოლმე სიტყვას. აქედან ერთი ნაბიჯია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და მისი ცენტრალური აპარატის განსაკუთრებული ეკლესიოლოგიურ მნიშვნელობის სახიფათო იდეამდე[101], რომელიც უკვე იძენს საკანონმდებლო ფუნქციას (იხ. ქვემოთ, მიზეზი X, § 3).

იმის დასტურად, რომ ეკუმენისტები არ ერიდებიან მართლმადიდებელი კრებების გაკიცხვას, ემს-ს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის, დოქტორ ე. პეინის აზრს მოვიყვანთ, რომელმაც ეკლესიებს შორის ერთიანობასა და თანხმობაზე მსჯელობისას სარდიკიის კრების თაობაზე განაცხადა: „კრებამ, რომელიც სარდიკიაში შედგა 344 წელს.

სამწუხაროდ, ვერ შეძლო მორწმუნეთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებების მოწესრიგება („მორწმუნეებში“ პეინი ერთიანად გულისხმობს მართლმადიდებლებსაც და არიანელებსაც). საუბედუროდ, ამ კრებამ კიდევ უფრო მეტი დაძაბულობა და გაუგებრობები გამოიწვია“.[102] პეინი ამ გარემოებას „ყველა ჩვენგანისადმი მიმართულ სერიოზულ გაფრთხილებას“ უწოდებს და გვირჩევს, არ გავიმეოროთ წინა კრებების „შეცდომები“, იმ კრებებისა, რომლებიც თურმე „თიშავდნენ“ მორწმუნეებს, ჩვენ კი, მისი აზრით, ყველა დენომინაციის ემს-ს ეგიდის ქვეშ გაერთიანების კომპრომისული გზით უნდა ვიაროთ. პეინის ამ სიტყვებიდან გამოდის, რომ მართლმადიდებლობა, რომელიც აქამომდე ასე მტკიცედ იცავდა თავის კრებებს, ახლა ეკუმენიზმის ხათრით უნდა განუდგეს მათ, რამეთუ კრებებმა თურმე „ვერ შეძლეს მორწმუნეთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მოწესრიგება“.

მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის დაუშვებელია მონაწილეობა მოძრაობაში, რომელიც თავისი ინკლუზიური სულისკვეთებით ცდილობს დაუახლოოს მართლმადიდებლობა მწვალებლებს და უარყოს მსოფლიო და ადგილობრივ მართლმადიდებლური კრებები, რომლებზეც დამტკიცდა მართლმადიდებლური მოძღვრება!

მე-4 მ ი ზ ე ზ ი

ეკუმენიზმი არ ცნობს გამყოფ კედლებს, რომლებითაც მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავისი თავი მწვალებლური საზოგადოებებისაგან გამოჰყო

ქრისტეს ძველმა ეკლესიამ დოგმატები, კანონები და მოციქულთა გადმოცემები ძირითად სახელმძღვანელო წყაროებად დაგვიდგინა, რომლებსაც მისი შვილები განუხრელად უნდა იცავდნენ, რათა მწვალებლურ საზოგადოებებს არ შეერიონ და ცხონების გზა არ დაკარგონ. ეს სახელმძღვანელო წყაროები მარადიულ გამყოფ კედლებად არიან აღმართულნი ჭეშმარიტებასა და ცთომილებებს შორის. მათ ადლისმიერი მნიშვნელობა აქვთ — ეკლესიას უცხო სწავლებებისა და წესჩვეულებების შემოჭრისაგან იცავენ.

წმ. მამები მართლმადიდებელი კრებების მიერ ფორმულირებულ დოგმატებში მუდამ ხედავდნენ სარწმუნოების მტკიცე დასაყრდენს, კანონებში — საეკლესიო წყობის ურყევ საფუძვლებს, ხოლო მოცი-

ქულთა გადმოცემებში — ქრისტესმიერი ცხოვრების მადლმოსილ საძირკველს.

კანონების შესწავლა სპეციალური საღმრთისმეტყველო მეცნიერების — კანონიკური სამართლის სფეროა. სიტყვა „სამართალი“ აქ ცოტა არ იყოს უადგილოა, რამეთუ საეკლესიო კანონებში არსებითად მოვალეობებზეა ლაპარაკი და არა კანონებზე. მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი განგვიმარტავს, თუ როგორ გადმოვიდა სიტყვა „სამართალი“ ამ მეცნიერებაში ლათინური ენიდან და თვით ცხების კარგ. ახსნასაც იძლევა: „სამართალი, ანუ, წმ. წერილის ენაზე, „სიმართლე“ (გამოსლვ. 24, 3, რომ. 2, 26) არის ის, რისი დამარხვაც კაცს განამართლებს ღმერთისა და ადამიანების წინაშე“ [103]. „კანონიკურ სამართალში“ უნდა ვიგულისხმოთ წესრიგისა და სამართლიანობის სჯულდებულება, რომელიც წმ. წერილის, კრებებისა და ეკლესიის წმიდა მამების კანონებშია ჩადებული“ [104]. წმ. მოციქულთა კრების, შვიდი მსოფლიო და ცხრა ადგილობრივი კრების კანონებს მიტროპოლიტი ფილარეტი „ეკლესიის მართვის საჭეს“ უწოდებს [105].

ცნობილია, თუ რას ნიშნავს საჭე ხომალდის მართვისას (იაკ. 3, 4). უსაჭოდ გემი შეიძლება წყალქვეშა კლდეებს წააწყდეს და ჩაიძიროს. ეკლესია ცხონების გემია, ხოლო საჭე აუცილებელია ამ გემს შეფარებულ მორწმუნეთა უსაფრთხო ცურვისა და ცხონებისათვის, მათთვის, ვინც ამა სოფლის ზღვაში დაცურავს და მარადიულობის ნეტარ ნაპირამდე მიღწევას ცდილობს. „ეკლესიის მართვის საჭე“ წმ. კანონები გახლავთ, ამიტომაც ეწოდებოდა საეკლესიო კანონების კრებულს „საჭეთმპყრობელი“.

როგორ წინამძღვრობასა და მეგზურობას გვიწევენ წმ. კანონები დღევანდელი ეკუმენისტური მოძრაობისა და მისი დამღუპველი იდეოლოგიის საფრთხის წინაშე? სულ რამდენიმე უმთავრესი კანონი გავიხსენოთ იმ აღმაშფოთებელი წინააღმდეგობის წარმოსაჩენად, რაც ამ კანონებსა და ემს-ში დღეს მიმდინარე პროცესებს შორის არსებობს.

II მსოფლიო კრების I კანონი გმობს ყოველგვარ წვალებას, კერძოდ კი არიანელობას, რომელიც უარყოფს უფალ იესო ქრისტეს ღმრთაებრივ ბუნებას, დუხობორობას, რომელიც სული წმიდას ქმნილის მდგომარეობამდე აკნინებს, საბელიოსის წვალებას, რომელმაც შერყვნა მართლმადიდებლური მოძღვრება სამების ღმრთაებრიობის შესახებ და ანათემას გადასცემს ამათაც და ყველა სხვა წვალებასაც. ანათემა ნიშნავს სრულ განკვეთას ეკლესიისაგან, ამის შედეგი კი სა-

უკუნო წარწყმედაა, თუ მწვალებელი არ შეიგნებს და არ შეინანებს თავის ცთომილებას.

VI მსოფლიო კრების II კანონი აღიარებს და საზეიმოდ ამტკიცებს მართლმადიდებელ სარწმუნოებას, ისე, როგორც იგი მანამდე შემდგარ საეკლესიო კრებებზე იყო ჩამოყალიბებული და ასევე ანათემას გადასცემს ყველას, ვინც ამ სარწმუნოების წინააღმდეგია. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია კატეგორიული აკრძალვა სარწმუნოებაში ნებისმიერი სიახლისა და ცვლილების შეტანისა. ასევე იქცეოდა ყველა სხვა კრებაც, რომლებიც თავიანთ მუშაობას წინა კრებებზე გადმოცემული დოგმატების აღიარებითა და დამტკიცებით იწყებდნენ. ამით ჩვენამდე მოვიდა და საუკუნოდ დამტკიცდა უცვლელი შემკვიდრეობითობა მართლმადიდებელი სარწმუნოების სფეროში. VI მსოფლიო კრების იმავე კანონში მტკიცედ და ურღვევად, ანუ უცილობლად სავალდებულოდ ცხადდება მოციქულთა 85 კანონი, წინა ხუთი მსოფლიო კრებისა და რვა ადგილობრივი კრების კანონები, ასევე ზოგიერთი წმიდა მამის კანონები, რომელთა სახელებიც ამ კანონშია ჩამოთვლილი.

ამგვარად, ზემოთ ნახსენები კანონები მსოფლიო მნიშვნელობასა და აუცილებელ ძალას იძენენ მთელი ეკლესიისთვის. VI კრების II კანონი შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „არავისა აქვს უფლება შეცვალოს ან გააუქმოს ეს კანონები, მიიღოს რაიმე სხვა, კადნიერ ადამიანთა მიერ შედგენილი კანონი. თუკი ვინმე იქნა მხილებული, რომ ცდილობს შეცვალოს ანდა დაამახინჯოს რომელიმე მათგანი, იგი უნდა დაისაჯოს ამავე კანონის განჩინების შესაბამისად“.

უკანასკნელი მსოფლიო საეკლესიო კრება იყო კრება, რომლის შესახებაც მისმა თავმჯდომარემ, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა, წმ ტარასიმ წინასწარმეტყველურად თქვა, რომ იგი არის ომეგა, ანუ დასასრული მსოფლიო კრებებისა[106]. ეს კრება თავისი პირველი კანონით ამტკიცებს წინა კრების მიერ მიღებულ წესებს სარწმუნოების შესახებ და ეკლესიის მართვის თაობაზე, ხოლო ამ კანონების დარღვევას ანათემით სჯის.

მსოფლიო კრებების ძალა და მნიშვნელობა ცნობილი რუსი კანონისტის, არქიმანდრიტ იოანეს (შემდგომში სმოლენსკის ეპისკოპოსის) თქმით, პირველ ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მათზე დამტკიცებულ დოგმატებში აისახება „ერთობლივი სარწმუნოება ეკლესიის მიერ განდიდებული წმიდა მამებისა, რომლებიც თავიანთი განათლებული გონებით, ჭეშმარიტების ცნობით, ამ ჭეშმარიტების

მტკიცე დაცვით და ცხოვრების სიწმიდით სოფლის მანათობელ ვარსკვლავებად იქცნენ, და მეორეც, იმაში, რომ მართლმადიდებლური აღმსარებლობის ზღუდე და საფუძველი წმ. მოციქულთა დროიდან მომდინარე უწყვეტი გადმოცემაა [107].

მოციქულთა ეს გადმოცემა, რომელიც ერთია და არა მრავალი (როგორც ამის წარმოდგენას ეკუმენისტები ცდილობენ), სრულად და წმიდად მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღშია შემონახული. თუ როგორ მოხდა ეს, განმარტავს წმ. თეოფანე დაუუდებული: „ღმერთმა განსწავლა მოციქულები, მოციქულებმა კი მორწმუნეებს ასწავლეს და გადასცეს იგი (გადმოცემა) ისეთი, როგორიც მიიღეს. მაშ იცოდე, თუ რას და როგორ ასწავლის ეკლესია და გწამდეს, რომ ასეთი აღმსარებლობა ღმერთისგან გვემცნო". ეპისკოპოსები, რომლებიც კრებებზე მოციქულთა მემკვიდრეების ხარისხში ცხადდებოდნენ სხვადასხვა წვლილთა სამხილებლად, თავით თვისით როდი მსჯელობდნენ სარწმუნოებაზე, ისინი მათ ეკლესიაში დაცულ მოციქულთა სწავლებას იმოწმებდნენ [108], ისე რომ არავითარ სიახლეს არ ღებულობდნენ. მსოფლიო კრებები ახალი, კომპრომისული ხერხების გამოძებნას კი არ ცდილობდნენ ჭეშმარიტებისა და ცთომილების შესაერთებლად, არამედ გადმოცემის მეშვეობით მიღებული, ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტების დამტკიცებას. ამგვარად, ისინი ზუსტად და სრულად აყალიბებდნენ ქრისტეს ეკლესიის მარადიულ სარწმუნოებას და მართლმადიდებლურ ჭეშმარიტებას ცრუმოძღვრებათა შემოტევისაგან დამცავი კედლებით მიჯნავდნენ. სარწმუნოების ეს ფორმულები, დოგმატებს რომ უწოდებენ, გახლავთ ქრისტესა და მოციქულთაგან მომავალი უცვლელად შემონახული მოძღვრება, რომელიც აუცილებლად უნდა დაიცვას ყოველმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა. სწორედ ეკლესიის მიერ აღმართული ამ გამყოფი ზღუდის შემწეობით მოაღწია ჩვენამდე მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ სრულად, წმიდად და შეურყვნელად!

დოგმატების, კანონებისა და მოციქულთა გადმოცემის ზღუდით დაცული წმ. მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს აურევს ჭეშმარიტების წმიდა ხორბალს მწვალებლურ ცთომილებათა მარცვლებთან, რამეთუ ღმერთისგან მიიღო წინასწარგანჩინება — ყოფილიყო ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტების დამცველი და მასწავლებელი.

ძველი აღთქმის პირველსახეში წმ. წინასწარმეტყველი ესაია ეკლესიას ვენახს ადარებს — ადგილს, რომელსაც ღმერთმა ზღუდე შემოავლო, ქვებისაგან გაწმინდა და შიგ ვენახი გააშენა. შაგრამ რაკი

ამ ვენახმა ყურძნის ნაცვლად ეკალი გამოიღო, ღმერთი დაემუქრა მას, რომ მოარღვევს ზღუდეს, რათა იქმნას „დასატაცებელი და დასათრგუნველი“ (ეს. 5, 1—7). წმ. ბასილი დიდის განმარტებით, ზღუდე არის ღმრთაებრივი მცნებები, რომელთა დაუცველობამ ებრაელ ხალხს საშინელი სასჯელი დაატეხა თავს, მაგრამ კიდევ უფრო დიდი სასჯელი ელის ახალი აღთქმისეულ საღმრთო ერს, თუკი იგი ღმერთს განუდგება. „ჩვენც გვერღვევა „ზღუდე“, — ამბობს მღვდელმთავარი, — „როდესაც ჩვენივე სიზარმაცის გამო ღმრთაებრივი დოგმატების დაცვის უღირსნი ვხდებით“ [109]

თვითონ მაცხოვარიც თავის ეკლესიას ადარებს ვენახს, რომელიც ღმერთმა დანერგა და „ზღუდე გარე-მოსდვა“ (მარკ. 12, 1). ნეტარი თეოფილაქტეს განმარტებით, „ზღუდეში აქ იგულისხმება კანონი. რომელიც იუდეველებს სხვა ხალხებთან (ანუ წარმართებთან) შერევას უკრძალავდა“ [110]. ახალი აღთქმის ეკლესიაში ამ კანონად გვევლინება დოგმატები და წესები, რომლებიც მართლმადიდებელ ქრისტიანს უცხო აღმსარებლობისა და უცხო რჯულის წარმომადგენლებთან სულიერი ერთობის უფლებას არ აძლევს!

მართლმადიდებელი ეკლესია არის „ვენახი ღმრთისა“, რომლისათვისაც ყოველ სამღვდელმთავრო წირვაზე მღვდელმთავარი აღავლენს ლოცვას: „გარდამოიხილენ ზეცით და იხილე და მოხედენ ვენახსა ამას, და დაამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯუენემან შენმან“ (ფსალმ. 79, 14—15). მართლმადიდებელი მღვდელმთავრები, რომლებიც თანაუგრძნობენ ეკუმენიზმს და მის მიერ ამ ვენახის ზღუდის დარღვევაში მონაწილეობენ, აშკარა წინააღმდეგობაში ვარდებიან, ვინაიდან ერთი მხრივ, როგორც ეკუმენისტები, მართლმადიდებელი ყოფითი ელფერი შეიძინა: იმათ, ვინც დღეს ამ კედლების დაცვას ევედრებიან. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის გამყოფი კედელი წმიდა და სასურველი ზღუდეა, რომელიც მათ თანამედროვე უცხო სარწმუნოებებთან აღრევისაგან იცავს.

მაგრამ ეკუმენისტურ ლექსიკონში, რომელიც ჭეშმარიტების შერყვნას ესწრაფვის და ცნობილ საეკლესიო ცნებებს სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებს, გამოთქმამ — „გამყოფი კედლები“ — ერთობ უარყოფითი ელფერი შეიძინა: იმათ, ვინც დღეს ამ კედლების დაცვას ცდილობს, რადგანაც ეკლესიისთვის საჭიროდ მიიჩნევს, ბრალს სდებენ, რომ ისინი აბრკოლებენ ეკუმენიზმის ჰუმანურ საქმეს და მავნებლებად აცხადებენ მათ. ეკუმენიზმის განმხარწნელი სულისკვეთებით გაჟღენთილი ზოგიერთი მართლმადიდებელიც „გამყოფი კედ-

ლების“ წინააღმდეგია. ისინი იყენებენ ბანალურ ფრაზას: „ჩვენი მიწიერი დაბრკოლებები (ანუ სარწმუნოებრივი სხვაობანი) ზეცას არ აღწევსო“ [111], თითქოს ეს სხვაობანი მხოლოდ ადამიანური ამბიციების, დავისა და შუღლის ნაყოფი იყოს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, „გამყოფი კედლები“ არც ადამიანების გამონაგონია და არც „მიწიერი დაბრკოლებები“, არამედ ზეგარდმო ,გახლავთ დაწესებული: ისინი მიწიდან ცისკენ კი არ აღუმართავს ვინმეს, პირიქით, ზეციდან მიწისკენ ეშვებიან „ჯერ უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა (საქმე, 15, 28).

ეკუმენიზმის საპირისპიროდ, ეკლესია სიტყვა „დაბრკოლებებს“ („გამყოფ კედლებს“) სრულიად დადებითი, დოგმატურ-კანონიკური მნიშვნელობით ხმარობს.

ღმრთის ყველა სათნომყოფელი, უწინაც და ახლაც, ერთსულოვნად მიიჩნევდა, რომ გამყოფი კედლები აუცილებელია ეკლესიის დაცვისა და ჩვენი პირადი ცხონებისათვის, ამიტომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მათ შესანარჩუნებლად. წმ. იოანე ოქროპირი გვასწავლის: „ვისაც ცხონება ნებავს, ვისაც სურს იყოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტი შვილი, ის ისე აფარებს მას თავს, როგორც ნოეს კიდობანს — წარღვნისას. ვისაც ანათემის სასტიკი ვრგვინვა აშინებს, შემმუსვრელი სულისა და ხორცისა, იმან დაე იტვირთოს ქრისტეს უტკბესი უღელი, რომელსაც საეკლესიო დოგმატები განსაზღვრავს, ეკლესიის კანონებით დათრგუნოს გონების ურჩება და ყველაფერში დაემორჩილოს თავის დედას — ეკლესიას“ [112], ახალი წმინდანებიდან ვახსენოთ ცნობილი ბერი, ამბროსი ოპტინელი (+1891 წ.). „გამყოფი კედლების“ დასაცავად იგი წერს: „იმის შეცვლა, რაც სული წმიდამ დააკანონა ეკლესიაში თავის ჭეშმარიტ მსახურთა — ღმრთის სათნომყოფელთა მეშვეობით, ჩვეულებრივი ადამიანის მიერ დაუშვებელიც არის და საშინელიც, რამეთუ „საშინელ არს შევრდომა ხელთა ღმრთისა ცხოველისათა“ (ებრ. 10, 31).

აღმოსავლეთის პატრიარქთა საზოგადო ეპისტოლეში (1848 წ.) წერია: „ჩვენს სარწმუნოებას სათავე ადამიანებისაგან კი არ მიუღია, არამედ „გამოცხადებითა იესო ქრისტესითა“ (გალ. 1, 12), რომელსაც ღმრთაებრივი მოციქულები ქადაგებდნენ, მსოფლიო კრებებმა დაამტკიცეს, დიდმა მღვდელმთავრებმა მთელ სამყაროს გადასცეს და მოწამეებმა თავიანთი სისხლით დაბეჭდეს. მტკიცედ გვეპყრას ჩვენი სარწმუნოება, რომელიც წმიდად გადმოგვეცა მამებისგან, და განვაგდოთ ყოველი სიახლე, როგორც ეშმაკის საცთური“ [113].

დღეს კი რას ვხედავთ? ეკუმენისტურ ნიადაგზე მართლმადიდებელ

ეკლესიაშიც კი ჩნდებიან კადნიერი ნოვატორები, რომლებიც წმ. კანონების ავტორიტეტს იმით არყევენ, რომ ამ კანონებს არასრულყოფილად და მოძველებულად აცხადებენ და მათი შეცვლის აუცილებლობას ქადაგებენ. მაგ. თიატირის ეპისკოპოსი ათინაგორა, კონსტანტინეპოლის წარმომადგენელი ლონდონში, პირდაპირ ამბობს, რომ წმ. კანონების შეცვლა დასაშვებია. მისი აზრით, ისინი „შემთხვევითნი და წარმავალნი“ არიან და არა უძრავნი და უცვალებელნი [114]. ქვემოთ იმასაც გიჩვენებთ, რომ ზოგიერთი დოგმატის შეცვლის მცდელობაც კი ხდება, რაც მარადიულ, ღმრთივგამოცხადებულ ჭეშმარიტებებზე ხელის აღმართვას ნიშნავს! ყოველივე ეს ემს-ს მიერ დანერგილი განმხრწნელი ეკუმენისტური სულისკვეთების ნაყოფია.

მაგრამ ეკლესიის ზღუდის მორღვევა არასგზით არ შეიძლება! ეკლესიის ეზო ისეთი დიდია, რომ იგი ყველას დაიტევს, ვისაც ნამდვილად სურს ჭეშმარიტების პოვნა. ეს ზღუდე მხოლოდ მაშინ შეიძლება მოგვეჩვენოს ზედმეტად, თუ ჭეშმარიტების წინააღმდეგობას ვცდილობთ.

ეშმაკი, რომელიც აცთუნებს „ყოველსა სოფელსა“ (გამოცხ. 12, 9), თავისი სიცრუით ჭეშმარიტებას ისე წარმოგვიდგენს, თითქოს იგი ბორკავდეს ადამიანებს. მაგრამ უფალი იესო ქრისტე ამბობს: „ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოან. 8, 32),—„განგათავისუფლნეს ცოდვისაგან“ (8, 34), და „ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ“ (8, 36).

ჭეშმარიტება მართლმადიდებლობაშია დაცული. წმიდა, უზაკველი გულით ეძიეთ იგი და ჰპოვებთ! VII მსოფლიო კრების კანონებში წერია: „ის, ვინც, მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტება უკვე ნაპოვნია, კვლავ განაგრძობს რაღაცის ძებნას, სიცრუეს დაეძებს“ [115]. როგორ შეეფერება ეს სიტყვები თანამედროვე ეკუმენისტურ მოძრაობას! რას დაეძებს თავის მრავალრიცხოვან კრებებზე ემს-ს კომისია „სარწმუნოება და მოწყობა“ თუ არა იმას, რომ მართლმადიდებლური ჭეშმარიტება დაამხოს და მის ადგილას თავისი მსოფლიო სიცრუე დააყენოს?

სამწუხაროდ, მოღვაწეობენ რა ემს-ში თავიანთი „წარმომადგენლების“ მეშვეობით, აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიები თანაზიარნი ხდებიან მათ მიერ აღსარებული ჭეშმარიტების წინააღმდეგ არსებული ბნელი შეთქმულებისა. ჩვენი ეპოქის ამ სავალალო მოვლენას ერთადერთი აპოკალიფსური სიტყვა შეიძლება ეწოდოს — „განდგომილება“ (2 თეს. 2, 3).

შესაძლებელი იქნებოდა კი წმ. მამების დროს, რომ მწვალებლე-

ბი მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ერთად, „თანასწორი უფლებებით“ მსხდარიყვნენ კრებაზე და ეკლესიის რაღაც „ერთიანობა“ ეძებნათ კომპრომისულ გადაწყვეტილებათა და შეთანხმებათა საფუძველზე? წმ. მამები ერთი წუთითაც კი არ მისცემდნენ მწვალებლურ დაჯგუფებებს იმის უფლებას, თავისი თავისთვის „ეკლესიები“ ეწოდებინათ, თანაც მართლმადიდებელი ეკლესიის თანასწორი ღირსების ეკლესიები. და ეს სრულიადაც არ გახლდათ ტრიუმფალიზმი, რასაც დღეს ეკუმენისტები მართლმადიდებლებს საყვედურობენ. ეს იყო მხოლოდ ქრისტეს ჭეშმარიტების ერთგულება, თავგანწირვამდე მისული ერთგულება, რომელიც დღეს, სამწუხაროდ აღარსად იპოვება! თუკი დღეს ეკუმენისტები მართლმადიდებელ ქრისტიანებს „ტრიუმფალიზმში“ ადანაშაულებენ, იგივე უნდა დააბრალონ წმ. პავლე მოციქულსაც, რომელიც „ტრიუმფალიზმის“, ანუ უფლისმიერი სიხარულისა და საზეიმო გრძნობით შეპყრობილი, წერდა: „მადლი ღმერთსა, რომელმან მარადის მძლეველ გუყვნის ჩვენ ქრისტეს მიერ“ (II კორ. 2, 14).

ჩვენ რომ წმ. მართლმადიდებლობის — მისი დოგმატებისა და კანონების — ერთგულნი ვიყოთ, სხვადასხვა სექტანტურ გაერთიანებათა წარმომადგენლებთან ერთად ჯდომისა და რაღაც „დაკარგული“ ეკლესიის ძებნის უფლებას არ მივცემდით თავს. თუკი გულწრფელად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ეკლესია ჭეშმარიტია, მწვალებლებთან ერთად კი არ უნდა ვმსჯელობდეთ კრებებზე, არამედ უნდა მოუწოდებდეთ ჩვენთან — მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში ღაბრუნებისკენ! და თუ ისინი გამოეხმაურებიან ამ მოწოდებას, ჭეშმარიტი სიხარულის მიზეზად შეიქმნებიან, შენანებული ცოდვილის მსგავსად (ლუკ. 15, 10), ხოლო თუ არ შეისმენენ, მაშინ პავლე მოციქულის რჩევას უნდა მივყვეთ და გავწყვიტოთ მათთან ყოველგვარი კავშირი! „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“ (ტიტ. 3, 10).

ჩვენი წმიდა ეკლესია ყოველთვის ლოცულობდა და ილოცებს თავის შეცთომილ შვილთა დაბრუნებისთვის: „უვარისმყოფელნი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისანი და ჭეშმარიტებისა გზათა შეცთომილნი, წარწყმედელთა წვალებათაგან დაბნელებულნი, ნათლითა ცნობისა შენისათა განანთლენ და მოაქციენ იგინი მართალსა სარწმუნოებასა ზედა, და ზიარ-ჰყვენ წმიდის შენისა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიასა!“ მაგრამ ასეთი დაბრუნება საეკლესიო კანონების მიხედვით მხოლოდ იმ პირობით არის შესაძლებელი, თუ მწვალებელი

მთლიანად დაუტევებს თავის მცდარ შეხედულებებს (დიდი კურთხევანის წესი მართლმადიდებლობისაგან განდგომილთა მიღების შესახებ), უარყოფს ყველა სიახლეს და მართლმადიდებელ სარწმუნოებას შეუდგება (იხ. VI მსოფლიო კრების 95-ე კანონი).

მაგრამ ეკუმენისტების აზრით, გაერთიანება შესაძლებელია არა მართლმადიდებლობასთან დაბრუნებით, არამედ საპირისპირო ღონისძიებით — „გამყოფი კედლების" დანგრევით, ანუ დოგმატებისა და კანონებისაგან განდგომის გზით. ემს-ს ახლანდელი ხელმძღვანელები ხშირად მსჯელობენ რაღაც ახალ სამყაროზე, რომლის შექმნისთვისაც მანამდე აუცილებელია ეკლესიის რადიკალური „განახლება". ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული გამოთქმაც კი შემოიღეს — „საეკლესიო სტრუქტურათა გადანაცვლება" [116].

ემს-ს ეს გეგმა, ცხადია, მთლიანად არასოდეს განხორციელდება, ვინაიდან იგი წააწყდება მაცხოვრის წინასწარმეტყველებას იმის შესახებ, რომ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან" ქრისტეს ეკლესიას (მათ. 16, 18). ამის მიუხედავად, ეკუმენისტები ცდილობენ საეკლესიო სტრუქტურათა გადაადგილებას და მუდმივად შეახსენებენ ბოლმე მართლმადიდებელ ეკლესიას, რომ იგი უნდა „განახლდეს", ანუ უარი თქვას ღმრთაებრივი ჭეშმარიტების ერთადერთი მატარებლის პრეტენზიაზე. ეკუმენისტებს მიაჩნიათ, რომ მოვა „ახალი კაცობრიობა, რომელიც არავითარ გამყოფ კედლებს არ სცნობს" [117], და ეს კედლები უნდა დაეცეს!

ეკუმენისტური მოწოდება რადიკალური „განახლებისა" და ყოველგვარი „გამყოფი კედლების" გარეშე დამყარებული ერთობისაკენ კაცობრიობას წარწყმედის ფართო გზისკენ უბიძგებს, იმ გზისკენ, რომლისგანაც თვით უფალი გვაფრთხილებს და ცხონების ვიწრო გზისკენ მიგვითითებს.

სოლომონის იგავთა წიგნი გვამცნობს: „ნუ სცვალებ საზღვართა საუკუნეთა, რომელი დადვეს მამათა შენთა" (22, 28). წმ. ბიკენტი ლირინელი ამ სიტყვებში პირველ ყოვლისა საუკუნეთა მანძილზე დამტკიცებულ დოგმატურ მართლმადიდებლურ სწავლებას გულისხმობს, შემდეგ — საეკლესიო კრებათა კანონებსა და განჩინებას, და ბოლოს — ყველა წმიდა გადმოცემას, რომელთა შესაბამისადაც მიედინება ეკლესიური ცხოვრება [118].

მაგრამ „საზღვართა საუკუნეთა ცვალება" უკვე ხდება, თანაც ე. წ. „მართლმადიდებელი" ეკუმენისტების ხელშეწყობით. ეთანხმებიან რა

ეკუმენისტური მოძრაობის ძირითად მოთხოვნებს, ისინი არღვევენ საეკლესიო კანონებს.

ამრიგად, მართლმადიდებლობა თავისი განმყოფი კედლებით და ეკუმენიზმი თავის ქადაგებით საზღვართა წინააღმდეგ პრინციპულად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ჩვენ ვერ უღალატებთ დოგმატებსა და კანონებს, რომლებიც განგვამტკიცებენ მართლმადიდებლობაში და ცხონებისაკენ მიგვიძღვიან. თუმცაკი ეკუმენისტური მოძრაობა ყველანაირად ცდილობს ეკლესიის დოგმატური და კანონიკური საფუძვების შერყევას.

მე-5 მიზეზი

ეკუმენიზმი უარყოფს მოციქულთა მე-5 და 45-ე კანონებს, რომლებიც მწვალებლებთან ლოცვით კავშირს კრძალავენ

ეს კანონები კატეგორიულად, ეკლესიისგან განკვეთის მუქარით, უკრძალავენ მართლმადიდებელ ქრისტიანს ეკლესიისგან განკვეთილებთან ურთიერთობას. აი ისინიც: „თუ ვინმე ილოცებს უზიარებელთან ერთად, თუნდაც სახლში, ისიც უზიარებელი იყოს“ (მე-10 კანონი). იგივეს ამბობს 45-ე კანონიც: „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ანდა დიაკონი მწვალებელთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა. თუ ნებას მისცემს მათ (მწვალებლებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდელო წესი, განიკვეთოს!“

ეს კანონები ვინმეს შეიძლება მეტისმეტად მკაცრი მოეჩვენოს ჩვენს ეპოქაში, სარწმუნოებისგან საყოველთაო განდგომის ვითარებაში, მაგრამ მათ საფუძვლად ეკლესიის ღმრთივგამოცხადებული მოძღვრება უდევთ. თვით მაცხოვარმა დაუდო სათავე ეკლესიისგან განკვეთას, როდესაც ბრძანა შეუნანებელ ცოდვილზე: „ხოლო უკეთუ კრებულისაცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი“ (მათ. 18, 17), ანუ წმ. მამათა განმარტებით, უნდა განიკვეთონ ეკლესიისგან. ქრისტეს საყვარელი მოწაფე, იოანე ღმრთისმეტყველი, რომელსაც ჩვეულებრივ „სიყვარულის მოციქულს“ უწოდებენ, ასწავლის მართლმადიდებელ ქრისტიანებს: „რომელი მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღურებაჲ არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენთა, და „გიხაროდენ“ ნუ ეტყვით მას. რამეთუ რომელმან ჰქუას მას გიხაროდენ, ეზიარების საქმეთა მისთა ბოროტთა“ (2 იოან. 1, 10—11).

ერთი შეხედვით ეს სიტყვები თითქოს ეწინააღმდეგება მაცხოვრის სიტყვებს, რომლებიც მან მთაზე ქადაგებისას თქვა: „და უკუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს იქმთ? ანუ არა მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიანა?“ მაგრამ სინამდვილეში აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, რამეთუ მაცხოვარი გულისხმობს ქრისტიანის სიყვარულს პირადი მტრების მიმართ „გიყუარდედ მტერნი თქუენნი“ (მათ. 5, 44), წმ. იოანე ღმრთისმეტყველი კი — მწვალებლებს, რომლებიც ღმერთს მტრობენ და ამიტომ უნდა გავერიდოთ მათ სწორედ ხსენებული მიზეზით: „რამეთუ რომელმან ჰრქუას მას „გიხაროდენ“, ეზიარების საქმეთა მისთა ბოროტთა“ (2 იოან. 1, 10—11). წმ. პავლე მოციქული ამასაც წერს: „გამცნებ თქუენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა განშორებად თქვენდა ყოვლისავე მისგან ძმისა, რომელი უწესოდ ვიდოდის, და არა მოძღურებისა მისებრ, რომელი ისწავა ჩუენგან“ (2 თეს. 3, 6).

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ მოციქულთა ეს კანონები მხოლოდ იმეორებენ და აზუსტებენ წმ. წერილის აზრს. მწვალებლებთან ერთობის აკრძალვა მიზნად ისახავს არ მისცეს ცთომილებას მართლმორწმუნეთა შორის გავრცელების უფლება, ცთომილება კი არის ყოველგვარი თვითნებური გამონაგონი, რომელიც არ ეთანხმება ღმრთაებრივ გამოცხადებას. ქრისტეს ეკლესიაში შეუძლებელია, ყველას თავისებურად სწამდეს—არავისა აქვს უფლება თავისი სარწმუნოების გამოგონებისა. ეკლესიის წევრები მოვალენი არიან „იგივე ზრახვად ურთიერთას ქრისტე იესუს მიმართ“ (რომ. 15, 5) და ჰქონდეთ „ერთ სარწმუნოებაჲ (ეფს. 4, 5), ღმრთის რისხვა მოელის „ურჩთა ჭეშმარიტებისათა და მორჩილთა სიცრუისათა“ (რომ. 2.8).

ამის საპირისპიროდ, ამსტერდამის ეკუმენისტური დოკუმენტი, „რელიგიური თავისუფლების დეკლარაცია“ (1948) ამტკიცებს, რომ „ყველას აქვს უფლება თავისი რელიგიის განსაზღვრისა“ და „ყველა კერძო პირს შეუძლია სხვა კერძო პირებთან ურთიერთობა... რელიგიური მიზნებით“ [119]. აშკარაა ამსტერდამის დეკლარაციის დაპირისპირება საღმრთო წერილისა და მოციქულთა კანონების მიმართ, რომლებიც მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის აზრს გამოხატავენ!

თუ შეგვედავებიან, წმ. მოციქულები იუდეველებთან და წარმართებთან დადიოდნენო, ჩვენ ვუპასუხებთ: დიახ, დადიოდნენ, დადიოდნენ მათთვის მართალი სარწმუნოების სასწავლებლად და არა იმისთვის, რომ, ზოგიერთი „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტის მსგავსად, ეღალატნათ მისთვის. წმ. პავლე მოციქულს მიაჩნდა, რომ მოვალე

იყო ყველასი—წარმართთა და ბარბაროსთა, ბრძენთა და უგუნურთა, და ამბობდა: „ყოველთა ვექმენ ყოვლად, რაჲთა ყოველნი ვაცხოვნნე“ (1 კორ. 9, 22).

მართლმადიდებლობის ერთგულების მსურველთათვის ერთადერთი გზა არსებობს — დაემორჩილონ მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ბრძანებასა და მოთხოვნას, იმ ეკლესიისა, რომელიც არის „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ (1 ტიმ. 3, 15), თუმცა ამას ეკუმენისტები უარყოფენ. „ჯერ კიდევ 1937 წელს, — წერს დეკანოზი გ. რაზუმოვსკი, — ეკუმენისტური კონფერენციების მონაწილეებს განსხვავებული აზრი შეექმნათ ეკლესიის ცნების თაობაზე და არ განაცხადეს თანხმობა ელიარებინათ მისი, როგორც ურყევი ავტორიტეტის აუცილებლობა სარწმუნოების საქმეებში. „რელიგიური თავისუფლების დეკლარაცია“ საბოლოოდ ასამარებს ეკლესიას — მისი ავტორიტეტი უმაქნისია, ვისაც რა გინდათ, ის იწამეთ და ისე მოიქეცით. ამ ფაქტში ჩვენ უკიდურესად პროტესტანტული იდეოლოგიის განხორციელებას ვხედავთ, იდეოლოგიისა, რომელშიც ადამიანი ფილოსოფიურად ყოველი საგნის საზომად განიხილება“ [120].

ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ყოველივეს საზომად რჩება შვიდი მსოფლიო კრების მიერ დამტკიცებული დოგმატები და კანონები, განსაკუთრებით კი — წმ. მოციქულთა მე-10 და 45-ე კანონები. მათი განმარტებისას მართლმადიდებელი კანონისტი, სმოლენსკის ეპისკოპოსი იოანე წერდა: „კანონები ცდილობენ დაიცვან მართლმადიდებელი ქრისტიანები არა მხოლოდ მწვალებლური სულისკვეთების, არამედ სარწმუნოებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ გულგრილობისგანაც, რამეთუ დიდი განსხვავებაა ამ ორ მდგომარეობას შორის: 1) როდესაც ვითმენთ ჩვენს შორის შეცთომილთა არსებობას და მხოლოდ გარეგნული, სამოქალაქო ურთიერთობა გვაქვს მათთან და 2) როდესაც მათთან რელიგიურ ურთიერთობას ვამყარებთ. ეს უკანასკნელი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არათუ მათ მოქცევას ვცდილობთ მართლმადიდებლობაზე, პირიქით, ჩვენ თვითონაც ვმერყეობთ სარწმუნეობაში“ [121].

მაშასადამე, მოციქულთა მე-10 და 45-ე კანონები კატეგორიულად გვიკრძალავენ მწვალებლებთან ერთად ლოცვას. ამის მიუხედავად, „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტები რეგულარულად ლოცულობენ ეკუმენისტურ შეკრებებზე უცხო აღმსარებლობის წარმომადგენლებთან და მწვალებლებთან ერთად, რის შედეგადაც ისეთი გულგრილობა უჩნდებათ მართლმადიდებლობისა და მისი კანონების მიმართ, რომ

ეკუმენისტებთან ლოცვით კავშირს „ძმური სიყვარულის“ უდიდეს მიღწევად წარმოგვიდგენენ! მაგრამ ნუთუ წმ. მოციქულებისა და წმ. მამებისთვის, მწვალებლებთან ლოცვით კავშირს, რომ კრძალავდნენ, უცხო იყო ძმური სიყვარული? პირიქით, აი რას ამბობს კონსტანტინეპოლის პატრიარქი, წმ. ფოტიოსი: „საუკეთესო ერთობა სარწმუნოებისა და ჭეშმარიტი სიყვარულისმიერი ერთობაა“ [122].

ბოლო ხანს „საერთო ლოცვები“ თანდათანობით ე. წ. ეკუმენისტურ ღმრთისმსახურებად იქცა. ასეთი ლიტურგიები ყველა ეკუმენისტურ შეხვედრაზე ტარდება. მაგალითად, ემს-ს ცენტრალური კომიტეტის სესიაზე, კუნძულ კრეტაზე „ცენტრალური კომიტეტის წევრები ეკუმენისტურ ღმრთისმსახურებაში მონაწილეობდნენ და ის პროტესტანტები, რომლებიც ღებულობენ ინტერკომუნიონს, ეზიარნენ“ [123] (და ეს მართლმადიდებლურ მიწაზე ხდებოდა!)

აი, როგორ არის აღწერილი სტატიაში „ეკუმენისტური ლოცვების კვირეული ჟენევაში“ იქ შემდგარი ეკუმენისტური ლოცვა: ყოველადწმიდა ღმრთისმშობლის შობის რუსულ ტაძარში საზეიმო ლიტურგია ჩაატარა ზვენიგოროდის ეპისკოპოსმა ვლადიმერმა, უცხო აღმსარებლობის უამრავი ეკუმენისტის თანდასწრებით. ამ მართლმადიდებლურ ლიტურგიაზე სამოციქულო წაიკითხა ძველ-კათოლიციზმის აღმსარებელმა, სახარება — რომის კათოლიციზმის მიმდევარმა, ქადაგება კი პროტესტანტმა, დოქტორმა ვისერ-ჰუფტმა წარმოთქვა [124].

„მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალში“ (1970, № 3) ვკითხულობთ, რომ მოსკოვის ერთ-ერთ ტაძარში ჩატარდა ეკუმენისტური ლოცვა ქრისტიანული ერთობისათვის. „ლოცვაში“ მონაწილეობდნენ მართლმადიდებელი მღვდელმთავრები რომისა და სომხეთის კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენლებთან, მეთოდისტებისა და ბაპტისტების სექტების პასტორებთან, აგრეთვე სხვა აღმსარებლობის სამღვდელოებასა და საეროებთან ერთად — ეს წარმოუდგენელი და დაუშვებელია წმ. კანონების თვალსაზრისით!

ემს-ს V ასამბლეაზე, ნაირობში (1975 წ.), „ლოცვითი კავშირი“ მართლმადიდებლებსა და პროტესტანტებს შორის ისეთ სიმახინჯემდე მივიდა, რომ ზოგიერთი მართლმადიდებლური დელეგაცია უკვე დაუფარავად ჩიოდა ერთობლივი ლოცვების სამწუხარო შედეგებზე: აქ უპირატესობა პროტესტანტ ღმრთისმსახურებას ენიჭებოდათ, და „ძველი ლიტურგიკული (მართლმადიებლური) პრაქტიკის დისკრიმინაცია ხდებოდა [125]. ამიტომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდმა თავის წერილში „ეპისტოლე ემს-ს V ასამბლეისა და მისი

შედეგების შესახებ“ საფუძვლიანად შენიშნა, რომ „ასამბლეაზე ღმრთისმსახურებისა და საზოგადო ლოცვების დროს ვლინდებოდა ხელოვნურად შექმნილი ეგზალტაციის ატმოსფერო, რომელსაც ზოგიერთები სული წმიდის მოქმედებად ღებულობდნენ. მართლმადიდებლური თვალსაზრისით ეს განიხილება, როგორც არაქრისტიანულ რელიგიურ მისტიციზმთან, ანუ წარმართულ, სატანურ მისტიციზმთან მიბრუნება, რომელმაც შეუძლებელია ნამდვილი ლოცვითი განწყობა შექმნას“ [126].

ვანკუვერში, ემს-ს VI ასამბლეაზე (1983 წ.) მოვლენები ისე წარიმართა, ყოველგვარ საზღვარს გადასცდა: თანდათანობის ეკუმენისტური პრინციპიც კი დაირღვა! 31 ივლისს ჩატარდა „ეკუმენისტური ლიტურგია“, რომელიც ფრანგმა რეფორმისტმა მაქს ტურიანმა შეადგინა და „სარწმუნოებისა და მოწყობის“ კომისიამ მიიღო. ამ ლიტურგიის „წამყვანი“ იყო კენტერბერიის მთავარეპისკოპოსი რენსი. მას შვიდი პროტესტანტი მღვდელი ემსახურებოდა, ამათგან ორი ქალი: კაროლინა პატიაზინა-ტორჩი (ინდონეზიელი რეფორმატორი) და ელიზაბეტ ლიდელი (დანიელი ლუთერანი). მათ გარდა საღმრთო წერილის კითხვასა და კვერექსების წარმოთქმაში მონაწილეობდნენ აგრეთვე „მართლმადიდებლები“, მონოფიზიტები და რომის კათოლიკეები. გერმანელმა კათოლიკე ეპისკოპოსმა პაულ ვერნერმა სახარება წაიკითხა, რუსმა „მართლმადიდებელმა“ ეპისკოპოსმა კირილემ (ლენინგრადის სასულიერო აკადემიის ყოფილი რექტორი, ამჟამად სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი) კი წარმოთქვა საველრებელი ლოცვა: „ვილოცოთ, რათა მალე მივაღწიოთ ხილულ ერთიანობას ქრისტეს სხეულში, ერთი ტრაპეზის ფარშემო პურის განტეხისა და ბარძიმის კურთხევის გზით!“ [127]. „მართლმადიდებელი მღვდელმთავრის ამ სიტყვების მკრეხელურ შინაარსს ალბათ კომენტარი არ სჭირდება.

თავისი „თანამსახურებით“ ამ „ლიტურგიაში“ ყველა „მართლმადიდებელმა“ მონაწილემ უხეშად გათელა არა მხოლოდ მოციქულთა მე-10 და 45-ე კანონები, არამედ მთელი მართმადიდებლური გადმოცემა, განსაკუთრებით კი წმ. პავლე მოციქულის ღმრთაებრივი აკრძალვა — ქალები ეკლესიაში ნუ ჰმოძღვრიანო (1 ტიმ. 2,12, 1 კორ. 14, 34), და მით უმეტეს არ შეჰფერით მათ ლიტურგიის ჩატარება. VI ასამბლეისთვის დამახასიათებელია ქალთა განსაკუთრებული განდიდება მოდური, სეკულარული ემანსიპაციის სულისკვეთების თანახმად, რომელმაც ბოლო ხანს ანგლიკანობა ქალების „მღვდლებად“ და „ეპისკოპოსებად“ ხელდასხმამდეც კი მოიყვანა!

ვინაიდან:

1) მოციქულთა მე-10 კანონი კრძალავს ლოცვით კავშირს ეკლესიიდან განკვეთილებთან;

2) მოციქულთა 45-ე კანონი განაკანონებს ყოველ სამღვდელოს, რომელიც მწვალებელს უფლებას აძლევს აღასრულოს რაიმე საიდუმლო ეკლესიაში;

3) პროტესტანტებს მკრეხელური სიახლეები შეაქვთ თავიანთ „ლოცვაში" და ემს-ს VI ასამბლეაზე გამართულ ეკუმენისტურ ლიტურგიაში „მღვდელმსახური" ქალები მონაწილეობდნენ;

ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეკუმენისტობა მიუტევებელი ცოდვაა!

მე-6 მიზეზი

ეკუმენიზმი ქმნის ასალ ცნებებს და აუქმებს ძველებს იმ მიზნით, რომ შეარბილოს განსხვავება მართლმადიდებლობასა და უცხო აღმსარებლობებს შორის

ეკუმენისტურ წრეებში ახალი ცნებები და ტერმინები მუშავდება, რომლებმაც მართლმადიდებლობასა და უცხო აღმსარებლობებს შორის არსებული განსხვავებების თანდათანობით შერბილებას უნდა შეუწყონ ხელი; ამავე დროს უქმდება ძველი ცნებები და ტერმინები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ ამ განსხვავებას. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ახალი, ჩვენს მიერ უკვე გაკრიტიკებული ცნება „ეკუმენისტური ეკლესიისა" — ეს ცნება მართლმადიდებელ ეკლესიას კი არ ნიშნავს, არამედ, რაღაც „უხილავ" ეკლესიას, რომელშიც ერთიანდება ყველა, ვინც თავის თავს „ქრისტიანს" უწოდებს.

ემს-ში ფამიზნულად ხდება ცნებების: „მართლმადიდებლობისა" და „უცხო აღმსარებლობის" აღრევა, ამასთან იგულისხმება არა ერთი მართლმადიდებლობა, როგორადაც მხოლოდ ჩვენი მართლმადიდებლური აღმსარებლობა გვევლინება, არამედ „მართლმადიდებლობათა" სიმრავლე, რომლებსაც ერთმანეთს ადარებენ და ეძებენ რაღაც ახალ, უფრო სრულყოფილ „მართლმადიდებლობას" (იხ. ქვემოთ, მე-8 მიზეზი, პუნქტი ბ). ამ თვალსაზრისით ფანიხილება „გადმოცემისა" და „გადმოცემათა" ცნებები, კნინდება მართლმადიდებლური გადმოცემის, როგორც წმ. წერილის თანასწორი წყაროს მნიშვნელობა; მიზანი ამისა ის არის, რომ ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტე-

ბა სხვა, კაცთა მიერ მოგონილი მოძღვრებებით (კოლ. 2, 8) დაიჩრდილოს, რომლებიც პროტესტანტულ და სექტანტურ საზოგადოებებს დაედო საფუძვლად.

იმისათვის, რომ ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობა დააკნინონ, ეკუმენისტები ლაპარაკობენ „აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიებსა“ და „ორიენტალურ მართლმადიდებელ ეკლესიებზე“, რითაც სურთ დაგვარწმუნონ, თითქოს ნამდვილ მართლმადიდებლობასთან ერთად არსებობენ ორიენტალური „მართლმადიდებელი“ ეკლესიები, რომლებიც ეკლესიის ისტორიაში მონოფიზიტურის სახელით არიან ცნობილი, მაგრამ ამჟამად უფრო ნეიტრალური სახელი მოუგონეს — „ქალკედონამდელი ეკლესიები“. საქმე იქამდე მივიდა, რომ, უწოდებენ რა ამ ეკლესიებს „მართლმადიდებელ ორიენტალურ ეკლესიებს“, ეკუმენისტები ჩვენს ადგილობრივ ეკლესიებს „მართლმადიდებელ ბიზანტიურ ეკლესიებად“ [128] იხსენიებენ. მაგრამ ეს აშკარად არასწორია, რადგან სლავური მართლმადიდებელი ეკლესიები (რუსეთის, სერბეთის, ბულგარეთის), აგრეთვე საქართველოსა და რუმინეთის ეკლესიები სრულიადაც არ არიან ბიზანტიურნი.

იმის მაგალითად, რომ ემს-ში ხდება იმ ცნებებისა და ტერმინების ლიკვიდაცია, რომლებიც ხაზს უსვამენ მართლმადიდებლობასა და უცხო აღმსარებლობებს შორის არსებულ განსხვავებებს, მოგვყავს ტერმინი „მწვალებლობა“. დეკანოზი ალ. შმემანი, აშშ-ს წმ. ვლადიმერის მართლმადიდებლური აკადემიის პროფესორი, წერს: „სიტყვა „მწვალებლობა“ ეკუმენისტურ ლექსიკონში ფაქტიურად არ არსებობს. არ არსებობს თუნდაც შესაძლებლობის სახით“. ეს გასაგებია. რომელიმე მოძღვრებისთვის მწვალებლობის სახელის დარქმევა შეუთავსებელია ეკუმენისტურ წრეში დამკვიდრებულ აზრთან, რომ პროტესტანტობაც ეკლესიაა, და რომ საერთოდ, ნებისმიერ რელიგიურ თემს, თუნდაც ყველაზე არაეკლესიურს, ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა ახასიათებს... სიტყვა „წვალება“ ამოღებულია კონფესიათაშორისი მოძრაობიდან, ახალგაზრდა მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველებიც მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო სულისკვეთებით იზრდებიან— „გვესმოდეს და პატივი ვცეთ სხვის მრწამსს“. „ეკუმენიზმის საუკუნე მწვალებელთა რეაბილიტაციის საუკუნეა“, ვკითხულობთ ჟურნალ „ირენიკონის“ [129] ფურცლებზე. ზოგიერთი მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველი კი წერს, თითქოს მწვალებლობა თავისუფალი აზროვნების ნაყოფი როდია, არმედ. პირველ ყოვლისა, ნაყოფი

ღვრთისმეტყველებაში (!) ცნობისმოყვარეობისა, ადამიანის სულის კეთილშობილი (!) მისწრაფებისა — ჩასწვდეს მყოფობის არსს“ [130].

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ასეთი მლიქვნელური გამონათქვამები ეწინააღმდეგება მსოფლიო კრებების სულისკვეთებას, რომლებზეც წმ. მამები პირდაპირ განკვეთდნენ ხოლმე მწვალებლებს ეკლესიისგან, რაკიღა მათ ცრუმოძღვრებებში სატანურ მზაკვრობას ხედავდნენ. ან როგორ შემოინახებოდა ჩვენამდე წმ. მართლმადიდებლობა, თუკი წვალებებს არ გაემიჯნებოდა? წვალების ცნების გაქრობას უეჭველად მოსდევს მართლმადიდებლობის ცნების გაქრობა, ამის შედეგი კი ჭეშმარიტებისა და ცთომილების გათანასწორება გახლავთ. სწორედ ამას ესწრაფვის ეკუმენიზმი, როდესაც წვალების ცნებას აუქმებს!

მაგრამ, შლის რა თავისი ლექსიკონიდან სიტყვა „წვალებას“, ეკუმენიზმი სრულიად ახლებურად მსჯელობს მასზე. იგი ცნებების აღრევას მიმართავს, რათა ახალ თაობებს თანდათანობით მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო სულისკვეთება ჩაუნერგოს. შეუმჩნევლად შემოდის აქამდე უცნობი ცნება „ეთიკური წვალებისა“, რაც თითქოს გასაჭირში ჩავარდნილთა მიმართ უყურადღებობას ნიშნავს. ეკუმენისტური თვალსაზრისით, მართალი სარწმუნეობის საზომად ითვლება არა იმდენად „ორთოდოქსია“ ანუ „მართლად აზროვნება“, რამდენადაც „ორთოპრაქსია“, ანუ „მართლად მოქმედება“. ამგვარად, სარწმუნოების დოგმატური კრიტერიუმები უფასურდება და არასაკმარისად, ანუ არაარსებითად ცხადდება [131].

სინამდვილეში „ორთოდოქსიისა“ და „ორთოპრაქსიის“ დაპირისპირება ძირეულად მანკიერი მოვლენაა. მართლმადიდებლობა არასოდეს განასხვავებდა და, მით უმეტეს, არ უპირისპირებდა ერთმანეთს ამ ორ ორგანულად დაკავშირებულ ცნებას, რამეთუ მართლმადიდებლური სარწმუნოება უსათუოდ მართლმადიდებლურ ცხოვრებაში უნდა გამოიხატებოდეს. ამ განუყოფელი ცნებების ხელოვნური დაპირისპირება, თუკი ის ლოგიკურად ბოლომდე იქნა მიყვანილი, ავტონომიურ, რელიგიის გარეშე არსებული ეთიკის გზას ადგება, რომელიც საბოლოოდ სპობს ღმერთის რწმენას. სწორედ ამას სჩადის პროტესტანტული ეკუმენიზმი, რომელიც „ორთოდოქსისა“ და „ორთოპრაქსიის“ დაპირისპირებით ამ ორი ცნების აღრევას იწვევს და ხელსაყრელ პირობებს ქმნის „მკვდარი ღმერთის ღმერთისმეტყველებისთვის“, რომელზეც ამ შრომის დასასრულს გვექნება საუბარი.

ამიტომ, ერთნაირად ვუჭერთ რა მხარს „ორთოდოქსიასა“ და „ორ-

თოპრაქსიას", ჩვენ შეშფოთებას გამოვთქვამთ მათი ზელოვნური დაპირისპირებისა და აღრევის გამო, რამეთუ ეს ნამდვილ საფრთხეს — ჭეშმარიტების სრულ დაკარგვას მოასწავებს! აი, რას ამბობს ამის თაობაზე ნეტარხსენებული ფილარეტი, მოსკოვის მიტროპოლიტი: „ცნებების აღრევის შედეგად ჭეშმარიტება უკიდურესად ბუნდოვანი ხდება, განსაკუთრებით გარეგნულად კეთილი მიზეზების მოშველიებით. სინამდვილეში ეს არის სატანა, ნათლის ანგელოზის სახით მოვლენილი (2 კორ. 11, 14), ამგვარად, ანტიქრისტეს დროისათვის ჭეშმარიტება დედამიწაზე სრულიად აღმოიფხვრება ცხოვრებაშიც და ცნებებშიც, და ეს კაცთათვის შეუმჩნევლად მოხდება. ცხონების მსურველთა შორის ამ ბადეს მხოლოდ ისინი გადაურჩებიან, ვინც განუწყვეტლივ ადევნებს თავის თავს თვალყურს, ცნებების აღრევა რომ არ დაიწყოს. თავდაჯერებული კაცი იოლად ტყუვდება და აღრევის ბადეში ებმება" [132].

გულისტკივილთ უნდა განვაცხადოთ, რომ მზაკვრული ეკუმენისტური ხერხებისა და მანევრების გამო საქმე იქამდე მივიდა, რომ მართლმადიდებლობის ჭეშმარიტება უკიდურესად მიიჩქმალა, რის გამოც ეკუმენიტები აშკარად უარყოფენ მის მისწრაფებას — იყოს ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტების ადეკვატური. ემს-ს ერთ-ერთ ოფიციალურ გამოცემაში ვკითულობთ: „დღეს უკვე ძალიან იშვიათად ვხვდებით იმის მტკიცებას, თითქოს ქრისტიანული სარწმუნოების უმაღლეს ჭეშმარიტებას რომელიმე ერთი აღმსარებლობა შეიცავდეს და იგი არავითარ შევსებას არ საჭიროებდეს სხვა ქრისტიანული საზოგადოებების დახმარებით" [133]. მართლაც, გაბედული გამოსვლები მართლმადიდებლობის დასაცავად დღეს უკვე ისეთი იშვიათია, რომ უფრო და უფრო აშკარა ხდება — კაცობრიობა წმ. პავლე მოციქულის ნაწინასწარმეტყველევი განდგომილების გზას ადგას და ეს განდგომილება არის ანტიქრისტეს მოსვლის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი (2 თეს. 2, 3).

მაგრამ ქრისტეს ეკლესია სოფლის აღსასრულამდე უნდა სწამებდეს ჭეშმარიტებისათვის და ღმრთივგამოცხადებული მოძღვრების დასაცავად იყენებდეს „წვალების" ცნებას, რომელიც დოგმატური მნიშვნელობით უნდა იქნას გაგებული. ამით იგი წმ. წერილს დაემორჩილება, რომელიც სიტყვა „წვალებას" აგრეთვე დოგმატური მნიშვნელობით იყენებს, რათა ჭეშმარიტება ცთომილებას დაუპირისპიროს. წმ. წერილი არა მარტო გვაფრთხილებს საშიშ ცრუმოძღვრებათა გაჩენის შესახებ, რომლებიც წარსაწყმედელ წვალებებს იქადაგებენ

(2 პეტრ. 2, 1), არამედ გვასწავლის განვეშოროთ მწვალებელს, თუ იგი პირველი და მეორე სწავლების შემდეგ არ მოექცევა (ტიტ. 3, 10). საღმრთო წერილიდან ვიცით, რომ ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტება და სატანური ტყუილი შეურიგებელნი არიან, მათი განყოფა ღმერთისგან გვაქვს ნამცნები (2 კორ. 6, 14—15).

დღეს წვალების ცნების გაუქმებით (დოგმატური მნიშვნელობით) თანთადან იშლება ჭეშმარიტებისა და ცთომილების დაპირისპირება, რათა ცთომილებამ, თუკი მას ხშირად გაუმეორებენ და ჩაუნერგავენ ხალხს, ჭეშმარიტების ავტორიტეტი მოიპოვოს და შეფასდეს, როგორც რაღაც ახალი „ჭეშმარიტება“, ძველი, მარადიული ჭეშმარიტების პარალელურად არსებული. მაგრამ ეს მძიმე ცოდვაა მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე, რომელიც არის ურყევი „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“, და საღმრთო წერილის, როგორც „ჭეშმარიტების სიტყვის“ წინააღმდეგ!

მართლმადიდებელი ქრისტიანი არ უნდა მონაწილეობდეს ეკუმენისტურ მოძრაობაში, რომელშიც ახალი ცნებები მუშავდება მართლმადიდებლობასა და უცხო აღმსარებლობებს შორის არსებული განსხვავების აღსახოცად, რომელშიც „წვალების“ ცნება აღარ იხმარება თავისი დოგმატური მნიშვნელობით, ამას კი მზაკვრული მიზანი აქვს — წაშალოს ზღვარი ცთომილებასა და ჭეშმარიტებას შორის.

მე-7 მიზეზი

ეკუმენიზმი მწვალებელთა მეთოდებს იყენებს და ქრისტესგან მოცემული ჭეშმარიტი სარწმუნოების ერთიანობას არ ეძიებს

ა) ეკუმენიზმი მწვალებლურად არჩევს ტექსტებს საღმრთო წერილიდან

როგორც მეორე მიზეზში იყო აღნიშნული, ეკუმენიზმი წვალებაა პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ არასწორად ასწავლის ეკლესიის შესახებ. იგი სხვა წვალებებსაც შეიცავს, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, მაგრამ ეკუმენიზმის მწვალებლური ხასიათი მის მეთოდებშიც ვლინდება.

სიტყვა წვალება (ერესი) მომდინარეობს ბერძნული ზმნიდან „აირეომაი“ — ვირჩევ. ყველა დროის მწვალებლები ცრუმოძღვრებათა შექმნისას საღმრთო წერილიდან თავიანთთვის სასარგებლო ციტატებს ირჩევდნენ და უგულებელყოფდნენ სხვა, საპირისპირო აზრის შემც-

ველ წმიდა ტექსტებს. წმ. იოანე ოქროპირის თქმით, წვალებათა უმრავლესობა სწორედ საღმრთო წერილის ასეთი უკუღმართი გამოყენების შედეგია. აი, რას წერს იგი ამის თაობაზე: „არ კმარა რაიმეზე იმის თქმა, რომ ეს საღმრთო წერილში წერია, არ შეიძლება ღმრთივსულიერი წიგნებიდან სიტყვების ამოგლეჯა და ცალ-ცალკე, ერთმანეთთან დაუკავშირებლად მათი განხილვა, რასაც, ნებსით თუ უნებლიეთ, აზრის დამახინჯება მოსდევს. ასე დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში მრავალი მტყუარი აზრი — ეშმაკის მანქანებით, რომელიც თავქარიან ადამიანებს ასწავლის არასწორად ახსნან საღმრთო წერილის სიტყვები, მიუმატონ ან გამოაკლონ რამე და დააბნელონ ჭეშმარიტება“ [134]. უძველესი დროიდან მოყოლებული კიდრე დღევანდელ დღემდე მწვალებელთა მეთოდები არ იცვლებიან — ისინი მხოლოდ თავიანთთვის ხელსაყოველ ტექსტებს არჩევენ და ეამბილებელს კი გვერდს უვლიან.

ასევე იქცევიან ეკუმენისტებიც: იღებენ რომელ-მე წმ. ტექსტს (მაგალითად, იოან. 17, 21). მაგრამ ღმრთისაგან ნამცნებ მორწმუნეთა ერთიანობის სწორ განმარტებასა და სწორ მნიშვნელობას არ ეძებენ. ამავე დროს, ისინი განზრახ უვლიან გვერდს სხვა წმ. ტექსტებს (ლუკ. 12, 51, ტიტ. 3, 10 2, იოან. 1, 10), სადაც განყოფას პირდაპირ ენიჭება უპირატესობა ღმრთის წინაშე საძაგელ ერთიანობასთან შედარებით.

„რათა ყოველნი ერთ იყვნენ“ (იოან. 17, 21) — ეს არის ეკუმენისტების ლოზუნგი. სახარების ამ სიტყვებით ისინი ცდილობენ ავტორიტეტი და მომხიბლაობა მიანიჭონ თავიანთ გრანდიოზულ გეგმას: სხვადასხვა აღმსარებლობის გაერთიანებას, ისე რომ მათგან ჭეშმარიტ სარწმუნოებაში დოგმატური თანამოაზრეობა არ მოითხოვონ.

მაგრამ რატომ არ მოჰყავთ მაცხოვრის იმავე პირველსამღვდელო ლოცვის მე-9 მუხლი, საიდანაც ჩანს, რომ მაცხოვრის სიტყვები: „რათა ყოველნი ერთ იყვნენ“ ყველა ადამიანს კი არ ეხება, არამედ მხოლოდ მათ, ვისაც ჭეშმარიტად სწამს უფალი? სწორედ მათთვის ლოცულობს მაცხოვარი, რათა ისინი არ განუდგნენ ჭეშმარიტებას და ერთ, ურღვევ მთლიანობას შეადგენდნენ ყველა დროის ყველა მორწმუნესთან ერთად, მაშასადამე, ყველა მომავალ თაობასთან ერთადაც, ვინც ჭეშმარიტებას აღიარებს. „მე მათთვის გკითხავ, არათუ სოფლისათვის გკითხავ, არამედ მათთვის, რომელნი მომცენ მე.. მამაო წმიდაო! და-

იცვენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, რაჲთა იყუნენ ერთ, ვითარცა ჩვენ“ (იონ. 17, 9—11). „და არა ამათვთის ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათვის, რომელთა რწმენას სიტყვითა მათითა ჩემდა მიმართ, რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ“ (იოან. 17, 20—21). მაცხოვრის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ჭეშმარიტ ერთიანობას მხოლოდ ესენი შეადგენენ, ვისაც მართლად სწამს ქრისტე, მწვალებლებს კი რა ხელი აქვთ ქრისტეს მიერ შექმნილ ერთიანობასთან!

ამ ერთიანობას მაცხოვარი კიდევ უფრო ნათლად განმარტავს, როდესაც ამბობს: „ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი, რაჲთა იგინიცა ჩუენ შორს ერთ იყვნენ“ (იოან. 17, 21). ქრისტეს მორწმუნეთა ერთიანობის ხატად მითითებულია იდეალური ერთიანობა, რომელიც არსებობს სამ ჰიპოსტასს შორის: ძე, განხორციელებული ჭეშმარიტება (იოან. 14, 6), ჭეშმარიტების საწამებლად მოსული (იოან. 18, 37), მამა, რომელიც არის ჭეშმარიტება (იერ. 10, 10) და სული წმიდა—სული ჭეშმარიტებისა (იოან. 15,26). ღმრთაებრივი სამების სამივე ჰიპოსტასი ერთიანია, რამეთუ სამივე ჭეშმარიტებაა. აქედან გამოდის, რომ მორწმუნენიც მხოლოდ ჭეშმარიტების აღმსარებლობის გზით შეიძლება იყვნენ ერთიანი. ჭეშმარიტების გარეშე შეიძლება არსებობდეს ხოლოდ ფიქტიური, და არა ფაქტიური ერთიანობა!

შესანიშნავად ამბობს წმ. ანასტასი სინელი, ანტიოქიის პატრიარქი (გარდ. 599 წ.): „დასაბამი სიტყვათა შენთა, ქრისტე, არის ჭეშმარიტება, ანუ თავად შენ, სიტყვა ღმერთი, ჭეშმარიტი ჭეშმარიტება, ნამდვილად შობილი ხეჭეშმარიტი მამობრივი ჭეშმარიტებისგან — თავად შენა ხარ ჭეშმარიტება, და ყველას, ვინც შეიყვარა შენი ჭეშმარიტება, აღუთქვამ ჭეშმარიტების სულის მოვლინებას, როდესაც ამბობ: „ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძღოდეს თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა“ (იოან. 16, 13) [135].

აი, რომელი ჭეშმარიტების მიერ გვიბრძანეს გაერთიანება! ემს კი ჭეშმარიტების გარეთ ეძიებს გაერთიანებას, რითაც თავისი მიმდევრები ქრისტეს მაცხოვნებელი ჭეშმარიტებისმიერი გაერთიანებისკენ კი არ მიჰყავს, არამედ საუკუნო წარწყმედისაკენ!

ეკუმენისტები გაურბიან მაცხოვრის მამა ღმერთისადმი მიმართული სიტყვების ციტირებას: „წმიდა ჰყუენ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყუა შენი ჭეშმარიტ არს“ (იოან. 17, 17). გაურბიან იმიტომ, რომ მათში ჩაზგასმულია ცხონების უცილობელი პირობა—ჭეშმარიტება. ნეტარი თეოფილაქტე ასე განმარტავს ამ სიტყვებს: „და-

იცევ ისინი სიტყვისა და დოგმატების სიმართლით, ასწავლე და ჩაუნერგე ჭეშმარიტება, რამეთუ სიწმიდე სწორი დოგმატების დაცვაში მდგომარეობს“ [136].

ისიც ვნახოთ, თუ როგორ ესმის ქრისტეს მორწმუნეთა ერთიანობა და ქრისტეს ეკლესიის, ანუ მისი სხეულის ერთიანობა სვიმეონ ახალ ღმრთისმეტყველს: „ყველა წმიდანი ჭეშმარიტად ქრისტე ღმერთის ასონი არიან... და მისი სხეულთან შეერთებულნი, ისე რომ ქრისტე არის თავი, ხოლო ყველა წმიდანი, დასაბამიდან ვიდრე უკანასკნელ დღემდე, ასონი მისნი, და ყველა ისინი, ერთად, ერთ სხეულს და თითქოს ერთ კაცს შეადგენენ“. მოჰყავს რა ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებული სიტყვები მაცხოვრის პირველსამღვდელო ლოცვიდან (იოან. 17), წმ. სვიმეონი დაასკვნის: „უფალი აღგვითქვამს, რომ, თუკი ჩვენ გვსურს, ექნება ჩვენთან მადლისმიერი ერთიანობა, რომელიც თვითონ მას აქვს მამასთან... რამეთუ რაკი ერთხელ თავისი ღმრთაებრიობის თანაზიარად გვყო, ამით ჩვენ ყველანი თავისთან დაგვინათესავა“ [137].

მართალია, ქრისტეს ეკლესიაში ცოდვილებიც შედიან, მაგრამ ისინი მას კი არ ბილწავენ, არამედ იკურნებიან მის წიაღში. თუ მათ სურთ განკურნება, მაშინ რჩებიან ეკლესიის სხეულის წევრებად, ხოლო თუ უარს ამბობენ კურნებაზე და სიკვდილი შეუნანებლებს მოუსწრებს, განვარდებიან მისგან. ამიტომ მართალია წმ. სვიმეონი, როდესაც ამბობს, რომ წმინდანები (მართალნი და განკურნებული ცოდვილნი) ქრისტეს სხეულს შეადგენენ. მხოლოდ მწვალებელნი განიკვეთებიან მისგან, როგორც ურჩნი ეკლესიისა (მათ 18, 17).

ეს არ ნიშნავს, რომ მწვალებლები ვეღარ დაუბრუნდებიან ქრისტეს ეკლესიას. თუ უარყოფენ წვალებას და შეინანებენ, ისინი ისე შევლენ ეკლესიაში, როგორც ქრისტეს სხეულის განახლებული ასოები. მაგრამ თუ ბოლომდე დაადგრებიან თავიანთ ცთომილებას, მაშინ ეკლესიის გარეთ დარჩებიან: წვალებები ავთვისებიან სიმსივნეებს ჰგვანან, რომლებსაც წმ. მამები სული წმიდის ძალით განკვეთდნენ ხოლმე მსოფლიო და ადგილობრივ კრებებზე!

ყველა ამ ავთვისებიან სიმსივნეს ჩვენს ძნელ ეპოქაში ეკუმენიზმი მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაერთიანებას უპირებს ერთ „ეკუმენურ“ (ცრუმსოფლიო) სხეულად, რომელიც ქრისტესი კი არა, ანტიქრისტეს სხეულია. მეტიც — ეკუმენიზმი ცდილობს შემოიღოს ინტერკომუნიონი, ანუ ერთი ბარძიმდან ზიარება ემს-ში შემავალი ყველა დენომინაციისათვის, მწვალებლობისაგან მათი განდგომის წი-

ნაპირობის გარეშე. ასეთი „ზიარება“ არის საშინელი მკრეხელობა უდიდესი საიდუმლოს, წმ. ევქარისტიის მიმართ, რომელშიც ხდება ჭეშმარიტი შეერთება ქრისტესთან — მხოლოდ მართლმორწმუნეთა და მათი, ვინც ამ მართალი სარწმუნოების თანახმად ცხოვრობს. ამაზე წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი წერს, რომ ქრისტე, გვაზიარებს რა თავის ხორცსა და სისხლს წმიდათაწმიდა საიდუმლოთი, „ამ სახით გვაერთებს თავისთან“.

ამრიგად, იოანეს სახარების მე-17 თავიდან (9, 11—20) ნათლად ჩანს, რომ ერთობა, რომელზეც აქ არის ლაპარაკი, ეხება არა ყველა ადამიანს, არამედ მხოლოდ მათ, ვისაც ჭეშმარიტად სწამს ქრისტე. მიუხედავად ამისა, ემს მაინც ცდილობს თავს მოგვახვიოს მცდარი გაგება, თითქოს ე. წ. „ეკლესიებში“ შემავალ ყველა „ქრისტიანს“ შეუძლია და უნდა გაერთიანდეს კიდეც მის ყოვლისმომცველ წიაღში.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება კანონზომიერი შეკითხვა: საკმარისია თუ არა გწამდეს ქრისტე, ისე რომ არ აზუსტებდე, როგორ გწამს? მწიგნობრებსა და ფარისეველებსაც ხომ სწამდათ მესია და მოელოდნენ მის მოსვლას, მაგრამ მათი რწმენა მომავალი მესიისა იმდენად არასწორი იყო ქრისტეს მოციქულების რწმენასთან შედარებით, რომ მოჩვენებითი „მესიის“ სახელით უარყვეს ჭეშმარიტი მესია და ჯვარს აცვეს იგი (1 კორ. 2, 8)! განა მესიის ასეთი არასწორი რწმენა გახდიდა შესაძლებელს, რომ ისინი ქრისტეს ეკლსიას შეერთებოდნენ? მაგრამ იყვნენ სხვა მწიგნობრები და ფარისეველებიც: ნიკოდიმოსი, გამალიელი, საულე და სხვანი, აგრეთვე ზოგიერთი იუდეველი მთავარი (იოან. 12, 42) და მღვდელი (საქმე, 6, 7), რომლებმაც ისევე იწამეს მესია, როგორც ქრისტეს მოწაფეებმა. ყველა ისინი წმ. მოციქულებთან ერთად იყვნენ და კიდეც შეუერთდნენ ქრისტეს ეკლესიას, ხოლო ვინც გულით არ ატარებდა ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, რომელიც აერთიანებს მორწმუნეებს, ქრისტეს ეკლესიის მაცხოვნებელი ხომალდის გარეთ დარჩა.

ბ) ეკუმენიზმი არ ეძიებს ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოებისმიერ ერთიანობას

უფალმა იესო ქრისტემ შექმნა ჭეშმარიტი, ღმრთისათვის სათნო და მარადიულად შემაკავშირებელი ერთიანობა თავის ეკლესიაში. იგი მიიღწევა ყველა იმ დოგმატური და სულიერ-ზნეობრივ ჭეშმარიტების

მიღებით, რომლებიც თავად გაგვიმეღავნა. ვინც გულწრფელად ეძიებს ამ ერთიანობას, მოიპოვებს მას მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოების მორჩილებით (საქმე, 6,7), რომელიც ერთგზის მიეცა წმიდათა (იუდ. 1,3), ამიტომ მცირედი გადახრაც კი ღმრთივგამოცხადებული სარწმუნოებისაგან განგვაშორებს ღმრთივდაწესებულ ერთიანობას.

რატომაა, რომ წმ. მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ ღმრთისმსახურებაზე დიდი კვერექსის დროს ლოცულობს: „კეთილად დგომისათვის წმიდათა ღმრთისა ეკლესიათა და ყოველთა ერთობისათვის?“

ცხადია, ეკლესია მისგან საუკუნოდ განკვეთილი წვალებებისთვის არ ლოცულობს, რამეთუ მათ ვერასგზით ვერ უწოდებდა „უფლის წმიდა ეკლესიებს“. დიდი კვერექსის ამ ლოცვას სულ სხვა აზრი აქვს— იგი მოგვიწოდებს ვილოცოთ წმიდა ადგილობრივი ეკლესიების ძმური ერთიანობისათვის, რამეთუ მათ შორის, როგორც ეკლესიის ისტორიიდან ვიცით, დროდადრო განხეთქილებებიც ჩნდებოდა (ბულგარეთის სქიზმა, რუსული და ბერძნული ეკლესიების შიდა განხეთქილებანი).

ეკუმენისტების მიერ ასე ხშირად ნახსენები სიტყვები: „რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ“ (იოან. 17, 21) სრულადაც არ ნიშნავს, რომ მომავალში დღევანდელი ცთომილებებისგან რაღაც ახალი „ეკუმენისტური ეკლესია“ უნდა გაჩნდეს. სიტყვების „რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ“ ფილოლოგიური ანალიზიდან აშკარა, რომ ლაპარაკია აწმყო დროზე და არა მომავალზე. იგულისხმება, რომ ყველა მორწმუნე უნდა ესწრაფვოდეს ყოველგვარი დაბრკოლებების გადალახვას მართლმადიდებლობის ერთიანობის შესანარჩუნებლად, ანუ ყველა მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი, რა დროში ან რა ისტორიულ პირობებშიც არ უნდა ცხოვრობდეს, უნდა ცდილობდეს ქრისტეს ეკლესიასთან ერთად იყოს და შეუერთდეს მის მიერ აღსარებულ მართლმადიდებლურ ჭეშმარიტებას, რომელიც არის „ერთგზის მოცემული წმიდათა“ (იუდ. 1, 3), ანუ, ნეტარი თეოფილაქტეს თქმით, სწორ დოგმატებს.

ასეთი მართალი სარწმუნოებისმიერი ერთიანობა თვით მაცხოვარმა, უფალმა იესო ქრისტემ შექმნა. იგი ყველა საუკუნის მანძილზე ხორციელდებოდა, წმ. მოციქულებიდან მოყოლებული ვიდრე დღევანდელ დღემდე, და ასე იქნება სოფლის აღსასრულამდე. ეს განხორციელება ხდება ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის წიაღიდან, ამ საქმეს ღმერთი ასრულებს! ადამიანები მხოლოდ მისი თანამონაწილენი უნდა იყვნენ და სრულიად ემორჩილებოდნენ

ეკლესიასა (მათ. 18, 17) და ჭეშმარიტებას (2 კორ. 13, 8; გალ. 3, 1) თავის მდაბალ შვილთა შორის ღმერთი ერთიანობისა და თანხმობის სასწაულს ახდენს. ამაოდ როდი ევედრება უფალი იესო ქრისტე თავის ზეციურ მამას, დაიცვას მორწმუნენი განყოფისაგან, „რაითა ყოველნი ერთ იყვნენ“ (იოან. 17, 20—21). მაცხოვრის მოწოდება ეკლესის ერთიანობისკენ არ ეხება ამსოფლიურ ორგანიზაციებს, მაგალითად, ემს-ს, რამეთუ შეუძლებელია სხვადასხვაგვარად მოაზროვნეთაგან თანამოაზრეთა კავშირის შეკვრას მოელოდე, თანაც ისეთი კავშირისა, როგორიც ყოვლადწმიდა სამების წიაღში არსებობს; შეუძლებელია ეკლესიის ურჩთაგან ღმრთის სათნო ერთიანობის შექმნას მოელოდე!

უფალი იესო ქრისტე თავის პირველსამღვდელო ლოცვაში სრულიადაც არ გულისხმობს ერთიანობას მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და მწვალებლებს შორის — ასეთი მწვალებლები კი ბლომად არიან ემს-ში, რომელიც 300-მდე აღმსარებლობას აერთიანებს [138]. და განი იესო ქრისტე ამ შექანიკური, ცრუ ერთიანობისთვის ლოცულობს!

მართალია, ქრისტე ამბობს: „და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოსაგანნი; იგინიცა ჯერ-არიან მოყუანებად ჩემდა; და ხმისა ჩემისა ისმინონ, და იყუნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“. (იოან. 10, 16). აქ მწვალებლებზე როდია ლაპარაკი, რომლებიც ადრე იყვნენ ეკლესიის ეზოში, მაგრამ თავიანთი ნებით დატოვეს იგი და აღარ სურთ დაბრუნება (შდრ. 1 იოან. 2, 19). წმ. მამათა განმარტებით, აქ იესო ქრისტე გულისხმობს წარმართებს, რომლებსაც ჯერ არ მიუღიათ სარწმუნოება. მაგრამ უფალი მათაც მოიყვანს, ანუ შეიყვანს თავისი ეკლესიის ეზოში, თუ ეს ადამიანები იწამებენ მას არა სხვაგვარად, არამედ ისე, როგორც მოციქულებმა ამცნეს.

მწვალებლები ზურგშექცევით დგანან ჭეშმარიტებასთან, წარმართები კი — პირისპირ, ისინი ჭეშმარიტებას ეძიებენ, მაშინ, როდესაც მწვალებლებს ჰგონიათ, რომ უკვე უპყრიათ იგი და ამიტომაც აღარაფერს ეძიებენ. ცხადია, მწვალებლებს შეუძლიათ, თუკი ინებებენ, დაუბრუნდენ ეკლესიის ეზოს, მაგრამ ეს მხოლოდ გულწრფელი სინანულისა და წვალებისაგან განდგომის გზით არის შესაძლებელი (დიდი სჯულისკანონის წესით). მაშინ ისინი უკვე აღარ იქნებიან მწვალებლები, რამეთუ უარყოფენ წვალებას და წმ. მართლმადიდებლურ სარწმუნოებას დაუბრუნდებიან.

მხოლოდ ამგვარად შეძლებენ ერთ ფარეხში ყოფნას და ერთი მწყემსის — უფალ იესო ქრისტეს მწყემსმთავრობის ქვეშ ერთ სამწყ-

სოდ ძოვას ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცეული იუდეველნიც და წარმართნიც, ისევე, როგორც ეკლესიაში დაბრუნებული მწვალებლები!

ეკუმენისტები ბოროტად სარგებლობენ ქრისტეს სიტყვებით „ერთი სამწყსოსა და ერთი მწყემსის შესახებ". ეს ერთი სამწყსო მათ წარმოუდგენიათ, როგორც საყოველთაო სამწყსო, რომელშიც ერთად არიან ცხვრებიც და მგლებიც, ანუ მართლმადიდებლებიც და არამართლმადიდებლებიც. მეტიც, ისინი ოცნებობენ კიდეც ერთიან კაცობრიობაზე და ოლვწიან ასეთი ერთიანობის მისაღწევად არა სულიერი, არამედ პირწმინდად სეკულარული და პოლიტიკური მნიშვნელობით! (იხ. ქვემოთ მე-10 მიზეზი).

როგორ უნდა იქცეოდნენ ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევარნი იმ დროს, როდესაც ეშმაკი მუდმივად ცდილობს მათ განცალკევებას? ფიზიზლად უნდა იცავდნენ ქრისტეს მიერ დაფუძნებულ ჭეშმარიტ ერთიანობას და ცდილობდნენ „დამარხვად ერთობასა მას სულისასა საკრველითა მით მშვიდობისათა" (ეფეს. 4, 3). მოციქულის ეს რჩევა დღევანდელ მართლმადიდიბელ ქრისტიანებსაც ეხება. ჩვენ მოწოდებულნი ვართ არა ერთიანობის შესაქმნელად, არამედ მის დასაცავად, ვინაიდან იგი უკვე შექმნა ქრისტემ და მომავალ თაობებსაც ჯადასცა. თუკი ჩვენ ერთიანობის შექმნას დავიწყებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ აქამდე იგი არ არსებობდა. შესაბამისად. უარს ვამბობთ ქრისტეს მიერ უკვე შექმნილ ერთიანობაზე, რომელშიც ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე შედის. მაგრამ მაშინ ეკლესიის ისტორიის ფაქტები გვამხილებენ, ეს ფაქტები კი უცილობლად მოწმობენ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია დასაბამიდან მოყოლებული აქამომდე ერთიანია, ისევე, როგორც ერთიანნი არიან მისი ჭეშმარიტი შვილნი — წმ. მოწამენი, მოღვაწენი, მღვდელმთავარნი, ჭეშმარიტების აღმსარებელნი, რომელნიც ეკლესიის არსებობის მრავალი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდნენ.

უფალმა იესო ქრისტემ საოცარი ერთიანობა შექმნა — მართალი სარწმუნოებისმიერი ერთიანობა, რომელზეც პავლე მოციქული წერს: „ერთ-ხორც და ერთ-სულ, ვითარცა იგი იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისათა; ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოებაჲ. ერთ ნათლისღებაჲ (ეფეს. 4, 4—5).

ეკუმენისტები, რომლებიც დღეს თავიანთ ახალ „ერთიანობას" ქმნიან, არღვევენ ქრისტეს მიერ შექმნილ ერთიანობას. ამის შედგად სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებელნი რაღაც მექანიკურ „ერთიანობად" იკვრებიან, მართლმადიდებელთა შორის კი განყოფა ხდება

ერთნი ემხრობიან ეკუმენიზმს, მეორენი — უარყოფენ, და რას იგებს მართლმადიდებლობა? არამართლმადიდებლები კი არ ექცევიან მართალ სარწმუნოებაზე, პირიქით, მრავალი მართლმადიდებელი ღალატობს მართლმადიდებლობას. ისინი ჯერ ეკლესიის კანონებსა და ძველისძველ გადმოცემებს თელავენ, მერე კი, ეკუმენისტური „ალტყინებით“ შეპყრობილებს, სრული დოგმატური გულგრილობა ეუფლებათ და ფაქტიურად ზურგს აქცევენ მართლმადიდებლობას.

თვითონ ეკუმენისტები თავს იწონებენ ემს-ს წევრებს შორის არსებული ეკუმენისტური მეგობრობის შედეგებით: „ეკლესიებს შორის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთობა მყარდება: კონტაქტები, დიალოგები, საერთო მოწმობა და თანამშრომლობა ეკლესიების ცხოვრების მრავალი სფეროსთვისაა დამახასიათებელი. სხვადასხვა ტრადიციის მქონე ქრისტიანები ერთმანეთს ხვდებიან, ერთად ლოცულობენ, ერთად ცხოვრობენ, ერთად ქადაგებენ. დღეს მოძღვრებებს შორის განსხვავებას უწინდელზე ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ხშირად სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანები ერთმანეთთან უფრო მჭიდრო კავშირს გრძნობენ, ვიდრე თავიანთი ეკლესიების წევრებთან“[139].

ეს არის ემს-ს V ასამბლეის (ნაირობი) ოფიციალური დოკუმენტის აზრი, რომელიც თავის შესავალ სიტყვაში ირონიულ-გამომწვევად გამოთქვა ემს-ს ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, დოქტორმა ტომასმა. მართლმადიდებელი დელეგატების გადმოცემით, ტომასმა განაცხადა, რომ ასამბლეის წევრები მტკიცედ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი რაღაც „ძმობის“ (ალბათ მასონური „ძმობა“ იგულისხმება—ავტ. (შენიშვნა) მეშვეობით, რომლის წევრადაც მათი უმრავლესობა ირიცხება. აქ ისინი ბევრად უფრო მჭიდრო კავშირს გრძნობენ ერთმანეთთან, ვიდრე თავიანთ ეკლესიებში, რამეთუ ამ უკანასკნელთა დატოვება შეუძლიათ, ემს-დან გამოსვლა კი — არა!

ეკუმენისტური „ერთიანობის“ ამ შედეგებმა, რომლებსაც ასეთ უტიფარ პროპაგანდას უწევენ დასავლეთის ეკუმენისტები, ბოლოს და ბოლოს უნდა დაგვანახოს, ვინ დგას ყოველივე ამის უკან. ესაა იგივე ძველი „სული უკეთურებისა“ (ეფეს. 6, 12), რომელიც უწინაც ქმნიდა და ამრავლებდა წვალებებს განხეთქილების გზით, ახლა კი იმას, რაც თვითონვე განაცალკევა, აერთიანებს უახლეს და ყველაზე საშიშ წვალებად, რომელიც „ქრისტიანული“ ეკუმენიზმის მატყუარა სახელწოდებით ინიღბება. ეს ძველისძველი სული უკეთურობისა ახალ სტრატეგიას ხმარობს, მაგრამ მიზანი კი უწინდელი აქვს — წმ. მართლმადიდებლობის აღმოფხვრა. ეკუმენიზმი ერთი შეხედვით ათეიზმთან

ბრძოლის ფრონტს ქმნის, სინამდვილეში კი ეს მართლმადიდებლობასთან ბრძოლის ფრონტია! ჭეშმარიტებისა და ცთომილების აღრევით იგი ესწრაფვის მართლმადიდებლობის ჯანსაღი, სუფთა საკვების შერყვნას ცრუმოძღვრებათა დამღუპველი შხამით. ასე რომ, ტაქტიკის შეცვლით ბოროტ სულს არ უღალატნია თავისი მარადიული მიზნისთვის — ქრისტეს სარწმუნოების დამხობისა და კაცთა სულების წარწყმედისათვის.

ეშმაკურად მოქმედებენ ეკუმენისტები — ისინი ერთიანობაზე ლაპარაკობენ, ოღონდ არა ჭეშმარიტების მიერ ერთიანობაზე! ბიბლიურ ტექსტებს ეყრნდობიან, ოღონდ იქიდან არასწორი დასკვნები გამოაქვთ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჯანსაღ სულიერ გამოცდილებას. მაგრამ უფალმა იესო ქრისტემ თქვა, რომ მიწაზე მშვიდობა კი არა, მახვილი მოიტანა (მათ. 10, 34) — საოცარი მახვილი, რომელიც განყოფს ჭეშმარიტებასა და სიცრუეს (ებრ. 4, 12).

მართლმადიდებელი ქრისტიანი არ უნდა მონაწილეობდეს ეკუმენისტურ მოძრაობაში, რადგანაც იგი ქრისტეს მიერ დაფუძნებულ ერთიანობას კი არ ეძებს, არამედ მწვალებლურად არჩევს ტექსტებს საღმრთო წერილიდან, მოჰყავს რა ცალმხრივი მტკიცებანი თავისი მცდარი შეხედულებების სასარგებლოდ და გვერდს უვლის სხვა წმიდა ტექსტებს, რომლებიც ეკუმენიზმისთვის არასასურველ ჭეშმარიტებას ღაღადებენ!

მე-8 მიზეზი

ეკუმენიზმი ამზადებს მართლმადიდებლებს დოგმატური გადახვევებისათვის ეკუმენისტური ერთობის სახელით

ა) გაერთიანების ეკუმენისტური მიზნები

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ეკუმენიზმი მიზნად ისახავს განცალკევებული ქრისტიანული აღმსარებლობებისაგან რაღაც „ერთიანობის“ შექმნას. იგი ცდილობს დიალოგებისა და გასაუბრებების გზით გაერთიანებული ცრუმოძღვრებებისაგან შეთხზას რაღაც „ჭეშმარიტება“, რომელიც უნდა მიიღონ მისი ეგიდის ქვეშ გაერთიანებულმა სხვადასხვა სახის რელიგიურმა ჯგუფებმა, თანაც ისე, რომ თვითეული მათგანის „მრწამსიც“ ხელშეუხებელი დარჩეს. ცხადია, ასეთი მცდელობის შედეგად ჭეშმარიტება ვერ მიიღწევა, პირ-

იქით, ეს გამოიწვევს მისგან საბოლოო დაშორებას, რამეთუ ჭეშმარიტება ცთომილებათა ნაერთი არ არის!

გაერთიანების სირთულის მიუხედავად, ეკუმენიტებს იმედი აქვთ, რომ მიაღწევენ მას ეკუმენისტური სულისკვეთებით ორგანიზებული დიალოგების გზით. ემს-ს ცენტრალური კომიტეტი, რომელიც 1971 წელს შეიკრიბა ადის-აბებაში, ამტკიცებს, რომ „დიალოგი არის პროცესი, რომლის დროსაც ცალკეული პიროვნებები და საზოგადოებები შიშისა და უნდობლობისაგან თავისუფლდებიან და ერთმანეთისადმი ახალი ნდობით იმსჭვალებიან... დიალოგი გვპირდება ახალი ჰორიზონტების გაჩენას ჩვენი რელიგიის (!) ვაგების თვალსაზრისით, ახალ ურთიერთობებს ქრისტიანებსა და სხვა რელიგიების აღმსარებლობებს შორის, რაც ადრე არ არსებობდა“ [140]. მომავალი ერთიანობა ეკუმენისტებს მონოლითურად როდი აქვთ წარმოდგენილი. „პირიქით“, — წერენ ისინი, — „ჩვენ თავისუფალნი ვართ და ერთად უნდა ვეცადოთ სახარებისა და ეკლესიის ცხოველი მოძღვრების გამჟღავნებას იმ მრავალფეროვან თანამედროვე ყოფაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ“ [141]. ამრიგად, ერთიანობის საფუძველში „მრავალფეროვნება“ ანუ პლურალიზმია ჩადებული. საკითხავია, რაღა ერთიანობა გამოვა, თუ მასში ასეთი დოგმატური სიჭრელე იქნება?

მოგვყავს გაერთიანების ადგილობრივი ხასიათის პროექტები: აშშ-ში ათი ამერიკული ეკლესია ცდილობს გაერთიანდეს ერთ „ეკლესიად“ „ქრისტეს გაერთიანებული ეკლესიის“ სახელწოდებით, რომელშიც „სხვადასხვა დოგმატური პოზიციები ურთიერთგამომრიცხველად კი არა, ურთიერთშემავსებლად ჩაითვლება“. ამ ახალ „ეკლესიაში“ გამოყენებული უნდა იქნას ყველა საეკლესიო მოძღვრება (ანუ წმ. მოძღვრებიდან გადახვევა) ისტორიულად განპირობებული დოგმატური უთანხმოებების რელატივიზაციის საშუალებით“ [142], რაც დოგმატების აბსოლუტური ავტორიტეტისათვის ძირის გამოთხრას ნიშნავს!

ასეთივე ექსპერიმენტი ტარდება ინგლისშიც, ადგილობრივ სექტებში, რომლებიც, ანგლიკანური ეკლესიისა და მისი სამი განშტოების ჩათვლით, გაერთიანებას აპირებენ. ამ მიზნით შეიქმნა საეკლესიო ერთიანობის კომისია, რომელიც 1975 წლის დასაწყისისთვის შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „ერთიანობა უსათუოდ ერთფეროვნებას როდი ნიშნავს... ხილული ერთიანობა პირველ ყოვლისა ერთმანეთის იერარქიისა და სარწმუნოებრივ პრინციპების ცნობაში უნდა განხორ-

ციელდეს, რაც საშუალებას მოგვცემს გვქონდეს გამოხატვის სხვადასხვა ფორმები“ [143].

თანამედროვე კათოლიკე ღმრთისმეტყველი ალბერტ ბრანდენბურგი შემავალი „ეკუმენისტური ეკლესიის“ ერთიანობას ასე აღწერს: იგი იქნება ყოვლისმომცველი, და ამ აზრით კათოლიკური. პაპ იოანე XXIII-ს მერე დაიწყო კათოლიკობის ახალი გაგება, ამან კი „ახალი სავსება მიანიჭა ეკლესიას, რომელიც იფარებს ყველა განყოფილს. ლაპარაკია არა რომის კათოლიკურ ეკლესიაში დაბრუნებაზე, არამედ ისეთი ერთიანობის შექმნაზე, სადაც სრულიად სხვადასხვა ქრისტიანული დაჯგუფებები შედიან... ყველა ისინი სრულ ერთიანობად იკვრებიან, მაგრამ ინარჩუნებენ თავიანთ თვითმყოფადობას, ამასთან ყოველი მათგანი სხვა ეკლესიებს სამოციქულო ეკლესიებად ცნობს.. და ყველა ამ ეკლესიას აქვს ევქარისტიული კავშირი“ [144].

ამგვარადვე წარმოუდგენია მომავალი „ეკუმენისტური“ ეკლესია ფილიპ პოტერსაც, ემს-ს გენერალურ მდივანს. წინა ასამბლეების განცხადებებზე დაყრდნობით იგი ნაირობის V ასამბლეის წინ წერდა: „საყოველთაო ერთიანობის წიაღში ყოველი ეკლესია კათოლიკობისა და მსოფლიოობის სავსებას ფლობს და სწამებს ერთი და იგივე სამოციქულო სარწმუნოებისათვის (!). ერთი ნათლობითა და ერთი ევქარისტიით დაკავშირებულნი, ეს ეკლესიები ერმთანეთის იერარქიებს აღიარებენ“ [145].

ამ ნაწყვეტიდან აშკარად იგრძნობა დოგმატური გადახვევებისაკენ მისწრაფება ეკუმენისტური ერთიანობის სახელით. პოტერი „ეკლესიათა საყოველთაო ერთიანობაზე“ მსჯელობს, რომლის წიაღშიც „ყოველი ეკლესია კათოლიკობისა და საყოველთაობის სავსებას ფლობს და სწამებს ერთი და იგივე სამოციქულო სარწმუნოებისათვის“. მაგრამ როგორ უნდა გაერთიანდეს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო სარწმუნოება, რომელიც მოციქულთა უწყვეტი ხელდასხმითაა დამტკიცებული. სხვადასხვა ჯგუფის ლიბერალურ დაჯგუფებებთან, რომლებიც არ აღიარებენ წმ. სამების დოგმატს და უარყოფენ უფალ იესო ქრისტეს ღმრთაებრიობას, და ამავე დროს ემს-ს სრულუფლებიანი წევრები არიან მართლმადიებლებთან ერთად? ანდა როგორ შეუძლიათ ამგვარ ლიბერალურ გაერთიანებებს „საყოველთაობის“ პრეტენზია ჰქონდეთ, როდესაც ეს ცნება „მართლმადიდებლობის“ იდენტურია, მართლმადიდებლობა კი მთლიანი, სრული ჭეშმარიტების აღმსარებლობას ნიშნავს?

შემდგომში პოტერი მხოლოდ ორ საიდუმლოზე — ნათლისღებასა და ევქარისტიაზე მსჯელობს, რომლებიც თითქოს დასახელებულ „ეკლესიებს“ ერთმანეთთან აკავშირებენ. იგი, როგორც პროტესტანტი, სხვა საიდუმლოებებს ალბათ არ აღიარებს. მაგრამ განა მართლმადიდებელ ეკლესიას შეუძლია მწვალებლებთან კომპრომისული გაერთიანების ხათრით უარი თქვას ამ საიდუმლოებებზე? „ჩვენ გვწამს“, „წერდა XVI საუკუნეში კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია II, — „რომ ქრისტესმიერი ცხოვრება საიდუმლოებებზეა დამოკიდებული და მათგანვე მომდინარეობს“ [146]. მართლაც, რა ქრისტესმიერი ცხოვრება გვექნებოდა ღმრთივდადგინებულ საიდუმლოთა გარეშე? მირონცხების საიდუმლოს უარყოფა სული წმიდის მადლისმიერი ნიჭების უარყოფას ნიშნავს, რომლებიც სწორ სულიერ ცხოვრებას გვასწავლიან და ცხონების გზაზე მიგვიძღვიან. სინანულის (აღსარების) საიდუმლოს უარყოფა ნიშნავს, რომ უარვყოფთ ცოდვების მიტევებას მღვდელმსახურთა მეშვეობით, რომელთაც მინიჭებული აქვთ ხელმწიფება შეკვრისა და განხსნისა (მათ. 18, 18).

ევქარისტიას პოტერი „ეკლესიათა შემაკავშირებელ“ საიდუმლოდ მიიჩნევს. რა ევქარისტია შეიძლება არსებობდეს პროტესტანტებთან, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ უწყვეტი ხელდასხმა და ევქარისტია მიაჩნიათ არა განმწმენდელ მსხვერპლად, არამედ მხოლოდ გახსენებად? მაგრამ უფალმა უთხრა მორწმუნეებს: „ხოლო რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო, და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა. რამეთუ ხორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასმელი არს“ (იოან. 6, 54-55). მართლმადიდებელი ქრისტიანი ესწრაფვის განღმრთობას, უფლის ღმრთაებრივ ბუნებასთან ზიარებას (2 პეტ. 1, 4), ეს კი მხოლოდ იესო ქრისტესთან ზიარების გზით არის შესაძლებელი, რამეთუ იგი „პური ღმრთისაჲ არს, რომელი გარდმოხდა ზეცით და მოსცა ცხოვრებაჲ სოფელსა“ (იოან. 6, 33). პროტესტანტებს არა აქვთ ეს „პური ღმრთისა“ და მხოლოდ თავს იტყუებენ მისი გახსენებით. როგორღა უნდა ჰქონდეთ მართლმადიდებლებს მათთან ევქარისტიული კავშირი?

და ბოლოს, პოეტური ირერარქიების ურთიერთაღიარებას ახსენებს. მაგრამ ვოდი, ისიც ვიკითხოთ, როგორ უნდა აღიარონ მართლმადიდებელმა ეკლესიებმა პროტესტანტული „ერარქია“, რომელმაც ჯერ კიდევ ლუთერის დროს გაწყვიტა კავშირი სამოციქულო ხელდასხმასთან? ასეთი აღიარების შემთხვევაში ხომ თვითონ მართლმადიდებ-

ლები დაკარგავდნენ სამოციქულო ხელდასხმის ძვირფას ნიჭს, რომელიც მართლმადიდებლობის არსს განსაზღვრავს?

ის, რაც ემს-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა დაასახა მიზნად, ბოლო ხანს განხორციელდა კონკრეტულ დოკუმენტში, რომელიც 1982 წლის იანვარში, „სარწმუნოებისა და მოწყობის" კომისიის შეხვედრაზე შეიმუშავეს ლიმაში (პერუ). ეს დოკუმენტი, „ნათლისღება, ევქარისტია, მსახურება" ითვალისწინებს ყველა ეკლესიის შეთანხმების მიღწევას სამი საიდუმლოს — ნათლობის, ევქარისტიისა და მღვდლობის საფუძველზე (შემოკლებით — „ნემ"-ი), ამასთან ბოლო საიდუმლო, მღვდლობა, მოხერხებულად იცვლება უფრო ზოგადი ტერმინით — „მსახურება". როგორც ჩანს, ეს იმითაა გამოწვეული, რომ პროტესტანტებისათვის უწყვეტი სამოციქულო ხელდასხმა, რომელიც მათ არ გააჩნიათ, საჭოთირო საკითხია, თუმცა ამის მიუხედავად მაინც ამტკიცებენ, ლიმაში შემუშავებული დოკუმენტი მოციქულთა სარწმუნოებას ეყრდნობაო[147]. ამ დოკუმენტის II თავში პირდაპირაა ნათქვამი: „თუ ეკლესიები ერთობლივად აღიარებენ სამოციქულო სარწმუნოებას, ისინი ნათლისღების, ევქარისტიისა და მსახურების სრულ და მთლიან ურთიერთაღიარებას მიაღწევენ"[148]. ამრიგად, დოკუმენტი პოტერის ჩვენს მიერ გაკრიტიკებული სტატიის ძირითად დებულებებს ეყრდნობა, ამიტომ რა გასაკვირია, რომ VI ასამბლეაზე, ვანკუვერში, ემს-ს მონაწილე ეკლესიებს ამ დოკუმენტის მიღება შესთავაზეს.

ყველაზე სამწუხარო ის გახლავთ, რომ თუ რეფორმატული ეკლესიები ნემ-ს საკმაოდ თავშეკავებულად შეხვდნენ[149], მართლმადიდებელთა შორის მას საკმაოდ მაღალი იერარქიის წარმომადგენლები გამოუჩნდნენ ჰომხრედ. მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი 1983 წლის 3 მარტს, ჯერ კიდევ ასამბლეის დაწყებამდე, გამოვიდა განცხადებით, რომ აღნიშნულ დოკუმენტში „მართლმადიდებელი ეკლესია სიხარულით ხედავს თავისი მოძღვრების მრავალ დებულებას"[150]. საოცარია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის უპირველესი იერარქი დუმილით უვლის გვერდს უწყვეტი სამოციქულო ხელდასხმის უმნიშვნელოვანეს თემას, იმ ხელდასხმისა, რომლის მატარებელიც თვითონ არის! „უკეთუ მარილი განქარდეს, რაჲთამე დაიმარილოს?" (მათ. 5, 13).

კრეტელი ბერძენი, დოქტორი ალექსანდროს პაპადეროსი, რომელსაც არავითარი მართლმადიდებლური ორიენტაცია აღარ გააჩნია, ირონიულად უპირისპირებს პატრიარქ დიმიტრიოსის ამ სიტყვებს იმას, რაც იერემია II-მ ოთხი საუკუნის წინ უთხრა ლუთერანელ

ღმრთისმეტყველებს: „თქვენი გზით წადით და დოგმატებზე ნულარაფერს მოგვწერთო“ [151], და ამბობს: „ამისგან განსხვავებით, ლიმაში შემდგარმა დიდმა ეკუმენისტურმა შეკრებამ იპოვა გამოსავალი ახალ მიმართვაში ყველა ეკლესიისადმი. მასში ერთხელ კიდევ დგება საიდუმლოთა: ნათლისღების, ევქარისტიისა და მსახურების საკითხი... აქ აღარ არის პოზიციათა სხვაობა, რამეთუ ერთი, შეთანხმებული ნების (!) მიხედვით მიიღეს ერთი, კონვერგენტული ტექსტი. ამ დოკუმენტმა ჩვენი საერთო სიხარული გამოიწვია“ [152]. სიხარულს მიზეზად ავტორს ნემ (ნათლობა, ევქარისტია, მსახურება)-ის ძირითადი იდეა მიაჩნია, რომელსაც თურმე „ამჟამად ყველა აღიარებს, კერძოდ, რომ პრინციპული თანხმობა ნათლისღების, ევქარისტიისა და მსახურების საკითხში არის მთავარი წინაპირობა ეკლესიის ხილული ერთიანობისა. და ამ ხილული ერთიანობის გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი სწორედ „ნემ“-ია“ [153].

პაპადეროსი აღნიშნავს, რომ ეს გზა სწორი ხაზი კი არ არის, არამედ უკანდახევა წინსვლისათვის (იეზუიტური ხერხია!), და აშკარა სიამოვნებით დასძენს: „ამ დოკუმენტში უარია ნათქვამი და, იმედია, საბოლოოდაც, აზროვნების სქოლასტიკურ მეთოდზე — კითხვა-პასუხის წესზე... (ამ წესითაა შედგენილი მართლმადიდებლური კატეხიზმოების უმრავლესობა — ავტორების შენიშვნა), ამას გარდა, უკუგდებულია „ობიექტური, „მეცნიერული“ ღმრთისმეტყველება, თუმცა-ღა მეცნიერული შედეგები ძირითადად აღიარებულია“ [154]. ამ სამი ზედსართავით, ნემ-ის მიერ უარყოფილ ღმრთისმეტყველებას რომ ეხება, პაპადეროსი საკუთარ თავს აყენებს სასიკეთილო პრილობებს. რაკილა ნემ-ი წყვეტს კავშირს წმიდა მართლმადიდებლურ ღმრთისმეტყველებასთან, მაშასადამე, იგი არაწმიდა, ანუ მწვალებლურ ღმრთისმეტყველებას უკავშირდება, რაკი ნემ-ი თავს ანებებს ღმრთაებრივ ჭეშმარიტების ობიექტურ განმარტებას, მაშასადამე, ჭეშმარიტების სუბიექტურ განმარტებას ჰკიდებს ხელს, და ბოლოს, რაკი „ნემ“-ი ღმრთისმეტყველების სამეცნიერო-აკადემიურ ხასიათსაც არაფრად აგდებს, შესაბამისად, ამაოდ იწონებს თავს ფსევდომეცნიერული, რაციონალისტური ჩხრეკით!

და ბოლოს, იმისათვის, რომ თავის მსჯელობაში ღმრთისმოშიშების რაღაც ელემენტი მაინც შეიტანოს, პაპადეროსი აცხადებს: „არსებითი ის კი არ არის, რას ეუბნებიან ეკლესიებს ღმრთისმეტყველები, არამედ ის, რასაც მათ სული ეუბნება“ [155]. ეს სიტყვები არის მკრეხელური პაროდია იოანე ღმრთისმეტყველის „გამოცხადებაში“ ხშირად გა-

მეორებულ გამოთქმაზე: „რომელსა ჰქონიან ყურნი, ისმინენ“ (გამოცხ. 2, 7). ამ სიტყვებით სული წმიდა გამოხატავს ღმრთაებრივ ნებას და განჩინებას ადგილობრივ ეკლესიების მიმართ, რომლებიც ქრისტეს ძველ ეკლესიას შეადგენენ.

პაპადეროპი, უარყოფს რა მართლმადიდებლური ჭეშმარიტების კრიტერიუმებს, აცხადებდა თითქოსდა ღმერთის სახელით იქადაგოს ეკუმენისტური ცთომილებანი და ისინი „სულის“ სახელით შენიღბოს. მაგრამ წმ. იოანე ღმრთისმეტყველი გვასწავლის: „საყუარელნო! ნუ ყოვლისა სულისა გრწამენ, არამედ გამოიცადენით სულნი, უკეთუ ღმრთისაგან იყუნენ... ამის გამო ვსცნათ სული ჭეშმარიტებისა და სული მაცთურებისა“ (1 იოან. 4, 1—6).

ეს „სული მაცთურებისა“ შთააგონებდა და განსაზღვრავდა ზემოთ გადმოცემულ გეგმებს მართლმადიებლებისა და მწვალებლების გაერთიანების შესახებ. იგივე სული შთააგონებს „ნემ“-ის ეკუმენისტური დოკუმენტის შემადგენლებს.

ბ) „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტების უბადრუკი მდგომარეობა ემს-ში

დაე ნუ ეგონებათ „მართლმადიდებელ“ ეკუმენისტებს, რომ, როდესაც გაერთიანების ჟამი დაჰკრავს, „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო“ განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მართლმადიდებელ ეკლესიას და გაითვალისწინებს მის დოგმატებსა და კანონებს. პირიქით, მოხდება ყველაფრის რელატივიზაცია და საყოველთაო „გაერთიანებისთვის“ (ანუ განდგომილებისთვის) მსხვერპლად შეწირვა ამას ისიც მოწმობს, თუ რა აგდებულად ეკიდება დასავლეთის ეკუმენისტების უმრავლესობა მართლმადიდებელთა პრეტენზიებს, რომ იგია ჭეშმარიტების ერთადერთი მატარებელი — ამ პრეტენზიებს არავინ სცნობს. ეკუმენისტური ჟურნალები ყველა ეკლესიას, მათ შორის მართლმადიდებელსაც, მხოლოდ ისტორიულ მოვლენებად მიიჩნევენ. მართლმადიდებელი ეკლესია, ისევე, როგორც სხვა ეკლესიები, შედარებით ჭეშმარიტებად ცხადდება. დოქტორი ლუკას ფიშერი, „სარწმუნოებისა და მოწყობის“ კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ყველა ეკლესიას სთავაზობს, მომავალი გაერთიანებისათვის შზად იყვნენ მუდმივი „სიკვდილისა და აღდგომისთვის“... [156]

დასავლეთის ეკუმენიტები ემს-ს მართლმადიდებელ მონაწილეებში მათ პრეტენზიაში, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ მართლმადიდებლობაშია, ერთობ უცნაურ „თანამოძმეებს“ ხედავენ, რომლებიც

„უცხოთა რასმე ასმენენ სასმენლთა მათთა“ (საქმე, 17, 20). ჯერ კიდევ 1937 წელს, ედინბურგში, ქრისტიანული „ეკლესიების“ შეხვედრაზე, გამოსჭვიოდა დასავლეთის წარმომადგენელთა ამგვარი დამოკიდებულება აღმოსავლელთა მიმართ, რის გამოც საზღვარგარეთ მცხოვრები „რუსი“ ეკუმენისტი ლევ ზანდერი წერდა: „ამჟამად ეკუმენისტური მოძრაობა ჯერ კიდევ პან-პროტესტანტულ მოძრაობას წარმოადგენს მართლმადიდებელთა მონაწილეობით, რომლებიც დანარჩენების თვალში ერთობ უცხოდ და ეგზოტიკურად გამოიყურებიან“ [157].

მაგრამ იქნებ ეს მხოლოდ 30-იან წლებს ახასიათებდა? იქნებ მას შემდეგ მართლმადიდებლთა გავლენა ემს-ში გაძლიერდა? არა და არა! ეკუმენიზმის პროტესტანტული სულისკვეთება ამჟამადაც წარმმართველია ემს-სათვის. ამას ისეთი თავგამოდებული ეკუმენისტიც კი აღიარებს, როგორიცაა ლენინგრადის მიტროპოლიტი ნიკოდიმოსი: „მართლმადიდებლური შეგნებისათვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ ემს-სთან თანამშრომლობა და მით უფრო მასში მონაწილეობა უცილობლად ნიშნავს პროტესტანტიზმის სტიქიაში ჩაძირვას“.

ემს-ში მართლმადიდებლები პროტესტანტების მხრიდან სრულ გაუცხოებას აწყდებიან, ამას ედმუნდ შლინკიც აღნიშნავს: „უდავოა, რომ არამართლმადიდებელი ქრისტიანები საერთოდ ნაკლებად ცდილობენ მართლმადიდებელი ეკლესიის გაგებას“ [158]. მეტიც, იმასაც კი საყვედურობენ, რომ იგი „განახლების აუცილებლობას“ ეწინააღმდეგება [159].

რაკიდა ემს ასეა განწყობილი მართლმადიდებელი ეკლესიისადმი, ამაოა „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტების იმედი, რომ შეუძლიათ რაიმე სასიკეთო გავლენის მოხდენა ამ ორგანიზაციაზე. მათ მხოლოდ მოწყალე ღიმილის ღირსად ხდიან და თავის მხრივ ცდილობენ პროტესტანტულ სულისკვეთებას აზიარონ, რაც გამოსდით კიდეც.

პროტესტანტებს არ სჭირდებათ ჩვენი მართლმადიდებლობა. თვით მართლმადიდებლობის ცნებამ მათთვის დაკარგა ის ღრმა დოგმატური მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ვდებთ მასში. ისინი მართლმადიდებლობას ჭეშმარიტებად არ აღიარებენ, რამეთუ, მათი აზრით, მრავალი „მართლმადიდებლობა“ არსებობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროტესტანტები უყოყმანოდ უწოდებენ მონოფიზიტურ ეკლესიებს „აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს“, ამ დროს ეშმაკურად იყენებენ გარეგნულ განსხვავებას „აღმოსავლურსა“ და „ორიენტალისტურს“ შორის, რაც არსებითად ერთი და იგივეა, და ამით სურთ ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა მწვალებლობას გაუთანაბრონ! ფი-

ლეპ პოტერი არაორაზროვნად წერდა: „ბოლო ათწლეულებში გაწეული ძალისხმევა მიზნად ისახავდა სხვადასხვა „ორთოდოქსიის“ (მართლმადიდებლობის) უფრო ღრმად ჩართვას ეკუმენისტურ მოძრაობაში მათი ურთიერთგამდიდრებისა და გამოსწორებისათვის (!)... ვესწრაფვით რა, რომ მსოფლიოს საერთო აღსარებლობა წარვუდგინოთ. ჩვენ ვპოულობთ სარწმუნოების ახალ, საერთო მხრეებს, რომლებიც უფრო სრულყოფილი მართლმადიდებლობის, ანუ ჩვენი აღმსარებლობის ჩამოყალიბების საშუალებას გვაძლევენ“ [160]. აქედანაც ცხადია, რომ ეკუმენისტებისათვის „მართლმადიდებლობა“ საერთოდ არ არსებობს, იგი თურმე მხოლოდ ახლა ყალიბდება!

დოქტორი ლუკას ფიშერი აღიარებს: „პროტესტანტები არათუ ურიგდებიან მართლმადიდებელთა პრეტენზიას მათი ეკლესიის ერთადერთ ჭეშმარიტ ეკლესიად აღიარების თაობაზე, არამედ აშკარად აღიზიანებთ კიდეც ამის მოსმენა. აღიზიანებთ იმიტომ, რომ თავიანთი პროტესტანტული გაერთიანებები უფრო ჭეშმარიტად მიიჩნიათ, ვიდრე მართლმადიდებელი ეკლესია. თავის მხრივ მართლმადიდებლებსაც სწყინთ და საპასუხო რეაქციას ახდენენ ამ გაღიზიანებაზე“ [161], მაგრამ თანდათან აღმსარებლობის ნიველირება ხდება. ამ „ნიველირების“ პროცესში ჩვენთვის ძვირფასი მართლმადიდებელი ეკლესია, ეშმ-ს წევრი „ეკლესიების“ გარემოცვაში მოხვედრილი, თანდათან დაკარგავს თავის სახეს, ყველა ეს „ეკლესია“ კი თანაბარუფლებიანად იქნება აღიარებული, რამეთუ თანდათან გაძლიერდება ეკუმენისტური გრძნობა „ერთმანეთის პატივისცემისა და ყველა ადამიანის, როგორც ქრისტეს მოწაფის მიღებისა“ [162]. ამრიგად, დადგება ერა საყოველთაო-მწვალებლური ზეეკლესიისა („უნა სანქტა“), რომელზეც ოცნებობენ დასავლეთის ეკუმენისტები.

ამ „ზეეკლესიაზე“, სამწუხაროდ, უკვე გავლენიანი „მართლმადიბელი“ ეკუმენისტებიც ლაპარაკობენ. მაგალითად, ახლანდელმა შვეიცარიელმა მიტროპოლიტმა, დამასკინუსმა (კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენელმა) 1975 წლის იანვარში, სიცილიაში, ქრისტიანული ერთიანობის კვირეულთან დაკავშირებით განაცხადა: „დადგა დრო, ვაღიაროთ არსებობა „ეკლესიისა ეკლესიის გარეშე“ მთელი მისი სავსებით, რომლის ერთიანობა სარწმუნოების არსში მდგომარეობს, ოღონდ ისე, რომ არ მოხდეს ჩვენი საკუთარი ეკლესიოლოგიური მიდგომის ლიკვიდაცია ანდა რელატივიზაცია“ [163]. ამ საშინელი ფრაზის ბოლო სიტყვებმა, ეტყობა, უნდა დაამშვიდონ მართლმადიდებელი ქრისტიანები, თითქოსდა ეკლესიის მათებური გაგება ხელუხლე-

ბელი დარჩება. მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ ერთგვარი ფანდია — სხვა ადგილას იგივე დამასკინუსი კათოლიკეებთან დიალოგის თაობაზე ამბობს: „ჩვენი ორმხრივი და მრავალმხრივი დიალოგების დროს არ უნდა მოველოდეთ, რომ მეორე მხარე ის აღარ იქნება, რაც აქამდე იყო. იგი უნდა ვცნოთ, როგორც მოცემულობა“ [164]. მაშასადამე, მართლმადიდებლურ ეკლესიოლოგიურ მოძღვრებასთან ერთად მიტრ. დამასკინუსი მის თანასწორუფლებიანად აცხადებს ნებისმიერ სხვა, თუნდაც ყველაზე მწვალებლურ გაგებას ეკლესიისა, ისეთს, როგორიცაა „ეკლესია ეკლესიის გარეშე“.

მაგრამ რაკიღა ეს ახალი, ჩვენთვის ისტორიულად უცნობი „ეკლესია“ არ არის მართლმადიდებელი ეკლესია, არამედ მის ფარგლებს მიღმა იმყოფება, იგი სხვა არაფერია, თუ არა იოანე ღმრთისმეტყველის „გამოცხადებაში“ ნახსენები „შესაკრებელი ეშმაკისა“, (2, 9; 3, 9). სწორედ იგია „კრებული უკეთურთა“ (ფსალმ. 25, 5), რომლითაც ეშმაკი ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის შეცვლას ცდილობს! მის შესახებ ფსალმუნთა განმარტებაში ვკითხულობთ: „საძაგელია ღმრთის წინაშე უსჯულო მწვალებელთა კრებული და სტაცებს მათ თავის მადლისიერ მშვიდობას, რამეთუ სინანული არა აქვთ“ [165]. ღმერთმა დაგვიფაროს „უკეთურთა კრებულში“ მონაწილეობისა და ბნელი ეკუმენისტური ძალებისგანაც, ამ კრებულს რომ ამზადებენ!

ზემოხსენებული ანგლიკანელი, პროტესტანტი და კათოლიკე ღმრთისმეტყველები, რომლებმაც ობიექტურად აღიარეს, რომ მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას არ უღალატნია ჭეშმარიტებისათვის და მისი ერთგული დარჩა, მხოლოდ თავიანთ კერძო აზრს გამოხატავენ. ისინი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ ეკუმენისტურ წრეებში გაბატონებულ განწყობაზე, რომელიც თავისი არსით ანტიმართლმადიდებლურია. ვერც ემს-ში ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელთა რიცხვის ზრდა მიიყვანს ჭეშმარიტებამდე არამართლმადიდებლებს, თუკი ამ უკანასკნელთ ამის სურვილი არ ექნებათ. „მსოფლიო საეკლესიო საბჭოში“ მართლმადიდებელთა რიცხვის გაზრდა მხოლოდ უფრო მეტი სულის წარწყმედას მოემსახურება. ჩვენ ანტიქრისტეს ეპოქაში ვცხოვრობთ, როდესაც სატანა უკვე განხსნილია და აცთუნებს „ყოველსა სოფელსა“ (გამოცხ. 12, 9). „საიდუმლო იგი აწვე იქნების უსჯულოებისა“ (2 თეს. 2, 7). აშკარავდება იმათი განდგომილება, რომელთაც „სიყუარული იგი ჭეშმარიტებისა არა შეიწყნარეს“, არამედ სიცრუე შეიყვარეს (2 თეს. 2, 10—12).

უსაფუძვლოა იმის ვარაუდი, რომ ოდესმე ყველა მწვალებლური

დაჯგუფება ერთ, ჭეშმარიტ, უძველესი დროიდან აქამომდე უცვლელ ქრისტიანულ ეკლესიას შეუერთდება. პროტესტანტები, რომლებისთვისაც მართლმადიდებლობა უცხო და ეგზოტიკური მოვლენაა, მეფობენ ემს-ში, მართავენ და ხელმძღვანელობენ მას, მართლმადიდებელმა მონაწილეებმა კი ეკუმენისტური თანამშრომლობის პირობებში ფეხი უნდა აუწყონ პროტესტანტებს. ამისთვის დღეს ის კანონები უნდა დათმონ, მწვალებლებთან ერთად ლოცვასა და მათთან ურთიერთობას რომ კრძალავენ, ხვალ კი, როდესაც ახალი, ეკუმენისტური სულისკვეთებით აღზრდილი თაობა მოვა, მართლმადიდებლურ დოგმატებზე უარის თქმაც მოუხდებათ!

ბ) პირველი გადახვევა დოგმატებიდან

ბოლო ხანებში „მართლმედიდებელი“ ეკუმენისტები სულ უფრო ენერგიულად მოითხოვენ დოგმატებიდან გადახვევას, როგორც განყოფის დაძლევის აუცილებელ პირობას. მოსკოვის 1948 წლის თათბირზე პროფესორი, დეკანოზი ი. კომანი ამბობდა: „ეკუმენისტურ შეხვედრებზე ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქრისტიანობაში არსებობს ძირითადი რეალობა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია გაერთიანდეთ, და არსებობს მეორეხარისხოვანი რეალობები, რომლებიც გვთიშავენ ერთმანეთისგან. ეს ძირითადი რეალობაა ცხოვრება, ქრისტეს ერთგულება და ძმური ურთიერთდახმარება. მეორეხარისხოვანი რეალობებია დოგმატები, ღმრთისმსახურება და საეკლესიო ორგანიზაციები“ [166].

მაშასადამე, ეკუმენიზმი დოგმატებს მეორეხარისხოვნად მიიჩნევს. ეს სული ხრწნილებისა შეუმჩნევლად აღწევს ეკუმენისტური მოძრაობის მონაწილეთა შეგნებაში და უკვე იწყებს ნაყოფის გამოღებას. ჩვენ პირადად ვიცნობთ „მართლმადიდებელ“ ეკუმენისტებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კარგი იქნებოდა მართლმადიდებლობას ეკუმენისტური გაერთიანების სახელით მიეღო დასავლური ცრუმოძღვრება „ფილიოკვეს“ შესახებ. მათ შორის იყო ლენინგრადელი მიტროპოლიტი ნიკოდიმოსი. ყველაზე ცნობილი ეკუმენისტი უმაღლეს იერარქთა შორის, კონსტანტინეპოლის პატრიარქი ათინაგორა აშკარად აცხადებდა, რომ დასავლეთის ქრისტიანებთან გაერთიანებისათვის მზად არის „დაანებოს მათ თავიანთი „ფილიოკვე“. ასეთი მოღალატური განცხადება მით უფრო სავალალო და აბსურდულია, რომ ბოლო ხანს ბევრი კათოლიკე ღმრთისმეტყველიც კი უარს ამბობს „ფილიოკვეზე“.

მაგ. იეზუიტი პოლ ანრი წერს: „დრო ხელს უწყობს „ფილიოკვეს“ გაქრობას მრწამსიდან... „ფილიოკვე“ მე ნახევრად ჰეშმარიტებად, ანუ ნახევრად წვალებად მიმაჩნია“ [167].

სინამდვილეში „ფილიოკვე“ ნახევრად წვალება კი არა, აშკარა წვალებაა, რომელიც პრინციპულად ამახინჯებს წმიდა სამების დოგმატს მასში გაორებული და დამანგრეველი ელემენტის შეტანით. „ფილიოკვეს“ შესახებ სწავლება რომ მწვალებლურია, ამაში ადვილად დავრმწუნდები მოკლე ისტორიული მიმოხილვის საფუძველზე.

მთელი ძველი ეკლესია, აღმოსავლურიც და დასავლურიც, წმ. წერილის საფუძველზე (იოან. 15, 26) ყოველთვის ასწავლიდა, რომ სული წმიდა გამოდის მხოლოდ მამისაგან, რომელიც არის ერთადერთი საწყისი წმ. სამების წიაღში. აზრი, რომ თითქოს სული წმიდა გამოდის „და ძისაგან“, ძეს მეორე საწყისად ხდის მამასთან ერთად და ამით განყოფა შეაქვს წმ. სამებაში. მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება ნიკეა-კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმბოლოშია გადმოცემული: „მრწამს... და სული წმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს“. ამ სიმბოლოს უცვალებლობა რამდენიმე მსოფლიო კრების კანონებითაა დამტკიცებული (II, 1; III, 78; IV, 1).

ამის მიუხედავად, დასავლეთის ეკლესიამ სარწმუნოების უცვლელ სიმბოლოში შეიტანა სწავლება, რომ სული წმიდა გამოდის „და ძისაგან“. ეს აზრი V ს-ში გაჩნდა დასავლეთში, როგორც კერძო მოსაზრება. ფრანკისტული იმპერიის დაწოლით ეს მცდარი სწავლება ჯერ ესპანეთში მიიღეს, შემდეგ კი მთელ დასავლეთშიც. რომის ეკლესია მართლმადიდებელი პაპების (მაგ. ლეონ III-ის) დროს დიდხანს იცავდა ძველ დოგმატს და მხოლოდ XI საუკუნის დასაწყისში (1014 წ.) აღიარა ოფიციალურად „ფილიოკვე“. შემდეგ ეს ცრუმოძღვრება ტრადიციით პროტესტანტებსაც გადაეცათ. მისი დოგმატური სიმცდარე, რომელიც ორსაწყისიანობას ქმნის ,ყოვლადწმიდა სამებაში, მშვენივრად განმარტა წმ. ფოტიოსმა, კონსტატინეპოლის პატრიარქმა (IX ს.), ასე. რომ, მოძღვრება „ფილიოკვეს“ შესახებ ყოველთვის წვალებად ითვლებოდა.

და მაინც, ჩვენს დროში მაღალ მართლმადიდებლურ ინსტანციებში აყენებენ იდეას, რომ დავთმოთ ეს მნიშვნელოვანი დოგმატური საკითხი ეკლესიათა დაახლოების გასაადვილებლად. მათ, ვინც ქარაფშუტულად უჭერს მხარს ასეთ დოგმატურ გადახვევებს, როგორც ჩანს,

სრულიადაც არ აღელვებთ, რომ ამით ეწინააღმდეგებიან წმ. მამებს, რომლებიც სიცხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოდნენ ამ ცრუმოძღვრებას, მსოფლიო კრებებს, რომლებიც იცავდნენ სარწმუნოების სიწმიდეს, და განსაკუთრებით — თვით იესო ქრისტეს, რომელმაც გვამცნო, რომ სული წმიდა მამისაგან გამოდის (იოან. 15. 26).

კონსტანტინეპოლის პატრიარქი ათინაგორა, რომელმაც პირველმა წამოაყენა წინადადება „ფილიოკვეს" საკითხში დათმობის თაობაზე, მთელი მართლმადიდებლობის სახელით ვერ ილაპარაკებდა, რამეთუ იგი არ განასახიერებდა ქრისტეს მსოფლიო ეკლესიას. 20-იანი წლებიდან მოყოლებული, კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ მართლმადიდებლობაში ხარწილების სულის შეტანა დაიწყო, ამიტომ. ფორმალური პირველობის მიუხედავად, მას ვერ ექნება პრეტენზია მართლმადიდებლობის წინამძღვრის როლზე. სწორედ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან გამოვიდა 1920 წლის ავბედითი ეპისტოლე „ყველა ქრისტიანულ ეკლესიას, რომლებიც სუფევენ მთელ მსოფლიოში", სადაც შესაძლებლად ცხადდება სხვადასხვა „ქრისტიანული ეკლესიის" ურთიერთობა მათ შორის დოგმატური სხვაობების ფონზე! გამოვიდა აგრეთვე დამღუპველი კალენდარული რეფორმა, რომელიც 1923 წ. „საყოველთაო მართლმადიდებლურ კონგრესზე" გამოცხადდა. და ბოლოს, პატრიარქმა ათინაგორამ თვითნებურად ახსნა რომის ეკლესიას ანათემა, რომელიც მას ჯერ კიდევ 1054 წელს დაადეს, რითაც იერუსალიმის ნეტარხსენებული პატრიარქის, ბენედიქტეს თქმით (გარდ. 1980 წ.), საშინელი დარტყმა მიაყენა მართლმადიდებლობას.

ეკუმენიზმი ერთობ ეშმაკურად მოქმედებს. იგი ფრთხილად აჭზადებს ჭეშმარიტების აღმოფხვრას და წინასწარ გვაწვდის იდეების დაყოფას „არსებითად" და „არაარსებითად". „არაარსებითი" ვითომ შეიძლება დავთმოთ „არსებითის" შესანარჩუნებლად. ასე მიაჩნია. მაგალითად, ლენინგრადის სასულიერო აკადემიის პროფესორს, დეკანოზ ლევერი ვორონოვს, რომელიც ქალკედონის კრებამდელი აღმსარებლობის მიმდევრებს (ეს აღმსარებლობა IV მსოფლიო კრებამ დაგმო, როგორც მწვალებლობა) „არსებითად მართლმადიდებლებს" უწოდებს! მსჯელობს რა სარწმუნოების ვითომდა „მეორეხარისხოვან" საკითხებზე, იგი გვთავაზობს ამ „არსებითად მართლმადიდებლებთან" გასაცნობად გავმიჯნოთ „საყოველთაოდ აუცილებელი" დოგმატები სარწმუნოების სხვა საკითხებისაგან, რომლებიც საეკვოთა რიცხვს მიეკუთვნებიან[168]. დოგმატურ დებულებათ დაყოფა „საყოველთაოდ აუცილე-

ბელ დოგმატებად“ და „სარწმუნოების მეორეხარისხოვანი საკითხებად“, რომლებსაც ვორონოვი სული წმიდის მამისაგან გამოსვლის საკითხსაც მიაკუთვნებს [169], აშკარას ხდის ამ „მართლმადიდებელი“ ღმრთისმეტყველის მსოფლმხედველობაზე არამართლმადიდებლური ტენდენციების გავლენას.

ხსენებულმა ღმრთისმეტყველმა დიდად შესცოდა მართლმადიდებლური დოგმატიკის წინაშე, როდესაც სარწმუნოებრივი მოძღვრების ზოგიერთი ჭეშმარიტება „საეჭვოთა“ რიგს მიაკუთვნა, თუმცა ისინი, რაღა თქმა უნდა ღმრთივგამოცხადებულ ჭეშმარიტებათა რიცხვში შედიან: მათი საეჭვოდ გახდომა ნიშნავს, რომ სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებათა შორის ადგილი არ მოეპოვებათ. მაგრამ სარწმუნოებრივი მოძღვრების „საეჭვო“ ჭეშმარიტებებზე ლაპარაკი კი ნიშნავს სარწმუნოების სფეროში ეჭვის დამღუპველი ბაცილის გავრცელებას, რაც მართლმადიდებლური დოგმატიკის პროფესორს ყველაზე ნაკლებად შეეფერება.

წმ. ბიკენტი ლირინელი თავის „შეხსენებაში“ წერს: „თუ ერთხელ მიეცი გასაქანი უსჯულო სიცრუეს... თქმისაც კი მეშინია, რა საშინელი საფრთხე მოჰყვება სარწმუნოების დაქცევასა და დანგრევას. თუ საყოველთაო ჭეშმარიტების რომელიმე ნაწილს უგულებელვყოფთ, ამას თანდათან მოჰყვება სხვა ნაწილების უკუგდებაც. და ნაწილების ასეთი უკუგდების შემდეგ რაღა შეგვრჩება ხელში, თუ არა მთელის სრული უარყოფა?“ [170].

ის, რისიც ასე ეშინოდათ წმ. ბიკენტი ლირინელს, ჩვენს დროში სრულდება, თანაც საზარელ მასშტაბებს იღებს, რამეთუ ეკუმენიზმის განმხრწნელი გავლენა მართლმადიდებლობაზე მხოლოდ ცალკეულ ღმრთისმეტყველებს კი არ შეეხო, არამედ ადგილობრივი ეკლესიების უმაღლეს ხელისუფლებს, რომლებიც ემს-ს წევრობით არიან შეკრულნი. ნუ დაგვავიწყდება, რომ ემს-ს III ასამბლეის დადგენილებები (სწორედ ამ ასამბლეის დროს გახდნენ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები ემს-ს წევრები) ითვალისწინებენ ყველა ქრისტიანული. აღმსარებლობის გაერთიანებას მრავალი საეკლესიო დებულების დათმობის გზით. ამ ასამბლეის III დადგენილებაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ერთიანობის მიღწევა „საეკლესიო ცხოვრების მრავალი ჩვენთვის ნაცნობი ფორმის სიკვდილსა და აღორძინებასთანაა დაკავშირებული“. იგივე სულისკვეთებით არის გამსჭვალული დოქტორ ლუკას ფიშერის ზემოთ მოყვანილი მოთხოვნა ეკლესიების მიმართ,

რომ ისინი მუდამ მზად უნდა იყვნენ „სიკვდილისა და აღდგომისათვის“. ჩვენთვის ცხადია, რომ საეკლესიო ცხოვრების ფორმების კვდომა, ესოდენ საწადელი ეკუმენისტებისათვის, კანონებისა და დოგმატების დამხობის ავისმომასწავებელი შიკრიკია.

დ) „მტკიცედ დეგით და შეიკრძალეთ მოძღვრებაჲ ესე“ (2 თეს. 2, 15))

1968 წლის ზაფხულში ხსენებულმა დოქტორმა ფიშერმა ეკუმენისტურ ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში ხაზი გაუსვა, რომ „საეკლესიო ერთიანობის გზაზე ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა ეკლესიების მტკიცე მიჯაჭვულობა თავიანთ წარსულთან, ისტორიულ ტრადიციებთან“. ესაა დელიკატური, მაგრამ აშკარა მითითება, რომ ეკუმენისტური ერთიანობისათვის მართლმადიდებელმა ეკლესიამაც უნდა გაწყვიტოს კავშირი წმ. მოძღვრებასთან, ანუ კანონებსა და დოგმატებთან, და მაშასადამე, ალმავალი იერარქიის მიხედვით, წმ. მამებთან, წმ. მოციქულებთან, თვით უფალ იესო ქრისტესთან, რაც მართლმადიდებლობის თვითგანადგურებას ნიშნავს.

წმ. პავლე მოციქული მკაცრად გვიბრძანებს: „მტკიცედ დეგით და შეიკრძალეთ მოძღვრებაჲ ესე, რომელიცა გისწავიეს გინა სიტყვითა, გინა წიგნითა ჩუენითა“ (2 თეს. 2, 15). „სიტყვა“ ზეპირ გადმოცემას ნიშნავს, „წიგნი“ კი — წმ. წერილში ჩაწერილ მოძღვრებას. ნიშანდობლივია სიტყვები „მტკიცედ დეგით!“, რაც ნიშნავს: ნურც მარჯვნივ გადაუხვევეთ, ნურც მარცხნივ, მტკიცედ და ურყევად დაიმარხეთ გადმოცემები! გეპყრათ მოძღვრება ისე, რომ ნურავითარ ცვლილებას ნუ შეიტანთ მასში, როგორც ამას ჯერ კიდევ ძველი ალთქმა გვიბრძანებს: „ნუ სცვალებ საზღვართა საუკუნეთა, რომელი დადვეს მამათა შენთა“ (იგ. 22, 28).

იგივე აზრს გამოთქვამს წმ. პავლე მოციქული სხვაგანაც. მაგ. „ჰოჲ ტიმოთე! გვედრი იგი დაიმარხე“ (1 ტიმ. 6, 20). წმ. ბიკენტი ლირინელი ასე განმარტავს ამ სიტყვებს: „მოძღვრება დაიმარხე! მაინც რა არის მოძღვრება? ის, რაც ჩაგაბარეს და არა ის, რაც შენ გამოიგონე, ის, რაც მიიღე და არა ის რაც მოიფიქრე... ის, რისი მცველიც უნდა იყო და არა გამომგონებელი; მიმდევარი, და არა ფუძემდებელი“ [171].

დღეს ეკუმენისტები ეკლესიისაგან მოითხოვენ უარყონ წმ. მოციქულებისაგან და წმ. მამებისაგან გადმოცემული დოგმატები და კანონები, რომლებიც მის წმ. ტრადიციას, მის საუკუნეობრივ საფუძვლებს შეადგენენ. ემს-ს ყოფილი გენერალური მდივანი, დოქტორი ვისერ-

ჰუფტი თავის ქადაგებაში თემაზე: „აჰა, მე ვჰყოფ ახალთა“ სრულიად დაუფარავად აცხადებს, რომ მომავალ ეკუმენისტურ „ეკლესიაში“ არავის ექნება „ცალკე საზღვრები თავისი აღმსარებლობისთვის“, რომ მასში შესვლა გაძნელებულია „ოფიციალური კრიტერიუმების (დოგმატებისა და კანონების) გამო, და რომ ეკლესიები, რომლებიც არ დათანხმდებიან განახლებას, ვერ შეძლებენ ემსახურონ ეკუმენიზმის საქმეს“ [172].

მაგრამ თუ ეკუმენიზმის ძველი ბელადები საკმაოდ ფრთხილობდნენ თავიანთ გამონათქვამებში, მათი ახალგაზრდა მემკვიდრენი უფრო გაბედულად მოუწოდებენ ეკლესიის წმიდა საფუძვლების შერყევისაკენ. სტეფან როუზი ჟურნალ „რისკის“ შესავალ წერილში (ეს ჟურნალი თავად მანვე დააარსა 1987 წელს) წერს: „ჩვენ გვჭირდება რამდენიმე გაბედული ცოდვილი, რომლებიც ხელებს დაიკაპიწებენ... რათა ადგილიდან დაძრან საეკლესიო სტრუქტურები (ანუ დოგმატები და კანონები) და მსოფლიო შეგნება ჩამოაყალიბონ!“ [173]

„გაბედული ცოდვილი“ გამოჩნდა კიდეც ემს-ს ყოფილი გენერალური მდივნის, დოქტორ პოტერის სახით, რომელმაც 1973 წლის აგვისტოში, ემს-ს 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაუფარავად განაცხადა, რომ ეკუმენისტური ერთიანობისათვის მზად უნდა ვიყოთ „მოძველებული ისტორიული დადგენილებებისა და სტრუქტურების კვდომისათვის, რომლებიც ხელს უშლიან (თითქოს!) ღმრთის განგების აღსრულებას მისი ერის მიმართ...“ „ამ პროცესში“, — განაგრძობს პოტერი, „ჩვენ აუცილებლად თანხმობას როდი უნდა ვეძიებდეთ. მთავარია არა ერთსულოვნება, არამედ ურთიერთობა და თანამშრომლობა, რომელსაც ხანდახან თან ახლავს ურთიერთკორექტირება და ერთობლივი ზიარება“ [174].

ამრიგად, პროტესტანტულ ეკუმენიზმს ღმრთის განგების რეალიზაციის პრეტენზია აქვს. მაგრამ ამ რეალიზაციას ახდენს ანტიქრისტეს მეთოდებით, მოგვიწოდებს საეკლესიო დადგენილებებისა და სტრუქტურების შეცვლისაკენ, უარყოფს ერთსულოვნებას სარწმუნოებაში და ყველა თავის წევრს ერთობლივ ზიარებას ურჩევს! ყოველივე ეს სრულიად მიუღებელია მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის, რომლებმაც მშვენივრად უწყიან, რომ მართლმადიდებელ სარწმუნოებაში ერთსულოვნება აუცილებელი წინაპირობაა ეკლესიის მადლისმიერ ცხოვრებაში მონაწილეობისა, კერძოდ კი წმიდა ზიარებისა. წმ. ლუკა მოციქული გვიმოწმებს, რომ „იყუნეს ყოველნი ერთბამად ურთიერთას (საქმე, 2, 1), და რომ მორწმუნენი „იყუნეს განკრძალულ

მოძღვრებასა მას მოციქულთასა, და ზიარებასა და განტეხასა პურისასა და ლოცვაჲსა (საქმე, 2, 42). როგორც ვხედავთ, პირველად მოციქულთა სწავლებას აღმსარებლობაა ხაზგასმული, მერე კი, როგორც შედეგი — ზიარებასა და ლოცვებში მონაწილეობა. წმ. წერილია და წმ. გადმოცემის საფუძველზე მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იცავდა ამ მაღლისძიერ რიგს — ჯერ მოძღვრებანი, ანუ დოგმატებსა და კანონებში ერთსულოვნებას მოითხოვდა და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდა მორწმუნეებს ერთი ბარძიმიდან ზიარების უფლებას.

ეკუმენიზმი პირიქით, პირველ ადგილას „ზიარებას“ აყენებს, დოგმატურ ხსვაობებსა და დავას კი უკანა პლანზე სწევს. ამით ემს ფაქტიურად აკანონებს უკანონობას, ანუ მართლმორწმუნეთა და მრუდედ მორწმუნეთა „ზიარებას“, ისე რომ არ მოითხოვს მათგან სარწმუნოებრივ ერთსულოვნებასა და ჭეშმარიტების ერთგულებას, რასაც ასე მტკიცედ მოითხოვდნენ წმ. მოციქულები (რომ. 2, 8; 14, 25; გალ. 3, 1; 1 პეტ. 1, 22). ასეთი პრაქტიკა უცნობია წმ. ეკლესიისათვის — ეგი მთლიანად უარყოფილია, როგორც მანკიერი და დაუშვებელი!

ემს-სათვის, ცხადია, მიუღებელია მითითებული საეკლესიო გადმოცემა, რომელიც ანტიმართლმადიდებლური მიზნების განხორციელებას უშლის ხელს. იმისათვის, რომ შეარყიოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოწურნეობა წმ. გადმოცემის დაცვის საქმეში, პროტესტანტულმა ეკუმენიზმმა დაიწყო ლაპარაკი „მრავალი გადმოცემის“ შესახებ. მისი აზრით, ყოველ საეკლესიო გაერთიანებას თავისი გადმოცემა აქვს, და ყველა ეს გადმოცემა ტოლფასად და თანაბარმნიშვნელოვნად ცხადდება. ასეთი მზაკვრული შენაცვლებისა და სხვადასხვა გადმოცემათა“ ნიველირების პირობებში მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. გადმოცემას ეკუმენისტების თვალში უკვე აღარავითარი უპირატესობა არა აქვს სხვა „ეკლესიების“ „გადმოცემების“ წინაშე.

პროტესტანტი ეკუმენისტები მიზნად ისახავენ საეკლესიო სტრუქტურების შერყევასა და „მსოფლიო შეგნების ფორმირებას“, თანაც იმდენად კადნიერდებიან, რომ წმ. მართლმადიდებელ ეკლესიას თავს ახვევენ თავიანთ მიდგომას. ამიტომაცაა ასეთი საშიში ადგილობრივი ეკლესიებისათვის ემს-ში მონაწილეობა. ქვემოთ გიჩვენებთ, რომ ემს თანდათან მოითხოვს თავისი წევრებისგან დისციპლინის დაქვემდებარებას საკუთარი ეკუმენისტური მიზნების მისაღწევად, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო სულის ცხონებასთან (მათ. 16, 26). ემს-ს V ასამბლეის დეკლარაციაზე დაყრდნობით, რომელშიც ნათქვამია, რომ ახლა „ისტორიის ახალი ფურცელი იწერება“ [175], ემს-ს გენერალური

მდიანი პოტერი 1983 წლის 11 ნოემბრის წერილში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, პიმენს შეახსენებს „მოლაპარაკებასა და ალთქმას, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს“ (?!) [176].

მაცხოვრისა და წმ. მოციქულთა წინასწარმეტყველებების თანახმად უსჯულოდ ვიცხოვრებთ?“ ეს აზრი საღმრთო წერილს ემყარება, მიდის (ლუკ. 18, 8); ჭეშმარიტების მიღებისკენ კი არა, მისგან სულ უფრო შორს განდგომისაკენ (2 თეს. 2,2—12). ამით მზადდება კიდეც მომავალი ანტიქრისტეს მოსვლა, რომელსაც სოფელი საუკუნო წარწყმედისაკენ მიჰყავს. ამ წარწყმედისაგან თავის დახსნას მორწმუნენი შეძლებენ არა ეკუმენიზმის მიღებით, არამედ ღრმა სინანულით, ცრუმოძღვრებათა უარყოფით და ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტების შედგომით, და ამ ჭეშმარიტებას თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რამეთუ უფალი გვამცნობს: „იხსენებდ უკუე, ვითარ მიიღე და ისმინე, დაიმარხე და შეინანე! (გამოცხ. 3, 3).

თუმცა, თავისთავად ღმრთაებრივი ჭეშმარიტება ვერ გვაცხოვნებს, თუ მას საქმედ არ ვაქცევთ. წმ. სვიმეონ ახალ ღმრთისმეტყველს შოჰყავს წმიდა მამების აზრი: „რას გვარგებს ღმრთისმოშიშება სარწმუნოებაში და უსჯულოება — ცხოვრებაში?“ [177] და მის პერიფრაზირებას ახდენს: „რას გვარგებს, თუ მართალ სარწმუნოებას დავიმარხავთ, მაგრამ უსჯულოდ ვიცხოვრებთ?“ ეს აზრი საღმრთო წერილს ემყარება, რამეთუ უფალი ამბობს: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: „უფალო! უფალო! და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ჰყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა... განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი“ (მათე. 7, 21). თავისთავად სულიერი ცოდნა არ გვაცხონებს, თუ იგი არ განხორციელდა, მაგრამ ამ აქსიომიდან ვერ გამოვიტანთ დასკვნას, თითქოს სულ ერთია, როგორ გწამს — მთავარია, როგორ ცხოვრობ. სინამდვილეში ერთიც მთავარია და მეორეც. განათლებულ მართლმადიდებელ ქრისტიანს ესმის, რომ ღმრთის სათნო ცხოვრება შეუძლებელია მართალი სარწმუნოების გარეშე. არ შეიძლება დოგმატურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობის უარყოფა ცხონების საქმეში.

ღმრთაებრივ გამოცხადების შუქზე კარგად ჩანს, რომ ყოველ „კეთილი“ საქმე როდი სთნავს უფალს, რამეთუ მას ცოდვილი ზრახვები შეიძლება ედოს საფუძვლად. მხოლოდ სწორი მართლმადიდებელი სარწმუნოება ასწავლის სწორ მსოფლაღქმას და, შესაბამისად, კეთილი საქმის სწორად კეთებას. „თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნო-ყოფაჲ (ებრ.11, 6). ურწმუნოებისა და მრუდე სარწმუნო-

ების სამყაროში მართალი სარწმუნოება იმდენად არსებითია, რომ ის, ვინც მას შეინარჩუნებს და ღმრთისმებრძოლი დინებებისგან დაიფარავს, ყველა საბედისწერო განსაცდელს გადაურჩება. ამ სოფელშიც, და, განსაკუთრებით, ქრისტეს საშინელ სამსჯავროზე, თვით უფლის აღთქმისაებრ: „რამეთუ დაიმარხე შენ სიტყუა მოთმინებისა ჩემისა და მეცა დაგიცუა შენ ჟამისა მისგან განსაცდელისა, რომელსა ეგულვების მოსლუად ყოველსა ზედა სოფელსა, გამოცდად მკვიდრთა მათ ქუეყანისათა“ (გამოცხ. 3, 10). ამასვე ნიშნავს მაცხოვრის სიტყვები: „ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამი წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“ (მათ. 10, 32).

მართალი სარწმუნეობა რომ მოიპოვოს, მორწმუნემ თვალ-ყური უნდა ადევნოს მის სიწმიდეს და დაიცვას შერყვნისაგან. წმ. თეოფანე დაუუდებული ამბობს: „სარწმუნოება არა ამა სოფლისაგანია და ამიტომ შეუძლებელია სოფლის ცვალებადობას ემორჩილებოდეს. შეუძლებელია რაიმეს შეცვლა ანდა გაუქმება: არც აღმსარებლობაში, არც ცხოვრების წესში, არც საიდუმლოთა აღსრულებაში, არც საეკლესიო განწესებაში. ჩვენი წმიდა სარწმუნოება მთელი თავისი შედგენილობით არის სამკურნალო დაწესებულება, სადაც ყოველ ჩვენს უძლურებას თავ-თავისი კურნება მოეძებნება. მაგრამ როგორც წამალს აქვს ძალა მხოლოდ მაშინ, თუ მის რეცეპტში მითითებული ყველა წევრი შედის, ისევე ჩვენი წმიდა სარწმუნოებაც მხოლოდ მაშინ არის საკურნებელი, თუ მას სრულად ვიმარხავთ, რაიმეს შეცვლისა და გაუქმების გარეშე. ამოიღეთ წამლის შედგენილობიდან რაიმე წევრი ანდა სხვა კომპონენტით შეცვალეთ — იგი მთელ თავის ძალას დაკარგავს. ასევე, თუ სარწმუნოების ან ეკლესიის შედგენილობიდან რაიმეს ამოიღებთ ან მიუმატებთ (მაგ. „ფილიოკვე“-ს), ან შეცვლით რაიმეს, ან გადააკეთებთ, იგი აღარ იქნება თქვენთვის საკურნებელი და მაცხოვნებელი. სარწმუნოების მთლიანობის შეუნარჩუნებლად ცხონება შეუძლებელია; ამიტომაა, რომ თვით უფალი თვალისჩინივით უფრთხილდება მას. დაე სოფელში ყველაფერი ბრუნავდეს და იცვლებოდეს — ჩვენი წმიდა სარწმუნოება უცვლელია! იცის ჩვენი ცხონების მტერმა, რომ „სარწმუნოების ძალა და საკურნებელი თვისებები მის უცვალებლობაზე, ანუ ამ მტკიცე შეუვალობაზე ჰკიდია, ამიტომ ცდილობს ყოველნაირად, ისიც ჩაითრიოს ცვალებადობის ნაკადში: წვალებებს თესავს, ამაოდბრძნობას აღძრავს... ყოველ ღონეს ხმარობს, რომ რაიმე ცვლილება შეიტანოს სარწმუნოების ღმრთაებრივ განწესებაში და ამით განაქარვოს მისი ძალა“ [178].

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის 50 წლის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაში წმ. ეპისკოპოსი თეოფანე, როგორც ამ აკადემიის რექტორი, ხაზს უსვამდა განსხვავებას ღმრთივგამოცხადებულ ჭეშმარიტებასა და ადამიანის მეცნიერულ ცოდნას შორის: „კაცობრივი მოძღვრებები ახლისაკენ მიიწევენ, იზრდებიან, ვითარდებიან — და ეს ბუნებრივიცაა — მათ არ უპყრიათ ჭეშმარიტება და მხოლოდ ეძიებენ მას... ჩვენთვის კი ჭეშმარიტება და მისკენ სავალი გზები ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულია. ჩვენ გვიპყრია ჭეშმარიტება, ამიტომ მთელი ჩვენი მუშაობა მის შესათვისებლად არის მიმართული და არა ალმოსაჩენად. იმათთან დაკანონდა მოწოდება: წინ, წინ ვიაროთ! ჩვენს მოძღვრებასთან დაკავშირებით კი ზემოთ ითქვა: „მტკიცედ დეგით და შეიკრძალეთ მოძღურება ესე“ (2 თეს. 2, 15). ისღა დაგვრჩენია. ჩვენ თვითონაც განვმტკიცდეთ და სხვებიც განვამტკიცოთ. ამ მხრივ ჩვენს მოძღვრებასაც ახასიათებს მოძრაობა — გაფართოება, მაგრამ არა ჭეშმარიტების სფეროში, არამედ მათ შორის, ვისაც უპყრია ჭეშმარიტება და ჰმონებს მას. ჩვენი ვალია ყოველ ახალ თაობას გადავცეთ და ჩავუნერგოთ ღმრთაებრივი ჭეშმარიტება!“ [179]

ასეთია მართლმადიდებლური მიდგომა ღმრთაებრივი ჭეშმარიტებისადმი. ჭეშმარიტება არის ერთგზის მოცემული (იუდ. 1, 3), იგი უცვლელია. ვერც ვერაფერს გაუოვაკლებთ (გამოცხ. 22. 19) და ვერც მივუმატებთ (გალ. 1, 8). ჩვენ მის მიხედვით უნდა ვიცხოვროთ (მათ. 7, 24), რამეთუ „რომელმან ჰყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა“ (მათ. 5, 19).

ამ მართლმადიდებლურ მიდგომას ჭეშმარიტებისადმი ეკუმენიზმი არ იზიარებს. იგი არ მიიჩნევს ჭეშმარიტებას მაცხოვნებლად და ცდილობს დააკიროს იგი, ამკვიდრებს რა თავის მომხრეთა შორის კომპრომისულ შეხედულებებს „ეკლესიო სტრუქტურათა გადანაცვლების შესახებ“, რაც ღალატის ტოლფასია! ლენინგრადის მიტროპოლიტი ნიკოდიმოსი თუმცა ეკუმენისტი იყო, მაგრამ მაინც აღნიშნავდა „იმ სამწუხარო ფაქტს მართლმადიდებლობის თვალსაზრისით, რომ ემს-ს კონსტიტუციაში, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა ამ ორგანოს ფუნქციების ჩამოთვლას, არაფერია ნათქვამი სარწმუნოების ერთიანობაზე, როგორც ეკუმენისტური მოძრაობის მიზანზე“ [180]. ეკუმენიზმი მართლმადიდებლური ჭეშმარიტების საფუძველზე კი არ ცდილობს გაერთიანებას, არამედ მის ნანგრევებზე! მაგრამ ასეთი გაერთიანება შეუძლებელია სათნო-ეყოს ღმერთს, „რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვა“ (1 ტიმ. 2, 4).

ეკუმენისტური მშვიდობა, რომელიც ეკუმენისტურ კონფერენციებსა და ასამბლეებზე ცხადდება, არარეალური და მადლს მოკლებულია. ასეთ მშვიდობას წმ. მამები უარყოფენ. წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „მშვიდობა მე ის არ მგონია, ლიტონ მისალმებებსა და საერთო ტრაპეზებზე რომ ჩანს. სულ სხვაა ქრისტესმიერი მშვიდობა, რომელიც სულიერი ერთიანობისგან გამოდის. ამ ერთიანობას ახლა ხშირად არღვევენ, როდესაც უგუნური მოშურნეობით ამცირებენ ჩვენს განწესებებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იუდაურს, თანაც იუდეველებს თვლიან იმ მოძღვრებად, რომლებიც ჩვენს მამებზე მეტ ნდობას იმსახურებენ“ [181].

წმ. მაქსიმე აღმსარებელი (662 წ.) მოწმე იყო საშინელი მწვალებლური სიახლეებისა და სამარცხვინო სარწმუნოებრივ კომპრომისებისა, რომლებიც ვითომდა მშვიდობის სახელით ხდებოდა. მეფის ელჩებს, სატუსაღოში მისულებს, რათა მონოთელიტურ წვალებაზე დაეყოლებინათ, მან უთხრა: „თუ ბოლო ხანს გაჩენილ სიახლეებს გადავსდგებით, ვნახავთ, რომ მათ ბოროტების უკიდურეს ხარისხს მიაღწიეს. გავფრთხილდეთ, მშვიდობის საბაბით იმ განდგომილების მონაწილენი არ გავხდეთ, მოციქულმა რომ თქვა (2 თეს. 2, 3—4), ანტიქრისტეს მოსვლის წინამორბედი იქმნებაო“ [182]. რა აქტუალურია დღეს ეს სიტყვები, დიდი აღმსარებლისა, რომელიც სისხლის დათხევამდე ევნო მართლმადიდებლობისათვის! კომპრომისები სარწმუნოების სფეროში, რომლებიც რაიმე ამსოფლიური „იდეალების“ სახელით ხდება, არასოდეს დამთავრებულა სასიკეთოდ, რამეთუ ასეთი კომპრომისები მძიმე ცოდვაა ღმრთიეგამოცხადებული ჭეშმარიტების წინაშე.

ე) წმ. ბიკენტი ლირინელი სარწმუნოების უცვალებლობის შესახებ

ეკუმენისტური იდეოლოგიის თანახმად, რელიგია კაცობრიობას მისი ამსოფლიური მიზნების მიღწევაში უნდა ეხმარებოდეს, მაშინ როცა წმ. ბიკენტი ლირინელის აზრით, „ჩვენი მოვალეობაა მივდიოთ რელიგიას იქით, საითაც მას მივყავართ და არა ჩვენ გავუძღვეთ მას იქით, საითაც გვინდა [183]. „უკიდურესად უნდა გვეშინოდეს სარწმუნოების ღალატისა და მართლმადიდებლობის დარღვევის მძიმე ცოდვისა!“ [184]; „იმის დაბრუნება ქრისტიანებისთვის, რაც მათ ადრე არ მიუღიათ, არასოდეს ყოფილა ნებადართული. არც გუშინ, არც დღეს და არც ხვალ!“ [185] ამბობს იგი. თავის თანამედროვე მწვალებლურ სიახლეებს,

მართლმადიდებლური დოგმატებისა და კანონების საწინააღმდეგო სულისკვეთებით გაჟღენთილს, წმ. ბიკენტი „წარმართობას“ უწოდებს, რამეთუ „მწვალებლები საკუთარ აზრებს სწორედ ისევე სცემენ თაყვანს, როგორც წარმართები — თავიანთ ღმერთებს“ [186].

როგორც ძველ აღთქმაში მრისხანებდა ღმერთი „სხვა ღმერთების“ თაყვანისცემისთვის, ისევე მრისხანებს იგი დღესაც მართლმადიდებლობის დოგმატური ჭეშმარიტებებიდან გადახვევისა და სხვადასხვა სიახლეების მიღებისათვის, რომლებსაც ასე უხვად გვთავაზობს ემს.

„ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ის არის, ვინც მთელი გულით არის მიჯაჭვული ეკლესიას, ქრისტეს სხეულს, ღმრთაებრივ ჭეშმარიტებას, ვინც არაფერს აყენებს მსოფლიო სარწმუნოებაზე მაღლა — არც ავტორიტეტს, არც სიყვარულს, არც ნიჭს, არც მჭევრმეტყველებას, არც ვინმეს ფილოსოფიას, პირიქით, ყოველივე ამას არაფრად აგდებს და მტკიცედ, მყარად და ურყევად იცავს სარწმუნეობას. თავის მოვალეობად იგი მხოლოდ იმის დამარხვას მიიჩნევს, რაზედაც ცნობილია, რომ მთელი მსოფლიო ეკლესია ძველთაგანვე ერთსულოვნად იმარხავდა. ხოლო თუ ვინმემ რაიმე უცნობი სწავლება შემოიტანა, ერთპიროვნულად, სხვების თანხმობის გარეშე, ან სულაც ყველა წმიდანის ნების წინააღმდეგ, იმას უარყოფს, რამეთუ ეს არ არის ჭეშმარიტი სარწმუნოება, არამედ მხოლოდ განსაცდელი... წმ. პავლე მოციქული თავის პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ წერს: „წუალებანიცა ყოფად-არიან თქუენ შორის, რათა რჩეულნი იგი თქუენ შორის გამოჩნდნენ“ (1 კორ. 11, 19). მოციქული თითქოს გვეუბნება: „წვალებათა მთესველებს ღმერთი სწორედ იმიტომ არ აღმოფხვრის მეყსეულად, რომ ღირსეულნი წარმოჩინდნენ, ანუ აშკარა გახდეს, თუ რა ძლიერად, ერთგულად და ურყევად უყვარს თვითეულს მსოფლიო სარწმუნოება. და მართლაც, როგორც კი რაიმე სიახლე გამოჩნდება, მაშინვე ცხადდება თავთავის სიმძიმე და ბზის სიმსუბუქე. მაშინ ადვილად განიბნევა კალოსაგან ყოველივე, რაც მას არ ეკუთვნის: ზოგი ვინ იცის სად ქრება, ზოგი ისევ შეშინებული, დაღუპვის ეშინია — თან რაღაცის რცხვენია, თან მახეშია გაბმული. ესენი ცოცხალ-მკვდრები არიან; შხამი ისეთი რაოდენობით მიიღეს, სასიკვდილო არ არის, მაგრამ ვერც მის მონელებას ახერხებენ — არც კვდებიან, არც რჩებიან. ვაი რომ საბრალო დღეში არიან!“ [187].

ამ ბოლო სიტყვებით წმ. ბიკენტი ლირინელი თითქოს ამჟამინდელი „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტების მდგომარეობას აღწერს. მათ იმდენი ყლაპეს ეკუმენისტების შხამი, რომ მართლმადიდებლობასა და

ეკუმენიზმს შორის არიან ჯვარზე გაკრულნი და თვითონაც არ იციან, დაიცვან მამა-პაპათა სარწმუნოება თუ კიდევ უფრო მეტად დაქანდნენ კომპრომისების გზაზე! ასეთებს წმ. ბიკენტი ლირინელი გარკვევით მიუთითებს, რომ მათ, შეითვისეს რა სიახლეები, გარეგნულად კი უპყრიათ ძველი სარწმუნოება, მაგრამ თანდათან მაინც უკან იხევენ და მათთვის შეუმჩნევლად განეშორებიან მართლმადიდებლობას. „თუკი ისინი ძველს ახალს შეურევენ, თავისას — სხვისას, წმიდას — არაწმიდას, მაშინ ეს ჩვევა ყველაფერს მისწვდება და ეკლესიაში აღარაფერი დარჩება ხელშეუხები, აღარაფერი — შეურყვნელი, მთელი, შეუბღალავი, არამედ იქ, სადაც ადრე წმიდა და უბიწო ჭეშმარიტების საკურთხეველი იდგა, ბოლოს და ბოლოს ბილწი და უსჯულო ცთომილებების ბომონი აღიმართება. ღმერთმა დაიფაროს ჩვენი გონება ასეთი სიბილწისაგან! დაე ეს უსჯულოთა სიცოფედ დარჩეს! ქრისტეს ეკლესია კი, როგორც მისთვის ჩაბარებული დოგმატების მტკიცე და ფხიზელი დამცველი, მასში არც არაფერს ცვლის, არც ამოკლებს, არც უმატებს; აუცილებელს არ განკვეთს, ზედმეტს არ იერთებს — თავისას არ კარგავს და სხვისას არ ითვისებს!“ [188]

წმ. ბიკენტი ლირინელის ეს მსჯელობა ქრისტეს ეკლესიის უცვალებლობის შესახებ მის დოგმატურ სწავლებაში სწორი და ძალიან მნიშვნელოვანია ყველა დროისათვის. ეკლესია იქ დგას, სადაც ის თავისი ღმრთაებრივი დამაარსებლის მიერ არის დადგინებული. იგი არ იცვლება, მაგრამ მრავალი მისი წევრი, ამა სოფლის საცთურით მოხიბლული, იცვლება და ღალატობს ეკლესიას — ასეთები წარწყმედას უმზადებენ თავიანთ სულებს. ეკლესიის უცვლელი აღმსარებლობითი ტრადიციების ღალატი მათ „ჰუმანური“, „კეთილშობილური“, „პროგრესული“ საქციელი ჰგონიათ, კონსერვატორობას პროგრესს უპირისპირებენ და იმას კი არ ფიქრობენ, რომ ეკლესიისა და მისი წმიდა საქმის ჭეშმარიტი პროგრესი სწორედ ჯანსაღ კონსერვატიზმში მდგომარეობს.

ყოველი, ვინც საეკლესიო სარწმუნოების ძველისძველ, უცვლელ საფუძველს მუსრავს, აფერხებს ეკლესიის შემდგომ ფანვითარებას და ასამარებს მის მაცხოვნებელ მისიას მომავალი თაობების წინაშე. ახალგაზრდა მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველები, რომლებიც „პროგრესული“ ეკუმენისტური ლიტერატურისა და განსაკუთრებით ეკუმენისტური აღზრდის გავლენით შეუმჩნევლად შორდებიან წმ. მართლმადიდებელ ეკლესიას, ამას ვერ ხვდებიან. სხვა აღმსარებლობებთან

ეკუმენისტურ კავშირებზე უარის თქმაში ისინი ხედავენ დაჭღუპველ უძრაობას, რომელიც დროის სულისკვეთებას არ შეესაბამება.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ასეთი მაგალითი: 1965 წ. სასულიერო აკადემიის ერთ-ერთი ასპირანტი ბოსეს ეკუმენისტურ ინსტიტუტში მიავლინეს ერთწლიან სტაჟირებაზე. დაბრუნებისთანავე მან აკადემიის საბჭოს ჩააბარა ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ: იგი პირობას დებდა, რომ იშრომებდა ეკუმენიზმის საკეთილდღეოდ, რომლის მიზანიც არის „აღმსარებლობითი უძრაობის შერბილება". ასე იწვრთნებიან ახალგაზრდა ეკუმენისტები, რომლებიც მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატურ სიმტკიცეს „აღმსარებლობით ჩამორჩენილობას" უწოდებენ და ცდილობენ დასძლიონ იგი აღმსარებლობითი კომპრომისების საშუალებით, რომლებსაც ფართო ვზით მივყავართ წარწყმედისაკენ.

წმ. წერილისგან მოწყვეტით აღზრდის ამსოფლიური სულისკვეთება, რომელსაც ემს ამკვიდრებს თავის გენერალურ ასამბლეებზე, ეკუმენისტურ ახალგაზრდობას დოგმატებიდან გადახვევისკენ უბიძგებს, რითაც ბოლოს და ბოლოს ქრისტეს სარწმუნოების დეტევებამდე მიიყვანს! ასე იწვრთნებიან „ქრისტიანი" ახალგაზრდები ბოსეს, ჰიუსტონის, ბილეფილდისა და სხვა ქალაქების ეკუმენისტურ ინსტიტუტებში, სადაც ე. წ. „ეკუმენისტურ ღმრთისმეტყველებას" სწავლობენ. ეს უკანსკნელი კი მიზნად ისახავს მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველების შეცვლას კომპრომისული შემთანხმებლობის სულისკვეთებით!

ემს-ს ასეთი მოღვაწეობა ახალგაზრდებს შორის სრულიად ეწინააღმდეგება წმ. ბიკენტი ლირინელის სწავლებას, ეს სწავლება კი გვაფრთხილებს ყოველგვარი სიახლეების მიღებისაგან სარწმუნოებაში, რომელიც არის „ერთგზის მოცემული მისთვის წმიდათა" (იუდ. 1, 31)!

3) წმ. მამები მართლმადიდებლობის დამცირების წინააღმდეგ

ეკუმენისტური სულისკვეთება, რომელიც ძალიან ძლიერ გავლენას ახდენს თანამედროვე მართლმადიდებლობაზე, თანდათან იწვევს მართლმადიდებლური სარწმუნოების როლის დამცირებას ცხონების საქმეში, რაც, სამწუხაროდ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ ორგანოს, „მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალსაც" ეტყობა. მაგალითად, ქრისტეს საშინელი სამსჯავროს შესახებ აქ ვკითხულობთ: „ზეციური მამა არ ჰკითხავს კაცს, რომელ სარწმუნოებას, რომელ ეკლესიას თუ კონფესიას ეკუთვნის... უფალი ადამიანს მისი გა-

რეგნული ნიშნებით კი არა, მხოლოდ საქმეების მიხედვით განსჯის“ [189].

წმ. წერილის ასეთი ცალმხრივი განმარტება სრულიადაც არ შეესაბამება მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობას. წმ. მათე მახარებლის მიერ დახატული სურათი საშინელი სამსჯავროსი (25, 31—46) ასახავს არა სამსჯავროს მთელ პროცესს, არამედ მხოლოდ ბოლო ეტაპს, რომელიც ბოლო, მე-20 საუკუნეს შეესაბამება. აქ განიკითხება მოწყალების საქმეები და აგრეთვე მისი საპირისპირო სისასტიკის საქმეებიც, და როგორც წმ. იაკობ მოციქული ამბობს, „სასჯელი უწყალო არს მათთვის, რომელთა არა ჰყონ წყალობაჲ“ (იაკ. 2, 13).

მაგრამ ამ ბოლო საუკუნის წინ მე-19 საუკუნეა, რომელშიც სარწმუნოების წინააღმდეგ ჩადენილი ცოდვები განიკითხება, და განსაკუთრებით — წვალებანი და ცრუმოძღვრებანი [190]. თუ კაცი მე-19 საუკუნეს ვერ გაივლის, მე-20-ს ვერ მიაღწევს. ასე რომ, მართალი სარწმუნოების წინააღმდეგ მცოდველნი ვერც ქრისტეს საყოველთაო სამსჯავროზე განმართლდებიან, თუნდაც მოწყალების საქმეები უხვად ჰქონდეთ. შესანიშნავად ამბობს მთავარეპ. სერაფიმე თავის სიტყვაში საშინელი სამსჯავროს შესახებ, რომ ჩვენ გვიხსნის ჭეშმარიტი (და არა სენტიმენტალური, ჰუმანისტური) სიყვარული მოყვასისა, რომელიც ქრისტეს სიყვარულისგან იშვება! მაგრამ ქრისტეს სიყვარული შეუძლებლია ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოების გარეშე, რომელიც სული წმიდის მადლისაგან იშვება, ეს მადლი კი ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მოგვენიჭება. „მაშასადამე“,—დაასკვნის მთავარეპ. სერაფიმე,—„ჩვენ გვაცხოვნებს სიყვარული მოყვასის მიმართ, რომელსაც თან ახლავს ქრისტიანული, მადლმოსილი ეკლესიური ცხოვრების მთელი საკუნება, ის სიყვარული, რომელზეც პავლე მოციქულმა თქვა: „სიყვარული, რომელ იგი არს სიმტკიცე სრულებისაჲ“ (კოლ. 3, 14) [191].

მაგრამ სიყვარული, როგორც უმაღლესი ქრისტიანული სათნოება, შეუძლებელია ძირითადი ქრისტიანული სათნოების — სარწმუნოების გარეშე. სარწმუნოება რომ აუცილებელია, ამას თვით უფალი გვამცნებს: „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, სცხონდეს, ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს“ (მარკ. 16, 16), ნიკოდიმოსთან საუბარში კი ამბობს: „რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დასჯილ არს“ (იოან. 3,18). ცხადია, საქმეები არსებითად აუცილებელია, რამეთუ სარწმუნოება საქმეების გარეშე ვერ გვაცხოვნებს (იაკ.2,14—17), მაგრამ ცხონებისათვის ასევე აუცილებელია ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებლობა, რაზედაც თვით პავლე მოციქული

წერს: „პირითა აღვიარებთ საცხოვრებლად“ (რომ. 10, 10), და ამსოფლიური ცხოვრების მიწურულს ამბობს: „სარწმუნოება დამიმარხავს. ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა იგი გვირგვინი“ (2 ტიმ. 4,7—8). წმ. ფოტიოსი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი, კარგად განმარტავს სარწმუნოებისა და ღმრთის სათნო საქმეების ურთიერთდამოკიდებულებას: „სათნოებები სარწმუნოებამ უნდა დაიცვას: მათი, ორივეს შემწეობით უნდა ჩამოყალიბდეს ნამდვილი ადამიანი, რამეთუ სწორი დოგმატები ღირსეულ ცხოვრებას განაპირობებენ, წმიდა საქმეები კი სარწმუნოების ღმრთაებრიობას მოასწავებენ“ [192].

იმას, რომ ცხონების საქმეში ერთნაირად მონაწილეობს სარწმუნოებაც და საქმეებიც, ხაზს უსვამს კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია II-ც: „ჩვენ ვამბობთ, რომ წინამორბედი სარწმუნოებაა, საქმეები კი — მომდევნო... საუკუნო ცხოვრებაში პატივსა და საზღაურს ის მიიღებს, ვინც ერთსაც და მეორესაც ჯერისაებრ აღასრულებს. საჭიროა, რომ ეს საქმეები კეთილი და ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან განუყოფელი იყოს... ასე რომ, მართლად უნდა გვწამდეს ქრისტეს სადიდებლად და წმიდად ვიცხოვროთ კვლავაც მის სადიდებლად, რამეთუ ერთი მეორეს გარეშე უსარგებლოა“ [193].

ყველა წმ. მამა მადლომისილ ძალად მიიჩნევდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას და მის წინააღმდეგ შეცოდებას მძიმე ცოდვად თვლიდა. „ნუ შესცოდავ სარწმუნოების წინაშე, — გვასწავლის წმ. ანტონი დიდი, — „რათა არ განარისხო შემოქმედი. ვინც სწორ სარწმუნოებას არ იმარხავს, იმისი სულისთვის უცხოა საუკუნო ცხოვრება, იგია აშკარა განდგომილი ღმერთისგან“ [194].

წმ. ათანასე დიდი „არიანელთა წინააღმდეგ საზოგადო ეპისტოლეში“ წერს: „ყოველ წვალებას მამად ჰყავს დასაბამითგან შეცთომილი, კაცისმკვლელი და მტყუვარი ეშმაკი (ინ. 8, 44), მაგრამ რცხვენია მისი საძულველი სახელის წარმოთქმისა და ითვისებს მაცხოვრის მშვენიერსა და უზეშთაეს სახელს, კრებს ადგილებს წმ. წერილიდან, თუმცა მათ ჭეშმარიტ აზრს კი მალავს, და ბოლოს რაიმე ტყუილით ნიღბავს თავის გამონაგონს და თვითონვე ხდება მის მიერ შეცთომილთა მკვლელი... მხოლოდ კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვაზე უარის თქმა როდი ნიშნავს მოწამეობას, სარწმუნოებას თუ არ განვუდგებით, ესეც მოწამეობრივი ღვაწლია. მხოლოდ კერპთაყვანისმცემელნი კი არა, ჭეშჭეშმარიტებისგან განდგომილნიც დაგმობილ არიან, როგორც უცხონი. იუდა მოციქულთა დასიდან კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვისათვის კი არ განვარდა, არამედ ღალატისათვის“ [195].

წმ. მარკოზ ეფესელი გვასწავლის: „ჩვენი სარწმუნოება ჩვენი მამების კეთილი აღმსარებლობაა. ამ სარწმუნოებით ვესავთ წარუუდგეთ ღმერთს და მივიღოთ ცოდვების მიტევება, უმისოდ კი არ ვიცი, რომელმა სიმართლემ უნდა გაგვათავისუფლოს მარადიული სატანჯველისაგან“ [196]. ღირსი მაქსიმე ბერძენი გვაფრთხილებს: „ვიცით, ნამდვილად ვიცით და საღმრთო წერილიდანაც გვისწავლია, რომ თვით უმცირესი დეტალის შეცვლა ანდა გადანაცვლება დიდი დანაშული და საუკუნო ცხოვრების დაკარგვაა“ [197].

ღირს მაქსიმე ბერძენს თავის შრომებში მოჰყავს იოანე ლამასკელის სიტყვები: „ყველაფერი, რაც კანონების, წინასწარმეტყველებისა და სახარების გზით გადმოგვეცა, ვისწავლოთ და დავიმარხოთ, სხვას კი ნუღარაფერს ვეძიებთ! რამეთუ ღმერთმა, სახიერმა მომცემელმა ყოვლისა კეთილისა, გაგვიმჟღავნა, რაც უნდა ვიცოდეთ, ხოლო ის, რის გაგებასაც ვერ შევძლებდით, დაფარა ჩვენგან. გვიყვარდეს ღმრთისგან ნამცნები და დავადგრეთ მას ზედა, ნუ ვცვალებთ საზღვართა საუკუნეთა (შდრ. იგავ. 22, 28) და ნუ გადავუხვევთ ღმრთაებრივ გადმოცემას. რამეთუ ვინც უარყოფს რაიმე ღმრთაებრივს — დიდსა თუ მცირეს — ის უარყოფს მთელ კანონს (იაკ. 2, 10) და მის გარდამქცეველთა შორის შეირაცხება“ [198].

ღირსი პაისი ველიჩკოვსკი წერს: „ჭეშმარიტად წმიდა კაცთა სიწმიდე მხოლოდ სასწაულებით როდი იცნობა (რამეთუ წარმართებსა და მწვალებლებსაც ძალუძთ სასწაულების მოხდენა ეშმაკის ძალით), არამედ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოებით, ღმრთივგამოცხადებული დოგმატების, მოციქულთა და კრებათა ყველა კანონის დაცვით და მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულებით და ბოლოს, უბიწო ცხოვრებით სახარებისა და მამათა მცნებების შიხედვით“ [199].

ღირსი სერაფიმე საროველი მოტოვილოვთან საუბარში, როდესაც ქრისტიანული ცხოვრების მიზანს განმარტავს, მართლმადიდებელი სარწმუნოების მაცხოვნებელი ძალის შესახებ ამბობს: „ის, ვისაც სული წმიდის მადლი აქვს მიღებული მართალი სარწმუნოებისთვის, კაცობრივი უძლურების გამო რომც მოკვდეს სულიერად რაიმე ცოდვისაგან, გადაურჩება საუკუნო სიკვდილს უფალ იესო ქრისტეს მადლით, რომელმაც აღიღო ცოდვანი სოფლისანი და უსასყიდლოდ ანიჭებს მადლს მადლისა წილ (იოან. 1, 16)... ღმერთი მოითხოვს მართალ სარწმუნოებას მისი და მისი მხოლოდშობილი ძისადმი. ამისთვის უხვად მოგვენიჭება სული წმიდის მადლი“ [200].

ასე აფასებდნენ წმ. მამები ღმრთივგამოცხადებულ ჭეშმარიტებას,

სრულად და შეურყვნელად დამარხულს წმ. მართლმადიდებლობის წიალში! ისინი ნათლად ხედავდნენ მის დიდ მნიშვნელობას სული წმიდის მადლის მიღებასა და გამრავლებაში, ურომლისოდაც სწორი ქრისტესმიერი ცხოვრების დაწყება შეუძლებელია.

„ეკლესიათა“ ეკუმენისტური გაერთიანება, ჭეშმარიტების საზიანოდ განხორციელებული, საბოლოოდ ჭეშმარიტების დამხობამდე მიგვიყვანს. რას ვაქნევთ ასეთ გაერთიანებას მაცხოვრებელი ჭეშმარიტების გარეშე, რომლის შესახებაც მეფსალმუნე ამბობს: „საუურველად გარემოგადგეს შენ ჭეშმარიტებაჲ მისი“ — ღმრთაებრივი ჭეშმარიტება (ფსალმ. 90, 4)?! ჭეშმარიტება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უმისოდ ადამიანი წარწყმდება — სწორედ ამაზე თქვა მაცხოვარმა: „და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იან. 8, 32), ანუ გეიბსნის ცოდვებისაგან, როგორც შესანიშნავად განმარტავს ნეტარი თეოფილაქტე [201]. ჭეშმარიტება წმიდა-ჰყოფს (იოან. 17, 17); იგი იმდენად აუცილებელია ჩვენი საუკუნო ცხოვრებისათვის, რომ თვით ძე ღმრთისა მოგვეელინა სოფლად ჭეშმარიტების გასამეღავნებლად და დასამოწმებლად (იოან. 18, 37). უფალი თავად არის განხორციელებული ჭეშმარიტება (იოან. 14, 6) და მისგან მოედინება სიტყვანი ჭეშმარიტებისანი, რომლებიც არიან სული და ცხოვრება (იოან. 6, 63). მორმწუნე უნდა ემორჩილებოდეს ამ ჭეშმარიტებას (1 პეტრ. 1, 22), რამეთუ საუკუნო წარწყმედა და სასჯელი მოელის მას, ვინც არ ირწმუნა ჭეშმარიტება (2 თეს, 2, 12).

შაგრამ ახლანდელ ეკუმენისტურად განწყობილ „ქრისტიანებს“ ჭეშმარიტება ნაკლებად აინტერესებთ. მათ შთააგონეს ამპარტავნული იდეა „გაერთიანებისა“, რომლისკენაც ისინი ჯიუტად მიილტვიან თავიანთი დოგმატური უთანხმოებებისა და ენათა აღრევის (შდრ. დაბ. 11, 7) მიუხედავად. არსებითად ისინი ახალ ბაბილონის გოდოლს აშენებენ! და ვინაიდან ეს შენობა ღმრთის კურთხევის გარეშე იგება, გოდოლი დაინგრევა, რადგანაც ქრისტეს ჭეშმარიტების ლოდს კი არ ეფუძნება, არამედ ადამიანურ ცთომილებათა ქვიშას. ეს კარგად არის გადმოცემული წერილში „დეკლარაცია მსოფლიო ყველა ქრისტიანის მიმართ“, რომელიც ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების შეკრებაზე მიიღეს მოსკოვში, 1948 წლის ივლისში: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეკუმენისტური მოძრაობა ბაბილონის გოდოლის აგების ახალი მცდელობაა. ,,აცობრიობის მორიგი ცთომილების ნიშანი... ჩვენ გვაქვს უფლება, ეკუმენიზმი შევაფასოთ, როგორც ცთომილება, რომლის საფუძველი ამპარტავნების ვნებაა. მისი პრინციპია „შეერთდით, შე-

ერთდით, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, ნებისმიერ საფუძველზე, ოღონდ შეერთდით!“ ეს არის პრინციპი იძულებითი უნიონალიზმისა, რომელსაც გარდუვალ შედეგად მხოლოდ საეკლესიო ტოტალიტარიზმი[202] შეიძლება მოჰყვეს“ [1].

ამავე დეკლარაციის პირველ ვარიანტში ნათქვამია: „ეკლესიად წოდებული ზეციურ-მიწიერი ორგანიზაციის ერთიანობა სრულიად სხვა სახისაა... როდესაც ეკლესიურ ერთიანობას ვესწრაფვით, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ამ ერთიანობის განსაკუთრებული, ერთადერთი, განუმეორებელი ხასიათი და არ მივუდგეთ მათ სხვა ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელი საზომით... ეკუმენისტური მოძრობისათვის უცხოა ჭეშმარიტი ეკლესიური ერთიანობის შეგნება. შინაგანი, ორგანული გაერთიანების ამოცანა, როელიც დოგმატურ საფუძველს ემყარება, მან გარეგნული, მექანიკური გაერთიანებით შეცვალა.

ეკუმენისტური მოძრაობის მიღება ეკლესიის ჭეშმარიტი ერთიანობის უარყოფას ნიშნავს სივრცესა და დროში... ეს ნიშნავს მადლის უწყვეტი ჯაჭვის გაწყვეტას, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიას მოციქულებთან აკავშირებს უწყვეტი სამოციქულო ხელდასხმის მეშვეობით... ეს იგივეა, რომ ჩვენს ეკლესიაში დამარხული სარწმუნოების საგანძური ოსპის შეჭამანდში, ანუ მოჩვენებით, ამსოფლიურ სიკეთეებში გავცვალოთ.

სწორი გზა ჭეშმარიტი საეკლესიო ერთიანობის აღდგენისა არის ძველი, განუყოფელი ეკლესიის მოძღვრებისკენ მიბრუნების გზა[203]. რაც უფრო შორს წავლენ ამ გზაზე დასავლეთის აღმსარებლობები, მით უფრო დაუახლოვდებიან მართლმადიდებელ ეკლესიას და მით უფრო ადვილად აღადგენენ მათთან ჭეშმარიტ ერთიანობას, რამეთუ მართლმადიდებელი ეკლესია თავის წმიდა მოვალეობად ძველი და განუყოფელი ეკლესიის მოძღვრების დამარხვას მიიჩნევს“ [204].

მართლმადიდებელი ქრისტიანი არ უნდა მონაწილეობდეს ეკუმენისტურ მოძრაობაში, რამეთუ იგი მართლმადიებლური ჭეშმარიტების რელატივიზაციასა და დამცირებას ახდენს, მართლმადიდებელ ქრისტიანებს დოგმატური გადახვევებისათვის ამზადებს და აიძულებს უღალატონ მართლმადიდებელ სარწმუნოებას, რომელსაც ერთადერთს შესწევს ძალა ცხონებისა!

---

[1] ამ დეკლარაციას ხელს აწერენ საქართველოს იმჟამინდელი პატრიარქი კალისტრატე და მიტრ. ეფრემი, შემდგომში პატრიარქი.

მე-9 მიზეზი

ეკუმენისტური გაერთიანების საფუძვლები მეტისმეტად არამყარია

ჩვენი ბრალდების პასუხად, რომ ეკუმენიზმს არ აინტერესებს ჭეშმარიტება, ეკუმენისტები ალბათ გვიპასუხებენ, რომ ისინი მექანიკურ გაერთიანებას როდი ესწრაფვიან, არამედ გარკვეული სარწმუნოებრივი ერთიანობის მიღწევას. თითქოსდა ამ მიზნით შეიქმნა „სარწმუნოებისა და მოწყობის“ კომისია ემს-სთან და შემუშავდა სახელგანთქმული „დოგმატური მინიმუმი“, რომლის საფუძველზეც მომავალი გაერთიანებაა შესაძლებელი.

ეს „დოგმატური მინიმუმი“ რაღაა? ა. ვედერნიკოვის მოსწრებული თქმით, ესაა „სარწმუნოების დაკნინება, მისი სავსების დამცირება რაღაც უნიტარიზმისა, და მოდერნიზმის დონემდე“[205]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს წინაშეა მსოფლიო კრებებით აკრძალული და წმ. მამებისაგან დაგმობილი შერყვნა სარწმუნოებისა, ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის აღმსარებლობის სიმრთელის ხელყოფა და მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის სავალდებულო ჭეშმარიტების დაყვანა რამდენიმე ძირითად დოგმატამდე, დანარჩენი დოგმატების ნაკლებმნიშვნელოვნად შერაცხვის ან სულაც უგულებელყოფის ხარჯზე.

მაგრამ ეკუმენიზმს სხვაგვარად მოქმედება არ ძალუძს. მისდევს რა თავის მანკიერ მიზნებს, იგი იძულებულია ასეთივე მანკიერი არსის გამო მიმართოს მანკიერ საშუალებებს, ანუ სარწმუნოების დაკნინებას, მის რაღაც „მინიმუმამდე“ დაყვანას. ასეთ „მინიმუმად“ ანგლიკანურმა ეკლესიამ ჯერ კიდევ 1920 წელს გამოაცხადა ნიკეის სარწმუნოების სიმბოლო, რომელსაც „ქრისტიანული სარწმუნოების საკმარისი გადმოცემა“ უწოდა[206]. „მართლმადიდებელ“ ეკუმენისტებს, ცხადია, ხელს აძლევთ ნიკეა-კონსტანტინეპოლის სიმბოლოს მიღება, რათა როგორღაც იმართლონ თავი საკუთარი სინდისის წინაშე, თითქოს ისინი არ ღალატობენ ჭეშმარიტებას და მართლმადიდებლობას იცავენ. მაგრამ დღევანდელ დღეს შეუძლებელია მხოლოდ სარწმუნოების სიმბოლოს საფუძველზე მივაღწიოთ ნამდვილ გაერთიანებას. რატომ?

ეფესოში, ავაზაკთა კრებაზე (449 წ.), რომელიც ალექსანდრიის მწვალებელი პატრიარქის, დიოსკორეს თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, მწვალებელი ევტიხი გამართლებულ იქნა სწორედ ნიკეა-

კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმბოლოს აღიარების გამო[207]. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ევტიხისთვის თავისი მწვალებლური შეხედულებების შენარჩუნებაში: ეს სიმბოლო მათ არ ეხებოდა, რადგან ამ წვალებათა გაჩენამდე გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა. მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა სრულად აღიარებდე სარწმუნოების ძველ მართლმადიდებლურ სიმბოლოს, მაგრამ მაინც არ იყო მართლმადიდებელი და იყო მწვალებელი! ამიტომაა აუცილებელი, მით უფრო ამ ჩვენს საყოველთაოდ მწვალებლურ ეპოქაში, რომ მხოლოდ ნიკეის სიმბოლოს კი არ ვაღიარებდეთ, რომელიც პირველ ორ მსოფლიო კრებაზე (325 და 381 წლებში) ჩამოყალიბდა, არამედ დანარჩენი მსოფლიო კრებების მიერ უცვლობელ ჭეშმარიტებად აღიარებულ ყველა დოგმატურ განსაზღვრებას: ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი რომ იყო, ამისათვის უნდა აღიარებდე „ყველაფერს, რაც მიიღო და შეიტკბო წმ. მართლმადიდებელმა ეკლესამ" (წმ. სერაფიმე საროველი). სხვა შემთხვევაში ჩნდება დოგმატური ეკლექტიზმი, რომლის დროსაც მართლმადიდებლური ჭეშმარიტება მწვალებლურ სწავლებათა მინარევებით იბილწება!

ევტიხის მსგავსად, მწვალებელ აპოლინარიუსსაც მიაჩნდა, რომ ნიკეის „მრწამსს" აღიარებდა, რომელიც არიანული წვალების წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ამ „დოგმატურმა მინიმუმმა" ვერ იხსნა იგი არიანელობის საპირისპირო წვალებისგან. ბასილი დიდი ღრმა სინანულს გამოთქვამს ამ ამბის გამო და წერს: „ეს მით უფრო საამწუხაროა, რომ თავიდან, ვგონებ, ჩვენიანი იყო"[208].

ასე რომ, მართლმადიდებელი ეკლესია არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათანხმდეს ცრუ „გაერთიანებას" მხოლოდ ნიკეა-კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმბოლოს საფუძველზე, არამედ სრულ დოგმატურ შეგნებას უნდა ეაზრაფვოდეს!

ა) პირველი ბაზისი

ემს-ს კონსტიტუციის პირველი ბაზისი, რომელიც ამსტერდამის I ასამბლეაზე მიიღეს და ევანსტონის II ასამბლეაზე დაამტკიცეს, ღაღადებს: „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო არის ეკლესიათა გაერთიანება, რომელიც აღიარებს უფალ იესო ქრისტეს, როგორც ღმერთსა და მაცხოვარს"[209]. რატომაა, რომ ეს თავდაპირველი ბაზისი სარწმუნოების საფუძვლად რაღაც უფრო ნაკლებსაც კი დებს, ვიდრე ნიკეა-კონსტანტინეპოლის სიმბოლოა? და ასეთი შეკვეცილი ფორმულირების მი-

უხედავად ემს-ს წევრი დაჯგუფებების უმეტესობას ესეც მიუღებლად მოეჩვენა და გააპროტესტა, რამაც კენტერბერიელ მთავარეპისკ. უილიამ ტემპლს შემდეგი კომპრომისული ფრაზა ათქმევინა: „ცხადია, კარგი იქნებოდა „სარწმუნოებისა და მოწყობის“ ბაზისით გვესარგებლა, მაგრამ ამავე დროს ჩვენი კარი ღია უნდა იყოს მათთვისაც, ვისაც მისი მიღება არ შეუძლია“ [210].

ეს ოფიციალური გამონათქვამი, რომელიც ემს-ს მაღალი ტრიბუნიდან გაისმა, ამ ორგანიზაციის ორ საბედისწერო სენს ამჟღავნებს: 1) ემს-ს უძლურებას მასში მონაწილე „ეკლესიების“ დოგმატური გაერთიანების ამოცანის წინაშე და 2) არაგულწრფელობას რაღაც საერთო ბაზისის ძებნის საქმეში, რამეთუ ემს-სთვის შესაძლებელია თანამშრომლობა მათთანაც, ვინც ამ ბაზისს უარყოფს.

საკითხავია, რაღა საჭირო იყო „საერთო ბაზისის“ ძიება? ალბათ იმისათვის, რომ თვალში ნაცარი შეეყარათ მართლმადიდებლებისათვის, რომლებსაც ქრისტიანობა დოგმატებისა და კანონების გარეშე ვერ წარმოუდგენიათ! და კიდევ: რაკიღა ელემენტარული დოგმატური მინიმუმიც კი იესო ქრისტეს, როგორც ღმერთისა და მაცხოვრის რწმენის შესახებ მიუღებელია ემს-ს ზოგიერთი წევრისათვის, და ამის მიუხედავად მათთან პრაქტიკული თანამშრომლობა გრძელდება, მაშინ სადღაა ჭეშმარიტი „გაერთიანების მიზანი“ — სულის ცხონება ქრისტე მაცხოვრის რწმენით? (იოან. 20, 31, 1 პეტრ. 1, 9).

ემს-ს ყველა წევრსაც რომ მიეღო, მართლმადიდებელი ეკლესია მაინც ვერ „გაერთიანდებოდა“ მის საფუძველზე სხვა აღმსარებლობებთან ერთად. მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ეს ბაზისი მიუღებელია, რადგან ჩამოყალიბებულია მართლმადიდებელი ქრისტოლოგიისათვის დამახასიათებელი დაზუსტებების გარეშე, რომლებიც მსოფლიო კრებებზეა შემუშავებული. იგი არ ეხება მონოფიზიტურ, მონოთელიტურ, ნესტორისეულ, აპოლინარიუსისა და სხვათა წვალებებს, რომლებიც თავისებურად ალიარებენ იესო ქრისტეს, როგორც ღმერთსა და მახცოვარს, მაგრამ ამის მიუხედავად არსებითად განსხვავდებიან მართლმადიდებლობისაგან. მათსა და მართლმადიდებლობას შორის არსებობს მრავალი გამთიშველი ელემენტი — ქრისტოლოგიური, სოტერიოლოგიური, ეკლესიოლოგიური და სხვ. ხოლო, როგორც ცნობილია, სარწმუნოების საკითხებში ერთი მწვალებლური აზრიც კი, თუ მას ჯიუტად იცავენ, საკმარისია, რომ ყველა შემაერთებელი ხიდი დაინგრეს!

ბ) მეორე ბაზისი

ემს-ს პირველი ბაზისი მართლმადიდებელთა მხარემ გააკრიტიკა, როგორც მეტისტმეტად ზოგადი, და გამოთქვა სურვილი, რომ მასში ჩაერთოთ ღმრთაებრივი სამების რწმენა, რადგან უფალი იესო ქრისტე არის ღმრთაებრივი სამების მეორე, განხორციელებული ჰიპოსტასი. ამ მოთხოვნას განსაკუთრებით უჭერდა მხარს ელადის ეკლესიის ნეტარხსენებული იერარქი, სამოსის მიტრ. ირინეოსი (გარდ. 1963 წ.)

ემს-ს III გენერალურ ასამბლეაზე (1961, დელი) მიიღეს გაერთიანების დამატებითი დოგმატური საფუძველი, რომელიც ემს-ს კონსტიტუციის მეორე ბაზისს წარმოადგენს. „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო არის ერთობა ეკლესიებისა, რომლებიც აღიარებენ უფალ იესო ქრისტეს, როგორც ღმერთსა და მაცხოვარს საღმრთო წერილის მიხედვით და ამის გამო ცდილობენ ერთად შეასრულონ ეს ერთობლივი აღიარება ერთი ღმერთის — მამისა, ძისა და სული წმიდას სადიდებლად“ [211].

თუ პირველი ბაზისიც კი, რომელიც უფალ იესო ქრისტეს რწმენას გამოხატავდა, მიუღებელი აღმოჩნდა ემს-ს წევრი ზოგიერთი ლიბერალური ორგანიზაციისათვის, მით უფრო მიუღებელი იქნებოდა მეორე, დაზუსტებული ბაზისი წმიდა სამების რწმენით, რომელსაც ზოგიერთნი საერთოდ უარყოფენ!

პირველი და მეორე ბაზისის შემუშავების პროცესში უკვე ცნობილი გახდა, რომ ემს-ს მაშინდელი და მომავალი წევრებიდან ბევრი არც ერთს არ მიიღებდა, ამიტომ მათთან თანამშრომლობისათვის მალულად დატოვეს „ღია კარი“. მაგრამ ამის შემდეგ ემს-ში იმდენი არაეკლესიური ორგანიზაცია გაერთიანდა, რომ თვით ეკუმენიზირებულმა კონსტანტინეპოლის საპატრიარქომაც კი პროტესტი გამოთქვა; „რატომ ღებულობენ ემს-ში არა მხოლოდ ეკლესიებს, არამედ ზოგიერთ ისეთ დაჯგუფებასაც, რომელსაც საერთოდ არა აქვს ეკლესიური ხასიათი?“ [212] ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო სულ უფრო არაეკლესიური ხდება!

გადავხედოთ ემს-ს მეორე ბაზისს. ჭეშმარიტი მართლმადიდებლებისათვის ისიც მიუღებელია, რადგან მასში როგორღაც გაუბედავად, სულ ბოლოშია ნახსენები ღმრთაებრივი სამების რწმენა, თანაც იმის განუსაზღვრელად, თუ კერძოდ როგორ უნდა გვწამდეს ერთარსი ღმერთი, და არაფერია თქმული უფალ იესო ქრისტესთან, როგორც მეორე, განხორციელებულ ღმრთაებრივ ჰიპოსტასთან მისი პირდაპირი კავშირის შესახებ. ანტიტრინიტარულ და ქრისტოლოგიურ წვალებათა წინააღმდეგ გაწეული უზარმაზარი სამუშაოს შემდეგ ქრისტეს ეკ-

ლესიის სწავლება წმ. სამების შესახებ ნათლად და მტკიცედ უნდა იყოს გადმოცემული და არა ასეთი ბუნდოვანი, ფერმკრთალი და ანემიური სახით!

ახალი ბაზისი არ უარყოფს ანტიტრინიტარების, ნესტორიანელების, აპოლინარიანელების, სუბორდინალისტებისა და სხვების წვალებებს და, რაკი ასე ბუნდოვნად და გაურკვეველადაა ჩამოყალიბებული, თავისუფლად შეუძლიათ მოაწერონ ხელი ამ ძველ წვალებათა თანამედროვე მიმდევრებს! დინამისტ-მონარქიანელებიც ლაპარაკობენ მამაზე, ძესა და სული წმიდაზე, მაგრამ არა მართლმადიდებლური მნიშვნელობით, როგორც ერთ, სამსახოვან ღმერთზე, არამედ თავიანთი, ანტიტრინიტარული მნიშვნელობით, თითქოს „მამა, ძე და სული წმიდა დამოუკიდებელი ღმრთაებრივი პიროვნებები კი არ არიან, არამედ მსოლოდ ერთი და იგივე ღმერთის ღმრთაებრივი ძალები“ [213]. მოდალისტ-მონარქიანელებიც მამის, ძისა და სული წმიდის სახელებს იყენებენ, ისინი მათ თვლიან მოდუსებად (სახეებად), რომლებშიც თანმიმდევრულად განცხადდება ერთი ღმერთი, მაგრამ თვითონ სამების დოგმატის მოსისხლე მტრები არიან: გამოცხადების სამებას ღებულობენ, ჰიპოსტასთა სამებას კი — არა [214]. ჩვენთვის სრულიად ნათელია, რომ ეს „ტრიადოლოგიური“ ბაზისი სპეციალურად არის ფორმულირებული ასე ბუნდოვნად და გაურკვევლად, რათა ჭეშმარიტებასა და ცთომილებას შორის დამაკავშირებელ ხიდად იქცეს. სხვათა შორის, ემს-ს გენერალურმა მდივანმა პოტერმა განაცხადა, რომ ემს-ს წევრობისათვის „ეკლესიისაგან“ მხოლოდ მოცემული „ბაზისის“ მიღება იქნება საჭირო, ამ ეტაპზე სხვა არავითარ პირობას არ წამოუყენებენ [215].

ვთქვათ და ემს-ს წევრმა — ყველა რელიგიურმა დაჯგუფებამ უცებ მიიღო ეს ბაზისი. განა ამას მათი ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი გაერთიანება მოჰყვება? არა და არა! ადვილი წარმოსადგენია, რამდენ სხვა ცთომილებას გაამჟღავნებს ეს სქემატურ-ბუნდოვანი ბაზისი! თვითონ ბაზისის გარდა, რომელიც დიდ დავას გამოიწვევს, დარჩება კიდევ მრავალი სარწმუნოებრივი უთანხმოება, ბევრიც ახალი გამოჩნდება. სწორად შენიშნა პროტესტანტ-ანტიეკუმენისტმა ანრი როტმა: „უეჭველია ამ ახალი ორგანიზაციის (ემს-ს) სარწმუნოებრივი მოქნილობა. იგი ისეთი ხასიათისა, რომ ძალუძს შეისრუტოს ყველა ცთომილება, ყველა წვალება, ისინი კი ძირს უთხრიან ქრისტიანულ სარწმუნოებას, ცვლიან რა მას ფილოსოფიით, რომელსაც ზემოდან ბრბოს მოსატყუებლად ქრისტიანული ლაკი აქვს გადასმული“ [216].

მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი მყარი „მრწამსი“ აქვს, რომელიც შვიდ მსოფლიო კრებაზე გამომუშავდა. იგი ვერ დაეთანხმება ეკუმენისტურ იდეას „დოგმატური მინიმუმის“ შესახებ, რადგან მართლმადიდებლობაში ყველაფერი, რაც სული წმიდის მიერ მსოფლიო კრებებზე დამტკიცდა, წმიდა, ფასეული და ცხონებისათვის აუცილებელია. რაღაც „დოგმატური მინიმუმის“ გზაზე დადგომა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სარწმუნოების მრავალი არსებითი დოგმატის ღალატს ნიშნავს: ხატების თაყვანისცემისა, ღმრთისმშობლის თაყვანისცემისა, მიცვალებულთათვის ეკლესიის ლოცვისა და სხვათა, რომელთა დასაცავად მრავალმა წმინდანმა დასთხია სისხლი!

მართლმადიდებლობის თვალსაზრისით თვითონ ტერმინი — „დოგმატური მინიმუმი“ — უსუსურია გაერთიანების პრინციპის როლში, რადგან დასაშვებად მიიჩნევს დათმობებს სარწმუნოების სფეროში, რასაც მართლმადიდებლობა არ უნდა ღებულობდეს! ის უთანხმოებები, რაც ამ „დოგმატური მინიმუმის“ მიღმა დარჩება, ხომ კვლავ გაგვთიშავს, და მაშინ რა დაემართება „სარწმუნოებრივ ერთიანობას?“ ამრიგად, ეკუმენიზმის გზით შესაძლებელია მხოლოდ მექანიკური, ცრუ და არამყარი „ერთიანობის“ მიღწევა.

ასეთი გაუგონარი მკრეხელობა სამების შესახებ ღმრთივგამოცხადებულ სწავლებაზე ემს-ს მმართველი წრეების უკიდურესი მწვალებლური ღვივრახსნილობის ნიშანია, რასაც წესით ასამბლეის „მართლმადიდებელ“ მონაწილეთა აღშფოთება და უტიფარი მწვალებლობის მხილება უნდა გამოეწვია. რა აზრი აქვს ემს-ს ბნელ საქმეებში მონაწილეობას, თუ არც მართლმადიდებელთა მოწმობა ჩანს სადმე, არც პროტესტი, და მათ არავინ უწევს ანგარიშს?

ჩვენი საუკუნის დამდეგს რუსმა „ღმრთისმეტყველმა“ მამებმა, პავლე ფლორენსკიმ და სერგი ბულგაკოვმა გნოსტიციზმის გავლენით ბუნდოვანი სოფიანური წვალება შეთხზეს, რომლის თანახმადაც „ღმერთში იმყოფებოდა მდედრობითი სქესის რაღაც განსაკუთრებული არსება“, ე. წ. „სოფია“, შუამავალი ღმერთსა და ამ სოფელს შორის მისი შექმნისას. ეს მდედრობით სქესის არსება თითქოს თვით წმ. სამების „წიაღში არსებობდა, როგორც ღმრთისგან „განუყოფელი“ რამ[217]. ჯერ კიდევ 1937 წ. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაგმო სოფიანური წვალება და განკვეთა ეკლესიის სხეულისგან ეს ახლადგამოჩეკილი მწვალებლური განგრენა.

დღეს კი აპოკალიფსური მეძავი, „ეკლესათა მსოფლიო საბჭოს“ სახით მოვლენილი და აპოკალიფსში „ბაბილონად“ წოდებული, რომე-

მელიც „იქმნა სამკვიდრებელ ეშმაკთა და საყოფელ ყოვლისა არაწმიდებისა სულისა“, ჩვენს თვალწინ ცდილობს ახალი შესწორებების შეტანას ღმრთივგამოცხადებულ სწავლებაში ერთი, სამგვამოვანი ღმერთის შესახებ. როგორ უნდა მოიქცნენ ამ დროს „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტები? თუ მათთვის ოდნავ მაინც ძვირფასია მართლმადიდებელი ქრისტიანის სახელი, დაუყოვნებლივ უნდა გამოვიდნენ „ეკლესიათა“ მწვალებლური საბჭოდან და ამით აღასრულონ ღმერთის განჩინება: „გამოვედით მისგან, ერო ჩემი, რომელ არა. ეზიარნეთ ცოდვათა მისთა, და წყლულებათა მისთაგან რაჲთა არა მიიღოთ“ (გამოცხ. 18, 4).

მართლმადიდებელი ქრისტიანი არ უნდა მონაწილეობდეს ეკუმენისტურ მოძრაობაში, რომელიც თავისი თეორიით „დოგმატური მინიმუმის“ შესახებ

1) ნიღბავს თავის ღმრთისწინააღმდგომ მიზნებს — რადაც არ უნდა დაუჯდეს შეუერთდეს ყველა მწვალებლობას;

2) არყევს მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატურ საფუძვლებს;

3) ცდილობს ერთარსი ღმერთის ცნებაში ქალური საწყისის შეტანას და მამა ღმერთს სატანური „დედა-ღმერთით“ ცვლის!

ᲔᲛᲘᲡ ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲒᲡ (ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲕᲐᲮᲕᲔᲕᲡ) ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕ ᲪᲜᲝᲑᲐᲡ (ᲜᲔᲛᲘ)

წინა, მე-8 თავში მიმოვიხილეთ გაერთიანების სხვადასხვა ეკუმენისტური პროექტები და მოკლედ შევეხეთ „სარწმუნოებისა და მოწყობის“ კომისიის მიერ ლიმაში მიღებულ ნემ-ის ტექსტს, რომელიც არსებითად ქრისტიანთა გაერთიანების დოგმატურ-ლიტურგიკულ ბაზისს წარმოადგენს. ახლა უფრო დაწვრილებით ვიმსჯელოთ ამ დოკუმენტზე, ანუ ნათლისღების, ევქარისტიის, მღვდლობის შესახებ მოძღვრებათა უნიფიკაციის გეგმაზე.

ასეთი მინიმუმის შემუშავების იდეა ჯერ კიდევ 1888 წელს წარმოიშვა, როდესაც ინგლისში შეიმუშავეს ე. წ. „ლამბეტის ოთხმხრივი დადგენილება“, რომელშიც ეს სამი საიდუმლოა ნახსენები. 1920 წ. ლამბეტის კონფერენციამ კვლავ წამოაყენა საიდუმლოთა ეს რიცხვი, როგორც ეკლესიათა გაერთიანების მინიმუმი [218].

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ეკუმენისტები თავგამოდებით იღვწიან „გამაერთიანებელი დოკუმენტის“ შემუშავებისთ-

ვის, რომელიც საბოლოო სახით მიიღო „სარწმუნოებისა და მოწყობის“ კომისიამ ლიმაში, 1982 წლის იანვარში, 1983 წელს კი იგი ვანკუვერის VI ასამბლეის მონაწილეებს შესთავაზეს. ნემ-ის მიღება ემს-ს VII ასამბლეისთვისაა დაგეგმილი, რომელიც 1991 წელს უნდა ჩატარდეს. არ გვინდა დავუშვათ, რომ ემს-წევრი ადგილობრივი მართმადიდებელი ეკლესიები დაჰყვებიან ეშმაკურად მოფიქრებულ მასონურ-ეკუმენისტურ გეგმას.

პირველად ნემ-ის მიერ შემოთავაზებულ საიდუმლოთა რიცხვზე შევჩერდეთ. ღმრთივდადგინებული შვიდი საეკლესიო საიდუმლოდან შერჩეულია მხოლოდ სამი, ამასთან ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ეკლესიების თანხმობა მათ მიღებაზე „ეკლესიის ერთიანობის სასინჯი ქვაა“ და მან „გადამწყვეტ გარდატეხამდე“ [219] უნდა მიგვიყვანოს. ნემ-ის პრეამბულაში წერია, რომ „ცალკეულ ეკლესიათა სწრაფვა გაერთიანებისაკენ და სწრაფვა საყოველთაო თანხმობისაკენ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან“ [220].

ამაზე ვუპასუხებთ, რომ მინიმალურ საფუძველზე დამყარებული ერთიანობა შეუძლებელია იყოს ჭეშმარიტებისმიერი თანხმობა, არამედ მხოლოდ კომპრომისული შემთანხმებლობა ცთომილებასთან. თვითონ ის ფაქტი, რომ ნემ-ში არ იხსენიება ოთხი საეკლესიო საიდუმლო — მირონცხება, აღსარება (სინანული), ქორწინება და ზეთისკურთხევა, იმაზე მიუთითებს, რომ დოკუმენტი საერთოდ არ აღიარებს მათ საიდუმლოებებად და პირწმინდად პროტესტანტულ პოზიციებს ემყარება.

მაგრამ წმ. სვიმეონი, თესალონიკის მთავარეპისკოპოსი († 1430 წ.) თავის კლასიკურ შრომაში „საიდუმლოთათვის“ წერდა: „არსებობს სული წმიდის შვიდი ნიჭი, როგორც ამას ესაია ამბობს (11, 2—3), და არსებობს შვიდი საეკლესიო საიდუმლო, რომელთა მეშვეობითაც სული წმიდა მოქმედებს. ესენია: ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, მღვდლობა, ქორწინება, სინანული და ზეთის კურთხევა“ [221]. იმავე შვიდ საიდუმლოს და იმავე თანმიმდევრობით ჩამოთვლის კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია II ლუთერანელ ღმრთისმეტყველთა საპასუხოდ დაწერილი I ეპისტოლეს მე-7 თავში და განმარტებასაც ურთავს: „საიდუმლო... არის მღვდელმსახურების წესი და ის, რაც მათი მაშვეობით და მათში სრულდება და ყველას სჭირდება, ანუ ნათლისღება, მირონცხება, ზიარება; მათ, ვინც თავი ღმერთს შესწირა, სჭირდება ხელდასხმა, ისევე, როგორც ერისკაცებს — ქორწინება, ნათლისღების შემდეგ შემცოდეებს — სინანული და ნაკურთხი ზეთით

ცხება. ესენი ცოდვათა მოტევებას მოგვანიჭებენ და სულში დალექილ უწმიდურობებს განწმენდენ. საიდუმლო კი მათ იმიტომ ეწოდებათ, რომ გრძნობად (ანუ ნივთიერ) ნიშნებში შეიცავენ სულიერსა და გამოუთქმელ მოქმედებას. ყოველი ეს საიდუმლო საღმრთო წერილშია დაწესებული და გარკვეული ფორმა და მატერია აქვს“ [222].

მიზეზი იმისა, რომ პროტესტანტებთან საიდუმლოთა რიცხვი ორამდეა დაყვანილი, თვითონ ამ ღმრთივდაწესებულ საიდუმლოთა არასწორ, რაციონალისტურ გაგებაშია. პროტესტანტები აღიარებენ მხოლოდ იმ საიდუმლოებებს, რომლებიც უშუალოდ მაცხოვრის ბრძანებითაა დაწესებული, კერძოდ კი ნათლისღებას (მათ. 28, 19) და ზიარებას (მათ. 26, 26—28), თუმცა, თუ ასე უდგებიან, სინანულიც (აღსარება) უნდა მიიღონ, რომელზეც მაცხოვარმა თავისი აღდგომის შემდეგ თქვა: „მიიღეთ სული წმიდა. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ, და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ-იყუენ“ (მათ. 20, 22—23). და ამ კონკრეტული მცნების მიუხედავად, პროტესტანტებს ეს საიდუმლო არა აქვთ.

როგორც მთავარეპ. სერაფიმე (სობოლევი) აღნიშნავს, „ამ შვიდი საიდუმლოს დამწესებელი არის თვით უფალი — ან ღმრთაებრივი სწავლების გადაცემის გზით, რაც მოციქულთა მიერ ეკლესიის ცხოვრებაში მირონცხების, სინანულისა და ქორწინების შემოღების საფუძველი გახდა (იოან. 7, 37—39; 20, 21—23; მათ. 19, 3—12), ან იმით, რომ მათ პირდაპირი მცნება მისცა ნათლისღებისა და ზიარების საიდუმლოს დაწესების შესახებ (მათ. 28, 19; 26, 26—28), ანდა იმით, რომ უბრძანა დაეცვათ ყველაფერი, რაც მათ ამცნო (მათე, 28, 20). ნიშანდობლივია, რომ ქრისტეს ეს ზოგადი მცნება — „დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ“ — უშუალოდ მოსდევს პირველი საიდუმლოს, ნათლისღების დაწესებას (მათ. 28, 19) და იგი ყველა სხვა საიდუმლოს მოიცავს. ამ ზოგადი ღმრთაებრივი ბრძანების შესრულება უნდა იყოს მოციქულთა მიერ მღვდლობისა და ზეთისკურთხევის, ისევე, როგორც დანარჩენი ხუთი საიდუმლოს, დაწესება“ [223].

აქიტომაცა, რომ სარწმუნოების სიმბოლოს მე-10 წევრში ნახსენებია მხოლოდ „ერთი ნათლისღება მოსატევებლად ცოდვათა“, მაგრამ მასში იგულისხმება სხვა ექვსი საიდუმლოც, რომლებიც კატეხიზმოში მის გვერდით დგანან.

თავის შესანიშნავ შრომაში „ეკუმენიზმის წვალება“ ბერძენი ღმრთისმეტყველი ა. დელიბასი ლამბეტის 1888 წლის დოგმატური მინიმალიზმის შესახებ, რომელიც ნემ-ს დაედო საფუძვლად, წერს:

„ეკლესიის შვიდი წმიდა საიდუმლო, რომელთა მეშვეობითაც გადმოგცეცემა ღმრთის მადლი, აქ ორამდეა დაყვანილი: ნათლისღებასა და ევქარისტიამდე, ხოლო იერარქიის სამი ხარისხიდან მხოლოდ ეპისკოპოსობას ღებულობენ“, და ისიც „არა როგორც ღმრთივდადგინებულ უმაღლეს ეკლესიურ იერარქიას, არამედ როგორც ტრადიციას, რომელიც ადგილებზე ხალხის მოთხოვნილებას შეგვიძლია მივუსადაგოთ“. „საიდუმლონი ნამდვილ საიდუმლოებებად კი არ განიხილება, რომლებიც საღმრთო მადლს გადმოგვცემენ, არამედ უბრალო სიმბოლურ ცერემონიებად, რომლებსაც ისეთივე ანდა უფრო ნაკლები მნიშვნელობაც კი აქვთ, ვიდრე ქადაგებას“. ამ რომ, „დოგმატური მინიმალიზმის მეშვეობით სარწმუნოების მოთხოვნები უკიდურესად მცირდება და მათი სრული ლიკვიდაციის ტენდენციაც შეიმჩნევა“ [224].

შემდგომ ნემ-ის პრეამბულაში მისი შემდგენლები, რომელთა შორის არის „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტი, პროფ. ნისიოტისი, თავს იწონებენ ახალი საძმოს (ანუ მასონობის) წარმოშობით, რომელიც ხშირად სცილდება კონფესიონალურ საზღვრებს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „მასში უწინდელი განსხვავებები ახლებურად აღიქმება“ [225] და ყურადღებას ამახვილებენ „დიდი იმედების მომცემ დამთხვევებზე“ ცალკეულ ეკლესიათა სწავლებებში. ეს დამთხვევები ეკლესიებმა თანდათან უნდა განავითარონ“, წერენ ისინი, რაც მათ თითქოს მოციქულთაგან მომდინარ უწყვეტ ხელდასხმასა და მსოფლიო ეკლესიის სწავლებაში ერთიანობამდე მიიყვანს [226]. ნემ-ის მხურვალე მომხრე პაპადეროსი ჩქარობს გაიზიაროს პროტესტანტი ძმების სიხარული, რომლებმაც ლიმაში „თითქმის სამოციქულო სარწმუნოების დონეს მიაღიწეს“ [227].

ვიდრე უწყვეტი ხელდასხმის უმნიშვნელოვანესი საკითხის ანალიზს გავაგრძელებდეთ, გვინდა ვკითხოთ პროფ. ნისიოტისსა და დოქტორ პაპადეროსს, რა საფუძველზე იქადიან პროტესტანტები სამოციქულო სარწმუნოებით, როცა არ გააჩნიათ მოციქულთაგან მომდინარე ხელდასხმა და არც სურთ მისი მიღება მართლმადიდებელი ეკლესიისაგან, რომელიც ამ ხელდასხმას ფლობს?

„ნემ“-ის პრეამბულის ბოლოს შემდგენელნი, სხვადასხვა ტრადიციის მქონე ღმრთისმეტყველთა უპრეცედენტო ერთიანობით აღტაცებულნი, მოულოდნელად აცხადებენ, რომ „ნემ“-ისაგან ნათლისღების, ევქარისტიისა და მღვდლობის სრულ საღმრთისმეტყველო განმარტებას არ უნდა მოველოდეთ, რამეთუ ეს, მათი აზრით, „ამ შემთხვევაში უადგილო და არასასურველიც კი იქნებოდა“ [228]. ამ განცხადებაში

კარგად ჩანს შემდგენელთა ანტისალმრთისმეტყველო განწყობა, მიხედავად მათი ხმამაღალი ტიტულებისა! უარყოფენ რა სალმრთისმეტყველო მიდგომას საეკლესიო საიდუმლოთა მიმართ [229], ისინი ბოლოს იმასაც კი ამბობენ, რომ „ნემ"-ის ტექსტი განზრახ არის მიმართული იმ ასპექტებისაკენ, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდებიან ურთიერთცნობის საკითხს, რადგანაც ამ უკანასკნელს ერთიანობამდე მივყავართ" [230].

ეს უკვე იმის აღიარებას ნიშნავს, რომ „ნემ"-ი კომპრომისულ ერთიანობას ესწრაფვის. აქედან ცხადია, თუ რატომ არის შეუთავსებელი „ნემ"-ის ეკუმენიტური ტენდენციურობა სალმრთისიმეტყველო ანალიზთან, და ამიტომ საკვლევით მართალია დელიბასი, როდესაც ამტკიცებს, რომ ეკუმენისტური წინადადებები „ღმერთის რწმენით კი არა, მხოლოდ ანგარებიანი მიზნებით არის ნაკარნახევი" [231].

ა) ნათლისღების საიდუმლო

„ნემ"-ის დოკუმენტში ნათლობის შესახებ განყოფილების პირველი ორი პარაგრაფი ეთმობა წმ. წერილის ძირითად დოგმატურ ტექსტებს, რომლებსაც ნებისმიერ მართლმადიდებლურ სახელმძღვანელოში შეხვდებით. მაგრამ შემდეგ, განზრახ და შეგნებულად, პროტესტანტობის გულის მოსაგებად, ნათლისღების საიდუმლო მირონცხებასთანაა აღრეული, რომელიც, თუმცა უშუალოდ ნათლისღების შემდეგ ტარდება, არის ცალკე და დამოუკიდებელი საიდუმლო. მაგრამ „ნემ"-ი (§ 5, „სული წმიდის ნიჭი") მირონცხების საიდუმლოს მადლისმიერ შედეგებს, რაც არის „წინდი იგი სულისა" (2 კორ. 1, 21—22), ნათლისღების საიდუმლოს მიაკუთვნებს [232]. § 19-ში ვკითხულობთ: „სული წმიდის ნიჭი ნათლისღებისას დამატებითი სახითაც შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, ხელდასხმით და ცხებით, ანუ მირონცხებით" [233]. ამით მირონცხების საიდუმლო უსახურდება და დამატებით, არცთუ ისე აუცილებელ ჩვეულებად ცხადება, და ეს მხოლოდ იმის გასაშართლებლად ხდება, რომ პროტესტანტებთან ნათლობას მირონცხება არ მოსდევს. § 14-ის კომენტარში პირდაპირ არის გამოხატული გაოცება: „რა აზრი აქვს მეორე, ცალკე წესის არსებობას [234] ნათლისღებისას?"

ნათლისღებისას, ისევე, როგორც ყოველი საიდუმლოს აღსრულებისას, სული წმიდის შესაბამისი ნიჭები გადმოგვეცემა, ამიტომ თვით უფალი განუმარტავს ნიკოდიმოსს ნათლისღებას, როგორც „წყლისაგან

და სულისა“ (იოან. 3, 5) შობას. მაგრამ სული წმიდის მადლისმიერი მოქმედება ნათლისღებისას მდგომარეობს ადამის პირველქმნილი ცოდვისაგან განწმენდაში (რომ. 6, 4; 6, 11). მირონცხებისას კი სული წმიდის ნიჭები გვეძლევა ახლად ნათელღებულის განმტკიცებისათვის, მადლისმიერ სულიერ ცხოვრებასა და ქრისტიანულ სათნოებებში წარმართებისათვის, როორც წმ. პავლე მოციქული ამბობს: „რამეთუ გამოსჩნდა მადლი იგი ღმრთისა, მაცხოვრად ყოველთა კაცთა, სამოძღურებლად ჩუენდა, რათა... სიწმიდით და სიმართლით და ღმრთისმსახურებით ვსცხონდებოდეთ“ (ტიტ. 2, 11—12). წმ. თეოფანე დაყუდებული ასე განმარტავს ამ სიტყვებს: „უბიწოება, სიმართლე და ღმრთისმსახურება ამთელ წმიდა ცხოვრებას მოიცავენ, ისინი იტევენ ყველა მცნებას, და ღვთაებრივ ნეყას, რომელსაც უცილობლად უნდა მისდიოს ყველამ, ვინც ჭეშმარიტი სარწმუნოებით მიეახლა ღმერთს“ [235], ანუ ისინი, ვინც ნათელ-იღო. აქ რომ მირონცხების საიდუმლო იგულისხმება, რომელიც ნათლისღების შემდეგ სრულდება, კარგად ჩანს იოანე ღმრთისმეტყველის სიტყვებიდან, მონათლულ ქრისტიანებს რომ მიმართავს: „ცხებულებაჲ იგი, რომელი მიიღეთ მისგან, თქუენთანა ჰგიეს, და არ გიხმს, ვითარცა ვინ გასწავა თქუენ, არამედ თვით იგივე ცხებულება გასწავებს თქუენ ყოვლისათვის, და ჭეშმარიტ არს და არა ტყუილ, და ვითარცა იგი გასწავა თქუენ, ეგენით მასზედა“ (1 იოან. 2, 27). ცნობილია, რომ წმ. მირონცხების საიდუმლო თავიდან სული წმიდის მიღების საიდუმლო ხელდასხმით სრულდებოდა (საქმე, 8, 17), შემდეგ კი, ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ — მირონცხების მეშვეობით, ამიტომ მოციქულები, როგორც პავლე მოციქულის მოწაფე, წმ. დიონისე არეოპაგელი გადმოგვცემს, ამ საიდუმლოს მშვიდობის საიდუმლოს უწოდებდნენ [236].

ნათელღებული ქრისტიანების მირონცხების აუცილებლობა (მათზე მოციქულთა ხელდასხმის შესაბამისი) კარგად ჩანს წმ. ფილიპე მოციქულის მიერ სამარიტელთა მონათვლიდან. მხოლოდ ნათლისღება არ იყო საკმარისი მათი ცხონებისათვის, ამიტომ „საქმე მოციქულთას“ ავტორი აგრძელებს: „ესმა რა უკუე მოციქულთა, რომელნი იყვნეს იერუსალიმს, რამეთუ შეიწყნარეს სამარიას სიტყუა ღმრთისა, მიავლინეს მათდა პეტრე და იოანე, რომელნი-იგი, ვითარცა მივიდეს, ლოცუა-ჰყვეს მათთვის, რაჲთა მიიღონ სული წმიდა. რამეთუ ფუნამდე არა იყო არცა ერთსა მათგანსა ზედა მოწევნული სული წმიდა, გარნა ბანილ ხოლო იყუნეს სახელითა უფლისა იესოსითა, მაშინ და-

ასხმიდეს ხელთა მათ ზედა, და მიაქუნდა სული წმიდა“ (საქმე, 8, 14—17).

ამრიგად, არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ ჩავთვალოთ, თითქოს ნათლისღება თავის თავში შეიცავს მირონცხებას. ეს არის დამოუკიდებელი საიდუმლო, რომელიც მოსდევს ნათლისღებას — ამას მოწმობს ეკლესიის უძველესი პრაქტიკა, წმ. მამების მიერ დადასტურებული.

წმ. კვიპრიანე კართაგენელი (III ს.), მწვალებელთა ხელმეორედ მონათვლის ცნობილი მომხრე, რომის პაპ სტეფანეს წერდა: „ისინი მხოლოდ მაშინ შეძლებენ მთლიანად განიწმიდონ და იქმნენ ღმრთის შვილებად, როდესაც მეორედ იმვეებიან ორივე საიდუმლოთი“ [237]. „ნათელღებულს მირონიც უნდა სცხონ, რათა, მიიღებს რა მირონს, ანუ ცხებას, გახდეს ღმრთის ცხებული და ქრისტეს მადლი შეიძინოს“ [238].

ნეტარი აგუსტინე (IV ს.) ზღვარს აკლებს ამ ორ საიდუმლოს შორის და ამბობს: „სულიერი ცხება არის თვით სული წმიდა, ხოლო მისი საიდუმლო ხილული ცხებით სრულდება... მირონის საიდუმლო ისეთივე საიდუმლოა, როგორც თვით ნათლისღება“ [240].

წმ. ეფრემ ასური (IV ს.) წარღვნას ნათლისღებას ადარებს, ხოლო მტრედს, რომელსაც ზეთისხილის რტო მოაქვს (შეს. 8,11) — მირონცხებას. „ნოეს კიდობანი მოასწავებდა, რომ მოვა ის, ვინც წყალზე დაარსებს ეკლესიას და მის შვილებს წმ. სამების სახელით გაათავისუფლებს, მტრედი კი განასახიერებდა სული წმიდას, რომელიც აღასრულებს ცხებას — ცხონების საიდუმლოს“ [241].

წმ. კირილე იერუსალიმელი (IV ს.) ცალკე სიტყვას უძღვნის მირონცხებას და მას წმ. იოანე ღმრთისმეტყველის სიტყვებით იწყებს: „და თქუენცა ცხებულებაჲ გაქუს წმიდისა მისგან და იცით ყოველივე“ (1 იონ. 2, 20). ახლადმონათლულ და მირონცხებულ ქრისტიანებს რომ მიართავს, მღვდელმთავარს ასეთი შედარება მოჰყავს მაცხოვრის ნათლისღებასა და მათ ნათლისღებას შორის: „როგორც ქრისტე განიბანა იორდანეში და ღმრთაების ნელსურნელება მიანიჭა წყლებს, ხოლო წყლიდან გამოსულს სული წმიდა მიეფინა... ასევე ყველას, წმიდა წყლის ემბაზიდან გადმოსულს, მირონცხება ეწიჭება, რომელიც სწორედ იმის ნიშანია, რითაც ქრისტეა ცხებული... ხორცს ხილულ მირონს სცხებენ, სული კი წმიდა და ცხოველმყოფელი სული წმიდით იკურთხება... ამიტომ, ამ წმიდა მირონით ცხებულებს მოგმართავთ, დაიცავით იგი უბიწოდ და შეურყვნელად, წარემატეთ კეთილ საქმეებ-

ში და სათნო-ეყვენით წინამძღვარს ჩვენი ცხონებისას — იესო ქრისტეს“ [242].

მე-18 სიტყვაში (თავი 33) იგივე იერუსალიმელი მღვდელმთავარი უცხადებს ნათელღებულ კათაკმევლებს: „უფალმან განგწმიდათ თქუენ ცოდავათგან „საბანელითა მით წყლისაჲთა და სიტყვითა“ (ეფეს. 5, 26)... და მოგცათ ბეჭედი სულისა წმიდისა... და ბოლოს, გამოგეცხადებათ, თუ როგორ უნდა იცხოვროთ ამის შემდეგ ისე, რომ ღირსეულად ატაროთ ეს მადლი და შეძლოთ საუკუნო ცხოვრებით ტკბობა“ [243]. ამ უკანასკნელი სიტყვებით წმ. კირილე იერუსალიმელი გარკვევით ამბობს, რომ ნათელღებულ და მირონცხებულ ქრისტიანებს მოეთხოვებათ ამ საიდუმლოებებით მიღებული ღმრთაებრივი მადლის დაცვა შესაბამისი საქმეებით, რომლებსაც განსაკუთრებით წმ. მირონცხება გვავალებს.

ახლა გასაგებია, თუ რატომ აკნინებს „ნემ“-ი მირონცხების მნიშვნელობას ნათლისღებასთან შედარებით. პროტესტანტობა თავისი გაჩენისთანავე უარყოფდა ქრისტიანული საქმეების მნიშვნელობას ცხონებისათვის, ამიტომ იგი, ცხადია, უგულებულყოფს მირონცხებას — მირონცხება შეუძლებელია ჰქონდეთ პროტესტანტებს, რამეთუ მათ არ გააჩნიათ უწყვეტი სამოციქულო ხელდასხმა. შესაბამისად, „ნემ“-ი აქაც პირწმინდად პროტესტანტული, არასწორი მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, რომლებსაც მართლმადიდებლობისათვის მიუღებელ, მცდარ დოგმატურ დასკვნებამდე მივყავართ.

ამიტომაც წერდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია II ლუთერანებს: „მირონცხება სულს თავდაპირველ ბეჭედს ადებს და უბრუნებს იმას, რაც ღმრთის ხატისაგან ჰქონდა, ძალას, რომელიც ჩვენი ურჩობის გამო დავკარგეთ, და მადლს, რომელიც ოდესღაც ღმრთაებრივი შთაბერვით მივიღეთ (დაბ. 2, 7). ამიტომ მირონცხება შეიცავს სული წმიდის ძალას, მისი სურნელით ამდირებს სულს და ბრის ქრისტეს ნიშანი და ბეჭედი“ [244].

ლაოდიკიის კრების (343 წ.) 48-ე კანონში წერია: „ისინი, ვინც ნათლისღებით ნათლდებიან, ზეციური ცხებით უნდა იქნენ ცხებულნი, რათა ღმრთის სასუფევლის თანამკვიდრნი გახდნენ“.

ბ) სინანულის საიდუმლო

„ნემ-ი“ არაფრად აგდებს და დუმილით უვლის გვერდს აგრეთვე სინანულის საიდუმლოს (აღსარებას), რომელიც ნათლისღების საიდუმლოს მოგვაგონებს იმით, რომ ცოდვებისაგან განგვწმენდს. მაგ-

რამ თუ ნათლისღებისას სული ერთგზის განიწმიდება პირველქმნილი ცოდვისა და ყველა იმ ცოდვისგან, რაც მანამდე ჩაუდენია, სინანულის საიდუმლოთი მრავალგზის აღიხოცება ნათლისღების შემდეგ ჩადენილი ცოდვები. სწორედ ამ მნიშვნელობით ეწოდება სინანულს „მეორე ნათლისღება". წმ. იოანე კიბისაღმწერელი თავის მე-5 სიტყვას ასე იწყებს: „სინანული განმაახლებელ არს ნათლისღებისა".

პროტესტანტები, რომლებიც ვითომ დიდ პატივს სცემენ წმ. წერილს, წესით უნდა აღიარებდნენ სინანულის საიდუმლოს, რადგან იგი არაერთხელაა დადასტურებული სახარებაში, როგორც უშუალოდ ქრისტეს მიერ დაარსებული (მათ. 18, 18, იოან. 20, 22—23). ამის მიუხედავად, „ნემ"-ი ერთი სიტყვითაც არ ახსენებს სინანულის საიდუმლოს, არც ნათლისღებასთან დაკავშირებით და არც ევქარისტიასთან, რომელსაც სინანულის საიდუმლო წინ უძღვის, როგორც ზიარებისთვის აუცილებელი მომზადება!

ასეთი დუმილი იმით აიხსნება, რომ ეკუმენისტებისათვის საერთოდ უცხოა სინანულის განწყობა, როგორც აღსარებაზე საკუთარი ცოდვების აღიარების წინაპირობა. ისინი ერთადერთ სინანულს მოითხოვენ: ყველა კონფესიამ, მათ შორის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, უნდა შეინანოს „განყოფის" ცოდვა. ამ ესოდენ უადგილო „სინანულის" გარდა ეკუმენიზმს არ აინტერესებს და არ მოითხოვს არავითარ პირად, საკრამენტულ სინანულს შეცოდებული ადამიანისაგან!

მაგრამ პირადი სინანული სულისა ღმრთის წინაშე არის საწყისი და საფუძველი იესო ქრისტეს მართალი სარწმუნოებისა, რომელმაც თავისი ქადაგება დაიწყო მოწოდებით: „შეინანეთ და გრწმენინ სახარებისა!" (მარკ. 1, 15), და დაასრულა სიტყვებით: „რომელსა ჰრწმეეულმა სული წმიდის მოფენის დღეს ხალხს ამ სიტყვებით მიმართა „შეინანეთ და ნათელ-იღე კაცად-კაცადმან თქუენნაი სახელითა უფლისა იესო ქრისტესითა მისატევებლად ცოდვათა და მიიღოთ ნიჭი სულისა წმიდისა" (საქმე, 2, 38). აქ მითითებულია სამი ძირითადი საეკლესიო საიდუმლო: ნათლისღება, როგორც ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისი, სინანული — არა მხოლოდ წინაპირობა ნათლისღებისა, არამედ მისი მუდმივი განახლება სინანულის საიდუმლოთი, და მირონცხების მადლისმიერ საფუძველზე — ახალი ადამიანის შემოსვა, „მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა" (კოლ. 3, 10).

ეს ღმრთივგამოცხადებული სავსება მადლისმიერი ცხოვრებისა

უცხოა ეკუმენიზმისათვის, რომელიც არ სცნობს პირად სინანულს, როგორც მართლმადიდებელი სულის განწყობას. ასეთი განწყობა გამოიხატება პირადი ცოდვების აღიარებით მღვდელმსახურის წინაშე, რომელიც ქრისტეს მიერ უფლებამოსილია შეკრას და გახსნას ისინი (მათ. 18, 18).

პირადი ცოდვების აღიარების აუცილებლობა უძველესი დროიდანაა დამოწმებული. მოციქულთა 52-ე კანონით დაწესებულია სამღვდელო ხარისხის აყრა იმ მღვდლისა თუ ეპისკოპოსისათვის, რომელიც კი არ შეიწყნარებს, არამედ ხელს კრავს ცოდვათა მონანიების მსურველს: ასეთი მღვდელმსახური შეურაცხყოფს თვით ქრისტეს, რომელმაც თქვა: „ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათვის ცოდვილის, რომელმან შეინანოს, ვიდრეღა არა ოთხმეოცა და ათცხრამეტთა მართალთა, რომელთა არა უხმს სინანული“ (ლუკ. 15, 7).

წმ. კვიპრიანე ასე არიგებს მორწმუნეებს: „გვედრით თქვენ, საყვარელნი ძმანო, ყოველმა თქვენგანმა აღიაროს თავისი ცოდვა, ვიდრე ჯერ კიდევ ამ სოფელში ცხოვრობს, ვიდრე აღსარება ჯერ კიდევ მიიღება და უფლისათვის სათნოა ცოდვათა მიტევება, რომელსაც მღვდელი აღასრულებს“. წმ. ათანასე დიდი ერთმანეთს ადარებს ნათლისღებასა და სინანულს და ამბობს: „როგორც მღვდლის მიერ ნათელცემული კაცი ნათლდება სული წმიდის მადლით, ასევე ისიც, ვინც სინანულით აღიარებს ცოდვებს, ქრისტეს მადლით მიიღებს მღვდლისაგან მიტევებას“[246].

ღირსი იოანე კასიანეც ადარებს ნათლისღებასა და სინანულს: „აღიარე შენი მაცხოვნებელი საიდუმლონი, რომელთა მეშვეობითაც აღორძინება მოგვენიჭა... ახლა სინანულით განახლდი, ისევე, როგორც ადრე ემბაზისაგან (ნათლისღებით) იშვი“ [247].

წმ. ბასილი დიდი თავისი „ზნეობრივი კანონებიდან“ პირველს სინანულსა და ცოდვების აღიარებას უძღვნის. „ვისაც სწამს ღმერთი, იმან პირველ ყოვლისა უნდა შეინანოს, როგორც თვით უფალმა იესო ქრისტემ გვიქადაგა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათ. 4, 17). „დღევანდელი დღე სინანულისა და ცოდვათა მიტევების დროა...“ „ეამნი იგი უმეცრებისანი უგულებელს-ჰყუნა ღმერთმან, და აწ ამცნებს ყოველთა კაცთა ყოველსა ადგილსა შენანებად“ (საქმე, 17, 30). მონანულთათვის საცხოვნებლად არ კმარა მხოლოდ ცოდვების დატევება, საჭიროა კიდევ „ნაყოფი, ღირსი სინანულისა“ (მათ. 3, 8)[248].

ბასილი დიდი კითხვაზე: „რა არის ნაყოფი, ღირსი სინანულისა?“

უპასუხებს: „ესაა მართალი საქმეები, რომლებიც მონანულმა უნდა გამოიღოს, რათა შეასრულოს თქმული: „ყოვლითა საქმითა კეთილითა ნაყოფიერნი“ (კოლ. 1, 10). 288-ე კითხვაზე, თუ ვის წინაშე უნდა აღიაროს მონანულმა ცოდვები?“ მღვდელმთავარი ბასილი მიუგებს; „ცოდვების აღიარება აუცილებელია იმათ წინაშე, ვისაც ქრისტეს საიდუმლონი აქვს მინდობილი“ (I კორ. 4, 1). ჩვენ ვიცით, რომ ძველადაც მონანულნი ამას წმიდათა (ანუ სამღვდელოთა) წინაშე იქმოდნენ. რამეთუ სახარებაში წერია, რომ კაცნი თავიანთ ცოდვებს იოანე წინასწარმეტყველის წინაშე აღიარებდნენ (მათე, 3, 6), ხოლო „საქმე მოციქულთა“-ს მიხედვით, ასეთი აღიარება ხდებოდა მოციქულთა წინაშე, რომლებიც ნათელს-სცემდნენ ყველას“ (19, 18)“[249].

წმ. ამბროსი მედიოლანელი თავის თხზულებაში „სინანულისათვის“ ამტკიცებს, რომ ცოდვათა მიტევების უფლება ღმერთმა „მისცა მხოლოდ მღვდლებს, რომლებიც მიუტევებენ არა თავისი სახელით, არამედ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“[250]. წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი სიტყვაში „ღმრთის განცხადებისათვის“ ამბობს, რომ წმ. ნათლისღების გარდა არსებობს სხვა ნათლისღებაც, „ცრემლით ნათლისღება“, რომელშიც მღვდელმთავარი სინანულის საიდუმლოს გულისხმობს. ეს ჩანს მისი შემდეგი სიტყვებიდან: „ვაღიარებ, რომ კაცი ცვალებადი და ბუნებით უმტკიცო არსებაა, ამიტომ მზადყოფნით ვღებულობთ ამ უკანასკნელ ნათლისღებას, თაყვანს ვცემ მის მომნიჭებელს და გადავცემ სხვებსაც, და წყალობით წყალობას მოვიპოვებ“[251].

ამგვარადვე მსჯელობს ნათლისღების საიდუმლოზე წმ. იოანე კიბისაღმწერელი „კიბის“ მე-7 სიტყვაში: „წყარონი ცრემლთანი უდიდეს ნათლისღებისა არიან, შემდგომად ნათლისღებისა, დაღაცათუ კადნიერ არს სიტყვა ესე, რამეთუ ნათლისღება პირველ ქმნულთა ცოდვათა ჩვენთა განმწმედელი არს, ხოლო ცრემლნი შემდგომად ნათლისღებისა ჩვენისა ქმნულთა ცოდვათა ჩვენთა მომტევებელ არიან. და ნათლისღება, რომელიც სიჩჩოისა მოვიღეთ, შევაგინეთ, ხოლო ცრემლთა მიერ მასცა განვაახლებთ, ხოლო რომელ ესე უკეთუმცა არა მოცემულ იყვნეს ღვთისა მიერ, მცირედნიმცა იყვნეს, რომელთამცა პოვეს ცხოვრება“. აქედან ჩანს, თუ რა აუცილებელია ცხონებისათვის სინანულის საიდუმლო.

წმ. იოანე ოქროპირი თავის ტრაქტატში „მღვდლობისათვის“ წერს: „ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ მიწაზე ცხოვრობენ და ამ სოფელში იღვწიან, ზეცის საქმეთა გამგებლებად არიან დადგინებულნი

და მიიღეს ხელმწიფება, რომელიც ღმერთს არც ანგელოზთათვის მიუცია, არც მთავარანგელოზთათვის. მიწიერ გამგებლებს აქვთ ხელმწიფება შეკვრისა, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ ხორცს, მღვდლებისთვის მიცემული საკრველნი კი თვით სულს ბორკავენ და ცამდე აღწევენ. რასაც მღვდლები მიწაზე აღასრულებენ, იმას ღმერთი ზეცაში ამთავრებს და მონათა აზრს ყოვლადძლიერი მეუფე ამტკიცებს". ძველი აღთქმის მღვდელთაგან განსხვავებით, რომელთაც ჰქონდათ ხელმწიფება კეთრისგან განწმენდის დამოწმებისა (ლევ. 14, 2; შდრ. მათე, 9, 4), „ჩვენმა (ახალი აღთქმის) მღვდლებმა მიიღეს ხელმწიფება არა მხოლოდ დაამოწმონ განწმედა, არამედ სრულიად განწმიდონ არათუ ხორციელი სნეულება — კეთრი, არამედ თვით სულიერი უწმიდურება"[253].

კონსტანტინეპოლის პატრიარქი, იერემია II ლუთერან ღმრთისმეტყველთა პასუხად წერდა: „აღმსარებელმა ყველაფერი, რაც ახსოვს და რაც შეუძლია, ცალ-ცალკე უნდა თქვას და აღიაროს შემუსრვილი და დამდაბლებული გულით" ((ფსალმ. 50, 19). იგი ღებულობს კურნებას მხოლოდ მაშინ, თუ ებრძვის თავის ცოდვებს"[254].

წმ. ლეონ დიდი, რომის პაპი, ხაზს უსვამს სინანულის საიდუმლოს მოსამზადებელ მნიშვნელობას ზიარების საიდუმლოს ღირსეული მიღებისათვის: „შუამდგომელმა ღმერთსა და კაცს შორის — უფალმა იესო ქრისტემ (I ტიმ. 2, 5) ეკლესიის წინამძღვრებს უბოძა ხელმწიფება, რათა მონანულებს განწმედა მიანიჭონ და შერიგების (აღსარების) კარის გავლით დაუშვან წმიდა საიდუმლოსთან საზიარებლად" [255].

ბ) ევქარისტიის საიდუმლო

მართლმადიდებლური შეგნებისათვის სრულიად მიუღებელია სულისკვეთება „ნემ"-ის II განყოფილებისა ევქარისტიის შესახებ. ღმრთივგამოცხადებული და წმ. მამათაგან მომდინარე სწავლების პოზიციიდან უძლურია ამ განყოფილების მთელი კონცეფცია, რომელიც მოდერნისტული პლურალიზმის, დოგმატური მინიმალიზმისა და კომპრომისული შემთანხმებლობის პრინციპზეა აგებული და ღრმად პროტესტანტულ და სეკულარიზებულ სულისკვეთებას ამჟღავნებს. ესწრაფვიან რა ერთადერთს — გაერთიანებას, „ნემ"-ის ეკუმენისტი ავტორები ცდილობენ რაღაც ზეკონფესიურ დონეს მიაღწიონ და კადნიერდებიან თავიანთი შრომა „სული წმიდის ნი-

ჭად“ [256]. წარმოგვიდგინონ, თუმცა სინამდვილეში ესაა ჭეშმარიტებით სპეკულაცია, წმიდა მამათა კლასიკური ენისა და ტერმინოლოგიის დამახინჯება და უგულებელყოფა.

ევქარისტიის საიდუმლოს არსზე ამ დოკუმენტში მეტისმეტად ბუნდოვანი და არათანმიმდევრული მსჯელობაა, არც საკითხის პროტესტანტულ ხედვას უგულებელყოფენ. მიზნად კი ერთი აქვთ დასახული: „შემოქმედებითი წარმოსახვის“ მეშვეობით განავითარონ „თანხვედრები დოქტრინაში“ და ეძებონ კომპრომისული „საღმრთისმეტყველო დამთხვევები“ მართლმადიდებლურსა და არამართლმადიდებლურ აღმსარებლობებში, შემდეგ კი — „ურთიერთაღიარებაც“, რომელსაც სარწმუნოებრივ ცრუერთიანობასა და ევქარისტულ კავშირამდე მივყავართ [257]. მართლმადიდებლობისათვის დამღუპველი ეს ზრახვები იმალება ისეთი ფრაზების მიღმა, როგორიცაა „საერთო ევქარისტიული სარწმუნოების განმტკიცება“, „ეკლესიებს“ შორის „უფრო მეტი ევქარისტიული ერთობის“ ძიღწევა, „ღმრთის განყოფილი ერის გაერთიანება უფლის საყდრის გარშემო“ და ა. შ. [258].

იმის მიუხედავად, რომ მიზნად „გაერთიანებას“ ისახავს, „ნემ“ი ევქარისტიას პროტესტანტული პოზიციიდან უყურებს, რაც ამ საიდუმლოს ორ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტზე მსჯელობიდან ჩანს:

1) პურისა და ღვინის ქრისტეს ხორცად და სისხლად გადაქცევა;
2) ევქარისტიის, როგორც მსხვერპლის მნიშვნელობა.

„ნემ“-ის მე-13 პარაგრაფში ვკითხულობთ: „ევქარისტიული ტრაპეზი არის ქრისტეს ხორცისა და სისხლის საიდუმლოება, და ამ საიდუმლოებაში მისი რეალური განცხადება“ [259]. მაგრამ ეს სწორი განმარტება კარგავს თავის დადებით მნიშვნელობას სხვა, მეტისმეტად ზოგადი და ბუნდოვანი ფრაზების კონტექსტში, როგორებიცაა: „ევქარისტია არის საიდუმლო ტრაპეზი, რომელიც ხილულ სიმბოლოთა მეშვეობით გვაზიარებს ღმრთაებრივ სიყვა-- რულს იესო ქრისტეს მიერ“ [260], ანდა: „ევქარისტია არის დიადი მსხვერპლი ქებისა, რომლის მეშვეობითაც ეკლესია ყველა დაბადებულის სახელით ლაპარაკობს“ [261].

„ნემ“-ი არაფერს ამბობს ევქარისტიის საიდუმლოს ცენტრალური მომენტის — წმიდა ძღვენის ქრისტეს ხორცად და სისხლად გადაქცევის შესახებ. როგორც ცნობილია, ლუთერანები, რეფორმატები და ყველა მრავალრიცხოვანი პროტესტანტული სექტა უარყოფს ეკ-

ლესიის სწავლებას პურისა და ღვინის ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაქმნის შესახებ. „ნემ"-ის ეკუმენისტი ავტორებიც არაფრად აგდებენ ევქარისტიის ამ ცენტრალურ მომენტს და ამტკიცებენ, რომ -იესო ქრისტეს „ანამნეზი" (გახსენება) წარმოადგენს ევქარისტიული ტრაპეზის არსს" [262].

„ნემ"-ი, ერთი მხრივ, ამბობს, რომ „ეკლესია აღიარებს ევქარისტიაში ქრისტეს ნამდვილ, ცხოველ და აქტიურ ყოფნას"[263], მაგრამ § 13-ის კომენტარში წერია: „ზოგიერთი სხვა ეკლესია, თუმცა კი ამტკიცებს ქრისტეს ნამდვილ ყოფნას ევქარისტიის საიდუმლოებაში, მაგრამ ამ ყოფნას ასე გარკვევით არ უკავშირებს პურსა და ღვინოს. ეკლესიებს მინდობილი აქვთ თვითონ გადაწყვიტონ, შეიძლება თუ არა, რომ ასეთი განსხვავება დარჩეს და განაგრძოს არსებობა ტექსტში ფორმულირებულ შეხედულებათა დამთხვევების ფარგლებში"[254].

გვთავაზობს რა ასეთ მკრეხელურ კომპრომისს უდიდეს საეკლესიო საიდუმლოსთან, ეკუმენიზმი თავის ნამდვილ ხასიათს ამჟღავნებს. ქრისტეს აბსტრაქტული „ყოფნით" აშკარა სპეკულაცია, რომელიც სულაც არ არის უცილობლად დაკავშირებული პურსა და ღვინოსთან, გახლავთ დაუშვებელი დაკნინება და ფაქტიური უარყოფა ღმრთივგამოცხადებული და მამების მიერ გადმოცემული სწავლებისა. ხოლო ეს სწავლება ქადაგებს, რომ ევქარისტული პური და ღვინო მიუწვდომლად და საიდუმლოდ გარდაიქმნება უფლის ხორცად და სისხლად, რომლებშიც ქრისტე მყოფობს „თავისი არსებით, ანუ სულითა და ღმრთაებრიობით, როგორც სრული ღმერთი და სრული კაცი"[265].

სწავლება წმ. ძღვენის (ევქარისტიის ცენტრალური მომენტის) გარდაქმნის შესახებ ახალი აღთქმის მოწმობებზეა დამყარებული, პირველ ყოვლისა მაცხოვრის სიტყვებზე: (იოან. 6, 48—58; მათ. 26, 26—28; მარკ. 14, 22—24; ლუკ. 22, 19—20; შდრ. I კორ. 11, 23—25). ეს სწავლება, მოციქულთა დროიდან მოყოლებული, ყოველთვის ცოცხლობდა მართლმადიდებელ ეკლესიაში.

იაკობ მოციქულის, ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ჟამის წირვის ტექსტში წმ. ძღვნის კურთხევას წინ უძღვის ლოცვა მამა ღმერთის მიმართ. ამ ლოცვით მღვდელი თხოულობს, რომ უფალმა სული წმიდის მოვლინებით გარდააქციოს, გარდაქმნას, შეცვალოს წინადაგებული პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად. მიტრ. მაკარი დაასკვნის: „ასეთი თანხმობა ყველა ძველი ლიტურგიისა, თანაც, ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა სწავლება წმ. ევქა-

რისტიის შესახებ, უეჭველად მოწმობს, რომ სწორედ ასეთი იყო მოციქულთა გადმოცემა და ასე სწამდა ყოველთვის წმ. მსოფლიო ეკლესიას"[266]. წმ. მამები და ეკლესიის მოძღვრებიც გვასწავლიან, რომ ევქარისტიის საიდუმლოში პური და ღვინო გადაიქცევა, გარდაიქმნება და შეიცვლება ქრისტეს ხორცად და სისხლად".

წმ. იუსტინე ფილოსოფოსი (II ს.) გვეუბნება, რომ „ის საზრდელი (ევქარისტია), რომელზეც მადლობის ლოცვა იკითხება და რომელიც გარდაქმნის შემდეგ ზრდის ჩვენს ხორცს და სისხლს, არის ხორცი და სისხლი განხორციელებული იესო ქრისტესი"[267]. წმ. კირილე იერუსალიმელი (VI ს.) წერს: „ოდესღაც ქრისტემ კანას გალილეას შეაცვალა წყალი სისხლის მსგავს ღვინოდ (იოან. 2, 1—10). მაშ რატომღა უნდა იყოს საეჭვო, რომ ღვინო სისხლად იქცევა?"[268] „ღალადების აღსრულების შემდეგ პური ხდება ხორცი ქრისტესი, ხოლო ღვინო — სისხლი"[269].

წმ. გრიგოლ ნოსელი (IV ს.) ამბობს: „ჭეშმარიტად ვფიქრობ და მწამს, რომ დღესაც პური, ღმრთის სიტყვით განწმედილი, უფლის ხორცად[270] იქცევა". წმ. ამბროსი მედიოლანელი წერს: „რამდენჯერაც ვღებულობთ საიდუმლოებებს, რომლებიც წმ. ლოცვის საიდუმლოს მეშვეობით ქრისტეს ხორცად და სისხლად იქცევა, ჩვენ უფლის სიკვდილს[271] ვიმეორებთ" (I კორ. 11, 26).

თეოდორე ჰერაკლიელი (IV ს.) განმარტავს: „ესე არს ხორცი ჩემი, და ესე არს სისხლი ჩემი — თქვა უფალმა, რათა ჩვენ არ ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ სახეა ხორცისა და სისხლისა, არამედ პური არის ხორცი უფლისა და ღვინო — სისხლი უფლისა, რომლებიც სული წმიდის მიუწვდომელი მოქმედებით გარდაიქმნებიან"[272]. წმ. იოანე დამასკელი გვიმოწმებს: „წინადაგებული პური და ღვინო წყლითურთ სული წმიდის მოხმობისა და მისი გარდამოსვლის მეშვეობით ზებუნებრივად გარდაიქმნება ქრისტეს ხორცად და სისხლად"[273]. „პური და ღვინო ქრისტეს ხორცისა და სისხლის სახე კი არ არის (ნუ იყოფინ!), არამედ თვით ღმრთაებრივი ხორცი და სისხლი უფლისა, რამეთუ მან თქვა: „ესე არს — არა სახე ხორცისა, არამედ — ხორცი ჩემი, არა სახე სისხლისა, არამედ — სისხლი ჩემი"[274].

რაოდენ შორს დგას ეკლესიის ამ მოძღვრებისგან „ნემ"-ი, როდესაც ასეთ რეფორმატულ განსაზღვრებას გვთავაზობს: „ქრისტეს ცხოველი სიტყვის ძალითა და სული წმიდის ხელმწიფებით პური და ღვინო ქრისტეს ხორცისა და სისხლის საკრამენტულ სიმბოლოებად იქცევიან!"[275]

ამ დროს VII მსოფლიო კრების წმ. მამები ერთხმად ღაღადებენ: „სული წმიდის საყვირთაგან არავინ — არც წმ. მოციქულები და არც ჩვენი დიდებული მამები უსისხლო მსხვერპლს, რომელიც ღმერთის ვნებისა და მთელი მისი აღმშენებლობის მოსახსენებლად აღესრულება, არასოდეს უწოდებენ მისი ხორცის სახეს, რამეთუ მათ არ მიუღიათ უფლისაგან მცნება ასე ეთქვათ ან „ექადაგათ, არამედ სმენიათ, რომ იგი თავის წმიდა სახარებაში ამბობს: „უკეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისა, და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენთა (იოან. 6, 53). და კიდევ: „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი" (მათ. 26, 26). მას არ უთქვამს: „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს სახე ხორცისა ჩემისა". ამრიგად, ნათელია, რომ არც უფალი, არც მოციქულები, არც მამები მღვდლისაგან შეწირულ უსისხლო მსხვერპლს არ უწოდებდნენ სახეს, არამედ უწოდებდნენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს"[276].

ეკლესიისა და წმ. მამების ამ ნათელ მოძღვრებას წმ. ევქარისტიის არსის შესახებ „ნემ"-ი უარყოფს და მას შემთანხმებლური ფორმულირებებით ცვლის. ევქარისტიული პურისა და ღვინის გარდაქმნის უარყოფით „ნემ"-ის ავტორები ეჭვქვეშ აყენებენ იმ აშკარა ჭეშმარიტებას, რომ გარდაქმნილი წმ. ძღვენი ქრისტეს ხორცად და სისხლად რჩება არა მხოლოდ მორწმუნეთა ზიარების დროს, არამედ მის შემდეგაც. ასეთი მზაკვრული უარყოფა დევს ამ სიტყვებშიც: „ზოგიერთი ეკლესია ხაზგასმით აცხადებს, რომ ქრისტეს ყოფნა ნაკურთხ ელემენტებში წირვის შემდეგაც გრძელდება, სხვები კი ევქარისტიის შესრულებისა და ზიარების დროს ელემენტების მიღების აქტზე ამახვილებენ ყურადღებას. რაც შეეხება ელემენტების შენახვას, ყოველმა ეკლესიამ პატივი უნდა სცეს სხვა ეკლესიების პრაქტიკასა და ღმრთისმოშიშებას"[277].

ამრიგად, „ნემ"-ი უშვებს (და ეს მკრეხელური დაშვებაა), რომ წმ. ძღვენი ზიარების შემდეგ ჩვეულებრივი პური და ღვინო ხდება, ისე, რომ ქრისტეს ხორცისა და სისხლის სიმბოლოც კი აღარ არის, ამიტომ მათი, როგორც მაცხოვრის ხორცისა და სისხლის შენახვის აუცილებლობაც აღარ არსებობს. ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს, როგორც ემს-ს წევრებს მოუწოდებენ პატივი სცენ ამ „პრაქტიკასა" და „ღმრთისმოშიშებას", რომლებიც არსებითად კლავენ წმ. ძღვენის გარდაქმნის რწმენას და აზრს უკარგავენ თვით. წმ. ევქარისტიის საიდუმლოს. ეს არის ეკუმენისტური უტიფრობის უკიდურესი გამოხატულება!

ამის საპირისპიროდ აღმოსავლეთის პატრიარქები თავიანთ „ეპისტოლეში მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის“ (1723 წ.) გარკვევით აცხადებენ: „გვწამს, რომ მსხვერპლი ესე (ანუ ევქარისტია), როგორც მის მიღებამდე, წმ. ძღვნის კურთხევის შემდეგ, ისევე მისი მიღების (ანუ ზიარების) შემდეგაც, წმ. ჭურჭელში შენახული მომაკვდავ ქრისტიანთათვის, არის ჭეშმარიტი ხორცი უფლისა... ისე რომ მიღებამდეც, ძღვნის კურთხევის შემდეგ, მიღების დროსაც და მის მერეც, ყოველთვის რჩება უფლის ჭეშმარიტ ხორცად“[278].

კომპრომისული შემთანხმებლობის ეკუმენისტური პრინციპი, რომელსაც „ნემ“-ის ავტორები აღიარებენ, ვერ ჩქმალავს ეკუმენისტურ ტექსტსა და ახალი აღთქმის სწავლებას შორის არსებულ განსხვავებას. თუ ამ უკანასკნელის მიხედვით წმ. ევქარისტია არის მსხვერპლი (და ეს ძირითადი დოგმატური ცნებაა), პროტესტანტობა მას გახსენებად მიიჩნევს. „გახსენების ბიბლიური გაგების გათვალისწინებით ყველა ეკლესიამ უნდა გადახედოს ძველ დავას „მსხვერპლის“ თაობაზე და უფრო ღრმად ჩაუფიქრდეს, რატომ უარყვეს სხვა ტრადიციებმა ეს ტერმინი“[279].

ცხადია, ევქარისტია არის მოსახსენებელი მსხვერპლი, როგორც თვით მაცხოვარი ამბობს: „ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა“ (ლუკ. 22, 19), და ეს სიტყვები უშუალოდ მოსდევს თვით ევქარისტიის საიდუმლოს დამაარსებელ სიტყვებს: „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, თქუენთვის განტეხილი“ (შდრ. I კორ. II, 24). სასმისის შესახებ თქმული ასეთივე სიტყვების შემდეგ უფალი ამბობს: „რამეთუ რავდენ-გზისცა სჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მოუთხრობდით“ (I კორ. 11, 26). უკანასკნელი სიტყვები გარკვევით მიუთითებენ წმ. ევქარისტიის საიდუმლოს, როგორც წყალობის მსხვერპლის ხასიათზე. ეს მსხვერპლი არის შეწირული „მისატევებელად ცოდვათა“ (მათ. 26, 28), ეკლესიის ყველა ცოცხალი თუ შესვენებული წევრისათვის — „ცხოვრებისათვის სოფლისა“ (იოან. 6, 51).

მაგრამ „ნემ“-ის ავტორები, თავიანთი პროტესტანტულ-ეკუმენისტური მრწამსის ერთგულნი, დუმილით უვლიან გვერდს ევქარისტიის ამ ძირითად თვისებას, რომელიც უშუალოდ ევქარისტიის მოსახსენებელ ხასიათთანაა დაკავშირებული. ეკლესია ჯერ კიდევ ძველად ამახვილებდა ყურადღებას ევქარისტიის, როგორც მსხვერპლის მნიშვნელობაზე. I მსოფლიო კრების წმ. მამები გვიმოწმებენ: „წმ. ტრაპეზზე დასვენებულია კრავი ღმრთისა, „რომელმან აღიხუნეს

ცოდვანი სოფლისანი" (იოან. 1, 29), რომელსაც მღვდლები უსისხლო მსხვერპლად შესწირავენ"[280].

ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიებში, საიდუმლო ლოცვაში, რომელსაც მღვდელი კითხულობს „რომელნი ქერუბიმთას" დროს, ნათქვამია: „შენ ქრისტე... მსახურებრივისა ამის და უსისხლოჲსა მსხვერპლისა მღვდელმოქმედებაჲ მოგვანიჭე ჩვენ" (სამღვდელო კონდაკი).

წმ. კვიპრიანე კართაგენელი განმარტავს: „იესო ქრისტე, უფალი ჩვენი და ღმერთი, არის თავად უზენაესი მღვდელი მამა ღმერთისა, მან პირველმა შესწირა თავი თვისი მსხვერპლად მამას და ჩვენც გვიბრძანებს ვყოთ ესე მოსახსენებელად მისა"[281]. წმ. კირილე იერუსალიმელიც „მოსახსენებელ მსხვერპლს უწოდებს ევქარისტიას და ამბობს: „როდესაც მიცვალებულთათვის ლოცვას ვწირავთ ღმერთს, ვწირავთ ქრისტეს, ჩვენი ცოდვებისათვის დაკლულს, და ამით მათთვისაც და ჩვენთვისაც კაცთმოყვარე ღმრთის წყალობას მოვიპოვებთ[282]. მსჯელობას აღმოსავლეთის პატრიარქთა მოწმობით დავასრულებთ: „გვწამს, რომ ესე არს მსხვერპლი წყალობისა, ყველა ღმრთისმოშიშებით მცხოვრებისა და შესვენებულისათვის შეწირული, და როგორც ამ საიდუმლოს ლოცვებშია თქმული, ეკლესიას გადაეცა მოციქულებისგან უფლის მცნებისაებრ, საცხოვნებელად ყოველთა"[283].

ამგვარად, „ნემ"-ი პრინციპულად უპირისპირდება ეკლესიისა და წმ. მამათა სწავლებას წმ. ძღვენის ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაქმნისა და ევქარისტიული მსხვერპლის არსის შესახებ. მაგრამ „ნემ"-ის საღმრთისმეტყველო ნაკლოვანებები ამით როდი ამოიწურება. აქვე ჩამოვთვლით დანარჩენებსაც:

1) თანამედროვე ეკუმენიზმის სულისკვეთების შესაბამისად, ევქარისტია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უცხო სეკულარისტულ ასპექტში განიხილება. მაგალითად, აქ წერია: „ტრაპეზები, რომლებშიც იესო ქრისტე თავისი ამსოფლიური მსახურების დროს მონაწილეობდა, სასუფევლის სიახლოვეს მოასწავებენ და განახორციელებენ. სასუფევლის ხილული ნიშანია ხალხის გამოკვება"[284]. ამ სიტყვებში გამოსჩვივის მიწიერი „ღმრთის სასუფევლის" იდეა, რომელსაც აქტიურად უჭერს მხარს ეკუმენიზმი და რომელსაც არაფერი აქვს საერთო მაცხოვრის მიერ ქადაგებულ ღმრთის სასუფეველთან. სინამდვილეში ღმრთის სასუფეველი არის ხელთუქმნელი რეალობა, „შინაგანად განმაახლებელი მადლი სულისა წმიდისა, მისი

სრულყოფილი ნაყოფი და გამოვლინება"[285]. (შდრ. გალ. 5, 22—23). „ხალხის გამოკვების ეკუმენისტური განმარტება სრულიად უსუსურია: იმ ხალხს, რომელიც უფალმა გამოკვება, თავად იგი მიმართავს საყვედურით: „მეძიებთ მე არათუ, რამეთუ იხილენით სასწაულნი, არამედ რამეთუ სჭამეთ პურთა მათგან და განსძეხით. იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს საუკუნოდ, რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქუენ" (იოან. 6, 26—27). ამის შემდეგ რაღა საფუძველი აქვს მტკიცებას, თითქოს „ხალხის გამოკვება" უფლის სასუფევლის ნიშანი იყო? წმ. პავლე მოციქულიც კატეგორიულად აცხადებს: „არა არს სასუფეველი ღმრთისა საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმიდითა" (რომ. 14, 17).

2) „ნემ"-ის მე-2 პარაგრაფში ევქარისტიის შესახებ ვკითხულობთ: „ქრისტეს აღთქმისაებრ, ყოველი ნათელღებული წევრი ეკლესიისა ევქარისტიის საშუალებით ღებულობს ცოდვათა მიტევებას (მათ. 26, 28) და საუკუნო ცხოვრების საწინდარს (იოან. 6, 51 — 58)[286]. ეს ფორმულირება ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ნებისმიერი ნათელღებული ქრისტიანი ევქარისტიის საშუალებით მექანიკურად ღებულობდეს ცოდვათა მიტევების გარანტიას. აშკარაა ამ აზრის პროტესტანტული ხასიათიც. მოციქულის სიტყვით (I კორ. 11, 27—28), თუ უღირსად ვეზიარებით, ევქარისტია მისატევებლად კი არა, ცოდვათა გასამრავლებლად და დასასჯელად შეგვექმნება (I კორ. 11, 29).

მაგრამ პროტესტანტებმა, რაკი უარყვეს სინანულის საიდუმლო (აღსარება), საერთოდ დაკარგეს უღირსად ზიარების ცნება და ამიტომ იმასაც უარყოფენ, რომ მღვდლის წინაშე პირადი ცოდვების აღიარება წმ. ზიარების აუცილებელი პირობაა. ცნობილია, რომ აღსარება ზიარების წინ ეკლესიაში ძველთაგანვე იყო დანერგილი. ისეთი რაციონალისტიც კი, როგორიცაა პროტესტანტი ღმრთისმეტყველი ადოლფ ჰარნაკი, აღიარებდა: „ჩვენ უარვყავით აღსარების საიდუმლო და სანაცვლოდ მივიღეთ სინანულის პირადი შეგნება... მაგრამ ეს ჩვენი პირადი შეგნება ნულის ტოლია".

3) უნდა გაირკვეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი ევქარისტიის საიდუმლოს სჯულიერი აღმასრულებლის შესახებ. „ნემ"-ში ნათქვამია: „ევქარისტიის აღსრულებისას ქრისტე კრებს, ასწავლის და კვებავს ეკლესიას. ქრისტე არის ის, ვინც იწვევს ტრაპეზზე და ის, ვინც სათავეში უდგას ამ ტრაპეზს. იგია მწყემსი, რომელიც წინ უძღვის

უფლის ერს, წინასწარმეტყველი, რომელიც გვაუწყებს ღმრთის სიტყვას, მღვდელი, რომელიც საღმრთო საიდუმლოს აღასრულებს. ეკლესიათა უმეტეს ნაწილში ეს ხელმძღვანელობა ხელდასხმულ მღვდელს აკისრია. ევქარისტიული მსახურების აღმასრულებელი გვაგრძნობინებს, რომ... ევქარისტია გვეძლევა, როგორც ნიკი ქრისტესი, რომელიც მყოფობს თავის ეკლესიაში"[287].

ამ სიტყვებით „ნემ"-ი, როგორც ჩანს, ცდილობს პლურალიზმის პოზიციიდან გაამართლოს და გააერთიანოს ევქარისტიული პრაქტიკის ყველა სახე. ინიღბება რა იმ უეჭველი მისტიური ჭეშმარიტებით, რომ უფალი იესო ქრისტე არის ის, ვისაც ეკლესია უგალობს: „რამეთუ შენ ხარ შემწირველი და შეწირული და შემწყნარებელი და მიმცემელი" (სამღვდელო კონდაკი), როგორც მღვდელი ამბობს საიდუმლო ლოცვაში „რომელნი ქერუბიმთა"-ს დროს, „ნემ"-ი აკნინებს საკითხს საიდუმლოთა ამსოფლიური აღმასრულებლის შესახებ და ამტკიცებს, რომ ევქარისტია შეიძლება აღასრულოს „ხელდასხმულმა მღვდელმაც", როგორც ეს ეკლესიათა უმეტესობაშია მიღებული, და უბრალო საერომაც, როგორც ამას პროტესტანტულ სექტებში სჩადიან. „ევქარისტიული მსახურების აღმასრულებელში" ნებისმიერი შეიძლება ვიგულისხმოთ: სჯულიერი მართლმადიდებელი მღვდელი თუ ეპისკოპოსი და ლუთერანი პასტორი თუ ანგლიკანი ქალი-„მღვდელმსახურიც". ცნებათა ამ აღრევას არაფერი აქვს საერთო მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიო შეგნებასთან, რომელიც მოციქულთა დროიდან ინახავს და ქადაგებს იმ ერთადერთ ჭეშმარიტებას, რომ „ევქარისტიის საიდუმლოს აღსრულების ხელმწიფება აქვთ მხოლოდ ეპისკოპოსებს, როგორც მოციქულთა მემკვიდრეებს, და ეს ხელმწიფება მათი საშუალებით მღვდლებს გადაეცემათ"[288]. აღმოსავლეთის პატრიარქები „ეპისტოლეში მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის" ამბობენ: „გვწამს აგრეთვე, რომ წმიდა ევქარისტიის საიდუმლოს აღსრულება შეუძლია არა ყველას, არამედ მხოლოდ ღმრთისმოშიშ მღვდელს, რომელმაც მღვდლობა ღმრთისმოშიში ეპისკოპოსისაგან მიიღო" [289].

დ) მღვდლობის (მსახურების) საიდუმლო

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ნემ"-ის მესამე განყოფილება, რომელიც მღვდლობის საიდუმლოს ეხება, რადგან ამ საიდუმლოს ქმედითობაზეა დამოკიდებული დანარჩენების, მეტად-

რე კი ევქარისტიის საიდუმლოს ქმედითობა. ხოლო ამ უკანასკნელის მთავარი პირობა, როგორც ვთქვით, ისაა, რომ იგი აღასრულოს სჯულიერი ეპისკოპოსისაგან ხელდასხმულმა სჯულიერმა მღვდელმა.

მღვდლობის საკითხს ეკუმენისტებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იერარქიათა ურთიერთცნობის პოზიციიდან — ისინი ესწრაფვიან ურთიერთცნობას მოლაპარაკებების დროს, რომლებიც ცალკეულ აღმსარებლობათა გაერთიანებას ეხება. ეს გულახდილად განაცხადა გლოჩესტერის ანგლიკანელმა ეპისკოპოსმა რიფონდის კონფერენციაზე. რომელიც 1933 წლის 31 ოქტომბერს შედგა. „ნამდვილი გაერთიანება მაშინ დაიწყება, როდესაც მღვდლობას გავაერთიანებთ. ამაზე ჩვენ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიაშიც ვმუშაობთ. და თუმცა იქ საქმე შედარებით ნელა მიდის წინ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს აუცილებლად მივაღწევთ შედეგს!“[290]

ასეთივე ქედმაღლური თავდაჯერება საბოლოო შედეგის, იერარქიათა ურთიერთცნობის მიღწევის საკითხში იგრძნობა „ნემ“-ის თვითეულ სტრიქონში, რაც ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს და, პირველ ყოვლისა, მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს — მოციქულთა მადლიანი ხელდასხმის მატარებლებს — ეკუმენიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა განაწყობდეს.

პროტესტანტულ წრეებში საკმაოდ ხშირია მღვდლობის საკითხის ბუნდოვანი განმარტება. მაგალითად, ემს-ს გენერალური მდივანმა პოტერმა თავის შესავალ სიტყვაში ვანკუვერის VI ასამბლეაზე არასწორად განმარტა წმ. პეტრე მოციქულის სიტყვები, ქრისტიანობის, როგორც „სამღვდელო სამეუფოს“ (I პეტრ. 2, 9). შესახებ. მან განაცხადა: „რეფორმაციის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება, რომელიც მარტინ ლუთერს ეკუთვნის, არის აღმოჩენა (!), რომ ,ყოველი — ქალი თუ კაცი არის მღვდელი ღმრთის წინაშე... იმის მიუხედავად, ხელდასხმულია იგი თუ ერისკაცი“[291].

„ნემ“-ში გატარებულია ასეთივე აღრევა სჯულიერი, საკრამენტული მღვდლობისა და ზოგადი „სამეუფო მღვდლობისა“, რასაც ერთი მიზანი აქვს — საკრამენტული მღვდლობის დამცირება და სამღვდელოებასა და ერისკაცებს შორის ზღვარის წაშლა.

„ნემ“-ი მკრეხელურად აცხადებს, რომ ეკლესიები ხელდასხმული მღვდლობის თავიანთ ფორმებს უშუალოდ იესო ქრისტეს არ უნდა მიაწერდნენ და ეს ფორმები მაცხოვრის დაწესებულად არ უნდა მიიჩნიონ[292]: ავტორები (რომელთა შორის „მართლმადიდებლებიც“ არიან), გაუგონარი ეკუმენისტური უტიფრობით აცხადებენ, რომ არ

სწამთ მღვდლობა, როგორც მაცხოვრის მიერ დაწესებული საიდუმლო და ყველაფერი დაჰყავთ მღვდელმსახურთა დანიშვნამდე „ხელდასხმის გზით“.

„ნემ“-ში არსად ჩანს მსჯელობა ხელდასხმის საიდუმლოზე, რომელსაც აღასრულებს ეპისკოპოსი, როგორც მოციქულთა მემკვიდრე, ლაპარაკია მხოლოდ „დანიშვნაზე“ რაღაც უპიროვნო „ხელდასხმის გზით“ (ვის მიერ?).

ხელდასხმის, როგორც ნამდვილი მღვდლობის აუცილებელი პირობის ასეთი აშკარა უარყოფა ძალიან ხშირად გვხვდება არა მარტო პროტესტანტებთან, არამედ ანგლიკანელებთანაც. მაგალითად, დოქტორი ჰელდამი, ცნობილი ანგლიკანელი ღმრთისმეტყველი და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, თვლიდა, რომ ძველი ქრისტიანული ეკლესიის ეპისკოპოსები მოციქულთა მემკვიდრეები იყვნენ „არა იმიტომ, რომ მოციქულთაგან გადმოცემული მადლი მიიღეს, არამედ იმიტომ, რომ ეკლესიამ ისინი იმ მოვალეობის შემსრულებლებად დაადგინა, რომელსაც მოციქულები ასრულებდნენ“[293]. ამ უკიდურესად მცდარ შეხედულებას დ-რ ჰელდამისათვის ხელი არ შეუშლია, ანგლიკანელი ეპისკოპოსი გამხდარიყო, რაც ნიშნავს, რომ მისი ეკლესიაც სოლიდარობას უცხადებს მას.

1988 წელს ანგლიკანელ ეპისკოპოსთა ლამბეტის კონფერენციაზე მიიღეს არა მარტო „მღვდელი ქალების“, არამედ „ეპისკოპოსი ქალების“ ხელდასხმაც. მალე ეს რეალურადაც განახორციელეს: 1989 წლის 12 თებერვალს შესრულდა ბარბარა ჰარისის „ხელდასხმა“ „ეპისკოპოსად“[294]. ასეთ თვითნებობამდე მივყავართ ხელდასხმის პრინციპის უგულებელყოფას! ამის შემდეგ განა შესაძლებელია მართლმადიდებელთა მონაწილეობა „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში“, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა ქალთა „მღვდლობის“ იდეას!

„ნემ“-ის III განყოფილება, რომელსაც ეწოდება „ხელდასხმული მღვდლობის ფორმები“, ჯიუტად ავითარებს აზრს, რომ „ახალი აღთქმა არ იძლევა მღვდლობის ერთადერთ ტიპს, რომელიც შეიძლება გამოდგეს ნიმუშად ანდა უცვლელ ნორმად ეკლესიის მთელი მომავალი მღვდლობისათვის. ახალ აღთქმაში ჩვენ უფრო ფორმათა მრავალფეროვნებას ვხედავთ, რომლებიც სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს არსებობდნენ“[295]. ამ ბოლო სიტყვებში არა მარტო ახალი აღთქმისეული იერარქიის მიუღებლობა ვლინდება, არამედ ეჭვქვეშ დგება ახალი აღთქმის წმიდა წიგნების ნამდვილობაც, რომ-

ლებიც ვითომ „სხვადასხვა დროს“ შეიქმნა. შემდეგ „ნემ“-ის შემდგენელნი, ერთგულნი, პროტესტანტული რაციონალიზმისა, გულახდილად აცხადებენ, რომ „მხოლოდ II—III საუკუნეებში დაწესდა სამხარისხოვანი ფორმა — ეპისკოპოსობა, მღვდლობა და დიაკვნობა, როგორც ხელდასხმული მღვდლობის ზოგადი ფორმა მთელ ეკლესიაში“ [296]. ასეთი შეხედულება საეკლესიო იერარქიის სამ ხარისხზე უარყოფს, რომ ისინი წმ. მოციქულებმა დაადგინეს და, მაშასადამე, აუქმებს თვით იერარქიულ ხელდასხმას.

ამ დროს „საქმე მოციქულთაში“, რომელიც ქრისტეს მახარებელმა, წმ. ლუკა მოციქულმა დაწერა (საქმე, I, 6), გარკვევითაა თქმული, რომ წმ. მოციქულებმა პირადად დაასხეს ხელი დიაკონს (საქმე, 6, 6). მოციქულებმა დაასხეს ხელი აგრეთვე წმ. მოციქულებს პავლესა და ბარნაბას (საქმე, 13, 3), რომლებმაც თავის მხრივ აღასრულეს მღვდლების ხელდასხმა თავიანთ მიერ დაარსებულ ყველა ეკლესიაში (საქმე, 14, 23). წმ. პავლე მოციქულმა თავის მოწაფეს, ტიმოთეს ეფესოს ეპისკოპოსად დაასხა ხელი (I ტიმ. 4, 14, 2 ტიმ. 1, 6), სხვა მოწაფე, ტიტე კი კრეტის ეპისკოპოსად დაადგინა და ღაავალა, ყველა იქაურ ქალაქში აღესრულებინა მღვდლების ხელდასხმა (ტიტ. I, 5—7).

ახალი აღთქმის პირდაპირი მოწმობების გარდა იერარქიის სამი საფეხურის არსებობას ადასტურებენ მოციქულთა მემკვიდრეები — მოციქულებრივი მამები: წმ. კლემენტოსი, რომის ეპისკოპოსი, და წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი, ანტიოქიის ეპისკოპოსი. ამ უკანასკნელის ეპისტოლეებში მაგნესიელთა და ტრალისელთა მიმართ პირდაპირ არის ჩამოთვლილი საეკლესიო იერარქიის სამი ხარისხი.

მაგრამ „ნემ“-ში მოციქულებრივი მამების ეს მოწმობები ხელოვნურად უპირისპირდება ერთმანეთს. § 36-ის კომენტარში ვკითხულობთ: „ძველ ეკლესიაში კავშირი საეპისკოპოსოებსა და მოციქულთა თემს შორის ორი საშუალებით გაიაზრებოდა“. ერთი მხრივ, აღიარებენ, რომ წმ. კლემენტოსი პირველ ყოვლისა იმ საშუალებებით ინტერესდებოდა, რომელთა დახმარებითაც ქრისტეს განუშორებლობა ეკლესიაში გარანტირებული იქნებოდა. ხელდასხმის წყალობით, ხოლო მეორე მხრივ, ხაზს უვამენ, რომ წმ. ეგნატე ანტიოქიელი ქრისტიანულ კრებულში, მღვდლებსა და დიაკვნებს შორის, რომლებიც ეპისკოპოსის გარშემო იყვნენ შეკრებილნი, ხედავდა სამოციქულო კრებულისთვის დამახასიათებელ რეალურ სულისკვეთებას.

აქედან კეთდება დასკვნა, რომ მოციქულთაგან მომდინარე ხელდასხმის სიმბოლო მიუთითებს არა მარტო ისტორიულ უწყვეტობაზე, არამედ ნამდვილ სულიერ რეალობაზე [297]. არსებითად, ხელდასხმის ისტორიული უწყვეტობა, რომელსაც წმ. კლემენტოსი იცავს, დევს იმ სულიერი რეალობის საფუძველში, რომლის შესახებაც წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი ლაპარაკობს და რომელიც მოცემულ მომენტში ხელდასხმას წარმოადგენს. შესაბამისად, ორივე მამა ერთსა და იმავე მოვლენაზე ლაპარაკობს, რომელიც ქრისტეს ეკლესიაში მოციქულთაგან მომდინარე უწყვეტი ხელდასხმის გარანტიას იძლევა.

„ნემ"-ი გვერდს უვლის პროტესტანტებისათვის მეტისმეტად უსიამოვნო საკითხს ხელდასხმის, როგორც იერარქიული მაღლის გადაცემის შესახებ მოციქულთა დროიდან დღემდე, ხელდასხმის უწყვეტი ჯაჭვის საშუალებით, რომელიც ლუთერმა გაწყვიტა (XVI ს.). სამაგიეროდ „ნემ"-ი გვთავაზობს ახალ გამოთქმას: „მემკვიდრეობითობა სამოციქულო გადმოცემაში". მისი მიზანია მოაშოროს ყურადღება მთავარს — იერარქიულ ხელდასხმას, რომელიც ფაქტს ეყრდნობა. და უფრო ფართო ცნებას — სამოციქულო გადმოცემას სწევს წინ. და რაკი ეს ტერმინი სხვადასხვა განმარტების საშუალებას იძლევა, იგი პროტესტანტებს უფრო მეტად აძლევს ხელს.

ამ გამოთქმას „ნემ"-ის საამებლად „მართლმადიდებელი" ეკუმენისტებიც იყენებენ. „ნემ"-ის ერთ-ერთი შემდგენელი, პროტოპრესვიტერი ვიტალი ბოროვოი თავის მოხსენებაში „ლიმის დოკუმენტების შეფასება ნათლისღების, ევქარისტიისა და მღვდლობის შესახებ" ლაპარაკობს „სამოციქულო გადმოცემის ორგანულ მემკვიდრეობითობაზე მსოფლიო კრებების ეპოქის ძველ ეკლესიაში (რომელიც საერთო იყო ჩვენთვის, ყველასთვის, ჯერ კიდევ განყოფამდე)" [298]. მაგრამ მაშინ ხომ პროტესტანტები არ არსებობდნენ! შემდეგ ბოროვოი წერს, რომ „აუცილებელია ქრისტიანული ერთიანობის აღდგენა მთელი ეკუმენისტური თანამეგობრობის ერთობლივი, ძმური ძალისხმევით, სამოციქულო გადმოცემის ისტორიული მემკვიდრეობითობის საფუძველზე... განსაკუთრებით რთული და დელიკატურია ქალთა მღვდლობის საკითხი" [299].

ნაცვლად იმისა, რომ უარყოს ეს „დელიკატური" საკითხი, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიაში საერთოდ არ არსებობს, ბოროვოი აუცილებლად მიიჩნევს, რომ „ამ საკითხზე მსჯელობისას სხვა ეკლესიებმა გაითვალისწინონ მათი გადაწყვეტილებების ეკუმენის-

ტური პერსპექტივები ყველა ქრისტიანის ერთიანობისათვის და მოციქულთა გადმოცემის ერთგულების ერთნაირი გაგებისათვის". ამ სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ მოციქულთა გადმოცემა „დელიკატურ" საკითხშიც კი მსჯელობის საგანი ხდება „ყველა ქრისტიანის ერთიანობის ეკუმენისტური პერსპექტივების" გამო! ეს კი იმას ნიშნავს, რომ „მოციქულთა გადმოცემის" ცნებას ეკუმენისტები სპეკულაციურად იყენებენ საკუთარი მიზნებისათვის.

36-ე პარაგრაფში საეპისკოპოსო მემკვიდრეობითობა გადმოცემულია, როგორც „ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც გამოიხატება ეკლესიაში სამოციქულო გადმოცემა. ეს მემკვიდრეობითობა გაგებულია, როგორც სამოციქულო სარწმუნოებისა და მემკვიდრეობითობის სიმბოლური აღნიშვნა და დაცვა" [30C]. ისევე, როგორც ნათლობისა და ევქარისტიის საიდუმლოებებში, „ნემ"-ი აქაც არ სცილდება საიდუმლოთა პროტესტანტულ, სიმბოლურ გაგებას, და არ სცნობს საიდუმლოებებს, როგორც ცხონებისათვის აუცილებელ ღმრთივდაწესებულ საეკლესიო წეს-განგებებს, რომელთა მეშვეობითაც მორწმუნეებს ღმრთის მადლი ენიჭებათ.

38-ე პარაგრაფში ნათქვამია, რომ ეკლესიები, რომლებსაც არ შეუნარჩუნებიათ საეპისკოპოსოები, ღებულობენ საეპისკოპოსო მემკვიდრეობითობას, როგორც სიმბოლოს, მაგრამ არა როგორც ეკლესიის მემკვიდრეობითობისა და ერთიანობის გარანტიას" [3C1]. შემდგომ „ნემ"-ში ლაპარაკია იმაზე, რომ „მათ არ შეუძლიათ (ანუ არ სურთ — ავტორის შენიშვნა) გაიზიარონ, რომ მათი საკუთარი ტრადიციით მიღებული მსახურება გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტამდე, ვიდრე საეპისკოპოსო მემკვიდრეობითობის არსებულ ხაზს არ შეუერთდება" [3C2].

„ნემ"-ის ბოლო თავი ასეა დასათაურებული: „ხელდასხმული მღვდლობის ურთიერთცნობისათვის". აქ გამჟღავნებულია საბოლოო ეკუმენისტური მიზანი — ემს-ში შემავალ ცალკეულ აღმსარებლობათა იერარქიების ურთიერთცნობა. 51-ე პარაგრაფში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „ეკლესიები მზად უნდა იყვნენ განაახლონ (!) მღვდელთა ხელდასხმის თავიანთი გაგება და პრაქტიკა" [303]. 53-ე პარაგრაფში „ნემ"-ის ავტორები კადნიერდებიან მოითხოვონ, რომ „ეკლესიებმა, რომლებმაც შეინარჩუნეს ეპისკოპოსთა უწყვეტი ხელ-

დასხმა, აღიარონ ხელდასხმული მღვდლობის სამოციქულო შინაარსი იმ ეკლესიებში, რომლებმაც ასეთი ხელდასხმა ვერ შეინარჩუნეს, და ასევე აღიარონ ამ ეკლესიებში ეპისკოპოსობის სხვადასხვა ფორმის არსებობა“ [304].

რა ფორმებზეა ლაპარაკი ღმრთივდაწესებული სამხარისხოვანი იერარქიის გარდა, არ აზუსტებენ, რამეთუ ასეთი „ფორმები“ არ არსებობს და შეუძლებელიცაა არსებობდეს. ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, რომლებიც მიზნად მკითხველისათვის თვალებში ნაცრის შეყრას ისახავენ.

54-ე პარაგრაფში ვკითხულობთ: „ზოგიერთი ეკლესია მხოლოდ მამაკაცების ხელდასხმას ცნობს. განსხვავება ამ საკითხში ხელს უშლის მღვდლობის ურთიერთცნობას. მაგრამ ეს არ უნდა ჩაითვალოს არსებით დაბრკოლებად ურთიერთცნობის მიღწევის შემდგომი მცდელობისათვის“. როგორც ვთქვით, ემს მხარს უჭერს ქალთა „მღვდლობის“ იდეას, მაგრამ ამჯერად ეკლესიებისა და მათი „მღვდლობის“ ურთიერთცნობის მისაღწევად ცდილობს თავიდან მოიცილოს ეს დაბრკოლება და ამიტომ დაასკვნის: „ეკუმენისტური იდეები კი არ უნდა აბრკოლებდნენ, არამედ პირიქით, ხელსაც უნდა უწყობდნენ გულახდილ მსჯელობას [305] ამ საკითხზე“.

და ბოლოს, „ნემ“-ის 55-ე პარაგრაფში „ეკლესიებისა და მათი მღვდლობის ურთიერთცნობის უმაღლეს გამოხატულებად“ გვთავაზობენ მათ ერთობლივ ევქარისტიულ მსახურებასა და ერთობლივ ხელდასხმას![306]

მართლმადიდებელ მღვდელმთავრებს, მოციქულთაგან მომდინარე უწყვეტი ხელდასხმის ძვირფასი მემკვიდრეობის მატარებლებს, კარგად უნდა ესმოდეთ, რომ თუკი ისინი რაიმე მოსაზრებით (ცხადია, დიპლომატიურ-ეკუმენისტურით და არა ეკლესიურით) დათანხმდებიან ზემოაღწერილ ეკუმენისტურ პაროდიას, ისინი ავტომატურად დაკარგავენ განსაკუთრებულ იერარქიულ მადლს, რომელსაც ქიროტონიის დროს ღებულობენ, და ამით დაკარგავენ თავიანთ სამოციქულო ხელდასხმასაც, რამეთუ, მოციქულთა 45-ე კანონის თანახმად, „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებლებთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა. თუ ნებას მისცემს მათ (მწვალებლებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდელო წესი, როგორც მღვდლებმა, განიკვეთოს“.

ნუ იყოფინ ესე!

მე-10 მ ი ზ ე ზ ი

ეკუმენიზმი არ იძლევა მართლმადიდებლური მისიოლოგიის უფლებას არამართლმადიდებელთა ზორის, იგი ანიჭებს პროტესტანტულ საზოგადოებებს „ეკლესიების“ სტატუსს, პრეტენზიას აცხადებს მართლმადიდებელ ეკლესიაზეც და მას მიწიერების სულისკვეთებით ასნეულებს

ა) მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობას ემს-ში არაფერი ამართლებს

დასავლეთის არამართლმადიდებელი დამკვირვებლები ერთობ წინააღმდეგობრივად და ალოგიკურად მიიჩნევენ, რომ ემს-ში მონაწილეობს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც აქვს პრეტენზია და არის კიდეც ქრისტეს ერთადერთი ჭეშმარიტი ეკლესია [307].

მაინც, რას დაეძებენ მართლმადიდებელი ქრისტიანები ეკუმენისტურ საბჭოში, რომლის იდეოლოგიაც სრულიად არ ემთხვევა მართლმადიდებლურს? რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს მართლმადიდებლობას ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობამ, რომლის მიზანი სრულიადაც არ არის ყველა აღმსარებლობის გაერთიანება ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტების წიაღში, არამედ ზეეკლესიური, უფრო ზუსტად, ანტიეკლესიური გაერთიანების შექმნა, სადაც არავის ექნება ცალკე საზღვრები თავისი აღმსარებლობისთვის [308] (ვისერ-ჰუფტი) და სადაც უკვე აღარ იარსებებს „მართლმადიდებელი ეკლესია“ ამ სიტყვის განსაკუთრებული მნიშვნელობით?

ამ შეკითხვებზე „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტები ჩვეულებრივ უპასუხებენ, რომ ეკუმენისტურ შეკრებებზე ისინი მართლმადიდებლობის „დასამოწმებლად“ და მისდამი არამართლმადიდებელთა ყურადღების მისაქცევად დადიან. ასე მაგალითად. ბოსეში, ეკუმენისტურ ყრილობაზე (1949 წლის იანვარი), მართლმადიდებელი ახალგაზრდობის წარმომადგენლები აცხადებდნენ: „მართლმადიდებლები ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობენ იმის სრული შეგნებით, რომ მათი ქრისტიანული ვალია იყვნენ მართლმადიდებლობის ცოცხალი მოწმენი, რომლებიც მზად არიან განმარტონ სხვა ქრისტიანებისთვის ნაკლებად ცნობილი დოგმატები, კერძოდ ყოვლადწმიდა ქალწულის, ღმრთისმშობლის ადგილი ეკლესიის ცხოვრებაში“ [309].

მაგრამ განხორციელდა კი ეს კეთილი მიზნები, ჩვენი საუკუნის შუა ხანებში რომ გამოითქვა? არა, რამეთუ ეკუმენიზმი მხოლოდ სიტყვით ამტკიცებს, თითქოს ჭეშმარიტებას დაეძებს, საქმით კი არ

ცდილობს მის პოვნას. გაერთიანებას იგი მართლმადიდებლური ჭეშ-მარიტების საფუძველზე როდი აპირებს, არამედ ახალი იდეოლოგიის საფუძველზე, და ამისთვის მართლმადიდებლობისგანაც მოითხოვს გარკვეულ დოგმატურ დათმობებს, ვინაიდან ეკუმენისტურ წრეებში გაბატონებულია აზრი, რომ არც ერთი ეკლესია არ ფლობს ჭეშმარიტების სავსებას. აქედან გამომდინარე, ეკუმენიზმი ყველა ეკლესიას, მათ შორის მართლმადიდებელსაც, მოუწოდებს შეინანოს ერთიანობის დაკარგვა. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში ეკუმენისტებს შორის შეიმჩნეოდა ტენდენცია მართლმადიდებლობისგანაც მოეთხოვათ რაღაც ცოდვების (ნუთუ დოგმატურის?) შენანება, საიდანაც ცსადია, რომ მას სრულიადაც არ მიიჩნევდნენ ჭეშმარიტების „სვეტად და სიმტკიცედ". პროტესტანტ-ეკუმენისტი ფრ. ლიბი 1929 წელს გულახდილად წერდა: „რეფორმატული პროტესტანტიზმისა და აღმოსავლური მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი, ქრისტესმიერი ერთიანობის სურვილით ნაკარნახევი შეხვედრა ორივე მხარეს აიძულებს გულწრფელად აღიაროს და შეინანოს ღმრთის წინაშე" [310].

ამის მიუხედავად, „მართლმადიდებელი" ეკუმენისტები დღემდე ისე იქცევიან, ვითომ სჯერათ, რომ ჟენევაში მართლმადიდებლობის საქადაგებლად მიემგზავრებიან. პატიოსნად რომ შეეძლოთ თქმა, თვითონ ემს-ს „მართლმადიდებელი" წარმომადგენლები აღიარებდნენ, რომ არც ერთი ეკუმენისტი მოღვაწე არ აპირებს მართლმადიდებლობის მიღებას!

პირიქით, როგორც მართლმადიდებელი ეკლესია ღებულობს და პატივს სცემს წმ. ვადმოცემას, ისე პროტესტანტული დენომინაციები წარმოადგენენ საკუთარ „გადმოცემებს, მიიჩნევენ რა, რომ „ეკლესიები" ერთმანეთს უნდა ამღიდრებდნენ თავიანთი „გადმოცემებით". როგორც მართლმადიდებელ ეკლესიას ჰყავს თავისი წმიდა მამები და ეყრდნობა მათ ნაწერებს, ისე ეკუმენისტები მსჯელობენ ეკუმენისტური მოძრაობის „მამებზე" და მათ „ჩვენს მამებს"[311] უწოდებენ, თუმცა ამ უკანასკნელთ არაფერი აქვთ საერთო მართლმადიდებლების წმიდა მამებთან. ისინი იცავდნენ მართლმადიდებელ სარწმუნოებას, ესენი კი ძირს უთხრიან მას!

მართლმადიდებელი ეკლესია ტერმინით „კათოლიკობა" (საყოველთაობა) ქრისტესადმი თავის ერთგულებას გამოხატავს, ეკუმენისტები კი ამ ტერმინში საწინააღმდეგო აზრს დებენ და მისი მართლმადიდებლური შინაარსის შერყევას ცდილობენ. „კათოლიკობაში" ისინი

გულისხმობენ ჩვენს მიერ ზემოთ გაკრიტიკებულ პლურალისტურ ერთიანობას. „კათოლიკობა“, — აცხადებს ემს-ს ასამბლეა (უფსალა, 1968), — „არის ყოველგვარი თავმოწონებისა და პარტიკულარიზმის (გამოყოფის) საპირისპირო რამ“! ემს-ს V ასამბლეაზე, ნაირობში (1975) კი „კათოლიკობის“ ცნების შემდეგი განმარტება მიიღეს: „ერთიანი ეკლესია ადგილობრივი ეკლესიების საყოველთაო საძმოს უნდა წარმოადგენდეს... ამ საერთო საძმოში ყოველი ადგილობრივი ეკლესია ფლობს კათოლიკობის სავსებას, მოწმობს ერთსა და იმავე სამოციქულო სარწმუნოებას, რითაც აღიარებს სხვების კუთვნილებას ერთი და იგივე ქრისტეს ეკლესიისადმი. ისინი დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, ვინაიდან ერთი და იგივე ნათლისღება მიიღეს და ერთი და იგივე ევქარისტია აქვთ. ისინი აღიარებენ სხვების წევრობასა და იერარქიას (!)“ [312].

ამრიგად, ეკუმენისტურ ლექსიკონში „კათოლიკობა“ (საყოველთაობა) უკვე ერთი ჭეშმარიტების ერთგულებას კი არა, ყველა ცთომილების აღიარებას ნიშნავს; არა ერთიანობას, არამედ პლურალიზმს, ანუ ყველა სხვა „ეკლესიის“, „ევქარისტიისა“ და „იერარქიის“ ურთიერთცნობას. ეკუმენიზმი იკვეხნის ამგვარი „კათოლიკობით“ და თამამად უწოდებს თავის თავს „მომავალი ერთიანი კაცობრიობის დროშას“[313]. შედეგად კი ირკვევა, რომ ეკუმენიზმი ჭეშმარიტ კათოლიკობას (საყოველთაობას) იწუნებს თითქოსდა საკუთარი თავით ტკბობის გამო, მაგრამ ქმნის ტერმინის — „კათოლიკობის“ საკუთარ გაგებას, რომელიც საშინელი, ფარისეველური ამპარტავნებითა და ეკუმენისტური თავმოწონებით არის გამსჭვალული!

ასეთ ვითარებაში ჟენევაში რაიმე მართლმადიდებლურ მისიონერობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. პირიქით, „მართლმადიდებელ“ ეკუმენისტებს პრაქტიკულად ეკრძალებათ მართლმადიდებლობის ყოველგვარი პროპაგანდა და მართლმადიდებლური ჭეშმარიტების ქადაგება. ამ დროს კი პროტესტანტები და სხვა აღმსარებლობის ეკუმენისტები თავისუფლად ქადაგებენ თავიანთი „ტრადიციების“ შესახებ და თავს ახვევენ მათ მართლმადიდებლებს ამ უკანასკნელთა „გამდიდრების“ მიზნით. შესაბამისად, მართლმადიდებლური მოწმობა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა ზედა“. მეტიც, მართლმადიდებლებს ყოველი მხრიდან ჩააგონებენ, რომ მათ უნდა გადალახონ თავიანთი კონფესიური ჩაკეტილობის ჩარჩოები და გზა დაუთმონ ეკუმენისტურ გავლენას, რომელიც სულ უფრო ძლიერდება. შედეგი ის გახლავთ, რომ პროტესტანტები კი არ ექცევიან მართლმა-

დიდებელ სარწმუნოებაზე, არამედ პროტესტანტული სულისკვეთება იკიდებს ფეხს მართლმადიდებელთა შორის.

ამგვარი სამწუხარო მოვლენა უკვე შეინიშნება ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების ცხოვრებაში, სადაც ეკუმენისტური გავლენა შეიჭრა. აი რას ამბობს დეკანოზი ვსევ. შპილერი (იგი მღვდელი იყო ბულგარეთში 1934—1950 წლებში) მოსკოვის სრულიად მართლმადიდებლურ შეკრებაზე 1948 წელს: „ბულგარეთის ეკლესიისათვის ეკუმენიზმთან შეხვედრა ნიშნავდა ეკლესიურობის შეგნების, ერთადერთი მაცხოვნებელი ეკლესიის შეგნების შერყევას. ამას მოჰყვა ეკლესიის ცნობიერი გამიწიერება. სულიერი ცხოვრების დონე დაეცა, წმიდა მამების ტრადიციას დავშორდით, როგორც ღმრთისმეტყველებაში, ისევე ყოფაში. საფუძველში შეირყა ლიტურგიკული საღმრთისმსახურო ტრადიციის ერთგულება. სწორედ ეკუმენიზმთან შეხვედრის შემდეგ დაიწყო ბულგარეთში რიტუალურობის მავნეობაზე, მის ჰიპერტროფიაზე ლაპარაკი (ანუ ღმრთისმსახურების შემოკლებისაკენ სწრაფვა)[314].

ბოლო წლებში ეკუმენისტურ წრეებში პოპულარულია ე. წ. „კონვერგენციის“ იდეა, რომელიც ეკუმენიზმის სინონიმად იქცა. პოლიტიკაში ეს ტერმინი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური სისტემის დაახლოებასა და მათ ერთ სისტემად შერწყმას ნიშნავს[315]. ანალოგიურად, ეკუმენისტური შეხვედრებისა და დიალოგებს დროს კონვერგენცია მიზნად ისახავს „ცალკეულ კონფესიათა დაახლოებას ურთიერთზეგავლენის გზით“[316].

მოხსენებაში „თანაარსებობა თუ კონვერგენცია“ (1970 წლის ოქტომბერი, ქ. მაინცი), ლენინგრადის მიტრ-ი ნიკოდიმოსი, ცნობილი ეკუმენისტი, თავის თავს პოლიტიკური კონვერგენციის მოწინააღმდეგედ აცხადებს, რამეთუ ეს პროცესი „სოციალიზმისა და კომუნიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის სახესხვაობად, სოციალიზმის კაპიტალიზმში გადადნობისაკენ მისწრაფებად იქცევა, რაც შეუძლებელია არ იწვევდეს საპასუხო რეაქციას და იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებას“[317]. აკრიტიკებს რა პოლიტიკური კონვერგენციის კონფერენციის თეორიას, მიტრ. ნიკოდიმოსი დაასკვნის, რომ „იდეოლოგიური წინააღმდეგობა რაიმე სუბიექტური ფაქტორებით ანდა ღრმად ფესვგადგმული არაშემწყნარებლობით კი არ საზრდოობს, არამედ ორი მსოფლიო სისტემის რეალური პირობებით, რომლებიც პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურებით“[318].

მაგრამ თუკი პოლიტიკის სფეროში კონვერგენცია ასეთი მიუღებელია, მაშინ რატომ არ ვაღიარებთ მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებას, წინ აღუდგეს ეკუმენიზმის მისწრაფებას, რომ თავის პროტესტანტულ ქვაბში გადაადნოს მართლმადიდებლობა? ფიზიკაში ამ პროცესს „ოსმოსი“ ეწოდება და ნიშნავს „ფორებიანი ტიხრით გაყოფილი ორი სითხის ურთიერთგაჟონვას“. ამას შეიძლება შეედაროს ეკუმენისტური ურთიერთობა მართლმადიდებლებსა და არამართლმადიდებლებს შორის: წმ. მართლმადიდებლობა არის კრისტალურად სუფთა წყალი, ყოველგვარი პროტესტანტული მიმდინარეობა კი — მღვრიე, მომწამვლელი ხსნარი. მართლმადიდებლებისა და არამართლმადიდებელი ეკუმენისტების ურთიერთობის დროს უსათუოდ ხდება ურთიერთგაცვლა, მართლმადიდებლობისათვის მავნე, რადგან მასში მხოლოდ ცუდი, მომწამვლელი გავლენა აღწევს. ეკუმენისტების მიერ დარღვეული კანონების ფორებში, რომლებიც კრძალავენ მწვალებლებთან ერთობას, და დოგმატური კომპრომისების გამეტვირვალე ტიხარში პროტესტანტული შხამი ჟონავს და მართლმადიდებელი ქრისტიანების შეგნებაში იჭრება. ასე რომ, „კონვერგენცია“ სრულიად მიუღებელია მართლმადიდებლობისათვის, რომელიც არ უნდა შეერიოს ცთომილებებს (2 კორ. 14, 27).

ზოგიერთი „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტის განცხადების გამო, თითქოს ისინი ეკუმენისტურ შეკრებებზე ქრისტეს ჭეშმარიტების საქადაგებლად დადიან, კარგად წერს სამოსის მიტრ. ირინეოსი (გარდ. 1963 წ.): ერთი-ორი მართლმადიდებლური გამოსვლა ეკუმენისტურ კონფერენციებზე, სადაც არამართლმადიდებელი ორატორები ყოველთვის სჭარბობენ მართლმადიდებლებს, ვერ დაარწმუნებს პროტესტანტებს მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებაში და ვერ განაშორებს თავიანთ ცრუმოძღვრებას.

სამაგიეროდ, „მართლმადიდებელი“ წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ეკუმენისტური „თავაზიანობის“ გამო პროტესტანტებთან ერთად ლოცულობენ და შეუმჩნეველად ითვისებენ ზოგიერთ პროტესტანტულ შეხედულებას, ყოველივე ამას სრულიად საპირისპირო შედეგები მოსდევს. როგორც თვითონ პრეზიდენტი პოტერი აღიარებს, ეკუმენისტური ყრილობების მონაწილენი ერთგვარ საერთო ეკუმენისტურ ენას და აზროვნების სტილს იძენენ, რომელიც შინ დაბრუნებისას ძნელი ასახსნელი ხდება ერთმორწმუნეთათვის. არამართლმადიდებლებთან ეკუმენისტური დაახლოების ხათრით „მარ-

თლმადიდებელი“ ეკუმენისტები ეკლესიის წმიდა კანონებსაც არღვევენ, კონფლიქტს ქმნიან მართლმადიდებელ ძმებთან, რომლებიც თავს არიდებენ ეკუმენიზმს, თანდათან უცხონი ხდებიან წმ. მართლმადიდებლობისათვის და თავიანთ სტატიებში. სიტყვებსა თუ მოხსენებებში ეკუმენიზმის სასარგებლოდ და წმ. მართლმადიდებლობის საზიანოდ ლაპარაკობენ.

ბ) მართლმადიდებლური მისიონერობის აკრძალვა

ეკუმენიზმი არათუ ხელს უწყობს მართლმადიდებლურ მისიონერობას, პრინციპულად გამორიცხავს კიდევაც მას. როგორც ცნობილია, ზოგიერთი „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტი პირდაპირ აცხადებს, რომ მართლმადიდებლობა მხოლოდ აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანებისთვისაა განკუთვნილი და დასავლეთის ქრისტიანებს მისი მიღება არაფრად სჭირდებათ. გავიხსენოთ ბერძენ მიტრ. გენალისთან (კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენელი ნეაპოლში) დაკავშირებული კურიოზი: მან მთელი თეორია შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც „მართლმადიდებლებად კი არ იქცევიან, არამედ იბადებიან!“ „მართლმადიდებელი“ იერარქის ეს არნახული კაპიტულაცია აღშფოთებით ამხილა სერბმა მღვდელმონაზონმა ამფილოქემ თავის სტატიაში „მისიონერი თუ მესაფლავე?“[319].

მთავარეპისკ. ბარნაბა (ბარტონი), ყოფილი ანგლიკანელი მღვდელი, რომელმაც მართლმადიდებლობა მიიღო და 1960 წ. ხელდასმულ იქნა მოსკოვის ეგზარხოსის მიერ, აცხადებდა, რომ ნიკოლოზ ზერნოვი, ინგლისში მცხოვრები რუსი „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტი, საყვედურობდა მართლმადიდებლობის მიღებას. თავის წიგნში „ქრისტიანული აღმოსავლეთი“, რომელიც 1956 წ. გამოვიდა ლონდონში, ზერნოვი წერს, რომ „აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობა ძალიან წააგავს ანგლიკანურს“. საინტერესოა, იტყოდა თუ არა იგი ასეთ უაზრობას მას შემდეგ, რაც 1988 წლის ივლისში, ლამბეტის კონფერენციაზე, ქალებს მარტო მღვდლობის კი არა, ეპისკოპოსობის უფლებაც მიეცათ?

ეკუმენისტურ დოკუმენტში „საერთო მოწმობა და პროზელიტობა“ დაგმობილია ერთი აღმსარებლობიდან მეორეზე. მათ შორის მართლმადიდებლობაზე გადასვლა, და მომავლისთვის დაგეგმილია სახარების ერთობლივი ზეკონფესიური ქადაგება. ეს იმას ნიშნავს, რომ იარსებებს მხოლოდ ეკუმენისტური ქადაგება და შეუძლებელი

გახდება მართლმადიდებლური ჰეშმარიტების დამოწმება, რომელიც ასევე დაგმობილია, როგორც „ნეგატიური პროზელიტიზმი“.

და აი, ეკუმენისტების მიერ მართლმადიდებლური მისიონერობის აკრძალვის მიუხედავად, აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების ცალკეული წარმომადგენლები კაპიტულანტურ განცხადებებს აკეთებენ და მართლმადიდებლობისათვის დამღუპველ გადაწყვეტილებებს ღებულობენ! კუნძულ კრეტაზე ჩატარებულ კონფერენციაზე (1975 წ.), სადაც ვითომდა „მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველები“ შეიკრიბნენ, პროტესტანტმა, დოქტორმა ლუკას ფიშერმა თავის შესავალ სიტყვაში ასე შეაქო „მართლმადიდებლები“: „მართლმადიდებელი ეკლესია არ მოითხოვს სხვა ქრისტიანებისგან მართლმადიდებლობაზე მოქცევას მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთების გზით“. ამ ეკუმენისტურ თავხედობას იქ მყოფი „მართლმადიდებელი“ ღმრთისმეტყველები ერთი სიტყვითაც არ შეპასუხებიან და მონურად დაეთანხმნენ მართლმადიდებლობის მხსნელი მისიის ასეთ აშკარა უარყოფას.

ამ სავალალო ვითარების შესანიშნავი ილუსტრაციაა ის ფაქტი, რომ ეკუმენისტურად განწყობილმა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა უარი უთხრა თავის იურისდიქციაში მიღებაზე იტალიელ კათოლიკეთა ჯგუფს, რომლებიც დაბეჯითებით ითხოვდნენ ამას[320]. კონსტანტინეპოლის მიბაძვით მოსკოვის საპატრიარქომაც ევროპაში თავისი ეგზარქოსის, ლენინგრადის მიტროპ. ნიკოდიმოსის სახით, უარი თქვა რამდენიმე სამწყსოს პატრონობაზე, რომლებშიც სარდინიის კუნძულზე მცხოვრები 2000-მდე მართლმადიდებელი იტალიელი შედიოდა. ეგზარქატიდან დათხოვნილმა მართლმადიდებელმა იტალიელებმა თავის სამღვდელოებასთან ერთად ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში დაუწყეს ძებნა თავშესაფარს, მაგრამ ამაოდ — ყველგან უარით ისტუმრებდნენ! დიდი წვალების შემდეგ ისინი მიიღეს ბერძენმა მეძველსტილეებმა, რომლებმაც უხუცესი სარდინიელი მღვდელი სარდინიის, ეპისკოპოსად დაადგინეს და იტალიის მართლმადიდებელი ეგზარქოსის ტიტული მიანიჭეს. ბერძნული მართლმადიდებლური ჟურნალი „კალი ომოლოგია“ (1982, № 38) ამ ფაქტის კომენტირებისას სამართლიანად კითხულობს: „ნუთუ ოფიციალურ მართლმადიდებელ ეკლესიებს არ შეეძლოთ ის, რაც ბერძენმა მეძველსტილეებმა გააკეთეს?“ და თვითონვე უპასუხებს: „შეეძლოთ, მაგრამ შეეშინდათ. რატომ? პაპოფილური სიმხდალისა და მისიონერული სიყვარულის ნაკლებობის გამო“. და თავიანთ კომენტარს ამ სიტყვე-

ბით ამთავრებენ: „ეს უბრალოდ ცოდვა კი არა, მსოფლიო შერცხვენაა!“.

საქმე იქამდე მივიდა, რომ მართლმადიდებლობამიღებულ კათოლიკეებს „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტები „დედა-ეკლესიის (!)“ წიაღში დაბრუნებისაკენ მოუწოდებენ, იმათ კი, ვინც აპირებს მართლმადიდებლობის მიღებას, ეუბნებიან, რომ „მართლმადიდებლებს არ სურთ ნეოფიტები ჰყავდეთ“[321]. ამგვარი კაპიტულანტური განცხადებებით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ზემოხსენებული წარმომადგენელი იტალიაში და მისი მსგავსი ეკუმენისტები, ერთი მხრივ, ფართოდ უღებენ მართლმადიდებლობის კარს ეკუმენიზმის გავლენას და, მეორე მხრივ, უკეტავენ ამ კარს არამართლმადიდებლებს, რომლებსაც გულწრფელად სურთ მისი შეღება! ამით „ხდება ეკლესიის მისიონერობის უარყოფა და მისი დანიშნულება ისტორიული სტატუს-კვოს უბრალო დაცვით შემოიფარგლება“. და შესაბამისად, უარყოფილია ქრისტეს ეკლესიის არსი და მისი მისია, რომელიც არის „უველგან და ყოველთვის ჭეშმარიტების მოწმობა და ცხოვნების ყველა მსურველის თავის მაცხოვნებელ წიაღში მიღება“[322].

რამდენიმე წლის წინ დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი ბენედიქტიანური მონასტრის ბერებმა, რომლებსაც გული აუცრუვდათ პაპისტურ ეკლესიაზე, ყველა ადგილობრივ ეკლესიას მიმართეს თხოვნით, მიეღოთ ისინი მართლმადიდებლობის წიაღში. ერთ-ერთმა ეკლესიამ უარი უთხრა იმ საბაბით, აქაოდა, ასეთი პრაქტიკა არა გვაქვსო. დიახ, სამწუხაროდ, მოციქულთა და წმ. მამათა მისიონერული მოღვაწეობის ნაცვლად მრავალ მართლმადიდებელ ქრისტიანს გაუჩნდა საშინელი „პრაქტიკა“, იზრუნოს მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე და არ გაირთულოს ურთიერთობა პაპთან იმის გამო, რომ მართლმადიდებლობის წიაღში მიიღოს ცხონების მსურველი, საკუთარ აღმსარებლობაზე გულაყრილი კათოლიკეები. იმ დროს, როდესაც ვატიკანის წარმომადგენლები მთელ მსოფლიოს სერავენ და ათასი აკრძალული ხერხით ცდილობენ მიმდევართა გადაბირებას (შდრ. მათე, 23, 25), მართლმადიდებელი იერარქები მშვიდად სჯერდებიან მხოლოდ საკუთარ მრევლს, თითქოს ამით ამოიწურებოდეს მათი, როგორც მოციქულთა მემკვიდრეების მოღვაწეობა. მეტიც, ამ სამარცხვინო პასიურობას ისინი ლამის „სათნოებად“, სხვა აღმსარებლობების მიმართ „ლოიალურ“ დამოკიდებულებად თვლიან!

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საქციელი დამახასიათებელი გახდა

სწორედ „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტებისათვის, სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, რომლებიც თავიანთი „ეკლესიების“ ინტერესებისათვის პროზელიტების მიზიდვით არიან დაკავებულნი. მხოლოდ მართლმადიდებლობას ღალატობენ თავისივე ოფიციალური „წარმომადგენლები“, რომლებიც ყიდიან მას პირადი მატერიალური გამორჩენისათვის, ელაქუცებიან რა ეკუმენისტურ ფორუმებზე სხვა აღმსარებლობების მიმდევრებს. მართლმადიდებლობის ერთ-ერთი თანამედროვე დამცველი, ლონდონის წმ. ათანასე დიდის ძმობის წევრი მარიოს პილავაკისი „მართლმადიდებელ“ ეკუმენისტებს ასეთ მრისხანე დახასიათებას აძლევს: „ჩვენს წარმომადგენლობათა წევრების დიდი უმრავლესობა იმ ადამიანებისგან შედგება, ვისაც დიდი ხანია აღარც აღსარება ახსოვს, აღარც მარხვა და ლოცვა. ცხოვრების ერთადერთ მიზნად ისინი მოგზაურობას, ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ცხოვრებასა და გართობას ისახავენ“[323]...

და რა გასაკვირია, რომ მართლმადიდებლობის ასეთი წარმომადგენლები ეკუმენიზმის საამებლად მზად არიან ხელი შეუშალონ მართლმადიდებლობის გავრცელებას არამართლმადიდებელთა შორის! მათ აღმაშფოთებელ საქციელს ორმაგი ბოროტება მოსდევს: ერთი მხრივ, ჭეშმარიტების მაძიებელ არამართლმადიდებლებს ხელს უშლიან წმ. მართლმადიდებლობის წიაღში ჰპოვონ იგი, რაშიც თვით მაცხოვარი ამხელს: „ვაჲ თქუენდა... ფარისეველნო, რამეთუ დახშავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა, თქუენ შე-არა-ხუალთ და შემავალთა უტევებთ არა შესლვად“ (მათ. 23, 14). მეორე მხრივ, აიძულებენ მათ მიიღონ სხვა აღმსარებლობების ცთომილებანი, ისინი კი მხოლოდ ამას ელოდებიან.

პროზელიტობა უარყოფითი მოვლენაა, როდესაც ადამიანებს ჭეშმარიტების გზიდან ახვევინებს და შეცდომაში შეჰყავს, და პირიქით, იგი დადებითი მოვლენაა, როდესაც ცთომილებისაგან კურნავს და ჭეშმარიტებისკენ მიუძღვის. მაშინ ეს არის ის დიდი საქმე, რომელსაც ქებას ასხამს საღმრთო წერილი: „ძმანო, უკეთუ ვინმე თქუენ შორის შესცთეს ჭეშმარიტებისაგან, და თუ ვინმე მოაქციოს იგი, უწყოდენ, რამეთუ რომელმან მოაქციოს ცოდვილი გზისაგან საცთურისა მისისა, იხსნეს სული თვისი სიკუდილისაგან, და დაჰფაროს სიმრავლე ცოდუათა“ (იაკ. 5, 19—20). სწორედ ასე იქცეოდნენ წმ. მოციქულები, წმ. მამები და უფლის ყველა სათნომყოფელი, რომლებიც ხელს უწვდიდნენ ცხონების მსურველთ.

დღეს კი ეკუმენისტურ წრეებში სრულიად უკულმართი შეხედულებები ვრცელდება პროზელიტობის შესახებ: „ნეგატიურ“ პროზელიტობად ითვლება ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა მისწრაფება დაანახონ მართლმადიდებლური ჭეშმარიტების მაძიებლებს ეს ჭეშმარიტება, დადებითად კი — მხოლოდ მისიონერობა ემს-ს პატრონაჟის ქვეშ, რომელიც ცდილობს ყველა გაერთიანოს თავის ახალ „აღმსარებლობაში“, სადაც ჭეშმარიტება ცთომილების გვერდით დგას და უკულმართად გაგებული „რელიგიური თავისუფლება“ ბატონობს!

ამრიგად, ემს-ს წევრი მართლმადიდებელი ეკლესიებისათვის შეუძლებელი ხდება მისიონერული მოღვაწეობა შეცთომილთა შორის, ისინი მოვალენი არიან ემს-ს კარნახით იმოქმედონ და მსხვერპლად შესწირონ ეკუმენიზმს საკუთარი ეკლესიოლოგიური, დოგმატური და კანონიკური ნორმები. ამიტომ გასაგებია, რომ ლენინგრადის მიტრ. ნიკოდიმოსი თავის მოხსენებაში „გადმოცემა და თანამედროვეობა“ ქრისტიანული ერთიანობის აღდგენის პერსპექტივას ეკუმენისტურ ფერებში ხატავს: „განყოფილ ქრისტიანთა სარწმუნოებრივი ერთიანობის აღდგენა მხოლოდ შეერთებად არ უნდა წარმოვიდგინოთო“, წერს იგი[324]. მაშასადამე, წმ. მამების მიერ დადგენილი წესის მიუხედავად, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის დიდ კურთხევაშია შესული სათაურით: „მწვალებელთა და არამართლმადიდებელთა მართლმადიდებლობასთან შეერთების შესახებ“, შესაძლებელია არსებობდეს კიდევ ეკუმენისტური გაერთიანება, რომლის დროსაც მწვალებლებსა და არამართლმადიდებლებს შეუძლიათ არ უარყონ თავიანთი მცდარი სწავლება — ეს არის „გაერთიანება“ დოგმატური კომპრომისის საფუძველზე.

მაგრამ იმ დროს, როდესაც ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ეკლესიებმა აღუთქვეს ემს-ს, რომ არ გასწევენ მისიონერულ მუშაობას სხვა აღმსარებლობებთან, კათოლიკეები და ათასი სექტანტი დაუბრკოლებრივ განაგრძობენ თავიანთ დამღუპველ პროზელიტობას, და როგორც „მგელნი მძიმენი“ (საქმე, 20, 29), ცხვრებს მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსოს წყვეტენ და თავიანთ მიმდევრებად ისდიან! პაპისტებიც ვითომ მართლმადიდებელ ეკლესიასთან „დაახლოებას“ ესწრაფვიან, მაგრამ ეს დაახლოება მართლმადიდებლებს შორის უნიატობის გავრცელებად წარმოუდგენიათ. 1970 წლის 19 აპრილს პაპმა პავლე VI-მ აშკარად განაცხადა: „ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ რომის კათოლიციზმსა და აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გულწრფელი (!) ერთიანობის აღდგენა აღმოსავლეთის

კათოლიკური (უნიატური) ეკლესიების საზიანოდ უნდა მოხდეს!"[325].

და მართლაც, ბოლო ხანს, განსაკუთრებით პოლონელი პაპის, იოანე — პავლე II-ის დროს, დაიწყო უნიატობის განსაკუთრებული წაქეზება, უნიატობა ითვლება „არა მხოლოდ წარსულის ისტორიულ მემკვიდრეობად, არამედ მოვლენად, რომელიც ამჟამადაც ვითარდება: ვატიკანი ყოფილ უკრაინელ და რუმინელ უნიატებს უნიატობისკენ დაბრუნებას ურჩევს"[326]. (იხ. მოსკოვის პატრიარქის პიმენის პროტესტი იოანე-პავლე II-ს უკრაინელი უნიატების კრების გამო რომში)[327]. ბერძენი სტუდენტების ჯგუფმა იტალიიდან წერილი მისწერა „ორთოდოქსოს ტიპოსის" რედაქციას, ეს წერილი გამოქვეყნდა კიდეც სათაურით „უნია ჩვენი მართლმადიდებლობის სასტიკი მდევნელი ხდება!" მასში გადმოცემულია აღმაშფოთებელი ფაქტები, თუ როგორ უშლიან ხელს იტალიელი უნიატები მართლმადიდებელ მღვდლებს, რომლებიც მცირერიცხოვან ბერძნებს ემსახურებიან, თავიანთ მოვალეობის შესრულებაში, და როგორ იტყუებენ გულუბრყვილოებს თავიანთ ბადეში. წერილის ბოლოს სტუდენტები კითხულობენ: რა აზრი აქვს დიალოგს მართლმადიდებლებსა და ლათინელებს შორის, თუ უნიატობა არათუ თავს იზღუდავს, კიდეც ფართოვდება? [328] ერთ-ერთი უნიატიც კი გაოცებით სწერს იმავე რედაქციას: „მართლმადიდებლების მხრიდან უცნაური განურჩევლობა შეიმჩნევა. ისინი პროტესტს აცხადებენ უნიატების მონაწილეობის გამო დიალოგში, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით, საქმით კი ბოლოს და ბოლოს ესაუბრებიან მათ"[329]. ამრიგად, პაპისტები გაბედულად მოქმედებენ ძალის პოზიციიდან, იციან რა, რომ მართლმადიდებლები თავიანთი სიმართლის მიუხედავად ბოლოს და ბოლოს მაინც დათმობენ!

ამ მხრივ საყურადღებოა ბერძენი მართლმადიდებელი მღვდლის, მამა ანტონის (ათანასიადის) წერილი მონრეალიდან: „რუსეთის ნათლისღების 1000 წლის ზეიმზე მიწვეული იყო ცნობილი მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველი მეიენდორფი, რომელსაც ერთმა კარდინალმა ასეთი რამ უთხრა: „დიალოგის გზით ჩვენ, ლათინები, ვცდილობთ, რომ მართლმადიდებლებმა შეიგნონ ფანარიონი (ანუ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს) გარშემო გაერთიანების აუცილებლობა. ხოლო როდესაც თანდათან ამას მივაღწევთ, მაშინ მართლმადიდებლები მიხვდებიან, რომ მათ სჭირდებათ რომი, როგორც ეკლესიის ცენტრი!"[330]

„დიალოგის" ნამდვილი მიზნების ასეთი გულახდილი აღიარების შემდეგ მართლმადიდებელ ქრისტიანებს ზურგი უნდა ექციათ ფანარი-

ონისათვის, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიაში ტროას ცხენის როლს ასრულებს, და ამით შეეწყვიტათ „სიყვარულის დიალოგი", მის მიერ არამართლმადიდებელთა საამებლად წამოწყებული. უნდა შევისმინოთ ალექსანდრიის პატრიარქის, ნიკოლოზ VI-ის (გარდ. 1986 წ.) ბრძნული გაფრთხილება: „ყოველგვარი სიტყვებისა და წერილობითი მტკიცებების მიუხედავად, „სიყვარულის დიალოგი" არ არის გულწრფელი. ჩვენ არ გვჯერა ისეთი „სიყვარულისა", კულისებში მიღებული ხერხებით რომ გამოიხატება. თუ გავიხსენებთ მართლმადიდებლური ტაძრების დარბევას ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში, აგრეთვე ბევრ სხვა გარემოებას, დავინახავთ, რომ ე. წ. „სიყვარულის დიალოგი" არის მხოლოდ ხაფანგი მართლმადიდებლებისათვის. ძე შეცთომილს სიყვარულზე კი არა, სინანულზე ლაპარაკი შეჰფერის"[331].

ბ) პროტესტანტულ გაერთიანებათა თვითდამკვიდრება „ეკლესიების" სახით

მართლმადიდებელი ეკლესიების მონაწილეობა ემს-ში არათუ ხელს უწყობს არამართლმადიდებლების მოქცევას მართლმადიდებლობაზე, პირიქით, მწვალებლობაში მათ თვითდამკვიდრებას შეეწევა. მაგალითად, ჟან-ჟაკ ფონ ალმენმა, შვეიცარელმა ღმრთისმეტყველმა, რეფორმატორმა, იმედი გამოთქვა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია, ემს-ს წევრი, დაეხმარება რეფორმატულ ეკლესიებს იმის დამტკიცებაში, რომ ისინი „ღმრთის წმიდა ეკლესიის წევრები არიან"[332]. ამაზე არ თანხმდებიან კათოლიკე ღმრთისმეტყველები, რადგან რეფორმატორებს სამოციქულო მემკვიდრეობა არ გააჩნიათ. „მაგრამ ჩვენ, რეფორმატორებს", — განაგრძობს ალმენი, „შეგვიძლია გიჩვენოთ სარწმუნოებისა და საკრამენტული ცხოვრების სავსება, ნათელღებულთა ქრისტიანული ღირსება და სამღვდელო მსახურების კანონიერება, რაც რეფორმატულ ეკლესიაში არსებობს. ქრისტიანული ეკლესიის ზოგიერთი ტრადიციული ნიშნის გამო ჩვენ, ცხადია, უფრო ღრმად მოგვიწევს ძებნა, მაგრამ მე ვიცი, რომ ჩვენ ეს ყველაფერი გვაქვს... არ არსებობს საფუძველი იმის მტკიცებისათვის, თითქოს ჩვენ იმდენად უძლურნი ვართ, რომ ვერ შევძლებთ ეკლესიის მთელი მადლის ხელახლა გამოვლენას ჩვენს ეკლესიაში"[333].

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეფორმატები დარწმუნებულები არიან, რომ ისინიც ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიას წარმოადგენენ, და მართლ-

მადიდებლებთან დიალოგში ჭეშმარიტებას კი არ ეძიებენ, არამედ სწორედ ამის აღიარებას, რათა დაიცვან ეს „უფლება“ კათოლიკეთა წინაშე. უნდა ითქვას, რომ მათი იმედები უსაფუძვლო არ გახლავთ: რაკი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები „ეკლესიათა“ მსოფლიო საბჭოს წევრები არიან და კრებებზე რეფორმატული „ეკლესიების“ გვერდით სხედან, ამით ისინი ფარულად აღიარებენ რეფორმატორების პრეტენზიას ეკლესიურობასა და სამოციქულო მემკვიდრეობაზეც კი!

შემდგომ პროფ. ალმენი აღიარებს, რომ კათოლიკები გაოცებულები და შეშფოთებულები იყვნენ მართლმადიდებელთა ემს-ში შესვლით. პროტესტანტულ გაერთიანებებთან ურთიერთობით მართლმადიდებლებმა თითქოს ეჭვქვეშ დააყენეს კათოლიკეთა პრეტენზია, რომ მხოლოდ მათ აქვთ უფლება დასავლეთის ერთადერთი და ჭეშმარიტი ეკლესია ეწოდებოდეთ. ემს-ში თავისი მონაწილეობით მართლმადიდებელი ეკლესია თითქოს ეუბნება რომს: „ქრისტიანული დასავლეთი მხოლოდ რომი როდია. ეს არის რომი და პროტესტანტობა, რომი და ეკლესიები, რომლებმაც რეფორმაცია შეიტანეს დასავლეთის ქრისტიანობაში და ამ შემთხვევაში რეფორმაცია ხდება ეკლესიის ისტორიის ნაწილი დასავლეთში“[334].

აი ასეთ უკულმართ დასკვნამდე მიდიან პროტესტანტები მართლმადიდებლების ემს-ში მონაწილეობაზე დაყრდნობით! მეტიც, ალმენს მიაჩნია, რომ მართლმადიდებელთა მონაწილეობა ეკუმენისტურ მოძრაობაში იძლევა საბაბს, გადაიხედოს XVI საუკუნის რეფორმაციისადმი დამოკიდებულება, რათა იგი აღარ ითვლებოდეს ეშმაკისაგან გამოწვეულ ტრაგედიად, არამედ ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სერიოზულ ეტაპად იქცეს, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს ამ ისტორიის განვითარებას. მართლმადიდებელთა მონაწილეობა ემს-ში რომის ეკლესიას აიძულებს სერიოზულად დაფიქრდეს: ხომ არ უნდა გადახედოს მან თავის პოზიციას იმის შესახებ, რომ პროტესტანტები არ წარმოადგენენ ეკლესიას, და მიიღოს რეფორმატორებიც, ლუთერანებიც, ანგლიკანებიც როგორც შესაძლო ეკლესიები, რომელთა პრეტენზიებიც ცოტა სხვა დამოკიდებულებას მოითხოვენ, ვიდრე ამჟამად არის“[335].

ამრიგად, შევაჯამოთ: კათოლიკობისაგან განსხვავებით, რომელიც გულმოდგინედ იცავს თავის დამოუკიდებლობას ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში, როდესაც პაპი ემს-ს ჩაუდგება სათავეში (ამაოდ როდია თავმჯდომარის ადგილი ვაკანტური!), ადგილობრივი

მართლმადიდებელი ეკლესიები განუსჯელად გადაეშვნენ ემს-ს მღვრიე პროტესტანტულ სტიქიაში. მიზნად თითქოს მართლმადიდებლობის დამოწმება და პროტესტანტების მოქცევას ისახავდნენ, მაგრამ პირიქით კი გამოვიდა — ხელი შეუწყვეს მათი, როგორც სრულფასოვანი ეკლესიების დამკვიდრებას. ეს ამტკიცებს, რომ პროტესტანტი ეკუმენისტები მართლმადიდებლობისაკენ კი არ მიისწრაფვიან, არამედ თვითდამკვიდრებისაკენ, და რომ „მართლმადიდებელი" ეკუმენისტები ემს-ში მიიწვიეს არა მისიონერული მოღვაწეობისათვის, არამედ არამართლმადიდებლურ გაერთიანებათა „ეკლესიებად" აღიარებაში ხელის შეწყობისათვის.

დ) ჟენევა კარნახობს მართლმადიდებელ ეკლესიას

ემს-ს აღარ სურს იყოს უბრალოდ „ეკლესიათა კავშირი", არამედ თანდათან სასჯულმდებლო ორგანიზაცია ხდება, რომელიც თავის ძალაუფლებას ავრცელებს ემს-ს წევრებზე, მათ შორის მართლმადიდებელ ეკლესიაზეც. აქამდე ასეთი ძალაუფლება ჩვენთვის მხოლოდ მსოფლიო და ადგილობრივ კრებებს ჰქონდა, მაგრამ მათი ავტორიტეტი თანდათან კნინდება ახალი შემტევი ძალის — ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გამო, რომელიც, როგორც საერთო საეკლესიო ორგანო, ავიწროებს მართლმადიდებლურ კრებებს და თავს გვახვევს თავის შეხედულებებს დოგმატურ თუ კანონიკურ სფეროებში. ცხადია, ეს ნელნელა და თანდათან კეთდება. ხელმძღვანელი ეკუმენისტები თავს ნებას აძლევენ, აშკარად გამოვიდნენ ისეთი განცხადებებით, როგორიც ვინერ-ჰუფტმა გააკეთა 1964 წლის 24 ნოემბერს სოფიის სასულიერო აკადემიაში ოფიციალურ ვიზიტად ყოფნისას: „ჟენევა ის ადგილია, რომელსაც გარკვეული ძალაუფლება აქვს, და მას სურს გახდეს იურისდიქციის ცენტრი"[336].

1972 წ. ემს-ს პრეზიდენტმა დაგზავნა „ეპისტოლე ეკლესიებს", რომლის დასკვნაშიც წერია: „ჩვენი თანამშრომლობის ყველაზე დიდი გამოცდა მიღწეული შეთანხმებების საკუთარ ეკლესიებში განხორციელებაა"[337]. ამ დიპლომატიურად ბნელი გამოთქმის აზრი ასეთია: ემს-ს წევრი ეკლესიებისგან მოითხოვენ ადგილებზე გატარდეს ემს-ში, როგორც უმაღლეს საეკლესიო ორგანოში მიღებული გადაწყვეტილებები სხვადასხვა კანონიკური, დოგმატური, სოციალური და სხვა საკითხების შესახებ.

თავდაცვის ინსტინქტს აყოლილნი, ემს-ს წევრი მართლმადიდებ-

ლები ვერ ბედავენ აღიარონ, რომ ემს-ს შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებზე. მათი აზრით, გენერალური ასამბლეების გადაწყვეტილებებსაც კი, რომლებიც 7 წელიწადში ერთხელ იმართება და განსაზღვრავს ემს-ს პოლიტიკას, არა აქვთ სავალდებულო ხასიათი თავის მონაწილეთათვის. ემს-ს წესდების მიხედვით, საბჭოს არ შეუძლია აიძულოს თავისი წევრები დაეთანხმონ მის გადაწყვეტილებას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ეს „საკუთარი ნებით" ხდება[338]. სინამდვილეში კი რას ვხედავთ?

1) ემს თავისი წევრი „ეკლესიებისგან" უზარმაზარ ფულად შესატანებს მოითხოვს. ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებიც მოვალენი არიან დაეხმარონ ემს-ს, რომელიც მათივე სახსრებით ძირს უთხრის მართლმადიდებლობას.

2) ემს სტიპენდიების დარიგებით ბოჭავს მართლმადიდებელი სტიპენდიანტების სინდისს. რაც ყველაზე საინტერესოა, სტიპენდიებს უხდიან არა მარტო ეკუმენისტური სასწავლებლების მართლმადიდებელ სტუდენტებს, არამედ სხვა მართლმადიდებლური ქვეყნების სასწავლებლების სტუდენტებსაც. ამით ემს ერევა ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესიების ურთიერთობებში, თითქოს ისინი თვითონ ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ აღზრდილებს. მიზანი ასეთი საქციელისა აშკარად ის გახლავთ, რომ დავალებული სტუდენტები ემს-ს მიმართ მადლიერებითა და კეთილგანწყობით განიმსჭვალონ.

3) ემს მთელი ძალ-ღონით ცდილობს ხელი შეუწყოს კალენდარული რეფორმის გატარებას ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში. 1965—66 წლებში რამდენიმე წერილი გაეგზავნა ემს-ს წევრ ეკლესიებს, სადაც კალენდარულ რეფორმაზე იყო ლაპარაკი. ადგილობრივი ეკლესიების შინაურ ცხოვრებაში ჩარევის შედეგი ის გახლდათ, რომ 1988 წლის ბოლოს ბულგარეთის ეკლესია ახალ კალენდარულ სტილზე გადავიდა.

4) ემს-ს მოთხოვნით მასში შემავალ ყველა „ეკლესიაში" ყოველწლიურად, 18-დან 25 იანვრამდე ეწყობა „ქრისტიანული ერთობისათვის" ლოცვის კვირეული. ამასთან დაკავშირებით ემს-მ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს დაუგზავნა ცირკულარი, რომელშიც მოხერხებულად არის გატარებული მართლმადიდებლური ტენდენციები და თან მზაკვრული შეკითხვებია დასმული, რათა შეგნება ძველს მოწყვიტონ და ახლისკენ მიმართონ. მაგალითად: „ხომ არ არის საჭირო იმის მიტოვება, რაც ჩვენთვის ძვირფასი გახდა?..

ხომ არ ნიშნავს ჩვენი ვალდებულება (როგორც ჩანს, ემს-ს წინაშე) ტრადიციის რადიკალურ უარყოფას?"[339]

ასეთი ნართაულებით ემს მართლმადიდებელ ქრისტიანებს წმ. გადმოცემის უარყოფისათვის ამზადებს, იმ გადმოცემისა, რომელიც მათ მტკიცე კედელივით იცავს მწვალებლური გადახრებისაგან. ემს-ს წერილში ნათქვამია, რომ „ადამიანს შეუძლია ყოველგვარ ჭირსა და უბედურებას მეცნიერებისა და ტექნიკის დახმარებით სძლიოს", ისე რომ ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები ღმრთის მადლი... იქვე ხაზგასმულია, რომ „ქრისტიანული ერთობისათვის" ლოცვის კვირეულში მორწმუნეები პოლიტიკური, ეკონომიური და სავაჭრო, ანუ საერო საქმეებით უნდა იყვნენ დაკავებულნი, და არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ უნდა გავძლიერდეთ სარწმუნოებაში, როგორ ავამაღლოთ დაცემული ზნეობა ჭეშმარიტი სარწმუნოების შეწევნით... თითქოს ეს აქტუალური პრობლემები ეკლესიისთვის საერთოდ არ არსებობდეს!

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ქრისტიანების ერთობლივი ლოცვა დაუშვებელია. ასეთი „ტრადიციული" ლოცვის დროს, რომელშიც ყველა აღმსარებლობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და რომელიც 1987 წლის 30 იანვარს მოსკოვის ყოველთა წმიდათა მართლმადიდებლურ ეკლესიაში ჩატარდა, შესრულდა „ეკუმენური ლოცვის წესი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ კათოლიკური ეკლესიის სამდივნოსთან ერთად შემუშავებული, გამიზნული ქრისტიანული ერთობისათვის ხელის შესაწყობად"[340]. ამრიგად, მართლმადიდებელი ქრისტიანები, ეკუმენისტური მოვალეობით შებოჭილნი, მონურად უნდა დაემორჩილონ თავიანთი ყენეველი პატრონების ბრძანებებს; ისინი კი, თავის მხრივ, რომთან შეთანხმებით მოქმედებენ! როდემდე უნდა ვითმინოთ ეს ეკუმენისტური დიქტატურა, დამამცირებელი მართლმადიდებლობისათვის?

5) იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქო საფუძვლიანად არის შეშფოთებული მის მეურვეობაში მყოფი იერუსალიმისა და პალესტინის წმიდა ადგილების ბედით. მას, როგორც ემს-ს წევრს, იმედი ჰქონდა, რომ ეს ორგანიზაცია დაიცავდა მის ისტორიულ უფლებებს, მაგრამ 1974 წლის აგვისტოში ემს-ს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ხსენებული საკითხის გამო ასეთი რეზოლუცია მიიღეს: „იერუსალიმი სამი მონოთეისტური რელიგიის: იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის წმიდა ადგილია. უნდა მოვერიდოთ

იერუსალიმის როლის დაკნინებას რომელიმე ამ რელიგიისათვის"[341]. „ქრისტიანულმა" ემს-მ დაცვის მაგივრად იერუსალიმის საპატრიარქო იუდაიზმისა და ისლამის ადგილობრივ წარმომადგენლებს გაუტოლა და სამივე „მონოთეისტური რელიგიის" საერთო ნიშნით გააერთიანა, ქრისტეს სარწმუნოების ღმრთივგამოცხადებულობა კი დაივიწყა!

ემს-ს ამგვარი პოზიციით იმედგაცრუება იერუსალიმის პატრიარქის დიოდოროს. I-ს განცხადებაში აისახა, რომელიც მან ბერძნული გაზეთის „ორთოდოქსოს ტიპოსის" რედაქციას მისცა. პატრიარქმა დიდი შეშფოთება გამოთქვა ემს-სთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია დამცირებულია მასში მონაწილეობით 400 „ქრისტიანულ" აღმსარებლობასთან ერთად". დიოდოროსმა განაცხადა, რომ „ემს-ში იერუსალიმის საპატრიარქოს მონაწილეობა უბრალოდ ფორმალობაა და რომ მან უკვე შესთავაზა წმ. სინოდს ემს-დან გასვლა"[342].

ე) ეკუმენისტური მოძრაობის საერო ხასიათი

ჩვენ უკვე გავაკრიტიკეთ „ორთოდოქსიისა" (მართლად აზროვნება) და „ორთოპრაქსიის" (მართლქმედება) ხელოვნური დაპირისპირება, რომელსაც ეკუმენიზმი ატარებს და რომლითაც მართლად აზროვნებას მართლად მოქმედებას ამჯობინებს. სოციალური და პოლიტიკური ამოცანებით დაკავებული, ემს აშკარად საერო ორგანიზაციად იქცა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ეკლესიასთან.

ამასვე მოწმობს ყველა გენერალური ასამბლეის მოღვაწეობა, ამსტერდამიდან მოყოლებული ვიდრე ვანკუვერამდე (1948—1983). ამსტერდამში ლაპარაკი იყო „არა ღმრთის სასუფეველზე, რომელიც ჩვენს შორის არის (შლრ. ლუკა, 17, 21), არამედ ამა სოფლის საქმეთა მოწყობაზე[343]. მაგრამ ქრისტიანისთვის ამსოფლიური საქმეები თვითმიზანი კი არა, საუკუნო ცხოვრებისათვის მზადებაა!

ემს-ს V ასამბლეაზე (1975 წ.), რომელიც, ობიექტურ თვითმხილველთა აზრით, უფრო პოლიტიკური თავყრილობა იყო, ვიდრე რელიგიური, თავიდანვე დაისახა ჭეშმარიტებაზე მსჯელობისაგან თავის შეკავების კურსი. „ჩვენი კრიზისები იმდენად სახიფათოა, რომ არც ერთი პოლიტიკური, კულტურული თუ რელიგიური ჯგუფი არ უნდა დაკმაყოფილდეს საკუთარი ჭეშმარიტებით და საკუთარი სიწმიდით"[344]. ეს სიტყვები მიმართული იყო ასამბლეის მართლმადიდე-

ბელ მონაწილეთა წინააღმდეგ, რომლებმაც გაბედეს და წინ წამოსწიეს მართლმადიდებლობა, როგორც ერთადერთი სწორი სარწმუნოება. ამავე ასამბლეაზე შეეხნენ საკითხებს ადამიანის უფლებების შესახებ ანგოლაში, ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში და ა. შ.[345], როგორც ეს ჩვეულებრივ სამართალდამცავ ყრილობებზე ხდება.

ვანკუვერის VI ასამბლეაზე (1983 წ.) მიიღეს გადაწყვეტილებები სამხრეთ აფრიკის რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ცენტრალური ამერიკის (გვატემალა, სალვადორი)[346] დიქტატორული სამხედრო რეჟიმების გამო, მაგრამ არც ერთი სიტყვა მორწმუნეთა უფლებების სასტიკ დარღვევაზე ალბანეთში, სადაც 1967 წლიდან მოყოლებული, სახელმწიფო ხელისუფლება რელიგიის სრულ აღმოფხვრას ცდილობდა. ამის შედეგად ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესია 1990 წლამდე ოფიციალურად არ არსებობდა, რადგან იგი კანონგარეშედ იყო გამოცხადებული.

1967 წლიდან ემს-ს სამი გენერალური ასამბლეა შედგა (1968, 75 და 83 წლებში) და არც ერთზე არავის არაფერი დასცდენია ალბანეთში სარწმუნოების დევნის თაობაზე! და ეს ხდებოდა ელადის ეკლესიის ენერგიული მცდელობის მიუხედავად, რომელიც აქტიურად იბრძოდა ალბანეთში მცხოვრები 400 ათასი მართლმადიდებელი ბერძენის დასაცავად. ეს ბერძნები ვაჟკაცურად იტანდნენ დევნას, პყრობილებას და სიკვდილს ქრისტეს სარწმუნოებისათვის[347], „ქრისტიანული“ საეკლესიო საბჭო კი, რომელიც ესარჩლებოდა მთელი მსოფლიოს უცხო აღმსარებლობებსა და უცხო რელიგიების წარმომადგენლებს, გულგრილად უმზერდა მართლმადიდებელ დევნილთა ტანჯვას!

ემს-ს ავბედითი დუმილი მისი საქმიანობის მზაკვრულ საფუძველზე მიუთითებს, რაზედაც ამ წიგნის მეორე ნაწილში იქნება საუბარი. ჯერჯერობით კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჩვენ გვაღელვებს ემს-ს სოციალური მოღვაწეობა, რომელიც ცდილობს ეკლესიას თავისი პირდაპირი დანიშნულებიდან საერო ინტერესებისაკენ გადაახვევინოს. სულის ცხონება შესაძლებელია ნებისმიერი გარეგნული სოციალური პირობების მიუხედავად, თვით უფალმა გვამცნო: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (მათე, 6, 33), და მტკიცე უარი თქვა მატერიალური დავის გადაჭრაზე: „ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქუენდა?“ (ლუკა, 12, 14). მართას მაცხოვარმა უსა-

ყვედურა: „ზრუნავ და შფოთხარ მრავლისათვის, აქა ერთისა არს სახმარ!“ და მაგალითად მისი და, მარიამი დაუსახელა, რომელმაც „კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან“ (ლუკა, 10, 41—42).

ეკუმენიზმის საერო სულისკვეთება ბევრისთვის ხდება მიუღებელი და ისეთი თავგამოდებული ეკუმენისტიც კი, როგორიც არის მთავარეპისკოპოსი თიატირისა, ათინაგორა, ამბობს: „ჩვენი საქმე არ არის ეკლესიათა საბჭოს იმ ყრილობებსა და კომიტეტებში მონაწილეობა, ეკონომიკის, ტექნიკისა და სხვა დარგების პრობლემებს რომ ეხება. ყოველივე ეს გაეროსა და ეკონომიური მეცნიერებების საქმეა. თუ ამით იქნა დაკავებული, ეკლესია გადაუხვევს თავის ჭეშმარიტ მისიას — ქრისტეს ქადაგებას“[348].

ამრიგად მართლმადიდებელი ქრისტიანი არ უნდა იყოს ეკუმენისტი, რამეთუ:

1) ემს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დამარხულ ჭეშმარიტებას აგდებულად ეჭცევა.

2) ემს კრძალავს მართლმადიდებლურ მისიონერობას.

3) ემს ცდილობს უკარნახოს მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი ნება.

4) ემს სეკულარული სულისკვეთებით არის გამსჭვალული და ეს სულისკვეთება ეკლესიას მისი სულიერი მიზნებიდან ამა ხოფლისეული მიზნებისკენ მიმართავს!

მე-11 მიზეზი

ეკუმენიზმი აშკარად განდგომილების ხასიათს ატარებს. ჭეშმარიტებიდან თითქოს მცირე გადახვევების გზით მას საშინელი ცთომილებებისკენ მივუყავართ. მოითხოვს რა მართლმადიდებელი ეკლესიისგან არამართლმადიდებლურ გაერთიანებებთან ერთად მოინანიოს „ეკლესიათა განყოფის“ ცოდვა, ემს გრალს დებს მას ცთომილების ცოდვებში, რომლებიც მას არ გააჩნია, და ამით უარყოფს, რომ იგია „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“.

ა) ემს განდგომილების ხასიათს ატარებს
(ჟურნალ „რისკის“ მიმოხილვა)

ახალგაზრდულ ეკუმენისტური ჟურნალის „რისკის“ ერთ-ერთ ნომერში ვხვდებით ახალ მტკიცებებს იმისას, რომ ეკუმენისტური

მოძრაობა ღმერთისგან განდგომის ხასიათს ატარებს. კვრძოდ, აქ ვკითხულობთ, რომ თურმე „ეკლესია ამ სოფელზე უნდა ქადაგებდეს და არა მომავალზე“[349].

ამავე ნომერში მოთავსებულია ახალი „მრწამსი“, რომლის მიზანია ნიკეა-კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმბოლოს შევიწროება — იგი უკვე აღარ მოსდით თვალში ახალგაზრდა ეკუმენისტებს. ჩვენ, ქრისტიანები, დარწმუნებულები ვიყავით, რომ ქრისტე ჩვენი ცხონებისათვის გვესაჭიროება, ახლა კი გვეუბნებიან: „ქრისტეს ჩვენ თავისი რევოლუციისათვის ვჭირდებით“. ეს „მრწამსი“ მთლიანად გაჟღენთილია ამა სოფლის სულით და იესო ქრისტეს სრულიად დამახინჯებულ სახეს იძლევა. მასში ვკითხულობთ: „მრწამს იესო ქრისტე, რამეთუ იგი, იყო რა ერთადერთი ინდივიდი, რომელსაც არაფრის გაკეთება არ შეეძლო (?), იღვწოდა, რათა შეეცვალა არსებული მდგომარეობა, და ამ დროს დაიღუპა“[350].

პირველ ყოვლისა, მკრეხელობაა ლაპარაკი იესო ქრისტეზე, როგორც ინდივიდზე, „რომელსაც არაფრის გაკეთება არ შეეძლო!“ ჩვენთვის, ქრისტეს მორწმუნეთათვის, იგი არის არა ჩვეულებრივი ინდივიდი, არამედ ყოვლისშემძლე, განხორციელებული ძე ღმრთისა, რომელსაც გეთსამანიის ბაღში, მტრებით გარშემორტყმულს, შეეძლო თავი დაეცვა არა მხოლოდ პეტრეს მახვილით, არამედ შევედრებოდა თავის ზეციურ მამას 12 ლეგიონზე უმეტესი ანგელოზის მოვლინებას (მათე, 26, 52—53); და მართლაც, მამა ღმერთმა წამით გამოიჩინა თავისი ღმრთაებრივი ძალა, როდესაც შეიარაღებული ჯარისკაცები რაიმე ხილული მიზეზის გარეშე „გარე-უკუნ იქცეს და დაეცეს ქუეყანასა“ (ინ, 18, 6).

ხოლო თუ მაცხოვარმა ჩვენმა, უფალმა იესო ქრისტემ არაფერი იღონა ამა სოფლის პირობების რევოლუციური გარდაქმნისათვის, როგორც ეს ეკუმენისტებს წარმოუდგენიათ, არა იმიტომ, რომ არ შეეძლო ამის გაკეთება, არამედ იმიტომ, რომ ეს ღმრთაებრივ განგებულებას არ შეესაბამებოდა. იესო ქრისტეს სურდა არა შეცვლა სოფლისა, რომელიც „ბოროტსა ზედა სდგას“ (1 ინ. 5, 22), არამედ ცალკეულ ადამიანის სულის გარდაქმნა მისი საუკუნო ცხონებისათვის, ცოდვილი გარემოს მიუხედავად! რაც შეეხება იესო ქრისტეს მიმართ სიტყვა „დაიღუპა“-ს ხმარებას, ეს უკვე ნამდვილი უღმერთობაა. მაცხოვარი კი არ „დაიღუპა“, არამედ თავისი ნებით მისცა თავი თვისი სასიკვდილოდ ჩვენი ცხონებისათვის, რამეთუ მას ხელე-

წიფება „დადებად სულისა თვისისა და კვალად მიღება მისი“ (შდრ. ინ. 10, 17—18) მკვდრეთით აღდგომის გზით!

შემდეგ ეკუმენისტურ „მრწამსში“ ვკითხულობთ: „მე ყოველდღე შიში მიპყრობს, რომ იგი (იესო ქრისტე) ამაოდ მოკვდა, რამეთუ ჩვენმა ეკლესიებმა იგი დაივიწყეს, ჩვენ ვუღალატეთ მის რევოლუციას ხელისუფლების მორჩილებისა და მის წინაშე ძრწოლის გამო“. იმის დაშვება, რომ ქრისტე ამაოდ მოკვდა, არის უღმერთო ვერგაგება მის მიერ კაცთა გამოხსნის დიდი საქმისა. ამ საქმის წყალობითაა, რომ ცოდვის, წყევლისა და სიკვდილისაგან ხსნა მოიპოვეს, დღესაც ცდილობენ მოპოვებას და ხვალაც მოიპოვებენ მორწმუნე ქრისტიანები, რომლებიც ზეციურ სასუფეველს დაიმკვიდრებენ ყოველგვარი ეკუმენისტური რევოლუციის გარეშე!

და ბოლოს, ეკუმენისტურ „მრწამსში“ წერია: „მე მწამს სამართლიანი მსოფლიო, რომელიც შეიძლება არსებობდეს, მწამს მთელი კაცობრიობის გონივრული ცხოვრების შესაძლებლობა, მწამს ამა სოფლის მომავალი, ამინ!“ ზედმეტია იმის ახსნა, თუ როგორ ეწინააღმდეგება ამ „მრწამსის“ დაბოლოება ჩვენი სარწმუნოების სიმბოლოს, რომელიც ჩვენს უკანასკნელ მზერას ამა სოფლისაკენ კი არ მიმართავს, რომელიც „წარვალს“ (1 კორ. 7, 31) და რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება (1 პეტ. 3, 10), არამედ „ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესა“, ანუ ქრისტეს ზეციური მეუფებისკენ, რომელიც არასოდეს მთავრდება!

„რისკის“ ამავე ნომერში გადმოცემულია, თუ როგორ განმარტავენ კიოლნის საკათედრო ტაძარში ჩატარებული „საღამოს პოლიტიკური ღმრთისმსახურების“ დროს ნეტარებებს ქრისტეს ქადაგებიდან მთაზე (მათე, 5, 3—10). ნეტარებები საერო, მიწიერ ასპექტში განიხილება და პოლიტიკურ-სოციალური ელფერი დაჰკრავს, ამდენად, მოკლებულია თავის ღრმა სულიერ შინაარსს. ასეთივე მკრეხელური ახსნა-განმარტება მიეცა უფლის ლოცვას — „მამაო ჩვენოს“. თვითონ ტაძარი, სადაც „საღამოს პოლიტიკური ღმრთისმსახურება“ ტარდებოდა, კონფერენც-დარბაზად იქცა: შეკრებილნი „ღმრთისმსახურების“ მოლოდინში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, თავს ხალვათად გრძნობდნენ, თითქოს რესტორანში არიანო, გაზეთებს კითხულობდნენ და ა. შ.

იქვე, ერთ-ერთ გვერდზე, ყოველგვარი კომენტარის გარეშე დიდი ასოებითაა დაბეჭდილი ანტიქრისტიანული ლოზუნგი: „განხორ-

ციელება ჯერ არ აღსრულებულა". რისი თქმა სურდა ამით „რისკის" რედაქტორს? გამოდის, სხვა მესიას უნდა ველოდოთ?

ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის ჭეშმარიტება საპირისპიროს ღაღადებს: ღმრთის განხორციელება უკვე აღსრულდა! წმ. წერილი ამბობს, რომ „სიტყვა იგი ხორციელ იქმნა" (ინ. 1, 14), „ღმერთი გამოსჩნდა ხორცითა" (1 ტიმ. 3, 16) და ამიტომ ახალი „განხორციელების" მოლოდინი ნიშნავს იესო ქრისტეს, განხორციელებული ძე ღმრთისას უარყოფას და მომავალი ანტიქრისტეს, როგორც „სოფლის მხსნელის" მიღებას.

ბოლო ხანს ოკულტურ-თეოსოფიურ სფეროში ბევრი რამ კეთდება ქრისტეს ანტიქრისტეთი შეცვლისათვის. მაგალითად, თეოსოფმა ქალმა, ა. ბეილიმ გამოაქვეყნა მრავალმნიშვნელოვანი სათაურის მქონე წიგნი — „ქრისტეს დაბრუნება", რომელშიც ქრისტეს მეორედ მოსვლის სახით მკითხველს სთავაზობენ ანტიქრისტეს მოსვლას, როგორც ქრისტეს რაღაც „გარდასახვას"! ავტორი ქრისტეს „დასავლეთის სულიერ ბელადად" აღიარებს, მის გვერდით კი, როგორც ტოლს, აყენებს ბუდას — „აღმოსავლეთის სულიერ ბელადს"[351] და ქადაგებს იდეას, რომ „ის, ვინც ქრისტეს შემდეგ მოვა, მთელ მსოფლიოს თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანებს". მისი დაბრუნება აღარ მოხდება ერთადერთი და პატარა, უმრავლესობისათვის უცნობ რაიონში, როგორც ადრე იყო. რადიოს, პრესის, ახალი ამბების სწრაფი გავრცელების გამო ეს მოსვლა უფრო სხვაგვარი იქნება, ვიდრე უწინ მოვლენილთა მოსვლა. გადაადგილების საშუალებები: გემები, მატარებლები, თვითმფრინავები მას მისაწვდომს გახდიან ათასობით ადამიანისთვის; ტელევიზიის საშუალებით მისი სახე ყველასათვის ახლობელი გახდება, და ჭეშმარიტად, „იხილოს ყოველმან თუალმან" (გამოცხ. 1, 7) [352].

„არავინ უწყის, რომელი ეროვნების წარმომადგენელი იქნება: ინგლისელი თუ რუსი, ზანგი თუ ლათინური ამერიკის მკვიდრი, თურქი თუ ინდოელი? ვერც იმას ვიტყვით, ქრისტიანი იქნება, ინდუისტი თუ ბუდისტი, ან იქნებ კერძო სარწმუნოება ჰქონდეს? იგი რომელიმე ძველი რელიგიის, მათ შორის ქრისტიანობის აღსადგენად როდი მოვა" [353]... და ბოლოს, თეოსოფი ავტორი ამხელს თავს, როდესაც აცხადებს, რომ „ქრისტე, რომელიც მოვა, არ იქნება იმ ქრისტეს მსგავსი, რომელმაც, როგორც ჩანს, მიგვატოვა", და დაასკვნის: „თუკი ადამიანები დაეძებენ ქრისტეს, რომელმაც მიატოვა თავისი

მოწაფეები მრავალი საუკუნის წინ, ისინი ვერ იცნობენ ქრისტეს, რომელიც მალე დაბრუნდება"[354]. ამ ბოლო მტკიცებას სავსებით ვეთანხმებით ჩვენც, მართლმადიდებელი ქრისტიანები, რადგან ანტიქრისტეში მართლაც ვერ ვიცნობთ და არც ვცნობთ ქრისტეს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ანტიქრისტესთან: „რა მოყუსობა არს სიმართლისა და უსჯულოებისა? ანუ რა ზიარება არს ნათლისა და ბნელისა?" (2 კორ. 6, 14).

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „რისკის" ხსენებულ ნომერს. აქ ვკითხულობთ: „შერიგება ცნობილ ფასეულობათა გადაფასების გზით ხდება — როგორც მატერიალურის, ისე სულიერის... ერთობლივი ლოცვისა და სხვა აღმსარებლობების ლოცვაში მონაწილეობისას, რომლებსაც სულ სხვა ტრადიცია აქვთ, ჩვენ თანდათან ისე შევითვისებთ უცხო ტრადიციას, როგორც საკუთარს... ამ შერიგების მიღწევის მთავარი პირობა ისაა, რომ აღარ მიგვაჩნდეს ჩვენი აღმსარებლობა და ჩვენი ეკლესია ყველაზე უკეთესად და ყველაზე სრულყოფილად, მაგრამ მის წევრებად დავრჩეთ, ვიდრე ყველა საბოლოოდ შეერთდებოდეს უნივერსალურ ეკლესიაში" [355].

რას ნიშნავს ეს მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის? იმას, რომ აღარ უნდა ხედავდეს მართლმადიდებლობაში ერთადერთ უცთომელ აღმსარებლობას და აღარ მიაჩნდეს მართლმადიდებელი ეკლესია „სვეტად და სიმტკიცედ ჭეშმარიტებისა", არამედ სხვა „საეკლესიო" ტრადიციებს მიაპყროს ყური, მიიღოს არამართლმადიდებელთა შეხედულებებიც, როგორც ჰიპოთეტურად სწორი, თავისი სარწმუნოების „გამდიდრების" იმედით და, ბოლოს, „გაგებით" მოეკიდოს მწვალებლებს და დაამყაროს მათთან ლოცვითი და „ევქარისტიული" კავშირი! ყოველივე ეს დაუშვებელია მართლმადიდებლური თვალსაზრისით, რამეთუ ჭეშმარიტად ცთომილებებით „შევსებას" ვერ ითმენს — სხვაგვარად იგი აღარ იქნება ჭეშმარიტება!

ამრიგად, ეკუმენიზმი ცდილობს შეცვალოს მართლმადიდებელი ეკლესია თავისი „უნივერსალური ეკლესიით", ამისთვის აპირებს მართლმადიდებლობის გალავნის მორღვევას, რათა გააიოლოს ჭეშმარიტების ღალატი, რომელიც საბოლოოდ შეერევა ტყუილს და ჩაიძირება მასში! ასეთი გახლავთ ჭეშმარიტებისაგან განდგომის ეკუმენისტური გეგმები (შდრ. თეს. 2, 3), რომელსაც, ღალატობს რა მშობლიურ მართლმადიდებლობას, სულ უფრო ემორჩილება მრავალი მართლმადიდებელი ეკუმენისტი.

ბ) მცირე გადახვევებს ჰეშმარიტებიდან დიდი გადახვევები მოსდევს

ხშირად გვეკამათებიან, ეკუმენიზმის მიერ ჩაფიქრებული ყველა რელიგიის ერთ „უნივერსალურ ეკლესიად“ გაერთიანება არარეალურია, რადგან თანამედროვე „მართლმადიდებელი ეკუმენისტების“ უმრავლესობა დოგმატების დაცვის მომხრეა და არ აპირებს მათ დათმობასო. მაგრამ ასეთი შედავება უნიადაგო და არასანუგეშოა! თუ განდგომილება ჯერ საბოლოოდ არ აღსრულებულა, ეს აუცილებლად მოხდება მომავალში, რაც უკვე დაგეგმილია „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტების ახალგაზრდა თაობის სახით. თუ ემს-ს გენერალურ ასამბლეებს ერთმანეთს შევადარებთ (განსაკუთრებით ეს ითქმის VI, 1968, წლის ასამბლეაზე), დავინახავთ, რა სწრაფად ვითარდება მოვლენები. ბოროტება სულ უფრო კადნიერდება, და ის, ვინც დღევანდელი ეკუმენისტების საქმეებში მონაწილეობს, ხვალინდელ, კიდევ უფრო საძაგელ განდგომილთა ტრიუმფს ამზადებს.

წმ. პავლე მოციქული, რომელიც სახელდებს ანტიქრისტეს „კაცად უსჯულოებისად“ (2 თეს. 2, 3), ამბობს, რომ იგი მოვა უშუალოდ სოფლის აღსასრულის წინ, ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს (2 თეს. 2, 8). წმ. იოანე ღმრთისმეტყველი წერს თავის თანამედროვე ანტიქრისტეებზე, რომლებიც მთავარ ანტიქრისტესთან შედარებით წვრილ-წვრილნი არიან, მაგრამ მაინც მის წინამორბედებად გვევლინებიან და გზას უმზადებენ მას. ეს მაცთური სულნი ვითომ ქრისტეს ქადაგებენ, მაგრამ ამას უკეღმართად სჩადიან, რამეთუ მიატოვეს ჰეშმარიტი ეკლესია, ძირს უთხრიან და თიშავენ მას (1 იო. 2, 18—19). განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ანტიქრისტეს წინამორბედნი არ არიან საშიშნი და მხოლოდ ნამდვილი ანტიქრისტე იქნება „შვილი წარსაწყმედელისა“ (2 თეს. 2, 3)?

ჩვენი პასუხისმგებლობა თუნდაც სულ მცირე გადახვევისთვის, რითაც ხელს ვუწყობთ ეკუმენიზმს მისი ბნელი მიზნების განხორციელებაში, სრულიადაც არ ჩამოუვარდება „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტების მომავალ თაობათა პასუხისმგებლობას, რომლებიც დაასრულებენ „უკეთურთა კრებულის“ (ეკლესიის) (ფს. 25, 5) შექმნას, და ეს მოხდება ეკუმენისტური მოძრაობის დღევანდელი მომხრეების მიერ ჩაყრილ საფუძველზე!

როდესაც 1920 წელს კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ პირველად დაიწყო ეკუმენიზმთან თანამშრომლობა, მან თითქოს ოდნავ გადაუხვია მართლმადიდებლობას კაცობრიობის საკეთილდღეოდ, მაგრამ შემდ-

გომში ეს პროცესი გაძლიერდა და განდგომილება სულ უფრო მატულობს, მომავალი „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტები კი, თუ ამ გზით განაგრძეს სიარული, სრულიად განუდგებიან მართმადიდებელ ეკლესიას. ამიტომ ეკუმენიზმის პირველ მხარდამჭერთა პასუხისმგებლობა, რომლებმაც ვითომ „უმნიშვნელო“ გადახვევა დაუშვეს კანონებისა და დოგმებისაგან, არათუ ნაკლები, ალბათ ბევრად მეტიცაა მომავალ თაობებზე, რომლებიც მათ მაგალითს ბაძავენ!

განდგომილების პროცესის დაჩქარება ემს-ს მართლმადიდებელ წარმომადგენელთა გამონათქვამების შედარებიდანაც ჩანს.

დეკლარაციაში, რომელიც მართლმადიდებელმა მონაწილეებმა ე. წ. „ევანსტონის შეხვედრაზე“ შეადგინეს, ნათქვამია: „მთელი ქრისტიანული სარწმუნოება ერთია და განუყოფელი, ამიტომ არ შეიძლება აღმსარებლობის მხოლოდ ზოგიერთი ნაწილის მიღება... მართლმადიდებლობის თვალსაზრისით ეაერთიანება, რაც ემს-ს მიზანს წარმოადგენს, შესაძლებელია მხოლოდ ძველი, განუყოფელი ეკლესიის მთლიანი სწავლების საფუძველზე, ყოველგვარი შემოკლებებისა და ცვლილებების გარეშე.. სარწმუნოებაში შემთანხმებლობა დაუშვებელია“![356] ამრიგად, ამ დეკლარაციის შიხედვით, აღმსარებლობა ხელშეუხებელია.

მაგრამ უკვე 16 წლის შემდეგ ლენინგრადის სასულიერო აკადემიის დოგმატიკის პროფესორმა, ლ. ვორონოვმა მართლმადიდებელ ღმრთისმეტყველთა კონფერენციაზე ბრუკლინში (აშშ) განაცხადა, რომ მართლმადიდებლობაში დაწყებული „განახლება“ უნდა შეეხოს ყველაზე მგრძნობიარე სფეროს — აღმსარებლობას და დოგმატიკას, სადაც დაკანონებულია უცვალებლობა და ხელშეუხებლობა, სადაც ყოველნაირად გაურბიან გამოთქმას „განვითარება“, და ბოლოს, სადაც ხელაღებით გამორიცხავენ იკონომიის პრინციპზე ფიქრსაც კი“[357].

ეკუმენისტური სულისკვეთების გავლენით თანამედროვე „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტები იქამდე მივიდნენ, რომ მიაჩნიათ, თითქოს სარწმუნოებრივი სწავლების სფერო, მართლმადიდებელი კრებების მიერ ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცებული, გადახედვას საჭიროებდეს, თუმცა ჯერჯერობით ეს ეხება დოგმატიკურ ფორმულირებათა გარეგნულ მხარეს, არამართლმადიდებლებთან გარკვეული დაახლოების მიზნით. სარწმუნოებაში შემთანხმებლობის დაუშვებლობა თანდათან იცვლება „იკონომიის“ პრინციპით, რომლითაც აშკარად ბოროტად სარგებლობენ. ეს კი ნიშნავს, ჯერ ერთი, მსოფლიო კრებებთან დაპირისპირებას, რომლებიც სარწმუნოების ხელშეუხე-

ბელ სფეროში არავითარ სიახლეებსა და ცვლილებებს არ ღებულობენ (VI კრების I კანონი), და მეორეც, წმ. მამებთან წინააღმდეგობას, რომლებიც დოგმატიკიდან სრულიად გამორიცხავენ საეკლესიო იკონომიის პრინციპს. წმ. მარკოზ ეფესელმა, რომელიც ფლორენციის კრებაზე მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას, განაცხადა: „სარწმუნოების საქმეებში იკონომია დაუშვებელია. ეს იგივეა, რომ გითხრან: ჯერ თავი მოიჭერი, მერე კი საითაც გინდა იქით წაბრძანდიო“[358].

ევანსტონის დეკლარაციაში დაუშვებლად ცხადდება „სწავლების გაყოფა არსებით და არაარსებით ნაწილებად“[359], დეკანოზი ვორონოვი კი აცხადებს; რომ საჭიროა აუცილებელი დოგმატების (ნეკესარია) გამიჯვნა სწავლების სხვა ჭეშმარიტებებისგან. ამ უკანასკნელთ საეჭვოთა (დუბია) რიგს მიაკუთვნებს და უკვე აშკარად ლაპარაკობს „სარწმუნოების მეორეხარისხოვან საკითხებზე“[360].

ევანსტონის დეკლარაციაში წერია, რომ „წმ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ერთადერთმა, დაიცვა სავსებით და დაურღვევლად სარწმუნოება“, საიდანაც გამომდინარეობს მისი ერთადერთი მოთხოვნა: გაერთიანთებისთვის მიღებულ იქნას „მსოფლიო კრებების მიერ დადგენილი ყველა ძველი დოგმატი და თავდაპირველი ეკლესიის მთლიანი სწავლება“. დეკლარაციის თანახმად, მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს საფუძველი ამტკიცოს, რომ იგი არის ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, და თუ სხვა „ეკლესიებს“ სურთ ამ თვისებების შეძენა, ისინი მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა შეუერთდნენ[361].

დეკანოზი ვორონოვი კი წერს, რომ „გათიშული ქრისტიანების გაერთიანება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მხოლოდ მათთან შეერთება“[362], ანუ, მართლმადიდებლობასთან შეერთების ნაცვლად შემთანხმებლობასა და კომპრომისებს ქადაგებს. თავის სხვა სტატიაში, „კონფესიონალიზმი და ეკუმენიზმი“, ეს ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის, იგი იყენებს ბოლოტოვისაგან ნასესხებ გამოთქმებს და მსჯელობს მწვალებელ-რასკოლნიკების შეერთებაზე შემსუბუქებული პირობებით. ამ დროს შეიძლება „მართლმადიდებლობის წიაღში საეჭვო სისუფთავის ელემენტების მიღების“ რისკს ვეწეოდეთ, მაგრამ სამაგიეროდ არსებობს პერსპექტივა, რომ მართლმადიდებლურმა გარემომ თავის თავში „გადაადნოს“ მწვალებლობა „ეკლესიის ორგანიზმის ჯანსაღი ძალების გავლენით“[363]. კიდევ კარგი, ბოლოტოვი ვერ მოესწრო ეკუმენიზმის დღევანდელ გაქანებას,

თორემ უთუოდ შეძრწუნდებოდა. მაგრამ როგორ შეუძლია მართლმადიდებლური დოგმატიკის პროფესორს, რომელიც მოწმეა მართლმადიდებლობისგან საშინელი განდგომისა, ასეთი სახიფათო და პირდაპირ მოღალატური რჩევების გაცემა?

აი, სანამდე მიიყვანეს მართლმადიდებელი ეკლესია მისმა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობენ.

ბ) ეკუმენისტები მართლმადიდებელი ეკლესიისაგან, ისევე, როგორც არამართლმადიდებლებისაგან, ქრისტიანების განყოფის ცოდვის მონანიებას მოითხოვენ

აქამდე მართლმადიდებელი ეკლესიისაგან მხოლოდ არამართლმადიდებელი თეოლოგები მოითხოვდნენ სინანულს ქრისტიანთა განყოფის ცოდვის გამო[364]. ეს ჩანს ევანსტონის დეკლარაციიდანაც, სადაც წერია:

„საღმრთისმეტყველო საკითხების სექციის მოხსენება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ეკლესია სინანულის გზით უნდა მივიდეს გაერთიანებამდე. ჩვენ ვაღიარებთ, რომ მორწმუნე ქრისტიანთა ცხოვრებასა და მოწმობაში იყო და ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, მაგრამ ვერ ვუშვებთ, რომ ეკლესია, რომელიც არის ქრისტეს სხეული და ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტების საცავი, კაცობრივი ცოდვების გამო შეიძლება დამცირდეს. ამიტომ ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ ეკლესიის სინანულზე — იგი თავისი არსით წმიდაა და უცთომელი. რამეთუ „ქრისტემან შეიყვარა ეკლესია და თავი თვისი მისცა მისთვის, რათა იგი წმიდა-ჰყოს, განსწმიდა იგი საბანელითა მით წყლისათა და სიტყვითა, რათა წარუდგინოს თავადმან თავსა თვისსა დიდებულად ეკლესია, რათა არა აქუნდეს მწიკვლევანება, არცა ნაოჭ ბრძვილისა, არცა სხუა რა ესევითარი, არამედ რათა იყოს წმიდა და უბიწო“ (ეფეს.. 5, 25—27). ამრიგად, უფალმა, ერთმა და წმიდამ, შექმნა საუკუნოდ ქრისტეს სხეული. ეკლესიის სიწმიდე ვერ შეიბღალება მისი წევრების ცოდვებითა და შეცდომებით, ისინი ვერ შეძლებენ დაამცირონ და ამოწურონ ღმრთაებრივი ცხოვრების ამოუწურავი სიწმიდე, რომელსაც უფალი, თავი ეკლესიისა, ეკლესიის მთელ სხეულს ჰფენს“[365].

ეს სიტყვები 1954 წელს დაიწერა. დღეს ასეთი გამონათქვამების არსებობა ეკუმენისტური მოძრაობის მართლმადიდებელ მონაწილეთა

მხრიდან უკვე წარმოუდგენელია. ამ მოკლე ხანში ემს-მა უკვე ისე გარდაქმნა მართლმადიდებელი ეკუმენისტების გონება, რომ ერთ-ერთი მათგანი, ნიკოს ნისიოტისი, უკვე უტიფრად, აშკარად (და თანაც მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით) აცხადებს, რომ „ორმხრივი და გულწრფელი სინანული გაყოფილ ქრისტიანთა დიალოგის აუცილებელი წინაპირობაა“ [366].

მაგრამ რა არის სინანული (ბერძ. მეტანოია)? ეს ნიშნავს აზრების შეცვლას, გარდაქმნას. ქრისტეს ეკლესიის აზრები დოგმატებსა და კანონებშია დაფიქსირებული. როგორ უნდა შეცვალოს მან თავისი დოგმატური ფორმულირებანი და კანონიკური დადგენილებანი ისე, რომ თან მართლმადიდებელიც დარჩეს? ეს შეუძლებელია, რამეთუ ამით იგი უღალატებს თავის დანიშნულებას იყოს „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“. ეკლესია ხომ უფალმა იესო ქრისტემ დაარსა, როგორც ჭეშმარიტების ერთადერთი საიმედო საყრდენი ცხონების მსურველთათვის. ეკლესიისაგან სინანულის, ანუ გარდაქმნის მოთხოვნა ნიშნავს გავანადგუროთ ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტების შუქურა, რომელიც ცხონების გზას მიგვითითებს!

ამ მოთხოვნაში სხვა მკრეხელური აბსურდიც იმალება. ისინი, ვინც მართლმადიდებელი ეკლესიისგან სხვა ეკლესიების მსგავს „სინანულს“ მოითხოვენ, უშვებენ, რომ უკვე აღარ არსებობს ეკლესია, რომელიც ქრისტეს ერთგული დარჩა და შეურყვნელი ჭეშმარიტების სავსება დაიცვა, და შესაბამისად, მძიმე ბრალდებას უყენებენ ქრისტეს, თითქოს მან ამაოდ აღგვითქვა, რომ ქრისტეს ეკლესიას ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ მოერევიან (მათე, 16, 18). გამოდის, არც პავლე მოციქული ამბობდა მართალს, როდესაც ეკლესიას „ჭეშმარიტების სვეტსა და სიმტკიცეს“ (1 ტიმ. 3, 15) უწოდებდა.

სინანულისკენ მოწოდება მშვენიერია, როდესაც იგი სწორია, ანუ, როდესაც ინანიებს არა მართლმადიდებელი ეკლესია, არამედ მართლმადიდებელი ქრისტიანი — თავის პირად ცოდვებს. ჩვენ, მართლმადიდებელი ეკლესიის ცოდვილი შვილნი, ღრმად უნდა ვინანიებდეთ ჩვენს ზნეობრივ ცოდვებს, ასევე სარწმუნოებისა და ეკლესიის დოგმატების წინაშე ჩადენილ ცოდვებს; განუწყვეტლივ უნდა ვცდილობდეთ განწმენდას, სიწმიდისა და უბიწოების მოპოვებას, ჭეშმარიტების შეცნობას და ცხონების მოპოვებას (1 ტმ. 2, 4) „დასამტკიცებლად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებლად გუამისა ქრისტესისა, ვიდრემდე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა, მამაკაცად სრულად,

საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა, რათა არღარა ვიყუნეთ ყრმა ჩჩვილ, ღელვა-ატეხილ და მიმოტაცებულ ყოველსა მას ქარსა მოძღურებისასა, სივერაგითა კაცთათა და ზაკულებითა მანქანებისა მის მიმართ საცთურებისა" (ეფეს. 4, 12—14). სწორედ ასეთი სინანულია საჭირო, რამეთუ იგი გვათავისუფლებს ზნეობრივი ცოდვებისგანაც და დოგმატური ცთომილებებისგანაც, და მივყავართ სიწმიდისკენ, რომლის მთავარი საყრდენია სწორი ზნეობა, სწორ დოგმატიკაზე დამყარებული.

მაგრამ სინანულის მოთხოვნა ეკლესიისგან, რომელიც თვითონ ღებულობს ცოდვილთა სინანულს, განბანს მათ ღმრთისაგან ბოძებული მადლით და აცხონებს მართლმადიდებლობის წიაღში დაცული ჭეშმარიტებით, შეუფერებელიცაა და მკრეხელურიც! ეკლესიის სინანულის იდეას მზაკვრული მიზანი აქვს — აიძულოს იგი დაეჭვდეს თავის ღმრთაებრივ დანიშნულებაში.

ამ მიზნის მისაღწევად ეკუმენისტურ წრეებში მიღებულია ეშმაკური გამოთქმა — „კონფესიური ამპარტავნება"[367], რომელიც აშკარად მართლმადიდებლობის წარმომადგენელთა წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ რამდენად სწორია ჭეშმარიტად მართლმადიდებელ ქრისტიანთა „კონფესიურ ამპარტავნებაზე" ლაპარაკი? პირიქით, შესაძლებელია მხოლოდ კონფესიური სიხარული და ღმრთისადმი მადლიერების გრძნობა გვიპყრობდეს იმისათვის, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანებად დავიბადეთ, თუმცა ყველანი როდი ვართ ამ მაღალი წოდების ღირსნი. მართლმადიდებლური ჭეშმარიტება, რომელსაც ჩვენ ვაღიარებთ, მიღებული გვაქვს ჩვენს დასამდაბლებლად და საცხოვნებლად, და არა დამღუპველი ამპარტავნებით წარსაწყმედად. ჭეშმარიტება, რომელიც ქრისტემ დაგვიბრუნა და ჩაგვაბარა, განგვწმედს ჩვენ (ინ. 17, 17), თუკი მას დავიცავთ, მაგრამ იგივე ჭეშმარიტება განგვსჯის, როდესაც გადავუხვევთ!

წმ. მამები ამბობენ, რომ ყოველი წვალების თავი და თავი არის ეშმაკი. სწორედ მან გაყო კაცთა მოდგმა ათას აზრად და წვალებად[368]. იგივე ეშმაკი, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე მწვალებლურ განყოფათა გზით ვერ მოახერხა ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის მოსპობა, ჩვენს დროში გარეგნული ღმრთისმსახურებით ინიღბება — ვითომ გმობს მის მიერვე შექმნილ განყოფას, ცდილობს ეკუმენიზმის საშუალებით გააერთიანოს ყველა მწვალებლობა მათ ცთომილებათა საფუძველზე და ამაში მართლმადიდებელი ეკლესიაც ჩაითრიოს, ამიტომ მოუწოდებს მას ემს-ს საშუალებით „სინანულისკენ". მაგრამ

შეუძლია კი ეშმაკს სინანულის სწავლება? და თუ ასწავლის, რა მიზნით?

უფალი იესო ქრისტე ჭეშმარიტი სინანულისაკენ იმიტომ მოგვიწოდებს, რომ ცოდვებისგან ჩვენი გათავისუფლება სურს, ეშმაკი ცრუ „სინანულით“ ცდილობს აცთუნოს წმ. მართლმადიდებელი ეკლესია. რამეთუ თუკი ჭეშმარიტი ეკლესია, წმიდა და უცთომელი, იწყებს სინანულს, როგორც ქრისტიანთა განყოფის ცოდვის თანამდები, მაშასადამე, იგი ნანობს, რომ აქამდე იცავდა ჭეშმარიტებას, რომელსაც მახვილი და განყოფა შეაქვს მის მიმდევართა და უარმყოფელთა შორის (მათე, 10, 34; ლუკა, 12, 51). გამოდის, რომ ეკლესიამ სხვა „მონანულ“ გაერთიანებებთან ერთად რაღაც ახალი „ჭეშმარიტება“ უნდა ეძიოს, ისეთი, რომელიც კი არ განყოფს, არამედ გააერთიანებს; ჭეშმარიტება, რომელიც გვერდს აუვლის 7 მსოფლიო კრების დადგენილებებს — ამ კრებებმა ხომ ერთხელ და სამუდამოდ განაცალკევეს ჭეშმარიტება ცთომილებისაგან.

ეს იმ განცხადების ტოლფასი იქნებოდა, თითქოს ეკლესია „ცდებოდა“ თავის მტკიცე დოგმატურ განჩინებებში წვალებათა წინააღმდეგ და დაგვეშვა, რომ არიანელებსაც ჰქონდათ ერთგვარი სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ, მაგრამ ეკლესიამ თავის დროზე ეს ვერ დაინახა და ამიტომ დაგმო არიანელები I მსოფლიო კრებაზე. მაშასადამე, ეკლესიამ უნდა გადახედოს II მსოფლიო კრების განჩინებებს სული წმიდის ღმრთაებრივი ღირსების შესახებ, რომელთა ძალითაც მწვალებელი „სულის მბრძოლნი“ განკვეთილნი არიან მართლმადიდებლობისაგან! საყოველთაო დაახლოების სახელით ეკლესიამ ნესტორიანელებიც უნდა შეიწყნაროს, რომლებიც არ ეთანხმებიან მსოფლიო კრების განჩინებებს, „შეინანოს“ მათ წინაშე და პატიება სთხოვოს იმისათვის, რომ ნესტორი მწვალებლად შერაცხეს. ასეთი „სინანულის“ გზით თუ წავა, ეკლესიას მოუწევს გაამართლოს ქალკედონის კრებამდელნი და მონოფიზიტები, აგრეთვე მწვალებლები ევტიხი, დიოსკორე და ა. შ. (იხ. VI მსოფლიო კრების I-ლი და 95-ე კანონები).

ეკლესია რომ ამ ეკუმენისტურ ლოგიკას აჰყვეს, ასევე უნდა მოექცეს ყველა სხვა მწვალებელსაც, რომლებიც დაგმეს მსოფლიო და ადგილობრივმა კრებებმა. მხოლოდ ამგვარად შეასრულებდა იგი ემს-ს ეკუმენისტურ მოთხოვნებს ღრმა გარდაქმნების, საეკლესიო სტრუქტურათა გადაადგილებისა და გამყოფი კედლების საბოლოო დანგრევის შესახებ. მაგრამ ეს ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის დასასრული იქნებოდა!

ეკლესია არ არის კაცთაგან დაწესებული — ეს კარგად უნდა გვესმოდეს იმისათვის, რომ მივხვდეთ, რატომ არის შეუძლებელი ეკლესიის „სინანული". თუმცა იგი ადამიანებისგან შედგება, თანაც უმეტესად ცოდვილი ადამიანებისგან, მაგრამ იგი ღმრთაებრივი დაწესებულებაა, რომელშიც ამა სოფლის მკვიდრთა გარდა შესვენებული მართალნიც შედიან, და კიდევ — უცოდველი ზეციური ანგელოზები. ამაზე პავლე მოციქულიც წერს მოქცეულ ებრაელებს: „არამედ მოსრულ ხართ თქუენ მთასა სიონსა, და ქალაქსა ღმრთისა ცხოველისასა, იერუსალიმსა ზეცისასა და ბევრეულსა ანგელოზთა კრებულსა, და ეკლესიასა პირმშოსა (ანუ მათი, ვინც ირწმუნა ქრისტე)[369], აღწერილსა ცათა შინა, და ღმრთისა მსაჯულისა ყოველთასა, და სულებისა მართალთა მათ აღსრულებულთასა, და სჯულისა მის ახლისა შუა-მდგომელისა იესოსა" (ებრ. 12, 22—24). ასეთია, საღმრთო წერილის მიხედვით, ახალი აღთქმის ეკლესიის შედგენილობა.

მართლმადიდებელი ეკლესიისგან სინანულის მოთხოვნა ნიშნავს უცოდველ ანგელოზებსაც მოვთხოვოთ სინანული! და რაკი ეკლესიის თავი არის თვით უფალი იესო ქრისტე, იქნებ ეკუმენისტებმა მისგანაც მოითხოვონ სინანული? ეკლესია განუყოფელია ქრისტესაგან. სხეული უთავოდ გახლავთ გვამი. მაგრამ ეკლესია გვამი კი არა, ცოცხალი ღმრთაებრივ-კაცობრივი ორგანიზმია. როგორც ცოცხალი ორგანიზმია განუწყვეტელ კავშირში თავთან, ისე ეკლესია იმყოფება განუწყვეტელ კავშირში თავის თავთან — ქრისტესთან, და მასთან ერთად ერთ მთელს შეადგენს. მორწმუნეთათვის ეს განსაკუთრებით ხელშესახებია ქრისტეს ხორცსა და სისხლთან ზიარებისას (I კორ. 10, 16—17). სწორედ ამაში მდგომარეობს ქრისტეს ეკლესიის სიწმიდისა და უცთომელობის საფუძველი. მაშასადამე, ქრისტეს სხეულის დადანაშაულება ცოდვებში და მისგან სინანულის მოთხოვნა ნიშნავს, რომ ამ ცოდვების გამო პასუხისმგებლობა დავაკისროთ მის თავსაც — ქრისტეს. მაგრამ უცოდველი ქრისტესათვის ცოდვების დაბრალება ხომ უდიდესი მკრეხელობაა!

განმწმედელი ძალა ეკლესიისა, რომელიც მონანულ ცოდვილებს წმიდანებად აქცევს, არის მადლი სულისა წმიდისა. თავისი გარდამოსვლის შემდეგ სული წმიდის მადლი განუშორებლად არის ეკლესიაში, რათა ასწავლოს მის წევრებს ჭეშმარიტება (ინ. 16, 13), სიწმიდე და სიმართლე (ტიტ. 2, 12). სული წმიდა უკუნისამდე დაადგრება ეკლესიაში (ინ. 14, 16—17), რათა მიჰფინოს თავისი მადლი ყოველ კაცს, ვისაც გულწრფელად სურს ცხონება. სული წმიდა ყოველთვის აერ-

თიანებდა მორწმუნეებს ჭეშმარიტების გარშემო, მაშინ, როდესაც ეშმაკი პირიქით, უთანხმოებას თესავს ქრისტიანთა შორის (ლუკა, 22, 31)

სული წმიდის მიერ ძღვანებული და განათლებული ეკლესიისაგან ქრისტიანთა განყოფის ცოდვის გამო სინანულის მოთხოვნა იმის განცხადებას ნიშნავს, რომ ეშმაკი კი არა, სული წმიდაა დამნაშავე ამ განყოფაში, რამეთუ არ მოგვცა კომპრომისული ფორმულირებები, რომლებიც გააერთიანებდნენ და არ განყოფდნენ ქრისტიანებს. მაგრამ ღმრთაებრივი სამების მესამე ჰიპოსტასის დადანაშაულება განყოფის ცოდვაში არის მიუტევებელი ცოდვა — სული წმიდის გმობა. აი, რას ამბობს ამაზე თვით უფალი: „ამინ გეტყვი თქუენ, ვითარმედ ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა ცოდუანი და გმობანი, როდენსაცა ჰგმობდნენ. ხოლო რომელმან სთქუას გმობა სულისა წმიდისა, არა აქვს მიტევება უკუნისამდე, არამედ თანამდებ-არს იგი საუკუნოსა სასჯელისა“ (მარკ. 3, 28—29).

ამრიგად, რაკიღა ვიცით ეკუმენიზმის ღმრთისწინააღმდგომი სულისკვეთება, მისი ანტიმართლმადიდებლური მიმართულება, რაკიღა ვიცით, რომ ჭეშმარიტებისგან პატარ-პატარა გადახვევების გზით ეკუმენიზმს დიდი განდგომილებისაკენ მივყავართ და ქრისტიანებს „უკეთურთა კრებულში“, ანუ მომავალი ანტიქრისტეს უნივერსალურ ეკლესიაში ითრევს, და ბოლოს, რაკიღა გვახსოვს, რომ „სინანულის“ მოთხოვნა მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განყოფის ცოდვას სწამებს ეკლესიის თავს — უფალ იესო ქრისტეს, და ეკლესიის წინამძღვარს — სული წმიდას, ამიტომ მართლმადიდებელი ქრისტიანი მტკიცედ უნდა აღუდგეს წინ ეკუმენიზმს, რათა არ მიიღოს მონაწილეობა სული წმიდის მიუტევებელ გმობაში!

მე-12 მ ი ზ ე ზ ი

ეკუმენიზმის დამღუპველი გავლენა მართლმადიდებლებზე

ა) მართლმადიდებლური შესიტყვებანი ეკუმენიზმის წინააღმდეგ

ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზ VI (1968—86) ათენის გაზეთ „ორთოდოქსოს ტიპოსთან“ (1972, № 170) ინტერვიუში მტკიცედ გმობს ეკუმენისტურ მოძრაობას. „მე გმობ ეკუმენიზმს და იგი უბ-

რალოდ წვალებად კი არა, საყოველთაო წვალებად — ყველა წვალებისა და ცრუმოძღვრების საცავად მიმაჩნია. ჩვენ კარგად ვიცნობთ ანტიქრისტიანულ ძალებს, რომლებიც ეკუმენიზმს კულისებიდან მართავენ... ეკუმენიზმი მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო მოძრაობაა. ეს არის დღევანდელობის უდიდესი საფრთხე, ტოლფასი ჩვენი ეპოქის საერთო ურწმუნოებისა, რომელიც მატერიალურ სიკეთეებსა და ამა სოფლის სიამეებს აღმერთებს"[370].

იმ დროს, როდესაც ყველა ადგილობრივი ეკლესია ემს-ში მონაწილეობს, მართლმადიდებლობის დამცველებს განამტკიცებს ალექსანდრიის პირველმღვდელმთავრის სიტყვები: „მივესალმები და ვაკურთხებ ყველას, სამღვდელოსა თუ ერისკაცს, ვინც ეკუმენიზმის წინააღმდეგ იბრძვის"[371]. პატრიარქმა ელადის წმ. სინოდს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ურჩევს გამოვიდეს ემს-დან[372]. ეს რჩევა ყველა ადგილობრივ ეკლესიას ეხება, რადგან თუ ასე არ მოვიქცევით დღეს, სანამ ჯერ კიდევ არსებობენ მართლმადიდებლობის ერთგული სამღვდელონი და ერისკაცები, ხვალ, როდესაც ეკუმენისტური სულისკვეთებით აღზრდილი ახალი თაობა მოვა, უკვე გვიან იქნება!

საბედნიეროდ, დღევანდელ დღეს ასეთი წინადადება წამოაყენა ეკლესიათა დედამ-იერუსალიმის საპატრიარქომ, მისმა ღირსეულმა წინამძღვარმა, უნეტარესმა პატრიარქმა დიოდოროსმა, რომელმაც წმ. სინოდთან ერთად გადაწყვიტა, რომ იერუსალიმის ეკლესიას აღარ ექნება ურთიერთობა არამართლმადიდებლებთან და ემს-თან. თავის მოხსენებაში, რომელიც წმ. სინოდს წარუდგინა, მან განაცხადა: „იერუსალიმის ეკლესია, როგორც „დედა ეკლესიათა", მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს სარწმუნოების საკითხებში და შეურყვნელად დაიცვას სარწმუნოება, ისეთი, როგორიც მიიღო უფალ იესო ქრისტესაგან, რომელმაც დაარსა იგი თავისი პატიოსანი სისხლით. ამიტომ დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო ძნელბედობას განიცდის და თანამედროვე პროპაგანდა ზნეობრივ ფასეულობათა და გადმოცემათა გადახვევას გვთავაზობს, იერუსალიმის საპატრიარქო მოვალეა ხმა აიმაღლოს, რათა თავისი სამწყსო უცხო გავლენებისგან დაიცვას და მართლმადიდებლური სარწმუნოების დასაცავად იბრძოლოს. ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას მტკიცედ სწამს, რომ მასშია დაცული ჭეშმარიტების სავსება, რომ იგია ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, მადლისა და ჭეშმარიტების საცავი, და მასში წმიდად არის დამარხული ჩვენი სარწმუნოების ყველა დოგმატი და წმ. წერილი. მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა ეკუმენის-

ტურ დიალოგებში მავნე და სახიფათოა. საღმრთისმეტყველო დიალოგებს არამართლმადიდებლები მართლმადიდებლობის საზიანოდ იყენებენ“.

შემდეგ პატრიარქი დიოდოროსი არამართლმადიდებლური პროზელიტიზმის მავნებლობაზე მიუთითებს და დაასკვნის: „ჩვენმა სურვილმა, რომ შეურყვნელად დავიცვათ ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება და გადმოცემები არამართლმადიდებელთა სახიფათო გავლენისაგან, გვაიძულა შეგვეწყვიტა დიალოგები არა მხოლოდ ანგლიკანებთან, რომლებმაც უკვე შემოიღეს ქალთა ხელდასხმა, არამედ დიალოგები პაპისტებთან, მონოფიზიტებთან, ლუთერანებთან და რეფორმატებთან, რომლებშიც იერუსალიმის ეკლესია თავიდანვე არ მონაწილეობდა“[373].

ეკუმენიზმსა და ემს-ს სერიოზულად აკრიტიკებენ სხვა მართლმადიდებელი ეკლესიებიც. მაგალითად, 1973 წ. ამერიკის ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ გამოაქვეყნა ვრცელი საზოგადო ეპისტოლე ქრისტიანული ერთიანობისა და ეკუმენიზმის საკითხებზე. ეპისტოლეში გამოთქმულია მშვენიერი აზრები ეკლესიის, როგორც ჭეშმარიტების, სიყვარულისა და სიწმიდისმიერ ერთიანობაზე და ხაზგასმულია, რომ „მართლმადიდებელი ეკლესია არის ჭეშმარიტი ეკლესია“. იგი „ქრისტეს ერთიანი ეკლესიაა“, რადგან უფალ იესო ქრისტესა და მის მოციქულთა დროიდან მოყოლებული, მართლმადიდებელ ეკლესიას არავითარი არასწორი სწავლებები და ცრუ ცხოვრებისეული იდეალები არ მიუღია. მართლმადიდებელი ეკლესია არის ქრისტეს ერთი, განუყოფელი ეკლესია, იმიტომ, რომ ღმრთის მადლით, რომელიც მოწამეთა და წმიდათა მოწმობებით გაცხადდა, მართლმადიდებელმა ეკლესიამ აქამომდე შეინარჩუნა ღმრთივ ბოძებული მისია — იყოს სოფლისათვის ეკლესია, „რომელ იგი არს გუამი მისი, აღსავსება იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფ. 1, 23)[374].

ეპისტოლეში კარგად არის მინიშნებული რელატივიზმის, ანუ სარწმუნოების დოგმატურ ჭეშმარიტებათა შედარებით ფასეულობებად გადაქცევის საფრთხე, და აგრეთვე სეკულარიზმის, ანუ ეკლესიის გამიწიერების საფრთხე[375]. აქვე მხილებულია მცდარი ეკუმენისტური წარმოდგენა, თითქოს ეკლესიის სტრუქტურა — სარწმუნოებრივი სწავლება და ზნეობრივი იდეალები შედარებითი ცნებებია და შესაძლებელია მათი ცვლა პრაქტიკული მიზნებისათვის, თითქოს „ეკლესიის საკრამენტული, იერარქიული ქრისტიანული განრიგი, მოცი-

ქულთა დროიდან მომდინარე, არ არის .არსებითი ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიის ერთიანობისათვის". ამერიკელმა ეპისკოპოსებმა მტკიცედ განაცხადეს: „ჩვენს წმიდათაწმიდა ვალად მიგვაჩნია უარვყოთ ეკლესიის გაერთიანების ყველა ცრუ მეთოდი და დაბეჯითებით ვამტკიცებთ, რომ ყველა სარწმუნოებრივი, ეთიკური და საკრამენტული კომპრომისი, რომელიც ცვლის ეკლესიის განწესებას, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიგვიყვანს ყველა ადამიანის ქრისტესმიერ ერთიანობამდე და ვერ გააერთიანებს ქრისტიანებს ერთ ეკლესიად" [376]. ამ ლოგიკის თანახმად ინტერკომუნიონი, როგორც ქრისტიანული ერთიანობის მიღწევის გზა, გადაჭრით არის უარყოფილი, რადგან „ქრისტეს ერთიან ეკლესიაში სარწმუნოებრივი ერთიანობის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს საკრამენტული ერთიანობა ანდა ლიტურგიკული თანამსახურება [377]. ამერიკის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრებმა დაგმეს ასევე ეკუმენიზმის რაღაც უნივერსალურ ეკლესიად [378], ანუ ზე-ეკლესიად გადაქცევის მცდელობა, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიას უპირისპირდება.

1973 წელს, როდესაც ეს ეპისტოლე გამოქვეყნდა და როდესაც ეკუმენიზმი ასე აშკარად ჯერ კიდევ არ ამჟღავნებდა თავის ანტიმართლმადიდებლურ ხასიათს, ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია იდეოლოგიურ მოსაზრებათა გამო არ შედიოდა ემს-ში და მკაცრად აკრიტიკებდა ეკუმენიზმის მანკიერ ტენდენციებს. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთივე დამოკიდებულება უნდა გაგრძელებულიყო და გაღრმავებულიყო კიდეც ემს-ს ორი ასამბლეის, განსაკუთრებით კი ვანკუვერის შემდეგ, სადაც ეკუმენიზმის უკიდურესად ანტიმართლმადიდებლური სიახლეები გამომჟღავნდა. მაგრამ ეს ეკლესია არათუ ახალი პროტესტით გამოვიდა, პირიქით, ემს-ს წევრი გახდა და მონაწილეობა მიიღო ზემოხსენებულ ასამბლეაში, რითაც ეზიარა საქმეთა ბნელისათა, რომლებსაც უწინ გმობდა და რომლებზეც პავლე მოციქული წერს: „ნუ თანა-ეზიარებით საქმეთა მათ უნაყოფოთა ბნელისათა, არამედ უფროჲსღა ამხილებდითცა" (ეფ. 5, 11).

ბევრად უფრო თანმიმდევრულია რუსეთის საზღვარგარეთული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც 1983 წლის აგვისტოში, ვანკუვერის ასამბლეის შემდეგ, ანათემა გამოუცხადა ეკუმენიზმს. აი, ამ დოკუმენტის ტექსტიც: „ანათემა მათ, ვინც ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ ილაშქრებს და ამბობს, თითქოს იგი ე. წ. „განშტოებებად" დაიყო, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან სწავლები-

თა და ცხოვრების წესით, ანდა თითქოს ეკლესია ხილულად არ არსებობს და მხოლოდ მომავალში შეიქმნება, როდესაც ყველა „განშტოება“, ანუ ნაწილები, ანუ აღმსარებლობები და საერთოდ, ყველა რელიგია ერთ სხეულად გაერთიანდება. ანათემა იმათაც, ვინც არ განასხვავებს ეკლესიის მღვდლობასა და საიდუმლოებებს მწვალებელთა „მღვდლობისა“ და „საიდუმლოებებისგან“ და ამბობს, რომ მწვალებელთა ნათლობა და ევქარისტია საკმარისია ცხონებისათვის. ამიტომ, ანათემა მათაც, ვისაც შეგნებულად აქვს ურთიერთობა ხსენებულ მწვალებლებთან ანდა იცავს, ავრცელებს და ესარჩლება ეკუმენიზმის ახლადმოვლენილ წვალებას, ვითომდა ძმური სიყვარულის ანდა განყოფილი ქრისტიანების საკარაუდო გაერთიანების საბაბით!“ [379] ანათემის ტექსტი თუმცა მოკლეა, მაგრამ საკმაოდ ნათელი, ასე რომ, კომენტარებს არ საჭიროებს. ესაა დღემდე ერთადერთი ოფიციალურად გამოთქმული ანათემა ეკუმენისტური წვალების წინააღმდეგ.

ეკუმენიზმის მანკიერი ფსიქოლოგიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჯორდანვილის (აშშ) მართლმადიდებლური სემინარიის ღმრთისმეტყველების მასწავლებელმა არქიმანდრიტმა კონსტანტინემ. თავის შრომაში „სამღვდელმთავრო ღმრთისმეტყველება“ იგი იკვლევს სარწმუნოებისაგან თანდათანობითი განდგომის (აპოსტასიის) პროცესს, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ანტიქრისტემდე (2 თეს. 2, 3) მივყავართ. ამ პროცესში იგი ორ პერიოდს გამოჰყოფს:

1) პირველ პერიოდში იწყება „საფეხურებრივი განდგომა ერთი, ჭეშმარიტი ეკლესიისაგან, რომელიც თავისი თავდაპირველი, ჭეშმარიტი ცხოვრებით ცხოვრობს“. ეს პერიოდი ჯერ კიდევ მოციქულთა დროიდან დაიწყო და ბოლო დრომდე გრძელდება, იგი გამოიხატება ქრისტეს ეკლესიისაგან მწვალებლურ დაჯგუფებათა გამოყოფაში, რომლებიც უარყოფენ ან ამახინჯებენ ჭეშმარიტების ცალკეულ დოგმატებს. „აქ ლოგიკურად მხოლოდ ერთი გზა არსებობს აღმსარებლობათა ურთიერთობის აღსადგენად: ეკლესიის თავდაპირველ წიაღში ერთობლივი დაბრუნება, რაიმე სხვა „მოდალობების“ დაშვება შეუძლებელია. ჭეშმარიტება ჭეშმარიტებაა, და მისგან განდგომილს, განდგომილების რა საფეხურზეც არ უნდა იდგეს იგი, ჭეშმარიტი ეკლესიისკენ მიბრუნების ერთადერთი გზა აქვს — სინანული“.

2) მეორე პერიოდი განდგომილებისა ჩვენს დროში მიმდინარეობს და „ხასიათდება ერთიანობისკენ მისწრაფებით, მაგრამ არა

ერთი, ჭეშმარიტი ეკლესიის წიაღში დაბრუნების ნიშნით, რომელიც შათ მიატოვეს, არამედ საერთო ენის, საერთო მოქმედების, საერთო ლოცვითი კავშირის გზით... რაღაც ერთი საზოგადოების წევრთა შორის, რომელსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს „ქრისტიანული“ და ვერაფრით ვერ ჩავთვლით „ქრისტეს სხეულად“, როგორიცაა ქრისტეს ერთი, ჭეშმარიტი ეკლესია“[380].

ამრიგად, საყოველთაო მიდრეკილება გაერთიანებისკენ რაღაც გაურკვეველი ჰორიზონტალის მიხედვით, ნაცვლად სინანულის გზით ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის წიაღში დაბრუნებისა — აი, რა განსაზღვრავს მსოფლიო ქრისტიანობის ცხოვრების ახალ ფაზას. აქამდე ჭეშმარიტი ეკლესიისაგან საფეხურებრივი. განდგომილების პროცესი მიმდინარეობდა, მაგრამ ის, რომ ქრისტიანები ამ განდგომილების კიბის სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ, სარწმუნოების გაუქმებას არ იწვევდა... ახლა კი თვით ცხოველ ღმერთთან ცოცხალი კავშირის გრძნობა ქრება... დაცარიელებული სული ცხოველ ღმერთისკენ კი არ მიისწრაფვის, არამედ ერთობლივი ზიარებისკენ რაღაც ისეთთან, რასაც ახლა ეძიებენ. შინაგანი მზერა ღმერთისკენ როდია შიმართული, არამედ დაბნეულია და აქეთ-იქით აწყდება, რაღაცას დაეძებს... ეკლესიური ცხოვრების მთელი ენერგია საზოგადო-საეკლესიო მოვლენებზე იხარჯება, რაც თვითეული ეკლესიის საკუთარი, ინტიმური ცხოვრების გაღატაკებას, დაუძლურებას და ბოლოს, გაუქმებას იწვევს. ხდება რაღაც უკიდურესად საშინელი, რაც თვით სულიერი ცხოვრების საწყისის — ეკლესიის აღმოფხვრას მოასწავებს. სწორედ ეს არის „აპოსტასია“ თავისი კონკრეტული მნიშვნელობით, როგორც წმ. პავლე მოციქულმა იწინასწარმეტყველა (2 თეს. 2, 3). „აპოსტასიაში“ იგი კაცობრიობის მიერ გადატანილ ხანგრძლივ პროცესს კი არ გულისხმობდა, არამედ დასკვნით ეტაპს, რომელიც ახლა იწყება. და ეს უკვე რეალური მზადებაა ანტიქრისტეს მისაღებად[381].

ავტორი დაწვრილებით აღწერს იმ გავლენას, რომელსაც აპოსტასია ცალკეულ აღმსარებლობებზე ახდენს. პროტესტანტიზმში „ეკუმენისტურმა ოცნებამ შეცვალა ეკლესიის რეალობა, რომელიც მათ ის-ის იყო უნდა აღმოეჩინათ“, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ევროპაში რუსული ემიგრაციის ტალღა შეიჭრა და პროტესტანტიზმმა ახლოს გაიცნო მართლმადიდებლობა. ეს იყო „ევროპელების უშუალო შეხვედრა მართლმადიდებლობასთან, ერთგვარი „აღმოჩენა“ მართლმადიდებლობისა, რომელიც ქრისტია-

ნული ჭეშმარიტების მხსნელი ლამპარივით ანათებს... მაგრამ ამ დროს უეცრად თითქოს უკვე მომწიფებული სწორი გადაწყვეტა საკითხისა — „სად ვეძებოთ ხსნა?“ მისმა შხამიანმა სუროგატმა შეცვალა: „არა რომელიმე ერთ ეკლესიაში, არამედ საერთო (ანუ ეკუმენისტურ) ეკლესიაში“. აქ საბედისწერო როლი ითამაშა ე. წ. რუსულმა მოდერნიზმმა. ეს იყო საღმრთისმეტყველო მიმართულება, რომელიც მართლმადიდებლობის თავისებურ განმარტებას იძლეოდა, და დასავლეთმაც სწორედ ასეთი, ჭეშმარიტი კი არა, დასავლეთის შეგნებას მისადაგებული, „ადაპტირებული“ მართლმადიდებლობა შეითვისა. თუ რა გავლენას ახდენდა ეკუმენიზმი რუსულ მოდერნისტულ ღმრთისმეტყველებაზე, ამაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ დეკანოზ სერგი ბულგაკოვის წინასიტყვაობიდან კრებულისათვის „ქრისტიანული გაერთიანება“ — „ეკუმენიზმის პრობლემა მართლმადიდებლურ შეშეგნებაში“. ნიშანდობლივია უკვე სათაური ამ სტატიისა: „განყოფილი ეკლესიის რეალური ერთიანობისათვის სარწმუნოებაში, ლოცვასა და საიდუმლოებებში“. ადვილი წარმოსადგენია, რა გამოხმაურება უნდა გამოეწვია ამ სიტყვებს პროტესტანტულ შეგნებაში, რომელსაც ის-ის იყო გაუჩნდა ეკლესიისაკენ მისწრაფება! ახლა მას შეეძლო თავისი მისწრაფების განხორციელება, თანაც ისე, რომ კი არ დაეთმო თავისი ცთომილებები, არამედ ეკლესიის საერთო საგანძურში შეეტანა! ამრიგად „მართლმადიდებელმა“ მავნებლებმა, მწვალებელ ბულგაკოვისა და სხვა რუსი ფილოსოფოსების წინამძღოლობით, პროტესტანტობას ჭეშმარიტი მართლმადიდებლობისაკენ მიმავალი გზიდან გადაახვევინეს და პროტესტანტული ეკუმენიზმის, უტოპიური ეკუმენიზმის უტოპიური იდეისაკენ მიაქციეს! „მართლმადიდებლური“ ეკუმენიზმის ასეთი გაუგონარი დამარცხება, რომელმაც არამართლმადიდებლები მართლმადიდებლობას ჩამოაცილა, ეწინააღმდეგება კათოლიკურ ეკუმენიზს, რომელიც ცდილობს ყველა დაუმორჩილოს პაპის ძალაუფლებას და ამისთვის არავითარ ხერხს არ ერიდება — ერთ-ერთი ასეთი ხერხია „აღმოსავლური რიტუალის“ შემოღება [382].

ეკუმენიზმის ორ სახეს — პროტესტანტულსა და პაპისტურს შორის, რომელთაგან თვითეული თავ-თავის გამორჩენაზე ფიქრობს, ეკუმენისტური „მართლმადიდებლობა“ შუამავლის დამამცირებელ როლს თამაშობს და მიზნად ისახავს რადაც არ უნდა დაუჯდეს, გაერთიანოს ისინი, და ამასობაში „სრულიად ავიწყდება თავისი თავდაპირველი მართლმადიდებლური არსი“ [383].

ამის მიზეზზე არქიმანდრ. კონსტანტინე მე-15 ლექციაში ლაპარაკობს. იგი ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე აპოსტასია მართლმადიდებელ ეკლესიაში დასავლეთის თავისუფალი აზროვნების შეჭრითაა გამოწვეული და დაასკვნის, რომ მართლმადიდებლობა თანდათან კარგავს წარმოდგენას იმ უდიდეს ნიჭზე, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო ახალი აღთქმის ეკლესიის დაარსებისთანავე.

ამრიგად, „მართლმადიდებლობა თავისი წმიდა წარსულის უძვირფასეს ტვირთს იცილებს და ეკუმენისტური მსოფლმხედველობის, განდგომილების საბოლოო პროდუქტის შეთვისებით ერთობა, რომელიც კლავს მართლმადიდებლურ სწავლებას, დოგმას, წმ. წერილისა და გადმოცემის ერთგულებას და თვით ეკლესიის უცთომელობისა და უცვალებლობის იდეას... კლავს ეკლესიის სხეულს, როგორც ისტორიულად ერთადერთ ორგანიზაციას[384]...“

ეკუმენიზმის დამანგრეველი მოღვაწეობის შედეგად ეკუმენისტური „მართლმადიდებლობა“ თვითგანადგურებისკენ მიექანება, რომელიც ძველი „ჭეშმარიტებასა ზედა დგომისაგან“ ქვას ქვაზე აღარ ტოვებს... აშკარაა სულიერი ხრწნის პროცესი, საყოველთაო, ყოვლისმომცველი და განდგომილების შხამით გაჟღენთილი[385]!

ეკუმენისტური წვალების წინააღმდეგ მტკიცე მებრძოლი იყო სერბი არქიმანდრიტი იუსტინე პოპოვიჩი († 1979 წ.), ბელგრადის უნივერსიტეტის საღმრთისმეტყველო ფაკულტეტის დოგმატიკის პროფესორი, მრავალი წიგნის ავტორი. ერთ-ერთი მათგანია „მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი“, რომელიც მისმა მოწაფეებმა თარგმნეს და გამოსცეს 1974 წელს თესალონიკში.

წიგნი ორ ნაწილად იყოფა. პირველში ავტორი მიმოიხილავს მართლმადიდებლურ სწავლებას ეკლესიის შესახებ (ეკლესიოლოგიას) და ძირითადად საუბრობს ეკლესიის ოთხ მთავარ ნიშანზე: „ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო“, მერე კი სული წმიდის გარდამოსვლასა და იმ მადლზე, რომელიც მაშინ მიეცა ეკლესიას, როგორც მასში მოქმედი ძალა ღმრთისა, ეკლესიის წმიდა საიდუმლოებებში გაცხადებული. საერთო აზრი, რომელიც ამ მსჯელობებს ერთმანეთთან აკავშირებს, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „ყველაფერი, რაც ეკლესიაში არსებობს, ღმერთკაცისეულია, რამეთუ სათავეს ღმერთკაცისაგან იღებს“[386].

წიგნის მეორე ნაწილში გადმოცემულია ეკლესიის ღმრთაებრივ-კაცობრივი არსის საპირისპირო, კაცობრივი (ჰუმანისტური) ხასიათი ეკუმენიზმისა:

1) ჰუმანისტური და ღმრთაებრივ-კაცობრივი პროცესი,
2) ჰუმანისტური და ღმრთაებრივ-კაცობრივი ცივილიზაცია,
3) ჰუმანისტური და ღმრთაებრივ-კაცობრივი საზოგადოება,
4) ჰუმანისტური და ღმრთაებრივ-კაცობრივი განათლება.

ბოლოსწინა თავში, „ადამიანი და ღმერთკაცი", ჰუმანისტურ პრინციპს: „ადამიანი — ყველაფრის საზომი" უპირისპირდება ღმერთ-კაცი ქრისტე, რომელიც „ერთხელ და სამუდამოდ გახდა უმაღლესი ფასეულობა და მთავარი საზომი კაცთა მთელი მოდგმისათვის"[387].

ბოლო თავში, „ჰუმანისტური ეკუმენიზმი", ავტორს გამოაქვს დასკვნა: „ეკუმენიზმი არის საერთო სახელწოდება დასავლეთის ცრუ-ქრისტიანობისა და ცრუეკლესიებისა. მასში თავმოყრილია მთელი ევროპული ჰუმანიზმი პაპიზმის მეთაურობით. ეს ცრუ-ქრისტიანობა და ცრუ-ეკლესიები სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა წვალებების საფუძველზე აგებული წვალება, და მას „საყოველთაო წვალების" სახელი შეეფერის. რატომ? იმიტომ, რომ ისტორიის მანძილზე სხვადასხვა წვალება უარყოფდა ანდა ამახინჯებდა უფალ იესო ქრისტეს ღმრთაებრივ-კაცობრივი ბუნების ცალკეულ თვისებებს, ეს წვალებები კი საერთოდ უარყოფენ ღმერთკაცს და მის ადგილას ადამიანს აყენებენ. აქ აღარ არის არსებითი განსხვავება პაპიზმსა, პროტესტანტიზმსა, ეკუმენიზმსა და სხვა წვალებებს შორის, რომელთა სახელი „ლეგიონია" (ლუკა, 8, 30)[388].

დასკვნაში, რომელსაც ეწოდება „გამოსავალი გამოუვალი მდგომარეობიდან", არქიმანდრ. იუსტინე წერს: „გამოსავალი ამ გამოუვალი მდგომარეობიდან — ჰუმანისტური, ეკუმენისტური, პაპისტური ცთომილებიდან არის ისტორიული ღმრთაებრივ-კაცობრივი ქმნილება — ეკლესია, რომლისთვისაც იგი მარადიული თავია და რომელიც მისი მარადიული სხეულია"[389].

ეკუმენიზმს მრავალი მართლმადიდებელი ბერძენი აკრიტიკებს, უპირველეს ყოვლისა არქიმანდრიტი ხარლამპი ბასილოპულოსი († 1982), „სრულიად ელინთა მართლმადიდებლური კავშირის" თავმჯდომარე მრავალი წლის მანძილზე და ჩვენს მიერ ხშირად ციტირებული „ორთოდოქსოს ტიპოსის" რედაქტორი. მისი ერთ-ერთი საინტერესო წიგნია „ეკუმენიზმი უნიღბოდ", რომელიც 1972 წელს გამოვიდა ათენში. ჯერ კიდევ წინასიტყვაობაში იგი სვამს კითხვას: „რას წარმოადგენს თანამედროვე ეკუმენიზმი?" და იქვე უპასუხებს: „ეს არის მოძრაობა. რომელიც ცდილობს ჯერ მართლმადიდებლობასთან

გააერთიანოს დასავლეთის მწვალებლური აღმსარებლობები, შემდგომ ეტაპზე კი ყველა რელიგია ერთ, საზარელ რელიგიად აქციოს, და ბოლოს, თავისი შავბნელი ჩანაფიქრის დასკვნით ნაწილში ეკუმენიზმი მიზნად ისახავს ერთი ღმერთის მსახურება სატანის მსახურებით შეცვალოს!"[390].

პირველ თავში გადმოცემულია ეკუმენიზმის ისტორია, რომელსაც ფარულად ხელმძღვანელობს სიონიზმი და მასონობა. აღწერილია ეკუმენისტური მოძრაობის სტადიები, ახალგაზრდული მასობრივი ორგანიზაციებიდან დაწყებული (იმკა, სკაუტიზმი და ა. შ.) დამთავრებული მოსამზადებელი ეკუმენისტური კომისიებით: „ცხოვრება და მოღვაწეობა", „სარწმუნოება და მოწყობა", რომელთა საფუძველზეც 1948 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭო აღმოცენდა. მე-2 და მე-3 თავებში ავტორი ფარდას ხდის ეკუმენიზმის მიზნებს — ქრისტიანული სახელმწიფოს გახრწნასა და ეკლესიის აღმოფხვრას. მე-4 თავის სახელწოდებაა „ეკუმენიზმი ამხილებს თავის თავს", სადაც მოცემულია ემს-ს ოთხი გენერალური ასამბლეის მუშაობის ანალიზი.

მე-5 თავში, რომელსაც ეწოდება „ეკუმენიზმის მიერ გამოყენებული საშუალებები", ავტორი საუბრობს ე. წ. „სრულიადმართლმადიდებლურ თათბირებზე", რომლებიც კუნძულ როდოსზე ტარდებოდა. პირველი კრების თავმჯდომარე (მასზე დაგეგმილი იყო რეფორმები მართლმადიდებლობაში) იყო ბერძენი მიტრ. ფალიპიისა ქრიზოსტომოსი, რომელიც შემდგომ, 1982 წელს ათენის მთავარეპისკოპოსად აირჩიეს ქრიზოსტომოს II-ის სახელით (1962-67 წ.წ.). როდესაც 1968 წელს მსოფლიო პატრიარქმა ათინაგორამ მეორე კრება მოიწვია და მასში ელადის ეკლესიის მონაწილეობა მოითხოვა, ქრისზოსტომოს II-მ, რომელმაც კარგად იცოდა პირველი კრების ეკუმენისტური ზრახვები, მთელი ბერძნული იერარქიის სახელით მტკიცე უარი განაცხადა. არქიმანდ. ხარლამპი, როგორც მომსწრე ამ ამბებისა, ცოცხლად გადმოგვცემს ქრიზოსტომოსის აღმსარებლობით გმირობას. იგი დაწვრილებით აღწერს VIII მსოფლიო კრების მომზადებას და მოჰყავს ეკუმენიზმის წინააღმდეგ კიდევ ერთი გამოჩენილი მებრძოლის, ბერძენი მიტრ. ავგუსტინეს სიტყვები: „დაე მოიწვიონ კრება, ოღონდ ისეთი, რომელიც დაგმობს ყველაზე დიდსა და საშინელ წვალებას, წვალებათა-წვალებას — ეკუმენიზმს"[391].

მე-6 თავში საუბარია ეკუმენიზმის მიერ გამოყენებულ შუამავ-

ლებზე: მწვალებლებზე, საერო ხელისუფლების წარმომადგენლებზე, მოღალატე მღვდელმთავრებზე და ა. შ.

მეორე ნაწილში — „ფიცხელ არს შენდა წიხნუა დეზისა“ (საქმე, 9, 5) მხილებულია იუდეველთა მოღალატური საქმიანობა ქრისტიანთა წინააღმდეგ, ავტორი ანტიკური ისტორიკოსის, ამიანუს მარცელინუსის (ისტორია, წიგნი 23-ე, თავი I) ტექსტის საფუძველზე შეგვახსენებს, თუ როგორ ცდილობდნენ ისინი იმპერატორ იულიანე განდგომილის დროს იერუსალიმის ტაძრის აღდგენას, რომელიც რომაელებმა 70 წ. დაანგრიეს: „ტაძრის გადარჩენილი ფუნდამენტიდან ცეცხლის საშინელი ალები ამოვარდა და მუშებს წაეკიდა“.

ამავე ნაწილში დასაბუთებულია, რომ „მაჰმადიანობა იუდაიზმის ქმნილებაა“, ებრაელების მიერ ქრისტიანობის დასამხობად გამოგონილი, რომელიც ღმრთის განგებით მათვე საწინააღმდეგოდ შეტრიალდა. მეორე თავში გამოქვეყნებულია ფოტოსურათებით დოკუმენტირებული საზარელი ფაქტები სისხლიანი დევნისა, რომელიც პაპისტებმა მართლმადიდებელ სერბებს მოუწყვეს ბოლო მსოფლიო ომის დროს, რომლის მსხვერპლი გახდა 800000 კაცი, აგრეთვე მართლმადიდებლობის დევნის ფაქტები ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს.

მესამე, დასკვნით ნაწილში კეთდება დასკვნა: მართლმადიდებელი ქრისტიანები მოვალენი არიან არ დაუშვან მართლმადიდებლობის შერყვნა წყეული ეკუმენიზმის მიერ!

მართლმადიდებლობის დიდი დამცველია ათენის უნივერსიტეტის საღმრთისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორი კონსტანტინე მურატიდისი, რომელმაც 1971 წლის 21 ოქტომბერს თავის საჯარო ლექციაში ეკუმენიზმი დაახასიათა, როგორც დემონიზმი[392], ხოლო 1972 წ. მიუთითა სამ საფრთხეზე, რომელიც მართლმადიდებლობას ეკუმენიზმისაგან ემუქრება:

1) მართლმადიდებლური გრძნობის გაქრობა, 2) ბერძენი ხალხის რელიგიური ერთიანობის დარღვევა, 3) ემს-ს დამღუპველი გავლენა, რომელიც საყოველთაო პროტესტანტულ წვალებას ემორჩილება[393].

ბოლო პუნქტთან დაკავშირებით მან თქვა: „ძალიან სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ეკუმენისტური ღმრთისმეტყველების გავლენით ზოგიერთი მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველი დაუფიქრებლად გამოდის მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატიკისა და კანონიკური წყობისათვის დამღუპველი წინადადებებით“[394].

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბოლო დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი ეკუმენიზმის წინააღმდეგ არის ბერძენი ღმრთის-

შეტყველის ა. დელიბასის წიგნი „ეკუმენისტური წვალება“ (ათენი, 1972), რომლის ქვესათაურია „ქრისტესმიერი ცხონება, წვალებანი და ეკუმენიზმის საყოველთაო წვალება“, ხოლო ეპიგრაფი — „უკიდურესი დაცემაა სულიერი დაცემა“.

ეპიგრაფი ავტორს გრიგოლ ნოსელისაგან აქვს ნასესხები და ამის თაობაზე დასძენს: „წვალების შეთვისება მართლაც სულის უკიდურესი დაცემაა“[395]. ჭეშმარიტად, ეკუმენიზმის საყოველთაო წვალება არის უდიდესი ბოროტება დედამიწაზე, რადგანაც იგი უდიდეს სიკეთეს[396] — ქრისტეს მართლმადიდებელ სარწმუნოებას ებრძვის, და მაშასადამე, ებრძვის ღმრთიგამოცხადებულ ჭეშმარიტებას, უფალ იესო ქრისტეს. ეკუმენიზმი ქრისტესთან მებრძოლი, ღმერთთან მებრძოლი მიმართულებაა... იგი მტრობს წმ. მართლმადიდებელ ეკლესიასაც, რომელიც არის „ხორცი ქრისტესი“ (I კორ. 12, 27), ღმრთაებრივი მადლისა და ღმრთაებრივი ჭეშმარიტების საცავი. ეკუმენიზმი ყველა დროის უდიდესი ანტიქრისტიანული, ანტიადამიანური და სასტიკი წვალებაა!“[397]

ეს შრომა ოთხი განყოფილებისაგან შედგება: პირველში ლაპარაკია ქრისტესმიერ ცხონებაზე, მეორეში — მწვალებლობებზე, როგორც ქრისტესმიერი ცხონების მტრებზე, მესამეში — თანამედროვე ეკუმენისტურ წვალებაზე და მეოთხეში — უახლეს ღმრთისმეტყველებაზე.

პირველი ორი განყოფილება არის შესავალი მესამე, მთავარი თემისა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში ლაპარაკია ეკუმენისტური წვალების ჩასახვასა და განვითარებაზე თვით მწვალებელთა შორის, მეორეში კი — „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტების დამღუპველი საქმიანობასა[398] და მათ მონაწილეობაზე ემს-ს ასამბლეებში.

და ბოლოს, მეოთხე ნაწილში, რომელსაც „განდგომილება და სინანული“ ეწოდება, დასახელებულია ის მიზეზები, რომელთა გამოც მრავალი მართლმადიდებელი ითმენს ეკუმენისტურ წვალებას და უერთდება კიდეც მას, რითაც ისინი ეკუმენიზმის საბრალო, მაგრამ ამასთანავე საშიში მეგზურები ხდებიან[399]. ამის მთავარ მიზეზად ავტორს ის მიაჩნია, რომ აღმოსავლეთის ღმრთისმეტყველება მწვალებლური დასავლეთის „მეცნიერულ“ ღმრთისმეტყველებას ესესხება, რის გამოც „ახალი მართლმადიდებლური ღმრთისმეტყველება თვითმყოფადი კი არა, შემოტანილია“, ანუ, იგი უკვე აღარ არის წმ. მამათა ღმრთისმეტყველება. „ამ ახალი ღმრთისმეტყველებისათვის დამახასი-

ათებელია, რომ იგი სრულიად არ იცნობს წმ. მამებს და სამაგიეროდ, კარგად იცნობს არამართლმადიდებელ ავტორებს. მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველები წმ. მამების „აზრებს" ხშირად არამართლმადიდებელთა წიგნებიდან შეიტყობენ ხოლმე, გულისტკივილით დასძენს მართლმადიდებელი დოგმატისტი, პროფ. პ. ტრემბელასი.[400] „უცხო ავტორებისაგან მართლმადიდებლები იმას კი არ სწავლობენ, რასაც სინამდვილეში წმ. მამები ამბობენ, არამედ იმას, რასაც წმ. მამებსა და მათ სწავლებაზე მწვალებლები ფიქრობენ!"[401]

როგორც ცნობილია, მწვალებელთა „ღმრთისმეტყველება" სინამდვილეში ღმრთისმეტყველება კი არა, კაცთმეტყველებაა, რადგანაც „არამართლმადიდებელთა ღმრთისმეტყველება ეყრდნობა არა სიტყვას ღმრთისას, არამედ კაცობრივ სიტყვას",[402] რომელიც რაციონალისტური კრიტიკის თვალით უდგება იმას, რაც თვით ღმერთმა გაგვიმჟღავნა თავისი სწავლებით. „ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, — დაასკვნის ავტორი, — რომ მწვალებლებისგან ნასესხები „ღმრთისმეტყველებით" დატვირთული მართლმადიდებლები ეკუმენისტური წვალების სასარგებლოდ და მართლმადიდებლობის საზიანოდ იქცევიან, მართლმადიდებლობას მტრობენ და წვალებას თანაუგრძნობენ. ასეთი თანაგრძნობის გამო მათ არ ძალუძთ სწორად ასწავლონ ჭეშმარიტება და მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულება გასწიონ"[403].

თავის შრომას ავტორი იმით ამთავრებს, რომ მოუწოდებს მართლმადიდებელ ქრისტიანებს იყვნენ „მორწმუნე ვიდრე სიკუდილამდე" (გამოცხ. 2, 10). ეკუმენიზმთან, როგორც „სულის უკიდურეს დაცემასთან" ბრძოლაში, კი მტკიცენი, და ამხნევებს მათ ლიტურგიის ასამაღლებლით: „ვსდგეთ კეთილად, ვსდგეთ შიშით!"[404].

ბერძენმა ექიმმა ალექსანდრე კალომიროსმა დაწერა წიგნი „ცრუ-ერთიანობის მომხრეთა წინააღმდეგ" (ათენი, 1964). ავტორი უმოწყალოდ ამხილებს ე. წ. „მართლმადიდებელ" ეკუმენისტებს, რომლებმაც უღალატეს წმ. მართლმადიდებლობას და იგი ამსოფლიურ კეთილდღეობასა და ფსევდოჰუმანურ მიზნებში გაცვალეს. წიგნში ნაჩვენებია ეკლესიათა გაერთიანებისაკენ სწრაფვის ანტიქრისტიანული ხასიათი. კალომიროსი სარწმუნოებრივი კომპრომისის წინააღმდეგ გამოდის და წერს: „ქრისტეს კი არ სურს ე. წ. „ეკლესიათა გაერთიანება", არამედ სოფელს"... „მთელი ეს მოძრაობა სახელმწიფოებისა და ეკლესიების გაერთიანებისათვის, ყველა ეს კომპრომისი, ტექნიკური კულტურის ძალადობით მოსვლისათვის მზადებაა".

ჭეშმარიტ მორწმუნეთათვის ეკლესია არის ახალი ნოეს კიდობანი. „მაგრამ ანტიქრისტეს დრო რომ მოახლოვდება, ეკლესიის კიდობანი ძნელი გასარჩევი გახდება. მაშინ მრავალნი იტყვიან: „აჰა აქა არს ქრისტე, გინა იქი“ (მათე, 24, 23). მაგრამ ესენი იქნებიან ცრუწინასწარმეტყველნი (24, 23)... ოფიციალური ეკლესია, რომელიც თანდათანობით უღალატებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, სრულიად ამორფული იქნება. იგი სატანური ცბიერებით შეინარჩუნებს ეკლესიის გარეგნულ ნიშნებს, და მხოლოდ აქა-იქ მორწმუნეთა პატარა ჯგუფები ცალკეულ მღვდლებთან ერთად შეინახავენ ჭეშმარიტ გადმოცემას“.

სოფელს არ ძალუძს უყვარდეს ჭეშმარიტი ქრისტიანები, ისინი, ვინც მის საერთო სულისკვეთებას არ ეთანხმება. მათზე კალომიროსი წერს: „ოდესღაც კერპთაყვანისმცემლებს სძულდათ ქრისტიანები ის სიძულვილით, ახლა რომ ე. წ. „ქრისტიანულ“ სამყაროს სძულს... მაგრამ სწორედ ეს სიძულვილია ნიშანი, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტ ქრისტიანთა გარჩევაა შესაძლებელი: „უკეთუ სოფელი გძულობს თქუენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა“ (იოანე, 15, 18), გვაფრთხილებს მაცხოვარი. ანტიქრისტეს მსოფლიო მეუფებაში, რომელიც სიცრუის საფუძველზე გაერთიანდება, ამ სატანურ „ჰარმონიაში“ ერთადერთ დისონანსს ჭეშმარიტი ქრისტიანები შეიტანენ. მათთვის დიდი ჭირის დღეები დადგება, და ეს იქნება ახალი პერიოდი მოწამეობისა — უფრო სულიერისა, ვიდრე ხორციელის. და ამ მსოფლიო მეუფებაში ქრისტიანებს ყოველთვის ცილს დასწამებენ“. მაგრამ „ქრისტიანები არც ეკუთვნიან ამ სოფელს. მათთვის ესაა დევნილების ქვეყანა, რომელსაც თავიანთ მამულად არ აღიარებენ და არც სურთ, ისე მოაწყონ, თითქოს სამუდამოდ აქ დარჩენას აპირებდნენ. სოფელში ისინი მწირებივით ცხოვრობენ და მუდამ თან ახლავთ ფარული სევდა დაკარგული სამშობლოს — სამოთხის გამო“. „ღმრთის მეგობართათვის მომზადებულ სასუფეველს არაფერი აქვს საერთო ამ სოფელთან, იგი ხელთუქმნელია და მარადიული“, ამბობს დასასრულ კალომიროსი.

როგორც ვთქვით, ეკუმენიზმს არ აინტერესებს ღმრთის მარადიული სასუფეველი, იგი ამსოფლიური ცხოვრების მოწყობითა და ამსოფლიურ სიკეთეთა მოხვეჭითაა გართული, ამიტომ ესწრაფვის, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გააერთიანოს ყველა მორწმუნე და ურწმუნო, თუნდაც ეს ღმრთაებრივი ჭეშმარიტების დათმობის ფასად მოხდეს. მას პირწმენდად ამსოფლიური და პოლიტიკური ამოცანა აქვს დასახული — კავშირი შეკრას მსოფლიო აღმსარებლობებთან და მსო-

ფლიო მოძრაობებთან. თავის წერილებში ემს ოფიციალურად აცხადებს, რომ აუცილებელია სხვა რელიგიების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა“.

და ამის შემდეგ რაღა გამართლება აქვს ზოგიერთი „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტის საქციელს, „გონივრულ ეკუმენიზმზე“[105] ანდა „ჯანსაღ ეკუმენიზმზე“ რომ მსჯელობენ, როგორც მას ათენის მთავარეპისკოპოსმა იერონიმემ[106] უწოდა? ამ ევფემიზმებითა და დეკორატიული ცნებებით ზოგიერთები ცდილობენ გაამართლონ მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა ეკუმენისტურ მოძრაობაში, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ განა შესაძლებელია „გონივრული“ ვუწოდოთ ეკუმენიზმს, თუკი იგი სიტყვითა და საქმით ეწინააღმდეგება უცთომელ, წმ. ეკლესიის კუთვნილ ღმრთაებრივ გონებას, რომელიც წმ. მოციქულებმა შეიძინეს და რომელზეც ერთერთმა მათგანმა ყველას სახელით განაცხადა: „ხოლო ჩუენ გონება ქრისტესი გუაქუს“ (I კორ. 2, 16). ეკუმენიზმი არც გონივრულია და არც ჯანსაღი, რამეთუ იგი არათუ „მოძღურებასა სიცოცხლისასა“ (ტიტ. I, 9) ავრცელებს, ანდა „სიცოცხლისა ამათ მოძღურებათა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეთა“ შეუდგება, არამედ პირიქით, დოგმატური ცთომილება და კანონიკური ღალატი შეაქვს ქრისტეს მცირე სამწყსოში, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩა სოფელს. გონივრული და ჯანსაღი მხოლოდ ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატურად სუფთა და კანონიკურად უბიწო ეკუმენიზმია!

დღეს ბევრი ცდილობს, ეკუმენიზმის საშუალებით შეიქმნას კარიერა და ამიტომ ჩვენს ეპოქას „ეკუმენისტურს“ უწოდებს. ეკუმენიზმისაგან განზე დგომა უცნაურ და სარისკო საქმედაცაა მიჩნეული. მართლმადიდებელ ქრისტიანს ეს კარგად ესმის და ისიც იცის, რომ ეკუმენისტურ სულისკვეთებასთან დაპირისპირებით ბევრ უსიამო ეპითეტსაც დაიმსახურებს, უწოდებენ „რეტროგრადს“, „შეზღუდულს“, „ვიწრო ფანატიკოსს“, „განხეთქილების ჩამომგდებს“, მეტიც, აშკარა დევნასაც დაუწყებენ. როგორც პავლე მოციქული ამბობს: „და ყოველთავე, რომელთა ჰნებავს, ღმრთის-მსახურებით ცხოვრება ქრისტე იესოს მიერ, იდევნენ“ (2 ტიმ. 3, 12). მაგრამ მართლმადიდებელ ქრისტიანს ვერაფერი აიძულებს მტკიცედ არჩეულ, სწორ გზას გადაუხვიოს, რამეთუ მას

1) სწამს, რომ მართლმადიდებელი სარწმუნოება არის ერთადერთი მაცხოვნებელი სარწმუნოება და ეშინია მისი ღალატის, რადგან საუკუნო წარწყმედა მოელის;

2) ამ დროს იგი მხოლოდ თავის მართლმადიდებლურ გრძნობას კი არ ეყრდნობა, არამედ მართლმადიდებლურ გონებასაც, რომელიც მას ამ გზაზე განამტკიცებს;

3) ეკლესიის ისტორიიდან იცის მრავალი მაგალითი, ისინი ჩააგონებენ, განუხრელად მისდიოს წმიდასა და ძვირფას მართლმადიდებლობას, რომელსაც ასე უბოდიშოდ შეურაცხყოფენ დღეს უცხო სჯულისანიც და თავისიანებიც!

მაინც, რა სურს დღევანდელ ეკუმენიზმს? იგი მოგვიწოდებს, რომ ყველა მორწმუნემ, რომელ რელიგიასაც არ უნდა აღიარებდეს, ხელი გაუწოდოს ერთმანეთს[407]. ამრიგად, იგი ქმნის ახალ პანთეონს, სადაც ყველა რელიგიური მრწამსისათვის მოიძებნება ადგილი. ამ ეკუმენისტურ პანთეონში ყველა სარწმუნოებას მიიღებენ, ყველას „კეთილად“ აღიარებენ. საერთო საფუძველზე აქ მართლმადიდებლობასაც შეიწყნარებენ, ოღონდ იმ პირობით, რომ უარს იტყვის თავის პრეტენზიაზე, თითქოს ის, ერთადერთი, ასწავლის ღმრთის მართალ სარწმუნოებას. როგორც გვპირდებიან, მაშინ დამყარდება საყოველთაო მშვიდობა სინკრეტიზმის, ანუ ყველა რელიგიის თანასწორობის ნიადაგზე. ხოლო თუკი მართლმადიდებლები კვლავ იმის მტკიცებას დაიწყებენ, მხოლოდ ჩვენ გვიპყრია ერთადერთი ჭეშმარიტებაო, მაშინ „შემწყნარე“ ეკუმენიზმი დევნას დაუწყებს მას.

ძველი რომის ისტორიის სპეციალისტი, ფრანგი გასტონ ბუასიე თავის ერთ-ერთ თხზულებაში წარმართობის პერიოდში ქრისტიანობის დევნის შესახებ წერს: „ყველა კულტის საყოველთაო თანხმობას გამოაკლდა ორი კულტი — იუდაიზმი და ქრისტიანობა... ყველა სხვა რელიგიამ დათმობების გზით მოიპოვა აღიარება. მხოლოდ იუდაიზმსა და ქრისტიანობას არ შეეძლო ასეთი კომპრომისის მიღება თავიანთი ხასიათის გამო. საერთო თანხმობიდან გამოთიშულთ, მათ სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის იმედი ვერ ექნებოდათ... ისინი მტკიცედ იცავდნენ თავ-თავიანთ სარწმუნოებას და უარყოფდნენ სხვისას, რასაც ბერძნულ-რომაული სამყაროს მხრივ ჯერ დიდი გაოცება, მერე კი გამძვინვარება გამოიწვია.... იუდეველთა დევნა მხოლოდ მაშინ მინელდა, როდესაც ისინი წარმართებთან ერთად დაუპირისპირდნენ ქრისტიანებს“[408].

მაშინ წარმართთა მრისხანება მხოლოდ ქრისტიანების წინააღმდეგ აღმოჩნდა მიმართული. „შემდგომში იყო მცდელობები, ქრისტიანთა ღმერთი სხვა ღმერთებთან გაეიგივებინათ, აპოლონის მისანმა მას ქებაც დაუწყო, ხოლო ფილოსოფოსი პორფირიოსი, თვითონ წარ-

მართი, ქრისტეს, ღმრთაებრიობას აღიარებდა. ცნობილია, რომ იმპერატორმა სეევერუსმა ქრისტეს გამოსახულება თავისი სასახლის პანთეონში ორფეევსისა და აპოლონის ქანდაკებების გვერდით დადგა. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ჭეშმარიტ ქრისტიანებში ძრწოლას იწვევდა. როდესაც წარმართი ფილოსოფოსები და ქურუმები ურჩევდნენ, გონებისათვის მოეხმოთ, ისინი თავიანთი წმ. წიგნებიდან უპასუხებდნენ: „მემსხვერპლე ღმერთთა მოსპოთ თვინიერ მხოლოჱსა ღმრთისა“ (გამოსლვ. 22, 20). წარმართებისთვის ეს სრულიად გაუგებარი იყო (ტერტულიანე, აპოლოგეტიკა, თავი 227) და მათ საშინელ მრისხანებას იწვევდა. ქრისტიანებს იმაში კი არ ადანაშაულებდნენ, რომ რომში ახალი ღმერთი შეიყვანეს: ეს ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. წარმართების გაოცებისა და მრისხანების მიზეზი ის იყო, რომ ქრისტიანთა ღმერთს არ სურდა სხვა ღმერთებთან ერთად ყოფნა მდიდრულ პანთეონში, სადაც ყველა ღმერთი იყო თავმოყრილი. ქრისტიანთა ასეთი წინააღმდეგობა, მთელი სამყაროსაგან გამოყოფა და საკუთარი სარწმუნოების დაცვა უცხო გავლენისაგან — მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას სასტიკი დევნა, სამი საუკუნის მანძილზე რომ გასტანა. და ამას სჩადიოდა ხალხი, რომელიც სხვა რელიგიებს ესოდენ მოწყალე თვალით უყურებდა!“[409]

ისტორია მეორდება. ზემოხსენებულ მიტრ. ავგუსტინეს თქმით, „ეკუმენიზმი არის ძველი დინების — სინკრეტიზმისაკენ მობრუნება“, რომლის საშუალებითაც ძველი ხალხები, რაკიღა ეჰვი ეპარებოდათ საკუთარი სარწმუნოების ჭეშმარიტებაში, ცდილობდნენ მეტაფიზიკური წყურვილის დაოკებას, რადგან ამ დინებას მრავალი სხვადასხვა რელიგიის წყარო უერთდებოდა“.[410] ეკუმენიზმის დღევანდელ სინკრეტულ პანთეონში — ემს-ში — არათუ ყველა ქრისტიანული აღმსარებლობა, მსოფლიოს ყველა რელიგიაა მიწვეული, და ეს იდეა მასებში სულ უფრო პოპულარული ხდება. ხალხი მშვიდობასა და ამსოფლიურ კეთილდღეობას ესწრაფვის, ამიტომ თანახმაა ნებისმიერ სარწმუნოებრივ კომპრომისსა თუ რელიგიურ სინკრეტიზმზე. ადამიანებს ნაკლებად აღელვებთ, რომ ეს არ არის ღმერთისთვის სათნო, ბიბლიაც კრძალავს წმიდა დოგმატებიც და საეკლესიო კანონებიც. მათთვის მთავარია, რომ ნებისმიერ ფასად, თუნდაც კომპრომისის გზით, მოისპოს რელიგიური უთანხმოება და მიღწეულ იქნას ამსოფლიური მშვიდობა და სამართლიანობა. და არავის ანაღვლებს, რომ ეს ღმერთთან და მის ჭეშმარიტებასთან კონფლიქტს შეიძლება ნიშნავდეს. ეს იწი-

ნასწარმეტყველა კიდეც გასულ საუკუნეში რუსმა რელიგიურმა ფილოსოფოსმა კონსტ. ლეონტიევმა: „კაცობრივი სიმართლის წინაშე ადამიანები ღმრთაებრივ ჭეშმარიტებას დაივიწყებენ“ [411].

მართლმადიდებელი ქრისტიანი არ უნდა მიდიოდეს კომპრომისზე უცხო აღმსარებლობებთან კაცობრივი სიმართლის გამო, რომელიც ღმერთის აბსოლუტურ სიმართლესა და ჭეშმარიტებას უპირისპირდება!

ბ) ზოგიერთი უპირატესი მღვდელმთავრის განდგომა წმიდა მართლმადიდებლობისაგან

ეს მტკიცება უცნაურად ჟღერს, მაგრამ აი, რა უთხრა ალექსანდრიის პატრიარქმა, ნიკოლოზ VI-მ, 1973 წელს ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს: „მართლმადიდებლობას დღესაც თან ახლავს სისხლისღვრა და მოწამებრივი გვირგვინები, დევნა და განსაცდელი, მაგრამ აქვე კარგად ჩანს მის უპირველეს წარმომადგენელთა ღალატიც“. ამავე საუბარში პატრიარქმა მოგვიწოდა „ვებრძოლოთ ჩვენი დროის ყველა დინებას, მართლმადიდებლობის ხომალდს ქაოსისა და უწესრიგობის უფსკრულში დანთქმას რომ უქადიან“[412].

გერმანულ მართლმადიდებლურ ჟურნალში „ორთოდოქსი ჰოიტე“ (1967, № 19) ვკითხულობთ: „კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ათინაგორამ მართლმადიდებლური ცენტრის წინამძღვარს ტემზში, საფრანგეთში, არქიმანდრიტ დამასკინუსს დაავალა დაეწყო საღმრთისმეტყველო მოლაპარაკებები კათოლიკური და ევანგელისტური აღმსარებლობების წარმომადგენლებთან ეკუმენისტურ წირვებზე ზიარების შესახებ“. 1970 წლის დამდეგს ზოგიერთი ფრანგული გაზეთი იუწყებოდა, რომ იმავე პატრიარქმა ერთ-ერთ პროტესტანტ პასტორს, რომელმაც იგი ვენაში მოინახულა, განუცხადა: „თქვენ მღვდელი ხართ და მე შემიძლია აღსარებაც გითხრათ“, თანაც დაუმატა: „კარგი იქნებოდა ერთობლივი წირვა ჩაგვეტარებინა!“ (სხვათა შორის, პროტესტანტები აღსარების საიდუმლოს საერთოდ არ ცნობენ).

პატრიარქი ათინაგორა მრავალმხრივაა დამნაშავე მართლმადიდებლობის წინაშე. იგი ამბობდა, რომ სასულიერო პირებს შეუძლიათ ქორწინება ხელდასხმის შემდეგაც, ანუ ბერებს შეუძლიათ ცოლის შერთვა ხარისხის დაკარგვის გარეშე, ცოლოსან მღვდლებს კი — მეორედ ქორწინება! ათინაგორა სამღვდელო შესამოსელის წინააღმდე-

გრც იყო. გარდა ამისა, ამბობდა, რომ „სიყვარულის დიალოგი“ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საღმრთისმეტყველო დისპუტები, ანუ ჭეშმარიტების ძიება. ეკუმენისტური ნოვაციების გამო ზოგიერთი ბერძენი მიტროპოლიტი აღარ იხსენიებდა პატრიარქს, თუმცა ეს ხარისხის დაკარგვით შეიძლებოდა დამთავრებულიყო![413].

პატრიარქ ათინაგორას მიერ შემოტანილი სიახლეებით აღშფოთება, კერძოდ, მისი დაახლოება რომთან და პაპისათვის 1054 წლის ანათემის ახსნა (7, 12. 1965) ათონის ბერებსა და მის იურისდიქციასაც მოედო და მათ შეწყვიტეს ათინაგორას მოხსენიება ლიტურგიაზე. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ გატარებული დამსჯელი ღონისძიებების შედეგად ათონის ბერებს მოუხდათ განეახლებინათ მისი მოხსენიება, მაგრამ ესთიგმენუს მონასტერმა შავი დროშა გამოფინა წარწერით: „მართლმადიდებლობა ან სიკვდილი!“ და დღესაც ამ დევიზის ერთგულია.

ღია წერილში პატრიარქ ათინაგორას მიმართ ბერძენი დეკანოზი ნ. დ. კარაბელასი წერდა: „ათი წლის წინათ, ამერიკაში ყოფნისას, რეპიდ-სიტის მართლმადიდებელი ქრისტიანები მოვინახულე. მათ მითხრეს, ეპისკოპალურ ეკლესიაში ვეზიარებით, და პატრიარქმა ათინაგორამ ადგილობრივ პროტესტანტებთან ერთად ზიარების უფლება მოგვცაო“. მაშასადამე, ათინაგორამ ჯერ კიდევ ამერიკაში გადაწყვიტა ინტერკომუნიონის საკითხი სრულიად არამართლმადიდებლური გზით.

ათონელი ბერების ერთმა ჯგუფმა ვრცელი წერილით მიმართა ელადის ეკლესიის წმიდა სინოდს. აქ ისინი თავიანთ უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ წმ. სინოდი დუმილს არჩევს მარმართლმადიდებლური სარწმუნოებისა და გადმოცემის ღალატის ფაქტებზე 1967—70 წლებში. ისინი ასეთი ღალატის 11 ფაქტს ჩამოთვლიან და განსაკუთრებით ადანაშაულებენ პატრიარქ ათინაგორას[414] — მართლმადიდებელი ეკლესიის „პირველმღვდელმთავარს“, რომლის შესახებაც დოკუმენტურად ცნობილია, რომ იგი 33-ე ხარისხის მასონია (ფოტოსურათი მასონთა ორდენში მისი მიღების შესახებ „ორთოდოქსოს ტიპოსშია“ მოთავსებული).

კათოლიკურ ჟურნალ „ირენიკონში“ (1971, № 2) გამოქვეყნებულია კონსტანტინეპოლის პატრიარქის განცხადება იმის თაობაზე, რომ პაპმა პავლე VI-მ პატრიარქ ათინაგორას გაუგზავნა განცხადება, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება: „რატომ არ შეიძლება, რომ ავტომატუოად ღავუბრუნდეთ საერთო ბარძიმს, თუკი 1054 წლიდან არა-

ვითარი სერიოზული დაბრკოლება ამისთვის აღარ ყოფილა, ხოლო არსებული უთანხმოებანი თანდათან მცირდება?“ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეს განცხადება თვალს ხუჭავს მართლმადიდებლობასა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის არსებულ უთანხმოებებზე, რომლებიც სწორედ 1054 წლის შემდეგ გაჩნდა.

აი ისინიც: ტრიდენტის კრების დოგმატი (XVI ს.) პირველქმნილი ცოდვის შესახებ, რომელიც შერბილებული პელაგიანური სულისკვეთებითაა გაგებული, დოგმატი „დამსახურებად“ შერაცხილი საქმეებით განმართლების შესახებ, დოგმატი წმიდანთა „ზესაკმარისი“ საქმეებისა. და შესაბამისად, ინდულგენციების შესახებ, „დოგმატი“ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის შესახებ, რომელიც, პაპმა პიუს IX-მ კრების დადგენილების გარეშე მიიღო, და განსაკუთრებით „დოგმატები“ პაპის პირველობისა და უცთომელობის შესახებ, რომლებიც ვატიკანის I კრებაზე (1870 წ.) მიიღეს იმავე პიუს XI-ის მოთხოვნით. ამდენი არასწორი სიახლის შემდეგ, სწორედ 1054 წლის შემდეგ რომ იქნა შემოტანილი კათოლიკურ დოგმატიკაში, როგორღა ამბობენ, თითქოს 1054 წლის შემდეგ „აღარავითარი სერიოზული დაბრკოლება არ არსებობს“ (ევქარისტიული კავშირისათვის)? ვიდრე კათოლიკური ეკლესია თავის არასწორ დოგმატებს არ უარყოფს, მანამ სამღვდელოებასა და ერისკაცებს არა აქვთ უფლება მასთან ინტერკომუნიონის დამყარებისა, სხვაგვარად ისინი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და კანონების წინააღმდეგ შესცოდავენ, რაც მართლმადიდებლობისაგან შინაგანი განდგომის ტოლია (შდრ. ტიტ. 3, 11).

„საეკლესიო მოამბეში“ (1971, № 4) ვკითხულობთ, რომ „ბენედიქტიანელმა ბერმა, მამა დანიელ ჩელსიმ მოინახულა რუმინეთის პატრიარქი იუსტინიანე, რომელმაც იგი თავისი ეკლესიის პროტოსინგელის საპატიო ხარისხში აიყვანა, უბოძა საპატრიარქო ჯვარი — მართლმადიდებლობის წინაშე დამსახურებისათვის (!) და ხელდასხმა შეასრულა მასზე“. ამ ხელდასხმის მნიშვნელობაზე არაფერია თქმული. მაგრამ თვით ფაქტი, რომ მართლმადიდებელი პატრიარქი კათოლიკე მღვდლის ხელდასხმას ასრულებს ისე, რომ ეს უკანასკნელი არ უარყოფს არასწორ სწავლებასა და დოგმატებს, დოგმატებისა და კანონების უხეშ დარღვევასა და მართლმადიდებლური გადმოცემის ღალატზე მეტყველებს. წმ. მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების თანახმად, მართლმადიდებელ მღვდელმთავარს ეკრძალება არამართლმადიდებელი მორწმუნის ხელდასხმა. ამ წესის დარღვევა ნიშნავს

ყველა უცხო აღმსარებლობის თანდათანობით ცნობას, რადგანაც სწორედ ამ „იერარქიათა ურთიერთცნობაში“ მდგომარეობს არსებითად „ნემ“-ის ეკუმენისტური დოკუმენტის მიზანი.

ეკუმენიზმმა მიზნად დაისახა დაამახინჯოს და სახელი -გაუტეხოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა საიდუმლოს, და ხშირად ეს კეთდება ეკლესიის უმაღლეს იერარქთა ხელით, რომლებიც ჩვენი დროის ეკუმენისტური სულისკვეთებით არიან გარყვნილნი.

ეკუმენისტური მანქანა ისე მზაკვრულად და ეშმაკურად არ[illegible] წყობილი, რომ იგი დამანგრეველად მოქმედებს მართლმადიდებლობის სიწმიდეზე. ერთ ადგილობრივ ეკლესიაში იგი მართლმადიდებლურ დოგმატიკას ასამარებს, მეორეში — კანონებს, და ამგვარად, შიგნიდან ანგრევს მართლმადიდებლობის ციხე-სიმაგრეს.

ცალკეულ ადგილობრივ ეკლესიებში ძირგამომთხრელი საქმიანობის დასასრულ შედგება ე. წ. „დიდი სრულიადმართლმადიდებლური კრება“, რომელიც „დააკანონებს“ ამ უკანონობებს და ცალკეულ ეკლესიებში დაშვებულ გადახვევებს აუცილებელ ეკუმენისტურ წესად აქცევს.

განდგომილების დამტკიცება დაგეგმილი „მსოფლიო ზოგადქრისტიანული კრების“ საქმეა, რომელიც აუცილებლად შედგება მასონობის ძალისხმევის შედეგად. ნიშანდობლივია, რომ პროტესტანტები, რომლებიც უწინ არავითარ მსოფლიო კრებებს არ სცნობდნენ, უეცრად ერთხმად ალაპარაკდნენ „ყველა ქრისტიანული აღმსარებლობის ეკუმენისტური კრების“ მოწვევაზე (ლუთერანი ღმრთისმეტყველის კანენბერგის წინადადება) ანდა „მსოფლიო ზოგადქრისტიანული კრების მოწვევაზე“ (რეფორმატების წინადადება)[415].

წმიდა მართლმადიდებლობა ქრისტიანული სამყაროს მარილია (მათე, 5, 13). „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტები ამჟამად ცდილობენ განაქარვონ მართლმადიდებლური აღმსარებლობის მარილი, რათა იგი სხვა აღმსარებლობებს შეურიონ. ახალ ეკუმენისტურ დინებათა გავლენით ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები ირყევიან და ეკუმენისტური ქარებისაგან არიან მიმოტაცებულნი (შდრ. ეფეს. 4, 14). თვით მათი დოგმატური და კანონიკური საფუძვლები ირღვევა, რამეთუ დროის საცთური სძლევს და სჯობნის. მათი ოფიციალური „წარმომადგენლები“ — ეკუმენისტები გამალებით იღვწიან მასონური ეკუმენიზმის მიერ დასახული მიზნის, ინტერკომუნიონის განსახორციელებლად. ისინი აღწევენ კიდეც წარმატებას სულმოკლე „მართლმადიდებელი“ ერისკაცებისა და თვით საღმრთისმეტყველო

განათლების მქონე სამღვდელოთა შორის, რომლებსაც ეკუმენიზმისა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შეგონებები დედა-ეკლესიის ბრძანებებზე უფრო ძვირად უღირთ.

ცალკეული ადგილობრივი ეკლესიების ცთომილებებზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვენ სრულიადაც არ ვდებთ ბრალს ამაში წმ. მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც ღმრთაებრივ-კაცობრივ ერთიანობას. ადგილობრივმა ეკლესიებმა შეიძლება შესცოდონ, თუნდაც თავიანთი უმაღლესი იერარქიების სახით, და განუდგნენ ჭეშმარიტებას. „აპოკალიფსი" (მე-2 და მე-3 თავები) საყვედურობს მცირე აზიის ადგილობრივ ეკლესიებს მათი „ანგელოზების", ანუ ეპისკოპოსების მიერ დაშვებული დანაშაულობებისა და მძიმე შეცდომებისათვის (ფილადელფიის ეკლესიის გარდა, რომელმაც დაიმარხა სიტყვა ღმრთისა და არ უარყო მისი სახელი). მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ უფლის წინაშე დამნაშავეა ქრისტეს მთელი ეკლესია, რომელიც არის საუკუნოდ „წმიდა და უბიწო" (ეფეს. 5, 27).

ქრისტეს ეკლესიის უცთომელობაზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ასეთი და არა მისი ადგილობრივი ნაწილები. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია ადრეც არაერთხელ მოხვედრილა ცრუმოძღვრებათა მორევში, მაგრამ მუდამ ურყევად იდგა მისთვის ჩაბარებული აღმსარებლობის ურყევ კლდეზე, წმ. პავლე მოციქულის მცნების თანახმად: „შევიკრძალოთ აღსარებაჲ იგი მისა მართლ" (ებრ. 4, 14). ეკლესიას ხშირად უხდებოდა კატაკომბებისა და უდაბნოებისათვის თავის შეფარება, ზოგჯერ გამოქვაბულებსა და კლდის ნაპრალებში მალვაც (შდრ. ებრ. 11, 38), მაგრამ არასოდეს შეუწყვეტია არსებობა — არც არიანული ძალადობის, არც მონოფიზიტური ეპიდემიისა და არც ხატმებრძოლური ჭირის დროს... მცირე სამწყსოც რომ ჰყოლოდა, წმ. მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც მადლიანი ცომი (ლუკა, 13, 2), უძლეველი და ხელშეუხებელი იყო საუკუნეთა ძნელბედობის მანძილზე. ის დღესაც არსებობს და ანტიქრისტეს დროსაც იარსებებს, რადგან უხილავად განამტკიცებს უფალი იესო ქრისტე (მათე, 28, 20). მასში ცხონდებოდნენ, დღესაც ცხონდებიან და ხვალაც მოიპოვებენ ცხონებას ქრისტეს ერთგული შვილნი, ქრისტეს ჭეშმარიტებისა და ღმრთაებრივი სიმართლისათვის იდუმალი მოწამეობის შუქით გაბრწყინებულნი!

თუმცა ღმრთის ეს ჭეშმარიტი შვილნი სრულიადაც არ შერაცხავენ საკუთარ თავებს მართალთა შორის. ისინი ღრმად განიცდიან

თავიანთ ცოდვებს ღმრთის წინაშე, მუდმივად ინანიებენ მათ და ცდილობენ იმ განწყობით იცხოვრონ, რომელიც წმ. თეოფანე დაუუდებულმა თავის სულიერ შვილებს გადასცა: „ღმრთაებრივი სიმართლის გამრუდება არ შეიძლება. იგი ჩვენი კი არა, ღმერთის კუთვნილია. ჩვენი ვალია ვიქადაგოთ და ყველას გადავცეთ იგი ისევე წმიდად, როგორც ღმრთის ბაგეთაგან გვემცნო. ჩვენ ცუდად ვცხოვრობთ, და ისიც დიდი სიკეთე იქნება, თუ ღმრთაებრივ სიკეთეს მაინც ყოველგვარი მინარევების გარეშე ვიქადაგებთ"[416].

ასეთივე სულისკვეთებითაა გამსჭვალული მართლმადიდებლობის დიდი დამცველის წმ. მარკოზ ეფესელის სიტყვები: „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე კადნიერად ვაღიაროთ წმიდა მამათა კეთილი წინდი — აღმსარებლობა, ბავშვობიდან რომ გვახსოვს და თავიდანვე ვიმეორებდით, რათა ამსოფლიდან განსვლისას თან ერთი რამ მაინც წაგვყვეს — მართლმადიდებლობა!"

ნაწილი მეოთხე

მე-13 მიზეზი

ანტიქრისტიანული მასონობით ფთაგონებული ეკუმენიზმი გზას უმზადებს ანტიქრისტეს

ეკუმენიზმი მჭიდრო კონტაქტშია არაეკლესიურ, პოლიტიკურ, ოფიციალურ თუ საიდუმლო საერთაშორისო ორგანიზაციებთან (უპირველესი მათ შორის მასონობაა), რომლებიც მტრობენ ქრისტეს ეკლესიას. ამ ფაქტს ეკუმენისტები უკვე აღარ მალავენ, არამედ მშვიდად და უტიფრად აცხადებენ ეკუმენისტური მოძრაობის თითქმის დადებით თვისებად.

ემს-ს კავშირზე გაეროსთან, მსოფლიოს ყველაზე მსხვილ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, ნათლად მეტყველებს ევანსტონის ასამბლეის (1956 წ.) დოკუმენტები. ამ ასამბლეას პირადად ესწრებოდა თვით დაგ ჰამერშილდი, გაეროს მაშინდელი გენერალური მდივანი. თავის მისასალმებელ სიტყვაში მან „ხაზი გაუსვა ამ ორი ორგანიზაციის მუშაობის სიახლოვესა და არსებით ერთგვაროვნებას: აქცენტების მცირეოდენი გადანაცვლებით ისინი ერთსა და იმავე ამოცანებს ისახავენ"[1]. გაერო და ემს ერთმანეთს ენათესავებიან მიწიერ პლანში. მაგრამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ეკუმენიზმისა და მასონობის პირდაპირი კონტაქტებისა და ამ უკანასკნელის უშუალო გავლენის წარმოჩენა.

ა) მასონობა, პროტესტანტობა, კათოლიკობა

რა არის მასონობა? ფრანგული სიტყვა „macon" ითარგმნება, როგორც „ქვისმთლელი". მასონები თავიანთ თავს „თავისუფალ ქვის-

მთლელებს“ უწოდებენ და ამტკიცებენ კაცობრიობის მომავალს — მთელი მსოფლიოს „ბედნიერებას“ ვქმნითო. ამავე დროს მასონობა ყველაზე მოსისხლე და შეურიგებელი მტერია ქრისტიანობისა და განსაკუთრებით მართლმადიდებლობისა, მისი საბოლოო მიზანია ეკლესიისა და საერთოდ რელიგიის მოსპობა. 1881 წელს ბელგიელი მასონი ფლერი წერდა: „ძირს ჯვარცმული! მისი მეუფება დასრულდა! ღმერთი აღარ არის საჭირო!“[2]. სხვა ცნობილი მასონი დასძენდა: „ვიდრე ეკლესიებს არ მოვსპობთ, შედეგიან მუშაობას და რაიმე მყარი შენობის აგებას ვერ შევძლებთ“[3]. 1913 წელს მასონი სიკარ დე პლიზონი ამბობდა: „მიმდინარეობს ომი, რომელშიც ან უნდა გავიმარჯვოთ, ან გავწყდეთ — ომი მასონობის მარადიულ მტრებთან, ყველა დოგმატსა და ყველა ეკლესიასთან“[4]. „გვახსოვდეს, — წერენ მასონები, — რომ ქრისტიანობა და მასონობა სრულიად შეუთავსებელნი არიან ერთმანეთთან და ამიტომ, ერთს თუ ეკუთვნი, მეორე უნდა მიატოვო“[5]. ზოგიერთი მასონი თავის თავს სატანის მსახურადაც კი აცხადებს: „ჩვენ, მასონები, ლუციფერის მოდგმისანი ვართ!“[6] მასონებთან ჯვარს სამკუთხედი ცვლის, ეკლესიას კი — ლოჟა.

რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის განხეთქილებას 1930-იან წლებში სათავეში მასონობის დამღუპველი გავლენა ედო, რომელმაც გახრწნა და დაშალა საეკლესიო ცხოვრება. 1923 წ. ცნობილმა რუსმა მასონმა კუზმინ-კარავაევმა საფრანგეთის დიდი ლოჟის კონვენტში განაცხადა: „ჩვენ, რუსი ლტოლვილები, თქვენი მოწაფეები ვართ. ჩვენ ვსწავლობთ, როგორ უნდა გავხდეთ კარგი მასონები, რათა შეეძლოთ განვახორციელოთ მასონური დევიზი: „თავისუფლება, ძმობა, ერთობა“[7].

რიტუალური განსხვავებების მიუხედავად, მასონობა ერთიანია. მასონი კილსონი „მსოფლიო მასონურ ანალებში“ (1930 წ.) წერდა: „ჩვენს ლოჟებში უცხოელები არ არიან. სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ძმები აქ თავს ისე გრძნობენ. როგორც საკუთარ სახლში“. ამიტომ ყველა მასონი, რომელ გაერთიანებაშიც არ უნდა შედიოდეს, სრულ პასუხისმგებლობას კისრულობს ანტიქრისტიანული და ანტისახელმწიფოებრივი მუშაობისათვის, რომელსაც ერთიანი მსოფლიო მასონური ორგანიზაცია ეწევა.

რუსი ავტორის, მაკაროვის მოწმობით, მასონები ძირითადად პროტესტანტები არიან. თუმცა ამ საზოგადოების შექმნისას განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს თავისუფალ ქვისმთლელთა კავშირის რელიგიურ სხვადასხვაობას[8]. „რომის კურია, რომელიც გავლენიანი კონ-

კურენტის (ანუ მასონობის) ჩამოშორებას ცდილობდა, ანათემას უთვლიდა მასონობას, რომის პაპების უმეტესობა წყევლიდა მას... პაპმა პიუს IX-მ თავის ერთ-ერთ ბულაში მასონობას „სატანური სინაგოგა“, ანუ ყველა წვალების სინთეზი უწოდა. ამის მიუხედავად, მასონობამ ღრმად გაიდგა ფესვები და თავის ბადეში მრავალი კათოლიკეც ჩაითრია“[9]. საინტერესოა, რომ ბოლო ხანს რომის პაპებმა ძირეულად შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება მასონობისადმი. იგივე მაკაროვი ამტკიცებს: „1939 წელს წარმოიშვა იდეა მასონობისა და კათოლიკური ეკლესიის დაახლოებისა. დღეს მასონები უკვე აშკარად აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ ვატიკანის პოლიტიკას“[10].

რით აიხსნება ვატიკანისა და მასონობის ასეთი დაახლოება? ესოდენ განსხვავებული ეს ორი ძალა ხელს უწვდის ერთმანეთს იმისთვის, რომ ერთად დაიპყრონ და მართონ მსოფლიო. თავისი შიწიერი ხასიათის გამო კათოლიკურ ეკლესიას, ისევე როგორც ნებისმიერ სახელმწიფოს, შეუძლია დღეს ერთი პოზიცია ჰქონდეს და ხვალ — სულ სხვაგვარი. მასონობისადმი ახალი დამოკიდებულების გასამართლებლად კათოლიკეებმა ერთობ მზაკვრული ახსნა მოიფიქრეს: „თუმცაკი უწინ მასონობა ეკლესიის წინააღმდეგი იყო, ჩვენს დროში იგი უკეთ არის მისდამი განწყობილი, იცავს სარწმუნოებას, უზენაეს არსებას (?) და პატივს სცემს ბიბლიას, ისევე, როგორც სხვა რელიგიების წმიდა წიგნებს (!)“ (ფრანგული გაზეთი „მონდი“, 1975 წლის 17 აპრილი, სტატია „ეკლესია და ფრანკმასონობა“). სტატიაში გამოთქმულია აზრი, რომ დადგა დრო კათოლიკური კანონის (№ 2335) გაუქმებისა, რომელიც კათოლიკეებს განკვეთის მუქარით უკრძალავს მასონურ ლოჟებში შესვლას.

1975 წელს წამოყენებული ეს წინადადება დღეს უკვე განხორციელებულია: კათოლიკური ეკლესიის კანონიკურ კოდექსში, რომელიც პაპ იოანე-პავლე II-ის რედაქციით გამოვიდა, კანონი მასონობის წინააღმდეგ უკვე აღარ არსებობს. მეტიც, თვით იოანე-პავლე II მასონური ლოჟის წევრია. ამას ადასტურებს იტალიური ჟურნალი „ოჯი“, რომელშიც 1983 წელს გამოქვეყნდა ფოტოსურათი — პაპი სხვა მასონებთან ერთად ერთ-ერთ მასონურ ბანკეტზე „ძმურ ჯაჭვში“ დგას. „ორთოდოქსოს ტიპოსის“ რომაელი კორესპონდენტის ცნობით, ვატიკანი ცდილობდა ჟურნალის ამ ნომრის კონფისკაციას, მაგრამ იგი უკვე გავრცელდა იტალიაში და მის ფარგლებს გარეთაც. ერთ-ერთი სინდისიერი კათოლიკე ეპისკოპოსის თქმით, „პაპის ფოტოსურათი „მასონურ ჯაჭვში“ უშედეგოდ არ ჩაივლის“. იგი იმ დროს გამოქვე-

ყნდა, როდესაც მასონურმა ლოჟებმა იტალიაში არაერთი სკანდალი გამოიწვიეს. ამ სკანდალებში აშკარადაა გარეული კათოლიკური ეკლესია და განსაკუთრებით — ვატიკანის ბანკი!"[11]

ერთი თვის შემდეგ, ამ მხილების გავლენით, ვატიკანმა გამოაქვეყნა განცხადება „ეკლესიის წევრობისა და მასონურ ორგანიზაციებში მონაწილეობის შეუთავსებლობის შესახებ". მას ხელს აწერს კარდინალი სარწმუნოებრივი კონგრეგაციის მეთაური იოზეფ რატცინგერი, და მოწონებულია თვით პაპის მიერ. იგი ღაღადებს: „შეკითხვაზე, შეიცვალა თუ არა ეკლესიის აზრი მასონურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ ახალ კოდექსში არ არის მათზე ცალკე მსჯელობა, როგორც ეს ძველ კოდექსში იყო, წმ. კონგრეგაცია უპასუხებს: „ეს გარემოება გამოწვეულია ახალი კოდექსის რედაქტირებისას მიღებული წესით, რომლის თანახმადაც არც სხვა ორგანიზაციებზეა ცალკე ლაპარაკი, რამეთუ ყველა ისინი საერთო განყოფილებაში შედიან. ეკლესიის უარყოფითი დამოკიდებულება მასონური ორგანიზაციებისადმი უცვლელი დარჩა, ვინაიდან მათი პრინციპები ყოველთვის მიუღებლად ითვლებოდა ეკლესიის სწავლებისთვის და ამიტომ ამ საზოგადოების წევრობას ეკლესია კრძალავს. მორწმუნეები, რომლებიც მასონური ორგანიზაციების წევრები ხდებიან, მძიმე ცოდვას სჩადიან და წმ. ზიარებას ვერ მიიღებენ"[12].

რაც არ უნდა ცბიერნი ყოფილიყვნენ ხსენებული კონგრეგაციის წევრები პაპის მეთაურობით, მათ ვერ შეძლეს მსოფლიო სკანდალის თავიდან აცილება, როდესაც პაპის მასონობის დამადასტურებელი ფოტოსურათი გამოქვეყნდა. ზემოთ მოყვანილ დოკუმენტში ამ ფოტოსურათზე არაფერია ნათქვამი, და ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ ვატიკანის მოხელეებს, პირველ ყოვლისა კი პაპს, სინდისი მთლად სუფთა არა აქვთ. ახალი კოდექსიდან მასონობის საწინააღმდეგო კანონის ამოღების ახსნაც არ არის დამაკმაყოფილებელი. თუ ეს კანონი „საერთო განყოფილებაში" შევიდა, რატომ არ არის მითითებული, კერძოდ რომელში? რაც შეეხება სანუგეშებელ სიტყვებს, თითქოს კათოლიკური ეკლესიის დამოკიდებულება მასონური ლოჟების მიმართ უცვლელი დარჩა და რომ მასონობა მძიმე ცოდვაა, რომელიც ხელს უშლის ზიარებას, ყოველივე ეს მეტისმეტად არადამაჯერებლად ჟღერს, რადგან ამ ეკლესიის თავი, მასონთა შორის გადაღებული, როგორც მასონი, კიდევაც წირავს და კიდევაც ეზიარება!

მაგრამ მასონობის დროებითი დაახლოება რომის ეკლესიასთან ოდნავადაც არ ცვლის მის ანტირელიგიურსა და ანტისახელმწიფო-

ებრივ ხასიათს. ეს მოძრაობა ცდილობს მართოს მსოფლიო მოვლენები და განახორციელოს თავისი ბნელი მიზნები, რომლებსაც ჰუმანიტარული, კულტურულ-განმანათლებლური და აღმზრდელობითი ორგანიზაციების საფარველქვეშ ნიღბავს. მთავარი საიდუმლო მიზანი არის ქრისტეს სარწმუნოების აღმოფხვრა და მის ადგილას თავისი ანტიქრისტიანული რელიგიის დანერგვა. აგრეთვე სახელმწიფოს მოსპობა და ამ „გაერთიანებულ“ კაცობრიობაში საკუთარი, აბსოლუტური ძალაუფლების განმტკიცება.

დღევანდელი მსოფლიოსთვის დამახასიათებელი მრავალი ფაქტორი შეეწევა მასონობის საბოლოო მიზნების განხორციელებას, განსაკუთრებით კი ყველა ხალხის გაერთიანებას ერთი მსოფლიო მმართველის ძალაუფლების ქვეშ. ესაა, პირველ ყოვლისა, თანამედროვე ტექნიკა მისი გრანდიოზული მიღწევებით. ამერიკული ჟურნალის, „სატერდეი რევიუს“ რედაქტორი წერს: „დღეს მთელი მსოფლიო პოტენციურად ერთ მთელს შეადგენს: დედამიწაზე არ არსებობს ადგილი, კაცის ხმა რომ ვერ აღწევდეს: მაშასადამე, საბოლოოდ სიტყვისა და ელექტრონიკის სინთეზი შესაძლებელს გახდის მსოფლიო მმართველობაზე გადასვლას“.

ასეთი მმართველობა ერთ მსოფლიო თავს მოითხოვს, და ვინ იქნება ის, თუ არა ანტიქრისტე, რომელიც ბიბლიაში ნაწინასწარმეტყველია, როგორც „კაცი იგი უსჯულოებისა, შვილი წარსაწყმედელისა“ (2 თეს. 2, 3), რომელიც სოფლის აღსასრულის წინ მოგვევლინება მთელი კაცობრიობის გამაერთიანებლისა და „კეთილისმყოფელის“ სახით?

შესაბამისად, მასონობა თანდათან ამზადებს კაცობრიობას ახლანდელი, განმაცალკევებელი რელიგიების ნანგრევებზე აღმართოს ახალი, ადამიანების გამაერთიანებელი რელიგია, რაზედაც ჩვენს დროში უკვე აშკარად წერენ. ბერძენი არქიმანდრ. არსენი (კომპრეგია) სტატიაში. „პაპის კავშირი ანტიქრისტესთან“ („ორთოდოქსოს ტიპოსი“, 1986, № 733) გვაუწყებს, რომ ამერიკაში გამოვიდა ებრაელის, ბენიამინ კრემის წიგნი, რომელშიც პირდაპირაა ნათქვამი: „ქრისტე-მესია უკვე დაბადებულია და მალე მოევლინება ქვეყანას მსოფლიოს მმართველის სახით. იმ გეგმებში, რომლებიც მან უნდა განახორციელოს, შედის ქრისტიანობის მოსპობა და ახალი რელიგიის დაწესება მასონური ლოჟების ხელშეწყობით. 1986 წლის მარტში პაპმა მიმართა ებრაელებს, მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს და მოუწოდა გაერთიანდნენ ერთი ღმერთის ქვეშ. რა ღმრთის გმობაა! იმავე წლის 27 ნო-

ემბერს მან ასიზში (იტალია) მოიწვია ყველა რელიგიის ლიდერი (სატანისტების ჩათვლით) ერთობლივი ლოცვისათვის — რათა ელოცათ მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში!"

მართლმადიდებელმა ბერძენმა ჰანოვერიდან, ვასილი კაუნისმა 19 იანვარს „ორთოდოქსოს ტიპოსის" რედაქციას შეატყობინა, რომ ერთ-ერთ უფასო მასონურ ჟურნალში წერია: „გვიახლოვდება ქრისტე (ანტიქრისტე) და მისი მსოფლიო მეუფება. მისი ფეხის ხმა უკვე გაისმის, და სულ მალე კიდეც შევეგებებით!" ამავე ჟურნალის ერთ-ერთ წინა ნომერში ვკითხულობთ: „პაპი ჩვენი (ანუ მასონების) დახმარებით ხელმძღვანელობს საყოველთაო რელიგიის მომზადებას, რომელიც დიდი რელიგიების ნანგრევებზე აშენდება".

ახლა კი გასაგებია, თუ რატომ დაუახლოვდა ჩვენს დროში მასონობა პაპს, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს ქრისტიანობის სხვა რელიგიებთან შეგუებისა და ანტიქრისტესადმი მათი დაქვემდებარების საქმეში. მაგრამ ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა მასონობისათვის რჩება „ლოდად შებრკოლებისა" (რომ. 9, 32—33), რამეთუ იგი განუყრელადაა დაკავშირებული დოგმატებსა და კანონებთან, რომლებიც მას სხვა რელიგიებთან აღრევისაგან იცავენ. ამიტომაა რომ მასონობა ცდილობს პირველ ყოვლისა აღმოფხვრას მართლმადიდებელი ეკლესია როგორც ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და გადმოცემის დამცველი

ბ) მასონობა და ეკუმენიზმი

მასონები აღიარებენ თავიანთ მჭიდრო კავშირს ეკუმენიზმთან და თავი მოაქვთ საკუთარი დამსახურებით. ამას ადასტურებს დეკანოზი გრიგოლ რაზუმოვსკი თავის მოხსენებაში „ეკუმენისტური მოძრაობა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია", რომელიც მოსკოვში, 1948 წლის თებერვალზე წაიკითხა, აგრეთვე სტატიაში „ამსტერდამი და მართლმადიდებლობა".

„აი, რამდენიმე სიტყვა ფრანგული მასონური ჟურნალიდან „ტემპლი" სადაც თვითონ მასონები აღიარებენ რომ ეკუმენისტური მოძრაობა მათი გავლენის სფეროს ეკუთვნის: „გვეკითხებიან, რატომ ვერევით რელიგიურ კამათებში, რატომ უნდა აინტერესებდეს მასონობას ეკლესიათა გაერთიანების საკითხი, ეკუმენისტური კონგრესები და ა. შ.? ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანების პროექტით გათვალისწინებული პრობლემა ძალიან აინტერესებს მასონობას და ახლობელია მისთვის, რადგან ეს პრობლემა უნივერსალიზმის იდეას

შეიცავს. შეგვიძლია დავუმატოთ, რომ თუ გაერთიანება სწორ გზაზე დგას, ცოტათი ჩვენი ორდენის დამსახურებაცაა. ყოველ შემთხვევაში, პირველი ეკუმენისტური კონგრესების გაჩენისას ჩვენი ანგლოსაქსი და სკანდინავიელი ძმების ჩარევა გადამწყვეტი გახლდათ, და მათი საქმიანობა ქრისტიანული ერთიანობის მიღწევისაკენ იყო მიმართული"[13].

მაგრამ რაში სჭირდება მასონობას, ქრისტიანობის მოსისხლე მტერს, ქრისტიანთა გაერთიანება? საქმე ისაა, რომ მტერი მაშინ არის ყველაზე საშიში, როდესაც თავს მეგობრად ასაღებს. მასონები საქვეყნოდ აცხადებენ, რომ ყველა ადამიანის ერთობა სურთ, მაგრამ მხედველობაში აქვთ არა ერთობა ჭეშმარიტებაში, რომელიც ღმერთმა ქრისტეს მიერ გამოგვიცხადა (იოანე, 18, 37), არამედ ერთობა სიცრუეში, რომელსაც მისი მამა — ეშმაკი ჩააგონებს ადამიანებს (იოანე, 8, 44), ამიტომ, ესწრაფვიან რა სახელმწიფოთა გაერთიანებას, ისინი ოცნებობენ ქრისტიანების ყველა სხვა რელიგიასთან გაერთიანებაზე.

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ორგანიზაცია „ახალგაზრდობის ქრისტიანული კავშირი" (იმკა), რომელსაც ისინი მართლმადიდებლურ ქვეყნებშიც ავრცელებენ, რათა ახალგაზრდობა მართლმადიდებლობას მოწყვიტონ და საერთო კონფესიურ სარწმუნოებას აზიარონ. და მართლაც, ახალგაზრდობა, რომელიც საერთო კონფესიურ შეხედულებებს ითვისებს, გულგრილი ხდება სარწმუნოების მარადიული დოგმატებისა და უცვლელი აღმსარებლობის მიმართ, რომლის დამარხვა ჩვენ გვემცნო (ებრ. 4, 14). გულგრილი ხდება აგრეთვე მართლმადიდებლობის წმიდა ტრადიციების მიმართ, რომლებსაც სასაცილოდ იგდებენ, როგორც „ვიწრო ფანატიზმს". ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ „იმკა" თავის შეკრებებს ზუსტად მართლმადიდებლური ღმრთისმსახურების საათებში აწყობს, დიდი საეკლესიო დღესასწაულების დროს, რათა თავისი მომხრეები ეკლესიას ჩამოაშოროს (მაგ. დიდ პარასკევს).

რუსულ ემიგრაციაში მოქმედებს ასეთივე მასონური ახალგაზრდული ორგანიზაცია — „რუსეთის შრომითი ქრისტიანული მოძრაობა", რომლის ხელმძღვანელებმა უარი თქვეს თავიანთ სახელწოდებაში „მართლმადიდებლურის" შეტანაზე. რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის მღვდელმთავართა კრებამ მათ ეს ჯერ კიდევ 1938 წელს შესთავაზა, რაზედაც გაზეთ „ახალ გზაში" გამოქვეყნდა „რშქმ"-ს თავმჯდომარის ა. ლოდიჟენსკის სტატია სათაურით „კეთილის მო-

სურნეებს“, სადაც ნათქვამია: „დაე „კეთილის მოსურნეები“ ნუ ეცდებიან სამეურვეო ბავშვების როლში ჩვენს ჩაყენებას. „რშქმ“ საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და არა საეკლესიო, და მას თავისი საერო, პრაქტიკული ამოცანები აქვს. ამიტომ, როგორც აქამდე იყო დამოუკიდებელი (მასონობისგანაც? — ავტორთა შენიშვნა), ასევე იქნება შემდეგაც და არ დაუშვებს თავისი დამოუკიდებლობის ხელყოფას, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი“[14].

ამრიგად, ყველა ეს ორგანიზაცია — იმკა, რშქმ, მსოფლიოს სტუდენტური მოძრაობა, ეკუმენისტური მოძრაობა და ა. შ. არის მხოლოდ საშუალება საერთო მასონური მიზნის მისაღწევად. კერძოდ, ემს და იმკა, თუმცა გარეგნულად დამოუკიდებლად არიან, მაგრამ სინამდვილეში მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან, რადგან ერთი და იგივე საიდუმლო მასონური ძალები მართავენ. საინტერესოა, რომ დ-რი ჯონ მოტი ერთდროულად იმკა-ს თავმჯდომარეცაა, სტუდენტთა მსოფლიო ფედერაციისაც, და ყველა სხვა მსგავსი ახალგაზრდული კავშირისაც. და იგივე კაცი იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი თავმჯდომარე[15]. ეს ფაქტი არაორაზროვნად მიუთითებს ემს-სა და იმკა-ს შინაგან მსგავსებასა და მათ კავშირზე მასონობასთან[16]. სხვათა შორის, ეკუმენისტური მოძრაობის ხელმძღვანელებიც აღიარებენ, რომ იმკა, ივკა, ქრისტიანთა მსოფლიო ფედერაცია და ეკლესიათა მსოფლიო საბჭო მასონურ მოძრაობაში არიან ჩაბმულნი[17].

გ) მასონობა, სიონიზმი, ანტიქრისტე

მასონობის საბოლოო მიზანია კაცობრიობის გაერთიანება ერთი მბრძანებლის — ანტიქრისტეს ძალაუფლების ქვეშ. იმავე მიზანს ისახავს დღევანდელი სიონიზმი — მასონობის ტიპიური თანამედროვე განშტოება. მასონური ორგანიზაციები ყველაფერში ხელს უწყობენ სიონიზმს. სიონისტების ლიდერთა აღიარებით, 1948 წლის მაისში ისრაელის სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო სიონიზმის უფრო „მაღალი“ მიზნებისაკენ მიმავალ გზაზე, კერძოდ კი აპირებენ ებრაული თემის მსოფლიო საერთაშორისო გაერთიანებად გადაქცევას. ებრაული მისია არის „მსოფლიო მასშტაბის მისია“, „მსოფლიო ებრაული ერის მისია“, რომლის მიზანია ყველა სხვა ხალხზე მბრძანებლობა.

ფრანგულ გაზეთ „მონდში“ (1980 წლის 24 ივლისი) გამოქვეყნდა სტატია „მარტოდმარტო — მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ“, რომ-

ლის ავტორი, ებრაელი, თავის ერს ყველა სხვა ერზე მაღლა აყენებს და აცხადებს, რომ „დროა ყველამ გაიგოს — ისრაელის სახელმწიფოს ყოველნაირი უფლება აქვს და არავითარი მოვალეობა“.

მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი მიმართულ ასეთ კადნიერ გამოწვევას წესით დიდი პროტესტი უნდა გამოეწვია, რადგან ადამიანის მთელი საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრება მოვალეობათა და უფლებათა შეთანხმებას ეყრდნობა: უფლება გარკვეულ მოვალეობას იწვევს და პირიქით, მოვალეობა რაღაც უფლებებსაც გულისხმობს, მოვალეობები უფლებების გარეშე პიროვნების დამონებას ნიშნავს, რასაც თანამედროვე კანონმდებლობა პრინციპულად უარყოფს. მაგრამ მხოლოდ უფლებები მოვალეობათა გარეშე აგრეთვე საშინელ თვითნებობასა და ტირანიას იწვევს. სწორედ ისრაელის სახელმწიფოს ტირანიის მომასწავებელია „მონდის“ ზემოხსენებული სტატია.

სიონისტური სწრაფვა მსოფლიო სახელმწიფოს დაარსებისკენ სავსებით შეესაბამება ბიბლიურ წინასწარმეტყველებებს ანტიქრისტესა და მისი მსოფლიო ბატონობის შესახებ. ანტიქრისტე ბიბლიაში ისტორიულ პიროვნებად წარმოგვიდგება, როგორც ებრაული წარმოშობის მსოფლიო წინამძღვარი (დანის ტომისაგან, იხ. დაბ. 49, 19, სადაც დანი გველთან არის შედარებული). ებრაელებმა უარყვეს ქრისტე, ჭეშმარიტი მესია, მამა ღმერთის სახელით მოსული, და ელოდებიან საკუთარ „მესიას“ — ანტიქრისტეს, რომელიც თავისი სახელით მოვა, მას კი მიიღებენ, როგორც თვით უფალმა თქვა: „მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისათა, და არა შემიწყნარებთ, უკეთუ სხუა მოვიდეს სახელითა თვისითა, იგი შეიწყნაროთ“ (იოანე, 5, 43).

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანინოვი) ამბობს, რომ ქრისტეს უარმყოფელები მის ნაცვლად ანტიქრისტეს შეიწყნარებენ. „მათ უარყვეს ქრისტე თავიანთი სულიერი მდგომარეობის გამო და იგივე მდგომარეობის გამო ანტიქრისტე შეიწყნარეს... მათი სული მტრულად იყო განწყობილი ქრისტეს მიმართ და შესაბამისად, ანტიქრისტეს ენათესავებოდა. ამიტომ ისინი შეირაცხნენ, როგორც ანტიქრისტეს შემწყნარებელნი, თუმცა მიწიერი მსხემობა ანტიქრისტეს მოსვლამდე მრავალი საუკუნით ადრე დაასრულეს. ანტიქრისტეს სულით ძღვანებულნი, ისინი უარყოფენ ქრისტეს, თვით მათი სული შეითვისებს ანტიქრისტეს, მასთან ექნებათ ურთიერთობა, დაემორჩილებიან და თაყვანს სცემენ, ანუ თავიანთ ღმერთად აღიარებენ“[18].

ანტიქრისტე თავის მოღვაწეობას თითქოსდა კაცობრიობის საკეთილდღეოდ, მისი ბედნიერებისთვის ზრუნვით დაიწყებს. გარეგნუ-

ლად იგი ქრისტეს მიბაძვას შეეცდება, მაგრამ სიკეთის ნიღაბქვეშ ბოროტებას, მთავრობისმოყვარებას, ამპარტავნებასა და ღმრთისმებრძოლ ბუნებას დამალავს[19]. თავიდან იგი კაცობრიობის მოხიბვლას შეეცდება: ჯერ ერთი, საყოველთაო მშვიდობისა და სამართლიანობის მიღწევაზე იზრუნებს, მეორეც, გლახაკთა და უქონელთა დაპურებას შეუდგება, მესამეც — სოციალურ სამართლიანობას დაამყარებს, ასე რომ, წმ. ეფრემ ასურის განმარტებით, ყველა ერი, მისი სათნოებისა და ძლიერების მხილველი, იტყვის: „იპოვება კი სხვა მისებრ კეთილი და მართალი კაცი?“[20]

კაცობრიობის გაერთიანებისათვის ანტიქრისტე ზოგიერთ რეფორმასაც გაატარებს, რომლებიც ხორციელ ადამიანებს სიკეთედ მოეჩვენებათ. იგი გარშემო შემოიკრებს არა მხოლოდ ებრაელ ხალხს, სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულს, არამედ კაცთა მთელ მოდგმას თავისკენ მოუწოდებს და ყველას აღუთქვამს გათავისუფლებას, თუმცა საკუთარი თავის ხსნაც კი არ ძალუძს[21]. „თორმეტი მოციქულის სწავლების“ მიხედვით, იგი იქნება „სოფლის მაცთუნებელი“, მოგვევლინება, როგორც „ძე ღმრთისა“, ცრუ ნიშნებსა და სასწაულებს მოახდენს და „მიწა მისი კუთვნილი გახდება“[22].

ანტიქრისტე „ქვის ტაძარს აღმართავს იერუსალიმში“[23] და, როდესაც თავისი წარმატებებით სახელს გაითქვამს, სატანური ამპარტავნება დაეუფლება. „მთელი მსოფლიოს მპყრობელი რომ გახდება, ღმერთთან გატოლებას მოისურვებს“[24] და მოითხოვს, თაყვანი სცენ, როგორც ღმერთს, პავლე მოციქულის წინასწარმეტყველების თანახმად: „და-ცა-ჯდეს იგი ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოაჩინებდეს თავსა თვისსა, ვითარცა ღმერთი“ (2 თეს. 2, 4). ამ სიტყვებს წმ. კირილე იერუსალიმელი ასე განმარტავს: „აქ იუდეის დამხობილი ტაძარი იგულისხმება... თუ ანტიქრისტე მივა იუდეველებთან, როგორც ქრისტე, და მათგან მოითხოვს თაყვანისცემას, მაშინ მათ საცთუნებლად დიდ გულმოდგინებას გამოიჩენს ტაძრის მშენებლობის საქმეში, რათა იუდეველებმა იფიქრონ, რომ იგი დავითის თესლისაგანაა და რომ მან ხელახლა უნდა ააგოს სოლომონის ტაძარი“...[25]

რაკიღა იერუსალიმის ტაძარი ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბოლო ხანს ებრაელები გამალებით ემზადებიან ამ უკვე ორგზის დანგრეული ტაძრის ასაშენებლად, რათა იქ მიეგებონ თავიანთ „მესიას“. როგორც ცნობილია, სოლომონის მიერ აგებული პირველი ტაძარი ძვ. წ.-აღ-ის 586 წ. დაინგრა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის დროს (4 მეფ. 25, 8—9). მეორე ტაძარი, რომელიც ზორო-

ბაბელმა ააგო ძვ. წ. აღ-ის VI ს-ის ბოლოს, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, დაწვეს ახ. წ. აღ-ის 70 წელს, როდესაც რომის იმპერატორმა ტიტუსმა იერუსალიმი აიღო (თუმცა ეს იმპერატორის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ მოხდა). ამით აღსრულდა ქრისტეს წინასწარმეტყველება, რომ „არა დაშთეს აქა ქვა ქვასა ზედა, რომელი არა დაირღვეს“ (მათე, 24, 2). ებრაელთა მესამე და უკანასკნელი ტაძარი აიგება ანტიქრისტეს დროს, და სწორედ იმ ტაძარში დაელოდებიან ისინი თავიანთ „მესიას“, რომელსაც მთელი მსოფლიოს მეფედ გახდას დაუპირებენ.

ჟურნალ „მართლმადიდებელ რუსეთში“ მოთავსებული იყო შენიშვნა: „რაბინი ხაიმ დრუკმანი, კნესეტის (ებრაელთა პარლამენტის) წევრი და ნაციონალური რელიგიური პარტიის ცნობილი ლიდერი, დარწმუნებულია, რომ მესამე ტაძარი იერუსალიმში აშენდება მალე, ჩვენს დღეებში, და იგი, პირველი და მეორე ტაძრებისაგან განსხვავებით, მარადიული იქნება“.

ცნობილი ებრაელი ჟურნალისტი ამოს ალონი გაზეთ „ხა'არეცში“ იუწყება, რომ ებრაელ ფუნდამენტალისტთა შორის ამერიკაში დიდი მზადება მიმდინარეობს მესამე ტაძრის მშენებლობისათვის. ზოგიერთი, ვითომდა ქრისტიანული გაზეთი, როგორიცაა „ისრაელი — ჩემი დიდება“ მთლიანად ამ თემას ეძღვნება. რამდენიმე ამერიკელი მილიონერი ფუნდამენტალისტი მზად არის დააფინანსოს ეს წამოწყება. „ტაძრის მშენებლობის საქმე გადაუდებელია პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ეს იქნება უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი, რადგან იერუსალიმის შეერთება პოლიტიკურ რეალობად იქცევა და ისრაელი განმტკიცდება“[26]. რელიგიური მოტივები ხომ თავისთავად აჩქარებენ ტაძრის მშენებლობის დაწყებას, რამეთუ ყველა ქვეყნის ებრაელები „გოდების კედელთან“ იყრიან თავს. ებრაელებს სწყურიათ დასრულებული ტაძრის ხილვა და ის კი არ იციან, რომ სწორედ ესაა მათი ტრაგედია!

ქრისტეს ერის დადგომამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ძველ აღთქმაში ორი წინასწარმეტყველება გამოითქვა იმის თაობაზე, რომ კაცობრიობის მხსნელი მეორე ტაძარში მოვა. არავითარ მესამე ტაძარს მესიასთან დაკავშირებით ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები არ ახსენებენ.

პირველი წინასწარმეტყველება ეკუთვნის წმ. წინასწარმეტყველ ანგიას, რომელიც ბაბილონის ტყვეობის ბოლოს, ქრისტეს შობამდე 520 წ. ცხოვრობდა. იუდეის მმართველს, ზორობაბელს მან ჩააგონა,

იერუსალიმის I დამწვარი ტაძრის ადგილას მეორე ტაძარი აეგო, და ამ დროს საოცარი წინასწარმეტყველება წარმოთქვა: „ამათ იტყვის უფალი, ყოვლისა მპყრობელი: მერმე ერთგზის მე შევძრა ცაჲ და ქუეყანაჲ და ზღუაჲ და ხმელი. და თანაშევძრენ ყოველნი ნათესავნი, და მოვიდენ რჩეულნი და რაჲცა ყოველთა ნათესათვანი და აღავსო სახლი ესე დიდებითა... რამეთუ დიდ იყოს დიდებაჲ სახლისაჲ ამის უკუნაჲსკნელის, უფროს პირველისა“ (ანგეა, 2, 6—10).

ეს წინასწარმეტყველება აბსოლუტური სიზუსტით ახდა უფალ იესო ქრისტეს — ჰეშმარიტი მესიის სახით, რომელმაც მოინახულა იერუსალიმის მეორე ტაძარი (მათე 21, 12—23; იოანე, 7, 14; 8, 2), და ნამდვილად აღავსო იგი ღმრთაებრივი დიდებით, რამეთუ ქმნა დიდ-დიდი სასწაულები, როგორც ჰეშმარიტმა ღმერთკაცმა (მათე, 21, 14—15). რაკიღა ამ წინასწარმეტყველებაში სრულიად ნათლადაა ნათქვამი, რომ მესია მეორე ტაძარში მოვიდოდა, მაშასადამე, ებრაელებს საკუთარი წინასწარმეტყველი უდასტურებს, რომ უფალი იესო ქრისტე არის ჰეშმარიტი მესია, რადგან ეს წინასწარმეტყველება მეორე ტაძრის დანგრევის (70 წ. ძვ. წ.) შემდეგ ვეღარ ასრულდებოდა.

მეორე ასეთი წინასწარმეტყველება გვხვდება ძველი აღთქმის უკანასკნელ საწინასწარმეტყველო წიგნში, წმ. წინასწარმეტყველ მალაქიასთან, რომელიც ქრისტეს შობამდე 400 წელს ცხოვრობდა, ბაბილონის ტყვეობის შემდეგ, როდესაც იერუსალიმის მეორე ტაძარი უკვე აგებული იყო. წინასწარმეტყველი ამბობს: „აჰა გამოვაველინო ანგელოზი ჩემი (წმ. იოანე წინამორბედი) და მოიხილოს გზაჲ პირისა ჩემისა და მეყსა შინა მოვიდეს ტაძრად თჳსსა უფალი, რომელსა თქუენ ეძიებთ და ანგელოზი აღთქმისაჲ, რომელი თქუენ გნებავსყე. აჰა, მოვალს, იტყვის უფალი, ყოვლისა მპყრობელი“ (მალ. 3, 1). და ვინ არის ეს „ანგელოზი“, თუ არა თვით უფალი იესო ქრისტე, წინასწარმეტყველთა მიერ აღთქმული მხსნელი და მაცხოვარი? მასვე ეწოდა თავსმდები და შუამდგომელი „უმჯობესისა აღთქმისა“ (ებრ. 7, 22), ანუ „ახალი აღთქმისა“ (ებრ. 9, 15; 12, 24), რომელშიც უცნაურად ასრულდა ძველი აღთქმის ყველა მესიანური წინასწარმეტყველება!

ეს ორი წინასწარმეტყველება მხოლოდ ახალი აღთქმის მოვლენებს კი არ ემთხვევა, არამედ თვით იესო ქრისტეს წინასწარმეტყველურ სიტყვებს იუდეველთა მიმართ: „აჰა ესერა, დაეტეოს თქუენგან სახლი თქუენი ოხრად. რამეთუ გეტყვი თქუენ: არღარა მიხილოთ

მე ამიერითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!“ (მათე, 23, 38—39). პირველ სიტყვებს წმ. მამები ასე ხსნიან, ღმერთმა იერუსალიმის ტაძარსა და ებრაელ ხალხს იმისთვის მოაკლო თავისი მფარველობა, რომ მათ არ ირწმუნეს ქრისტე, როგორც მესია[27]. იერუსალიმის ტაძრის მოოხრება, რომელიც უკვე 19 საუკუნის მანძილზე გრძელდება, იქამდე მივა, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის უმჯობესნი იუდეველთა შორის — „ნეშტი“ ისრაილისა (რომ. 9, 27), ანტიქრისტეს სიცრუით გულგატეხილნი, მოვლენილ ქრისტეს, ანტიქრისტეს მძლეველს, ამ სიტყვებით მიეგებებიან: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!“

ვინაიდან მეორე ტაძარი, რომლის შესახებაც ნაწინასწარმეტყველევია, რომ მასში მესია გამოცხადდება, სოფლის აღსასრულამდე მოოხრებული იქნება, რა „მესამე“ ტაძარიც არ უნდა აშენდეს[28], მასში ჰეშმარიტი კი არა, ცრუ-მესია, ანუ ანტიქრისტე მოგვევლინება!

სამწუხაროდ, იუდეველებისა და საერთოდ, ადამიანების უმეტესობას არ სწამს ჰეშმარიტება (2 თეს. 2, 12) და მხოლოდ ამსოფლიური კეთილდღეობა სწყურია, ამიტომ მოელის ამა სოფლისეულ მაცხოვარს, რომელიც ამა სოფლისეულ „მშვიდობასა“ და განცხრომას მიანიჭებს — სწორედ ის იქნება ანტიქრისტე. როდესაც ძალაუფლებას ხელთ იგდებს, იგი სასტიკად შეიძულებს ყველას, ვინც მას არ დაემორჩილება და ქრისტეს ერთგული დარჩება. იგი მათ შეებრძოლება, დევნასა და შევიწროებას დაუწყებს, „და მოიგონოს ცვალება ჟამთა და სჯულისა“ (დან, 7, 25). საეკლესიო დღესასწაულების შეცვლა უკვე დაიწყო ზოგიერთ ადგილობრივ ეკლესიაში ე. წ. „ახალი კალენდარული სტილის“ შემოღებით, რამაც დიდი შფოთი და არეულობა გამოიწვია.

არამართლმადიდებლებთან გაერთიანების მიზეზით მომავალში მართლმადიდებლური პასქალიის (და მასთან დაკავშირებული მოძრავი დღესასწაულების) რეფორმაცაა დაგეგმილი, რითაც მართლმადიდებელი ეკლესიის ურყევი კანონები ირღვევა (მოციქულთა მე-7 კანონი, ანტიოქიის კრების I კანონი, II მსოფლიო კრების I კანონი და ა. შ.). მართლმადიდებლური ღმრთისმსახურების წესებიდან საბოლოო გადახვევა დაიწყება ე. წ. „ახალი მსოფლიო კალენდრის“ მიღებით, რომელზედაც უკვე მუშაობს გაერო და რომელიც მეტისმეტად მოსწონთ ეკუმენისტებს. ეს საბოლოო ქაოსს შეიტანს ეკლესიაში, რადგანაც ამ კალენდარში არ არის შეტანილი 31 დეკემბერი, იმისათვის, რომ ყველა თარიღი კვირის გარკვეულ დღეს ემთხვეოდეს.

ამით ირღვევა შვიდეულის პრინციპი, რომელიც სოფლის დაბადებიდან მოდის, და აზრს კარგავს კვირადღე, როგორც ქრისტეს აღდგომის ყოველკვირეული დღესასწაული.

დანიელის წინასწარმეტყველებაში (7, 25) ნათქვამია, რომ ანტიქრისტე მხოლოდ სადღესასწაულო დღეებს კი არა, სჯულსაც შეცვლის. სჯულში უნდა ვიგულისხმოთ საეკლესიო კანონები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, როგორც „ცათა სასუფევლის მოქალაქენი"[29]. საეკლესიო კანონების რყევა და უარყოფაც კი უკვე დიდი ხანია დაიწყო[30]. განა არ ირღვევა მოციქულთა მე-10, 45-ე და 65-ე კანონები ყოველ ეკუმენისტურ შეკრებაზე, სადაც „მართლმადიდებელი" ეკუმენისტები არამართლმადიდებლებთან და არაქრისტიანებთან ერთადაც კი ლოცულობენ ვითომდა „მშვიდობისათვის"? ეკუმენისტი მოღვაწენი უკვე აშკარად გამოდიან კანონების წინააღმდეგ, „მოძველებულს" უწოდებენ მათ და „გაუქმებულადაც" კი აცხადებენ.

ასეთი საბედისწერო თანამიმდევრობით ხორციელდება მასონური გეგმები კაცობრიობის მოსამზადებლად „III ტაძრის" აგებისა და ანტიქრისტეს გამეფებისათვის!

ბ) ახალი „მესიანური" ეამის მოლოდინი

ანტიქრისტეს სული უკვე დიდი ხანია მოქმედებს უსჯულოების საიდუმლოს მეშვეობით (2 თეს. 2, 7), და ჩვენს უსიხარულო დროში სულ უფრო ძლიერდება. თანდათან და მიზანდასახულად მზადდება ნიადაგი კაცობრიობის მომავალი „კეთილისმყოფელის" მისაღებად. ჯერჯერობით მთავარი დაბრკოლება ანტიქრისტეს იდეების განხორციელებისათვის ქრისტეს მართლმადიდებელი სარწმუნოებაა, იგი, ერთადერთი ემთხვევა ღმრთაებრივ გამოცხადებას და ფარდას ხდის სატანის ბნელ ზრახვებს.

ამჟამად მრავალი ბნელი ძალა და ორგანიზაცია მუშაობს მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმოსაფხვრელად. ემს ამ მხრივ ყველაზე მზაკვარი და ამიტომ ყველაზე საშიში ორგანიზაციაა. „ქრისტიანული" ორგანიზაციის სახით, რომელიც ვითომ ყველა ქრისტიანული აღმსარებლობის გაერთიანებას ესწრაფვის, ემს სინამდვილეში შიგნიდან უთხრის ძირს ქრისტიანობას და განსაკუთრებით კი მართლმადიდებლობას. ათეიზმთან ბრძოლის ნიღბით ემს მართლმადიდებლობასთან ბრძოლის ფრონტს ქმნის და ფარულად ამზადებს ქრის-

ტიანების შეგნებას ახალი „მესიანური“ ჟამის მისაღებად, ებრაული სულისკვეთების შესაბამისად.

ამ მიზნით ბოსეს ეკუმენისტურ ინსტიტუტში ხშირად იწვევენ ებრაელებს, რომლებიც ქრისტიანებს უკითხავენ ლექციებს იუდაურ-ქრისტიანული დიალოგების მოსამზადებლად, ეწყობა კოლექტიური სვლები სინაგოგას რელიგიურ რიტუალებზე დასასწრებად[31]. ამავე მიზნით ეკუმენისტურ გამოცემებში იბეჭდება ებრაელ ავტორთა სტატიები, რომლებშიც აშკარად არის ლაპარაკი ებრაელი ერის „მესიანურ როლზე“ და იმაზე, რომ ებრაელი ერის გათავისუფლება მთელი კაცობრიობის გათავისუფლებას ნიშნავს. (საინტერესოა, რისგან გათავისუფლებას? ცხადია, არა ცოდვისაგან, რომლისგანაც უკვე გაგვათავისუფლა ქრისტემ (იოანე, 8, 36), არამედ თვით ქრისტესაგან გათავისუფლებას!).

იმავე სულისკვეთებითაა გამსჭვალული ებრაელ ავტორთა სხვა გამონათქვამებიც: „ისრაელს დიდი მიზანი აქვს — იყოს ნათელი სხვა ხალხებისათვის... იგი მოუტანს ხსნას მთელ კაცობრიობას“[32]. „ხსნის“ პროცესი, მათი აზრით, უკვე დაიწყო 1948 წლის მაისში, ისრაელის სახელმწიფოს დაარსებით, ანუ ემს-ს დაარსებამდე სულ სამი თვით ადრე (მათი ურთიერთკავშირი აშკარაა).

სტატიაში „ხსნა — თანამედროვე ებრაული გაგებით“ ცვი იარონი, ისრაელის გამოჩენილი კულტურული მოღვაწე, ებრაელთა განდევნისა და მთელი დედამიწის ზურგზე მათი განბნევის შესახებ მსჯელობისას პირდაპირ აცხადებს, რომ პალესტინაში მათი შეკრება არის ძველ წინასწარმეტყველებათა აღსრულება „მესიანური“ ჟამის დადგომის შესახებ. „მესიანური შეხედულება ხსნის შესახებ გულისხმობს არა მხოლოდ ჩაგვრისაგან გათავისუფლებას, არამედ სოციალური სამართლიანობის, სიმდიდრისა და მშვიდობიანობის ახალი ერის დადგომას“, წერს იგი[33]. იუდაიზმი კაცობრიობის მომავალსაც მსოფლიო მბრძანებლობის თვალით უყურებს. რაბი კუკი წერს: „კაცობრიობა ერთ ოჯახად უნდა გაერთიანდეს, და მაშინ გაქრება ხალხების განყოფის დროს გაჩენილი ყოველგვარი შფოთი და ბოროტება. ჩვენი საბოლოო მიზანია ღმრთის სასუფეველის დამყარება აქ, დედამიწაზე!“[34]

ალბათ ზედმეტია იმის ახსნა, თუ რამდენად განსხვავდება ასეთი იდეალი ქრისტეს მიერ ნაჩვენები იდეალისაგან! მაცხოვარმა იწინასწარმეტყველა, რომ სოფლის აღსასრულის წინ დაიწყება გამრავლება უსჯულოებისა (მათე, 24, 12), უწესრიგობა, შფოთი,

ომები, ძრწოლა, და არა იდილიური კეთილდღეობა. ამ ესქატოლოგიურ მოვლენებს ეკუმენისტური გამოცემები ერთი სიტყვითაც არ ახსენებენ. ემს უკრძალავს თავის წევრებს ამაზე წერას და ლაპარაკს, რათა ზერელე და მალემრწმენ ქრისტიანებს შორის ნაცელად საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული რწმენისა, რომ მესია უკვე მოვიდა და მესიანური ჟამიც კარგა ხანია, რაც დაიწყო, თანდათან გაიდგას ფესვები სხვა, ჩვენთვის უცნობი, მომავალი „მესიანური" ჟამის მოლოდინმა!

მასობრივმა პროპაგანდამ ამ მიმართულებით უკვე საზარელ შედეგებს მიაღწია. პროტესტანტული სამყარო ანგლიკანელებს შეთაურობით უკვე მასონურია და ემს-ში მონაწილეობს. ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები თავიანთი „ოფიციალური წარმომადგენლების" სახით აგრეთვე ემს-ს წევრები არიან და ჰეშმარიტებისაგან განდგომის დამღუპველ პროცესში მონაწილეობენ. რაც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც აქამდე ანათემას გადასცემდა მასონობას, ახლა კურსი შეიცვალა და თანხმობას ამყარებს მასთან.

კათოლიკური ეკლესია, მართალია, ჯერ არ გამხდარა ემს-ს წევრი, მაგრამ დიდ ინტერესს იჩენს ეკუმენისტური ინიციატივების მიმართ და ყველა ეკუმენისტურ ასამბლეასა თუ შეკრებაზე თავის „დამკვირვებლებს" აგზავნის. მან რომის ცენტრში ძველი ტაძარიც კი დაუთმო ემს-ს „ეკუმენისტური ღმრთისმსახურებისათვის"[35]. ყოველივე ეს მოწმობს, რომ კათოლიკეები მზად არიან ემს-თან თანამშრომლობისათვის.

ასეთ თანამშრომლობას ბიძგი მისცა ვატიკანის II კრების დეკრეტმა „ეკუმენიზმის შესახებ". 1989 წ. პაპი პავლე VI ოფიციალური ვიზიტით ეწვია ჟენევაში ემს-ს, ხოლო თავის მისალმებაში ემს-ს 25 წლისთავის გამო განაცხადა, რომ ემს შეიქმნა სხვადასხვა ეკლესიებს შორის დაკარგული რწმენისა და სიყვარულის აღსადგენად და რომ პაპი დიდად აფასებს ემს-სა და კათოლიკური ეკლესიის ურთიერთობას, და „თუმცა ეს ორი ორგანიზმი ბუნებით ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათი თანამშრომლობა ნაყოფიერია". ამიტომ ეს თანამშრომლობა ვატიკანის II კრების სულისკვეთებით უნდა გაგრძელდეს[36].

იმ მიზეზების ჩამოთვლისას, რომელთა გამოც კათოლიკური ეკლესია ჯერ კიდევ არ შესულა ემს-ში, ვატიკანის ქრისტიანული ერთიანობის განყოფილების თავმჯდომარე, კარდინალი ვილებრანსი ემს-ს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ წერილში (1983 წლის 4

ივლისი) წერს: „რომის კათოლიკური ეკლესია სხვა ეკლესიებზე მეტად მიიჩნევს თავის სტრუქტურას უნივერსალური ერთიანობისა და უნივერსალური მისიის მატარებლად... გადაწყვეტილება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში შესვლის შესახებ შეიძლება არასწორად იქნას გაგებული... რომის კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლების (ავტორიტეტის) პოზიციიდან"[37].

კარდინალ ვილებრანსის ამ გამონათქვამის კომენტარებისას ჟურნალ „ირენიკონის" რედაქცია მიუთითებს, რომ „კათოლიკური ეკლესია ქრისტიანული სამყაროს ნახევარზე მეტია", და სვამს კითხვას: „როგორ შეიძლება, რომ ემს-ში სამართლიანი წარმომადგენლობა ჰყავდეს და ამასთან არ არღვევდეს ჟენევის ორგანიზმის ერთობ ფაქიზ წონასწორობას?" ამის მაგალითად მოყვანილია „უხერხულობა, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესიები განიცდიან — მათ ხშირად უჩნდებათ შთაბეჭდილება, რომ სუსტად არიან წარმოდგენილნი. რაღა დაემართება კათოლიკურ ეკლესიას?"[38]

ამრიგად, რომის პაპს შეგნებული აქვს, რომ ჟენევის ემს-ს, რომის მსგავსად, უნივერსალური საეკლესიო ორგანოს როლის შესრულება სურს, ეს კი მიუღებელია პაპისთვის, როგორც კათოლიკური ეკლესიის „უცთომელი" თავისთვის. როგორ უნდა შევიდეს ემს-ში, თუ მისი მეთაური თვითონ არ იქნება? თუ პაპი მაინც შევა ემს-ში, ცხადია, თავმჯდომარის ადგილზე ექნება პრეტენზია[39], მანამ, სანამ „უნივერსალური ეკლესიის" თავი არ გახდება.

ამის მოსამზადებლად უკვე იწყება ლუთერანებისა და რომის კათოლიკეების საოცარი დაახლოება, რასაც საფუძვლად უდევს პაპის, როგორც მომავალი „უნივერსალური ეკლესიის" ყველაზე შესაფერის ხელმძღვანელად აღიარება. ჟურნალი „ირენიკონი", სხვათა შორის, ასეთ კურიოზულ ამბავსაც იუწყება: „ლუთერანულ-კათოლიკურმა კომისიამ აშშ-ში მოწყობილი დიალოგის შესახებ 1974 წლის 4 მარტს გამოაქვეყნა ფრიად მნიშვნელოვანი ერთობლივი დეკლარაცია განახლებული პაპიზმის, როგორც ქრისტიანული ეკლესიის ცენტრის შესახებ. დოკუმენტი მოწმობს, რომ ლუთერანებს სულ უფრო უკეთ ესმით ეკლესიის ერთიანობისა და მისი უნივერსალური მისიის საქმეში განსაკუთრებული მმართველობის აუცილებლობა". კომისიის წევრები შესაძლებლად მიიჩნევენ „პაპიზმის ფორმის შეცვლას, რათა იგი უკეთესად პასუხობდეს მომავლის მოთხოვნებს" (ალბათ გულისხმობენ ანტიქრისტეს დროს, რომლის წინამორბედიც პაპი უნდა გახდეს!).

რომის კათოლიკეებისა და პროტესტანტების დაახლოება იქამდე მიდის, რომ ზოგან უკვე ერთობლივი კათოლიკურ-ლუთერანული „ლიტურგიებიც“ ტარდება, ამასთან, ევქარისტიული კანონის დროს ერთი ეკლესიის მღვდელი საიდუმლო ლოცვის სიტყვებს პურზე კითხულობს, მეორე ეკლესიისა კი — ბარძიმზე[40].

ამრიგად, რომის კათოლიკეები და პროტესტანტები ერთმანეთს უახლოვდებიან, რათა ყველა გააერთიანონ ერთი თავის — პაპის ძალაუფლების ქვეშ.

რაც შეეხება მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელთანაც ვატიკანს თითქოს „გულწრფელად“ სურს დაახლოება, პაპი მოხერხებულად ცდილობს დაიკავოს მართლმადიდებელ პატრიარქთა შორის ის ადგილი, რომელიც 1054 წლამდე ეჭირა — პირველობა „პატივის მიხედვით“. მართლმადიდებლობისგან პაპი მოითხოვს სცნონ მისი „პირველობა“[41], მიუხედავად რომის ეკლესიაში ამ ხნის განმავლობაში შეტანილი დოგმატური სიახლეებისა. პაპი არც იმ ტერიტორიების დათმობას აპირებს, რომლებიც კათოლიკურმა ეკლესიამ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს უნიის მეშვეობით წაართვა. მას ვერ წარმოუდგენია გაერთიანება საკუთარი ინტერესების საზიანოდ.

პაპმა პავლე VI-მ თავის სიტყვაში 1970 წლის 19 აპრილს განაცხადა: „ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ გულწრფელი (!) ერთიანობის მიღწევა რომის კათოლიკურ ეკლესიასა და აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შორი აღმოსავლეთის კათოლიკური ეკლესიების საზიანოდ უნდა განხორციელდეს[42]...“

რას ნიშნავს „აღმოსავლეთის კათოლიკური ეკლესიები?“ ესაა ე. წ. უნიატური ეკლესიები, რომლებიც ოდესღაც მართლმადიდებლური იყვნენ და შემდეგ ძალდატანებით შეიყვანეს უნიაში. პაპის აზრით, პაპისტური აგრესიის დიდი მონაპოვარი — უნია ურყევი უნდა დარჩეს. ესე იგი, ეს გაერთიანება სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მართლმადიდებელი ეკლესიების რომისადმი დაქვემდებარებას. ვატიკანის წარმომადგენელმა 1969 წ. პირდაპირ განაცხადა: „მართლმადიდებლებს გაერთიანება ესმით, როგორც დაახლოება, ჩვენ კი — როგორც ერთი პაპის ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანება“[43].

თანამედროვე უნიატობის პროზელიტურ მოღვაწეობაზე სწერს „ორთოდოქსოს ტიპოსის“ რედაქციას იტალიელი სტუდენტების ჯგუფი (1984 წლის 20 აპრილი). წერილის სათაურია „უნია ჩვენი მართლმადიდებლობის მძვინვარე მდევნელი ხდება“! და მასში მოყ-

ვანილია მრავალი ფაქტი: თუ როგორ ართმევენ უნიატები მართლმადიდებლებს თავიანთ ტაძრებს, როგორ სდევნიან მართლმადიდებელ მღვდლებს, განსაკუთრებით რომში, ბოლონიასა და ბარიში, სადაც უნიატი მღვდლები თავს მართლმადიდებლებად ასაღებენ. და გულუბრყვილოებს თავისკენ იბირებენ.

ამრიგად, პაპიზმი თავის ეკუმენისტურ მოღვაწეობაში განსაკუთრებულ, ანგარებიან გზას ადგას, ემს-ს პარალელურად, და მასთან ერთად იბრძვის კაცობრიობის გაერთიანებისათვის მასონური სულისკვეთებით. რომს კარგად ესმის, საითკენ მიდის ეს ყოველივე, და ცდილობს სასწრაფოდ დაუმეგობრდეს თავის ამასწინანდელ მტერსა და საშიშ კონკურენტს — მასონობას, რათა ახლანდელი სიტუაციიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიიღოს. სწორედ ამით აიხსნება მისი მკვეთრი შემობრუნება ებრაელებისა და მასონებისაკენ. ამის პირველი ნიშნები ვატიკანის II კრებაზე შეიმჩნეოდა (1962—65), სადაც იუდაიზმთან მიმართებაში ახალი კურსი მიიღეს. „დეკლარაციაში არაქრისტიანული რელიგიებისადმი ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ“ რომის კათოლიკურმა ეკლესიამ განაცხადა, რომ „ქრისტეს ვნებასა და სიკვდილში არც ყველა მაშინ მცხოვრები იუდეველის დადანაშაულება შეიძლება, არც ახლანდელების“[44].

ვატიკანის II კრების ეს დეკლარაცია, რომელიც მასონობის გულის მოგებას ისახავს მიზნად, ეწინააღმდეგება წმ. წერილს, სადაც ბევრ ადგილას წერია, რომ ებრაელებმა ერთობლივად (და არა მხოლოდ გოლგოთაზე მყოფებმა, ვინც პირადად მონაწილეობდა ქრისტეს ჯვარცმაში) მოკლეს უფალი (საქმე, 2, 24; 3, 15; 5, 30 და სხვ.). წმ. წერილის მიხედვით, ყველა იუდეველი, დღეს მცხოვრებნიც კი, თუმცა ისინი დროითა და ადგილით არიან დაშორებულნი მაცხოვრის მკვლელებისგან, მათთან ერთად აგებენ პასუხს, თუ ქრისტეს მიმართ სიძულვილს იჩენენ და არ სწამთ იგი, როგორც მესია. და პირიქით, მათ შეუძლიათ გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისგან, თუ იწამებდნენ ქრისტეს და მოინათლებიან (მარკ. 16, 16, შდრ. საქმე, 3, 19). ასევე ქრისტიანებიც, თუ ქრისტეს სარწმუნოებას განუდგებიან, ქრისტეს ჯვარცმის თანამონაწილენი ხდებიან, თუმცა ისინი უშუალოდ არ დასწრებიან მას. მათ ბრალად ედებათ „თანა-ჯვარცმად თავთა მათთა ძესა ღმრთისასა, და განქიქებად“ (ებრ. 6, 6).

ვატიკანის II კრების მიერ ჩაგდებულმა თესლმა იუდეველთა გამართლების შესახებ ძალიან სწრაფად — 8 წელიწადში — გამოიღო ნაყოფი. 1973 წლის 16 აპრილს საფრანგეთის საეპისკოპოსომ გამოა-

ქვეყნა აქამდე გაუგონარი „სამღვდელმთავრო მითითებები“, რომლებშიც სრულიად ახალი პოზიციაა გამოთქმული ებრაელობის მიმართ. მასონური სულისკვეთებით გაჟღენთილი ეს „მითითებები“, უეჭველია, ვატიკანთან და საფრანგეთის დიდ სარაბინოსთან შეთანხმებით არის შედგენილი. სარაბინოს კომენტარები (იუდაურ პასექთან დაკავშირებით) იმავე დღეს ჩატარებულ პრეს-კონფერენციაზე იქნა წაკითხული. „მითითებების“ წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ისინი „ახორციელებენ ვატიკანის II კრების დეკლარაციის დადგენილებებს, რომლის საერთო სახელწოდებაა „ჩვენს დროში“, და რომელშიც შედის თავი ებრაელი ერის შესახებ“ [45]. შემდგომ „მითითებებში“ წერია, რომ დოკუმენტი „ამზადებს გადატრიალებას იუდაიზმის მიმართ ქრისტიანობის პოზიციაში... და მოუწოდებს ახალი დამოკიდებულებისაკენ ებრაელი ხალხის მიმართ. ეს უნდა შეეხოს არა მარტო ადამიანების ურთიერთობას, არამედ სარწმუნოების სფეროსაც“.

მესამე განყოფილებაში, რომელსაც ეწოდება „ებრაელი ხალხის მარადიული მოწოდება“, ეკლესიას შეახსენებენ, რომ იგი ველური ზეთისხილის — იუდაიზმის ფესვებიდან იკვებება (რომ. 11, 17), რომ „ერთი ღმერთის რწმენა კაცობრიობის ისტორიაში ისრაელის ერის მეშვეობით შევიდა“, და რომ „ამით ერთი ღმერთის რწმენა, თუმცა კი ზოგიერთი განსხვავებით, იქცა საერთო სიკეთედ სამი დიდი მოდგმისათვის, რომლებიც აბრაამისაგან წარმოშობით იქადიან: იუდეველებისთვის, ქრისტიანებისთვის და მაჰმადიანებისთვის“. შემდეგ კვლავ ებრაელი ერის რჩეულობასა და მისი მოწოდების უცვალებლობაზეა საუბარი (რომ. 11, 29).

მაგრამ „მითითებათა“ ავტორები არაფერს ამბობენ იმის თაობაზე, რომ ძველი აღთქმის იუდეველობის ისტორიულ უპირატესობებს, რომლებსაც წმ. პავლე მოციქულიც უსვამს ხაზს (რომ. 8, 4—5), მხოლოდ იმ პირობით აქვთ ძალა, თუ იუდეველები „არა დაადგრენ ურწმუნოებასა მათსა ზედა“ (რომ. 11, 23), ანუ, თუკი ისინი მიიღებენ უფალ იესო ქრისტეს, როგორც მესიას, და იწამებენ მას, როგორც განხორციელებულ ძე ღმრთისას და ღმერთს (რომ. 9, 5) — თვითონ პავლემაც ხომ ასევე ირწმუნა ქრისტე თავისი დროებითი სისასტიკისა და ქრისტეს წინააღმდეგ უგუნური მოშურნეობის შემდეგ (გალ. 1, 13—16). ამ უგუნურ სისასტიკესა და მოშურნეობას პავლე მოციქულის თანამედროვე იუდეველებიც იჩენდნენ, და იგი წუხდა და ლოცულობდა მათი მოქცევისათვის (რომ. 9, 2—3). სწორედ ამ მნიშვნელობით ხმარობს პავლე ველური ზეთისხილის სახეს (რომ. 11,

24). მას ადარებს იუდეველობას, მამამთავართა ძირიდან წამოსულს, რომელსაც ღმერთმა აღუთქვა ცხონება (ებრ. 11, 17). ეს აღთქმა მომავალ იუდეველებზეც ვრცელდება, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი „მამამთავარ-პატრიარქთა სარწმუნოებას დაიმარხავენ და ისევე ერთგულნი იქნებიან ღმერთის, როგორც ისინი იყვნენ“[46]. იუდეველებს არა აქვთ უფლება იქადოდენ, რომ ხორცით აბრაამის შთამომავლები არიან, თუკი არ ექნებათ იგივე რწმენა მომავალი მაცხოვრისა, რაც აბრაამს და ძველ აღთქმის ყველა მართალს ჰქონდა (ებრ. 11, 13), მაცხოვრისა, „რომელ არს ქრისტე“ (გალ. 3, 16) და ღმერთი (რომ. 9, 5). ამაში მათ წმ. იოანე წინასწარმეტყველით ამხილებდა (მათე, 3, 9). ამიტომ იუდეველები კი არა (ხორციელი შთამომავლები), ქრისტიანები არიან ჭეშმარიტი შთამომავლები (სარწმუნოებისაგან) „აბრაამისა, რომელ-არს მამა ჩუენ ყოველთა“ (რომ. 4, 16). მაშასადამე, იუდეველებს არა აქვთ უფლება იქადოდენ აბრაამისგან გადმოცემული სარწმუნოებით, რომელსაც მათ უღალატეს, რამეთუ არ ირწმუნეს ქრისტე, როგორც მესია და ძე ღმრთისა (მარკ. 14, 61—62). ამრიგად, აქ ლაპარაკია არა „ზოგიერთ განსხვავებაზე“ ქრისტიანობასა და იუდეველობას შორის, არამედ იუდეველობის ძირეულ განდგომაზე ცხოველი ღმრთისა და მისი მხოლოდშობილი ძის —იესო ქრისტესგან (მათე, 16, 16)!

რაც შეეხება „საუკუნო აღთქმას“, რომელიც ღმერთმა აბრაამს მისცა (დაბ. 17, 7), იგი გააუქმა და შეცვალა იესო ქრისტემ „სისხლითა მით აღთქმისა საუკუნოჲსათა“ (ებრ. 13, 20). მაგრამ „მითითებები“ ცდილობს დაასაბუთოს, რომ ძველი აღთქმა, ახლისაგან განსხვავებით, ინარჩუნებს კანონის მნიშვნელობას ებრაელი ხალხისათვის, რომელიც განაგრძობს თავის მისიას (?!) „და თუმცა ჩვენთვის (ქრისტიანებისთვის) — ნათქვამია შემდგომ დოკუმენტში, — ძველი აღთქმის საბოლოო მნიშვნელობა მხოლოდ ახალ აღთქმაში ვლინდება, ეს ნიშნავს, რომ ძველი აღთქმა პირველ ყოვლისა თავისთავად არის მიღებული და აღიარებული“. ეს ბოლო ფრაზა, რომელიც აშკარა წინააღმდეგობას შეიცავს, გვიჩვენებს, რომ პავლე მოციქულის სიტყვებს: „დასასრული სჯულისა ქრისტე არს“ (რომ. 10, 4) სუბიექტურ-პირობითი მნიშვნელობა ენიჭება. „მითითებებში“ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ძვ. აღთქმის მესიანური წინასწარმეტყველებანი უკვე ასრულდა უფალ იესო ქრისტეს სახით (ლუკა, 24, 44), მეტიც, დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ძველ აღთქმას ახლის შემდეგაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. ამით უგულებელყოფენ იერემიას

ღმრთივსულიერ წინასწარმეტყველებას, რომ უფალმა „აღუთქუა სახლსა ისრაელისასა და სახლსა იუდაჲსსა აღთქმაჲ ახალი“ და აგრეთვე წმ. პავლე მოციქულის კომენტარს მის შესახებ, რომელიც სავალდებულოა ქრისტიანებისთვის: „ახალიო, რომ თქვა, — (ამბობს პავლე მოციქული იერემიას შესახებ) — პირველის სიძველე გვიჩვენა, ხოლო ის, რაც ძველდება და ბერდება, გაქრობად მიწევნილია“ (ებრ. 7, 13), „რადგან პირველი აღთქმა რომ უნაკლო ყოფილიყო, მეორის ადგილი საძიებელი აღარ იქნებოდა“ (ებრ. 8, 7).

გვერდს უვლის რა ყოველივე ამას, საფრანგეთის „ქრისტიანული“ საეპისკოპოსო ამტკიცებს, თითქოს „პირველი აღთქმა ახალ აღთქმას არ გაუუქმებია. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ებრაელ ერს წაერთვა თავისი რჩეულება“. პირიქით, ებრაელი ხალხი, რომელიც თავისი სჯულის (თორას) ერთგული რჩება, დღესაც არის „კურთხევა დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხისათვის“. და თუ ებრაელი ხალხი ღმერთმა დასაჯა და განაბნია მსოფლიოს ყველა კუთხეში, ამასაც კეთილი და „მისიონერული“ მნიშვნელობა ჰქონდა. ებრაელების დაბრუნება პალესტინიაში და მათი თავმოყრა იერუსალიმის გარშემო მხოლოდ პოლიტიკური მოვლენა როდია... ისმის კითხვა: ხომ არ იქნება გაფანტული ებრაელების შეკრება „ღმრთის სამართლის განხორციელების ერთ-ერთი გზა ებრაელი ხალხისათვის და მასთან ერთად — მსოფლიოს ყველა ხალხისათვის?“ ესაა აშკარა ნართაული იმის თაობაზე, რომ ებრაელი ხალხის „მესიანური“ მოწოდება უცვლელი დარჩა!

საფრანგეთის „ქრისტიანული“ საეპისკოპოსოს სახელით გადმოცემული ეს აზრები სრულიად ეწინააღმდეგება წმ. წერილის ძირითად აზრს და აგრეთვე მის განმარტებას წმ. მამათა მიერ, რომელთაც „მითითებების“ ავტორები უარყოფენ, როგორც „ძველს, მაგრამ სადავოს“ (საკითხავია, რატომ?). იგივე შეიძლება ითქვას იუდეველთა გათავისუფლებაზე იესო ქრისტეს ვნებისა და სიკვდილის გამო პასუხისმგებლობისაგან. ფრანგი ეპისკოპოსები, ერთი მხრივ, აღიარებენ, რომ „ისტორიულად პასუხისმგებლობა იესო ქრისტეს ვნებისა და სიკვდილის გამო ებრაულსა და რომაულ მხარეებს შორის ნაწილდება“, მაგრამ „ქრისტემ თავისი უსაზღვრო სიყვარულით ყველა ადამიანის ცოდვები იტვირთა და თავი გასწირა ტანჯვისა და სიკვდილისათვის, რათა ყველასთვის ცხონება მიენიჭებინა“, და ამიტომ მიიჩნევენ, რომ ებრაელებს არ შეიძლება „ღმრთისმკვლელები“ ვუწოდოთ. მაგრამ აქ ორი სხვადასხვა ფაქტი ერეული: 1) მთელი კაცო-

ბრიობის ცოდვების გამოსყიდვის ღმრთაებრივი ასპექტი ქრისტეს ვნებითა და სიკვდილით და 2) ებრაელთა წინამძღვრების განსაკუთრებული დანაშაული ქრისტეს დასჯაში, რომის ხელისუფლების წარმომადგენლის, პილატეს ნების საწინააღმდეგოდ, რომელიც ქრისტეს გათავისუფლებას აპირებდა (საქმე, 3, 13—15). ამ დანაშაულს თვით უფალი ადასტურებს თავის გამოსათხოვარ სიტყვაში: „ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდუათა მათთათვის“ (იოანე, 15, 22).

საფრანგეთის საეპისკოპოსოს განცხადებას, რომ იგი „კატეგორიულად გმობს ებრაელების დადანაშაულებას ღმრთისმკვლელობაში“, დიდი სარაბინო თავის კომენტარში „შესანიშნავ დამსახურებას“ უწოდებს. აქ დაფარულია მკრეხელური მზაკვრობა, რომელიც ქრისტეს, როგორც ღმერთკაცის უარყოფის ტოლფასია: რაკიღა აღიარებს, რომ ებრაელები ქრისტეს მკვლელები არიან, მაგრამ ღმრთისმკვლელებად არ მიიჩნევს, მაშასადამე, საფრანგეთის საეპისკოპოსო სარაბინოსთან ერთად უარყოფს მაცხოვრის ღმრთაებრივ ღირსებას!

ნაცვლად იმისა, რომ ამხილონ იუდეველები, რომლებიც არ ცნობენ მესიად ქრისტეს — „ძეს კურთხეულისა“ (მარკ. 14, 61), სჯულისა და წინასწარმეტყველთა აღსრულებას (ლუკა, 24, 44), საფრანგეთის საეპისკოპოსო ქებას ასხამს იუდეველებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჩვენ ქრისტიანები, მათ უნდა ვუმადლოდეთ სჯულის ხუთ წიგნს (ანუ მოსეს ხუთწიგნეულს), წინასწარმეტყველებს და სხვა წმიდა წიგნებს, რომლებიც ქრისტიანებმაც მიიღეს და იუდეველებმაც შეინარჩუნეს“, თუმცა თვით მაცხოვარი ამხილებს იუდეველებს, რომ მათ არ სჯერათ მოსეს წიგნებისა: „უკეთუმცა გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემთვის დაწერა“ (იოანე, 5, 46).

ამრიგად, რაკი ქრისტე არ იწამეს, იუდეველებმა თვითონ თქვეს უარი წინასწარმეტყველურ წიგნებზე, რომლებიც ქრისტეს შესახებ სწამებენ ნაცვლად მონური განცხადებისა, რომ „ახალი აღთქმა ძველის გარეშე არ იარსებებდა, ფრანგ ეპისკოპოსებს სულ სხვა რამის თქმა შეჰფეროდათ: რაკიღა ქრისტეს არ ცნობს, ახალი იუდეველობა ღალატობს ძველ აღთქმას, რომელსაც მისივე წმ. წიგნები შეიცავს!

„მითითებათა“ ბოლოსწინა განყოფილებაში, რომელსაც ეწოდება „ურთიერთცნობისა და პატივისცემის განმტკიცება“, ქრისტიანებს ურჩევენ, მეტი გაგებით მოეკიდონ იუდეველებს, მათ გადმოცემებს, ჩვეულებებსა და ისტორიას, პატივი სცენ მათ შეხედულებებს. „ეკლესია სრულიადაც არ ისახავს მიზნად ებრაელი საზოგადოების გაქ-

რობას, არამედ მასთან კავშირს დაეძებს". ერთობ უცნაურია ასეთი კაპიტულანტური და მოღალატური განცხადება კათოლიკე ეპისკოპოსების მხრივ, თუ გავიხსენებთ მათთვის დამახასიათებელ აგრესიულ პროზელიტიზმს, განსაკუთრებით მართლმადიდებელი ქრისტიანების მიმართ, როგორც ინდივიდუალურად, ისე მასიურად — უნიის, კონკორდატების თუ სხვა საშუალებების გამოყენებით, იეზუიტური პრინციპით: „ღმრთის უმეტესი დიდებისათვის". ერთადერთ გამონაკლისს თავის პროპაგანდაში პაპიზმი იუდეველებისათვის უშვებს, რომელიც, ეტყობა, განსაკუთრებით იზიდავს და ამიტომ იჩენს მის მიმართ ასეთ საოცარ „დელიკატურობას"[47].

ეს განსაკუთრებით ნათლად მეღავნდება „მითითებათა" ბოლო, VII განყოფილებაში „ეკლესია და ებრაელი ხალხი", სადაც ასეთი განმაზოგადებელი დასკვნები კეთდება: „ებრაელ ხალხს სწამს, რომ თავისი განსაკუთრებული მოწოდების გამო მსოფლიო მისია დაეკისრა ხალხებს შორის. თავის მხრივ, ეკლესიას მიაჩნია, რომ მისი საკუთარი მისია შეიძლება მხოლოდ შედიოდეს ცხონების ამ საყოველთაო გეგმაში". „თვით იესოს სიტყვები და პავლეს სწავლება (სად არის მითითება ტექსტზე? — ავტორთა შენიშვნა) გვიმოწმებენ ებრაელი ხალხის როლს კაცობრიობის საბოლოო გაერთიანების (როგორც ისრაელისა და სხვა ხალხების გაერთიანების) საქმეში". „მითითებათა" ავტორების აზრით, სწორედ ამიტომ იუდეველთა ახლანდელი მისწრაფება ერთიანობისკენ ვერ იქნება უცხო ცხონების ღმრთაებრივი გეგმისათვის. პირიქით, იგი ენათესავება ქრისტიანების საერთო მისწრაფებას გაერთიანებისაკენ. რადგან მათი (ებრაელებისა და ქრისტიანების) „საერთო საზრუნავი" „მესიანური ჟამისკენ" არის მიმართული[48], ამიტომ ისინი ბოლოს და ბოლოს ურთიერთცნობისა და ურთიერთგაგების გზას უნდა დაადგენ და მიმართონ მამას ერთი იმედით, რომელიც იქნება „აღთქმა მთელი სოფლისათვის".

ამრიგად, მასონობის გავლენით, საფრანგეთის საეპისკოპოსომ ოფიციალურად აღიარა: 1) იმის მიუხედავად, რომ არ სწამთ უფალი იესო ქრისტე, ებრაელები დღესაც წარმოადგენენ „კურთხევას" მთელი მსოფლიოსათვის; 2) მათ აქვთ „მსოფლიო მისია ყველა ხალხებს შორის"; 3) ეკლესია „ცხონების იგივე მსოფლიო გეგმაში უნდა შევიდეს" და 4) ებრაელებისა და ქრისტიანების საერთო საზრუნავი მიმართულია რაღაც მომავალი „მესიანური ჟამისაკენ".

ყოველივე ეს იმდენად ანტიქრისტიანულია, რომ უნებლიეთ ჩნდება კითხვა: ნუთუ ამას ნამდვილად ქრისტიანი ეპისკოპოსები

წერდნენ? დიახ, ებრაელები ოდესღაც მართლაც იყვნენ კურთხევა მთელი სოფლისათვის და ხალხებს ჰეშმარიტი მესიანური ჟამის დადგომისათვის ამზადებდნენ. ამიტომაც უთხრა უფალმა სამარიტელ ქალს, რომ „ცხოვრება ჰურიათაგან არს“ (იოანე, 4, 22). მაგრამ მესია მოვიდა (იოანე, 4, 25—26), ებრაელებმა კი არ მიიღეს იგი (იოანე, 1, 1). საკუთარი ურწმუნოების გამო ისინი თვითონვე გამოაკლდნენ კაცთა მოდგმის ცხონების ღმრთაებრივ გეგმას. და ახლა, მას შემდეგ, რაც უფალმა იესო ქრისტემ დასთხია სისხლი მთელი კაცობრიობის — იუდეველთა და წარმართთა გამოსასყიდად (იოანე, 11, 51—52), მას შემდეგ, რაც დაიწყო მადლიანი მესიანური ჟამი (ლუკა, 4, 18—21) ღმრთის უამრავი წყალობის, ნიშნებისა და სასწაულების თანხლებით (მარკოზ, 16, 17—18; 20), მას შემდეგ, რაც იესო ქრისტეს მიერ მოგვეცა მადლი და ჰეშმარიტება (იოანე, 1, 17) — ყოველივე ამის შემდეგ ახალი „მესიანური“ ჟამის მოლოდინი და ეკლესიისგან „ხსნის“ ებრაულ მსოფლიო გეგმასთან შეერთების მოთხოვნა ნიშნავს ფაქტიურ განდგომას უფალ იესო ქრისტეს სარწმუნოებისაგან და მის მიერ განხორციელებული ხსნისაგან, რომელიღაც „უკეთესი მესიის“ მოლოდინში, — და ასეთ „მესიად“ ებრაელები კიდეც აღიარებენ ანტიქრისტეს!

სწამთ თუ არა ფრანგ ეპისკოპოსებს, რომ ცხონება (ხსნა) ერთგზის აღსრულდა (ებრ. 9, 26) უფალ იესო ქრისტეს მიერ და რომ იესო ქრისტე იყო ერთადერთი კაცობრიობის ისტორიაში, ვინც მოვიდა, რათა სული თვისი კაცთა გამოსასყიდად დაედო (მარკოზ, 10, 45)? მის მიერ დაარსებული ღმრთის ეკლესიის ისტორია ამტკიცებს, რომ იგი ნამდვილად არის ძე ღმრთისა (იოანე, 20, 36), რომ იგია გზა, ჰეშმარიტება და ცხოვრება (იოანე, 14, 6), იგია კარი, რომლითაც შედიან სასუფეველში (იოანე, 10, 9), და „არავინაჲ, არს სხჳთ ცხოვრება“ (საქმე, 4, 12), შესაბამისად, სხვას არავის უნდა მოველოდეთ (შდრ. ლუკა, 7, 19—20). ამრიგად, თუ საფრანგეთის საეპისკოპოსოს სწამს სახარება (მარკ. 1, 15) — ერთადერთი კეთილი ხარება კაცთა მოდგმის გამოსყიდვის შესახებ, მაშინ რა უფლებით ლაპარაკობს ებრაელებთან ერთად „ახალ მესიანურ ჟამზე“?

ხოლო თუ საფრანგეთის საეპისკოპოსოს ეს არ სწამს და ამიტომ ებრაელებს უცხადებს სოლიდარობას, მაშინ საერთოდ არ უნდა ითვლებოდეს ქრისტიანულ საეპისკოპოსოდ — დაე იუდაურ-მასონურ

ლოქად აღიაროს თავი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქრისტიანობასთან.

ებრაელებს კარგა ხანია ახასიათებთ ამსოფლიური „მესიანური“ მოლოდინი, რომელმაც მათ კიდეც შეუშალა ხელი იესო ქრისტეს მიღებასა და მესიად აღიარებაში. ისინი დღესაც ჯიუტად ეჭიდებიან ამ ცრუ იმედებს, ქრისტეს ჭეშმარიტ მიმდევართაგან განსხვავებით, რომლებზეც პავლე მოციქული ამბობს: „არა მაქუს ჩუენ აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ“ (ებრ. 13, 14). ვიცით რა ყოველივე ეს, საგონებელს ვეძლევით, როგორ შეეძლოთ ამ ვითომცდა „ქრისტიან“ ეპისკოპოსებს ასეთი განცხადების შედგენა — საღმრთისმეტყველო პლანში აბსურდულისა და ბიბლიური და წმ. მამების თვალსაზრისით — მოღალატურისა?

ამიტომ რა გასაკვირია, რომ „მითითებებმა“ მრავალ სინდისიერ კათოლიკეს პროტესტის გრძნობა გაუღვიძა, ხოლო ეგვიპტის კათოლიკე ეპისკოპოსებმა კარგად დასაბუთებული პასუხიც გასცეს? (იხ. „დოკუმენტასიონ კათოლიკე“, 1973, № 1638).

მაგრამ თუ სინდისიერი კათოლიკეები აღაშფოთა საფრანგეთის საეპისკოპოსოს განცხადებამ, სამაგიეროდ საფრანგეთის დიდმა სარაბინომ მოიწონა იგი თავის „კომენტარებში“. აქ ქება-დიდებას ასხამენ „მითითებებს“, როგორც „უნიკალურ ტექსტს“, რომლითაც ებრაელები „ღმრთისმკვლელობის“ ცოდვისაგან თავისუფლდებიან. ეს აღტაცება გასაგებიცაა — „მითითებები“ უარს ამბობს ებრაელთა ქრისტიანობაზე მოქცევაზე და აღიარებს ებრაელი ხალხის უცვალებელ მოწოდებას — იყოს „კურთხევა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის“.

„კომენტარების“ თანახმად, საფრანგეთის საეპისკოპოსოს „მითითებები“ „ყველაზე დიდი ებრაელი ღმრთისმეტყველების სწავლებათა ტოლია, რომლებიც იუდაიზმისაგან გამოსულ რელიგიებს აკისრებენ მისიას, რომ კაცობრიობა ბიბლიის მიერ ნაწინასწარმეტყველევი მესიანური ერისათვის მოამზადონ“. სარაბინოს მხრივ აღვლენილი ასეთი ავბედითი ქება-დიდება ყველაზე უკეთესად მოწმობს „მითითებათა“ ღმრთისმგმობ ხასიათს, ასე რომ, ამ დოკუმენტით საფრანგეთის კათოლიკური საეპისკოპოსო მესიანურ კი არა, ანტიქრისტიანულ ერას ხსნის!

ვფიქრობთ, რომ „მითითებებთან“ დაკავშირებულ ამ საღმრთისმეტყველო ავანტურაში საფრანგეთის საეპისკოპოსო მარტო არ უნდა ყოფილიყო — რომის მხრიდან მას ფარული მხარდაჭერა ექნე-

ბოდა, რადგან პაპ პავლე VI-ს არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს ხსენებული დოკუმენტის წინააღმდეგ. პაპმა იოანე — პავლე II-მ კიდევ უფრო შორს შესტოპა — იგი მასონი გახდა, რაც 1986 წელს აშკარად განაცხადა საფრანგეთის რადიომ. იმავე წლის 13 აპრილს პაპი ოფიციალური ვიზიტით ეწვია რომის მთავარ ებრაულ სინაგოგას, სადაც რაბინ ელიო ტოაფს შეხვდა და მასთან ერთად ილოცა. ეს უკვე აშკარად ეწინააღმდეგება საეკლესიო კანონებს, რომლებიც კრძალავენ რელიგიურ ურთიერთობას იუდეველებთან (მოციქულთა 64-ე და 70-ე კანონები).

გერმანულ ჟურნალ „ოსერვატორე რომანო"-ში (1986, 18, 4) დაბეჭდილია ამ ვიზიტისადმი მიძღვნილი სტატია. აქ მოყვანილია პაპის სიტყვის სრული ტექსტი, რომელშიც ნათქვამია: „თქვენ ხართ ჩვენი რჩეული ძმები, ჩვენი უფროსი ძმები" (ეს ბოლო სიტყვები სტატიის სათაურად არის გამოტანილი). ამრიგად, რომის პაპი, რომელიც თავის თავს ქრისტეს ეკლესიის უზენაეს პირველმღვდელმთავრად და ქრისტეს „ნაცვალად" მიიჩნევს, უეცრად მდაბლდება, და ისიც ვისი — მთავარი ებრაელი რაბინის წინაშე, მასთან ერთად ლოცულობს და „უფროს ძმად" სახელდებს მას, თუმცა ეს „ძმა" ქრისტეს მესიად არ აღიარებს! პაპის მთელ სიტყვაში ერთადერთხელ არის ნახსენები „იესო ნაზარეველი", თანაც მონურად ხაზგასმული, რომ ის არის „თქვენი ერის შვილი", და გაკვრითაც არსადაა ნათქვამი იესო ქრისტეს, როგორც განხორციელებული ძე ღმრთისას მესიანურ ღირსებაზე.

მთავარი ქრისტიანული ჭეშმარიტების ასეთი მხდლური მიჩუმათება (მათე, 16, 16, იოანე, 1, 49) მოციქულთა ქადაგების მთელ აზრს ამახინჯებს — ეს ქადაგება ხომ წმ. წერილის საშუალებით თავიდანვე იმას ამტკიცებდა, რომ „არს ქრისტე იესო" (საქმე, 18, 28). გავიხსენოთ, რომ წმ. პავლე მოციქული, მას შემდეგ, რაც მოექცა და ნათელ-იღო წმ. მოციქულ ანანიასგან დამასკოში: „შესაკრებელს შინა (სინაგოგაში) ქადაგებდა ქრისტესა, ვითარმედ: ესე არს ძე ღმრთისა... და გულისხმა-უყოფდა, ვითარმედ: ესე არს ქრისტე" (საქმე, 9, 20—22). ამას განსაკუთრებით უსვამს ხაზს ლუკა მოციქული, რომელიც თვითონ იყო პავლე მოციქულის ქადაგების მოწმე თესალონიკის სინაგოგაში: „და ვითარცა ჩუეულ იყო პავლე შევიდა მათა (იუდეველებთან) და სამსა შაბათსა ეტყოდა მათ წიგნთაგან, გამოუთარგმანებდა მათ და წინა-დაუდებდა, რამეთუ ქრისტესა ჯერ-იყო ვნებაჲ და აღდგომა მკუდრეთით და ვითარმედ: ესე არს იესო ქრის-

ტე, რომელსა მე გახარებ თქუენ“ (საქმე, 17, 2—3) პაპის სიტყვაში, რომელიც მან რომის სინაგოგაში წარმოთქვა კვალიც არა ჩანს ქრისტეს ამ კადნიერი აღიარებისა, თუმცა თვითონ პაპს ქრისტეს დიდი მოციქულის — პავლეს სახელი ჰქვია.

იუდაური სინაგოგის მიმართ პაპის ესოდენ მონური, მოღალატური დამოკიდებულების საპირისპიროდ მართლმადიდებელი ეკლესია ასე მიმართავს სინაგოგას: „შესაკრებელმან უსჯულომან, მღვდელთა და მწიგნობართა შურითა აღძრულთა, შინა განცემად აღსჴურეს იუდა“... (დიდსა სამშაბათსა ცისკრად „მარხვანი“)

კათოლიკეები ხშირად უწოდებენ თავიანთ ეკლესიას „წმ. პეტრე მოციქულის ეკლესიას“. მაგრამ რა საერთო აქვთ მათ ქრისტეს ამ დიდ მოციქულთან, ქრისტეს სარწმუნოების უშიშარ მაქადაგებელთან? ისინი ებრაელებს ქრისტეს მკვლელობის ბრალდებას ხსნიან და თავიანთ მიმდევრებს ახალი „მესიანური“ დროისათვის ამზადებენ. მაგრამ სულ სხვას ამბობს პეტრე მოციქული იერუსალიმის ტაძრის ?შვენიერ კარიბჭესთან, მკელობელის განკურნების შემდეგ. იქ თავმოყრილ ებრაელებს იგი უცხადებს, რომ კურნება თვითონ კი არ აღასრულა, არამედ მათ მიერ უარყოფილმა ქრისტემ, ცხოვრების წინამძღვარმა, რომელიც მათ მოკლეს, მაგრამ ღმერთმა აღადგინა, რომ სწორედ ამ ქრისტეზე ლაპარაკობდა ყველა წინასწარმეტყველი და რომ ეს დღეები ძველ აღთქმაში ნაგულისხმევი მესიანური დროა (საქმე, 3, 12—24).

წმ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ ძველთაგანვე აღწერა თავის საღმრთისმსახურო წიგნებში სწავლება ძველ ისრაელზე, რომელმაც უარყო ქრისტე და თავისი ურწმუნოების გამო ეკლესიის გარეთ დარჩა (რომ. 11, 23), აგრეთვე სწავლება ახალ ისრაელზე, რომელიც ქრისტეს სჯულზე მოქცეული და ამით ეკლესიის წევრებად ქმნილი იუდეველებისა და წარმართებისაგან შედგება.

„ისრაილსა პორფირი და ბისონი შეემოსა, და სამღვდელოთა და სამეფოითა, სამოსლითა ჰბრწყინვიდა და წინასწარმეტყველთა მიერ და სჯულისა წესთა განმდიდრებული იშვებოდა ფრიად, არამედ შენ ქველისმოქმედ, ჩვენთვის დაგლახაკებულ, გარეშე ბჭეთა, ჯვარსგაცვა და ცხოველ ღმერთი უარგვყო, მარადის მყოფი წიაღთა მამისათა, განკაფულმან წყურვილითა, საღმრთოისა მადლისათა და აწ მსგავსად მდიდრისა მის, პორფირითა და ბისონთა მოსილსა, რომელ ლა-

ზარე გლახაკსა უწყალო ექმნა, იწვების ცეცხლსა შინა უშრეტსა და გხედავს და ელმის, ხოლო წარმართთა ერნი, რომელნი პირველ ნაბიჭევითა ჭეშმარიტებისათა ნაკლულევან იყვნეს, აწ სარწმუნოებით ტკბილთა წიაღთა შინა აბრაამისთა იხარებენ. შემკული სიხლისა და წყლისა, პორფირითა და ბისონითა მადლთა შენთა მიერ, და ხმობენ, ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა“ (ბზობის ოთხშაბათს ცისკარზე „მარხვანი“).

წმ. ბასილი დიდი სიტყვაში „სიმდაბლისათვის“ წერს: „გეშინოდეს ემსგავსო ეშმაკს, რომელიც ამაღლდა კაცთა წინაშე და კაცმა დაამხო... ასევე დაემართათ ისრაიტელთაც. ისინი ქედმაღლობდნენ წარმართთა, როგორც არაწმიდათა წინაშე, მაგრამ თვით იქმნენ შეგინებულნი... ხოლო წარმართთა უსჯულოება და უღმრთოება სარწმუნოებით აღიხოცა“[49].

მათთვის, ვინც თვალს ადევნებს ეკლესიაში ბოლო ათწლეულების მანძილზე მომხდარ მოვლენებს, სულ უფრო ცხადია, რომ გაუგონარი კადნიერებით სავსე ცვლილებები მკვიდრდება — ჩვენი ჩვეულებრივი რწმენა უფალ იესო ქრისტესი, ჭეშმარიტი მესიისა და მაცხოვრისა, იცვლება რაღაც ახალი „რწმენით“ კაცობრიობის მომავალი „კეთილისმყოფელის“, ახალი „მესიის“ მიმართ, რომელსაც მოუთმენლად მოელიან ებრაელებიც და ზოგიერთი ქრისტესაგან განდგომილი „ქრისტიანიც“.

ქრისტიანული შეგნება რომ ამ სიყალბის მისაღებად მზადდება, ამის საბუთად მხოლოდ „მითითებები“ როდი გამოდგება, არამედ ემს-საგან გამოსული სხვა სტატიები და ქადაგებებიც. ასეთია, მაგალითად, ზემოთ ციტირებული ჟურნალის, „რისკის“ (1967, № 1—2) სტატია, რომელსაც მისი ავტორი, სტეფან როუზი ასე ასათაურებს: „პროგრესის აპოკალიფსი, ანუ ჩაკლავს თუ არა ეკუმენისტურ მოძრაობას საერთაშორისო უსამართლობა?“ სტატიის ბოლოს ავტორი ამბობს, რომ თუ ეკლესია წინ არ წავა (ანუ არ შეცვლის თავის მარადიულ სტრუქტურებს — დოგმატებსა და კანონებს), მაშინ სულ უფრო ძნელი, ბოლოს კი შეუძლებელიც გახდება იმასთან დათანხმება, რომ ქრისტე, რომელსაც ჩვენ ვცემთ თაყვანს, ნამდვილად ქრისტეა!

თვითონ ის ფაქტი, რომ ეკუმენისტურ გარემოში წარმოიშვა აზრი, რომელიც ეპვქვეშ აყენებს, არის თუ არა ჩვენთვის ჯვარზე მო-

მკვდარი და აღდგომილი ქრისტე ჭეშმარიტი მესია, გვიჩვენებს — ეკუმენიზმს არაფერი აქვს საერთო ქრისტიანობასთან. ეს არის დიდი ხნის წინათ დაწყებული ანტიქრისტიანული პროპაგანდის გაგრძელება, რომლის თანახმადაც გოლგოთაზე წამებული ქრისტე მესია კი არა, მაცთური და თვითმარქვიაა (შდრ. მათე, 27, 63), და ოდესმე მოვა კაცობრიობის ჭეშმარიტი „მხსნელი", რომელსაც იუდეველები მოელიან. უცნაურია, რომ „მართლმადიდებელი" ეკუმენისტები, თუმცა კარგად იციან, რა ანტიქრისტიანულ იდეებს ავრცელებს ეკუმენისტური პრესა, ძრწოლით ზურგს არ აქცევენ ასეთ პროპაგანდას, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ნიადაგს ამზადებს, ხვალ კი უმოწყალოდ გაქელავს ქრისტეს სარწმუნოებას!

ეკუმენისტური მოძრაობის „მართლმადიდებელ" მონაწილეთა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ეკუმენიზმის ანტიქრისტიანულ სულისკვეთებას თვით პროტესტანტებიც კი ხვდებიან და მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებენ ქრისტიანებს: ახლახანს გერმანიასა და სხვა ქვეყნებში შეიქმნა „ინტეგრისტული (ანუ მტკიცე) აღმსარებლობითი ეკლესიების ჯგუფები". ისინი ამტკიცებენ, რომ „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ცდილობს იესო ქრისტე მისი ანტიქრისტიანული ანტისახით შეცვალოს", ეს ბრალდება 12 თეზისისაგან შემდგარ დეკლარაციად ჩამოყალიბდა და 1974 წლის 23 მაისს გამოქვეყნდა სათაურით „ქრისტესმიერი ერთობა და თავისუფლება". თეზისებში გერმანელ ქრისტიანებს მოუწოდებენ წინ აღუდგნენ სარწმუნოების შერყვნას, აგრეთვე ამხილებენ „ახალი ჰუმანიზმის" არსსა და ანტიქრისტიანულ ხასიათს[50].

ამრიგად, ეკუმენიზმი ქრისტიანებს ახალი მესიის მისაღებად ამზადებს. როგორც ებრაელებმა უარყვეს ქრისტე, რადგან მათი მოლოდინი მესიისა მატერიალისტურ ხასიათს ატარებდა, ისევე მთელი კაცობრიობა, ამა სოფლის სიკეთეებს დახარბებული, თანდათან ზურგს შეაქცევს ქრისტეს და ანტიქრისტეს მიეგებება. „ებრაელებთან ერთად ებრაელთა მესიას მილიონობით ადამიანი მოელის, მათი უმეტესობა თავის თავს ქრისტიანს უწოდებს და არც კი იცის, რომ იმავე „მესიას" მოელის, რომელსაც ებრაელები"[51]. და როდესაც ბოლოს და ბოლოს ნანატრი „მესია" გამოჩნდება, იგი მაშინვე ახლობელი აღმოჩნდება მთელი მატერიალისტური კაცობრიობისათვის.

„ქრისტესაგან განდგომით, — წერს წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი, —

სოფელი ანტიქრისტეს მისაღებად მოემზადება და თავისი სულისკვეთებით შეიწყნარებს მას. ადამიანების ეს სულისკვეთება თავისთავად მოითხოვს ანტიქრისტეს, ეპატიჟება და თანაუგრძნობს მას[52], ისევე, როგორც სასიკვდილო სასმელს თხოულობს კაცი მძიმე სნეულების ჟამს. უკვე გაისმის მიწვევის ხმა! კაცობრიობა მოითხოვს უდიდეს გენიოსს, რომელიც მატერიალურ კეთილდღეობას უმაღლეს საფეხურზე აიყვანს და დედამიწაზე ისეთ ნეტარებას დაამკვიდრებს, რომ სამოთხე და სასუფეველი სრულიად ზედმეტი გახდება. ანტიქრისტე იქნება კაცთა საერთო სულიერი და ზნეობრივი მიმართულების ლოგიკური, სამართლიანი, ბუნებრივი დაგვირგვინება"[53].

ეს ახალი „მხსნელი", თუმცა ქრისტეს წინააღმდგომი იქნება, შეეცდება ყველაფერში მიბაძოს ქრისტეს, ოღონდ შებრუნებით. „მაცთური (ანტიქრისტე) მოისურვებს ყველაფერში ძე ღმრთისას დაემსგავსოს — წერს წმ. იპოლიტე რომაელი. — ქრისტე მეფეა ანტიქრისტეც მეფე იქნება, ოღონდ ამა სოფლის. მაცხოვარი კრავად მოგვევლინა — ისიც კრავად მოგვაჩვენებს თავს, მაგრამ შინაგან მგელი იქნება.. მაცხოვარმა ყველა კუთხეში მოავლინა თავისი მოციქულები — ისიც ყველგან აფრენს თავის ცრუმოციქულებს. (მათე, 28, 19). მაცხოვარმა შეკრიბა თავისი ცხვრები (იოანე, 10, 4) — ისიც შეკრებს გაფანტულ იუდეველებს. უფალმა უბოძა ბეჭედი მორწმუნეებს (გამოცხ. 7, 2—3; 9, 4) და ისიც მისცემს თვისებს თავის ბეჭედს (გამოცხ. 13, 16—17). უფალი კაცის სახით მოვიდა და ისიც კაცის სახით მოვა. უფალი აღდგა და გვამი თვისი ტაძრად ჰყო (იოანე, 2, 19—21) — ისიც აღადგენს ქვის ტაძარს იერუსალიმში"[54].

ისევე, როგორც უფალ იესო ქრისტეს ჰყავდა წინამორბედი იოანე წინასწარმეტყველის სახით, ანტიქრისტესაც ეყოლება თავისი წინამორბედები, რომლებიც ქრისტეს წინამორბედს მიბაძავენ და იტყვიან: „განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი. ყოველი ხევნები აღმოივსოს და ყოველნი მთანი და ბორცუნი დამდაბლდენ და იყოს გულარძნილი იგი მართალ და ფიცხელი იგი გზად წრფელად" (ლუკა, 3, 4—5).

ამ ბიბლიური წინასწარმეტყველების აზრი, რომელიც ახდა იესო ქრისტეს მოსვლით, ის არის, რომ ადამიანებმა შეინანონ, გამოასწორონ და წრფელ-ჰყონ თავიანთ სულებში ალაგნი (ბილიკნი) ღმრთისანი, რათა განხორციელებული ძე ღმრთისას მიღება შეძლონ. ნეტა-

რი თეოფილაქტე შესანიშნავად ხსნის ამ სიტყვებს: „გზა, რომელიც ღმერთს უნდა გაუმზადოთ, არის ქრისტეს სწავლების შესაბამისი ცხოვრების წესი, ალაგნი — სჯულის მცნებები, რომლებიც გადაითელა და თავიდან უნდა გავკვალოთ... ამრიგად, სული უნდა მოვამზადოთ და ჩვენი საქმენი და გულისსიტყვანი გამოვასწოროთ". ამის შესაბამისად, მანკიერებები სათნოებებით უნდა შეიცვალოს, ამპარტავნები დამდაბლდნენ, სიმრუდეები გასწორდეს — საერთოდ, მომავალ მესიას გზიდან ყოველგვარი ბოროტება უნდა ჩამოსცილდეს. ძველ აღთქმათა თანახმად, ყოველივე ამას უფალი გააიოლებს, რაშეთუ სძლევს წინააღმდგომ დემონურ ძალებს და განაცხოველებს ჩვენს ბუნებრივ მიდრეკილებას სიკეთისაკენ"[55].

მაგრამ დღეს ამ წინასწარმეტყველებას ეკუმენიზმი სრულიად დაშახინჯებული, ანტიქრისტიანული მნიშვნელობით იყენებს. ნაცვლად იმისა, რომ ღმერთის ზნეობრივი კანონების შესაბამისად ჩვენს ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე იზრუნონ, სხვადასხვა აღმსარებლობათა გაერთიანებას ლამობენ. ამპარტავნების დათრგუნვის და სიმდაბლის მოპოვების ნაცვლად მადლისა და ჭეშმარიტების საოცარი მთის — მართლმადიდებლური აღმსარებლობის დამცირებას ცდილობენ, რომელიც ხელთუქმნელ კლდეზე — ქრისტეზეა დამყარებული (დან. 2, 34; 44—45). ნაცვლად იმისა, რომ ყველა შეცთომილს მართლმადიდებლობის წიაღში დაბრუნებისაკენ მოუწოდონ, ეკუმენისტური კათედრებიდან სულ სხვა მოწოდება გაისმის — მართლმადიდებლობა უნდა დაეშვას მწვალებლურ გაერთიანებათა დონემდე და ისინი „ეკლესიებად" სცნოს, რათა ყველა გათანასწორდეს ღმერთისგან განდგომის ცოდვაში.

ამრიგად, ე. წ. „ქრისტიანულ" აღმსარებლობებთან მართლმადიდებლობის ნიველირებით, სხვადასხვა აღმსარებლობათა ახალ, უნივერსალურ, ანტიმართლმადიდებლურ „ეკლესიად" გაერთიანების საშუალებით ეკუმენიზმი ემს-ს მეთაურობით გზას უმზადებს ანტიქრისტეს!

მართლმადიდებელი ქრისტიანი არ უნდა მონაწილეობდეს ეკუმენისტურ მოძრაობაში, რამეთუ მისი სულისჩამდგმელი და წარმმართველია მასონობა, რომელიც ანტიქრისტეს გამეფებას ამზადებს. არამართლმადიდებლებთან მექანიკური ერთიანობის მისაღწევად ეკუმენიზმი ჩვენგან მოითხოვს სარწმუნოების მართლმადიდებლური სიმბოლოს უარყოფასა და კანონების ღალატს!

მე-14 მ ი ზ ე ზ ი

ეკუმენიზმის მიზანია უველა რელიგიის ერთ, ანტიქრისტესეულ რელიგიად გაერთიანება. ქადაგებს რა ვითომდა „სიუვარულს“, იგი სცოდავს მეუმარიტების წინაშეც და სიუვარულის წინაშეც, ხოლო ბიბლიის ეკუმენისტური თარგმანებით კლავს ქრისტეს სარწმუნოებას

ა) უველა რელიგიის გაერთიანება

ეკუმენიზმი უგულებელყოფს ჭეშმარიტებას და არასწორად გაგებული სიყვარულის სახელით არა მარტო სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანების გაერთიანებას ცდილობს, არამედ, მასონობის ჩაგონებით, ქრისტიანებისა და არაქრისტიანების დაახლოებასაც მიჰყო ხელი, რაც მისი დიდი ხნის სურვილია.

ჯერ კიდევ 1938 წ. ათენში ეკუმენიზმის ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ, პოლ ანდერსონმა განაცხადა: „ჩვენ იმდენად შეზღუდულები როდი ვართ, მხოლოდ სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანთა გაერთიანებას რომ ვესწრაფვოდეთ. ჩვენ ახლა ერთი ღმერთის იდეის გარშემო ვერთიანდებით, ამიტომ ეკუმენიზმში შევლენ იუდეველები, მაჰმადიანები და სხვები“.

ეს განცხადება სრულიად ლოგიკურია მასონური ეკუმენიზმის თვალსაზრისით, რომლისთვისაც დოგმატები და კანონები არ არის ძვირფასი და რომელსაც „საყოველთაობის“ ცნება ესმის არა სულიერი, არამედ მხოლოდ გეოგრაფიული მნიშვნელობით. ეკუმენიზმი დიახაც, უნდა ახორციელებდეს მასონობის გეგმებს, რამეთუ იგი მასონობის პირმშოა. ამსტერდამის ასამბლეაზე მიღებულ ემს-ს კონსტიტუციაში ეკლესიის წინაშე დასახულ ამოცანათა შორის ერთ-ერთი ასეთიც იყო: „მსოფლიო აღმსარებლობებთან და სხვა ეკუმენისტურ მოძრაობებთან კავშირის დამყარება“[56]. უფსალის IV ასამბლეაზე კიდევ უფრო ნათლად ითქვა: „აუცილებელია სხვა რელიგიების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა“[57].

დიდიხნის წინ ჩაფიქრებული დღეს აქტიურად ხორციელდება. ეს კარგად ჩანს ემს-ს VI ასამბლეის მაგალითზე ვანკუვერში. ემს-ს ისტორიაში პირველად აქ ოფიციალურად მიიწვიეს, როგორც სტუმრები და მომხსენებლები, ხუთი რელიგიის წარმომადგენლები: იუდაიზმის, მაჰმადიანობის, ინდუიზმის, ბუდიზმისა და სიკჰიზმის[58].

ასამბლეის ჟურნალი „კანვასი“ კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ბოლო 22 წლის მანძილზე ემს-მა დიდი გზა განვლო — III ასამბლე-

აზე დელიში სხვა რელიგიების აღმსარებელი ჟურნალისტებიც კი არ დაუშვეს, VI ასამბლეაზე კი ტრიბუნებიდან ლაპარაკობდნენ ებრაელი რაბინი, მაჰმადიანი მუფთი და სხვ.[59].

სპეციალურ სტატიაში „დიალოგი და არა მიმართვა!“ ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ დიალოგი თვითმყოფადი ღირებულება უნდა იყოს და არა პროზელიტიზმის, ანუ სხვების საკუთარ სარწმუნოებაზე მოქცევის საშუალება[60]. სხვა სტატიაში, რომლის სათაურია „დიალოგი საფრთხეშია!“, გამოთქმულია შეშფოთება, რომ დიალოგს საფრთხე მოელის რელიგიური გამოფხიზლების გამო, რომელიც დაძაბულობას ქმნის და კონფლიქტებს იწვევს[61]. ამრიგად, მისიონერობის იდეა სხვა აღმსარებლობათა წარმომადგენლებს შორის პრინციპულად არის უარყოფილი.

შეგახსენებთ, რომ 1910 წ. ედინბურგში (შოტლანდია) მოწვეულ იქნა „საერთაშორისო მისიონერული საბჭოს“ კონფერენცია დ-რ მოტის თავმჯდომარეობით, რომელმაც შემოიღო კიდეც ტერმინი „ეკუმენიზმი“. ეკუმენისტური მოძრაობის გაჩენის მთავარ მიზეზად ცხადდებოდა ზიანი, რომელსაც მისიონერულ საქმეს ქრისტიანთა განყოფა აყენებდა[62]. 50 წლის შემდეგ „საერთაშორისო მისიონერული საბჭო“ ემს-ში შევიდა, ხოლო 22 წლის შემდეგ, ემს-ს VI ასამბლეაზე, ქრისტიანული მისია უარყოფილ იქნა, როგორც არასასურველი და „მავნე“ სხვა სარწმუნოების აღმსარებლებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

ეკუმენიზმის ნამდვილი მიზანია კაცობრიობის გაერთიანება და ე. წ. „მსოფლიო თანამეგობრობის“ შექმნა, რომელიც ჩაფიქრებულია, როგორც „თანამეგობრობათა გაერთიანება“. აი, რას ვკითხულობთ ნაირობის ასამბლეის დღიურში: „მსოფლიო თანამეგობრობის ცნება რაღაც ზეორგანიზაციას როდი გულისხმობს. ეს უფრო იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ჩვენ ერთმანეთზე ვართ დამოკიდებულნი... და კიდევ იმას, რომ მზად ვართ ერთობლივი მუშაობისათვის გაერთიანებაში, რომელიც სხვადასხვა თანამეგობრობას მოიცავს. მსოფლიო გაერთიანება ერთფეროვნების მიღწევის მცდელობა როდია, არამედ მხოლოდ „თანამეგობრობათა გაერთიანების“. ჩვენი საკუთარი რელიგიური და კულტურული ტრადიციების ახალი განმარტების ამოცანა მსოფლიო გაერთიანების მიზნებისათვის მხოლოდ იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ მოთხოვნებს ვაყენებთ, არამედ იმასაც, რომ მზად ვართ თვითკრიტიკისათვის“.

ეკუმენისტური გეგმების თანახმად, გაერთიანებაში შემავალი არც

ერთი ჯგუფის თვითმყოფადობა არ უნდა გაუქმდეს, არამედ ნებისმიერმა იდეოლოგიურმა, რელიგიურმა და ნაციონალურმა გაერთიანებამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს უფრო დიდ „თანამეგობრობათა გაერთიანებაში". ასეთი ახალი საზოგადოებრივი წყობა გაერთიანებას სამართლიანობისა და მშვიდობის პირობებში არსებობისა და, შესაბამისად, ურთიერთგამდიდრების საშუალებას მისცემს. ებრაული და ქრისტიანული „გაერთიანების" მომავალი დაახლოების პერსპექტივაში „მსოფლიო გაერთიანება" განიხილება არა როგორც საბოლოო იდეალი, არამედ იოლად მისაღწევი თავდაპირველი მიზანი. ებრაელებსა და ქრისტიანებს შეუძლიათ და უნდა დაახლოვდნენ კიდეც, თუნდაც მათი საბოლოო მიზნები სხვადასხვა იყოს — მათი თანხვედრა არც არის აუცილებელი. ამასთან დაკავშირებით განიხილება „მესიანური" დრო, რომელსაც ებრაელები მოელიან, და „ღმრთის სასუფეველი", რომელსაც მიწიერ პლანში განმარტავენ. მომავალ ახალ მსოფლიოში მიუღებელი იქნება ნებისმიერი განცალკევება, რადგან იგი ხელს შეუშლის უფრო დიდ გაერთიანებასთან სოლიდარობას. აქამდე რელიგიები უფრო აბრკოლებდნენ, ვიდრე შეეწეოდნენ მსოფლიო გაერთიანების შექმნას. დღევანდელი სიტუაცია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უწინდელი დროის მორწმუნეთა ჯგუფებისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულობის გრძნობას. დღეს უნდა უარვყოთ „ტრიუმფალიზმის" ყოველგვარი სახე. ებრაელებისა და ქრისტიანების წვლილს მსოფლიო გაერთიანებაში სხვა რელიგიების წვლილიც უნდა დაემატოს.

ეს იდეები გამოთქმულია ემს-ს ოფიციალურ ორგანოში — „ეკუმენიკლ რევიუში" (1973, № 2), და ისინი 1970—72 წლებში ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგებს ასახავენ. იგივე ჟურნალი გვამცნობს: ებრაელები უკვე აღარ არიან იესო ნაზარეველისადმი მტრულად განწყობილები და აღარ თვლიან მას ანტიებრაული მოძრაობის მიზეზად ან ეკლესიის მიერ ჩატარებულ ექსცესებში დამნაშავედ. თვითონ ეკლესია მათ პავლეს დაარსებულად მიაჩნიათ და არა იესო ქრისტესი. ქრისტეს ჯვარცმის გამო კი პასუხისმგებლობა ეკისრება პილატეს და არა ებრაელ მღვდელმთავრებს, რომლებსაც ბრალი მხოლოდ იმაში მიუძღვით, რომ ქრისტე დაატუსაღეს. ეს ბოლო მტკიცება სრულიად ეწინააღმდეგება ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც ღაღადებენ, რომ პილატემ სავსებით გაამართლა ქრისტე, როგორც უდანაშაულო. პილატეს არაერთგზის უთქვამს იუდეველთათვის, რომ ქრისტეს გათავი-

სუფლება სურდა (ლუკა, 23, 4, იოანე, 18, 38), მაგრამ ისინი, თავიანთ წინამძღოლთაგან წაქეზებულნი, ჯიუტად მოითხოვდნენ ჯვარცმას (მათე, 27, 20). დღევანდელ ისრაელში ისტორიის სახელმძღვანელოებში კი საქმე სწორედ ასეა წარმოჩენილი, თანაც ხაზგასმულია, რომ ქრისტიანებს შორის ჯერ კიდევ შეიმჩნევა ანტიებრაული განწყობა და, თუკი ებრაელებთან დაახლოება სურთ, მათ უნდა გადახედონ თავიანთ ტრადიციულ შეხედულებებს.

ჟურნალში გაისმის მოწოდება, რომ გავეცნოთ სხვა რელიგიებს მათთან მომავალი გაერთიანების მისაღწევად. სარედაქციო სტატიაში ვკითხულობთ: „სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებათა წარმომადგენლებმა უნდა ითანამშრომლონ, რათა ერთად შექმნან ისეთი მსოფლიო, რომელსაც განსხვავებული რელიგიის მქონე ადამიანები მოიწონებენ“. „ემს... მთლიანად უძღვნის თავის თავს მსოფლიო თანამეგობრობის მიღწევას“. შემდგომ ამავე სტატიაში ვკითხულობთ, რომ ემს-ს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით (ადისაბება, 1975) ემს „ქრისტიანულ“ ორგანიზაციად რჩება, მაგრამ იგი არ შეევა რელიგიურ გაერთიანებაში, რომელიც არარელიგიური იდეოლოგიების წინააღმდეგაა მიმართული. ამით ემს აღიარებს, რომ იგი არ არის „ანტიათეისტური ფრონტი“, როგორც ამას გულუბრყვილოებს ჩააგონებდნენ.

ჟურნალის ამავე ნომერში მოთავსებულია სტატია „ცოცხალი აღმსარებლობები და საბოლოო მიზნები“, სადაც, სხვათაშორის, ნათქვამია, რომ აღმოსავლური რელიგიების მიმართ არ შეიძლება შეურაცხმყოფელი განსაზღვრების — „არაქრისტიანული რელიგიების“ გამოყენება, რადგან მათი მიმდევრები ინტელიგენტურობითა და სულიერი სიფაქიზით გამოირჩევიან, ისევე, როგორც ქრისტიანები, ხოლო თვით ტერმინი „არაქრისტიანული რელიგიები“ „საღმრთისმეტყველო კოლონიალიზმის“ გადმონაშთია. საშინელებაა, რომ ეს ტერმინი სხვა რელიგიებს არაჭეშმარიტად მიიჩნევს, რაც ნიშნავს: „თუ ყველა რელიგია „ჭეშმარიტია“, მაშინ დიალოგი საჭირო აღარ ყოფილა, ხოლო თუ მხოლოდ ერთი რელიგიაა ჭეშმარიტი, მაშინ დიალოგი შეუძლებელია“. ამ უკანასკნელ პუნქტში ეკუმენისტები მართლები არიან: რაკი დიალოგი მიმდინარეობს და მასში მონაწილეობენ მართლმადიდებლები, რომლებსაც ერთადერთი ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზია აქვთ, მაშასადამე, ამ „მართლმადიდებლებს“, არსებითად, არა სწამთ მართლმადიდებლური აღმსარებლობის არც ჭეშმარიტება, არც განსაკუთრებულობა.

ეკუმენისტები შეგნებულად უთხრიან ძირს რწმენას, რომ ღმრთაებრივი გამოცხადება, ანუ საღმრთო წერილი ერთადერთ მაცხოვნებელ, ჭეშმარიტ სარწმუნოებას შეიცავს, რითაც გამართლებულია მისიონერობა უცხო რელიგიების წარმომადგენელთა შორის. დღეს მისიონერობა უკუგდებულია და იცვლება დიალოგით, რომელშიც ორივე მხარეს „თანაბარი უფლებები" აქვს. ამით ითელება მაცხოვრის მცნება, რომელიც თავის მოწაფეებს მისცა: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა. და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ" (მათე, 28, 19—20). ემს-ს მისიონერობა კი არა, ერთმანეთის გაცნობა სჭირდება დიალოგების საშუალებით, რომელთა დროსაც ქრისტიანებიც უნდა ეცადონ სხვების „ჭეშმარიტების" შეცნობას. მშვიდობიანი თანაარსებობისა და „ურთიერთგამდიდრების" საბაბით ქრისტეს სწავლება იქცევა შედარებით ჭეშმარიტებად, რომელშიც, სხვა რელიგიების მსგავსად, ჭეშმარიტების მარცვლებთან ერთად აქა-იქ ცთომილებებსაც ვაწყდებით.

„ღმერთსა და კერპებს შორის, ჭეშმარიტებასა და მის გამრუდებას შორის ბრძოლა არ არის ქრისტიანობასა და სხვა რელიგიებს შორის ბრძოლა, იგი ყოველი ცოცხალი სარწმუნოების, ყოველი იდეოლოგიური გაერთიანების შიგნით მიმდინარეობს", — ნათქვამია ამავე სტატიაში.

ასეთი მტკიცება მეტისმეტად აახლოებს არა მარტო რელიგიების გაერთიანებას, არამედ დაუნდობელი ბრძოლის დაწყებას, ყველა ჭეშმარიტად მორწმუნე მართლმადიდებლების წინააღმდეგ, ვისაც ესმის ეკუმენიზმის სატანური არსი და ამიტომ არ არის თანახმა მისდიოს მას. ვიდრე ოფიციალური ადგილობრივი ეკლესიები ეკუმენიზმთან თანამშრომლობენ და მისი კეთილგანწყობით სარგებლობენ, ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს ყოველთვის დაუძახებენ „სექტანტებს", საერთო დინებისაგან განდგომილებსა და ქვეყნისა და საზოგადოებისათვის საშიშ ადამიანებს. ამიტომაც დაიწყება მათი დევნა (2 ტიმ. 3, 12; გამოცხ. 13, 7) — სექტებს „ჭეშმარიტს" უწოდებენ, ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას კი სექტანტობას დასწამებენ და დევნას გაუმართავენ!

ემს-ს ამავე ოფიციალურ ორგანოში (1971, № 1) დაბეჭდილია უესლი არიარაის წერილი „დიალოგის ღმრთისმეტყველებისათვის", რომელიც განდგომილებისა და ღმრთის გმობის სულითაა გამსჭვა-

ლული. აქ ჩვენ ვკითხულობთ: „დიალოგის ღმრთისმეტყველებამ, პირველ ყოვლისა, ახლებურად უნდა დაინახოს რელიგიისა და ღმრთისმეტყველების არსი. წარსულში ჩვენი ერთ-ერთი შეცდომა ის იყო, რომ ქრისტიანული რელიგიისა და ღმრთისმეტყველების აბსოლუტიზირებას ვახდენდით, სხვა რელიგიებს კი სიცრუედ და შეცდომად ვაცხადებდით", მაშინ, როცა სინამდვილეში „ყველა რელიგია ცდილობს გადმოგვცეს თავისი რელიგიური გამოცდილება რაღაც მითის საშუალებით... სახიფათოა ერთი „თქმულების" მეორეზე უფრო სწორად მიჩნევა. მაგალითად, ინდოელი თავის რელიგიურ გამოცდილებაზე კარმის, გარდასახვისა და სხვა თეორიებზე დაყრდნობით ლაპარაკობს, იუდეველი — ქრისტიანი — დაბადების, ცოდვით დაცემისა და გამოსყიდვის მითის (!) საფუძველზე... ყველა ეს გადმოცემა თავისთავად გაურკვეველია და შემოფარგლულია რაღაც საზღვრებით, რომელთა შიგნითაც ადამიანები საკუთარ სარწმუნოებას აღიარებენ". „განა გონივრულია იმის მტკიცება, რომ მითი დაბადებაზე, ცოდვით დაცემაზე, გამოსყიდვაზე... არის ერთადერთი სწორი აღწერა კაცობრიობის უკეთესმართი მდგომარეობისა? და განა შეიძლება იმის თქმა, რომ „ცოდვის" იდეას კაცობრიობის მთელი გამოცდილების ამოწურვა ძალუძს? დღეს აღარავის სჯერა, თითქოს ვიღაც ადამის დაცემა და მთელი კაცობრიობის თან გაყოლება ისტორიული ფაქტი იყოს".

ავტორი აშკარა მკრეხელობაზე მიდის ბიბლიის, როგორც საღმრთო წერილის მიმართ, მას თითქოს ავიწყდება, რომ არა მხოლოდ ძველი, არამედ ახალი აღთქმაც ადამს ისტორიულ პიროვნებად იხსენიებს. წმ. ლუკა მოციქული ადასტურებს, რომ ქრისტე ხორცით ადამისაგან იშვა (ლუკა, 3, 38); თვით იესო ქრისტე გვასწავლის, რომ ღმერთმა შექმნა ადამი და ევა (მათე, 19, 4); წმ. პავლე მოციქული ადარებს ერთმანეთს ადამსა და ქრისტეს და ამტკიცებს, რომ ადამის მიერ ცოდვა შევიდა სოფლად (რომ. 5, 14, კორ. 15, 49). ადამისა და ევას ცოდვით დაცემის უარყოფით ავტორი ქრისტესმიერ გამოსყიდვასა და ცხონებას უარყოფს!

მისი აზრით, ყველა რელიგიის „წმიდა წიგნები" პატივისცემის ღირსია და მათი გამორჩევა არ შეიძლება. რელიგიებს შორის დიალოგი ჰეშმარიტებაზე მნიშვნელოვანია. „სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ტრადიციული ავტორიტეტული წყაროები (ანუ წმ. წერილი და წმ. გადმოცემა) თანამედროვე ღმრთისმეტყველებისათვის ერთადერთი და უდავო ავტორიტეტი აღარ არის"... უ. არიაარაი მზად არის

დათმოს არა მხოლოდ წმ. გადმოცემა, არამედ წმ. წერილიც, ოღონ-დაც ყველა რელიგიის დიალოგი შედგეს. ცხადია, ქრისტიანული სარ-წმუნოების ღმრთივსულიერი წყაროებისგან განდგომის შემთხვე-ვაში არამართლმადიდებლებთან დიალოგი და მათთან გაერთიანებაც სავსებით შესაძლებელია, მაგრამ რას გვარგებს იგი?

განსაკუთრებით სამწუხარო ის არის, რომ ამსოფლიური „მშვი-დობის" სახელით მართლმადიდებლებიც იწყებენ საერთოს ძებნას ქრისტიანობასა და სხვა რელიგიებს შორის. ჩეხოსლოვაკიის მართლ-მადიდებელი ეკლესიის დოცენტმა, დეკანოზმა პავლე ალეშმა „მოს-კოვის საპატრიარქოს ჟურნალში (1975, № 5) გამოაქვეყნა სტატია „ღმერთის მართლმადიდებლური გაგება, როგორც არაქრისტიანულ რელიგიებთან ურთიერთობის წინამძღვარი". წმ. მამებზე დაყრდნო-ბით ავტორი ჯერ იმას ამტკიცებს, რომ ღმერთი თავისი არსებით მი-უწვდომელია. აპოფატური გზა (ღმერთის თვისებების განსაზღვრა უარყოფის მეთოდი), მისი აზრით, დამახასიათებელია არა მხოლოდ ქრისტიანობისთვის, არამედ სხვა რელიგიებისთვისაც. ამის საფუძ-ველზე ალეშს გამოაქვს დასკვნა, რომ „აპოფატურობა ყველა რელი-გიის გამაერთიანებელია", თუმცა აპოფატურობა მხოლოდ ფორმა-ლური მეთოდია, რომელსაც თავისთავად არ ძალუძს გააერთიანოს ყველა, ვინც მას იყენებს. ასე მაგალითად, ზოგიერთი წმ. მამა დია-ლექტიკურ მეთოდს მიმართავდა, მაგრამ ამის გამო მათ ვერასგზით ვერ გავაერთიანებთ მატერიალისტებთან, რომლებიც ამავე მეთოდს ეყრდნობოდნენ. თავისი არსებით მიუწვდომელმა ღმერთმა ინება თვითონ გამოეჩინა ჩვენთვის თავისი თავი იმდენად, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია მისი შეცნობა, და გამოგვიჩინა ისე ნათლად, რომ შევძლოთ მისი გარჩევა წარმართთა ცრუ ღმერთებისგან. როგორც ფსალმუნი ამბობს, „განცხადებულ არს ჰურიასტანს ღმერთი ისრაი-ლისა" (ფს. 75, 2).

მართალია, წარმართთა დიდ მოციქულს, პავლეს ჰქონდა დიალო-გი ათენელ წარმართ ფილოსოფოსებთან „უცნაურ (უცნობ) ღმერთ-ზე", რომელზეც ათენელებს მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონ-დათ, ამიტომაც აღუმართეს ბომონი წარწერით „უცნაური ღმერთი" (საქმე, 17, 23). მაგრამ პავლემ ეს დიალოგი ხალხთა შორის კონიუნ-ქტურული მშვიდობის დასამყარებლად როდი წამოიწყო, მას სხვა, დიდი მიზანი ჰქონდა — ამაყი წარმართი ფილოსოფოსების მიყვანა ჭეშმარიტი ღმერთის ცნობამდე (შდრ. I ტომ. 2, 4), რომლის მიერაც „ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ" (საქმე, 17, 28). ჭეშმარიტი

ღმერთის სახელით უნდა უარვყოთ წარმართული რელიგიები, რამეთუ მათ ცრუ ღმერთებში ეშმაკის ძალაა ჩაბუდებული. ფსალმუნში გარკვევით არის თქმული: „რამეთუ ყოველნი ღმერთნი წარმართთანი ეშმაკ არიან“ (ფს. 95, 5), და პავლეც პირდაპირ გვიცხადებს ღმერთის სახელით: „მე არ მნებავს თქუენი ეშმაკთა ზიარება“ (I ორ. 10, 20).

დღეს კი რელიგიურ ნიადაგზე გაერთიანებას გვიქადაგებენ, თანაც წარმართებსა და უცხო სჯულის აღმსარებლებთან, რაღაც „მისტიკური აპოფატურობის“ ნიშნით. მაგრამ ეშმაკშიც ხომ არის აპოფატურობა — იდუმალი მხარეები, ანუ „საქმენი ეშმაკთანი“ (გამოცხ. 2, 24). ნუთუ ასეთ „აპოფატურობას“ უნდა მივდიოთ და (ღმერთმა დაგვიფაროს!) ეშმაკთან შევკრათ პირი რაღაც ამსოფლიური „მშვიდობის“ მისაღწევად?

ერთ-ერთ ოფიციალურ კათოლიკურ დოკუმენტში ებრაელებთან მოსალოდნელი დიალოგის მნიშვნელოვან პირობად წამოყენებულია, რომ „პატივი ვცეთ თანამოსაუბრეს, ისეთს, როგორიც იგი არის, განსაკუთრებით კი მის სარწმუნოებასა და შეხედულებებს“. ამასთან, ქრისტიანებს მოუწოდებენ გაითვალისწინონ ის სიძნელეები, რომლებსაც განხორციელებული სიტყვის საიდუმლოს წინაშე განიცდის ებრაელის სული, „მეტისმეტად მაღალი და სუფთა (!) წარმოდგენით განმსჭვალული ღმრთაებრივი ტრანსცენდენტურობის შესახებ“[63]. ასეთივე დამოკიდებულებისკენ მოგვიწოდებენ ბუდისტების მიმართაც, რომელთა გზას „აბსოლუტისკენ“, „სულიერი სრულყოფილებისკენ“ კათოლიკე მწერლები და მისიონერები ქებას ასხამენ და თითქმის ქრისტიანულ სულიერ გზას უტოლებენ! გვირჩევენ „შემწყნარებლობა“ გამოვიჩინოთ აბსოლუტის მიმდევრების მიმართ“, რომლებიც ჩვენგან განსხვავებული სულიერი გზით მიდიან, „რათა მათ იგრძნონ, რომ ვაღიარებთ და დაინახონ, რომ პატივს ვცემთ იმ ფასეულობებს, რომლებიც მათი ცხოვრების არსს წარმოადგენს“[64]. ასეთი მსჯელობის მოღალატური, მონური ხასიათი მთლიანად მეღავნდება ამ სიტყვებში: „ყოველი იოგა არის სულიერი გზა აბსოლუტისაკენ, უკანასკნელი რეალობისაკენ: ბუდისტური გზა არის იოგა და იგივე ქრისტიანული გზა!“[65].

ამგვარი მოღალატური აზრები ჯერ კიდევ კარდინალ აგოსტინიო ბეას (1968 წ.) დროს გამოითქვა, რომელიც ვატიკანის II კრების დროს ქრისტიანთა ერთიანობის სამდივნოს ხელმძღვანელობდა. მაგალითად, „დეკლარაციაში ინდუიზმის, ბუდიზმის, მაჰმადიანობის, იუ-

დაიზმისა და სხვა არაქრისტიანული რელიგიების შესახებ“ ნათქვამია:[66] „ინდუიზმში ადამიანები იკვლევენ ღმრთაებრივ საიდუმლოს და გადმოგვცემენ მას უამრავი მითისა და დაძაბული ფილოსოფიური აზროვნების საშუალებით... ბუდიზმი აღიარებს ამ წარმავალი სოფლის ნაკლოვანებებს და მიუთითებს გზას, რომლის მეშვეობითაც ადამიანები, ერთგულებითა და ნდობით გამსჭვალულები (საკითხავია, ვის მიმართ?), ყოველივე დროებითს უარყოფენ, შეუძლიათ გათავისუფლდნენ და უცვალებელ სიმშვიდეს მიაღწიონ“ (მაგრამ უვნებლობის მოხვეჭა ხომ შეუძლებელია მადლისმიერი მშვიდობის გარეშე, რომელიც ქრისტემ აღუთქვა „მშვიდთა და მდაბალთა გულითა“) (მათე, 11, 29).

მსოფლიოს სხვა რელიგიებიც თავისებურად გადმოსცემენ ადამიანების ტკივილს და გვთავაზობენ თავიანთ გზებს, ანუ მოძღვრებასა და ცხოვრების წესებს. კათოლიკური ეკლესია არაფერს უარყოფს, რაც ამ რელიგიებში წმიდაა და ჭეშმარიტი. იგი მხოლოდ განუწყვეტლივ გვახარებს ქრისტეს, რომელიც არის „გზა და ჭეშმარიტება და ცხოვრება“ (იოანე, 14, 6) და რომელშიც ღმერთმა ყველა შეარიგა თავის თავთან“[67] მაგრამ ეს ბოლო ფრაზა აბათილებს ყველაფერს, რაც ზემოთ ითქვა არაქრისტიანული რელიგიების სასარგებლოდ, რადგან თვით უფალმა იესო ქრისტემ, რომელიც უწოდებს თავის თავს, ჭეშმარიტებასა და ცხოვრებას“, ცოტა ადრე სხვა რელიგიების ფუძემდებლებზე თქვა: „ყოველნი, რომელნი ჩემსა პირველად მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და ავაზაკნი“ (იოანე, 10, 8).

ამის მიუხედავად, პაპმა იოანე-პავლემ II-მ 1986 წლის 26 თებერვალს ყველა ქრისტიანს, იუდეველსა და მაჰმადიანს მოუწოდა ერთი ღმერთის გარშემო გაერთიანებისკენ, როგორც ამის შესახებ გვაუწყა „კათოლიკემ“, პაპისტების ოფიციალურმა ორგანომ საბერძნეთში[68]. ხოლო 1986 წლის 27 ოქტომბერს მან ასიზში (იტალია) მიიწვია მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიების 150 წარმომადგენელი, რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ ერთობლივ ლოცვაში საყოველთაო მშვიდობისათვის. აქ იყვნენ დედამიწის ზურგზე არსებული თითქმის ყველა რელიგიური დენომინაციის წარმომადგენლები, თვით სატანის მსახურები აფრიკისა და ამერიკის ინდიელთა ტომებიდან. ტიბეტის დალაი-ლამა ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა პაპის მოწოდებას... ყველა ამ ჯგუფის შთამბეჭდავი ერთობლივი ლოცვა ჩატარდა ასიზის სანტამარია დელ ანჯელის ქრისტიანულ ბაზილიკაში, სადაც თავ-თა-

ვიანთ შესამოსელში გამოწყობილები მოვიდნენ ბუდისტები და ველური კერპთაყვანისმცემელი ტომების ბელადები. პაპი სიყვარულით უმზერდა მისი სტუმრების სხვადასხვა რელიგიურ რიტუალებს, თავდახრილი, მოწიწებით უყურებდა, თუ როგორ მოსწიეს „მშვიდობის ჩიბუხი“ დიდი ზეციური სულის პატივსაცემად ინდიელთა ორი ტომის ბელადებმა. „მშვიდობა დედამიწაზე უნდა დამყარდეს მანამ, სანამ მას ჩვენს გულებში მოვიპოვებდეთ“, თქვა ერთ-ერთმა ბელადმა, რითაც გამოხატა თავისი რელიგიის სრული დაპირისპირება ქრისტიანობისადმი. ხოლო სან-გრეგორიოს ეკლესიაში ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ბელადმა თქვა, რომ იგი მხოლოდ დემონებს როდი ემსახურება, არამედ კათოლიკეც არის!“[69]

და პაპი მზად არის ითმინოს მთელი ეს უმსგავსობა, ოღონდ იგი მისი ეგიდის ქვეშ ხდებოდეს. ყველაზე სწორი შეფასება ასიზის შეხვედრას მისცეს მარსელ ლეფევრის, განდგომილი კათოლიკე მთავარეპისკოპოსის მომხრეებმა, რომლებმაც ასიზში უზარმაზარი დემონსტრაცია მოაწყვეს პლაკატებით: „პაპი ცდილობს შექმნას ზე-რელიგია, რომლის მეთაურიც თვითონ იქნება!“[70]

სამწუხაროდ, წარმართულ რელიგიებთან უსჯულო კავშირებში მართლმადიდებელი იერარქიებიც არიან გარეული. ემს-ს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ადის-აბებაში, 1971 წლის იანვარში, სიტყვით გამოვიდა მიტრ. გიორგი (ხოდრი) ბეირუთიდან (ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია), რომელმაც ქრისტიანებს მოუწოდა არა მხოლოდ სხვა რელიგიებთან „დიალოგისკენ“, არამედ „არანათელღებულთა ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების კვლევისა“ და საკუთარი გამოცდილების „მსოფლიო რელიგიური საგანძურით“ გამდიდრებისკენ, რამეთუ „თვით ქრისტე აღიქმება, როგორც ნათელი, როდესაც ბრაჰმანისტებზე, ბუდისტებსა და მაჰმადიანებზე თავიანთი წიგნების კითხვისას მადლი გადმოდის“[71]. „მართლმადიდებელი“ იერარქის ამ გამოსვლამ თვით პროტესტანტი დელეგატებიც კი აღაშფოთა.

მთავარეპისკოპოსმა იაკობოსმა (კუკუზისი, კონსტანტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენელი ამერიკაში და საბერძნეთის საზღვარგარეთული ეპარქიის მმართველი) 1967 წელს, როდესაც იერუსალიმი საბოლოოდ დაიპყრო ისრაელმა, საქვეყნოდ განაცხადა: „ჩვენ გვჭირდება ახალი ქრისტიანობა, რომელიც სრულიად ახალ ცნებებსა და ტერმინებს დაეყრდნობა... მომავალ თაობებს ჩვენ ვერ შევთავაზებთ რელიგიის იმ ფორმას, რომელიც დღესაა მიღებული“[72].

„მართლმადიდებელი“ იერარქის ამ ავბედითი სიტყვების კომენტირებისას ბერძენი ღმრთისმეტყველი დელიბასი წერს: „ამერიკელი იერარქი იაკობოსი საბოლოოდ ამხილებს ეკუმენიზმს. ეკუმენიზმი მხოლოდ სარწმუნოების მიჩქმალვა ანდა დოგმატური ხასიათის დისკუსიების შეწყვეტა როდია, არამედ სარწმუნოების სრული შეცვლა თავისი ტერმინებითურთ და „ახალი ცნებებისა და ტერმინების შემოტანა“. ლაპარაკია არა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიების შეერთებაზე არამართლმადიდებელ ეკლესიასთან, არამედ საერთოდ მართლმადიდებელი ეკლესიის მოსპობასა და ახალი „ქრისტიანობის“ შექმნაზე, რომელიც იქნება ეკუმენიზმის ერთ-ერთი ვერსია ანუ ეკუმენისტური საყოველთაო რელიგია. იაკობოსი მონაწილეობდა რაღაც „ზე-რელიგიურ“ მოძრაობაში, რომლის მიმდევრები, მწვალებლურ სწავლებებს აყოლილი „ქრისტიანები“, აგრეთვე მაჰმადიანები, ბუდისტები და იუდეველები, ერთად იკრიბებიან, რათა თავიანთ ღმერთს ემსახურონ!“[73] თავისი ეკუმენისტური მოღვაწეობის კონკრეტული დადასტურების სახით ამ „მართლმადიდებელმა“ იერარქმა 500 000 ამერიკული დოლარი გაიღო ამერიკაში სამი არადოგმატური საკრებულოს დაარსებისთვის, სადაც ყოველ რასას (!) შეეძლება ემსახუროს ერთ ღმერთს, დოგმატურად განუსაზღვრელსა და მხოლოდ სიყვარულით განსაზღვრულს!“[74]

ასეთი განცხადებებისა და საქმეების შემდეგ რა გასაკვირია, რომ ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის ბერძნულმა სამთავარეპისკოპოსომ ათენის XIX ერთობლივ ყრილობაზე (1968) განაცხადა: „ჩვენ გვწამს, რომ, თუმცა ეკუმენისტური მოძრაობა ქრისტიანული წარმოშობისაა, მომავალში მან ყველა რელიგია უნდა გაერთიანოს“[75].

ამრიგად, მთელი ე. წ. „ქრისტიანული სამყარო“ არაქრისტიანულ და წარმართულ რელიგიებთან გაერთიანების მეშვეობით აპოსტასიის — ქრისტეს სარწმუნოებისაგან განდგომის გზაზე დგას. ხდება რაღაც „სითბური სიკვდილის“ მსგავსი, რომელიც მაშინ დაიწყება, როდესაც სითბო მთლიანად გაიფანტება და ტემპერატურა ყველგან ერთნაირი იქნება. მასონები ცდილობენ ქრისტეს ეკლესიის სწორედ ასეთ „სიკვდილს“ მიაღწიონ — ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტების მწვალებლური ცთომილებებით წალეკვით და მართლმადიდებლობის გათანაბრებით ჯერ არამართლმადიდებლურ აღმსარებლობებთან, მერე კი მსოფლიოს სხვა რელიგიებთან.

რამდენად შესაძლებელია იმის წარმოდგენა, რომ მსოფლიო კრებებს არ გაეკიცხათ და არ დაეგმოთ წვალებები, რომელთა მიზეზითაც ამ კრებებს იწვევდნენ ხოლმე? რამდენად შესაძლებელია იმის დაშვება, რომ წმ. მამებს ზეპირად თუ წერილობით არ ებრძოლათ მათი თანამედროვე წვალებებისა და ცრუმოძღვრებების წინააღმდეგ? დღეს კი ეკუმენიზმი ახალ დამოკიდებულებას ქადაგებს ცთომილებათა მიმართ: ისინი კი არ უნდა დავგმოთ და გავაკრიტიკო, რადგან ყოველი გმობა და პოლემიკა ქრისტიანული სულისკვეთების უარმყოფელია, არამედ „სიყვარულითა და „შემწყნარებლობით“ მოვეკიდოთ მათ[76]. მაგრამ ასეთ საქციელში დაფარულია მზაკვრობა, რომელსაც ქრისტესა და მისი ამ ნათელი მცნების უარყოფამდე მივყავართ: „ეკრძალენით ცრუწინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ“ (მათე, 7, 15).

მწვალებლური მოძღვრებების მიმართ „ახალი დამოკიდებულება“ სრულიად ეწინააღმდეგება ტრადიციულ საეკლესიო პრაქტიკას, რომელიც ღმრთაებრივ გამოცხადებასა და წმ. გადმოცემაზეა დაფუძნებული. მართლმადიდებელი ეკლესია, სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა, ყოველთვის მკაცრად ეპყრობოდა წვალებებს, და ეს ხდებოდა არა ამპარტავნული „ტრიუმფალიზმის“ გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი საღმრთო წერილის, როგორც ჭეშმარიტების სიტყვის ერთგული იყო (ეფ. 1, 13) და თავის ერთგულ შვილთა ცხონებისათვის ზრუნავდა. ასეთი სიმკაცრისაკენ მოუწოდებდა მას თვით მაცხოვარი, რომელიც შეუნანებელ ცოდვილზე ამბობდა: „უკუეთუ კრებულისაცა (ეკლესიის) არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი“ (მათე, 18, 17), ანუ განიკვეთოს! ასეთივე სიმკაცრეს გვამცნებენ ქრისტეს წმიდა მოციქულები: წმ. იოანე ღმრთისმეტყველი (2 იოანე, 1, 10) და წმ. პავლე მოციქული (2 თეს. 3, 6). პავლე ანათემასაც კი გადასცემს ყველას, ვინც ღმრთივგამოცხადებულ ჭეშმარიტებას ამახინჯებს: „უკუეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისსა გარეშე, რომელი-იგი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ“ (გალ. 1, 9). ბერძნული სიტყვა „ანათემა“ ნიშნავს „განშორებას, დაპირისპირებას“, და მისი საშუალებით ეკლესია აცხადებს, რომ ესა თუ ის პირი გამოეყო მართლმადიდებელ სარწმუნოებასა და მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთიანობას. ეკლესია ამას იმისთვის აკეთებს, რომ

მწვალებელთა მრუდე აზრებს ეკლესიის ერთგული შვილებიც არ აჰ-ყვნენ. ეკლესია ხანდახან მიმართავს ამ მკაცრ სასჯელს, რადგან ჭეშ-მარიტი სიყვარულით უყვარს თავისი შვილები და მათ საუკუნო ცხონებაზე ზრუნავს, ხოლო ეკუმენიზმი, რომელიც „სიყვარულისა“ და „შემწყნარებლობისკენ“ მოგვიწოდებს, არსებითად ეწინააღ-მდეგება ღმრთაებრივ ჭეშმარიტებას და ამით ადამიანებს საუკუნო წარწყმედისაკენ მიუძღვის. განყოფს რა სიყვარულს ჭეშმარიტებისა-გან, ეკუმენიზმი მყარ საფუძველს აცლის სიყვარულს და კლავს მას.

როგორც ჭეშმარიტება და სიყვარულია დაკავშირებული ღმერთ-ში, ასევე უნდა იყოს ადამიანებშიც. ღმერთი არის აბსოლუტური ჭეშმარიტება (იერ. 10, 10, იოანე, 14, 6), ჭეშმარიტება და სიყვარუ-ლი ერთნი არიან. ვისაც ცხონება სურს, ის მხოლოდ სიყვარულის კი არა, ჭეშმარიტების გზითაც უნდა ვიდოდეს, ცთომილებათა მიმართ „სიყვარულისა და შემწყნარებლობის“ გამოჩენა კი არის ჭეშმარიტე-ბის და შესაბამისად — სიყვარულის ღალატიც. ვინც ჭეშმარიტებას ქელავს, ის სიყვარულსაც ქელავს, რადგან ადამიანთა სულებში სასი-კვდილო შხამი შეაქვს და საუკუნო წარწყმედას უმზადებს მათ. სწო-რედ ამას სჩადის მასონური ეკუმენიზმი ყალბი სიყვარულისა და შემწყნარებლობის ნიღბით.

წმ. პავლე მოციქული წერს, რომ „სიყვარულსა... უხარიან ჭეშმა-რიტებასა ზედა“ (I კორ. 13, 6) და გვასწავლის, ყოველთვის „ჭეშმა-რიტ-ვიყუნეთ სარწმუნოებასა ზედა“ (ეფ, 4, 15). ამ რჩევას იგი გვაძ-ლევს ცრუმოძღვრებებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელს გვიშ-ლიან, რათა „მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა“ (ეფ. 4, 13). აქედანვე გამომდინარე-ობს მისი სხვა დარიგებაც: „ნუ ვექნებით თანა-მეუღლე ურწმუნოთა მათ“.

მასონური ეკუმენიზმი, რომელიც „სიყვარულსა და შემწყნარებ-ლობას“ გვინერგავს ცრუმოძღვრებათა მიმართ, მწვალებლებსა და ურწმუნოებთან თანამშრომლობისკენ მოგვიწოდებს, რაც ნაირობის V გენერალური ასამბლეის დოკუმენტებიდანაც ჩანს (1975).

ამრიგად, ეკუმენიზმის ცოდვა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქა-დაგებს „სიყვარულს“ ჭეშმარიტების გარეშე და „შემწყნარებლობას“ ცრუმოძღვრებათა მიმართ, მაშინ, როდესაც სახარება უარყოფს ორივეს, როგორც დამღუპველს. ეკუმენიზმი, ვითომდა „სიყვარუ-ლის“ სახელით, სინამდვილეში თრგუნავს ჭეშმარიტებას, რომელიც

სულისთვის იგივეა, რაც ხორცისთვის — პური. ნუთუ ის, ვინც დამშეულს პურს კი არ აწვდის, მხოლოდ სიყვარულით სავსე სიტყვებით ატყუებს, ამით სიყვარულს უჩვენებს მას (შდრ. იაკ 2, 15—16)? ჭეშმარიტი სიყვარული სენტიმენტალური ამბორით კი არ კმაყოფილდება, არამედ ზრუნავს მოყვასზე და მადლისა და ჭეშმარიტების პურით ასაზრდოებს (იოანე, 1, 17).

ამ მხრივ ნიშანდობლივია ერთი შემთხვევა: 1989 წლის ივლისში ერთი ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი ბუქარესტში ჩავიდა და იქ მართლმადიდებელი მღვდელი გაიცნო, რომელიც ბოსეს ეკუმენისტურ ინსტიტუტში სწავლობდა. როდესაც გაიგო, რომ ასეთი ინსტიტუტი ბუქარესტშიც შენდებოდა, თანაც მართლმადიდებლური ინსტიტუტის გვერდით, მან თავისი გაოცება და გულისტკივილი ვერ დამალა. პასუხად რუმინელი მღვდელი უბრალოდ ეამბორა. დამშვიდობებისას ერისკაცმა კურთხევა სთხოვა მას, როგორც მღვდელს, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი უთხრა კურთხევის მიცემაზე და უთხრა, ამბორისყოფა კურთხევაზე მეტიაო. განა ეს არ მოწმობს ეკუმენისტური სულისკვეთების დამღუპველ გავლენას, რომელიც სენტიმენტალურ „სიყვარულს", უფრო სწორად კი პრანჭიაობას, სულიერებაზე მაღლა აყენებს?

გავიხსენოთ რომ წმ. პირველმოწამე, მთავარდიაკონი სტეფანე დაუნდობლად ამხილებდა იუდეველებს, როგორც წინასწარმეტყველისა და ქრისტეს მკვლელებს „ქედფიცხელებს", „გულითა და სასმენელით წინადაუცვეთელებს" (საქმე, 7, 51) უწოდებდა მათ, ხოლო როდესაც იუდეველები ქვით ქოლაღდნენ და პირად მკვლელობად უხდებოდნენ, იგი დაჩოქილი ლოცულობდა მათთვის: „უფალო, ნუ შეურაცხ ამათ ცოდუასა ამას" (საქმე, 7, 60).

და ახლაც მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები „სიყვარულსა და შემწყნარებლობას" კი არ უნდა ქადაგებდნენ მწვალებლურ ცთომილებათა მიმართ, არამედ გაბედულად უნდა ამხილებდნენ მათ, ვინძლო მათთვის ჩაბარებული ჭეშმარიტების საგანძური დაიცვან და კარგად ახსოვდეთ კონსტანტინეპოლის ნეტარხსენებული პატრიარქის, იერემიას სიტყვები, ლუთერანებს რომ სწერდა: „არაფერს უნდა ვიქმოდეთ ანდა ვფიქრობდეთ იმის საწინააღმდეგოდ, რაც წმ. მოციქულებმა და წმ. კრებებმა გვიბრძანეს! ვინც ამ წესს მისდევს, თვითონაც ჩვენი მეგობარი და თანაზიარი იქნება, ხოლო ვინც უარყოფს, იმას რა საერთო უნდა ჰქონდეს ჩვენთან?"

ბ) ბიბლიის ეკუმენისტური თარგმანები

ვიდრე ამ თემაზე საუბარს შევუდგებოდეთ, შესავლის სახით ჯერ ე. წ. „საბავშვო ბიბლიაზე“ ვილაპარაკებთ, რომელიც შესანიშნავად არის გამოცემული ინგლისურად. სატიტულო გვერდზე მითითებულია: „მოწონებულია პროტესტანტული, კათოლიკური და იუდაური აღმსარებლობის ხელმძღვანელთაგან შემდგარი საბჭოს მიერ“.

აი, როგორ არის გადმოცემული ამ ბიბლიაში ცნობილი „პირველი სახარება“, ანუ წინაპართა ცოდვით დაცემის შემდეგ ღმრთისაგან ბოძებული პირველი ხარება მომავალი მესიის შესახებ, რომელიც იგულისხმება „დედაკაცის თესლში“ (დაბ. 3, 15): „უფალმა ღმერთმა უთხრა გველს: მე ვქმნი დედაკაცს შენს მტრად, ხოლო მის შვილებს — შენს შვილთა მტრად. ისინი თავში დაგჭრიან, შენ კი მათ ქუსლში უკბენ“. როგორც ვხედავთ, აქ არსადაა ნახსენები სოფლის მაცხოვარი. ბიბლიის ნამდვილ ტექსტში კი წერია: „და მტერობა დავდა შორის შენსა და შორის დედაკაცისა. და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა. იგი შენსა უმზირდეს თავსა და შენ უმზირდე მისსა ბრჭალსა“ (დაბ. 3, 15).

წმ. მამების განმარტებით, დედაკაცის თესლი არის ქრისტე, რომელმაც ჯვარზე შემუსრა გველის თავი, ანუ სატანა. ნაყალბევი ტექსტიდან კი გამოდის, რომ რომ ევას შვილები თვითონ გაუმკლავდებიან ბოროტებას, რომელსაც გველი განასახიერებს. ასე უთხრის ძირს სოფლის ერთადერთი მხსნელისა და გამომსყიდველის, იესო ქრისტეს რწმენას „საბავშვო ბიბლია“!

მართლმადიდებელი ეკლესია ვერასგზით ვერ დაეთანხმება წმ. ტექსტის ამგვარ დამახინჯებას, რადგან იგი „დედაკაცის თესლში“ ყოველთვის აღთქმულ მესიას გულისხმობდა. ამ მნიშვნელობით გამოიყენა სიტყვა „თესლი“ მოც. პავლემ გალატელთა მიმართ ეპისტოლეში: „ხოლო აბრაჰამის მიმართ ითქუნეს აღთქმანი ესე და ნათესავისა მისისა. არა იტყჳს „ნათესავთა“, ვითარცა მრავალთასა, არამედ ვითარცა ერთისასა; „და ნათესავისა შენისა“, რომელ არს ქრისტე“ (გალ. 3, 16).

ბოლო ხანს შეიმჩნევა ტენდენცია, გადმოიცეს ბიბლიის ტექსტი ისე, რომ გვერდი აუარონ დოგმატურ ტექსტებს, რომლებიც განყოფენ კაცობრიობას. ემს-ს ყოველკვირეულ ბიულეტენში „ეკუმენიშე პრესსედინსტ“ (1969, № 36) მოკლე, მაგრამ საყურადღებო ცნობაა მოთავსებული: „ქრისტიანულ უნიფიცირებულ ბიბლიას დაერთვის შენიშვნები და განმარტებები ყოველგვარი დოგმატური ელემენტების გარეშე“.

ამრიგად, იუდეველთა ხელშეწყობით ბიბლია „თანამედროვე“ გახდება. დროა შეწყდეს ჭეშმარიტების წყაროდან ღმრთაებრივი ჭეშმარიტებების — დოგმატების ხმევა! ახალმა ბიბლიამ ქრისტიანული აღმსარებლობების ეკუმენისტურ გათანაბრებას უნდა შეუწყოს ხელი, თანაც ამ გათანაბრებას იუდაური ელფერი უნდა დაჰკრავდეს.

ჰოლანდიაში ჩაფიქრებული თარგმანი საფრანგეთში განხორციელდა, სადაც ეკუმენისტური რედაქციით გამოვიდა ახალი აღთქმა, ხოლო 1975 წლის ბოლოს დაიბეჭდა ძველი აღთქმის ახალი ეკუმენისტური თარგმანი[77], რომელსაც „მონდმა“ „უპრეცენდენტო მოვლენა“ უწოდა. რეცენზიაში მოყვანილია პარიზელი „მართლმადიდებელი“ ღმრთისმეტყველის, პავლე ევდოკიმოვის სიტყვები, რომელიც 1950 წ. წერდა: „ბიბლია, ვიდრე დახურულია, გვაერთიანებს, შაგრამ როგორც კი გადავშლით, გვთიშავს. ჩვენ მას სხვადასხვაგვარად ვკითხულობთ და იქ სხვადასხვა ჭეშმარიტებებს ეპოულობთ“ (!) ბიბლიის „სხვადასხვა“ წაკითხვის თავიდან ასაცილებლად მთარგმნელთა კოლექტივმა გადაწყვიტა „ხელი გაუწოდოს ებრაელებს“. რას ნიშნავს ეს? მთარგმნელებმა მაქსიმალურად გაითვალისწინეს მასორეთული, ანუ ებრაული ტექსტი, რომელიც რაბინისტული ტრადიციის მიერაა დადგენილი და რომელიც ებრაულ ბიბლიებშია დაბეჭდილი.

შემდგომ ამ სტატიაში ვკითხულობთ: „იუდაურ-ქრისტიანული ურთიერთობების ახლანდელი მდგომარეობა ჯერ კიდევ არ იძლევა ბიბლიის ეკუმენისტური თარგმანის ანალოგიური სამუშაოს ჩატარების საშუალებას. მაგრამ ასეთი პერსპექტივა შეიძლება დავინახოთ იმაში, რომ რთული ადგილების დადგენისას და ზოგიერთი კომენტარის დართვისას ბევრი მთარგმნელი იყენებდა შუა საუკუნეების ცნობილ განმმარტებელთა, რაშლის, კიმპის, იბნეზრას თხზულებებს, ამასთან ხშირად ეყრდნობოდნენ ბიბლიის თანამედროვე ებრაელ მკვლევარებს.

რაც შეეხება მუშაობის მეთოდიკას, ამ უზარმაზარ საქმეში ყოველთვის ითვალისწინებდნენ ორ ასპექტს: მეცნიერულობასა და თანამშრომლობას. ძველი აღთქმის ყოველ წიგნს ორი მთარგმნელი თარგმნიდა: კათოლიკე და პროტესტანტი. სულ 64 კაცი მუშაობდა. ტექსტების შეთანხმებას საკოორდინაციო კომიტეტი ედგა სათავეში, და ბოლოს, ყველა თარგმანი შეამოწმა პირველხარისხოვანმა მართლმადიდებელმა ეგზეგეტმა“.

თარგმანის ავტორები წერენ: „უეჭველია, ეს თარგმანი თანამედროვე თარგმანთა უმეტესობასთან შედარებით არც საუკეთესოა და მით უმეტეს, არც საბოლოო, მაგრამ იგი ერთადერთია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა .საკვლევით დაკმაყოფილდა და სხვადასხვა ეკლესიებმა ხმარებისათვის ვარგისად აღიარეს. ეს არის ჯერჯერობით ერთადერთი საერთო ტექსტი, რომელიც ფრანგულენოვან განყოფილ ქრისტიანებს მოეპოვებათ, მათი რიცხვი კი დაახლოებით 25 მილიონია“.

ძველ აღთქმის საღმრთო წერილის ერთადერთი ავტორიტეტული ტექსტი, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია ოდითგანვე იყენებდა ღმრთისმსახურებაში, არის 70 განმმარტებლის ბერძნული თარგმანი, მეცნიერებაში „სეპტუაგინტად“ ცნობილი. იგი ძვ. წ. III. ს-ში შესრულდა ალექსანდრიაში მეფე პტოლემეოს ფილადელფოსის (285—246) ინიციატივით, რომელმაც ამ მიზნით სპეციალურად შეარჩია ღმრთისმოშიში სწავლული ებრაელები[78]. ამ უძველესი და უნიკალური თარგმანის ღირსებებზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იგი ერთხმად მიიღო ყველა ბერძნულენოვანმა მორწმუნე ებრაელმა. ამას ადასტურებენ ძველი ებრაელი მწერლები იოსებ ფლავიოსი და ფალონი, რომლებსაც ყველა ბიბლიური ტექსტი 70 განმმარტებლის მიხედვით მოჰყავთ, მათ ფლავიოსი „წინასწარმეტყველებსაც“ კი უწოდებს[79].

ახალი აღთქმის წმიდა მწერლებიც ღმრთივსულიერი წიგნების საფუძვლად იმავე თარგმანს იყენებენ: ძვ. აღთქმის 238 ადგილიდან, რომლებიც სახარებებსა. და ეპისტოლეებშია მოხმობილი, მხოლოდ ოთხია აღებული ბიბლიის ებრაული ტექსტიდან, დანარჩენი კი 71-ის თარგმანს მიყვება[80]. წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „სული წმიდამ ინება, რომ წმ. წიგნები 70 განმმარტებელს ეთარგმნა. მოვიდა იესო ქრისტე და მიიღო ისინი, მოციქულებმა კი ყველგან გაავრცელეს!“[81]

ძვ. აღთქმის სხვადასხვა ადგილების მოხმობისას ძვ. ეკლესიის წმ. მამებიც ამ თარგმანით სარგებლობდნენ და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში მიუთითებდნენ ებრაულ ტექსტს[82]. მსოფლიო კრებებზეც სეპტუაგინტა იყო ხმარებაში. იგი ამჟამადაც მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური საღმრთისმსახურო ბიბლიაა და ცხადია, ეკლესია ყოველთვის ამ მემკვიდრეობის ერთგული უნდა დარჩეს. სამწუხაროდ, დღეს ემს ხსენებული ეკუმენისტური თარგმანის საშუალებით ეკლესიას სთავაზობს ძველი აღთქმის მასორეთულ ტექსტს, რომელიც რაბინისტულმა ტრადიციამ დაადგინა.

მაინც, რა არის მასორეთული ბიბლია? ესაა ნაყალბევი, აშკარად დამახინჯებული, არაზუსტი ტექსტი, რომელიც ბიბლიის ორიგინალურ ტექსტს არ შეესაბამება.

მას შემდეგ, რაც ქრისტეს განუდგნენ, ებრაელმა წინამძღოლებმა სასტიკი ბრძოლა დაუწყეს მოციქულებს, რომლებიც ძვ. აღთქმის წიგნების საფუძველზე ამტკიცებდნენ, რომ იესო ნაზარეველი აღთქმული მესიაა (საქმე, 5, 17—32; 13, 14—15). ეს ბრძოლა მოციქულთა მემკვიდრეების წინააღმდეგაც გაგრძელდა და დღესაც მიმდინარეობს. იუდეველები, რომლებმაც არ ირწმუნეს. ქრისტე, გადაჭრით უარყოფდნენ, რომ ძვ. აღთქმის უამრავი მესიანური წინასწარმეტყველება ჩვენს მაცხოვარს გულისხმობდა. ამ მცდარი პოზიციის დასასაბუთებლად ისინი, ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული, ცდილობდნენ გადაეკეთებინათ ბიბლიის ის ადგილები, რომლებიც მესიანურ წინასწარმეტყველებებს შეიცავდნენ — მათ ხან განზრახ ამახინჯებდნენ, ხანაც ტოვებდნენ, რათა მიეჩქმალათ. რომ ეს წინასწარმეტყველებები უკვე ასრულდა იესო ქრისტეს მოსვლით (ლუკა, 24, 44). თავიანთი ნაყალბევის შესანიღბად იუდეველებმა დაიწყეს სეპტუაგინტას ტექსტის დაწუნება და, როგორც ეს თალმუდიდანაც ჩანს[83], მისი ღირსებების უარყოფა. მეტიც, მათ ხელი მიჰყვეს სეპტუაგინტას გაყალბებას თავიანთ ეგზემპლარებში[84], რითაც აიხსნება მასში არსებული ზოგიერთი კითხვასხვაობა, თუმცა მისი არსებითად შერყვნა ვერ მოასწრეს, რადგან ეს თარგმანი ფართოდ იყო გავრცელებული მრავალი ხელნაწერის სახით ჯერ კიდევ მანამ, სანამ იუდეველები ხელყოფდნენ.

უეჭველია, რომ ბიბლიის ებრაულ ტექსტში მრავალი განზრახ დამახინჯებული ადგილია, რაზედაც ჯერ კიდევ ეკლესიის ძველი წმ. მამები წერდნენ. წმ. იუსტინე ფილოსოფოსი, რომელიც II ს-ში ცხოვრობდა, თავის შესანიშნავ წიგნში „საუბარი ტრიფონ იუდეველთან“ ამბობს: „ვერ დავეთანხმები თქვენს მასწავლებლებს, რომლებიც არ აღიარებენ, რომ ეგვიპტის მეფის, პტოლემეოსის დროინდელმა 70-მა მოხუცმა სწორი თარგმანი დაგვიტოვა, და თვითონ ცდილობდნენ თარგმნონ. მე მინდა იცოდეთ, რომ მათ პტოლემეოსის დროინდელი თარგმანიდან ამოიღეს წმ. წერილის მრავალი ადგილი, რომლებიც ნათლად მოწმობენ იმას, რაც ნაწინასწარმეტყველევი იყო ღმერთის, კაცობრიობის და ჯვარცმის შესახებ“[85].

ასეთივე აზრებს გამოთქვამს წმ. ირინეოს ლიონელიც თავის თხზულებაში „წვალებათა წინააღმდეგ“ (წიგნი III, თავი 21). აქ იგი

იცავს 70-ის თარგმანს და ამბობს, რომ წინასწარმეტყველებანი უფალ იესო ქრისტეს შესახებ „ბერძნულად თვითონ იუდეველებმა თარგმნეს გაცილებით ადრე, ვიდრე უფალი მოვიდოდა, რათა არავის არავითარი ეჭვი არ გასჩენოდა, თითქოს იუდეველებმა ჩვენს (ქრისტიანების) საამებლად თარგმნეს ასე. ებრაელებს რომ სცოდნოდათ, რომ ჩვენ ვისარგებლებდით ამ მოწმობებით, უყოყმანოდ დაწვავდნენ საღმრთო წერილს, რომელიც აცხადებს, სხვა ხალხებიც დაიმკვიდრებენ საუკუნო ცხოვრებასო... წმ. წერილი ღმერთის კარნახით ითარგმნა. თუკი საღმრთო წერილი ასეთი სიზუსტითა და ღმრთის მადლის შეწევნით ითარგმნა, და თუ მისი მეშვეობით ღმერთმა დააწესა ჩვენი რწმენა მისი ძის მიმართ, თუკი ეს თარგმანი უფლის მოსვლასა და ქრისტიანების გაჩენამდე იყო შესრულებული, მაშ მართლაც ურცხვინო და კადნიერნი არიან ისინი, ვინც ახლა ცდილობს სხვაგვარად თარგმნოს იგი — ჩვენ ხომ სწორედ მათი მხილება ქრისტეს მოსვლაში დარწმუნება და ჭეშმარიტ სჯულზე მოქცევა გვინდა ამ წიგნების მეშვეობით. ჩვენი სარწმუნოება მტკიცეა, იგია ერთადერთი ჭეშმარიტი და არა შეთხზული, რამეთუ ნათლადაა დადასტურებული საღმრთო წერილით, რომელიც ზემოხსენებული წესითაა თარგმნილი. ეკლესიის ქადაგებაც ჭეშმარიტია, რამეთუ მოციქულები, ყველა მათგანზე (მწვალებლებზე) უხნესნი, ეთანხმებიან ამ თარგმანს, ხოლო თვითონ თარგმანი მოციქულთა გადმოცემას ეთანხმება. პეტრეც, იოანეც, მათეც, პავლეც და ყველა სხვა მოციქულიც, აგრეთვე მათი მემკვიდრეებიც, ისე გვაუწყებენ წინასწარმეტყველთა ყველა გამონათქვამს, როგორც სამეოცდაათთა თარგმანი შეიცავს“.

წმ. იოანე ოქროპირი ამ საკითხზე ამბობს: „70 მთარგმნელი სამართლიანად იმსახურებს ყველაზე მეტ ნდობას. ისინი (ებრაული ტექსტის ავტორები) ქრისტეს მოსვლის შემდეგ თარგმნიდნენ და იუდეველებად რჩებოდნენ, ამიტომ თამამად შეიძლება მოველოდეთ, რომ მათ უფრო მტრული მოსაზრებებით დაამახინჯეს წინასწარმეტყველებები (იგულისხმება ესაიას წინასწარმეტყველება (7, 14) ქრისტეს ქალწულისაგან შობის შესახებ — ავტორთა შენიშვნა), 70-მა მთარგმნელმა კი ქრისტეს მოსვლამდე 100 და მეტი წლის წინ წამოიწყეს ეს საქმე და თან თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო ყოველგვარი ეჭვისაგან თავისუფალნი არიან. ისინი დროითაც, სიმრავლითაც და ერთმანეთთან თანხმობითაც უფრო მეტ ნდობას იმსახურებენ“[86].

მრავალი ბიბლეისტი, დროით ჩვენგან ნაკლებად დაშორებულნი, ებრაული ტექსტის სეპტუაგინტასთან შედარებისას აგრეთვე იმ დასკვნამდე მიდის, რომ „თანამედროვე ებრაული ტექსტის ნდობა არ შეიძლება, ვინაიდან იგი შერყვნილია“[87]. ამავე აზრს იზიარებდა ცნობილი მეცნიერი, მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი, ებრაული და ბერძნულ ენების შესანიშნავი მცოდნე, ავტორი წიგნისა „ჩანაწერები „დაბადების“ წიგნზე“. იგი წერს: „ქრისტიანობის პირველი საუკუნეების დროინდელი ბერძნული ტექსტი ქრისტიანობის მტრების ხელთ იყო და იგი შესაძლებელია შეგნებულადაც დაემახინჯებინათ, როგორც მას წმ. იუსტინე მარტვილი ამბობს თავის „ტრიფონთან საუბარში“[88].

შერყვნილი ებრაული ტექსტის განსაკუთრებით მტკიცე და ძლიერი წინააღმდეგი იყო წმ. თეოფანე დაყუდებული, რომელიც, კერძოდ, მიუთითებდა, თუ რა ეშმაკურად დაამახინჯეს ებრაელებმა ტიპიური მესიანური წინასწარმეტყველება, კერძოდ, ფსალმუნის ტექსტი: „რამეთუ არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს, არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელსა“ (15, 10). სული წმიდა მოციქულების მეშვეობით აქ ლაპარაკობს უფალ იესო ქრისტესა და მის მკვდრეთით აღდგომაზე ჯვარზე სიკვდილის შემდეგ (საქმე, 2, 27—31, 13, 35—37). ებრაელებმა ამ სიტყვების მესიანური მნიშვნელობის მისაჩქმალად ისინი ასე შეცვალეს: „არცა სცე წმიდათა შენთა (მრ. რიცხ!) ხილვა საფლავისა“[89].

ამით მტკიცდება ამ წინასწარმეტყველების მესიანური მნიშვნელობა უფალ იესო ქრისტეზე, რომელიც ხორცით მოკვდა და დაეფლა, მაგრამ სხეული არ გახრწნილა, რადგან უფალი აღსდგა თავისი ღმრთაებრივი ძალით.

ავიღოთ სხვა მესიანური წინასწარმეტყველება ფსალმუნიდან (39, 7), რომელიც სეპტუაგინტაში გადმოცემულია, როგორც ქრისტეს სახელით მამა ღმრთისადმი ნათქვამი სიტყვები: „შესაწირავი და მსხუერპლი არა გთნდა, ხოლო ხორცნი დამამტკიცენ მე“. წმ. ათანასე ალექსანდრიელის განმარტებით, ღმერთმა, მართლაც, მოამზადა მაცხოვრის ხორცი, რათა „სული წმიდა და ძალი მაღლისა გადმოსულიყო ყოვლადწმიდა ქალწულზე“ (შდრ. ლუკა, 1, 35). ებრაულ ბიბლიაში ნაცვლად სიტყვებისა „ხოლო ხორცნი დამამტკიცენ მე“ უცნაური გამოთქმაა ნახმარი: „ყურები გამიმახვილე?“ (!) მაგრამ წმ. პავლე მოციქულს ეს ადგილი 70-ის მიხედვით მოჰყავს, როგორც მესიანური წინასწარმეტყველება ღმრთის განხორციელების შესახებ:

„ამისთვის შემო-რაჲ-ვალს სოფლად, იტყვს: შესაწირავი და მსხუერპლი არა გთნდა, ხოლო ხორცნი დამამტკიცენ მე“ (ებრ. 10, 5). ცხადია, ეს ადგილი ებრაულ ბიბლიაში სწორედ მისი მესიანური მნიშვნელობის გასაქარწყლებლად დამახინჯდა. და რაკი ეკუმენისტურ ბიბლიაში იგი მასორეთული ტექსტის მიხედვითაა გადმოცემული, გასაგებია, რომ ქრისტიანობის მტრების მიერ წარყვნილ ტექსტს 70-ის ღმრთივსულიერ თარგმანზე და წმ. პავლე მოციქულის ღმრთივსულიერ ციტირებაზე მაღლა აყენებენ. ეკუმენისტებმა მასორეთულ ტექსტს უპირატესობა იმ მიზნით მიანიჭეს, რომ აღმოეფხვრათ უფალ იესო ქრისტეს, როგორც კაცთა მოდგმის ერთადერთი მხსნელისა და გამომსყიდველის რწმენა.

ესაია წინასწარმეტყველთან (7, 14) 70-ის თარგმანში ვკითხულობთ: „აჰა ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“. ამ წინასწარმეტყველებაში წმ. მათე მახარებელი (1, 23) გულისხმობს მაცხოვრის ზებუნებრივ შობას ქალწულ მარიამისაგან, რომელმაც მუცლად-იღო მესია, ძე ღმრთისა, სული წმიდის გარდმოსვლით. ებრაულ ტექსტში ნაცვლად სიტყვისა „ქალწული“ („ტალითა“, შდრ. მარკ. 5, 41) წერია „ალმა“, რაც ნიშნავს ახალგაზრდა ქალს, ჩვეულებრივ, გათხოვილს. წმ. ირინეოს ლიონელი ბრალს დებს იუდეველებს, რომ მათ განზრახ შეიტანეს ეს ცვლილება და აქედან გაჩნდა ცრუმოძღვრება, თითქოს იესო ქრისტე იყო იოსების შვილი, ანუ არ იყო ღმერთკაცი. ეს ცთომილება ზოგიერთმა „ქრისტიანმა“ ღმრთისმეტყველმაც გაიზიარა — ალბათ, ესეც მასონური გავლენის ბრალია.

მაგრამ თვითონ ისტორიული კონტექსტი ამ წინასწარმეტყველებისა მაცხოვრის ზებუნებრივი მუცლადღებისა და შობის სასარგებლოდ მეტყველებს. იუდეველ მეფე აქაზს, მიეცა წინასწარმეტყველება, რომ ღმერთი იხსნიდა მისი მტრების — ასურეთისა და ისრაელის მეფეთა ხელთაგან, რომლებსაც მის ტახტზე ტაბავეელის ძის აყვანა სურდათ (ეს. 7, 6). თუკი ეს მოხდებოდა, მაშინ აქაზს მთელი მისი სახლეულიანად გაჟლეტდნენ და დავითის მოდგმა გადაშენდებოდა (3 მეფ. 15, 29). ამ საფრთხემ შეაძრწუნა აქაზი და მთელი ხალხი (ეს. 7, 2). და აი, მათ დასამშვიდებლად ცხადდება ესაია და ღმერთის სახელით არწმუნებს აქაზს, რომ ეს არ მოხდება: „სახლო დავითისო!... ამისთვის თვით უფალმან მოგცეს სასწაული თქუენ: აჰა, ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“ (ეს. 7, 14).

ამრიგად, წინასწარმეტყველება გამოთქვა, როგორც ნიშანი: ქალწულმან მუცლად-იღოს!“ ნიშანი (სასწაული) არის რაღაც არაჩვეულებრივი, ზებუნებრივი, რაც ღმერთის ყოვლისშემძლე ძალაზე მეტყველებს. ხოლო თუ ვიტყვით, რომ ახალგაზრდა გათხოვილი ქალი (ებრ. ალმა) შობს ძეს, ეს რაღა სასწაული იქნება?! წინასწარმეტყველების აზრი ამაში მდგომარეობს: როგორც ის არის დაუჯერებელი, რომ ქალწული მამაკაცის გარეშე შობს ძეს — რაც აუცილებლად მოხდება, რამეთუ ამას თვით ღმერთი ამბობს! — ასევე დაუჯერებელია კაცობრივი გონებისათვის აქაზის ხსნა ძლიერ მტერთაგან, და ესეც უსათუოდ მოხდება, რადგან ამასაც თვით ღმერთი წინასწარმეტყველებს!

ასე ესმოდა ეს სიტყვა 70 მთარგმნელს და ამიტომაც თარგმნეს სიტყვა „ტალითა“ შესაბამისი ბერძნული სიტყვით „პართენოს“ — ქალწული. წმ. სვიმეონ ღმრთისმიმრქმელის ცხოვრებაში, რომელიც ერთ-ერთი 70-თაგანი იყო და რომელმაც სწორედ ესაიას წიგნი თარგმნა, მოთხრობილია, რომ როდესაც ამ წინასწარმეტყველებამდე მივიდა, მას ეჭვი შეეპარა, შეუძლია თუ. არა ქალწულს მამაკაცის გარეშე შვას ძე. მაგრამ მას გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც საღმრთო წერილისადმი უნდობლობა აყვედრა და უწინასწარმეტყველა, რომ არ მოკვდებოდა, ვიდრე არ იხილავდა ქრისტე მაცხოვარს, ყოვლადწმიდა ქალწულისაგან შობილს (ლუკა, 2, 26)[90].

თუკი შემოგვედავებიან, ებრაული ბიბლია ორიგინალია, ხოლო 70-ის ბიბლია — თარგმანი, ვუპასუხებთ, რომ ლაპარაკია არა უბრალოდ ორიგინალის და თარგმანის შედარებაზე, რომელსაც თვითონ ქრისტეს შობამდე მცხოვრები იუდეველები მიიჩნევდნენ ზუსტ და სარწმუნო წყაროდ. აი რას წერს წმ. თეოფანე დაყუდებული ბიბლიის ებრაული ორიგინალის შერყვნის თაობაზე: „იერუსალიმის დაცემისა და ებრაელთა განბნევის შემდეგ ებრაული ტექსტი მიზეზთა და მიზეზთა გამო შეირყვნა. მეორე საუკუნიდან მას სხვადასხვაგვარად კითხულობდნენ და სხვადასხვაგვარად ესმოდათ — ყველას თავისებურად. ამას მოწმობს ახალი თარგმანები ებრაულიდან ბერძნულად. რომლებიც II ს-ში შეასრულეს აქილამ, სიმაქოსმა და თეადოტიონმა — ეს თარგმანები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ნიშნავს, რომ ისინი სხვადასხვაგვარად კითხულობდნენ ებრაულ ბიბლიას. მათი თარგმანები ახლანდელი ტექსტისგანაც ბევრ რამეში განსხვავდება, მაშასადამე, ებრაული ტექსტი არა მარტო მანამდე, არამედ მათ მერეც იცვლებოდა. რაც უფრო მეტი დრო გადის, ებრა-

ული ტექსტი მით უფრო მახინჯდება, და მეტისმეტად დასცილდა თავდაპირველ ებრაულ ტექსტს, რომელიც ღმრთივსულიერმა მწერლებმა დაგვიტოვეს. ამ სახით მიიღეს იგი მასორეთებმა და ასევე შემოინახეს[91].

მასორეთები იყვნენ ებრაელი ფილოლოგები, რომლებმაც ჩვ. წ. V—X ს-ებში ჩამოაყალიბეს ბიბლიის ებრაული ტექსტის თანამედროვე რედაქცია და მისი ვოკალიზებაც მოახდინეს, ანუ ხელახლა გამოგონილი ხმოვნებით გაახმოვანეს. ამრიგად, მასორეთულ ბიბლიაში დამკვიდრდა თალმუდისტური წარმოთქმა და, რაც მთავარია, ბიბლიის ტექსტის თალმუდისტური რედაქცია, რომელიც ქრისტიანობასთან მსოფლიო იუდაიზმის ბრძოლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. ძველი აღთქმის უფრო ადრინდელი ხელნაწერები უბრალოდ განადგურდა.

მასორეთულ ტექსტს არცთუ უსაფუძვლოდ საყვედურობენ ანტიქრისტიანულ ხასიათს და ეს მაშინ, როდესაც სეპტუაგინტას ვერავინ დასწამებს, ქრისტიანების მხარე უჭირავს და იუდეველებისადმი მტრულადაა განწყობილიო. იგი ობიექტურია თავისი სულითაც და წინასწარმეტყველებათა ასრულებითაც და ემთხვევა ახალ აღთქმას, რამეთუ „დასასრული სჯულისა ქრისტე არს“ (რომ. 10, 4). ამიტომაცაა მესიანური წინასწარმეტყველებები წმ. წერილის ცენტრი, და სწორედ ისინი დაამახინჯეს იუდეველებმა, რაკი მტრად ეჭცნენ უკვე მოვლენილ მესიას!

70-ის თარგმანი ასეთი შეგნებული გაყალბებისაგან თავისუფალია. შეუძლებელია მისი დადანაშაულება ვინმეს მტრობაში და აქედან გამომდინარე, წმ. წერილის შერყვნაში იმიტომაც, რომ „იგი ჯერ კიდევ მანამ შესრულდა, სანამ მიწაზე ქრისტიანული რელიგიის დამფუძნებელი მოვიდოდა — იმ დროს, როდესაც მთარგმნელებს არავითარი მიზეზი არ ჰქონდათ ორიგინალიდან რაიმე გადახვევისა. ასეთი მიზეზები შეიძლება ჰქონოდათ მასორეთებს, რომლებიც ებრაულ კოდექსზე იმ დროს მუშაობდნენ, როდესაც ქრისტიანული რელიგია უკვე მთელ დედამიწაზე იყო გავრცელებული, თუმცა არ ეკუთვნოდნენ მის წიაღს“[92].

მესიანური წინასწარმეტყველებები სეპტუაგინტაში დამახინჯებული რომ ყოფილიყო, იუდეველები, რომლებიც მესიისაგან მოელოდნენ ხსნას (ლუკა, 2, 38), არასგზით არ მიიღებდნენ ამ თარგმანს. მათ ხომ თავისუფლად შეეძლოთ მისი შედარება თავიანთ, მაშინ ჯერ კიდევ შეურყვნელ ებრაულ თარგმანთან! ესე იგი, სეპტუაგინტა კი

არ ამახინჯებს ბიბლიის ნამდვილ ტექსტს, არამედ საღმრთო წერილის ნამდვილ თარგმანს წარმოადგენს. იგია ცოცხალი და მოუსყიდველი მოწმე ყოველივესი, რაც ქრისტესმიერი ცხონების შესახებ იყო ნაწინასწარმეტყველევი. მოსკოვის მიტროპოლიტის, ფილარეტის თქმით, 70-ის თარგმანი არის ებრაული ტექსტის სარკე, ისეთის, როგორიც იგი ქრისტეს შობამდე 200-ზე მეტი წლის წინ იყო"[93].

წმ. თეოფანე დაყუდებული სეპტუაგინტას შესახებ წერს: „უფალმა ინება, რომ იგი (სეპტუაგინტა) მისი ეკლესიის სასიცოცხლო სტიქია ყოფილიყო, ამიტომ უარყო ებრაული ბიბლია"[94]. ეკლესიის მთელი არსებობის მანძილზე 70-ის თარგმანი ავსებდა ეკლესიის ცხოვრებას და ამიტომ გახდა მისი „ძირითადი და მთავარი კანონი, რომლისაგან გადახვევაც ეკლესიის ცხოვრების საფუძვლებს არყევს"[95].

ასეთ შედეგამდე მივყავართ ბიბლიის ახალ ეკუმენისტურ თარგმანს, რომელიც ეყრდნობა არა სეპტუგინტას, არამედ ებრაული ბიბლიის მასორეთულ ტექსტს!

ბოლო ხანებამდე რაციონალური ბიბლეისტური კრიტიკა — აშკარად მასონური გავლენით, რომელიც განსაკუთრებით ბიბლიის საზოგადოებათა საქმიანობაში გამოჩნდა — მასორეთული ბიბლიის ავთენტურობას (ნამდვილობას) ამტკიცებდა. ამ გავრცელებული შეცდომის შედეგი ის იყო, რომ გასულ საუკუნეში რუსეთში ძველი აღთქმა საეკლესიო ხმარებაში მიღებული 70-ის თარგმანის მიხედვით კი არ თარგმნეს, არამედ ებრაული „ორიგინალიდან". მაგრამ ჩვენს დროში უკვე არც ერთი კეთილსინდისიერი მეცნიერი არ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ მასორეთული ტექსტი უფრო ავთენტურია, ვიდრე 70-ის თარგმანი, და ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. ამას ხელი შეუწყო ყუმრანის ხელნაწერების სენსაციურმა აღმოჩენამ (1950-იანი წლები) და მათმა მეცნიერულმა შესწავლამ. როგორც გაირკვა, ძვ. წ. I საუკუნის (ანუ ბევრად ადრინდელი, ვიდრე მასორეთულია) ებრაული ხელნაწერები ყუმრანის გამოქვაბულიდან შეიცავენ ბიბლიის ტექსტის ვარიანტებს, რომლებიც მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციაში დამკვიდრებულ 70-ის თარგმანს შეესაბამება და არა გვიანდელ მასორეთულ „ორიგინალს", რომელთაც კათოლიკე, პროტესტანტი და ებრაელი ბიბლიისტები გვახვევენ თავს.

ზუსტად ასი წლის წინ წმ. თეოფანე ჩვენი დროის მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა. რუსეთში მაშინ დიდი სჯა-ბაასი იყო გამართული

ბიბლიის ტექსტის თარგმნის თაობაზე. ამტკიცებდნენ, რომ თარგმანი უნდა შესრულებულიყო არა სეპტუაგინტადან, არამედ მასორეთული ტექსტიდან. ეპისკოპოს თეოფანეს კარგად ესმოდა განსხვავება მასორეთულ ბიბლიასა და სლავურ თარგმანს შორის, რომელიც ზუსტად მისდევდა 70-ის თარგმანს და მთელ რუსეთში იყო მიღებული საეკლესიო თუ კერძო ხმარებაში. მის წინაშე მთელი სიმკვეთრით დადგა საკითხი: რას იფიქრებენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, როდესაც ახალ რუსულ თარგმანსა და ნაცნობ სლავურ ტექსტში სხვადასხვა აზრებს წაიკითხავენ? წმ. თეოფანე წერდა: „შეუძლებელია, რომ ამან სარწმუნოება არ შეურყიოს ადამიანებს. შეუძლებელია, წმ. წერილი სხვადასხვა რამეს ამბობდეს — იგი ერთია. ამიტომ ან ებრაული ბიბლიაა ნამდვილი, და მას უნდა მივდიოთ, ანდა ბერძნული — და მაშინ ებრაულს თავი უნდა დავანებოთ. ხოლო როდესაც საეკლესიო წიგნებში ბერძნულ ტექსტს ტოვებენ, ჩვენ კი ებრაულს გვთავაზობენ, რომელიც განსხვავებულია მისგან, რა გამოდის? რაკი ვერ ვიტყვით, აქაც და იქაც ჭეშმარიტებაა, მაშინ ისღა დაგვრჩენია, ვთქვათ, რომ ჭეშმარიტება არც ერთშია, არც მეორეში, ანუ მივანებოთ ბიბლია ნებისმიერ მთარგმნელს და ზურგი ვაქციოთ ყოველგვარ გამოცხადებას. ის, ვინც ახალ თარგმანს მიენდობა და დაიწყებს ფიქრს, რომ საეკლესიო ბიბლიაში ჭეშმარიტება არ არის, ვერ გათავისუფლდება ეჭვისაგან, რომ ეკლესია ჭეშმარიტებას არ ასწავლის და იგი სადღაც სხვაგან უნდა ვეძებოთ. ასეთი კაცი მიატოვებს ეკლესიას, ხოლო ვინც უფრო გაბედულია საერთოდ ყოველგვარ სარწმუნოებასაც ზურგს შეაქცევს! ჩვენში დაკანონებულია, რომ წმ. წერილის გასაგებად წმ. მამებს მივაკითხავთ ხოლმე, წმ. მამები კი წმ. წერილს 70-ის თარგმანის მიხედვით განმარტავდნენ. ახალი თარგმანი გვართმევს შესაძლებლობას მართლმადიდებლურად გავიგოთ სიტყვა ღმრთისა, ვინაიდან წმ. მამების მიერ მიღებული ტექსტისაგან განსხვავებულ ტექსტს გვთავაზობს“.

და ბოლოს, განაზოგადებს რა იმ ზიანს, რომელსაც მართლმადიდებელ ეკლესიას ძველი აღთქმის წიგნების ებრაული ბიბლიიდან თარგმან აყენებს, ეპისკ. თეოფანე წერს: „ებრაულიდან თარგმნილი კალაპოტიდან გვაგდებს. ვღებულობთ ახალ აზრებს, ახალ ეკლესიას, ახალ ერას — ასეთია ამ თარგმანის შედეგები!“[96]

ბიბლიის ახალი ეკუმენისტური თარგმანით ქრისტიანობა იუდეველობას მიეყიდა! „მაქსიმალურად ითვალისწინებენ რა მასორეთულ, ანუ ებრაულ ტექსტს, რაბინისტული ტრადიციის მიერ დად-

გენილსა და ებრაულ ბიბლიებში დაბეჭდილს", ე. წ. ქრისტიანი მთარგმნელები ეკლესიიდან გასვლას უწყობდნენ ხელს (რაც იუდეველთა გეგმებს შეესაბამება), რამეთუ, ძვ. აღთქმის მესიანურ წინასწარმეტყველებათა შერყვნით მასორეთული ბიბლია ქრისტიანებს ასწავლის არ სწამდეთ ქრისტე, როგორც აღსრულება ყველაფრისა, რაც მის შესახებ დაიწერა „სჯულსა მოსესა და წინასწარმეტყველთასა და ფსალმუნთა" (ლუკა, 24, 44) — არ სწამდეთ, რომ ქრისტე არის მესია, რომლის შესახებაც მოსე წერდა (იოანე, 5, 46). ბიბლიის ეკუმენისტური თარგმანი ჩააგონებს ქრისტიანებს, რომ იესო ქრისტე არის „ცრუმესია" და „მაცთური", როგორც მას იუდეველმა მღვდელმთავრებმა პილატეს წინაშე უწოდეს (მათე, 27, 63), და ამზადებს ნიადაგს იმისათვის, რომ ადამიანებმა ჭეშმარიტ „მესიად" იესო ქრისტეს მიერ ნაწინასწარმეტყველი თვითმარქვია და მაცთური — ანტიქრისტე აღიარონ (იოანე, 5, 43).

მესიის შესახებ ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტების წინააღმდეგ ბრძოლა მოციქულთა დროიდან დღევანდელ დღემდე გრძელდება. ბიბლიას შეგნებულად ამახინჯებდნენ არა მარტო პირველ საუკუნეებში მცხოვრები იუდეველები ანდა V—X საუკუნეების მასორეთები. XIX ს-ში ლონდონში ბიბლიის რუსული გამოცემის ავტორები წერდნენ: „ჩვენ ერთადერთი რამ გვსურს და ერთს მოვითხოვთ: თავისუფლებას საეკლესიო ცნებებისა და 70 მთარგმნელისაგან!"[97]. ჩვენს დროში ეკუმენისტ-მასონებმა მოიპოვეს კიდეც ეს „თავისუფლება" — ისინი ძველ აღთქმას მასორეთული ტექსტის მიხედვით თარგმნიან! ასეთი გადახვევა სჯულისაგან იუდაიზმის მხარეს არის ეკუმენისტური ბიბლიის მთარგმნელთა პირველი დიდი დანაშაული. მეორე საშინელი დანაშაული ისაა, რომ „დასახმარებლად" შუა საუკუნეების ებრაელ ეგზეგეტებსა და თანამედროვე ებრაელ ბიბლეისტებს მიმართავენ.

წმ. მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის აღიარებდა, რომ წმ. წერილში არის ძნელად გასაგები ადგილები, რომლებსაც „უსწავლელნი და დაუმტკიცებელნი გარდააქცევენ... მსგავსად მათისავე მის წარწყმედისა" (2 პეტ. 3, 16). მიუხედავად ამისა, მათ არასოდეს მიუმართავთ დასახმარებლად უმადლო იუდეველთათვის, რომლებიც „შებრკოლდნენ ლოდსა მას შებრკოლებისასა" ანუ ქრისტეზე (რომ. 9, 32; I პეტ. 2, 7). ესენი არიან, ვინც არ ირწმუნა ქრისტე, და მათ შესახებ არაერთგზის ამბობს წმ. წერილი: „მოსცა მათ ღმერთმან სული მწუხარებისა, თუალნი, რაჲთა არა ჰხედვიდენ, და უურნი, რა-

ᲛᲗᲐ ᲐᲠᲐ ᲔᲡᲛᲝᲓᲘᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲦᲔᲘᲜᲓᲔᲚᲐᲓ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ“ (რომ. 11, 8; მეორე სჯ. 29, 4; ეს. 6, 9; საქმე. 28, 25—27). ყველასათვის ცხადია, რომ იუდეველები „ურწმუნოებითა გარდასტყდეს“ და განვარდნენ ქრისტესაგან (რომ. II, 20—22), მტრად ექმნენ ქრისტეს ჯვარს (ფილიპ. 3, 18), მათ არც თვითონ სწამთ ქრისტე და სხვებსაც აბრკოლებენ (1 თეს. 2, 16). როგორღა უნდა მივმართოთ მათ ბიბლიის განმარტებისათვის?

ძველი აღთქმა მჭიდრო კავშირშია ახალთან და მასთან ერთად ერთ მთელს შეადგენს — იგია მხოლოდ მომზადება აღთქმული მესიის მისაღებად. თვითონ ძველი აღთქმა ქრისტეს გარეშე გაუგებარია, რამეთუ „დასასრული სჯულისა ქრისტე არს“ (რომ. 10, 4). ამიტომაა გაუგებარი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველური სიტყვები უფალ იესო ქრისტეზე იუდეველთათვის, რომლებიც განზრახ ხუჭავენ თვალებს, რათა ვერ იცნონ იგი (ეს. 6, 9; იოანე, 12, 40), ძველი აღთქმა მხოლოდ მათთვისაა გასაგები, ვისაც ჭეშმარიტად სწამს ძე ღმრთისას განხორციელება (იოანე, 1, 49), რომელთა შორისაც პირველები წმ. მამები არიან.

ახლანდელი ეკუმენისტი „ქრისტიანები“ ცდილობენ ჩაწვდნენ ქრისტეს შესახებ წინასწარმეტყველებათა ძალას არა წმ. მამათა მეშვეობით, რომლებმაც განიწმიდეს თავი ჭეშმარიტების მისაღებად (მათე, 5, 8), არამედ იუდეველთა დახმარებით, რომელთა შესახებაც უფალი ამბობს, რომ „განზრქა გული ერისა ამის, და ყურითა მძიმედ ისმინეს, და თვალნი მათნი დაიწუხნეს, ნუუკუე იხილონ თუალითა და ყურითა ისმინონ და გულისხმა-ყონ“ (მათე, 13, 15). დღეს „ქრისტიანებს“ სურთ სულიერი ნათლის მიღება წმ. წერილისგან, მაგრამ არა ამ ნათლით განათლებული წმ. მამების მეშვეობით, არამედ იუდეველ განმმარტებელთა საშუალებით, რომლებიც შეგნებულად ამახინჯებენ ძველი აღთქმისეულ წინასწარმეტყველებებს ქრისტეზე — სოფლის ნათელზე (იოანე, 8, 12). ამ „ქრისტიანებს“ თითქოს კი უნდათ ჩამოიხსნან საბურველი, ქრისტეს ჭეშმარიტების ხედვას რომ უშლით, მაგრამ ამისთვის ღმრთივგანბრძნობილ მამებს როდი მიმართავენ, რომლებსაც აქვთ „გონება ქრისტესი“ (1 კორ. 2, 16), არამედ ურწმუნო იუდეველებს. ის კი არ იციან, რომ ეს საბურველი მხოლოდ ქრისტეს მიერ განქარდება (2 კორ. 3, 16).

რა ახსნა-განმარტებას უნდა მოველოდეთ შუა საუკუნეების ებრაელი განმმარტებლებისგან — რაშლის, კიმპის, იბნ-ეზრასა და თანამედროვე ებრაელი ბიბლეისტებისაგან? შუა საუკუნეების დრო-

ინდელი იუდეველები ყოველთვის ქრისტეს მოსისხლე მტრები იყვნენ, ახლანდელი ებრაელი ბიბლეისტები კი ხშირად უბრალოდ მასონები და მასორეთებისა და თალმუდისტების ერთგული მიმდევრები არიან. იბნ-ეზრას შესახებ ცნობილია, რომ იგი „იყო ერთ-ერთი გამოჩენილი კაბალისტი და თავის თავში აერთიანებდა მისტიციზმსა და რაციონალიზმს... მან რაღაც საიდუმლო მისტიკური სწავლება გამოიგონა, რომელიც ყველა საგანს უცნაურ ბინდ-ბუნდში ხვევდა. ამ სწავლებას იცნობდა რ. რეიხლინი? მან იბნ-ეზრას წიგნები თალმუდთან, ზოგართან და რაშლისა და კამპის თხზულებებთან ერთად შეიტანა იმ ებრაული წიგნების რიცხვში, რომლებიც „ღმრთისმეტყველებისა და მეცნიერებისათვის სასარგებლონი არიან და არავითარ წვალებას არ შეიცავენ“. იბნ-ეზრას კეთილად იხსენიებს ნიკოლოზ კუზანელიც, რომელიც ხშირად ეყრდნობოდა ებრაელ სწავლულთა — გაბიროლის, ეზრას და განსაკუთრებით მაიმონდის „თავისუფალ ღმრთისმეტყველებას“. ამ „ღმრთისმეტყველთა“ გავლენით „ქრისტიანმა“ კარდინალმა გადაწყვიტა შეექმნა „ერთი საერთო რელიგია, რომელიც რაღაც საერთო მინიმუმის საფუძველზე გააერთიანებდა ქრისტიანებსაც, მაჰმადიანებსაც, წარმართებსაც და ებრაელებსაც“[98].

ცნობილია, რომ ეს იდეა მასონობიდან მოდის და მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, რომლის შესრულებასაც მთელი ეკუმენისტური მოძრაობა ემსახურება. როგორ უნდა მიმართავდნენ ქრისტიანები წმ. წერილის რთული ადგილების გასარკვევად ებრაელ განმმარტებლებს, როდესაც სწორედ ისინი არიან თანამედროვე მასონური ეკუმენიზმის სულისჩამდგმელები?

წმ. მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის ურჩევდა თავის შვილებს ძველი და ახალი აღთქმის კითხვას, მაგრამ უკრძალავდა მის „თავისებურად“ განმარტებას, როგორც ამას პროტესტანტები სჩადიან. წმ. წერილის განმარტებას ეკლესია მხოლოდ წმ. მამებსა და ეკლესიის მოძღვრებს ანდობს, რამეთუ მიაჩნია, რომ „შეუძლებელია ყველა ჩასწვდეს იმას, რასაც სული წმიდა მხოლოდ სიბრძნითა და სიწმიდით სრულებს უმჟღავნებს“[99]. ეკლესიის ეს მოთხოვნა VI მსოფლიო კრების მე-19 კანონშია ასახული, რომელიც ეკლესიის წინამძღვრებს ავალებს მთელ სამღვდელო დასსა და მორწმუნე ერს უქადაგონ ღმრთისმოშიშება, ამასთან არ გადასცდნენ ერთგზის დადგენილ საზღვრებსა და ღმრთივსულიერ მამათა გადმოცემებს... ნუ შეცვლიან და გადაასხვაფერებენ წმ. წერილს, არამედ გადმოსცენ

ისე, როგორც ეკლესიის მნათობთა და მოძღვართა მიერ არის აღწერილი".

რაც შეეხება ბიბლიის ახალ თარგმანს, ებრაელთა „დახმარებით" შესრულებულს, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ძველი აღთქმის მასორეთული ტექსტის მეშვეობით ეკუმენისტები შეეცდებიან ყოველგვარი აზრი დაუკარგონ ახალ აღთქმას და განაცალკევონ მესიანური წინასწარმეტყველებანი ახალი აღთქმისაგან, რომელშიც ყველა ეს წინასწარმეტყველება ასრულდა ღმერთკაცის — უფალ იესო ქრისტეს პიროვნებაში.

დღეს მასონობა თავის მთავარ მიზანს ეკუმენიზმის საშუალებით ასრულებს და საკმაოდ დიდი წარმატებითაც. ვანკუვერის VI გენერალურ ასამბლეაზე საქმე იქამდე მივიდა, რომ გერმანელმა დოროთეა ზელლემ ასამბლეის მონაწილეებს ახალი სახარებების შექმნისაკენ მოუწოდა, რადგან თურმე „ძველი სახარებები თანამედროვე მოთხოვნებს აღარ შეესაბამება"[10C].

ეკუმენისტები უტიფარი კადნიერებით ეპყრობიან ღმრთაებრივ გამოცხადებას: აქამდე მორწმუნენი მისგან სვამდნენ ღმრთის ცნობის სასმელს, ახლა კი ჰეშმარიტი სარწმუნოებისგან განდგომილებს „ახალი სახარებების" შექმნას სთავაზობენ, რათა მასში თავიანთი ცთომილებები შეიტანონ და მკრეხელური გამონაგონი საკუთარი გემოვნებით შეთხზული ცრუ „წერილებით" გაამაგრონ.

ჰეშმარიტებისაგან განდგომის ამ საზარელ სურათის ხილვაზე, თვით ღმრთაებრივი გამოცხადების ხელშეუხებ სფეროსაც რომ მისწვდა, გვახსენდება ის ავბედითი სიტყვები, რომლებიც ერთმა რუსმა მართლმადიდებელმა ქალმა მოისმინა 1950-იან წლებში ბელგიაში, გავლენიანი დასავლელი ეკუმენისტისაგან: „XX საუკუნის ბოლოს ქრისტიანები უკვე ახალ ბიბლიას წაიკითხავენ!"

ამრიგად, მართლმადიდებელი ქრისტიანი არ უნდა იყოს ეკუმენისტი, რამეთუ:

1) **ეკუმენიზმი ქადაგებს „სიყვარულსა" და „შემწყნარებლობას" წვალებათა მიმართ;**

2) **აღმოფხვრის ქრისტესმიერ ჰეშმარიტებასა და სიყვარულს;**

3) **ბიბლიის ეკუმენისტური თარგმანებით კლავს ქრისტეს სარწმუნოებას;**

4) **ქრისტიანებს სხვა რელიგიებთან აერთიანებს და ამით ინტერკონფესიონალური ეკუმენიზმისაკენ მიგვიძღვის!**

მე-16 მ ი ზ ე ზ ი

ეკუმენიზმი ახალგაზრდა ეკუმენისტებს შორის ამკვიდრებს მკრეხელურ „ლიტურგიკულ“ სტილს—ჯაზით, ცეკვებითა და ღვრთისმგმობი ლოცვებით

ა) მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკული სტილი

მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთადერთი ლიტურგიკული სტილია ცნობილი, მოციქულთაგან წმ. იაკობ მოციქულის ლიტურგიის საშუალებით ნაანდერძევი, ეკლესიის წმ. მამათა მიერ შეწყნარებული, საუკუნეთა მანძილზე გამოტარებული და ჩვენამდე საეკლესიო მემკვიდრეობითობის გზით შემონახული. ეს ლიტურგიკული სტილი, რომელიც უფრო გვიანდელ ლიტურგიკულ ფორმებში განხორციელდა (წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. გრიგოლ დიალოგოსის ლიტურგიებში), მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს: ღმრთის წინაშე ლოცვა, სინანული, მოწიწება, მადლიერება და სიყვარული და მისი სრული ერთგულება.

მოითხოვს რა ჩვენგან, რომ სიმდაბლით თაყვანს ვცემდეთ ღმერთს — ყოველი სიკეთის მომნიჭებელს, მართლმადიდებლური ლიტურგიკული სტილი ხელს უწყობს ჩვენს სულიერ ზრდასა და ღმერთთან დაახლოებას. მართლმადიდებლურ ღმრთისმსახურებას სულ სხვა სამყაროში შევყავართ და გვიჩვენებს წმ. ლიტურგიას — ზეციურ მსახურებას, რომელიც აქ, მიწაზე სრულდება. წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „ზეცაში ანგელოზთა მწყობრნი გალობენ, მიწაზე ადამიანები ეკლესიებში აწყობენ ასეთივე გუნდებს და ანგელოზთა დიდებისმეტყველებას ბაძავენ. ზეცაში სერაფიმნი ღაღადებენ სამების საგალობელს, მიწაზე ადამიანთა სიმრავლე ამავე გალობას აღუვლენს ღმერთს — ესაა ზეციურ და მიწიერ არსთა საერთო დღესასწაული, საერთო მადლობა, აღტაცება და სიხარული. ყოველივე უფლის მიუწვდომელი მოწყალებით დაწესდა და სული წმიდამ შეადგინა, ხმათა ჰარმონია კი მამის ნებითაა შეზავებული“[101].

წმ. მამები გვასწავლიან, რომ ქრისტიანებმა მოწიწება და ღმრთის შიში უნდა შეიმოსონ, რათა ღირსეულად მიიღონ მონაწილეობა წმ. ლიტურგიაში, რომელსაც ძრწოლით უსმენენ თვით ანგელოზები (შდრ. I პეტ. 1, 12). სხვაგვარად ერისკაცები არათუ ცოდვათა მიტევებასა და ღმრთის განმაცხოველებელ მადლს მიიღებენ, პირიქით, გაიორკეცებენ თავიანთ დანაშაულს ღმრთის წინაშე და შინ კიდევ

უფრო ცოდვილნი დაბრუნდებიან[102]. ღმრთის სათნომყოფელნი მტკიცედ ებრძოდნენ წარმართული კულტების ნარჩენებს, მაგალითად, უწესო ქცევას ტაძარში, ყვირილს, ყოველგვარ თეატრალურობას, თავაშვებულ გალობას, რომ აღარაფერი ვთქვათ თამაშებსა და ცეკვებზე, რომლებიც დაუშვებელია ეკლესიაში და საერთოდ, არ შეეფერება ქრისტიან კაცს.

წმ. კირილე იერუსალიმელი მოითხოვს, რომ სალოცავად შეკრებილ ქრისტიანთა შორის მოწიწების სულისკვეთება და წესრიგი იყოს: „არ შეგვფერის ყალბი და გამკივანი ხმით აღვუვლენდეთ ღმერთს ლოცვას... რამეთუ ღმერთი ჩვენს ბაგეთაგან გამოსულ ხმას კი არ ისმენს, არამედ ჩვენი გულის ხმას“[103]. ნეტარი ჰიერონიმეც სთხოვს ახალგაზრდებს, იმდენად ყელს ნუ დაატანენ ძალას ეკლესიაში გალობისას, რამდენადაც გულს, რათა ღმრთის ტაძარი თეატრად არ იქცეს[104]. ნეტარი ავგუსტინე თავის „აღსარებაში“ წერს: „როდესაც გალობა უფრო ეხება ჩემს გულს, ვიდრე ის, რასაც გალობენ, ვგრძნობ, რომ მძიმედ ვცოდავ, და ვცდილობ აღარ ვუსმინო მგალობელს“[105].

ღმრთის სათნომყოფელნი საეკლესიო გალობაში თვითმიზანს როდი ხედავდნენ, არამედ გზას ლოცვისა და სინანულის განწყობის შექმნისათვის და სულის ღმერთთან დაახლოების საშუალებას. მაშასადამე, საეკლესიო მუსიკის მიზანი ესთეტიური ტკბობის მინიჭება კი არა, ადამიანის ზეცად აღყვანებაა.

VI მსოფლიო კრების წმ. მამები ამ კრების 75-ე კანონში ბრძანებენ: „გვსურს, რომ ეკლესიაში ლოცვისა და გალობისათვის შეკრებილნი ნუ ხმაურობენ უწესოდ და თავს ნუ აიძულებენ, რომ იყვირონ. ნურც იტყვიან რაიმე ისეთს, რაც არ შეესაბამება ეკლესიას, არამედ დიდი ლმობიერებით უნდა შესწირავდნენ თავიანთ ლოცვას ღმერთს, რომელიც „ხედავს დაფარულთა“ (მათე, 6, 6)“. წმ. მამები, რომლებიც განსაკუთრებით იცავდნენ ქრისტიანთა უბიწოებას, ერისკაცებსაც კი უკრძალავდნენ ყოველგვარ მონაწილეობას უწესო თამაშებსა და გართობაში (VI მსოფლიო კრების 51-ე კანონი), ცეკვებში, რომლებიც არაწმიდა გულისთქმებს აღძრავენ, სხვადასხვა წარმართულ სანახაობებში. მაგალითად, მამაკაცებს ეკრძალებოდა ქალის სამოსის ჩაცმა და ქალებს — მამაკაცისა (62-ე კანონი), აგრეთვე სატირული, ტრაგიკული და კომიკური ნიღბების ტარება და ყოველგვარი უწესო შექცევა, რაც მორწმუნე ქრისტიანებს არ შეჰფერით.

ასეთი სიმკაცრის წყალობითაა, რომ მართლმადიდებელმა ეკლე-

სიამ თავის ერთგულ შვილთა შორის, მეტადრე ლიტურგიკულ ცხოვრებაში, შეინარჩუნა ლოცვის, სინანულის, გულის შემუსრვილებისა და მოწიწების სულისკვეთება.

ცნობილი რუსი კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი აღშფოთებული იყო მოდერნისტული ტენდენციების გაჩენით რუსულ საეკლესიო მუსიკაში, უკვე მაშინ რომ შეიმჩნეოდა. პუბლიკის გულის მოსაგებად, რომელიც ეკლესიაში „კარგი გალობის“ მოსასმენად დადიოდა, ძველი საგალობლები შეცვალა დაშაქრულმა საერო მელოდიებმა. ესინი იაფფასიან ეფექტებს კი ახდენდნენ, მაგრამ სულში სიცარიელე შეჰქონდათ[106].

მართლმადიდებელ ეკლესიაში არაერთხელ ყოფილა საეკლესიო გალობის „მოდერნიზაციის“ მცდელობა, მაგრამ საბედნიეროდ, ამას შედეგი არ მოჰყოლია, რამეთუ ეკლესია ყოველთვის ებრძოდა საერო სულისკვეთების შემოჭრას საეკლესიო მუსიკაში.

ბ) დასავლეთის ახალი „ლიტურგიკული“ სტილები

რეფორმაციის ეპოქიდან მოყოლებული, დასავლეთი თავისი გზით წავიდა და პროტესტანტულ სამყაროში სულ სხვა სულისკვეთება დამკვიდრდა. ღმრთისმსახურებამ დაკარგა თავისი მისტიური სახე, მაგრამ ამაში მხოლოდ პროტესტანტიზმი როდია დამნაშავე უფრო ადრე კათოლიკურმა ეკლესიამ უღალატა უძველეს ქრისტიანულ ტრადიციებს და ღმრთისმეტყველებაში ინსტრუმენტული მუსიკა შეიტანა, რამაც საეკლესიო გალობას საერო ელფერი შესძინა. თუ ძველი აღთქმისეულ ღმრთისმსახურებაში გალობას ზოგჯერ თან ახლდა მუსიკა, ეს იმდროინდელი კაცის უძლურებისადმი შემწყნარებლობის გამო ხდებოდა (შდრ. მათე, 19, 3). რაც ახალი აღთქმის ერა დაიწყო, ინსტრუმენტული მუსიკა ღმრთისმსახურების დროს უკვე აღარ იყო საჭირო. საეკლესიო გალობას განხორციელებული ძე ღმრთისას შემწეობით მატერიალური სამყაროდან სული წმიდის უხრწნელ სამყაროში უნდა გადავყავდეთ.

დასავლეთში, სადაც მატერიალური ყოველთვის სჯობნიდა სულიერს, ღმრთისმეტყველებაში ინსტრუმენტული მუსიკა დამკვიდრდა. „საერო ელემენტი განუწყვეტლივ იჭრება საეკლესიო მუსიკაში და უკვე მიაღწია გარკვეულ წარმატებებს. მაგალითად, დასავლეთის ღმრთისმსახურებაში შეიძლება მთელი საოპერო ორკესტრი მონაწილეობდეს, თუმცა ლიტურგიის ლიტერატურული ნაწილი (თუ

შეიძლება ასე ითქვას) აგერ უკვე 2000 წელია შეუვალია პოეტებისა და დრამატურგებისთვის, რომლებიც დიდი სიამოვნებით შექმნიდნენ წმ. ბასილი დიდისა და წმ. იოანე ოქროპირის ტექსტების ახალ ვარიანტებს"[107].

თუ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი ლიტერატურული ტექსტების მკაცრი ხელშეუხებლობის შესახებ, დღეს, ამ ეკუმენისტურ ეპოქაში, ეს შეუძლებელია. პროტესტანტულ სამყაროში ეკუმენისტურ ნიადაგზე ახალი „ლიტერატურული" სტილები ჩნდება, რომლებიც აძევებენ უწინდელ საღმრთისმსახურო წესს, ამასთან, საორკესტრო მუსიკას ჯაზი ცვლის.

როდესაც უწინ, დასავლეთის მესსების სენტიმენტალურ-ესთეტიკური ტრადიციის გავლენით ჩნდებოდა კითხვა — მაინც რატომ უარყოფს მართლმადიდებელი ეკლესია ინსტრუმენტულ მუსიკას ტაძარში? პასუხად ჩვეულებრივ ამბობდნენ, რომ ორკესტრი ბადებს მშვინვიერსა და არა სულიერ განცდებს და საბოლოოდ მიწიერს ხდის სამშვინველს, არ აძლევს მას სულის უხრწნელ სფეროში შეღწევის უფლებას. ახლა, როდესაც ინსტრუმენტული მუსიკას ჯაზი მოჰყვა, ისლა დაგვრჩენია, მადლიერებით აღვსილებმა ვთქვათ: „მადლობა ღმერთს, რომელიც სიბრძნით წარმართავს თავის წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიას, იმისათვის, რომ ტაძარში ყოველთვის აკრძალული იყო საორკესტრო მუსიკა! თორემ საორკესტრო მუსიკის კვალდაკვალ ღმრთისმსახურებაში ჯაზიც შეიჭრებოდა, როგორც ეს ეკუმენისტურ დასავლეთში მოხდა".

ჩვენს მიერ არაერთხელ ციტირებულმა ჟურნალმა „რისკმა" 1969 წ. თავისი პირველი ნომერი მიუძღვნა თემას „ცოცხალი ლიტერატურული სტილი", რომელშიც ლიტურგიის ახალ სახეებსა და ახალ ლოცვებზე იყო საუბარი. რას წარმოადგენენ ისინი? ყოველ შემთხვევაში, არაფერი აქვთ საერთო ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიულ სტილთან, რომელშიც ძირითადია ვედრებისა და სინანულის, ქებისა და მადლობის მოტივები. ახალ სტილს არც უწინდელ პროტესტანტულ ლიტურგიებთან აკავშირებს რამე — მასში შეტანილია ულტრათანამედროვე მუსიკა, ჯაზი დოლების თანხლებით, ღმრთისმსახურების დროს კი „კალიფსოს", ტვისტსა და როკს ცეკვავენ. ამ „ლიტურგიკულ" სიახლეებს დასავლეთში, უეჭველია, მასონობა შთააგონებს და წარმართავს.

„რისკის" იმავე ნომერში ვკითხულობთ: „ნაციონალურ ლიტურგიკულ კონფერენციაზე (ვაშინგტონი, 1968), დასკვნით ლიტურგი-

ის დროს უკრავდნენ „კალიფსოს“, ჯაზსა და „ევანგელურ“ როკს, რომელიც დოლების მძლავრი აკორდით დასრულდა, ხოლო „ზიარების“ შემდეგ საკურთხევლის წინ ერთ-ერთმა ჯგუფმა იცეკვა... ლონდონში, წმ. პავლეს ტაძარში სამთვიანი ახალგაზრდული ფესტივალი დამთავრდა წირვით, რომელიც შედგებოდა მუსიკის, დრამისა და ცეკვისაგან“. გაირკვა, რომ ინდოელი ეკუმენისტი რონი სეკვიერა წერს დისერტაციას ცეკვის, როგორც ლიტურგიკული გამოხატვის საშუალებაზე, და თვითონაც ცეკვავს „ლიტურგიის“ დროს „მამაო ჩვენოს“. ჟურნალში მოთავსებულია ფოტო: პასტორი ტრაპეზზე „ევქარისტიას“ აღასრულებს, მის წინ კი ინდოელი მოცეკვავე ოგრიხება. ამაზე უფრო მკრეხელური პაროდიის წარმოდგენა ალბათ შეუძლებელია!

ავსტრალიაში „ანგლიკანური საღმრთისმეტყველო ინსტიტუტის სტუდენტებმა ტელევიზიით უჩვენეს „ლიტურგია“, რომლის თხოვნითი ნაწილი საკვირაო გაზეთის კითხვაზე იყო აგებული. იკითხებოდა პოლიტიკური, სავაჭრო და სპორტული ცხოვრების ახალი ამბები, და ყოველ მათგანს ლოცვა მოსდევდა.

„რისკის“ თანამშრომლები ლიტურგიაში ჯაზის მონაწილეობას იმით ამართლებენ, რომ „დოლების ხმაური იმდენადვე გამომსახველია, რამდენადაც ზარების რეკვა“. მაგრამ რომელი მორწმუნე დაეთანხმება ასეთ აბსურდულ მტკიცებას? რა საერთო აქვთ ზარების რეკვასა და ჯაზურ მუსიკას, რომელიც თავისი ველური რიტმით და დოლების გაშმაგებული ხმაურით ახალგაზრდებში ხორციელ ვნებებს აღვივებს? ის არგუმენტი, თითქოსდა ჯაზი ეკლესიებში იზიდავს ახალგაზრდობას, საფუძველს მოკლებულია. ჯაზი ახალგაზრდობას სინანულისკენ ვერ გაუძღვება და ღმრთისმოშიშ ადამიანებს კი ჩამოაშორებს ტაძარს, რაც კიდევაც ხდება დასავლეთის მრავალ ეკლესიაში. ახალგაზრდებს ტაძარში ჯაზი და ცეკვები კი არ მიიზიდავს, არამედ ქრისტეს მიერ ნაქადაგები თავის უარყოფა და უბიწოება!

ყველაფრიდან ჩანს, რომ აღწერილი „ლიტურგიული წარმოდგენების“ მიზანია, ევქარისტია იქცეს შირმად, რომლის მიღმაც დაუსჯელად ჩატარდება მკრეხელური პაროდიები, თვითონ ევქარისტია კი იმდენად წაიბილწოს, რომ ანტიქრისტეს ეპოქაში სრულიად ზედმეტი გახდეს.

სტატიაში „ლოცვა, ქება და პროტესტი“ ბრიან ფროსტი აღფრთოვანებით მოგვითხრობს ღმრთისმსახურების ახალ ფორმებზე. მისი აზრით, ეს ფორმები ყოფილა „ნამდვილი გამოხატულება სუ-

ლისა, რომელიც „ყოველსავე ჰყოფს ახლად“ (ეს არის მკრეხელური სპეკულაცია აპოკალიფსის წმ. ტექსტისა (21, 5), იგივე სიტყვები იყო უფსალის ასამბლეის ლოზუნგი). ავტორი ამ მხიარულ ჯაზურ „ლიტურგიებს“ სული წმიდას მიაწერს, თუმცა სინამდვილეში სული წმიდა კი არა, მისი წინააღმდგომი სული უკეთურებისა (ეფ., 6, 12), მსურველი ახალგაზრდობის ზნეობრივი გახრწნისა, ცდილობს ჩაკლას სიწმიდის გრძნობა და ტაძარი გასართობ დაწესებულებად აქციოს.

თუმცა სტატიის ავტორი ამასაც არ სჯერდება — მას სურს ლოცვა პროტესტის საშუალებად გახადოს: „თუ ჩვენი ღმრთისმსახურება, ჩვენი გალობა ერთი სულისკვეთებით უნდა გვაერთიანებდეს, მაშ იქნებ პროტესტის გამოთქმაც უნდა ვისწავლოთ—პროტესტი ღმრთის წინაშე, ადამიანის გულისათვის?“ ავტორი აშკარა ღმრთის გმობამდე მიდის: თვით ღმერთის უკმაყოფილოა, თითქოს ის იყოს დამნაშავე ადამიანების ცოდვებში, რომლებიც ცხოვრებისეულ უსამართლობებს იწვევენ. „ისინი (ვინც პროტესტს აცხადებს) ამბობენ: ჩვენს ხელთ არის ძალა — ძალა ადამიანებისა და სტრუქტურების შესაცვლელად, ახლა მხოლოდ ხალხია საჭირო, ვინც ამ საქმეს ხელს მოკიდებს, და მაშინ ყველაფრის შეცვლა შეიძლება!“ ავტორი ამით ამბობს: „ღმერთი არ გვჭირდება, ჩვენ თვითონ შეგვწევს სამყაროს გარდაქმნის ძალა!“ ესაა უღმერთო ჰუმანიზმის ენა, რომელიც დღევანდელ ეკუმენიზმში აღორძინდება. თითქოსდა ცოდვილ ადამიანებს შეეძლოთ ცოდვილი სოფლის გარდაქმნა, რომელიც „ბოროტს ზედა სდგას“ (I იოანე, 5, 19), და თანაც ისე, რომ თვითონ ცოდვილებად დარჩნენ!

სტატიის ბოლოს ავტორი იძლევა რჩევას, რომელიც საბოლოოდ ააშკარავებს მის სატანურ მიზანს: „დაე ლოცვასა და პროტესტთან ერთად იყოს სატირა და დაეჭვება, დაცინვა და სიცილი, მრისხანება და სიძულვილი, სექსი და აგრესია![108] რამეთუ ჩვენ ღმრთის ხატად ვართ დაბადებულნი (!) და ჩვენს გულებსა და სხეულებში ცოცხლია ჩადებული“. ამ ნომრის ბოლოს დაბეჭდილია ლოცვა-პროტესტი: „უფალო, მე არ ძალმიძს გირწმუნო, რადგან შენს მიერ შექმნილი სოფელი ესოდენ ულმობელია! სადა ხარ, უფალო? ბიაფრში ხოცვა-ჟლეტაა, ვიეტნამში ხალხს ესვრიან, ინდოეთში ადამიანები შიმშილობენ, მდიდარ ქვეყნებში კი განცხრომით ცხოვრობენ! სადა ხარ ღმერთო? შენ ხომ შენს ხატად შექმენი კაცი, შექმენი სიმართლისა და სიყვარულისთვის, ის კი განხეთქილებებს თესავს, უსამართლოა და

სიძულვილით სავსე? უფალო, მე არ ძალმიძს გიწამო, მაშინ, როდესაც სოფელი ასე განსხვავდება შენგან!“

ასეთი მკრეხელური ჯანყი ღმერთის წინააღმდეგ, ლოცვის ნიღაბქვეშ, მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ იგი „ეკლესიათა“ მსოფლიო საბჭოს მფარველობით ხდება! სარწმუნოებისათვის იმდენად საშიში არ არის აშკარა უღმერთობა, რამდენადაც მასონობის ეს ფარული ზემოქმედება.

კოლინ ჰოქესტი თავის სტატიაში „ერთი დრამისა და ლიტურგიის ამბავი“ აღწერს, თუ როგორ ცდილობდა ლიტურგიის „მოდერნიზებას“ და ახალგაზრდობისათვის მიმზიდველ პიესად გადაქცევას. პირველი ასეთი მცდელობა 1963 წელს წარუმატებლად დამთავრდა. ჰოქესტმა გადაწყვიტა ქრისტესშობის „დემითოლოგიზირება“, რათა ღმრთისმსახურების გაყალბებით უფლის ღმრთაებრივი ღირსების რწმენა შეერყია ადამიანებისათვის. ავტორი თვითონვე აღიარებს, რომ „წარმოდგენას რეპეტირება აკლდა და პუბლიკის დიდი ნაწილი შეურაცხყოფილი დარჩა“. ნამდვილი მიზეზი ამისა ალბათ ის იყო, რომ ქრისტეს სასწაულებრივი შობა ჩვეულებრივი ადამიანის შობამდე იყო დაყვანილი. აქვე ამასაც ვიტყვით — ქრისტე რომ მართლა ასე დაბადებულიყო, მას ადამის პირველქმნილი ცოდვა გადაეცემოდა მემკვიდრეობით და ვეღარც კაცობრიობას გამოისყიდიდა ცოდვის ტყვეობისგან.

ჰოქესტის მეორე დადგმას, „ადამიანის სიკვდილს“ დიდი წარმატება ხვდა წილად. „ადამიანი“ არის იესო ქრისტე და მისი ვნება თანამედროვე გადაწყვეტით, ისე რომ აღდგომა ნახსენებიც კი არ არის. ახალი დრამა ჯაზისა და ცეკვების თანხლებით დაიდგა! მესამე ექსპერიმენტისათვის ხოჯესტმა კვლავ პოეტურად გადამუშავებული ქრისტესშობა აირჩია. მთავარ როლს ლამაზი ქალიშვილი ასრულებდა. ამ დადგმის კულმინაცია იყო ნამდვილი მშობიარობის ამსახველი სლაიდების ჩვენება, რასაც თან ახლდა დოლების გამაყრუებელი ხმაური და თავაშვებული ცეკვები. პუბლიკამ სპექტაკლი მქუხარე აპლოდისმენტებით მიიღო.

ასეთი მკრეხელური „ღმრთისმსახურების“ შემხედვარე, ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა სამუდამოდ უნდა გაწყვიტოს კავშირი ეკუმენიზმთან. მეფსალმუნე გვაფრთხილებს უსჯულოებთან ურთიერთობის შესახებ: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელსა უშჯულოთასა არა დაჯდა“ (ფს. 1, 1). როდესაც ერთ

ცნობილ „მართლმადიდებელ“ ეკუმენისტს, რომელსაც მნიშვნელოვანი პოსტი ეჭირა ემს-ში, ღმრთისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტებმა ჰკითხეს აქ აღწერილ უმსგავსობათა შესახებ, მან თქვა, რომ ეს არის უბრალოდ „თეატრალური სანახაობები“, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ლოცვასთან, მაგრამ არაერთარი აღშფოთება არ გამოუხატავს ამ ფაქტის გამო.

ზემოთ აღწერილი „საღმრთისმსახურო“ სიახლეები თავისი არსით მორწმუნეთა ყველაზე წმიდა გრძნობების აბუჩად აგდება და სარწმუნოებისათვის ძირის გამოთხრაა!

უფსალის VI ასამბლეაზე ტარდებოდა „ლოცვის“ განსაკუთრებული, ეკუმენისტური სახე, რომელიც ახალგაზრდობის ერთგვარ გართობას წააგავდა. ექვსი ჭაბუკი და ქალიშვილი (ექვსქიმიანი მასონური ვარსკვლავი!) წრეში დგებოდა და იწყებდა „მედიტაციას“. შემდეგ თვითოეული რიგრიგობით დგებოდა წრის ცენტრში და თვალდახუჭული უკან ვარდებოდა, დანარჩენები კი მას ერთმანეთს გადასცემდნენ. ბოლოს ყოველი მათგანი „თანამლოცველებისკენ“ ბრუნდებოდა და მათ ეხებოდა, თან „რაღაც სიტყვას ამბობდა“. ამ „ღმრთისმსახურების“ (უფრო სწორად, ეშმაკის მსახურების) მნიშვნელოვანი მომენტი იყო „პირადი კონტაქტის დამყარება“.

ზოგიერთი ცნობით, ამერიკის ბევრ მართლმადიდებელ ეკლესიაში დგება საკითხი, რომ ტაძრებთან შეიქმნას საცეკვაო წრეები, რათა ახალგაზრდები ეკლესიაში მიიზიდონ. ამდაგვარი ღონისძიებების შესახებ კარგად შენიშნავს მთავარეპ. ამბერკი: „ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ ეკლესიის წევრები მხოლოდ დროებით და გარეგნულად დავაკავოთ ეკლესიის გალავნის კედლებში, არამედ ის, რომ მარადიული ცხონება მივანიჭოთ მათ[109].

თავს იმით ნუ დავიმშვიდებთ, რომ აქ აღწერილ „ღმრთისმსახურებას“ ჯერჯერობით მხოლოდ ახალგაზრდა ეკუმენისტები ასრულებდნენ. რაკიღა ემს უშვებს „ლიტურგიკულ“ მკრეხელობებს ახალგაზრდებს შორის და მისი პროპაგანდის უფლებასაც აძლევს თავის ოფიციალურ ჟურნალ „რისკში“, მაშასადამე, უფროსი ეკუმენისტები, თუმცა თვითონ არ მონაწილეობენ ამ ღმრთისმსახურებაში, მაგრამ ახალგაზრდებს მხარს უჭერენ. და როდესაც ხანდაზმულ ეკუმენისტებს ახალგაზრდა თაობა შეცვლის, დღევანდელი სიახლე მათთან „ლოცვითი კავშირისა“ და „ლიტურგიკული ინტერკომუნიონის“ კანონიერი ფორმა გახდება.

მართლმადიდებელი ქრისტიანი არც კი უნდა ფიქრობდეს ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობაზე, რომელსაც

1) ღმრთისმსახურებაში შეაქვს ცეკვები და ჯაზი;

2) მკრეხელობს წმ. ევქარისტიის დროს;

3) მოდური „რელიგიური" სიახლეებით რყვნის ადამიანებს;

4) „ლოცვა-პროტესტებით" თავის აშკარა სატანიზმს ავლენს და ამით ემსახურება არა ქრისტეს, არამედ სატანას!

მე-10 მიზეზი

ეკუმენიზმი დამანგრეველად მოქმედებს ეკლესიის სწავლებასა და დისციპლინაზე და ამით ე. წ. „მკვდარი ღმერთის ღმრთისმეტყველებისკენ" მივყავართ

ბიბლიურ წინასწარმეტყველებათა თანახმად, მსოფლიო ბოროტება აქტიურად გვიტევს, რასაც დიდად უწყობს ხელს ეკუმენიზმი. ეს საოცარი კადნიერებით ვლინდება ახლახანს აღმოცენებულ „მკვდარი ღმერთის ღმრთისმეტყველებაში". ასეთი „ღმრთისმეტყველება", რომელსაც, უეჭველია, მასონობა კვებავს, ეკუმენიზმთან ერთად მიგვიძღვის ერთი მიზნისკენ — სარწმუნოების ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტებების დავიწყებისა და ეკლესიის საფუძვლების შერყევისაკენ.

„მკვდარი ღმერთის ღმრთისმეტყველება", თავისთავად წინააღმდეგობრივია, რამეთუ ღმრთისმეტყველება, როგორც მეცნიერება ღმერთის შესახებ, მარადის მყოფი ღმერთის რწმენას ემყარება (გამოსლვ. 3, 14), და მორწმუნენი ყოველთვის ამ რწმენით ღებულობდნენ ცხონებას. ამავე სარწმუნოებას აღიარებდა წმ. პეტრე მოციქული ყველა მოციქულის სახელით, როდესაც იესო ქრისტეს შეკითხვაზე: „თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?" მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა" (მათე, 16, 15—16). და რომელი ღმრთისმეტყველება, ანუ სიტყვა ღმერთის შესახებ იქნება იქ, სადაც ღმერთი „მკვდარად" და „არარსებულად" ცხადდება? ასეთი „ღმრთისმეტყველება", რომელსაც „რადიკალურ თეოლოგიასაც" უწოდებენ, განსაკუთრებით გავრცელებულია თანამედროვე ინგლისურენოვან ქვეყნებში და მას გულმოდგინედ სწავლობს ბევრი ამერიკელი „თეოლოგი". ისინი ეყრდნობიან ახალ, თავისი მკრეხელობით გაუგონარ

„დოგმატს“: „ღმერთი მოკვდა, იგი ჩვენ მოვკალით ჩვენი გონებით და ახლა უკვე ღმერთი კი არა, ადამიანი, მსოფლიო და მისი პროგრესი უნდა გვწამდეს“.

უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ „მკვდარი ღმერთის ღმრთისმეტყველების“ ძირითად თეზისებზე. ამ თეორიის თანახმად, „ქრისტიანობა ნდობის ღირსია (!) მხოლოდ მაშინ, თუ აღიარებს, რომ ღმერთი უკვე აღარ არსებობს. ახალი დროის დოგმატი ისაა, რომ ადამიანმა ღმერთის გარეშე უნდა იცხოვროს... თანამედროვე ადამიანი თვითონ წყვეტს თავის პრობლემებს და თვითონვე შეუძლია თავისი მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება. მას უკვე აღარ სჭირდება არც ზეციური „მხსნელი“ და არც მარადიული „შემსმენელი ვედრებისა“, ამიტომ ყოვლადძლიერი ღმერთის შესახებ წარმოდგენაც ზედმეტი გახდა. ეს წარმოდგენა საზიანოც კია, რამეთუ „ადამიანს მისი საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების ხედვას უშლის (?) ღმერთისა და ეკლესიის კედლების შესახებ წარმოდგენა უნდა დაემხოს, რათა „ქრისტიანს“ შეეძლოს არა მარტო დაინახოს ჰორიზონტი, არამედ იაროს კიდეც მისკენ. ეკლესია სოფელს უნდა დაუახლოვდეს[110]... სარწმუნოების სერიოზული მხარე უკვე ადამიანის ღმერთთან ურთიერთობა კი არა, ადამიანის სხვა ადამიანთან ურთიერთობაა“[111].

უილიამ ჰამილტონი, „მკვდარი ღმერთის ღმრთისმეტყველების“ ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი, თავის თეორიას მოყვასის სიყვარულის შესახებ აფუძნებს არა ღმერთის რწმენაზე, არამედ საპირისპიროზე — „ღმერთის არარსებობის უდავო განცდაზე... ჩვენ არ გვწამს ღმერთი, ჩვენ გვწამს მსოფლიო“[112]. ამგვარი ღმრთისმეტყველება, არსებითად, დემონური ღმრთისმეტყველებაა, რამეთუ, წმ. იაკობ მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიყუარული სოფლისა ამის მტერობა არს ღმრთისა“ (იაკ. 4, 4).

თომას ალტიცერიც ღმერთის რწმენას მსოფლიოს რწმენით ცვლის. დაკარგული სამოთხის ხელახლა პოვნის ყოველგვარ მცდელობას იგი გმობს, როგორც რელიგიურ უკანდახევას, ხოლო ღმერთის სიკვდილი, მისი აზრით, ახლანდელ გამიწიერებულ ადამიანებს წინსვლისაკენ მოუწოდებს. ისინი უკვე ვეღარ შეძლებენ სამოთხეში დაბრუნებას და დაკარგული უკვდავების მოპოვებას. „ქრისტიანი“ ათეისტი ქრისტეს აღდგომასა და ამაღლებას კი არ დღესასწაულობს, არამედ ჯოჯოხეთს შთასვლას, რამეთუ „ქრისტიანი“ უკვე აღარ იცნობს ზეციურ ღმერთს და არავითარ ღმრთაებრივ ავტორიტეტს არ

აღიარებს: „რაკი ღმერთი უკვე აღარ ცხოვრობს ადამიანის განცდაში, როგორც ყოვლადძლიერი უფალი, მასთან ერთად ქრება ზნეობრივი იმპერატივიც, რომელიც იმ სოფლიდან იყო მომართული ადამიანისკენ“ (რა დემონური ლოგიკაა: ადამიანი უნდა გათავისუფლდეს ღმრთაებრივი კანონების მორჩილებისგან!). ღმერთის სიკვდილთან ერთად წინანდელი მორალიც კვდება. თუ უგულებელყოფილია ბიბლიური თხრობა ცოდვით დაცემაზე, მისგან გამომდინარე დანაშაულსა და სასჯელზე, მაშ მთლიანად უარყოფილია ადამიანის ცოდვაც. ადამიანმა უნდა დაივიწყოს ცოდვა, ანუ გათავისუფლდეს თვით ცოდვის ცნებისაგან, და მაშინ მისი ჰორიზონტიც „გათავისუფლდება“.[113]

ეს მხოლოდ რამდენიმე აზრია ამერიკული „მკვდარი ღმერთის ღმრთისმეტყველებიდან“, მაგრამ ვფიქრობთ, საკმაოდ მრავლისმთქმელი და ნიშანდობლივი. ნამდვილი ანტიქრისტეს „ღმრთისმეტყველებაა“! და ყველაზე საზარელი ისაა, რომ „ღმრთისმეტყველების“ პროფესორის ამ უღმერთო „ღმრთისმეტყველებას“ უკვე უნერგავენ სტუდენტებს, რომლებიც ხვალ „მღვდლები“ და „ღმრთისმეტყველების“ მასწავლებლები გახდებიან! სამწუხაროდ, ეს თეორია დაუბრკოლებლივ იქადაგება ეკლესიის ამბიონებისა და უნივერსიტეტის კათედრებიდან.

უწინ ღმრთის უარმყოფელნი ეკლესიის გარეთ იყვნენ, ამიტომ მორწმუნენი მათ არ უსმენდნენ. ახლა კი ისინი, „ღმრთისმეტყველთა“ მანტიებით შემოსილნი, აცხადებენ, რომ ღმერთი „მოკვდა“, და კვლავინდებურად თავიანთი ეკლესიის წევრებად რჩებიან. ამგვარი „ღმრთისმეტყველებისთვის“ ქრისტიანობის სიკვდილი უკვე მომხდარი ფაქტია. ისინი მხოლოდ „ახალი ფორმებისა და სტრუქტურების“ ძიებით არიან გართულნი, რამეთუ, მათი აზრით, „ქრისტიანული აზროვნების გამოხატვის მრავალი ფორმა (მათ შორის დოგმატური ფორმულირებები — ავტორთა შენიშვნა) უკვე აღარ შეესაბამება „ქრისტიანულ“ ცხოვრებას დღევანდელ მსოფლიოში, რამდენადაც ფაქტებს ეწინააღმდეგება“[114]. თანაც ითვლება, რომ ღმერთი კიდევ შეიძლებოდა გაცოცხლებულიყო, თუკი გაქრებოდა ეკლესიის ზოგიერთი ფორმა და ეკლესიური წარმოდგენა ღმერთზე[115], რაც ეკლესიის დოგმატურ, კანონიკურ და ლიტურგიკულ გარდაქმნას ნიშნავს.

„მამების ღმერთი მკვდარია!“ — ხშირად ამბობენ პროტესტანტები. მაგრამ ასეთი მტკიცება სრულიად მცდარია! თვით მაცხოვარი ლაპარაკობს ცოცხალი მამების ცოცხალ ღმერთზე — აბრაამის, ისაკის,

იაკობის ღმერთზე: „რამეთუ არა არს ღმერთი მკუდართა, არამედ ცხოველთა, რამეთუ ყოველნი ცხოველ არიან მის წინაშე“ (ლუკა, 20, 37—38). ზოგიერთი, რადიკალ „ღმრთისმეტყველთა“ შორის უფრო ზომიერი, გამოთქმას: „მამების ღმერთი მკვდარია“ ისე ხსნის, თითქოს ძველი წარმოდგენა ღმერთზე მოკვდა და იგი ახალმა, თანამედროვე წარმოდგენამ შეცვალა. თუმცა ამ „„თანამედროვე“ წარმოდგენას არაფერი აქვს საერთო ბიბლიურ, წმ. მამებისეულ, ეკლესიურ წარმოდგენასთან ღმერთზე, და იგი ისევე უცხოა ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტებისათვის, როგორც ნათელი — ბნელისათვის (2 კორ. 6, 14). სარწმუნოება მხოლოდ მაშინ არის მაცხოვნებელი, თუ იგი მართალია. მართალი სარწმუნოების ყოველგვარ დამახინჯებას მივყავართ დამღუპველ, მრუდე სარწმუნოებასთან, ანუ ეშმაკთან, ყოველი ტყუილის მამასთან (იოანე, 8, 44), რომელიც მუდმივად „ახალ“ წარმოდგენებს თხზავს ღმერთზე და „ახალ“ მოძღვრებებს ქმნის სარწმუნოების შესახებ, რათა ამ გზით მორწმუნენი ქრისტესაგან ნამცნებ ჭეშმარიტებას განარიდოს. წმ. კირილე იერუსალიმელი გვაფრთხილებდა: „თუ მამების წმიდა და ღმრთაებრივი დოგმატებიდან ვინმე რაიმეს შეცვლას ცდილობს, ამას წინასწარხედვა კი არა, დანაშაული, დოგმატისგან გადახვევა და ღმრთის წინაშე უსჯულოება უნდა ეწოდოს“.

წმ. იოანე ოქროპირი გვასწავლის: „თუკი ვინმე სამეფო მონეტაზე მეფის გამოსახულებას ოდნავ მაინც ცვლის, მონეტას აყალბებს. ასევეა ჭეშმარიტ სარწმუნოებაში — თუნდაც სულ მცირე ნაწილის ხელყოფა მთლიანად მის დამახინჯებას ნიშნავს“. წმ. ისიდორე პელუსიელი წერს: „ვინც კადნიერდება, მიუმატოს ან მოაკლოს რამე ღმრთივსულიერ სიტყვებს, ორიდან ერთი რამ სჭირს: ან არ სწამს, რომ საღმრთო წერილი სული წმიდის მიერაა ნაკარნახევი, და მაშინ ურწმუნოა, ანდა საკუთარი, თავი სული წმიდაზე უფრო ბრძნად მიაჩნია, და მაშინ ეშმაკეულია“[116].

ვისაც ჭეშმარიტად სწამს ცხოველი ღმერთი (მათე, 16, 16), იმას არ სჭირდება „ახალი“ წარმოდგენები მასზე, რამეთუ წმ. წერილში გამქღავნებული, მსოფლიო კრებებზე დამტკიცებული და ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დამარხული ჭეშმარიტება საუკუნეთა მანძილზე სრულიად საკმარისი იყო მორწმუნეთა ცხონებისათვის. ცხადია, ვისაც ჰგონია, რომ „მამების ღმერთი მკვდარია“, მის ადგილას რაღაც ახალი „ღმერთის“, ანუ ცრუ ღმერთის დაყენება სურს, რომელსაც მორწმუნეებს ჭეშმარიტ ღმერთად წარმოუდ-

გენს. მაგალითად, ჰაეი კოქსი თვლის, რომ „ღმრთისმეტყველება უნდა დაემშვიდობოს ღმერთს, რომელიც იყო და არის, და მიაშუროს ღმერთს, რომელიც იქნება. შესაბამისად, სარწმუნოება დღეს იმ იმედის მიხედვით უნდა განისაზღვროს, რომელიც მშვიდობისა და სამართლიანობის მომავალი მეუფებისკენაა მიმართული". მაგრამ ამა სოფლისკენ მიმართული „იმედი" სრულიად საპირისპიროა ქრისტიანული იმედისა, რომელიც წმ. პეტრე მოციქულის სიტყვებშია გამოთქმული: „ახალთა ცათა და ახალსა ქვეყანასა მსგავსად აღთუქმისა მისისა მოველით, რომელსა შინა სიმართლე დამკვიდრებულ არს" (2 პეტრე, 3, 13). კოკსი კი ფიქრობს, რომ მორწმუნეთა ამოცანა ისეთი მომაველის შექმნაა, რომელსაც ის კი არ მოიტანს, ვინც „არის", არამედ ის, ვინც „მოვა"[117], ანუ ანტიქრისტე.

ბიბლიური წარმოდგენა ღმერთზე მოწმობს, რომ ღმერთი თავისი თვისებებით შეიცნობა (რომ. 1. 20), დასავლეთის ღმრთისმეტყველების თანამედროვე მიმდინარეობებში კი აღწერილია „ღმერთი თვისებების გარეშე".

პროფ. ეერჰარდ ჰენემანი, რომელიც ჩვენი ძირითადი წყაროა „მკვდარი ღმერთის ღმრთისმეტყველებაზე" საუბრისას, იმდენად დაემორჩილა ღმერთისგან განდგომის თანამედროვე სულისკვეთებას, რომ მშვიდად მსჯელობს „ჩვენი სარწმუნოებიდან გარკვეული ბალასტის" მოშორების აუცილებლობაზე[118]. მისი აზრით, „ქრისტიანული სარწმუნოება ახალი საშუალებებით უნდა ვიქადაგოთ და ადამიანისა და მსოფლიოს დღევანდელ მდგომარეობას დავუკავშიროთ"[119].

განა იგივეს არ მოითხოვენ ეკუმენისტები, როდესაც ქრისტიანული დოგმატების ახალ რედაქციას გვთავაზობენ? გასაგებია, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასეთ ნაბიჯს, მით უმეტეს თანამედროვე უღმერთო „ღმრთისმეტყველების" ხელშეწყობით. ჩვენთვის ნათელია, რომ ე. წ. „ზომიერი" ლიბერალი ეკუმენისტებიც და რადიკალურად განწყობილი უღმერთო „ღმრთისმეტყველებიც" ერთსა და იმავე მიზანს — ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტების გაქარწყლებას ესწრაფვიან.

მართლმადიდებლობისადმი კეთილგანწყობილი კათოლიკე მღვდელი, ფრანსუა ბრიუონი სამართლიანად უწოდებს ამ მიმდინარეობას „არა ღმერთის, არამედ ღმრთისმეტყველების სიკვდილს"[120]. ამ „საღმრთისმეტყველო" განდგომილებაში ყველაზე ცუდ როლს, ცხადია, პროტესტანტი ღმრთისმეტყველები თამაშობენ, რომლებიც

აცხადებენ, რომ ქრისტიანობა თანამედროვე პროფანულ სამყაროს პროტესტანტიზმის საშუალებით დაემორჩილა. თუმცა ფორმალურად პროტესტანტიზმი წმ. წერილს მისდევს, მაგრამ თავისი დამღუპველი რაციონალური კრიტიკის გადამკიდე იგი „ეჭვქვეშ აყენებს ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველს — წმ. წერილს, და პროტესტანტულ ღმრთისმეტყველებაში ქრისტიანული შინაარსის გაუქმებით იმუქრება“[121].

სწორედ პროტესტანტობის წიაღიდან გამოვიდნენ ისეთი ადამიანები, როგორიცაა ჯულიან ჰექსლი, რომლისთვისაც რელიგია არის „ადამიანის შესაძლებლობების რწმენა“ და რომელსაც მიაჩნია, რომ „მოძველებული“ ღმერთის ნაცვლად ჩვენი ცხოვრების ბერკეტად განვითარება უნდა იქცეს“[122]. ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი აცხადებს, რომ ღმერთის დაცემული ავტორიტეტი გონებამ უნდა დაიკავოს[123]. ხოლო დიტრიხ ბონჰოფერი წერდა: „წავიდა ის დრო, როდესაც ადამიანებისათვის ყველაფრის ახსნა შეიძლებოდა ღმრთისმეტყველების მეშვეობით, შინაგანი სულიერი ცხოვრებისა და სინდისის დროც წავიდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საერთოდ, რელიგიის დროც წავიდა: ჩვენ სრულიად ურელიგიო დროს ვუახლოვდებით“[124].

კაცობრიობის მომავალ არარელიგიურობაზე მითითება, რომლისკენაც „მკვდარი ღმერთის ღმრთისმეტყველების“ მომხრეები მიდიან, ქრისტეს სახარებას კი არ უარყოფენ, პირიქით, ადასტურებს. თვით უფალმა იესო ქრისტემ იწინასწარმეტყველა, რომ დედამიწაზე თავისი მეორედ მოსვლის ჟამს სარწმუნოებას ვეღარ ჰპოვებს: „ხოლო მო-რა-ვიდეს ძე კაცისა, პოვოს-მეა სარწმუნოება ქუეყანასა ზედა? (ლუკა, 18, 8). ამ წინასწარმეტყველების აღსრულების მოწმენი ვართ დღეს, როდესაც სარწმუნოებისაგან საყოველთაო და სტიქიური განდგომა ხდება, და ეს ახლადმოვლენილი მკრეხელური თეოლოგიის სასარგებლოდ კი არა, მის სამხილებლად და შესარცხვენად მეტყველებს, რადგან სწორედ იგია სახარების მიერ ნაწინასწარმეტყველევი გამონაგონი, ეშმაკისა, ანტიქრისტეს მოსვლის მოსამზადებელი ეტაპი. სარწმუნოების მომავალი აღმოფხვრის მიზეზით ბონჰოფერს სურს გზა გაუკვალოს ახალ, „ურელიგიო ქრისტიანობას“ მაგრამ რა აზრი აქვს „ქრისტიანობას“, თუ მასში არ არსებობს იესო ქრისტეს — განხორციელებული ძე ღმრთისას რწმენა, რომელიც სოფლად ადამიანების ცოდვისაგან გამოსახსნელად მოვიდა (I ტიმ. 1, 15)? ზნეობრივი მოძღვრებები ხომ სოფელს ისედაც არ აკლია! ჩვენი მართლმადიდებლური აღმსარებლობის გარეშე არ არსებობს

არც გამოსყიდვა, არც სარწმუნო ღმრთაებრივი ჭეშმარიტება, არც ჭეშმარიტი ეკლესია, რომელიც ამ ჭეშმარიტებას შერყენისაგან დაიცავს, არც მადლისმიერი საიდუმლოებები, რომლებიც უძლურ ადამიანებს თავის მადლისმიერ ნიჭებს უბოძებს „საცხორებელად“ (2 პეტ. 1, 3), რათა მათ შეძლონ ღმრთის მცნებების დაცვა და ცოდვილი ადამიანებიდან წმიდანებად იქცნენ — „საღმრთოჲსა მის ზიარ ბუნებისა“ (2 პეტ. 1, 4).

მიუხედავად ამისა, მართლმადიდებლებს შორის მოღალატენიც არიან, თანაც მღვდელმთავრები. ერთადერთ შემთხვევას მოვიყვანთ: მართლმადიდებელ ქრისტიანთა შეხვედრაზე დასავლელი ეკუმენისტი გამოდიოდა, სხდომას მართლმადიდებელი მღვდელმთავარი — ეკუმენისტი ესწრებოდა. მოხსენებაში ლექტორი „მკვდარი ღმერთის ღმრთისმეტყველებას“ შეეხო. მღვდელმთავარი წამოდგა, მიუახლოვდა მას და, მხილების ნაცვლად, ზრდილობიანად წასჩურჩულა ინგლისურად ამ თემაზე ნუ ილაპარაკებთ, რადგან ხალხი საამისოდ მზად არ არისო. ამაზე შორს სადღა შევტოპავთ?

ამით ვამთავრებთ ჩვენს შრომას — ჩვენ იგი იმ ზღვრამდე მივიყვანეთ, რომლის იქითაც უკვე ქრისტეს აშკარა უარყოფა იწყება. „გონიერისთვის კმარა!“

დღეს, როდესაც ეკუმენიზმი და უღმერთო „მკვდარი ღმერთის ღმრთისმეტყველება“ მხარდამხარ მიდიან საერთო მიზნისაკენ — ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტებისა და ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის მოსპობისაკენ, იმ ეკლესიისა, რომელის სოფლის აღსასრულამდე უნდა ეგოს (მათე, 28, 20), რამეთუ იგია „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ (1 ტიმ. 3, 15), მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა ხმამაღლა უნდა განაცხადონ: **„ჩვენი მართლმადიდებლური სინდისი არ გვაძლევს უფლებას ვიყოთ ეკუმენისტები, რადგან ეს სატანისა და მისი მსახურის — ანტიქრისტეს მსახურებას ნიშნავს!“**

დასკვნა

ჰეშმარიტი მშვიდობისმყოფელობისათვის

ამრიგად, ზემოთ გადმოცემული 16 მიზეზის: დოგმატური, კანონიკური, ლიტურგიკული, საღმრთისმსახურო-წესდებითი, საეკლესიო-ისტორიული, ტრადიციული ხასიათისა და სხვათა გამო, ჩვენ ვაცხადებთ, რომ არ შეგვიძლია ეკუმენისტები ვიყოთ.

ეკუმენიზმისადმი ასეთი უკომპრომისო დამოკიდებულების გამო, სავსებით მოსალოდნელია, რომ გვისაყვედურებენ, თითქოს

1) იმის გამო, რომ არ ვმონაწილეობთ ეკუმენისტურ მოძრაობაში, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, ხალხთა შორის მშვიდობისა და სოლიდარობის მოწინააღმდეგენი გამოვდივართ;
2) ჰეშმარიტების პატივისცემა „უსიყვარულოდ" გაუმართლებელია იმ ტრაგიკული ვითარების გამო, რომელიც ამჟამად არის მთელ მსოფლიოში;
3) ჩვენ ვეწინააღმდეგებით სახელმწიფო მოღვაწეთა ძალისხმევას მშვიდობის შენარჩუნებისა და ატომური კატასტროფის თავიდან აცილების საქმეში.

ჩვენი პასუხი ასეთი გახლავთ:

ჩვენ მტკიცედ ვემიჯნებით ეკუმენისტურ მოძრაობასა და ემს-ში მონაწილეობას, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში განვუდგებით წმიდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას, ანუ უფალ იესო ქრისტეს, და შევეკვრებით წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის მტრებს, ანუ მწვალებლებს.. ამას გარდა, ეკუმენიზმი გვიბიძგებს რელიგიური ურთიერთობისკენ არაქრისტიანულ რელიგიებთან, ისეთებთან, როგორებიცაა იუდაიზმი, მაჰმადიანობა, ბუდიზმი, კონფუციანიზმი, აგრეთვე სხვადასხვა არარელიგიურ საზოგადოებებსა და იდეოლოგებთან კონტაქტის დამყარებისკენ.

ჩვენ რელიგიური მოსაზრებებით უარს ვამბობთ არამართლმადიდებლურ საზოგადოებებსა და მოძრაობებში მონაწილეობაზე და კანონიკური განჩინებების საფუძველზე თავს ვარიდებთ მათთან ლო-

ცვითსა და საკრამენტულ ურთიერთობას, მაგრამ ამით ადამიანებთან ურთიერთობაზე როდი ვამბობთ უარს. საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში ჩვენ მხარს ვუჭერთ სამოქალაქო ხელისუფლებათა სამშვიდობო ინიციატივებს, მშვიდობა გვინდა და ვლოცულობთ „მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა", რითაც პავლე მოციქულის რჩევას მივდევთ: „რაჲთა ჰყოფდე ვედრებასა, ლოცვასა, თაყუანისცემასა და მადლობასა ყოველთა კაცთათვის... რაჲთა მშვიდობით და მყუდროებით ვცხონდებოდით ყოვლითა ღმრთისმსახურებითა და სიწმიდითა" (1 ტიმ. 2, 1—2). რომელ ჭკუათმყოფელს შეიძლება სურდეს ომი, როდესაც იცის, რომ მას ძალუძს მოსპოს სიცოცხლე დედამიწაზე?

ზოგიერთ სექტანტს წარმოუდგენია, რომ უკვე ზეციური სამეფოს მკვიდრია და ამა სოფლის ხელისუფლებას აღარ ექვემდებარება. სტყუიან! ქრისტიანი არ უნდა იყოს მეამბოხე, მან ქრისტეს მცნებას უნდა მისდიოს: „მიეცით კეისარსა კეისრისა და ღმრთისა ღმერთსა" (მათე, 22, 21).

ასევე, ჩვენ მოვალედ ვგრძნობთ თავს, გვიყვარდეს მოყვასი, „ვითარცა თავი თვისი" (მათე, 23, 39) და კონკრეტული ადამიანისადმი გამოჩენილ ჭეშმარიტ სიყვარულს არანაკლებ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, ვიდრე მთელი კაცობრიობის სიყვარულს. წმ. მამები, რომლებიც, უეჭველია, მხარს უჭერდნენ მშვიდობას, ქრისტიანის ყურადღებას პირველ ყოვლისა ზეცისაკენ და შინაგანი მშვდობის მოპოვებისკენ მიმართავდნენ, რამეთუ ყველა განხეთქილება სოფლად შინაგანი შფოთისაგან იშვება. წმ. სერაფიმე საროველი ამბობს: „სულის მშვიდობა მოიპოვე და შენს გვერდით ათასობით კაცი ცხონდება!" წმ. მაკარი დიდი თავის ერთ-ერთ „სწავლაში" უსურვებს თავის მსმენელებს, რომ უფალმა მიანიჭოს მათ „ზეცათა მშვიდობა, რომელმაც მოავლინა სოფლად ნათელი (იოანე, 8, 12). მშვიდობა, რომლის შესახებაც წინასწარმეტყველნი ღაღადებდნენ, მართალნი გვითხრობდნენ და ანგელოზნი გვახარებდნენ (ლუკა, 2, 14)". ღირსი მაკარი საუბარს ასე ამთავრებს: „უფლისმიერი მშვიდობა, რომელიც დამკვიდრებული იყო ყოველთა წმიდათა მამათა თანა და იცავდა მათ ყოველგვარი განსაცდელისგან, იყოს თქვენთანაც".

ჩვენ წმიდა მამათა ამ სიტყვებს მივდევთ და გვეშინია ვუღალატოთ ქრისტეს-მეუფეს მშვიდობისას და სიყვარულის მასწავლებელს,

სწორედ ასეთი ღალატი იქნებოდა, თუ ქრისტესმიერ სიყვარულს მსხვერპლად შევწირავდით მშრალსა და ფარისეულურად გაგებულ ჭეშმარიტებას ანდა პირიქით, ქრისტეს ჭეშმარიტებას მივიტანდით სეკულარისტულად გაგებული „სიყვარულის“ სამსხვერპლოზე.

მასონობის ანტიქრისტიანული გეგმები არავისთვისაა საიდუმლო. „მშვიდობისმყოფელ“ მასონებს უკვე დიდი ხანია ჩაფიქრებული აქვს ქრისტიანობის მოსპობა, თანაც ვითომდა კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ამაზე 100-ზე მეტი წლის წინ წერდა დიდი რუსი მწერალი დოსტოევსკი, რომელიც 1867 წელს ჟენევაში სამშვიდობო კონგრესს დაესწრო. კონგრესმა მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა და ამის თაობაზე სწერდა კიდეც ივანოვ-ხმირიოვს: „იმით დაიწყეს, რომ დედამიწაზე მშვიდობის დასამყარებლად ქრისტიანული სარწმუნოების გაუქმება მოითხოვეს“. მშვიდობის საბაბით მასონობა ცდილობს ცნობიერებიდან ამოშალოს წარმოდგენა ქრისტეს მაცხოვნებელ ჭეშმარიტებაზე. მშვიდობის მიღწევის საქმეში თანამშრომლობის პირობად მართლმადიდებელ ეკლესიას სარწმუნოების უძვირფასესი დოგმატების დათმობას უყენებენ და პირდაპირ მოითხოვენ „ტრადიციების რადიკალურ უარყოფას“. საერო გაერთიანებებს, რომლებიც მშვიდობისათვის ბრძოლაში მონაწილეობენ, ამას არ სთხოვენ, ეს მოთხოვნა ეხება მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას, რადგან მასონობა მთელი ძალ-ღონით ცდილობს მისთვის საძულველი „ჭეშმარიტების სვეტისა და სიმტკიცის“ დაქცევას.

ვანკუვერის VI ასამბლეის გახსნისას ემს-ს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა, ფილიპ პოტერმა დაგმო ისინი, ვინც ქრისტეს მაცხოვნებელი ჭეშმარიტების ერთგულებას ცდილობს და თქვა: „ზოგიერთებს ეშინიათ შერიგების გზაზე დადგომა, თითქოს აუცილებელი იყოს საკუთარი სარწმუნოების შენარჩუნება, თუნდაც მსოფლიო ცეცხლმა შთანთქას“. ასეა კი სინამდვილეში? არა და არა! ბიბლია სხვა რამეს ამბობს: თუკი ჩვენ ღმერთისა და ჭეშმარიტების მორჩილნი ვიქნებით, უფალი მაშინ მოგვცემს ნამდვილ მშვიდობასა და კეთილდღეობას, სხვა შემთხვევაში კი ომებითა და უბედურებებით დავისჯებით. ამას თვით ღმერთი ამბობს წმ. ესაია წინასწარმეტყველის პირით: „უკეთუ გინდესთ და ისმინოთ ჩემი, კეთილნი ქუეყანისანი შეჭამნეთ. ხოლო უკეთუ არა გინდესთ, არცა ისმინოთ ჩემი, მახვილმან შეგჭამნეს თქვენ, რამეთუ პირი უფლისა იტყოდა ამათ“

(ეს. 1, 19—20). ძველი აღთქმის მსაჯულთა წიგნში გარკვევით წერია, რომ ყოველგვარი გადახვევა ჭეშმარიტებისგან ებრაელი ხალხისათვის ომებსა და მონობასთან იყო დაკავშირებული: „და ძეთა ისრაილისათა... ვიდოდეს შემდგომად ღმერთთა უცხოთა, ღმერთთა მათ ერისათა, რომელნი იყვნეს გარემო მათსა... და განარისხეს უფალი... და ვერ ეძლო დადგომად წინაშე პირთა მტერთა მათთასა“.

ჩვენ უარვყოფთ მასონურ ეკუმენიზმს, რამეთუ, მსოფლიოს ომისაგან ხსნის საბაბით იგი მართლმადიდებლობის აღმოფხვრას გეგმავს, და, ქადაგებს რა სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას, ვერ ითმენს მართლმადიდებლური ჭეშმარიტების ქადაგებას, რომელსაც მწვალებლური სიცრუე არ ურევია.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში დღევანდელი მასონური სულისკვეთების ტიპიური წარმომადგენელი იყო რომის იმპერატორი იულიანე განდგომილი (IV ს.), რომელიც ჯერ მოინათლა, შემდეგ კი წარმართობას დაუბრუნდა და ანტიქრისტეს გასაოცარ წინასახეს წარმოადგენდა. იუდეველთა გულის მოსაგებად მან განიზრახა რომაელთა მიერ 70 წელს დანგრეული იერუსალიმის ტაძრის აღდგენა, ქრისტეს წინასწარმეტყველების მიუხედავად, რომ „არა დაშთეს ქვა ქვასა ზედა“ (ლუკა, 21, 6). მაგრამ, როგორც უწინაც ვთქვით, ამ საქმეში მან სრული კრახი განიცადა. ისტორიკოსი ამიანუს მარცელინუსი გადმოგვცემს, რომ საძირკველიდან ცეცხლის ალები ამოვარდა და არ მისცა იუდეველებს მშენებლობის გაგრძელების საშუალება.

იულიანეს მეფობის მეორე წელიწადს (361—363) სპარსეთიდან მასთან ჩავიდა სამი ელჩი, ძმები — მანუელი, სავლე და ისმაილი, ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც ქრისტიანებისადმი კეთილგანწყობილმა მეფე ალამუნდარმა მიავლინა იულიანესთან ომის შემდეგ ბიზანტიასთან მშვიდობიანი ურთიერთობის აღსადგენად. იმპერატორმა მათ საპატივცემულოდ საზეიმო წარმართული მსხვერპლშეწირვა მოაწყო, მაგრამ ძმებმა უარი თქვეს მასში მონაწილეობაზე. როდესაც შეიტყო, რომ სპარსი ელჩები ქრისტიანები იყვნენ, იულიანე ისე განრისხდა, რომ დიპლომატიური ურთიერთობებიც დაავიწყდა და სახელმწიფოს ინტერესებიც. დაკითხვებისა და წამების შემდეგ მან სიკვდილით დასაჯა ისინი. ამ ამბავმა ახალი ომი გამოიწვია სპარსეთში, რომელშიც იულიანე დამარცხდა და დაიღუპა.

ძმები გულწრფელად და პატიოსნად მოიქცნენ — მათ უარი თქვეს წარმართულ მსხვერპლთშეწირვაში მონაწილეობაზე და განაცხადეს: „ჩვენ აქ ქრისტეს სარწმუნოების დასათმობად როდი ჩამოვედით, არამედ ჩვენს სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად!“ იულიანემ მზაკვრულად აიტაცა მათი სიტყვები და მიმართა: „სასურველი მშვიდობის დამყარება შეუძლებელია რელიგიური თანხმობისა და მეგობრობის გარეშე. მაგრამ რომელ მეგობრობაზეა ლაპარაკი, როდესაც თქვენ არ გსურთ ჩვენთან ერთად იზეიმოთ დიდი ღმერთების დღესასწაული, რათა განმტკიცდეს მშვიდობა ჩვენს შორის... ხოლო თუკი თქვენ არ იზიარებთ ჩვენი ღმერთების თაყვანისცემას, მაშინ მშვიდობის განსამტკიცებლად კი არა, მის დასაქცევად მოსულხართ!“

პოლიტიკური მშვიდობისა და რელიგიური სარწმუნოების ასეთი ტენდენციური აღრევის პასუხად ძმებმა გამიჯნეს ეს სფეროები და განაცხადეს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება, რომლისთვისაც ისინი მოავლინეს, მხოლოდ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ, სამხედრო და სავაჭრო ურთიერთობებს მოიცავს და სრულიადაც არ ეხება მხარეების წარმომადგენელთა რელიგიურ შეხედულებებს. მათ მტკიცედ აღიარეს თავიანთი სარწმუნოება და ბოლოს თქვეს, რომ ვერც სპარსეთში, ვერც ბიზანტიაში ვერავინ აიძულებს მათ ქრისტიანობისგან განდგომასა და წარმართობის მიღებას.

ძმების ეს მტკიცე აღმსარებლობა იულიანე განდგომილის წინაშე მაგალითი უნდა იყოს ყოველი მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის თანამედროვე მაცთურებთან-ეკუმენისტებთან ურთიერთობაში, რომლებსაც „მშვიდობისმყოფელობის“ ნიღბით მართლმადიდებელთა არამართლმადიდებლებთან და არაქრისტიანებთან შეერთებაც კი სურთ, რათა მათ „ერთად ილოცონ მშვიდობისათვის“. მაგრამ ასეთი ლოცვა არ არის ღმრთისათვის სათნო, სწორედ ამაზე ამბობს მეფსალმუნე: „ლოცვა მისი ცოდვად შეერაცხენ მას“ (ფს. 108, 7). და პირიქით, მართლმადიდებლური აღმსარებლობის სიწმიდე მთავარი პირობაა ჭეშმარიტი მშვიდობის განხორციელებისთვის, ვინაიდან ღმრთის მადლის შეწევნის გარეშე არავითარი მშვიდობა არ არის მტკიცე. რაც შეეხება ეკუმენისტებს, ისინი არ არიან გულწრფელნი თავიანთი „მშვიდობისმყოფელობაში“, რამეთუ, როგორც მეფსალმუნე ამბობს, „იტყვიან მშვიდობასა მოყურისა მათისა თანა,

ხოლო უკეთურებასა — გულთა შინა მათთა“, (ფს. 27, 3). სარწმუნოებისაგან განდგომილი იულიანეც ხომ მშვიდობას ქადაგებდა, მაგრამ ომი კი გააჩაღა, რომელშიც თვითონვე დაიღუპა.

ჩვენ შრომას ვამთავრებთ XIV—XV ს-ბის სწავლული მართლმადიდებელი ბერისა და ღმრთისმეტყველის, ლათინებისა და ვარლაამის მიმდევრებისაგან მართლმადიდებლობის მხურვალე დამცველის იოსებ ვრიენოსის სიტყვებით:

„ჩვენ არ გიღალატებთ, ძვირფასო მართლმადიდებლობავ! შენს წიაღში ვიშვით, შენს წიაღში ვცოცხლობთ და აქვე მოვკვდებით! და თუ საჭირო გახდა, ათასჯერ მოვკვდებით შენთვის!“

სოფია, 1985—89 წლები.

თარგმნა რუხუდან ბუაჩიძემ

შენიშვნები

წინასიტყვაობა

1 А. Ведерников. Соблазны экуменизма // ЖМП. 1954. № 4. С. 64—65.
2 А. Д. Делибаси. Ересь экуменизма (по-греч.). Афины. 1972. С. 119—120.
3 В 1961 году на III Генеральной ассамблее ВСЦ в Дели «Международный миссионерский совет» вошел в состав ВСЦ одновременно со всеми Поместными Православными Церквами (ЖМП. 1962. № 1. С. 49—58).
4 ЖМП. 1976. № 4. С. 8.
5 Ср. доклад проф. МДА А. Осипова «О некоторых принципах православного понимания экуменизма» на II съезде православных богословов в Афинах в августе 1976 г. I// БТ. Т. 18. 1978. С. 180—187.
6 К. З. Исторический путь экуменизма // Вестник Русского западно-европейского Патриаршего Экзархата. 1955. № 23. С. 219.
7 Творения иже во святых отца нашего Афанасия Великового. Архиепископа Александрийского. (Ч. IV), — Сергиев Посад, 1903. С. 447.

ნაწილი პირველი

1 Еп. Феофан. Толкование пастырских посланий св. ап. Павла. М., 1894. С. 62.
2 Там же. С. 63.
3 Там же. С. 191.
4 Там же. С. 309.
5 Там же. С. 310.
6 Св. Симеон. Новый Богослов. Слова. М., 1892. Вып. 1. С. 307.
7 В. Лосский. О третьем свойстве Церкви // ЖМП. № 8. С. 73.
8 Migne. PG. T. 5. Col. 1029.
9 И. Анастасиу. Употребление слова «экуменикос» в отношении к соборам (по-греч.). Фессалоники, 1966. С. 10.
10 Св. Василий Великий (ум. 379) не дожил до Второго Вселенского Собора (381), когда был принят Никео-Цареградский Символ веры как единое всеобщее исповедание Православной веры.
11 Св. Василий Великий. Творения. СПб, 1911 Т. III. С. 213.
12 Св. Иоанн Златоуст. Творения. СПб., 1905 Т. II, кн. 2. С. 692.
13 Irenikon. 1973. № 4. P. 470—471.
14 The Ecumenical Review. 1974. № 3. P. 478.
15 Пространный христианский катехизис // М., 1894. С. 478.
16 В. В. Болотов. Лекции по истории Древней Церкви. СПб., 1907. Вып. 1. С. 13.
17 Годишник на Богословский факултет. София, 1947, Т. XXIV. С. 25.

[18] Л. Зандер. «И согласно славим Всесвятаго Духа». О сущности экуменического движения. Париж, 1937. С. 2.
[19] ЖМП. 1972. № 11. С. 58.
[20] Lexikon für Theologie und Kirche. Bd. 2. 1958. S. 565.
[21] ОТ. 2. X. 1983. С. 4. Кол. 2.
[22] Цитируется по: Деяния Совещания глав и представителей автокефальных Православных Церквей. М., 1949. Т. 2. С. 377.
[23] N. Nissiotis. Über die Ökumenische Bewegung // Ökumenische Runddchau 1969. Hf. 3. S. 369.
[24] Там же. S. 400—401.
[25] Там же. S. 400.
[26] Там же. S. 401.
[27] Ökumenische Rundschau. 1963, H. 4, S. 524
[28] Иеремия II, Патриарх Константинопольский. Ответы лютеранам. М., 1866. С. 299—300.
[29] Ökumenische Rundschau. 1969. Hf. 3. S. 378.
[30] Деяния Вселенских Соборов // Казань, 1887. Т. 1. С. 76.
[31] «О воплощения Господа. Против Нестория». Кн. 3. Гл. 14 // Migne. PL. T. 50. Col. 70.
[32] Иеремия. II. Ук. соч. С. 12.
[33] В. Лосский. О третьем свойстве Церкви // ЖМП. 1968. № 8. С. 72.
[34] Митр. Никодим. Экуменическая деятельность Русской Православной Церкви // ЖМП. 1971. № 7. С. 40.
[35] ЖМП. 1954. № 4. С. 64—69.
[36] E. Gounel. En marche vers l'unité chrétienne. Paris, 1937. P. 4.
[37] Православная Русь. № 5. 1941. С. 2—3.
[38] Okumenische Rundschau. 1969. Hf. 3. S. 355—356.
[39] И. Попович. Догматика Православне Церкве. Београд. 1978. Кн. 3. С. 209—212.
[40] Th. Sartory. Branchtheorie // Lexikon für Theologie und Kirche. Bd. 2. S. 643—644.
[41] Irenikon. 1974, № 2. P. 237.
[42] ЖМП. 1954. № 4. С. 69.
[43] One in Christ. 1972—1974. P. 340.
[44] Irenikon. 1973. № 2 P. 190, note 1. P. 207.
[45] Там же. P. 209.
[46] Св. Ириней Лионский. Против ересей. Кн. 1. Гл. 10, § 1—2.
[47] Иеремия II. Цит. соч. С. 183.
[48] Св. Афанасий Великий. Слово 3-е против ариан. Гл. 21.
[49] ЖМП. 1968. № 8. С. 67.
[50] M. Lloyd Jones. La base de l'unité chrétierne. Généve, s. a. P. 70.
[51] Овербек. Свет с Востока. Взгляд на кафолическое Православие сравнительно с папством и протестантством. Вильна, 1876. С. 89—90.
[52] ЖМП. 1972. № 11. С. 57.

[53] Lloyd Jones. op. cit. P. 70.
[54] Православная Русь. 1941. № 5. С. 2.
[55] Межправославный богословский диспут (на английском). Лейтон-93, 1973. С. 92—95.
[56] Архиеп. Афинагор (Кокинакис). Ук. соч. С. 101.
стр. 284
[57] Еп. Петр (Люлиье.). Икономия и сакраментальное боголсовие // Вестник Русского западно-европейского Патриаршего Экзархата. 70. № 72 . С. 261—265.
[58] Архиеп. Василий (Кривошеин). Богословслий диалог между Православной Церковью и Англиканским вероисповеданием и его проблемы // Вестник Русского западно-европейского Патриаршего Экзархата. 1967. № 59. С. 158—159.
[59] Там же. С. 159—160.
[60] ОТ. 25. XI. 1983. № 582. С. 4, кол. 4.
[61] Мариос Пилавакис. Англиканский священник совершил новый брак между гомосексуалистами // ОТ. 18. 3. 1983. № 548. С. 4. Подобный «брак» состоялся между двумя женщинами в римокатолическом храме св. Иосифа в г. Гронингене (Голландия) — См. ОТ. 8. 4. 1983, № 552. С. 4, кол. 4—6, где есть снимок «новобрачных».
[62] Проф. прот. Л. Воронов. Посещение делегаций Московской Патриархии приходов Западно-европейского Экзархата // ЖМП. 1968. № 6. С. 11—12.
[63] Прот. Н. Малиновский. Очерк православного догматического богословия. Изд. 2-е. Сергиев Посад, 1912. Вып. 2. С. 65.
[64] Архиеп. Серафим. Надо ли Русской Православной Церкви участвовать в экуменическом движении? // Деяния Совещания глав и представителей автокефальных Православных Церквей. М., 1949. Т. 2. С. 369—371.
[65] Migne. PL. T. 52. Col. 871.
[66] Прот. Г. И. Разумовский. Экуменическое движение и Русская Православная Церковь // Деяния совещания глав и представителей автокефальных Православных Церквей. М., 1949. Т. 2. С. 165.
[67] Migne. PG. T. 33. Col. 1044.
[68] По странной иронии папизм, отрицающий соборность Тем, что ставит папу выше Соборов, узурпировал термин «соборность», назвав себя католицизмом.
[69] Архиеп. Василий. Кафоличность и структуры Церкви // Вестник Русского западно-европейского Патриаршего Экзархата. 1972. № 80. С.250.
[70] Архим. Иустин. Ук. соч. С. 218—219.
[71] Деяния Вселенский Соборов. Казань. 1865. Т 4. С. 295.
[72] Архим. Иустин Попович. Догматика православне Церкве. Београд. 1978. Кн. 3. с. 230.
[73] Там же. С. 232.

[74] Деяния Совещания глав и представителей Православных Церквей. М.: 1949. Т. II. С. 369.
[75] K. Algermissen. Konfessionskunde. Hannover, 1939. S. 288—289.
[76] Id. S. 366. Anm. 8.
[77] Архиеп. Владимир. Заседание Центрального комитета ВСЦ // ЖМП. 1972. № 11. С. 58, кол. 1.
[78] См. Ф. Поттер. Вступительная речь. С. 9.
[70] Там же. С. 10.
[80] Там же. С. 10.
[81] ОТ. 14. 10. 1983. № 576. С. 4., кол. 5.
[82] Вера и разум. 1884. Янв. С. 25—26.
[83] Там же. С. 26.
[84] Monde et vie. 24. 6. 1988. P. 11.
[85] P. von Baader. Werke. Leipzig. 1855. Bd. 10. S. 91.
[86] Id. Bd. 5. S. 397.
[87] Id. Bd. 15. S. 692.
[88] Овербек. Положение, назначенное православной России Божественным Провидением... Лейпциг, 1870. С. 56.
[89] Овербек. Свет с Востока. Вильна, 1867. С. 11.
[90] Гефеле. Вклады в церковную историю, археологию и литургику. 1864. Т. 1. С. 432.
[91] Указ. ст. // Вера и разум. 1884. Янв. С. 23—24. В последних словах перефразируется 15-е правило Двукратного Константинопольского собора, в котором выражена похвала мирянам-ревнителям Православия, обличающих даже епископа за впадении его в заблуждение.
[92] Internationale Kirchliche Zeitschrift. 1930. Hf. 3. S. 167.
[93] Э. Бенц. Дух и жизнь Восточной Церкви (по-нем.). Гамбург. 1957. С. 170.
[94] Православие и протестантизм // Восток и Запад 1929. Т. 1. С. 6.
[95] Lloyd Jones. op. cit. P. 70.
[96] Архиеп. Василий. XIX Международный Старокатолический съезд в Вене // ЖМП. 1965. № 11. С. 52.
[97] ОТ. 30. 9. 1983. № 574. С. 1, 4.
[98] ЖМП. 1975. № 7. С. 51.
[99] Архим. д-р Иустин Попович. Православная Церковь и экуменизм (по-греч.). Фессалоники. 1974. С. 228—230.
[100] Там же. P. 68.
[101] Там же. С. 8.
[102] Церковный вестник. София, 1972. № 5. С. 4, кол. 11.
[103-104] Цит. по статье П. Игнатова: Канонические воззрения и практика Митрополита Филарета // ЖМП. 1956. № 10. С. 57.
[105] Там же. С. 61.
[106] С. В. Троицкий. По вопросу о втором браке священников // Церковный вестник. София. 1949. № 39—40. С. 3. кол. 1.

[107] Правила св. Православной Церкви. Т. 1. С. 27.
[108] Еп. Феофан (Говоров). Слова о Православии с предостережениями от погрешений против него. М., 1893. С. 53—54.
[109] Св. Василий Великий. Творения. СПб., 1911. Т. 1. С. 317, 320.
[110] Блаж. Феофилакт. Благовестник. СПб., б. г. С. 239.
[111] Игум. Тихон (В. Никитин). Экуменическое движение и Русская Православная Церковь до ее вступления в ВСЦ // ЖМП. 1983. № 11. С. 60, кол. 1.
[112] Цит. по: Учение Православной Церкви о Священном Предании и отношение ея к новому стилю. Нью-Йорк, 1959. С. 6—7.
[113] Цит. по: Учение Православной Церкви о Священном Предании... С. 11.
[114] Межправславный богословский диспут (на английском). Лейтон, 1973, С. 14.
[115] Цит. по: Учение Православной Церкви о Священном Предании... С. 41.
[116] См. вступительную статью Ст. Роуза в журнале «RISK», издаваемом молодежным отделением ВСЦ. 1967. III. P. 7.
[117] Проф. Илья Цоневский, проф. Т. Събев. Четвертое общее собрание ВСЦ в Упсале // Духовная культура. София, 1969. № 5—6. С. 33.
[118] Migne. PL. T. 50. Col. 666.
[119] Цит. по: Прот. Г. Разумовский. Амстердам и Православие // ЖМП. 1949. № 5. С. 61.
[120] Там же. С. 62.
[121] Правила св. Православной Церкви с толкованиями. Т. 1. С. 131—132.
[122] Цит. по: А. П. Лебедев. История разделения церквей в IX, X и XI веках. СПб., 1905. С. 47.
[123] ЖМП. 1967. № 11. С. 68.
[124] ЖМП. 1967. № 10. С. 65.
[125] ЖМП. 1976. № 4. С. 12.
[126] ЖМП. 1976. № 4. С. 12, кол. I—II.
[127] Canvas. 1. 8. 1983. P. 1, 8 — ср.: ЖМП. 1983. № 9. С. 54.
[128] Irenikon. 1977. № 2. P. 204.
[129] Irenikon. 1975. № 2. P. 276.
[130] Духовная культура. 1948. № 5. С. 4.
[131] Ökumenische Rundschau 1973 Hf. 3. S. 392—393,
[132] Комментарий Московского Митрополита Филарета к творениям св. Григория Синаита // Вестник Русского западно-европейского Патриаршего Экзархата. 1957. № 27. С. 167.
[133] Ökumenische Rundschau. 1973. Hf. 3. S. 297.
[134] Св. Иоанн Златоуст. Творения. СПб.; 1900. Т. VI. Кн. 1. С. 445.
[135] Migne, PG. T. 89. Col. 39.
[136] Блаж. Феофилакт. Благовестник. СПб., б. г. С. 721—722.
[137] Св. Симеон Новый Богослов. Слова. М., 1892. Вып. 1. С. 383—386.

[139] Проф. Мегас Ферандас в своей статье о VI ассамблее ВСЦ в Ванкувере «Православные не должны уподобляться хамелеонам» (ОТ. 21. X. 1983. № 577. С. 4, кол. 3), пишет, что многие из участвующих в ВСЦ е-номинаций не имеют конкретного «верую», а маскируются различными политико-социальным лозунгами.

[139] Arbeitsbuch Nairobi 75—ORK. 1975. S. 29.

[140] Id. S. 45—46.

[141] Там же. S. 37.

[142] Okumenische Rundschau. 1973. Hf. 3. S. 379.

[143] Irenikon. 1975. N 2. P. 253—254.

[144] Ökumenische Rundschau. 1973. Hf. 4. S. 473—474.

[145] Le Monde. 20. 9. 1975. P. 9.

[146] Константинопольский Патриарх Иеремия II. Ответы лютеранам. М. 1866. С. 222.

[147] Irenikon. 1983. № 3. P. 392.

[148] Там же. P. 391.

[149] Там же. P. 394.

[150] 1. IX. 1983. № 229. С. 16. „ეპისკოპოს"

[151] Ответы лютеранам... С. 300.

[152] 1983, № 299. С. 1 „ეპისკოპოს"

[153] Там же. С. 15—16.

[154] —[155] Там же. С. 16.

[156] Irenikon. 1973. № 4. P. 474.

[157] Путь. Париж, 1937, № 54. С. 68.

[158] Ökumenische Rundschau. 1973. Hf. 4. S. 438—439.

[159] Там же. S. 439.

[160] См. статью Ф. Поттера в газете «Монд». 20. IX. 1975. С. 9.

[161] Irenikon. 1974. № 4. P. 521.

[162] Irenikon. 1975. № 2. P. 255.

[163] Там же. P. 222.

[164] Ἐπισκέψις 15. 6. 1983: цит. по: ОТ, 9. 3. 1984. № 599. С. 2, кол. 1—2.

[165] Псалтырь с толкованием. Св. Киево-Печерская Лавра, 1802, л. 18 об.

[166] Деяния Совещания глав и представителей автокефальных Православных церквей. М., 1949. Т. 2. С. 21—22.

[167] Архиеп. Аверкий. Истинное Православие и современный мир. Нью-Йорк, 1971. С. 46.

[168] Irenikon. 1975. № 2. P. 170.

[169] Проф. прот. Л. Воронов. Единство и разнообразие в православной традиции // ЖМП, 1970. №. 10. С. 73.

[170] Там же. С. 73—74.

[171] Migne. PL. T. 50. Col. 699.

[172] Id. Col. 667.

[173] ЖМП. 1967. № 10. С. 67.

[174] RISK. 1967. Vol. 3. P. 7.

[175] Irenikon. 1973. № 4. P. 466.

176 ЖМП. 1983. № 10. С. 50.
177 ЖМП. 1984. № 1. С. 66.
178 Св. Симеон Новый Богослов. Слова. М., 1892. Вып. 1. С. 246.
179 Еп. Феофан. Слова на Господские, Богородичные и торжественные дни. М., 1899. С. 72—73.
180 Он же. О Православии с предостережениями от погрешений против него. М., 1893. С. 7.
181 ЖМП. 1971. № 7. С. 42.
182 Св. Иоанн Златоуст. Творения. СПб., 1895. Т. 1. Кн. 2. с. 667.
183 Migne. PG. T. 90. Col. 145.
184 Знаменитый западный св. отец, игумен Лиринского монастыря на острове у Ниццы (Франция), скончался в 450 г. Он автор известного сочинения «Commonitorium» — «Напомин (434 г.), в котором изложил принципы определения истинной соборной Православной веры в противоположность лжеучениям.
185 Migne. PL. T. 50. Col. 646.
186 Id. Col. 648.
187 Id. Col. 649.
188 Id. Col. 650.
189 Id. Col. 665—666.
190 Id. Col. 669.
191 ЖМП. 1969. № 10. С. 40.
192 Житие прп. Василия Нового // Жития святых. М., 1988. С. 478—479.
193 Архиеп. Серафим (Соболев). Проповеди. София, 1944. С. 26—27.
194 Migne. PG. T. 102. Col. 629.
195 Иеремия II, патриарх Константинопольский. Ответы лютеранам. М., 1866. С. 35, 43.
196 Еп. Игнатий (Брянчанинов). Отечник. СПб., 1880, С. 2.
197 Св. Афанасий Великий. Творения. Сергиев Посад. 1902. С. 14, 37.
198 Архим. Амвросий. Св. Марк Ефесский и Флорентийская уния. Нью-Йорк, 1963. С. 354.
199 Прп. Максим Грек. Сочинения. Сергиев Посад. 1910. Ч. II. С. 139.
200 Там же. С. 150.
201 Житие и писания молдавского старца Паисия Величковского. М., 1892. С. 73.
202 Беседа прп. Серафима Саровского с Мотивиловым. Белая Церковь, 1929, С. 14, 15, 20.
203 Блаж. Феофилакт. Благовестник. СПб., б. г. С. 613.
204 Деяния Совещания глав и представителей автокефальных Православных Церквей. М., 1949. Т. 2. С. 415.
205 В данном случае о Церкви верно употреблено прилагательное «нераздельная», смысле «неразделимая», ибо, по словам проф. архим. Иустина Поповича, «разделение Церкви онтологически по существу невозможно». Между тем в экуменической лексике касательно Церквки

прилагательное «нераздельная», выражающее постоянное свойство Церкви как Богочеловеческого организма, лукаво подменяется неуместным словом «неразделенная» (причастие прош. вр. страд. зал.), как будто в древности Церковь была «неразделенной», а затем якобы «разделилась». Кощунственная нелепость этой мысли явствует из сопоставления со Святой Нераздельной Троицей, ибо «Церковь по подобию Св. Троицы — нераздельной и неслиянной» (Л. Успенский. На путях к единству? Париж, 1987. С. 11).

206 Деяния... Т. 2. С. 413—414.

207 ЖМП. 1954. № 4. С. 69.

208 Еп. Серафим Потсдамский. Экуменическое движение // Деяния Второго Всезарубежного Собора Русской Православной Церкви заграницей. Белград, 1939. С. 300.

209 Деяния Вселенских Соборов. Казань, 1888. Т. 2. С. 156.

210 Св. Василий Великий. Творения. Письмо 257. СПб., 1911. Т. 3. С. 332.

211 Прот. В. Боровой. К вопросу о базисе Всемирного Совета Церквей // ЖМП. 1961. № 2. С. 69.

212 Там же. С. 70.

213 Там же. С. 75.

214 Irenikon. 1973. № 4. P. 477.

215 Прот. Н. Малиновский. Очерк Православного догматического богословия. Сергиев посад. 1911. Вып. 1. С. 117.

216 Там же. С. 118.

217 Le Monde. 20. 9. 1975. P. 9.

218 H. Roth. Oekumenisme ou Christianisme? Genévè. s. a., P. 8.

219 Архиеп. Серафим (Соболев). Новоеучение о Софии, Премудрости Божией. София, 1935. С. 253.

220 Еп. Серафим Потсдамский. Цит. ст. С. 300.

221 Irenikon. 1983. № 3. P. 394.

222 Baptism, Eucharisty, Ministry. P. VIII. Col. 2.

223 Migne. PG. T. 155. Col. 177.

224 Константинопольский патриарх Иеремия II. Ответы лютеранам М., 1866. С. 45.

225 Архиеп. Серафим (Соболев). Искажение православной истины в русской богословской мысли. София. 1943. С. 286.

226 А. Делибаси. Ересь экуменизма (по-греч.). Афины, 1972. С. 84. 108—110.

227 Baptism, Eucharisty, Ministry. P. IX. Col. 1.

228 Там же. Col. 2.

229 I. IX. 1983. P. 17. „ეპისკოპოს"

230 Baptism... P. IX. Col. 2.

231 Напомним слова Попадероса, что в КЕС нет «чистого, объективного и научного богословия».

232 Baptism... P. IX. Col. 2.

[233] Делибаси. Ук. Соч. С. 110.
[234] Baptism... P. 2—3.
[235] Там же. P. 6. Col. 11.
[236] Там же. P. 5. Col. 11.
[237] Еп. Феофан. Толкование пастырских посланий св ап. Павла. М., М., 1894. С. 117.
[238] Архиеп. Серафим (Соболев). Искажение православной истины в русской богословской мысли. София, 1943. С. 236.
[239] Migne. PL. T. 3. Col. 1084.
[240] Id. Col. 1078.
[241] Migne. PL. T. 16. Col. 453.
[242] Migne. PL. T. 35. Col. 2000.
[243] Цит. по: Митрополит Московский Макарий. Православно-догматическое богословие. СПб., 1883. Т. II. С. 352.
[244] Migne. PG. T. 33. Col. 1088—1098.
[245] Id. Col. 1056.
[246] Константинопольский патриарх Иеремия. Ответы лютеранам. М., 1866. С. 46.
[247] Migne. PL. T. 4. Col. 503.
[248] Migne. PG. T. 26. Col. 1326.
[249] Migne. PL. T. 50. Col. 178.
[250] Св. Василий Великий. Творения. СПб., 1911. Т. II. С. 3—4.
[251] Там же. С. 472—273.
[252] Migne. PL. T. 16. Col. 488.
[253] Св. Григорий Богослов. Творения. СПб., 1912, Т. 1. С. 542.
[254] წმ იოანე კლიმაქსი „კიბე" საქ. ეკლესიის კალენდარი 1986 წ.
[255] Св. Иоанн Златоуст. Творения. СПб., 1895. Т. 1. Кн. 2. С. 417—418..
[256] Константинопольский патриарх Иеремия. Ответы лютеранам. М., 186 С 62.
[257] Migne. PL. T. 54. Col. 1011—1012.
[258] Baptism, Eucharisty. Ministry. P. IX. Col. 1.
[259] Там же. P. II—X.
[260] Там же. § 33. P. 17.
[261] Там же. § 13. P. 12
[262] Там же. § 1.
[263] Там же. § 4. P. 10.
[264] Там же. § 12. P. 12.
[265] Там же. § 13. P. 2.
[266] Там же. Комментарий. § 13. P. 12.
[267] Послание Восточных Патриархов о Православной вере. СПб., 1838. Член 17.
[268] Митрополит Макарий. Православно-догматическое богословие. СПб., 1883. Т. II. С. 397.

[269] Migne. PG. T. 6. Col. 428—429.
[270] Migne. PG. T. 3. Col. 1097.
[271] Migne PG. T. 6. Col. 1072.
[272] Migne. PG. T. 45. Col. 96.
[273] Migne. PL. T. 16. Col. 667.
[274] Цит. по: Митрополит Макарий Московский. Ук. соч. Т. II. С. 398.
[275] Св. Иоанн Дамаскин. Точное изложение Православной веры. Кн. IV, гл. 13.
[276] Там же. Кн. IV, глв. 13.
[277] Baptism, Eucharisty, Ministry (BEM). § 15. P. 13.
[278] Деяния Вселенских Соборов. Казань, 1891. Т. 7. С. 233.
[279] BEM. § 32. P. 16.
[280] Послание Восточных Патриархов о Православной вере. СПб., 1838. Член. 17.
[281] BEM. § 8. P. 11. Col. 2.
[282] Геласий Кизический. Комментарий к Деяниям I Вселенского Собора. Гл. 31: Митр. Макарий. Ук. соч. Т. II. С. 417.
[283] Migne. PL. T. 4. Col. 397.
[284] Св. Кирилл Иерусалимский. Творения. М., 1900. С. 335—336.
[285] Послание Восточных Патриархов о Православной вере. СПб., 1838. Член. 17.
[286] BEM. § 1. P. 10. Col. 1.
[287] Архиеп. Серафим (Соболев). Искажение православной истины в русской богословской мысли. София, 1943. С. 256.
[288] BEM. § 2. P. 10. Col. 2
[289] § 29. P. 16. Col. 2.
[290] Православное исповедание. Часть I, ответ на вопрос 107.
[291] Послание Восточных Патриархов о Православной вере. СПб., 1838. Член 17.
[292] П. Брадиотис. Англиканские хиротонии с православной позиции (по-греч.). Изд. 2-е. С. 8. Цит. по: П. Трембелас. Неофициальные документы об экуменическом движении и богословских диалогах (по-греч.)- Афины, 1972. С. 31.
[293] См. напечатанную на ротапринте вступительную речь на VI ассамблее. С. 9. 10.
[294] БЕМ. Р. 22 Col. 3.
[295] Г. Бенигсен. К вопросу о действительности англиканского священства. Париж, 1927. С. 86—87 (цит. по докладу Архиеп. Серафима (Соболева) Деяния Совещания... М., 19. Т. II. С. 254).
[296] ОТ. 17. 2. 1989. № 826.
[296]—[297]. BEM. § 19. P. 24. Col. 1.
[298] Там же. P. 29. Col. 2.
[299]—[301] ЖМП. 1985. № 2. С. 63.
[302]—[304] P. 28. Col. 2: P. 29. Col. 1. BEM.
[305] Там же. P. 29. Col. 1.

306 Там же. P. 30. Col. 1
307 BEM. P. 32. Col. 1.
308 Там же. § 53. P. 32. Col. 2.
309 Там же. § 54. P. 32. Col. 2.
310 Там же. § 55. P. 32. Col. 2.
311 A. G. Vers Babylone. Vevey. 1964. P. 15. Note 2: H. Roth. Op. cit. 35. P. 17.
312 ЖМП. 1967. № 10. С. 67.
313 Ecumenical Review. 1949. Vol. 1. № 3. P. 321.
314 Путь. 1929. № 16. С. 80.
315 ЖМП. 1972. № 11. С. 54. Кол. 1.
316 Цитируется по отпечатанным на ротаторе материалам у Генеральной ассамблеи ВСЦ «От Упсалы к Найроби». С. 79.
317 «Упсала-68 говорит». С. 13. § 7, 9, 20.
318 Деяния Совещания глав и представителей автокефальных Православных Церквей, М., 1949. Т. 2. С. 411.
319 ЖМП. 1971. № 2. С. 44.
320 Там же. 1970. № 11. С. 55
321 ЖМП. 1971. № 2. С. 44.
322 Там же. С. 46.
323 ОТ. 15. X. 1974. С. 1, 4.
324 Ortodoxie heute. 1966. № 16. S. 14.
325—326 ОТ. 15. X. 1974. С. 1,4
327 ОТ. 30. 9. 1983. № 574. С. 4.
328 ЖМП. 1972. № 12. С. 58.
329 См.: Архим. Харалампий (Василопулос). Экуменизм без маски (по-греч.). 2-е изд. Афины, 1972. С. 182.
330 ОТ. 30. 3. 1984. 601. С. 3. Кол. 4.
331 ЖМП. 1981. № 4. С. 6.
332 ОТ. 20. 4. 1984. № 604. С. 4. Кол. 6—8.
333 ОТ. 30. 3. 1984. № 601. С. 3. Кол. 4.
334 ОТ. 28. 10. 1988. № 810. С. 3. Кол. 1—3.
335 The Old Calendarist (London), 1972. № 23.
336—337 Contacts. 1965. № 49. P. 18.
338 Там же. P. 19—20.
339 Там же. С. 20—21.
340 Духовная культура. 1965. № 3. С. 23.
341 ЖМП. 1975. № 4. С. 34.
342 Церковный вестник. 1070. 11. 1. № 2. С. 1 и сл.
343 ЖМП. 1987. № 5. С. 66.
344 ЖМП. 1974. № 11. С. 44.
345 Иерусалимский патриарх Диодор за то, чтобы Православная Церковь вышла из ВСЦ (ОТ 6.1.1984. С. 1. Кол. 1—3).
346 ЖМП. 1954. № 4. С. 67.

[347] The Ecumenical Review. 1974. № 3. P. 364.
[348] ЖМП. 1976. № 4. С. 10—11.
[349] ЖМП. 1983. № 11. С. 48—49, 52—54
[350] ОТ. 2 3. 1984. № 597. С. 1, 4 (речь проф. Саккоа в Афинском университете в защиту северо-эпирских греков).
[351] Contacts. 1974. № 85. P. 77—78.
[352] PISK. 1969. № 3/4. P. 18.
[353] Там же. P. 25.
[354] A. Bailey. Le retour du Christ. Génève, 1974. P. 41.
[355]—[357] Там же. P. 18. 20, 51—52.
[358] RISK. 1969. № 3/4. P. 87.
[359] К. З. Исторический путь экуменизма // Вестник Русского западно-европейского Патриаршего Экзархата. 1955. № 23. С. 218.
[360] Проф. прот. Л. Воронов. Единство и разнообразие в православной традиции // ЖМП. 1970. № 10. С. 72.
[361] Архим. Амвросий. Св. Марк Ефесский и Флорентийская уния. Нью-Йорк, 1963. С. 226.
[362] Вестник Русского западно-европейского Патриаршего Экзархата. 1955. № 23. С. 218—219.
[363] ЖМП. 1970. № 10. С. 73.
[364] Вестник Русского западно-европейского Патриаршего Экзархата. 1955. № 23. С. 218—219.
[365] Воронов, цит. статья. С. 73. Затем эту мысль как свою повторил митр. Никодим.
[366] ЖМП. 1968. № 8. С. 63.
[367] Путь. 1929. № 16. С. 80.
[368] Вестник Русского западно-европейского Патриаршего Экзархата. 1955. № 23. С. 219.
[369] Oekumenische Rundschau. 1969. Hf. 3. S. 369.
[370] См. речь д-ра Юджина Блейка, генерального секретаря ВСП на 25-м заседании Центрального комитета ВСЦ в Утрехте // ЖМП. 1972. № 11. С. 55.
[371] Св. Феодор Студит. Огласительная поучения. М.,
[372] Блаж. Феофилакт, Архиепископ Болгарский. Толкования на Новый Завет. СПб., 1911. С.1010.
[373] Ortodoxie heute. Düsseldorf. 1972. № 40—41. S. 20.
[374]—[375] The Old Calendarist. London. 1972. № 23.
[376] ОТ. 16. 6. 1989. № 842. С. 1. Кол. 1—3.
[377]—[378] Вестник Русского западно-европейского Патриаршего Экзархата. 1973. № 83—84. С. 243—244: 249—250.
[379]—[381] Там же. С. 251—252.
[382] ОТ. 16. 12. 1983. и 585. С. 1.
[383] Архим. Константин. Пастырское богословие. Нью-Йорк. 1961. Ч. 2.
[384]—Там же. С. 10, 11.

[385]—[386]—Там же.С 11.
[387]—[388] Там же. С. 154.
[389] Архим. Иустин (Попович). Православная Церковь и экумонизм. (по-греч.). Фессалоники, 1974, С. 98.
[390] Там же. С. 204, 205.
[391]—[392] Там же. С. 224, 256.
[393] Архим. Харлампий (Василопулос). Экуменизм без маски (по-греч. 2-е изд. Афины, 1972. С. 24.
[394] Там же. С. 155.
[395] Irenikon. 1972. № 3. P. 423.
[396] Там же. P. 425.
[397] Архим. Харлампий. Цит. соч. С. 148.
[398] Migne. PG. T. 44. Col. 504.
[399] ა. დელიბასი. „ეკუმენიზმის ერესი“. ათენი 1972. გვ. 37.
[400] Там же. С. 197—198.
[401] Migne. PG. T. 48. Col. 669
[402] Делибаси. Цит. соч. С. 195—196.
[403]—[404]—Там же С. 8,
[405] Там же. С. 290—291.
[406] Там же. С. 292.
[407] Там же. С. 293.
[408] Там же. С. 296.
[409] Там же. С. 304.
[410] Contacts. 1965. № 1. P. 47.
[411] Irenikon. 1971. № 4. P. 541.
[412] «Миротворческая» встреча папы Павла VI 8 июня 1973 г. с главой буддистов в Лаосе и обмен речами // Documentation catholique, 1973 № 1636. P. 658—659.
[413] G. Boissier. La religion romaine... Paris, 1884. T. 1. P. 399—400. Подлой сделкой иудейства с язычеством было попытка иудеев использовать антихристианскую позицию Юлиана Отступника для восстановления Иерусалимского храма, причем они даже согласились принести жертву идолам.
[414] G. Boissier. La religion romaine d'Auguste aux Antonins. Paris. 1884. T. 1, P. 402—403.
[415] Архим. Харлампий. Цит. соч. С. 156.
[416] Цит. по: Н. Бердяев. Константин Леонтьев. Париж, 1926. С. 236.
[417] Церковный вестник. София, 21. 8. 1973. № 24. С. 9.
[418] Internationale Kirchenzeitschrift, Bern, 1971. № 3, S. 134.
[419] Irenikon. 1970. № 4. P. 574.
[420] Irenikon. 1975. № 1. P. 75.
[421] Еп. Феофан. Письма о христианской жизни. М., 1891. С. 94.
[422] Архим. Амвросий. Святой Марк Ефесский и Флорентийская уния. Нью-Йорк. 1963. С. 352.

[1] Вестник Русского западно-европейского Патриаршего Экзархата. 1955. № 23. С. 217.
[2] Разум и религия (по-французски). Брюссель, 1881. С. 170.
[3] Официальный отчет Конвента Великого Востока Франции (по-французски). 1912. С. 270.
[4] Там же. С. 393.
[5] Acace. 1930. Nov., R. 145.
[6] Bauhütte. 1890. S. 119.
[7] Официальный отчет Конвента Великого Востока Франции. 1923. С.1 20.
[8] Наука и жизнь. 1969. № 12. С. 82—83.
[9]—[10] Там же. С. 85.
[11]—ОТ. 11, 11 1983. М 580 С, 1 Кол. 6—8: С. 4. Кол. 4—6.
[12] Documentation catholique. 1. 1. 1984. № 1865. P. 29. Ватиканский документ напечатан в официозе «Оссерваторе романо» от 27 ноября 1983 г.
[13] ЖМП. 1949. № 5. С. 65—66.
[14] Архиеп. Серафим (Соболев). Искажение православной истины в русской богословской мысли. София, 1943. С. 337.
[15] Прот. Г. Разумовский. Экуменическое движение и Русская Православная Церковь // Деяния Совещания глав и представителей автокефальных Православных Церквей. М., 1949. Т. 2. С. 105.
[16] Архиеп. Серафим. Надо ли Русской Православной Церкви участвовать в экуменическом движении? // Деяния... Т. 2. С. 382—383.
[17] RISK. 1972. № 3. P. 4.
[18] Еп. Игнатий (Брянчанинов). Сочинения. СПб., 1905. Т. 4. С. 308.
[19] Ев. Ефрем Сирин. Слово на пришествие Господне, на скончание мира и на пришествие антихристово // Об антихристе. М., 1884. С. 77—78.
[20] Там же. С. 78, 85.
[21] Св. Ипполит Римский. Слово о Христе и антихристе // Там же. С. 36—37.
[22] ЖМП. 1975. № 11. С. 72.
[23] Св. Ипполит Римский. Ук. соч. С. 8.
[24] Там же. С. 35.
[25] Св. Кирилл Иерусалимский. Творения. М., 1900. С. 180.
[26] Православная Русь. 1984. № 1. С. 13.
[27] См. Св. Иоанн Златоуст. Творения. СПб., 1911. Т. 7. Кн. 2. С. 748: Блаж. Феофилакт. Благовестник. СПб., б. г., С. 139, 390.
[28] В газете «Монд» от 27. 11. 1980 как реклама детской игрушки напечатан проект будущего Иерусалимского храма, который желающим высылается бесплатно — «для вас и ваших детей». Пользуясь услугами масонов, стараются вовлечь даже детей в предстоящее антихристово строительство «третьего» Иерусалимского храма.

[29] См. службу Постной Триоди в Субботу сырную; II стихира на «Господи возвах».

[30] Архиеп. Афинагор (Кокинакис). Межправославный богословский диспут (по-английски). 1973. С. 11—24.

[31] The Ecumenical Review. 1973. № 2. P. 218.

[32—34] Там же. P. 177, 179.

[35] Irenikon. 1975. № 2. P. 257.

[36] Documentation catholique. 1973. № 1639. P. 825.

[37] Irenikon. 1974. № 3. P. 402.

[38] Irenikon. 1983. № 3. P. 402.

[39] Имея 6 сопредседателей, ВСЦ не имеет председателя. Очевидно, этот главный пост сохраняется для папы.

[40] «Le Monde». 3. II. 1973. P. 20.

[41] Об этом заявил папа Иоанн-Павел II сразу после посещения Константинопольского патриарха Димитрия 6 декабря 1987 года.

[42] Архим. Харлампий. Экуменизм без маски (по-гречески). Афины, 1973. С. 1832.

[43] Иером. Ефрем, Святая Гора. Священная обитель Филофей (по-гречески). // ОТ. 15. 3. 1974. № 208. С. 6. Кол. 2.

[44] Второй Ватиканский Собор. Определения и декреты (по-немецки). Фрейбург—Базель—Вена, 1967. Ч. II. С. 493.

[45] Основная логическая ошибка, допущенная II Ватиканским собором уже во вступлении к этой Декларации, заключается в том, что понятие «народ» подменяется понятием «религия». В то же Откр. 21, 24, что все народы будут ходить во свете Небесного Иерусалима, речь идет о всех религиях. Имеются в виду лишь уверовавшие во Христа люди среди всех народов без различия расы, национальности и языка, но при условии исповедания правой веры (ср. Деян. 10, 34).

[46] Еп. Феофан. Толкование IX—XVI глав Послания св. ап. Павла к Римлянам. 2-е изд. М., 1890. 173.

[47] Такую же «деликатность» к евреям проявляет один из самых ранних католических авторов XII века — Бернард Клервоский в своем сочинении «О размышлении» (1153 г.), где излагает папские обязанности под видом назидания своему ученику папе Евгению III. На первом месте стоит искоренение Православия у греков, о которых он пишет: «Пусть эти звери будут или исправлены своим особым старанием, или уничтожены!». Но, говоря об обращении неверных к вере, Бернард делает исключение для евреев под предлогом, что «должно сперва обратиться язычникам... Потому относительно евреев ты имеешь извинение во времени: евреи имеют свой предел, который не может быть ныне пройден» (!). Выходит, миссионерскую деятельность, которую вели св. Апостолы среди иудеев, папистам надо оставить из «уважения» к иудейству! (ЖМП. 1950. № 2. С. 55—56).

[48] Во избежание явного соблазна авторы «Указаний» хитроумно вырази-

ли эту мысль в форме вопроса, который предполагает утвердительный ответ: «Их общая забота не обращена ли к мессианским временам?».

[49] Св. Василий Великий. Творения. СПб., 1911. Т. II. С. 241.

[50] Irenikon. 1974. № 3. P. 400.

[51] Александрос Каломирос. Против сторонников лжеединения (по-гречески). Афины, 1964. С. 24.

[52] По свидетельству одного семинариста, он слышал в 1988 году, как группа молодежи пела в поезде современную песню, в которой говорится: «Приходи поскорей, дорогой антихрист! Мы ждем тебя и жаждем поклониться тебе!»

[53] Еп. Игнатий (Брянчанинов). Сочинения. СПб., 1905. Т. IV. С. 309.

[54] Св. Ипполит Римский. Творения. Казань, 1899. Вып. 2. С. 13—14.

[55] Блаж. Феофилакт. Благовестник. СПб., б. г. С. 293.

[56] Духовная культура. 1965. № 1 С. 24.

[57] Там же. 1969. № 5—6. С. 45.

[58] Canvas. 27. 7. 1983. № 3. P. 3.

[59] Там же. P, 7.

[60] То же. 9. 8. 1983. № 13. P. 3.

[61] То же. 28. 7. 1983. № 4. P. 3.

[62] А. Делибаси. Ересь экуменизма (по-гречески). Афины, 1972. С. 120.

[63] Irenikon. 1975. № 1. P. 93.

[64]—[65] Там же, P. 37.

[66] Lexikon für Theologie und Kirche. II. Vatikanisches Konzil. S. 427.

[67] Monde. 21. XI. 1964. № 6175. P, 7.

[68] ОТ. 6. 7. 1986. № 700. С. 4. Кол. 7—8.

[69]—[70] ОТ. 7. XI. 1986. № 718. С. 1, 4. Кол. 1.

[71] С. Роуз. Православие и религии будущего (по-английски). Платина (Калифорния), 1975. С. 6.

[72]—[73] А. Делибаси. Ересь экуменизма (по-гречески). Афины, 1972. С. 251.

[74] А. Делибаси. Эпоха антихриста (по-гречески). Афины, 1974. С. 124.

[75] Православие и религии будущего... С. 5.

[76] Lloyd Jones. Op. cit. P. 76.

[77] Издание Ветхого Завета без Нового Завета беспрецедентно для христиан, ибо по существу Ветхий Завет несамостоятелен и обретает подлинный смысл и значение только в связи с Новым Заветом, приготовлением к которому он является. «Конец закона — Христос» (Рим. 10, 4).

[78] Проф. Иван Корсунский. Перевод LXX. Его значение в истории греческого языка и словесности. Св. Троицкая-Сергиева Лавра, 1897, С. 30, 42.

[79] Там же. С 43—44.

[80] Еп. Феофан. Собрание писем. М., 1900. Вып. 7. С. 70—71.

[81] Св. Иоанн Златоуст. Творения, СПб., 1906. Т. XII. Кн. 1. С. 84.

[82] Корсунский. Цит. соч. С. 48, 607.

[83]—[84] Там же. С. 47—72.

[85] Св. Иустин. Сочинения. М., 1864. С. 266.
[86] Св. Иоанн Златоуст. Сочинения. СПб., 1901, Т. VII. Кн. 1. С. 54.
[87] Еп. Феофан. Собрание писем. М., 1900. Вып. 7. С. 67.
[88] Митрополит Филарет (Дроздов). О догматическом достоинстве и охранительном употреблении греческого Семидесяти и славянского переводов Священного Писания. М., 1858. С. 3.
[89] Еп. Феофан. Собрание писем. М., 1900. Вып. 7. С. 79.
[90] Жития святых. Февраль. М., 1898. С. 24—25.
[91] Еп. Феофан. Собрание писем. М., 1900. Вып. 7. С. 68—69.
[92] И. А. Чистович. История перевода Библии на русский язык. СПб., 1899. С. 192.
[93] Митрополит Филарет. Цит. соч. С. 3—6.
[95] Еп. Феофан. Собрание писем. М., 1900. Вып. 7. С. 70.
[96] Там же. С. 75.
[97] Чистович. Ук. соч. С. 342—343.
[98] П. М. Граббе. Доклад по поводу лжеучения прот. Сергия Булгакова // Деяния Всезарубежного Собора Русской Православной —церкви Заграницей. Белград. 1939. С. 732—733.
[99] Послание Восточных Православных Патриархов. 1848. С. 39.
[100] ОТ. 14. X. 1983. № 576. С. 4.
[101—102] Св. Иоанн Златоуст. Творения. СПб., 1900, Т. VI. Кн. 1. С. 380—381.
[103] Migne. PL. T. 4. Col. 519—520.
[104] Idem. T. 26. Col. 528—529.
[105] Блаж. Августин. Исповедь. М., 1914.
[106] Русский хоровой вестник. Прага, 1928, № 3.
[107] Владимир Поль. Древние мелодии // Возрождение. Париж, 193... № 3163.
[108] Секс уже прокладывает себе дорогу в экуменических изданиях, где наряду с богословскими статьями помещеются эротические картинки (см.: «RISK». 1976. № 22. P. 23).
[109] Архиеп. Аверкий. Истинное Православие и современный мир. Нью-Йорк. 1971. С. 192.
[110] Эта же идея и требование содержит вступление в «RISK», 1967. № 3. P. 7: «Надо передвинуть церковные структуры» и P. 9—10. «Церковь должна обрести волю сдвинуться с места»...
[111] Э. Юнгель. Темное слово о «смерти Бога» (по-немецки) // Знамения времени. Берлин, 1969, № 12. С. 448.
[112—113] Юнгель. Цит. ст. С. 448—449.
[114—115] Герхард Хеннеман. «Бог мертв» — что это значит? (по-немецки) // Немецкий священнический вестник. Штутгарт, февраль 1970. С. 106—107.
[116] Цит. по Максим Грек. Сочинения. Сергиев Посад, 1910. Ч. II. С. 157.
[117] Хеннеман. Цит. ст. С. 105.
[118—119] Там же. С. 107.
[120] P. Brune. Pour que l'homme devienne dieu. Paris, 1985. P. 11.
[121—124] Хеннеман. Цит. ст. С. 106.

გადაეცა წარმოებას 31.08.94. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.12.94.
ქაღალდის ფორმატი 60×84 1/16. ტირაჟი 2500 შეკვ. № 157.

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი".
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.